UDC(უაკ) 050(479.22) ISSN 2233-3312
ა-376

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

ათინათი

2018 / 4 / (30)

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2018



უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

უნდა იცოცხლო უწმინდესო
აკროსტიხი

უშენობას ვერ აიტანს ერი,
ნექტრის წამალს გვიწილადებ ლოცვით
და ეს გვინდა ისევ ბევრზე ბევრი,
ალაგდება გულში გლოვის ბორცვი.

იისფერი გაზაფხულიც მოვა,
ცა ბობოქრობს, ქარიშხალით მოთქვამს,
ოცნებებით მე კი ფიქრის თოვას
ცისკრის დილის იმედებით მოვრთავ.
ხვალის დღეთა ვარდ-ბაღნარის ეშხით,
ლოდინის ხეს ეჟვანს ჩამოვწყვიტავ,
ომნამსხვრევი სამაჩაბლოს ვერხვს კი
უწმინდესო, რწმენით გამოვკვირტავ.
წმინდანი ხარ, საგანძური ერის,
მამულის და საქართველოს მწყემსი,
იქნებ ლოცვით აილაგმოს მტერი,
ნატყვიარი მიწა წყდება წელში.
დედამიწა ჩვენთან შენით ბრუნავს,
ენატკბილო, ჩვენო უწმინდესო,
საქართველოს განძ-საძვალეს მუდამ
ო, კვლავ მინდა ისევ შენ უმწყემსო.

გულნაზ ხარაიშვილი

მაცხოვარი

ხატმწერი: **იაგო უგულავა**

ალექსი შუშანია

ხატმწერი: **იაგო უგულავა**

ხატმწერნენი: გიორგი ლა ხატია ლანიაშვილები, ანრიეთ სანეკვლაძე



ხატმწერები: გიორგი და ხატია ლანდიაშვილები, ანჩიელ სანტუკლაძე

ხატმწერები: **გიორგი** და **ხატია ლანიაშვილები, ანჩილ საინჯველაძე**

მამა გაბრიელი

ხატმწერი: **გიორგი ლარიაშვილი**

მამა გაბრიელს

მ-ადლი მომეც და ლექსებად ვიშვი,
ა-რ მოველოდი მეორედ მოსვლას...
მ-ამავ, ფიქრებით გულს გადაგიშლი,
ა-უცილებლად საშველად მოხვალ.

გ-ულს დაჭრილს ჩემსას, შემომიშუშებ,
ა-რ დამტოვ მარტოდ საჯიჯგნად ქართან,
ბ-ინდ-ბუნდში ვიცი მზეს ჩამოუშვებ,
რ-ომ არ დავიხრჩო, ცრემლების ზღვასთან.
ი-მ უხილავი ლაჟვარდებიდან,
ე-რწყმის „ათინათს“ სიმშვიდის ქნარი,
ლ-ექსს ვქმნი მეორედ დაბადაებიდან,
ს-ამშობლოს გრძნობით გულგადამთვრალი.

გულნაზ ხარაიშვილი



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

მ-იწაც ტკივილით გადაკლდეკარდა,
ე-რთ ქანდაკებად იქცა სხეული.
უ-ფალი გაჩნდა მის სახლის კართან
ფ-რთებგადაშლილი მიყავს რჩეული.
ე-ს დღე სიონში სხვა დღეს არ გავდა,
ს-აყდარში ზღვა ხალხს ცრემლი სდიოდა,

ჩვენი მეუფე უფალს ჩაბარდა
და მის სანაცვლოდ სხვა მოდიოდა.

გულნაზ ხარაიშვილი

სიკეთის სხივით
(მამა ამირან ამირანაშვილს)

და მოდიოდა, სიკეთის სხივით,
ალალი გულით, სითბოს ჩვეული –
მამა ამირან, ვით ბროლის მძივი,
არის ყველასგან გამორჩეული.
აკადემიის წევრობის დღიდან,
ლოცავს დიდსა და.. ლოცავს პატარას,
მისი ხმის ტემბრი მწვერვარლობს ღვთიდან,
ფლორაც, ფაუნაც, მისით დამტკბარა.
უფალო, დიდხანს არ მოგვიშალო,
მოძღვარის ლოცვა, მისი ბუბუნი –
მამაოს სითბოს არ გვაშიმშილო,
რადგანაც გალობს როგორც ბულბული.

გულნაზ ხარაიშვილი



მამა მერაბი

დიდი მადლი დაგაფრქვია ღმერთმა,
შექმენ ხატი, მირონი რომ წვეთავს,
ამიტომაც რწმენით მრევლი მოდის,
შეხების დროს ხატი თითქოს ფეთქავს.

გულნაზ ხარაიშვილი



„ათინათო"

„ათინათო", დეკემბერიც მიითვალე,
ჯერ კვლავ მტკივა, გული უნდა მომირჩინო...
გაზაფხულზე როს გაახელ მწვანე თვალებს,
კიდევ ოთხი შვილი უნდა გამიჩინო.

გულნაზ ხარაიშვილი
ჟურნალ „ათინათის" მთავარი რედაქტორი
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო
აკადემიის პრეზიდენტი

პოეზია

მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

***

მოდის ფიქრთა მდინარება
მზისფერ ულევ ტალღებად,
ვით გულწრფელი მცინარება
გადაგვაქცევს ბალღებად...
ჩამრუმებულ საწუთროში
სიხარული კიაფობს,
ყველა ჟამში, ყველა დროში
მინდა რამე გიამბო,
უნდა გყავდეს თეთრი რაში –
დარახტული იაბო,
ვინც ჭენებით ოფლის ღვრაში
ჰაერს მკერდით მიაპობს.
აქ იმატებს სიმძიმილი,
ფერმკრთალდება ღიმილი.
ჩამავალი მზის სხივივით

შიშველ ქუსლით, შიშველ სულით,
უფრთოდ ყოფნა ძნელია,
თითქოს იყავ მაროტსული
და იქ შემწედ გელიან...
გადაუფრენ მარტოობას,
წუთისოფლის ნარ-ეკალს,
ვიდრე ციდან ნათელგზობის
შვების ზარი დარეკავს
მერე მოდის სიხარული,
ნათელი და მარადი,
ანგელოზი დაგიფარავს
ცად შემავალ კარამდის

1990 წ. 11 აპრილი

***

და... ფეხს იკიდებს გულგრილბოა უმწვერვალესი,
ცოტაღა სითბო, სიყვარული, ცოტა ალერსი...
ყველა საკუთარ ფუსფუსით და ზრუნვით გართული...
რაღა გვრჩება უწმინდესი, ძველი, ქართული?..

***

ქართული სულის სინათლით
ბატონ ვასილ ბიბილურს

უპირველესი კაცობა
მსახურებაა სიმართლის,
ამ მადლს, მწამს, თვითონ გამჩენი
და საქართველო გიმადლის.
სიცოცხლის ყვავილობაში
სიკეთის სხივებს რომ სტყორცნი,
მკითხველთა გულის წამალო,
გიახლოვდება ოთხმოცი,
ქართული სულის სინათლით,
დარბაისლური იერით...
იყავი, ხარ და გინატრით...
სულ იყო სულით ძლიერი.
კვლავ გავა წელი მრავალი
მამულზე ფიქრში, ზრუნვაში...
იხარე შთამომავალით,
მაგ შეურცხვენელ ულვაშით.

ქრისტესმიერი სიყვარულით
თბილისი, 1997 წ. 12 მარტი

***

ცეკვავს ნიავი და სიყვარულზე
ისევ ჩურჩულებს ნაზი ჭადრაკი.
სხივი გაამხელს ვარსკვლავს შორეულს
სივრცეულ ბინდში ნათინათარი.
ჩასძინებიათ მთებსა და ხრამებს...
ლურჯი ტბა იწყებს ვარსკვლავთა კრეფას
და მალ-მალ აკრთობს ჩათვლემილ ღამეს
მოუსვენარი ძაღლების ყეფა.

***

ვის რას მისტირი, თუ თავის გჯერა
დაბადებულო ახალ ქართველად?
ერი, მამული რჯული და რწმენა
გეყოფა დარდად, ფიქრთგასართველად,
ძმათა სიცოცხლის არიდე წყენა
დაიწვი, ოღონდ წმინდა სანთლებად.

მოკლე დიალოგი სიკვდილ-სიცოცხლისა

– მე უდაბნოსაც ავაყვავებ
სიმწვანის ფერით,
სალ კლდეს, გავაპობ და იქიდან წყაროს ვადინებ.
ჩემს ამ განზრახვას,
ვერ აღუდგეს წინ ვერაფერი.
მე თუ ასე მსურს, მე თუ ასე მოვიწადინე.
კლდეზე პირიმზემ როგორ გაძლოს, მე თუ არ ვიხსნი
შენგან, სიკვდილო, და ცისკრის ჟამს ნამს არ ვაპკურებ?
ქვეყნად სიკეთის, სიყვარულის
ეს მე ვარ ღირსი –
ქვეყნად სიყვარულს მე ვიმსახურებ.
– დაიმახსოვრე, სიცოცხლეო, შეიგენ კარგად,
ქვეყნად ყველაფერს აქვს თავისი ჟამი და ბოლო,
მარადიული, უცვლელი და შეურიგებელი
ეს ჩვენი ბრძოლა-ჭიდილია
ყოველთვის მხოლოდ,
მე თუ მსურს, ქვეყნად ყოველივეს
გარდავაქმნი მტვერად,
და უფსკრულებში მიმოვფანტავ
გრიგალის ძალით,
სამგლოვიაორ ჰანგზე შვცვლი
ხმატკბილ სიმღერას,
ხომ იცი, ქვეყნად ყველაფერს სჭრის
სიკვდილის ხმალი?!
– მე ვთეს სიკეთეს კიდითი კლდე
მზეა თუ ნისლი, დღეა თუ ღამე,
მე თუ არ შვქმნი, შენ რას დაანგრევ?
მითხარ, ბოროტო, პასუხი გამეც!..

დედუფალს მზეი ჰმოსიეს

დედუფალს მზეი ჰმოსიეს
დამბრმავებელი ყველა მტრის...
რაც ზეცად ანგელოზია –
იმის დიდებას შენატრის...
ვინ მოწესეთა წესია,
ელვათამკრთომ სხივოსანი,
ყოველთა უმეტესია,
იგი, ღვთივგვირგვინოსანი,
მაღლით ეტყვიან ოსანას
ცათა მეუფის დედასა,
სამოთხით – ტკბილსაყნოსარით,
ვინ სულთ ანიჭებს ხედვასა.
იგია ჩვენი მფარველი
და მტრობას ვინღა ბედავსა,
ცით მოსცემს ძალას ქართველსა
ამირანს რკინის მკვნეტავსა.

გაგითენდება... ბნელეთი
სულს ღაფავს... შუქმა იძალა...
ერს აღარ მიეძინება
აწ ერთხელ გაეღვიძა რა.
შენი ჭირიმე, მამულო,
ტკბილ-სალოცავი რამ ხარო,
სასუფეველად გვამაღლებ
თუ შენთვის სიცოცხლეზე მეტი ხარ,
ხატო, ძველო და ახალო,
უფრო ტკბილი და ლამაზი,
სხვამ ვიღამ რაღა გვახაროს?
ვერც ვერაფერმა შეგვცვალოს,
ვერც ვერაფერმა დაგხარსო,
შენი ჭირიმე, მამულო,
უფლის მარჯვენით დგახარო.



მამა ამირან ამირანაშვილი

მარტოობა

ცრემლით გავცქერი იდუმალ სივრცეს,
დადუმებულა მთელი სამყარო,
დრო ულმობელად მიაპობს ღამეს,
მე კი ფარ-ხმალი არ მსურს დავყარო.

ძველი ხეები მინაბულ სუნთქვით
ელოდებიან ნანატრ გაზაფხულს,
კვირტები ძარღვში იკრებენ ძალას
და გამოხეთქენ ტოტებს დაზაფრულს.

ერთია მზე და მიწა ქართული,
კლდეს ვერ დაიპყრობ სალი გვერდიდან,
აღმოსავლეთით შევხარით მნათობს,
ის არ ამოდის დასავლეთიდან.

აქ სიხარულის დალპა მარცვალი,
ყალბი ჯირითი ველარ მახარებს.
მიჯობს შინისკენ გავწიო მალე,
გადავეფარო ჩემს წყვილ ბახალებს.

იქნებ მოაკლდათ მამური სითბო?!
ან მშობლიური განწყობა ჩემი,
ვაითუ სცივათ უსუსურ ბარტყებს,
მიხმობს კერია, აქ ვერ დავრჩები.

ასეთი მხოლოდ ზღაპარში ხდება,
დაგფასებოდეს ამაგი ერში,
უფრო იმისთვის გაგიმეტებენ,
რომ დაგატეხონ სეტყვა და თქეში.

ღმერთო, ნუ დასჯი უგნურთა ამათ,
არ კი იციან თვისნი ცოდვანი,
მაინც ამრავლე ერი ივერთა,
რადგან ისედაც გყავართ ცოტანი.

წმიდაო ღმერთო, ვიცი ყოველსა,
წარმართავ ისე, როგორც შენ გინდა,
გამხადე ღირსი შენი კელაპტართან
დავანთო ჩემი სანთელი წმიდა.

***

საქართველოს მთა-ბარი
სისხლში განბანილია,
გაგვიზარდა თამარი,
შოთა, ვაჟა, ილია.
მყინვარიდან შავ ზღვამდე
მხარგაშლილო სოფელო,
მკერდზე ჯვარი ატარე
წმიდანების მშობელო.
ჯვარის მადლი გვიხსნიდა,
ცით გვაკურთხებს უფალი,
მსურს, ილიას ქვეყანა
ვნახო თავისუფალი.
ახლა გვინდა ილიას
სიბრძნე, გონიერება,
უფალმა თუ ინება,
ვერავინ მოგერევა.
ერთხელ ქართველმაც იგრძნოს
თავისუფლების ყადრი,
ერთად, ერო და ბერო,
ღმერთო, მოგვფინე მადლი!

1988წ. 14.XII

მოლოდინი

საოცარია, მე და პარიზი...
პატრიარქები მილოცავენ გზას,
ასეთი რამე საქართველოდან
არ განუცდია, ალბათ, ბევრ მოძღვარს.
ჩემი სამშობლოს კათალიკოსმა
გამომაცილა კონსტანტინეპოლს.
მართლმადიდებელთ პირველმა მამამ,
ჩემი დადგომა ბრძანა უფრო შორს...
ამ გზით უვლია უამრავ ქართველს,
პარიზში, ალბათ, მოვხვდები მათთან,
ეს წუთი მჯერა, რომ დაგვაბრუნებს
ჩვენი წარსულის ისტორიასთან.
მეც ისტორიის ნაწილი ვხდები,
თუ ქართველებმა მიმიღეს შვილად,
მე არ დავაკლებ ჩემ გულწრფელობას
და ღვთის წინაშე ვილოცებ თბილად.
რადგან ღმერთია დღეს ჩვენი მხსნელი,
მხოლოდ მას ძალუძს გადაგვარჩინოს.
შევფიცოთ უფალს ერის სახელით,
რომ მოწყალება გამოიჩინოს.
გემუდარებით, ჯიშო ქართველთა,
სისხლის ყივილმა ნუ დაგვაშოროს
ვადიდოთ ერთად უკვდავებისთვის,
მამა ღმერთი და დედა სამშობლო!

3. I. 95 წ.

ლოცვა

ვიცი, უფალი მე არ გამწირავს,
მაგრამ არ ვიცი, მივყავარ საით.
მართლმადიდებელთ მსოფლიო ცენტრში
ვლოცულობ მუდამ დღისით და ღამით.
უპირველესად ქრისტეს ვადიდებ,
ღვთისმშობელს შევთხოვ მტერთა დაძლევას,
წმიდა ნიკოლოზს – მსწრაფლ განკურნებას,
წმიდა გიორგის – მომცეს გაძლება.
რომ დაგვიფაროს ყველა ქართველი,
საქართველოში და მის გარეთაც.
ჩვენი საზღვრები კვლავ განამტკიცოს,
არ აგლეჯინოს ვიღაც გარეწარს.
ქრისტეს სახელით ვითომ ძმად მოდის,
ანტიქრისტეა სინამდვილეში.
ვინც ხელს აღმართავს საქართველოზე,
მალე მენახოს მე მისი ლეში.
შინაურთ ნიღაბს ჩამოვახევდი,
აღარც კაცი სწამთ, აღარც უფალი.
შენ დაამშვიდე, ღმერთო, ეს ხალხი,
სამშობლო ვნახო თავისუფალი!
... და როს დარეკენ ტაძრის ზარები,
სვეტიცხოველი მოუხმობს კლარჯეთს.
ყველა ქართველი შევიკრიბებით,
გამოვუსხლტებით ბოროტთა კლანჭებს.
დაიგუგუნებს „მრავალჟამიერ “,
შორით ბანს მისცემს დუდუნა მტკვარი,
ბაირახტრებით გამობრწყინდება
წმიდათა წმიდა სიონის ჯვარი.

28 VI 95 წ.

თანაგრძნობა

დღეს ამატირა ბავშვმა კოლეჯში,
ზანგი ბიჭია პატარა, რვა წლის.
მომვლელმა ხელით შემოიყვანა,
რაღაც ყვირილით სალათას აწვდის.
ბავშვმაც შესძახა, არ იღებს ლუკმას,
მტკიცედ, კაცურად დახარა თავი,
პრინციპისათვის დარჩა მშიერი,
სკამზე დასკუპდა ვით ციცქნა თაგვი.
მე უხმოდ თავზე გადვუსვი ხელი,
თვალით ვანიშნე, რომ შეეჭამა,
ის გაოცებით შემომაცქერდა
ალბათ, არცა ჰყავს მშობელი მამა.
მისმა სიმტკიცემ და გაოცებამ
შემძრა სრულიად, გადმომსკდა ცრემლი,
თავს ვიფარავდი, არ შეემჩნიათ,
ჩუმად ვილოცე საკმაოდ ბევრი.
რაღაც შევჭამე, გემო არ მახსოვს,
შემირცხვენია ვახშამი ღამის,
ბავშვი რომ დაწვა მშიერი წუხელ,
დარდისგან გული გამისკდა ლამის.
რა მატირებდა, თვითონ არ ვიცი,
ალბათ, შვილები დამიდგა თვალწინ,
მე, როგორც ვხედავ, მალე ჩამოვალ,
არსად არ წავალ უთქვენოდ აწი.

6.01.95 პარიზის კოლეჯი

თამუნია

როგორ მიყვარხარ, ჩემო თამუნა,
მე უშენობას ველარ ავიტან,
ან ჩამოგიყვანთ ყველას პარიზში,
ახალ ცხოვრებას ვიწყებთ თავიდან.
ანდა ისევ მე დაგიბრუნდებით,
ამდენი ცრემლით თავი ამტკივდა,
თუ არ გიცქირეთ ჩემს სიცოცხლეში,
მე უცხოეთი რა ოხრად მინდა.
მე ეიფელი, ანდა მონმარტრი
თქვენთან მომგვრიდა დადებით გრძნობას,
მარტოობაში ეს უცხო ხალხი
მეფიცებიან დობას და ძმობას.
ჩემი ოჯახი თავს მირჩევნია -
ჩემი თამუნა,თეა და გიგა,
მთელი ევროპა მთლად რომ მაჩუქონ,
მათ სიყვარულით ახლოს ვერ მივა.
თქვენ გენაცვალოთ თქვენი მამიკო,
რას ვეხეტები, თვითონ არ ვიცი,
მთელს ქვეყანაზე იცოდეთ, თამუ,
თქვენს გარდა არვინ მყავს დასაფიცი.
5.01.1995 პირველი დღე, პარიზი

ჯგუფი ხლვარი

სერგი ლომაძე

ვრავინ, ვრაფერი

მზე არის, ახლა, ღრუბელთა ქარვა,
და პოეტური აქვს მნათობს ფრთები;
ვფიქრობ: ღმერთი ვარ, რადგანაც არ ვარ:
თუ არ ვარ, ამით უფრო ვმაღლდები.
მარადწამებამ შემქმნა მე მითად,
და უბედობამ მიბოძა ბედი,
ეს გული არის დაჭრილი სიტყვა,
ამიტომ მე ვარ ყველაზე მეტი.
გადავიწყების სიხარულს ვნატრობ,
ტრიუმფატორის არ მხიბლავს როლი,
და ვარ ყველაზე, ყველაზე მარტო,
და მიხარია, რომ არც ვარ მგონი...

ვოეზია

ზედაზნის ცაზე ვარსკვლავი ენთო,
ასურელ ბერის თეთრი ვარსკვლავი,
და მე გეძებდი, გეძებდი ღმერთო!..
ზედაზნის ცაზე ვარსკვლავი ენთო,
ქართველი ბერის თეთრი ვარსკვლავი.

გზა იყო შორი, გზა იწვა მთებზე,
ცა იწვა მთებზე, მარად გზასავით,
და ანათებდა ამ ცას, მელნისფერს,
ის საოცარი თეთრი ვარსკვლავი.
ღამე მკრთალი და ნათელი იყო,
დიდ, გამჭვირვალე ქიმერასავით.

დაქსელილიყო სხივებით ღამე,
მე მივყვებოდი ვარსკვლავთა ქსელებს,
და როგორც თეთრი ლევიათანი,
მთვარეც გამოჩნდა მერე და მერე,
მე ვნახე მთვარე, წარმართთაგანი,
რომ მოექცია მონასტრის ფერებს.

ზედაზნის ცაზე ვარსკვლავი ენთო,
ასურელ ქრისტეს თეთრი ვარსკკვლავი,
და მე გეძახხდი, გეძახდი ღმერთო!..
ზედაზნის ცაზე ვარსკვლავი ენთო,
ქართველი ქრისტეს თეთრი ვარსვლავი.

კახა ბაციკაძე

სივრცეთა სული

ისევ მეძახის სივრცეთა სული, –
მე ხომ ვერაფრით ვერ შევიცვალე.
მწამს მომავალი როგორც წარსული,
როგორც სიცოცხლე –
გარდაცვლილ თვალებს.
ჩემი გრნობაა, გზას რომ მინათებს,
სხვა არსებობა მე ვერ ვიწამე,
როგორც წვიმის წვეთს
ფანჯრის მინაზე,
ისე არა მწამს ახლა მიწა მე.
შეშლის დღეებში ქარი კვდებოდა
და იოკებდა სიკვდილის სურვილს,
მე ეს სამყარო მავიწყდებოდა,
შორს მეძახოდა სივრცეთა სული!..

ფიქრთა მწვერვალი

მოდი დავლეწოთ ზეცის კარიბჭე
და ნუ დავრჩებით
მხოლოდ ამ დედამიწის ამარა,
დავიპყროთ ცა, ცის გული,
ვუთხრათ ღმერთებს, რომ
ჩვენც შეგვიძლია ვიყოთ ღმერთები,
ჩვენც შეგვიძლია
ერთმანეთის თვალებში ვიხილოთ
საოცრების ნათება,
შეგვიძლია გვიყვარდეს უსასრულოდ, სიგიჟემდე,
შეგვიძლია თავგანწირვა, სიკვდილი დაუფიქრებლად,
ან თუნდაც – მთებზე ასვლა და
მზის სისხლის დალევა მწვერვალთა ყანწიდან!..
გრნობათა ჩანჩქერები ჩამოდიან სულიდან.
ჩვენ აღარა ვართ ადამიანები
(მხოლოდ ადამიანები),
ჩვენ ვართ ღმერთები,
და ვითხოვთ ზეცას – გააღეთ ზეცა!..
დიდი ხანია სულის ყინულოვან გამოქვაბულებში
მხოლოდ პოეზიის ცეცხლი ანთია,
და იქვე ერთი პატარა, ლურჯი ყვავილი ცოცხლობს.
ცეცხლი და ყვავილი მეგობრობენ, –
ცეცხლი და ლურჯი ყვავილი.
ხოლო საუკუნეები იფერეფლება
გრძნობის კოცონზე.
ფერადი წერტილების მაგიაში
იფანტება მზერა...
და ვეუბნები გრანელის სულს
ჩემსა და შენს შესახებ:
„ჩვენ ვართ ყველგან, როგორც ღმერთი,
როგორც ერთი-ღმერთი;
ასრულდება, გენიოსო,
პოეტურ ადამიანთა განღმერთების
შენეული ოცნება!..“

გიორგი ზუხბაია

თოვლი და ლექსები

იელვებს თოვლი, ვით ხელში – დანა,
და არ არსებობს ბედი თუ ზეცა,
ეს გული მოჰგავს ფიფქების ვარდნას,
როდესაც თოვლი მოდის უეცრად.
არასდროსს მსურდა სევდის დაძლევა,
და ჰაერს ფარავს თოვლის სინაზე,
და ვცხოვრობ, როგორც გამჭვირვალება
ცოხვრობს გატეხილ ფანჯრის მინაზე.
ვარდება თოვლი, გზაა რომელი?..
სივრცეს უთვალავ ფიფქად ვესევი...
ჩემთვის სულერთი არის ყოველი, –
სამყაროვ, გესმის?! – გარდა ლექსების!..
იელვებს თოვლი, ვით ხელში დანა...

ქალაქი _ ღვინო

მოვალ ზეცასთან და ზეცა მიცნობს.
ახლა ქალაქსი არავინ არის.
და ეს ქალაქი არის ვით ღვინო,
სივრცის გამჭვირვალ ჭიქაში მდგარი.
მე ტანსაცმელი მექცევა ფიქრად,
გული – ლექსებად, სახე – სიმღერად...
ცოტაც და – სივრცის მჭვირვალი ჭიქა
დაყირავდება და დაიღვრება
ჭიქიდან ღვინო, ანუ ქალაქი,
ხეებითა და თავის სახლებით...
და ჩემს მოწყენილ თავის ქალაში
ისევ გაჩნდება გზა ცის მსახველი...
მოვალ ზეცასთან და ზეცა მიცნობს.
ახლა ქალაქში არავინ არის.
და ეს ქალაქი არის ვით ღვინო,
სივრცის გამჭვირვალ ჭიქაში მდგარი.

მარტოობის განღმერთება

ტკივილს მარადის ფიქრი,
მოლოდინისგან გრძნნობა გამუქდა.
ვიჯექი ზღვასთან და საუბრობდა
ცისფერი შუქი იისფერ შუქთან.
საკუთარ თავთან ვიგრძენი მტრობა.
გულს ოცნებებმა დიდხანს სდიესო.
ვიდექი ზღვასთან, და მარტოობა
ვიდოდა წყალზე, როგორც იესო...

მანანა ჩიტიშვილი

გმადლობთ მეუფევ

გშვენით მამაულზე ფიქრით ზეობა,
მტირალ სულს შვების კალთას აფარებთ,
გმადლობთ, მეუფევ, ჯვარცმულ ხეობას
ქრისტეს აღდგომა რომ მიახარეთ.
თვალებზე ცრემლის მწარე აკიდო,
ბაგე რა ხნიდან ღიმმა დატოვა,
ჩვენგან დათმობილ სახლს და სამკვიდროს
თქვენ გამოუჩნდით მწვედ და პატრონად.
ქმნის ძველ ციხეებს გრიგალი თოფავს
და ცივი წვიმა იგლოვს ამ გორებს,
მეუფევ, ქსანზე დღე თქვენი ყოფნა
ყარაყორუმში ყოფნას მაგონებს.
ქარი, თითქოსდა ქვრივი ვინმეა,
ცივ საფლავებთან იმგვარად ოხრავს,
ჯაჭვის პერანგზე უფრო მძიმეა
თქვენი უბრალო ხერული ჩოხა.
სულს თქვენსას ვერამ დაატყო ბზარი,
უფლის თვალივით დაგყურებს ზეცა,
დიდო მეუფევ, ეგ წმინდა ჯვარი
მამულის დამცველ მახვილად გექცათ.
ყრუ ნასოფლარებს სიბნელე დამზერს,
მზეც კი ვერ ათბობს სხივით ამოთი,
მგონია, ყველა ყვავილი ქსანზე
ღვთისმშობლის მბრწყინავ ცრემლზე ამოდის.
გშვენით მამულზე ფიქრით ზეობა,
მტირალ სულს შვების კალთას აფარებთ,
გმადლობთ, მეუფევ, ჯვარცმულ ხეობას
ქრისტეს აღდგომა რომ მიახარეთ.



დავით თედორაძე

* * *

პეპელა უფრო დიდხანს ძლებს,
ვიდრე ბათუმში თოვლი,
და მაინც,
მაინც
მიყვარს მზე —
უპირველესად ყოვლის.

მომწონს ქარების წივილი,
წვიმაც,
სეტყვაც და
ბარდნაც...
და მაინც, დიდი ტკივილით
დამამხო მზეზე დარდმა.

მზეო,
ამოდი,
გაბრწყინდი,
გამათბე,
გამალაღე!..
ბაღში ვდგავარ და
დარდს ვყიდი,
მყიდველი დამანახე.

* * *

მოსაწყენი გახდა ბონი,
დამავიწყდა ვენაც მალე,
მენატრები უკვე, მგონი,
საქართველოვ, გენაცვალე!
საქართველოვ, გენაცვალე!

შენს წალკოტში ტანჯვა მიჯობს
ამ ევროპულ რია-რიას,
თუმცა ხშირად დედინაცვლობ,
მაინც,
მაინც დედა გქვია.

დედა გქვია!

მელაპარაკე ქართულად

არ არსებულა,
არ თქმულა,
ზღვა ამოევსოს მდინარეს,
მელაპარაკე ქართულად, —
გუმბათი ეტყვის მინარეთს.

მელაპარაკე ქართულად,
წყალში მდგომს წყალი მწყურია,
ვერ ვეგუები ამ სურათს,
ენა სამშობლოს გულია.

ამ ენის სათავეებთან
უფლის სურვილი ჩათქმულა...
ქედს ნუ მოვიდრეკთ დევებთან,
მელაპარაკე ქართულად!

სანთლის შუქი

ვაზი სულში გადავმალე,
ჯვარი — ჩუქურთმებში,
ვერ ჩამიქრეს წმინდა ხატთან
სანთლის შუქი მთებში.

ვერ ჩამიქრეს —
კლდე გამიხრავს ჯავრისაგან კბილით,
იავნანა მშველოდა და
დედის კალთის ჩრდილი.

შევინახე ხანძთის განძი,
ტაოს დარდი მწველი,
მეწყერივით მოვარდნილი
მიჩეხია მტერი.

კლარჯეთს ცრემლი არ გაუშრა,
ბევრჯერ მომატირა —
აღსრულდესო დედის ნატვრა, —
შესაწირავს სწირავს.

ვეფერები აჭარისწყლის
ხეობას და სივრცეს,
აქ არტანუჯს გავიხსენებ,
სულს იმერხევს მივცემ.

ვაზი სულში გადავმალე,
ჯვარი — ჩუქურთმებში,
ვერ ჩამიქრეს წმინდა ხატთან
სანთლის შუქი მთებში.

დავითმა წარვლო ჭოროხი

დავითმა ხუფთით წარვლო
ჭოროხი და უგრძნეულოდ
დაეცა თურქთა.
„ქართლის ცხოვრება“

როცა სული მთხოვს
ტყეს და მდინარეს,
როცა ქალაქში ვერ ვძლებ,
მოვინახულებ პირმომცინარეს —
ჩემს უძვირფასეს ერგეს.

დავითმა წარვლო ჭოროხი,
თურქს დაეცა და
თბილისს
მიბრუნდა გამარჯვებული,
როგორც ვარსკვლავი დილის.

აქ, ჩემს სოფელში,
ღმერთის ტოლს —
მეფე-ბრძენს აუვლია,
ჭოროხი რიდით დამშრალა,
სხვა წყლებსაც დაუკლია,
ტყეს მოდებული ხანძარი
შებერვით ჩაუქრია,
სოფლის ამბავი უკითხავს,
ტაძარი აუგია,
ყმებთან წირვაზე დამდგარა,
სანთელი აუნთია.

ამ ზამთარს ჩემთან იქნება დედა

ამ ზამთარს ჩემთან იქნება დედა
მე კი,
როგორც მზეს,
თვალნათლივ ვხედავ —
ჩემთან ივლიან ჩემი და-ძმები.

ამ ზამთარს ჩემთან იქნება დედა
და ეს ზამთარი იქნება თბილი,
ვივაზირებთ და ვიმუსაიფებთ
საღამოობით დედა და შვილი.

ამ ზამთარს ჩემთან იქნება დედა,
ჩემი და-ძმების შუქით გამთბარი,
მე კი,
როგორც მზეს,
თვალნათლივ ვხედავ —
მიახლოვდება ტკბილი ზამთარი.

სველი ზღარბები

გამთენიისას ამიტირა წვიმამ პალმები,
დალახვროს ღმერთმა,
არ მინდოდა წვიმა სრულებით...
მიბაჯბაჯებენ ბინებისკენ სველი ზღარბები —
ძილგატეხილი,
უწყინარი ღამის მდგმურები.

მე საით,
ვისკენ?!
რომელ ქუჩას უნდა დავადგე,
ვის დავუტოვო სანაპირო ბაღის სიმშვიდე...
არ გამოვიდა,
ჩემებურად ვერ ვითამადე,
ქეიფი ჩაქრა,
ვიდრე გულებს გადამიშლიდნენ.

ელვა ანათებს გაღმა სერებს,
ექვსი დაიწყო,
სძინავს ქალაქს და ჩაძირულა ნისლში ზღვისპირი,
მოვალ და გეტყვი —
ისევ დავთვერ,
ვითომ რა იყო,
დავთვერ და ყრმობას,
ჩვენს სიყვარულს ისევ მივტირი...

არ გამოვიდა კაი საქმე ღვინის გარეშე!
ქართული ღვინო —
მის დამწურავს ვენაცვალები,
ცხრამეტი კაცის სიყვარული მოვითარეშე,
ავები არა, —
გულკეთილი მიყვარს მთვრალები...

რაღა ამაღამ ამიტირა წვიმამ პალმები,
დალახვროს ღმერთმა,
არ მინდოდა წვიმა სრულებით,
მოვდივარ შენთან,
საყვარელო,
სველი ზღარბივით, —
ამავსე ცრემლით,
უძილობით,
საყვედურებით.

დათო ყანდაშვილი

Видение реальности в илюзии

Глаза не раз вводили в блуд меня,
Неоднократно зависть пробуждали,
Не раз к чему-то страстно прилипали,
А получив, охоту в том теряли.
Глаза хотели видеть красоту
И Красотою этой любоваться,
Ну а когда порой надоедала,
В тот миг хотели чем-то оскорбить.
Но ведь глаза и к святости стремились
От темноты и мрака уходили,
Свет видели, все время свет искали
и даже в снах видением занимались.
Хочу глаза чтоб виделиб любовь
И никогда того не забывали
И то что видят вечно понимали,
Что это есть, чем надо дорожить.
Глаза должны быть свечками души,
На всем телесном, выявленном фоне
И понимать должны что все, что в взоре,
Душою набранные глупые мечты.
Вредней всего мечтать за счет любви,
За счет добра и ослушаня Бога,
Когда начнешь осуществлять их в жизни,
То уже поздно поднимать тревогу.
Я глаз своих взываю к пониманию,
Глаза мои служить стремитесь Богу,
А он взамен себя покажет вам,
Поставит вас на нужную дорогу.

* * *

В этих стихах есть мудрость о терпении,
О правильном и нужном себя переменении,
О чистой предонности к Богу возвращении
И о святом и истинном служении.

ქალური თრთობა

როცა შიშველი იწვები ჩემთან
და ნეტარებით გაინაბები,
შეიგრძნობ შურით როგორ ივსება
გულები ირგვლივ მყოფი ქალების.
ძუძუსთავებით ნაზად მოკრული,
ზღაპრულ ბურანში მილულავ თვალებს,
მთელი სხეულის ყველა წერტილით
ჩემგან შეიგრძნობ სითბოს და ალერსს.
თვით შენს საშოსაც გაუკვირდება
ველურ ჟინს რომ არ გავეკიდები,
კი არ ვეცემი, მოვეფერები,
შევალ და სულ მთლად გამიგიჟდები.
შენს სხეულს კი არ გავსრისავ მძლავრად,
ჩემს სხეულს მოგცემ, გეტყვი შენია,
დასაკუთრებას კი არ დავიწყებ
იმის, რაც თავის ნებით ჩემია.
მაშინ ცნებები ჩემი და შენი
ერთურთში სრულად გადაირევა,
გავხდებით ორნი ნაწილი ერთის,
დასაკუთრება სრულ აბსურდად გამოჩინდება.
ვერ მომცილდები, გადაშლი ფეხებს,
შემიპატიჟებ შენს სამყაროში,
შემომერტყმები როგორც მარწუხი
დაგეკარგება აზრი თვალებში.
და აფეთქდება ჩვენი სულები,
შეუერთდება ერთმანეთს ლტოლვა,
დაღლილობისგან გათანგულები
ვიქნებით როცა რიჟრაჟი მოვა.

Что есть соблазн

Слабее всех на свете тот,
Кто за соблазны продает
Того, чему он верил в глубь
И вере изменил за труп.
Труп это тело без души,
Труп, это есть души одежда.
Когда одежда интерес вершит,
То гаснет исцелении надежда.
В чем состоит соблазны суть:
Когда к еде стремятся слепо,
Не жажда или голод движет,
А наслождение чем-то чрева.
Когда хотят преобрести
Все безконечно и без краю,
Хотя уже не понимают,
В чем собственность употребить.
Когда хотят иметь влияние
На тех, кто с виду схожи с ними,
Не зная что-то морщют лица,
Закон и влать хотят чтоб были.
Когда достигнут мельком очищения,
Ну а потом хотят чтоб их хвалили,
Их слушались во всем,
на них молились,
Сами ж теряют дар понять других.

Испытание

Хочу ли я, могу ли я,
Соблазны мира одалеть.
Постичь души своей ошибок
И целиком уразуметь.
Хочу иль не хочу, могу иль нет,
Все это настоящий бред,
Пока все это не дайдет до сердца
И не вернется в мозг духовным средством.
Все восхищения чем-то от того,
Что возмущение чем-то я носил,
Одно лишь ощущение блазенство
Имеет смысл хотеть от воли сил.
Очерование относительно к тому,
В чем некто где-то разочеровался,
Когда-то кто-то лживо, но ведь клялся
Кто меньше лжет окажется он мил.

Вот так проходит жизнь в телесном мире
И им завидуют все мертвецы в магиле,
Себя познать никто уже не в силах,
Соблазны мира есть для них светило.
Как матыльки стремятся к свету «лампы»,
А думают до солнца долитают,
Кто видел «лампу» другим мозг «промывают»,
Что посланы они помочь таким.
Когда свои законы издадут
И утвердят, что солнце это «лампа»,
Тогда погаснет якобы светило
Разоблачат заблудших всех во лжи.
Тогда соблазны мира все умрут
И вознесутся те кто правдой жили
Им всем воздастся почести за то,
Что зло не смог себе их услужить.

სასოებიდან სიყვარულამდე

სუფთა, სპეტაკი სასოებიდან,
ვიწრო ბილიკით უნდა იარო
უხილავ ნიშნებს უნდა მიუხვდე,
ნამდვილ სიყვარულ რომ ეზიარო.

სივყარულამდე ხმლით ვერ მიაღწევ
და ვერც ვიღაცის ბრმა დახმარებით,
იქ მაშინ მიხვალ, გულს რომ განიწმენდ
და შესძლებ ხედვას წმიდა თვალებით.

თუ სიყვარულის ცნებას ვერ ხვდები
იმას უწოდებ, რაც შენ მოგინდა,
ეგოიზმის მსახური და მონა გახდები,
ნამდვილ სიყვარულს ვერასოდეს ეს ვერ მოგიტანს.

სასოებიდან სიყვარულამდე მისვლისთვის
დიდი ძალა გჭირდება,
ბევრ გამოსაცდელს შეგყრის განგება და
თან თავადვე გვერდში იდგება.
იქამდე ვიდრე სასოწარკვეთის ზღვარი შენს შიგნით
არ დაგიდგება,
მაშინ გაკმარებს ყველა პრობლემას და
შენი შრომის საზღაური მოგენიჭება.

და თუ მიაღწევ სასოებიდან სიყვარულამდე
ამ მომენტიდან სულ მთლად ახალი ათვლა იწყება,
ბედნიერება, ნეტარება, თავისუფლება და უკვდავება
შენს ცხოვრებაში უწვყეტად და სრულად იქნება.

დავით ახლოური

ციკლიდან „მომენატრა ახალგორი"

ვერ ვეგუები,
ველარ ვიტან
უკვე ამ ურდოს,
მათ მბრძანებლობას
ხანგრძლივსა თუ
მოკლევადიანს...

ისეთი რამე გავაკეთო,
მინდა მამულო,
სხვას კი არა და,
გაუკვირდეს
ცოტნე დადიანს!

ქსნის ხეობას

ველარ ვიშუშებ ჩემი წყალ-ჭალის ნატყვიარს,
მინდა დავბრუნდე,
მაგრამ გზა ჯერაც არ ჩანს...
იქ დედაჩემის ნაფეხურები ატყვია,
იქ საფლავების ცივი ლოდინი დარჩა.

ვფურცლავ დღიურებს – ატირებულებს
ბალღივით, ისევ ვინახავ
ქსანზე მოწყვეტილ ყვავილს...
დავეხეტები ხიზნის მანტიით დაღლილი
და მონატრება გულში ხარივით ბღავის!

* * *

ჩემი გზა-ბილიკი დარდია და,
ასჯერ გაცვეთილი სინანული,
როგორ წაგვიხდა და გატიალდა,
მტერს რომ შევატოვეთ – ი მამული...

აღარც ქარჩოხისკენ გავიხედეთ,
ველარც მოვიკითხეთ ძმა-მოყვრები.
გული მიეცემათ ა იმ ქედებს,
შენ თუ ახალგორში წამომყვები...

* * *

ეს მერამდენე დაზამთრება იქნება ცივი,
ეს მერამდენე დაღამება – აუტანელი.
უნდა ვუსმინო გამყიდველთა უაზრო ჩივილს,
უნდა ვიწამო სიყვარული – გაუხარელი.
მთელი ცხოვრება ეცდებიან დამმართონ ბნედა,
მეც დიდხანს ვითმენ – მინდობილი უფალს და იღბალს.
ერთხელაც, ალბათ, ყველას ერთად ვუხსენებ დედას
და სამუდამოდ ჩამოვიხსნი „ჭკვიანის" ნიღაბს...
უკვე დამღალა ამ უაზრო „მოთმენის ნიჭმა",
პირში ქებამ და ზურგს უკან კი გველის ფაფხურმა.
ყველა ახვარმა, ყველა კახპამ და ხელის ბიჭმა
ერთად სცადეს და ჩემთვის აღარ გაიზაფხულა.
ეს მერამდენე დეკემბერი მიყინავს ხელებს,
ეს მერამდენედ ჩამისაფრდა სულით საპყარი...
რა გადამარჩენს, ახლა შენ თუ არ მოგეფერე,
შენს სიყვარულში თუ არ ვპოვე თავშესაფარი...

* * *

ცხოვრებისაგან ათასჯერ ნაცემს
შენი სიშორე უფრო მაწამებს.
აღარ მოვყვები რამდენჯერ გამცეს
თუ შენს მოკვეცილ დალალ-ნაწნავებს
ჩამაყოლებენ საფლავში მერე,
როგორც ფშავლების ადათ-წესია...
ალბათ ერთხელაც ვერ შემიფერებს
სადაც დამმარხავთ, ის ეკლესია.

* * *

ქალი უნდა იყოს ვნებიანი,
ცოლიც,
საყვარელიც,
მეგობარიც...
კაცი თუ დიაცის მეფე არი,
ქალი კაცისაა დედოფალი.
კაცი მტკიცე მწამს და ვაჟკაცური,
მტრისთვის ნაცნობი და
ასჯერ უცხოც...
ხმალი უნდა იყოს აბასრული,
ქალი აქალოს და აკეკლუცოს,
პაპის შეუნახოს შვილებს ოდა,
კარი არ დაუთმოს იმ ძველ ბოქლომს...
კაცმა ქალით უნდა იმეფოს და
ქალმა კაცით უნდა იდედოფლოს!..

მაცხოვრის ფრესკასთან

ვინ იცის წინ კიდევ რამდენი ფიქრია,
რამდენი დარდია, რამდენი ტკივილი...
სადაც აღმართია, დაღმართიც იქვეა,
ცრემლმა წამიშალა ამ დილით ღიმილი.

ვემხობი... უფალთან შეხვედრა მწადია,
არ ვიცი, ტაძრის გზით ბოლომდე ვინ ივლის...
მაცხოვრის ფრესკასთან ამ დილაადრიან
რატომღაც ბავშვივით მომინდა ტირილი...

ბროწეულები

მწიფობის თვეს იფერებდა ბროწეული,
სამოსელი ვერ იტევდა მკერდს...
მთვარე მყავდა შუამავლად მოწვეული,
მზის ტრფიალი მე მიქებდა ბედს.
მწვერვალზე რომ ამღვრეული ნისლი იწვა,
როგორ ჰგავდა ჩემს საყვარელ „ცას"...
ქვეშაგებად არ გვყოფნიდა დედამიწა
და საბნადაც ვერ გვწვდებოდა ცა.
ცახცახებდა ქალი, როგორც ჯეირანი,
მავედრებდა ათრთოლებულ გულს...
არ ივიწყებს ჩემი სახლის ხეივანი
ასჯერ ნათქვამს: „მეყვარები სულ"...
ღამე იყო შეშლილი და მოწეული,
უსირცხვილოდ იღეღავდა მკერდს
და მწიფობა შეპარული ბროწეული
ქალწულობას აგონებდა მდედრს...

* * *

ხანდახან ისე თბილია მიწა,
ხანდახან ისე ცხელია გული,
მოგენატრება იმ წუთს და იმ წამს
მიენდო ფიქრს და მიეცე სურვილს
და ის სამყარო აჩუქო დიაცს,
რომელიც შენი არასდროს იყო,
გაექცე ყველა ჭორსა და გნიასს,
ჯოჯოხეთიდან შორს გაირიყო
იქ, სადაც მეტი ჯოჯოხეთია
და მხოლოდ შენთვის ჰქვია სამოთხე...
იქნებ ყოფნაზე უფრო მეტია
მის სიყვარულში სული ამოგხდეს,
ვისაც შენს გამო შეაცდენს გველი,
ვინც შენთვის შვეს და სხვაგან გათენდა...
შენ ადამი ხარ და სადღაც გელის
მკათათვის ცხელი ამონათება...
გიყვარს... მის იქით ვერაფერს ხედავ...
გათბობს... ნებდები ფიქრსა და სურვილს...
ზოგჯერ ღმერთივით მშვიდია მზე და
ზოგჯერ მზესავით თბილია გული...

* * *

თუ უყვარხარ და რჩეულს გიწოდებს,
თუ გაგაღმერთებს ქალი მხოლოდ შენ,
უნდა გიყვარდეს როგორც სიცოცხლე,
უნდა იბრძოლო მისთვის ბოლომდე...

თუ გიყვარს უნდა მიენდო სურვილს,
ნუღარ დამალავ მთრთოლვარე თითებს...
რა პატარაა ხანდახან გული
და როცა გიყვარს, სამყაროს იტევს!..

* * *

ასე მგონია
შევცვალე ბედი,
ვცხოვრობდი
სადღაც
ღრუბლების ზემოთ,
თუ რამე ვთქვი და
თუ რამეს ვწერდი,
ისევ შენი ხმით,
უფალო ჩემო.

არ დამიკარგავს
იმედი ხვალის,
არცა ვყოფილვარ
სხვისი
საშველი,
მხოლოდ ბალახის
მიმყვება ვალი
ჩემს სამარეზე
ამოსასვლელის!



ნაირა უგულავა

ეპოქა

გალაქტიონ ტაბიძის „გრიგალის“ გამო

დუღდა საუკუნე ზღვა და გაორება,
გლეჯდა ჩამწყდარ სიმებს ქარი და გოდება,
ნავი ქანაობდა გრიგალთ დანებებით,
იდგა გოლიათი ლურჯი ზმანებებით.
ნაცნობი ხმაური ველური ყიჟინით,
გზები სისხლიანი – ეკლით და კივილით;
ჩამკვდარ ოცნებათა სივრცის დამონება
ახშობს გენიოსის ფაქიზ აზროვნებას.
ფრთები? – დემონური, შავი, უსახური,
ლაჟვარდს რომ ედება ფერით ჩაკირული,
აზრში გაყინული ხავსთა დატბორება,
გამჭკნარ ყვავილების ქვათა დამონება.
კარი დახშულია, ხმაურობს გრიგალი,
ტახტის ნამსხვრევებზე მძვინვარებს მირკალი,
სადაც ქანდაკებებს ფიქრი ეკრძალებათ,
ლანდები ტრიბუნებზე ერთმანეთს ენაცვლება.
ასეთი საუკუნე მიჯნათა კუნძულია,
გონება ვეღარ სწვდება, გონება უძლურია...
ვიღაცა კოცონზე სიცოცხლეს ამთავრებს,
უგნურთა ბრბოები ყრილობებს მართავენ.
მზე დაკორტნილი, სისხლისფერი – სხვაგვარად ღვივის,
ოკეანეებს მოსდებია სილურჯის შიში,
ცეცხლის ნაზავზე ანთებული გრიგალი იწვის,
ჩუმად ხმაურობს პოეზია და ღაღადისი...
დგას ხომალდებთან – დაწეწილი ამაოება,
ზღვა კვლავ იბრუნებს დანაპირებ განმარტოებას,
სული დახშული სარკმელიდან ცად იმზირება,
დახავსებული მორევები კვლავ იწმინდება.
ბედის მშვილდებმა ქარიშხლებით რაც იავქარეს,
დრო, სიავესთან წილნაყარი, კვლავ იავარქმნეს,
ჰორიზონტები – გალურსმული თეთრ იალქანზე, –
თუ დაუბრუნებს ჩვენს ცხოვრებას აზრს, სიამაყეს...

ათას წლის შემდეგ

ერთხელ, ზმანებამ
საკვირველი რამ დამანახა,
ათას წლის შემდეგ
ჩემს ქალაქზე გადამატარა;
დრომ, ბუნდოვანმა,
ბარიერი ისე აღმართა,
მე ვერ ვიცანი
ჩემი სახლი – ჩემი ფანჯარა;
ვერ დავინახე
გაღებული ერთი დარაბაც –
და დავყურებდი
უხმო ქალაქს, ნგრეულს – არარას...
გაქვავებულმა,
ხორკლიანმა, უწყლოდ გამშრალმა
მიწამ და მდელომ
უიმედოდ შემომღაღადა...
მაშინ რომ, თვალმა
გამომშრალმა ცრემლი დაღვარა,
მაშინ რომ, სევდამ
ნამუსრევმა სული დაღარა,
მაშინ რომ, გული
საუკუნო განცდამ დალახვრა,
რაც მიკარნახა,
შთამაგონა სიმმა ჩამწყდარმა,
ვთქვი: ეს ქუჩები,
ეს ქალაქი ჩემსას არა ჰგავს...
სანამ ტკივილი,
უსაძლისო, გულმა ატარა,
სანამ ცრემლებმა,
მადლიანმა, მიწა დანამა,
გადაირბინა,
კიდევ ერთხელ, წელმა ათასმა –
მიძინებულმა
გაიღვიძა მწვანე საფარმა, –
ვთქვი: მე დავბრუნდი!..
დაუბრუნდა მიწას სიცოცხლე
და დავიჩოქე
თავდახრილმა თოთო ბალახთან...

მან ანგელოზი იხილა ჩემი

მომიახლოვდა მოხუცი ქალი,
სიმპათიური, დარბაისელი;
„რა ლამაზი ხარ“ – წაიბუტბუტა
და ზე აღმართა ორივე ხელი;
მე – გაკვირვებულს და ელდანაცემს
დამცრა, დამჟრჟოლა დამესხა რეტი;
ჰოი, მართლაცდა დიდება ღმერთის -
მან ანგელოზი იხილა ჩემი...

სული ქართველთა

რაც ჭირთათმენა, განსაცდელი გამოიარა,
იყო დიდება – სახელოვან გმირთა – ქართველთა,
დრომ, ქარტეხილმა, რაც სიმდიდრე შემოგვინახა,
ვთქვი თაყვანცემა – დავიჩოქე ყველა ნანგრევთან.
დიდება ქართველს – დამარცხებას ვინც არ დანებდა,
ვინც ლოცულობდა, ცივ ლოდებზე ღამეს ათევდა,
სამართლიანი გამარჯვება ღმერთს შეავედრა, -
იყო ხელმწიფე, დედოფალი ღირსი ქართველთა.
ვინც ფსალმუნები გადმოწერა, გადმოათეთრა,
ევნო, ეწამა, – სამშობლოსთვის ვინც ჩაიფერფლა;
ვინაც ქართული ანბანთქება ამოამღერა,
იყო დიადი და პატივი არ შეიფერა.
მიმოდიოდა ხმელად, ველად, ზღვად – ფეხშიშველა,
წმინდა გრძნობები – სიყვარულით ღმერთს შეაფერა;
ქვეყნიერებას განსაცდელში სული ჩაჰბერა,
წაიღო ტაოს – უდაბნოში ცას შეაკედლა.
სამშობლოსათვის თავდადება ვინც დაისახა,
უხმო წმინდანებს და პირჯვარი გარდაისახა;
ვინც გასაჭირში ძმად გვიგულა და გაისარჯა,
გააპო გული საქართველო შიგ ჩაისახლა.
ვინც საფუძველი განამტკიცა და აღაშენა,
ყარიბობაში წმინდა ძვლები ვინც შეასვენა,
განძთა ქვეყანას ხელი ახლო და მოეფერა,
ვინც მტერი იცნო – მოღალატე და შეაჩვენა.
ჟამი რეკავს და აზანზარებს ცოცხლებსაც, მკვდრებსაც,
უნდა ახსოვდეს ყველა დროში ერსაც და ბერსაც,
მათი დიდება დააკნინოს – არ უშვებს ზენა,
სისხლით ნაწერი სტრიქონები არასდროს ქრება.

დედა

ვერ სჭრიდა ხმალი, მწუხარება და ვერცა წყევლა,
ის იყო გმირი, ყველა დროის გრძნობათა ნება,
ჩამოღვენთილი სხეულისა მალამოდ დენა,
ეს იყო მცველი, ანგელოზი – კერიის დედა.
არის სიცოცხლე, სიყვარული და განახლება,
ომმა, მახვილმა, სისასტიკემ ვერ გადათელა;
ჩვილთა მფარველი, მოალერსე, ფარული ზენა,
ობლის კარებთან გადარგული ალვა და თელა.
“გთხოვ მაპატიო, დამიფარე, მიშველე დედა” ,-
მსხვერპლსაც და მეხრმლეს აღსასრულად ეს აღმოხდება;
თუკი, წარწყმენდად ეს ხელობა არგუნა ღმერთმა -
დედა ჯალათის საცხოვნებლად დაიწყებს ღვენთას.
დრომ ვერ შეცვალა, ვერ შელახა, ვერ გადაფერფლა,
მორწმუნეთა და ურწმუნოთა არს თაყვანცემად;
ხელშეუხები – შეუვალი უბრძენეს ბრძენთა,
განურღვეველი, შეუმცდარი რწმენათა-რწმენა.
რაც უჭკნობია, სათუთია, აროდეს კვდება,
არის სახელი, ერთადერთი – მშობელი დედა.

ვუძღვნი ადამიანებს

მარადიულ სითბოდან
ლღვება ერთი შეგნება,
გზნება უბიწოობის -
სიყვარულის შეგრძნება.
ხელები მაქვს გაწვდილი,
მზეო, თუ მითენდება;
სანამ მზეობ – ანათებ,
ამ გულს ალი ენთება,
გადმოღვარე სიკეთედ -
სიყვარულის შევსება,-
ვუძღვნი ადამიანებს,
ვით უსაზღვრო ფერებას.

აპრილია

აპრილია, რია-რია დაფარფატობს ქარი,
ჩემს ეზოში ლიმონის ხემ გადაპენტა ბაღი;
სურნელება ჩაეღვარა მონარნარე ხმაში –
საღერღელი აეშალა – აჭიკჭიკდა შაშვი.
ბეგონიამ დაიზამთრა, იჭყიტება კარში,
მზეზე ბრწყინავს, ტუჩებს ბერავს, ხერხისკბილა სალბი;
კამელია – ვით ლამაზი – იპრანჭება ქალი,
ტოლს არ უდებს ბიზბიზელა – იმზირება ცაში;
პეტუნიებს დახრილი აქვთ სიმორცხვისგან თავი,
კალათებით დატვირტულა თეთრი სანტოლანი.
ია-იას სიო არხევს ნაზი და ნარნარი,
მაჩიტებმა გადმოკიდეს თეთრი ზანზალაკი,
უკადრისაც გაიქოჩრა – ინა ბალზამანი.
ირინეზამ რა ხანია ვერ გაშალა ფრანი,
ძლივსძლივობით მირაბელამ გაახილა თვალი;
დაწინწკლული ადონისი – სისხლისფერად ყვავის,
კონკიძველამ გადმოფინა ლურჯი მოსასხამი;
ყელყელაობს ზამბახები ურიცხვ ფერთა გამით,
შროშანები ამაყობენ ძველი კელტთა გვარით;
ხავერდულამ ხავერდები დააფინა გზაში,
ენოთერამ გამაკვირვა – სიგიჟე აქვს ღამის;
ცინარეამ გააბრწყინა თეთრი მინანქარი,
კორდიელა თავს იწონებს ძალზე ჭრელი კაბით;
აპრილია, ყვავილები – ნაირფერი ყვავის,
ჩემს ეზოში, რია-რია – დაფარფაშობს ქარი...

მე არ ვარ შარლი...

საუბედუროდ, დავიჯერე დიდი ხანია,
რომ ბოროტება დასაბამით
მძვინვარებს – მეფობს, -
მას შემდეგ... რაც თქვენ
აღმერთებდით
ავადმყოფ ნერონს.
კაცთა სიგიჟე, უვიცობა განა ცხრებოდა -
ემატებოდა უგნურება უთვალავთ რიგებს...
გიბნელდებოდათ, გერეოდათ გონება ისე,
ვერ შეიცანით,
გოლგოთაზე აწამეთ ქრისტე...
აგერ, სულ ახლო ისტორია -
გვაოგნებს ისევ:
„თქვენ“ ტაშს უკრავდით -
აქეზებდით
სისხლისმსმელ ჰიტლერს;
(თუმცა დაამხეთ – ბრბოს თვისებებს
ამართლებთ ისევ!)
ტრაფარეტები, ლოზუნგები
ისევ შავია,
კვლავ მკრეხელური მუქი ბინდი
თვალებს აკვრია;
ნიღაბი ფარავს ფარისევლურ დემოკრატიას,
სიტყვის უფლებას გესლს აყოლებთ
და... გიხარიათ?..
დღეს, სამწუხაროდ, სამართალი
სიძვის ქალია,
„პროგრესულობა“ ჯაჭვებს კვერავს
დიდი ხანია;
სამიზნე ნიშანს თუ არ ესვრი
ისარს შხამიანს,
სამსხვერპლოდ! – სისხლი რად იღვრება,
საკითხავია!..
თუ სიძულვილი კაცთა მოდგმას
კვლავ გააბრუებს -
უგუნურება ნათელ ზეცას
თუ დაამუქებს, -
საბედისწერო ისტორია
ჩარხს დააბრუნებს,
და დაგვანახებს!.. მთავარ სათქმელს -
ის დაასრულებს!..

მზეადაკარგული

ახლა, ამ ქალაქში მზეა დაკარგული,
აღარ ასხივოსნებს მზერა ალმასური,
ახლა მოდაშია სიტყვა გადაკრული,
ყალბი გაღიმება, აზრი გაფანტული,
ვაჟთა მიხვრა-მოხვრა ცოტა ალმაზური,
სახე თოჯინური – რიდე გაძარცვული...
თბილისი დაუპყრია მორიგ სულთამხუთავს,
ბეტონის ქალაქი, არა! – ხელოვნებას.
ქალაქს რომ ვაოხრებთ , არავინ გვედავება,
აქ ხომ მთავარია ყალბი რიტორიკა, -
არა ჰარმონია არქიტექტონიკა...
ქალაქი აივსო მოძრავი რკინებით,
ვითომ სიცოცხლეა, ვითომ მოტორიკა;
მიქრიან, მოქრიან – არის უძრაობა,
ამდენი ტაძარია და მაინც უმეცრება...
სირეგვნემ უმაღლეს ნიშნულს მიაღწია,
ჭკვიანს და გენიოსს გიჟი ასამართლებს;
ყრია სიგიჟეშიც – რაღაც მომხიბვლელი,
ვიღაცა მიმხვდარა და კიდეც გენიოსობს,
სადღაც კულისებში ეშმას უხარია,
„ძვირი ბედაური“ გიჟს რომ დააქანებს...
ჰზარავს აბსტრაქციას სახე – თოჯინების,
არა მოდერნიზმის – უფრო გაწბილების,
მაგრამ... სად წავიდა ფიცხი ენერგია,
სულის ამბოხება – ბრძოლა, ქარტეხილი.
ვიღაცა ვიღაცას კიდევაც დასცინის,
იუმორს აკლია მანერა არტისტული;
თავისთვის ფაფხურობს, მუცელზე იჭაჭება
ფულებზე დათვლილი სიცილი – სატირული.
კანკალებს სხეულზე სისუსტე კუნთების,
რეფლექსთა სიჩლუნგე – სრული შენელება;
ჰყიდიან ყველაფერს – ვის რა ეხერხება,-
იაფი საწამლავი – ყრია სადაც გნებავთ.

ასე ცალი-ცალზე როა დაშტამპული,
კაბა დაფლეთილი, ჯინსი დაკონკილი,
სულაც არ მგონია ჟამის დასასრული,
მე რა მენაღვლება? – გული გამოღრღნილი.
ამდენმა „მეშჩანობამ“ ვიღაცა გაამწარა,
საკუთარ ვარსკვლავზე უარი განაცხადა,
სასოწარკვეთილი ყვირის გარდაცვლილიც -
სული მეხუთება არ მინდა პანთეონი.
ვიღაცამ ჩემსავით თავი გამოიდო,
გაჰყვირის: დრო არის! – დაიწყეთ დემონტაჟი,
წესრიგი, სიმშვიდე – ხალხი არეული -
თბილისი გაიტანეთ წაიღეთ მარნეულში...
(იქნება, მართალია – ცოტა მეშინია...)
ახლა, რექვიემი ყველაფერს ამართლებს,
მაგრამ მუსიკა აქ რა შუაშია?
სიმები ბაძავენ – აკორდებს აბამენ,
როცა სახეზეა სრული დეკადანსი...
ვფიქრობ... ვის მივმართო, ვისთან ვისაუბრო,
ქალაქი ჩაუნთქავს მხრჩოლავ ამბიციას,
ვითომ? – აზროვნებამ ფარხმალი დაყარა? -
ნეტა რა უშველის ამგვარ აგონიას.
ვიღაცა უმწიფარს ასე არ ჰგონია,
ვიღაცა გაჰყვირის – ეს თქვენ არ გეხებათ,
მთავარი გართობა თვალის სეირია,
შეცვალო სამყარო – ეს არ გამოგივათ...

... ახლა თბილისის ცა ისე მეფერება,
ცრემლის ნაპერწკლებზე სხივი გამიბრწყინდა,
ჭადრის ხეივნები მშვიდად მეგებება,
სიო ფოთლებიდან სულში ჩამიფრინდა,
თითქოს დამიბრუნდა საღი მეტყველება,
ღია ჭრილობები თითქოს დამიმშვიდდა...

მწუხრის ლანდები

იქ რომ ნანატრი მწვერვალებია,
შავი ლანდები მწუხრით ნისლავენ,
ლურჯი სიზმრები სადღაც ქრებიან,
გულქვა მხედრები წამებს თიბავენ;
აქ, ცის ლაჟვარდშიც არაფერია,
წარმოსახვაშიც იმედს მიკლავენ;
აზრში სათუთი თუ რამ მშთენია,
აღმოფხვრილია ძირით-ძირამდე;
ცხადიც, ზმანებაც ბინდის ფერია,
ვეღარ გავატან, ალბათ, დილამდე,
აბა, ამ ქვეყნად რა დამრჩენია,
ლამაზ ოცნებებს თუ ჩამიკლავენ.

ცას შესევია ავი კალია

ბოროტის გული ცრუ და ხარბია,
შორით მოსულის მზერა შავია...
ცას შესევია ავი კალია,
მძიმე თავთავებს თავი ჩახრიათ...
სულს რაც წმინდათა-წმინდა აჩნია,
რაც ოდითგანვე ჩემი ხატია,
ის, რაც მებოძა და მაბადია,
სისხლით დავიცვა, ჩემი ვალია...
ცას შესევია ავი კალია,
მზე დააბნელა, ზეცა მქრქალია
შორით მოსულის მზერა შავია...
ახლა სამკალი თავზე მაყრია...

თემურ გოგსაძე

ნაცნობი ფრაზები

უფლის ხვედრია –
ცოდვილი სული
გულში სამშობლოს
ცეცხლი ანთია.
ვარ საუკუნოდ შეყვარებული
გალობით ვხვდები
ყოველ განთიადს...
თუმცა სხეული
მაინც თავხედობს,
წუთისოფელი ბეწვისხიდია...
მინდა სიკვდილსაც არსში ჩავხედო,
მარადისობა უფრო დიდია!...
გონებას გვირევს
ურწმუნო თომა
ჯვარცმა-აღდგომის
მგმობი კითხვებით,
თუ არ ვისწავლეთ –
კრძალვა და ზომა,
ორთავე სოფელს გავიკითხებით!...

იწყება არსის ახალი გმობა,
იუდა ახლა უფრო ფლიდია!..
როგორც არასდროს
ადამის მოდგმა
სწორ არჩევანზე ისე ჰკიდია...

სულ სხვა გოლგოთა, უარესი ტვირთი...
რადგან მიზანს ვერ მიაღწიესო!..
შექმნეს სხვაგვარი იუდას მიტი –
თითქოს გარიგდნენ ის და იესო (?!)
და როგორც ერთ დროს, უმანკო სისხლი
ეჭვი სამყაროს მოანთხიესო!
მამა უფალი – ვერავინ მიხსნის,
ამ ცოდვას ნუთუ გვაპატიებსო?!.
ჯერ ისევ ბრუნავს...
ჰყივის მამალიც
იესოს ისევ ურცხვად ჰყიდიან...
და გვიხსნის მხოლოდ
რწმენის წამალი,
ღვთის შემძლეობა მართლაც დიდია!..
ღვთისმოთმინება,
ღვთისმოწყალება,
ღვთის სიყვარული – დიდზე დიდია!!!

ჩვენი სიყვარული

შენა ხარ ჩემი ლურჯი სამყარო...
გეძღვნება ჩემი არსება – სრული!...
და რაც გენური – მაქვს სახსოვარი!!!
სიმაღლის ბილიკს აღარ გამყარო,
არ დაამარცხო, ეს სიყვარული!
მარადისობა – აღთქმული გვქონდა,
ღვთაებრივ არსზე – ნუ დაეჭვდები!!!
სხვადასხვა დროში – დროს გადაჰქონდა.
ამ სიყვარულის ანაბეჭდები!!!
ხედავ? აღთქმული ზღაპარი ახდა –
სიყვარულის დრო – შემოგვისახლდა...
გაუღე კარი და ჩავკარი!!!
სიყვარულს არ აქვს – დრო და საზღვარი,
მეფობს ეს გრძნობა – დაუდეგარი...
ჯვარცმა – გარდმოხსნაც
მხოლოდ ეგ არი!!!

სიყვარულის დრო

არავინ იცის – მზის კაბადონზე,
ამ სამყაროში –
        დრო თუა მართლა?!
მარადისობა გავცვალეთ დროზე
და დავადგინეთ –
        წამების ათვლა!..
შემოგვეპარა ამგვარად ბზარი...
ვერაფერს გეტყვით,
        ღვთის სამსჯავროზე!..
უნდა დავბრუნდეთ! თორმეტი კარი,
იხსნება მხოლოდ
        „ამორე“-ს დროზე!!!
სამყარო არსობს ფერისცვალებით!..
ერთადერთია,
        რაც დროშიც მკვიდრობს,
მართლაც ყველაფერს
        სანაცვალები...
სიყვარულის დრო,
        სიყვარულის დრო!!!
... ის ყველა ტკივილს,
        უმალ უკურნებს!..
უფრო დიდია, – რაც გვიწამია!..
წამი მოიცავს მთელს საუკუნეს
და საუკუნეც – ერთი წამია!..
... სიყვარულია ხსნა და ნუგეში!..
მისი სათავე, ითქვა – ღმერთია!..

ასე სხვადასხვა დროს
        და სივრცეში,
ყველგან ყველასთვის –
        ეს დრო ერთია!!!
არც დასაბამი...
არც დასასრული...
მხოლოდ და მხოლოდ –
        სიყვარულის დრო!..
ამაზე გალობს –
        ზეცად ასული –
„სვეტიცხოველი“
        თუ
        „სან პიეტრო“!..
სამსჯავრო ყველას გადაგვაფასებს!..
წელთაღრიცხვებში –
        ქრება საწუთრო!..
მარადისობის სინაზით გვავსებს –
მხოლოდ და მხოლოდ –
        სიყვარულის დრო!..
... მეც შენთვის, მხოლოდ
        ეს უნდა მეთქვა,
მამა-ზეციერს –
        ერთად ვევედროთ:
არ შეგვიჩეროს –
        ამ გულის ფეთქვა!..
არ შეგვიჩეროს –
        სიყვარულის დრო!!!

სან-პიეტრო – წმ. პეტრეს ტაძარი რომში,
ამორე – სიყვარული
რომი. 09.08.2010 წ.

შენი თვალები

მაგ შენს უძირო,
ცისფერ თვალებში,
განგებამ,
ერთხელ რომ ჩამახედა!..
მას შემდეგ, ჩემი სიყვარული
ფრიქრსა და წლებში,
გადის და,
ველარ გავქცეულვარ
ღვთიურ მახედან!..

***

სიყვარული ეს არის,
სრული თავისუფლება,
თუმცა უმალ შემოდის –
ნორმა-ვალდებულება!!!
არა ვნების თარეში,
სდევნა უცხო მხარეში,
არამედ სიყვარულის
კრძალვა და ერთგულება!!!

თეა კანდელაკი

* * *

ანგელოზები იგალობებენ თეთრონის მთაზე,
ოქროს ჯაჭვებად აკინძავენ ცოდნის გალავნებს,
აღიარებენ ჭეშმარიტებას საუფლოს ღმერთად,
ნათელი სხივი გამოარღვევს ზეცის ტალანებს...

... და უვიცობის დაიქცევა ალბათ კედელი!!!..

12.22.2003

სივრცეში გაიფანტა: „ამინ“!

ახლა ლოცვაში დამღამებია და
სივრცეში იფანტება „ამინ“!
აგერ, ერთის სულში რწმენამ დაივანა,
მეორე მიკედვლია დარვინს.
რა საოცარია ეს წუთის სოფელი, –
ნეტავ რისთვის არის დავა,
სანამ ამ ქაოსში სიმართლეს გავარკვევთ
წლები ფეხაკრეფით გავა...
წავა და გადივლის ღრმა უღელტეხილებს
ჭიუხებს, მთებსა და სერებს,
მათ ნაკვალევზე კი, ვით მიქელანჯელო,
“სხვები“ მოხატავენ ფერებს.
და აირ–დაირევა ამ ფერთა ციალში
შავსა და თეთრს შორის ზღვარი,
კეთილს, ბოროტისგან ნისლი გადაფარავს,
სიყალბის მოვარდება ღვარი!
ძველი და ახალი ერთმანეთს შეეხლება,
ვიღაც სულს მიჰყიდის მოლას,
მე უფალ იესოს ლოცვა აღვუვლინე,
ჩემს გვერდით კითხულობენ თორას.
შემაკრთო ერთარსის დანაწევრებამ,
მკერდზე მოვიძიე ჯვარი,
დაე, უფალმა განსაჯოს ჩვენს შორის
რაოდენ დიდი იყო ზღვარი
ჩემსა და მას შორის – თორას რომ ფურცლავდა,
მათ შორის – ვინც სწავლობდა დარვინს.
მე ჩემს ღმერთს მოვუხმე,
მათ უხმეს თავისას და
სივრცეში გაიფანტა – ამინ!

03.23.04
ბრუკლინი, აშშ

...და თქვენსკენ მიხმობს

ისე მისდევენ დღეები ერთურთს
თითქოს სამყაროს ეძებს დასასრულს,
ამოუწვერავს მზეს მწველი სხივი აღმოსავლეთით
და სარტყელივით გადაჰკვროდა ცას მთლად გასარკულს
და გავცქერივარ შორ ჰორიზონტზე ზეცის ტატნობებს,
თოლიის კივილს ერთვის ქშენით ტალღის შხუილი;
მე ვდგავარ ახლა ოკეანის ნაპირთან მარტო
და თქვენსკენ მიხმობს საქართველო ზეცის ქუხილით.

თებერვალი 2004

უფერულია ეს ცა, ეს მიწა...

უფერულია ეს ცა, ეს მიწა,
უფერულია თითქოს სამყარო,
არ ვიცი, როგორ ვუშველო ჩემს სულს,
დარდები შორეთს როგორ გავყარო.
უფერულია ეს ცა, ეს მიწა
და ვით ჯაობი ისე უძირო,
ოხ, ამ სოდომურ ცოდვით დამტკბართა
კიდევ რამდენ ხან უნდა ვუცქირო?!
ფიქრი დაუსხლტა დაჯავშნულ კარებს,
ბროლის აკინძა საფეხურები
და დამიტოვა მთლად იისფერი
ქართულ ანბანთა ნაფეხურები,
ახლა დავცქერ და სულში ვგრძნობ სევდას,
ამაოდ ვებრძვი ღამის აჩრდილებს,
ეს გზა რაც უფრო მაშორებს თქვენსას –
სევდა მით უფრო არსად გამიშვებს,
უფერულია ეს ცა, ეს მიწა,
საქართველო კი ისეთი შორი,
რომ მასზე ფიქრი, მისი ხატება
ჩემს სულის ჩრდილად ქცეულა მგონი.
ხედავთ? ვერ იტევს ჩემს აღსარებას
სპეტაკ ფურცელთა თეთრი მანტია,
მხოლოდ ლოცვით თუ გამიგებს ღმერთი
ამ ჯოჯოხეთში რაც მინატრია.

04.14.2004
აშშ

თეთრი გედი

მიცურავდა თეთრი გედი,
თეთრი, ფიფქზე ქათქათა.
ქედს იხრიდა მის წინაშე
ღმერთი ცის, ზღვის და ქართა.
ჩემსკენ ვუხმე ყელმოღერილს,
მან კი შორეთს გასცურა,
თვით ქალწულზე უკარებამ
ტრფობამ მაინც აცდუნა.
წამით შესდგა, გადმომხედა,
მწვანე ტბათა ქალღმერთმა.
სუნთქვა შეკრა იადონმა,
კარი გახსნა ცად ღმერთმა.
დააბნია უხვი სითბო,
ნაზი, ისე ქალური,
შავ თვალებში კრთოდა სხივი
ო, რარიგად მაცდური.
ვერ მივკადრე მისვლა ჯიქურ,
მზერა ვკიდე მალული,
მის ნაკვალევს ავადევნე
ტრფობა გადამალული...
მიცურავდა თეთრი გედი,
თეთრი, ფიფქზე ქათქათა,
ქედს იხრიდა მის წინაშე
ღმერთი ცის, ზღვის და ქართა.

07. 2003

მარადისობად

მარადისობად... მარადისობად...
დამრჩება სულში შენი სახება,
გარდასულ დღეთა, გარდასულ წამთა,
ჩემს სულის ჩრდილად გარდასახება.
აკრთობს თვით ზენარს მნათობთა სხივი
და მოელვარე ფერთა ცვალება,
მუზათა კრთომა თეთრი ძაძებით
და სიყვარულის გარდაცვალება.

03.13.2003



ხათუნა ელიაშვილი-ჩიმაკაძე

ვთესოთ ვარდები

სოლომონის სიბრძნიდან

მეამბორეა ბაგეთა გული
ღვინოზე ტკბილი სიყვარულს მალავს,
სურნელოვანი დაღვრილი სული
მშვენიერი და აღმასვლის ძალა.
მზისგან შევსილი შემოქმედება,
ვამსგავსე ვარდს და ვამსგავსე მარადს,
ვიდრემდის სუნთქავს დიდი მანძილი
ნაპრალი მთათა შეივსებს კალთას.
სულს შყვარებულს დაეძებს ირგვლივ
ტახტრევანია სამყაროს ხმათა,
სვეტები ვერცხლში გაუბანია
ოქროს საყდარი სიყვარულს დარჩა.
– მშვენიერი ხარ შენ ტურფა ქალო,
წავიდეთ სერზე ვარდები ვყაროთ,
დატყვევებული გულის ამბორი
სივრცეს უზომოდ გადავაყაროთ.
ბაღების წყაროვ, ჩრდილების მოდგმავ,
სურნელებაში ჩასახულს გიმზერ,
გული მღვიძარე კალთა გახსნილი
სულს შეყვარებულს გამოიძახებს.
ველ-ნიამორებს ამოხდა ვნება,
ამომავალი სვეტი მადლისა
და სარეცელი მწვანე მდელოსი
აღდგენილ სულში გამოაფხიზლა.
საამურია შენი გრძნობები,
აგებულება ფერთა ხვედრია,
ძლევამოსილი გრძნობა ულევი
ღმერთს სამყაროში დაუთესია.
ცვარმა ამივსო თმები, თვალები,
ტრფობა სიყვარულს დაულევია ,
გახსნილი სული გულის უბეში
სხვა ცნობიერის განმსაზღვრელია.

გზავნილი

ქართული გენი, სიბრძნის ფიალა
ცად აღმართული კავკასიონი,
უკვდავებისთვის ფესვებ მაგარი
აზრით და გრძნობით გადარეული.
გამობრწყინდება როგორც მზის სხივი,
გათენებას რომ გვაუწყებს ირგვლივ,
სრულყოფილების ვაზის ნაჟური
ქვევრებს დაავსებს სიბრძნით.
მრავლის მეტყველი სიმბოლოები
ცის კიდობანი სიბრტყე,
მიწა ფესვებსაც ყლორტებს შეასხავს
ცისარტყელისფრად აანთებს სივრცეს.
გამობრწყინდება გრძნეული გენი,
ხე ცნობადობის ისევ,
ცისა და მიწის დედააზრია
ქართლის ცხოვრებას მისდევს.
სულს უკვდავების ნამი ასხურა
და შეაგება მზის ღმერთს,
ალბათ ჩვენია ეს შეგონება
ჩვენ კი უფალი გვირჩევს.
ქართული სული, როგორც ღვთაება
ცოცხლობს და ცხოვრობს ისევ,
ამაღლებული გრძნობებით მოდის
მთელი ცხოვრების სიბრძნე.
მესმის მზის სხივთა ჩუმი ჩურჩული
სიო ყვავილში რითმს წერს,
წყარო ნაკადულს ეჩურჩულება
ვინ რა სურვილებს ირჩევს.
სამყარო ერთი მშვენიერება
მთის მწვერვალების სიბრძნე,
სულთა სიმრავლე სიდიადეთა
ღმერთი რჩეულებს იკრებს.
კაცობრიობა განახლებაში
კვლავ ამაღლდება მტკიცედ,
იბერიელთა გამობრწყინება
ტახტზე დაისვავს ქრისტეს.
აღარ დარჩება აზრად და ფიქრად
სიბრძნე დაიდგავს გვირგვინს,
ჭეშმარიტება უკვდავებისა
თავს შეახსენებს ირგვლივთ.

შავ-თეთრი გედი!

საოცრებათა ფერების ეშხში
ერთურთს შეერწყა შავ-თეთრი გედი!
ტალღის დინება ირწევა აკვნად
და კოცნის სხივებს წვეთებში აწნავს.
ძლიერი გრძნობა სიყვარულს ეტრფის
ფრთებ აღმართული გედების ეშხში
მთვარემ სხივების ტალღა გაშალა
გულში ჩაიკრა ამ გრძნობის ღმერთი.
განცდილი აზრით შეივსო ზეცა
და დადნა მკერში ფიქრებად ლექსის
სიჩუმემ რიჟრაჟს დაუწყო კოცნა
მზე მომავალი ყველაფერს ერფის.
ტურფა გრძნობებმა სიცოცხლის ძალას
სინათლის ფერი გადააყარა
დღისა და ღამის ლამაზი გედი
უთქმელი გრძნობით გადაატარა.
უმაღლეს მიზანს აზრებით გზავნის
ღამემ უბოძა უკვდავი სული
გრძნობის ქარცეცხლში ჩასახლდა მარად
მარტო სიყვერულს ეკუთვნის გული.

სულის განზომიერება

დრო აღარ იცდის განვითარების,
საფეხურებზე გრძნობა შენდება,
ზევრცელი აზრი განზომიების
ძლევამოსილად გადაიქცევა.
გულს საკუთარი გრძნობები ავსებს,
წვდომის უნარი რჩეულთ ხვედრია,
სიტყვა გულიდან წარმოშობილი
კუთვნილ ადგილას ადის – ღმერთია!
სულის გაწმენდა აზრის ბედია,
სიტყვა კურნებით გადამდებია,
დროში მავალი ძალა ღირსების
ელვისებურად გარდამტეხია.

* * *

სივრცეს შეპარული გრძნობა,
მთებზე გაწოლილი ქალი,
სწრაფად შემოიკრებს ვნებას
ციდან ჩამოყოლილ ძალით.
გული გრძნობის ველზე ფეთქავს,
კლდიდან იმზირება თვალი,
შერწყმა ფერებშია სულის
ბაგეს მორბენალი ცვარით.
ცისკარს გაეღეღა მკერდი,
ფიქრებს აჰყოლია სუნთქვა,
ნეტავ რაღა უნდა დუმილს
უკვდავებაშია სუმთლად.
სიოს გაეპარა აზრი,
აზრმა სიყვარული თესა,
მთებზე გაწოლილი ქალი
დროში მოგზაურსაც ერქვა.

* * *

ბაღში შესულა ტრფობის ფერია
სურნელოვანი აქაიქ დადის,
მწყემსი შროშანებს დაურქმევიათ
ბაირაღებით მორთულა სახით.
პირბადის ქვეშთ, უბინო ძალა
ცისკრის პირიმზეს მოუქარგია,
მზისფერ ნათელში ველად გაჭრილა
მძინარე ბაგეც მოუნახია.
სულს შეყვარებულს დაეძებს ყველგან
გული მღვიძარე ტრფობის ღირსია,
ველად გაჭრილა ღამენათევი
სიყვარულს ცეცხლში გაუღვიძია.
მდინარედ იქცა გრძნობის მეუფე
წყალი მრავალი დაულევია,
სურნელოვანი დოვლათის პატრონს
სხვა გაზაფხული დაუნერგია.

შორენა ჩხიკიშვილი

სისხლის წვიმები

9 აპრილს დაღუპულ ნატო გიორგაძეს

შენ, რუსთაველის პროსპექტზე მყოფს, ლოცვად აღვლენილს,
საქართველოსთვის მავედრებელს, მახვილი ჩაგცეს,
ბარბაროსულად გაუსწორდნენ შენს თანამოძმეთ,
ორლესურ ნიჩბით აგკუწეს და გულაღმა დაგცეს.

ოცი ქალ-ვაჟი დაუჩეხეს 9 აპრილს თბილისს,
მამაულმა იმ დღეს ოცი კუბო ერთად ასწია.
ერთი მათგანი შენც იყავი ძვირფასო ნატო,
ვინაც ქართული ღირსებისთვის თავი გასწირა.

შენი სიცოცხლე შეეწირა მშობლიურ მიწას,
რომლის მხრებზედაც ავბედით ჟამს ბევრჯერ გივლია,
ვიანც გაზარდა რუსთაველი, აკაკი, ვაჟა,
ბარათაშვილი, სულხან-საბა, დიდი ილია.

ლურჯი აპრილი დაიტბორა სისხლის წვიმებით,
გაუტეხელი შენი სული ცამდე ამაღლდა
და მამულისათვის დაცემულ წმინდანთა გვერდით,
შენც გერგო წილად ვალმოხდილი დადგე ამაყად.

გამზრდელი კუთხის საძვალეში დაიდე ბინა,
შენი გურია, დატანჯული დედა და მამა,
იამაყებენ, რადგან შენი საფლავი წმინდა,
მთლად საქართველომ ამაღლებულ ცრემლით დანამა.

მოგვაწურებენ ეს ცრემლები ნაწამებ სხეულს,
მამული ჩვენი კვლავ დაიცავს თავის ღირსებას,
ისევ გამოზრდის ლომისა და ვეფხვის ბოკვერებს
და საქართველო პლანეტაზე კვლავ გაბრწყინდება.

მე-10 კლასი

უკვდავი მუსიკა

მსოფლიოს გენიალურ კომპოზიტორებს

დიდმა მოცარტმა შექმნა უკვდავი სიმფონია
და გატაცებით ააჟღერა საამო ჰანგი,
როდესაც ბრამსის მელოდიამ დაიგუგუნა,
ააწკრიალა ინსტრუმენტი, ვითარცა ჩანგი.
ბეთჰოვენმა კი სიზმარივით გაკვეთა წლები,
გაიელვა და დაარღვია სიჩუმე ღამის,
ღრმა შინაარსით ქმნიდა იგი უკვდავ აკორდებს
და ასე ლამაზად დაწერა „სონატა მთვარის“.
პოლიფონიას შეუერთდა ბახის ცხოვრება,
ტრიუმფალურმა დინაჩიამ სივრცე გაკვეთა,
მან ვარსკვლავივით გაანათა შავბნელი ღამე,,
მისმა კრეშუნდომ განაცვიფრა მთელი პლანეტა.
შუბერტს უსმენდა ხალხი უიმედოდ მავალი,
მოწყენილი და ცხოვრებაზე დაფიქრებული,
სრულ აღტაცებაში მოვიდა მთელი მსოფლიო
ბიზეს „კარმენის“ ბრწყინვალებით გაკვირვებული.
მძაფრმა პიესამ განაცვიფრა მთელი ქვეყანა,
როცა შოპენმა როიალზე შემართა ხელი,
მას მუსიკალურ ჰარმონიას სული შთაბერა,
გზა გაიკაფა და დამკვიდრდა მაღალი რწმენით.
იოჰან შტრაუსი კეთილხმოვან ვალსებს რომ ქმნიდა,
იგი უსმენდა წვიმის შხაპუნს, ფოთლების შრიალს,
ჰაეროვანი სინარნარე თანს სდევდა მუდამ,
მის მელოდიას უჩვეულო სახელი ჰქვია.
ქმნიდა ოპერებს, დაუვიწყარ არიებს წერდა,
მუსიკას დაუკავშირა მან თავისი ბედი,
დაუვიწყარი მელოდიით გზას იკაფავდა
დიდებული კომპოზიტორი – ჯუზეპე ვერდი.
უკრავს შუმანი ცეცხლოვანი ტემპერამენტით,
შეძრა სამყარო ვირტუოზმა კიდიდან კიდით,
მისი პიესა თეთრ კლავიშებს ეალერსება
და მაჟორიდან მინორამდე წკრიალით მიდის.
გადის წლები და ვერაფერი მას ვერ ერევა,
ფოლფგანგ მოცარტი კვლავ მიარღვევს
ბობოქარ სივრცეს,,
მოაქვს ხალხისთვის სანატრელი ბედნიერება,
მისი კლასიკა კვლავ იჭექებს ბოლომდე მტკიცედ.

20.02.2011

ნაცვრა

სამშობლო მინდა ისეთი,
მტრის შიშით არა კვდებოდეს,
დავითისა და თამარის
ეპოქას ემსგავებოდეს!

მე შვილი მინდა ისეთი,,
მტერსა მტრულად რომ ხვდებოდეს,
მისი გული და გონება
მამულისთვის ინთებოდეს!

გოგონა ქართულ მანდილის
ტარებით არ იღლებოდეს,
ვაჟი კი სამშობლოსათვის
სიკვდილს არ უშინდებოდეს!

ეს გული მინდა ისეთი,
სხვის გულისტკივილს ხვდებოდეს,
ჩაგრული ადამიანის
გულის სიმებს ეხებოდეს!

გონება მინდა ისეთი,
მაღალ იდეებს წვდებოდეს,
ცრემლები მქონდეს ისეთი,
მამულისთვის იღვრებოდეს!

ნეტავი, ყველა ქართველი
ღვთის სიყვარულით თბებოდეს,
ბოროტებისგან შორს იყოს
და უფალს ებარებოდეს!

ძმათაშორის ერთგულება
და ერთობა აღდგებოდეს,
აფხაზეთი და ოსეთი
ნეტავი დაბრუნდებოდეს!

ჩემი სამშობლოს მთა-ბარი
აყვადეს, იფურჩქნებოდეს,
ნიკოფსით დარუბანდამდე
ქვეყანა გაიშლებოდეს!

ქართველთ შორის სიყვარული
არასდროს არა ქრებოდეს,
ეს ჩემი ტურფა მამული
სულ მალე, აყვავდებოდეს!

2018 წ.



აკაკი რუხაძე

შინდისის გმირებს

საქართველოვ, რა შვილები გყოლია,
ერის სახე, ნამუსი და სინდისი,
არცერთს გულში შიში არ ჰქონებია
გმირებს ტყვიის ცეცხლში ნათლავს შინდისი.
მშობლებიც რომ ყველას გმირი ჰყოლია,
ცხონდეს სული, ვინც გაგზავრდათ, იმისი.

ოდა ქუთაისს

ხშირი მუხნარით ნაბადმოსხმული საღორიასთან ქარის ბინა ხარ,
რიონი სისხლად გიჩქეფს ძარღვებში, ჭომა, გუგუთი საფიჩხია ხარ,
გორადან ლარი გადმოსახედი, ტურფა გელათი, სათაფლია ხარ,
ქართულ კუთხეთა ხარ გზასაყარი, ძმობის ანბანი, აი ია ხარ.

აქილევსის და იაზონის, ჰერაკლეს მითზე დიდი ხნისა ხარ,
მუდმივ ბრძოლებში მტკიცედ ნაწრთობი, კავკასიური ჰერალდიკა ხარ,
ია, აია თუ ქუთაია, კოლხეთის ბანი, მარად ღია ხარ,
სტუმართმოყვარე და ხელგაშლილი მხიარულების გარანტია ხარ.

იმერთ ქალაქი, კოხტა ალაგი, გმირთა ბანაკი, ბურჯი, რკინა ხარ,
აღმაშენებლის და თამარ მეფის საყუდებელი წმინდა ბინა ხარ,
ქართული სულის, გენის სამჭედლო, რწმენის სამრეკლო, ბროლის მინა ხარ,
მზე და მთვარე ხარ, წვიმა და თოვლი, თვით სიცოცხლე ხარ, კლდე და ია ხარ.

კვართის მცველის მისია

ქრისტეს პერანგი, ქრისტეს კვართი; ქრისტეს სამოსი;
მართმადიდებლურ რწმენის წმინდა ტანისამოსი,
ღვთისმშობლის კვართი, შესამოსი წმინდა დედისა,
ხალემი წმინდა ელიასი, ღვთისმეტყველისა.
ღვთივკურთხეულო მიწავ, მითხარ სხვას ვის ეღირსა
პატივი, ასეთ სიწმინდეთა წმინდა მცველისა?
მარად მებრძოლო მცირე მიწავ, კოლხთ-იბერისა,
ვაზის სამშობლოვ, მხარევ ცეკვის და სიმღერისა,
სხვა ვინ იცავდა საუკუნოდ მაცხოვრის საფლავს,
იერუსალიმს ცხენზე მჯდომი ვინ შლიდა ალამს,
რას შეეწრა თბილისელი, ასიათასი,
ან რას იცავდა არაგველი გმირი, სამასი?
ნუ დაიჩივლებ, ნუ გატყდები სიწმინდის მცველო,
კაცობრიობა შენს ღირსებას, შენს რწმენას ენდო,
იდექი მედგრად, გაიმარჯვებს მწამს საქართველო,
ამერ-იმერთა, ქართლ-კახელთა, სვან-მეგრელთ ბრენდო
ამობრწყინდება, იელვარებს შენი ნათელი,
გზას გაგინათებს, რაც გინთია ღვთისთვის სანთელი,
ქრისტე ელია, ღვთისმშობელი შეგმოსავს კვართით,
ერთით ასსა სძლევთ, სამტროდ მოსულს და ათასს ათით.

განძი

სადღაც მღერიან, ისმის გალობა:
„წმინდაო ღმერთო“, „შენ ხარ ვენახი“
ღმერთმა ეს განძი ჩვენ გვიწყალობა,
როგორც ენა და როგორც ვენახი,
და საგალობლის კრიალოსანში
ისმის – „კირიე ელისიონი“,
ამადაც ვყავდით მტრებს სულ მიზანში,
ჩვენა და ჩვენი დედა სიონი,
მუდამ გვიჭირდა, მაინც ვმღეროდით,
მტერს არ ვუკრთოდით ერო ჩაგრულო,
უფლის აღდგომას მკვდრეთით ველოდით
და საგანძურში გვედო „ჩაკრულო“.
სხვა სიმღერებიც უხვად გვაქვს ერო,
ერო ქართველო, იმერ-ამიერ,
განძი კეთილი, საბედნიერო,
ისმოდეს მარად „მრავალჟამიერ“.

მრავალჟამიერ

ერს გამობრძმედილს მრავალჟამიერ,
თავმდაბალს, მშრომელს, არაკადნიერს,
მებრძოლს, მშენებელს, უფლის მადლიერს,
სტუმართმოყვარეს, სუფრახვავრიელს,
მთიდან მთებამდე ლაღ თვალსაწიერს,
ლოცვას, აღვლენილს იმერ-ამიერ,
ღვთის სიტყვას, ღვთის ხმას, ღვთისვ ნაშიერს,
ქართულ ცეკვარ და მრავაჟამიერს,
მრავალჟამიერ!

ქართველნო

ლამაზებო, საყვარლებო, ლაღებო,
ჯიშიანნო, ჯიგრიანნო, გამგებნო,
მშვიდნო, ფიცხნო, კეთილნო და ავებო
სიყვარულის საგალობლის აღმვლელნო,
გულის-გულის-გულის-გულში გამვლელნო,
არ ვიქნები მე თქვენს გამო არ ვევნო.

მეუღლეს

არ მაქვს სიცოცხლე რადგან მეორე,
ერთსა გთხოვ, შვილში გამიმეორე.

ღამაზ ქალს

მოდიხარ, მოგაქვს ქუჩა,
ისევ ამჩატდა გული,
აღარც სიმშვიდე შემრჩა,
აფორიაქდა სული.
რა დედამ გშობა ნეტავ
ასე ყოველმხრივ სრული,
გნახავ და ვეერ ვიძინებ,
თვალს არ ედება რული.
მოდიხარ, მოგაქვს კვნესა,
გულებს უკიდებ ალებს,
რა მოვუხერხო ბედშავ,
დასამიწებელ თვალებს.
თვალებს, ყველაფრის აღმქმელს,
მაგრამ ვერაფრის გამგებს,,
კაცების კარგად მესმის,
ქალებს რა მოსდით ქალებს?
ჩაივლი, ქალსაც, კაცსაც,
ვნების ედება ალი,
ვერ გადაგწონის რასაც
ჰქვია ძოწი და ლალი.
ამქვეყნად ქალთა მოდგმის
ეტალონად თუ გაჩნდი,
ვერ მგუები ხარ დოგმის,
მკერდში იარად დამრჩი.
ეს სრულქმნილება შენი
გულს მიფლეთს, როგორც დენთი,
გამორჩეული გენის
ერთი ხარ, ერთადერთი.
რუხ, ერთფეროვან მასას
შენ ღვთის წყალობად გვყავხარ,
შენ ოცნება ხარ ჩემი,
ლამაზ სიზმრებად მყავხარ.
დარჩენილ წლებს დავთმობდი,
ისევე, როგორც სხვები,
ოღონდ შენ იყავ მარად,
შენ ნუღარ დაბერდები.

განვქარდით

გამაგებინეთ ქართველნო, ეს სადაური წესია,
მითხარით, ვის მოგწონთ ამ დროის ყოფითი განაწესია?
გადავივიწყეთ წინაპრებს აქ რომ გაედგათ ფესვია,
მიმოვიფანტეთ, განვქარვდით, ვეძებთ სად უკეთესია
ქრისტიანს გავერიდეთ და ოსმალო შემოგვესია.

ზურა შოშიაშვილი

ნიღბების სამყარო...

ფერადი ნიღბების დიდია არჩევანი,
მოირგე სანამ დროა,რიგში დგანან სხვანი,
ნიღაბი შერჩეული, მოცინარ-მოტირალი,
კი, სასაცილოა, რომ არ იყოს სატირალი!
სამყარო თეატრად რად არის მოსული,
მერე რომ ვაბრალოთ: როლში ვარ შესული?!
აქ კაცის ვის ახსოვს,აწმყო და წარსული,
თუ კარგად თამაშობს... ცამდეა ასული!
ნამდვილ მსახიობთა ჯილდო ხომ ტაშია,
ცხოვრების თეატრში კი სულ სხვა ფასია!
და ასე დავდივართ, გვაქვს ჩვენი როლია,
ვინ იცის, ვინ განგვსჯის, მცდარი თუ სწორია!

ისევ სიყვარულზე...

აყვავებული იასამნებით შუაგულ ტყეში გაგიშლი საწოლს,
ღამეს გაჩუქებ ზუსტად იმნაირს, ბევრი დიაცი გულში რომ ნატრობს!
იმ ვარსკვლავებით მოჭედილ ზეცას, ეს სიყვარული წამით გაართობს!
და ვებერთელა ლამაზი მთვარე, ერთი შებერვით ვარსკვლავს ჩააქრობს..
რომ გადაიფრენს ცის კაბადონზე, ვიდრე ჩაქრება, წამი გააქრობს,
სურვილს ჩავუთქვამთ , ვიცი ერთნაირს,რომლითაც გრძნობა სულებს გაათბობს!
თუნდაც აგიგებ პაწაწინა ქოხს, თან ყვავილების სუნი დაგვათრობს,
ვგავდეთ რომეოს და ჯულიეტას,სადღაც მახლობლად,ვერონის ახლოს !..
..და სიყვარულის სურნელით მთვრალი, ვიქნებით ასე,შევხვდებით მნათობს,
იქნება ღმერთსაც შევებრალოთ და ამ სამოთხიდან აღარ გაგვაგდოს!!...

დრო...დედა ნატირალი

ეს რა დრო დაგვიდგა, დედა ნატირალი!
ლამის ყველაფერი არის სატირალი!
ქვეყნად რამე დარჩა,ნაღდი,ასიანი?!
მგონი ოცნებებიც გახდა ფასიანი!

***

შემოდგომის ფერთა გამა,
ფიქრები და ცხელი ყავა!
დადგა ოქროსფერი ხანა,
და ფერებად დაიღვარა!...

რა შეიცვალა?!

როცა უფალი, განწირული, ჯვარზე კვდებოდა,
მკვლელთა შენდობას ზეცით მამას ევედრებოდა!
კარგად უწყოდა წინდაწინვე რაც მოხდებოდა,
სიყვარულისთვის ჯვარზე გაკვრა არ ასცდებოდა!
ოცდაათ ვერცხლზე იუდა სულს რატომა ცვლიდა,
ღვთისგან ბოძებულ სიყვარულს რომ უღმერთოდ შლიდა,
რისთვის მოიქცა იგი ასე,რა მოუვიდა?!
იქნება მითხრათ, თავისთავად გამოუვიდა?!
რა შეიცვალა, საუკუნეებს გავყურებთ როცა,
ჩაცმა-დახურვა და ცხოვრების სტილი და მოდა,
ზუსტად იგივე დარჩა სულით ადამის მოდგმა,
და კვლავ მზად არის ჩაიდინოს იგივე ცოდვა!

***

ვდგავარ, შევყურებ როგორ ჩამოდის,
დაორთქლილ სარკმელს წვიმის წვეთები,
ასე გულიდან სისხლის წვეთებად,
მოჟონავს სხეულს ჩემი ლექსები!
რა ვქნა, თუ ისევ, მუქად ედება ,
მხატვრის პალიტრას ლექსის ფერები.,
ოცნებით ღრუბლებს გადაიფრენენ,
უკიდეგანო ფიქრთა ტევრები!!!

***

ველარც იები და კესანები,
სულში მალამოდ ვერ დამედება,
შიგნით არეული ამინდები,
გარეთ სულაც აღარ მენაღვლება..
რაღაც უსაშველოდ დავიღალე,
ნუთუ ახლოვდება ზამთრის სევდა,
და დრო უსაშველო იმ ჟამამდე,
როცა ალუბლები აყვავდება!
ისევ უსახური ამინდები,
კვლავაც ტკივილი და თავის გვემა,
დღე და ღამეები გასაძლები,
ვიდრე ალუბლები აყვავდება!
სულიც ხეებივით იძარცვება,
გული გაძლებაზე დავითანხმე,
ზამთრის სევდამ თუ არ მომინელა,
კვირტთა აფეთქების დაწყებამდე!!! ...

ორი რაღაც იკითხა ქალმა!..

ნაპირზე რაღაც იკითხა ქალმა,
არა უბრალოდ თეთრმა ან შავმა,
რაღაც ისეთმა, ღვთაების დარმა,
პასუხი გასცა იმ წუთას სამმა!..
და გაიღიმა ლამაზმა ქალმა,
მარადისობა იპოვა წამმა,
,,სულსაც კი დავთმობ"-იფიქრა ვაჟმა,
ცოდვაში სული გაცურდა გაღმა!
ბუნგალოები და იქვე პალმა,
გაკვირვებულმა შეხედა ხალხმა,
რა დედამ შობა, ბუნების ძალმა?!
იქვე რაღაცა იკითხა ქალმა...

ოდესღაც...

სიცრუე არის, თითქოს დრო კურნავს,
გულზე გაჩენილ მწვავე იარას.
კაცს ისღა რჩება, რომ შეეგუოს,
სხვას არ გვიტოვებს ჟამი იარაღს.
წავიდა, გაქრა ის მეგობარი,
შენთან ერთად რომ ცლიდა ფიალას
და არ არსებობს ქვეყნად წამალი,
რაც შეაჩერებს დარდის ნიაღვარს!
ქრებიან ხალხი,ქცეულან სიზმრად,
აღარ არიან ამქვეყნად არსად,
ოდესღაც ყველა გავქრებით მსგავსად
და ვინმეს გულში დავრჩებით დარდად!..

***

არა, არ მინდა ჯერ არსად წასვლა,
ბევრ რამეზე მაქვს ჯერ კიდევ გათვლა!
მეგობრებს უნდა დავუდგე გვერძე,
თვითონ ყოველთვის ზრუნავდნენ ჩემზე.
შვილებს სულ მუდამ მამა სჭირდება,
უჩემოდ ალბათ გაუჭირდება.
ეს ჩემი ცოლიც გულით მიდარდებს,
მისთვის მალე არ გამოიდარებს!
დედაზე წერა გამიჭირდება,
მისთვის ყველაზე მძიმე იქნება!
ყოფნაც-არყოფნაც ჩვენი ვალია,
აბა, რა ვიცი, ვისი ბრალია!
ამ წუთისოფლის ლამაზ ფერებში,
მთავარი ფერი მაინც შავია!..
ოდესღაც ალბათ ჩემი დროც მოვა,
ბევრისთვის ფაქტი, ცოტასთვის გლოვა!
ისევ იქნება წვიმა და თოვა,
და სადღაც ია ისევ ამოვა,
კვლავაც იქნება დედამიწაზე,
სიხარული და დარდების გროვა.
კაცობრიობამ, მცოდნემ ყველაფრის,
არ იცის რისთვის მოდის და მიდის...
მოსვლას და წასვლას ვინ გვეკითხება?!
არ ღირს, ნურაფრის შეგვეშინდება!!

***

გაშიშვლებულან გზად ხეები, საბრალოდ დგანან,
მოწყენილები, მიტოვებულ მოხუცებს ჰგვანან,
ჩამოჰყოლია მთებს ნისლები,ხევებში წვანან,
ღრუბლები ცაზე ვებერთელა დევებად ჩანან!
ზამთრის სიცივე იპყრობს სხეულს და სულსაც ტანჯავს,
და მოსვენებას სული,როგორც სატრფოსა კარგავს,
უხილავ ძალით, ვიღაც ზამთრის პეიზაჟს ქარგავს,
და სამომავლოდ, ულამაზეს გაზაფხულს ხატავს!!!.....

გურამ ჭავჭანიძე
Гурам Чавчанидзе

სიცოცხლის სიყვარული

სანამ ცოცხალი ხარ, არ გაბედო სიკვდილი!
ძველი გალური ანდაზა

უნდა გიყვარდეს სიცოცხლე,
მწამს შეგონება გალების,
მეც დღემდე მიტომ ვიცოცხლე,
რომ ეშხი მწვავდა ქალების.
დღესაც ვიღვრები ლექსებად,
დღესაც მწვავს ტრფობის ალები,
მიტომაც გეალერსებათ,
ნეტავი ნურც დამევსება
ეს სატიალო თვალები!

ნეტავ, სულ არ მენახა

ჩემი ფიქრი, ჩემი დარდი შენა ხარ,
ალიონზე მერცხლის შემოფრენა ხარ,
მაგრამ თუკი ასე გამახელებდი,
ასე დამანელებდი,
ეგ თვალები ნეტავ სულ არ მენახა.
სიყვარულით მთვრალი ვარ და ვიქცევი,
გამახელე, ასე მიტომ ვიქცევი
და თუ მხოლოდ შორის დავიდაგები,
წავალ, დავიკარგები,
ლურჯი მთების ნისლად გადავიქცევი.
რა ვქნა, თუკი ამ გულს ველარ ვერევი,
მიჯნური ვარ, სხვებში ნურვის ვერევი,
მაგრამ თუკი ბედით გავიწირები,
ნუღარ დავიტირები,
ქარხ გავყვები, ღრუბელს გადავერევი.
ჩემი ლექსის ამღერება შენა ხარ,
ჩემი გულის აძგერება შენა ხარ,
მაგრამ თუკი ასე გამახელებდი,
ასე დამანელებდი,
ეგ თვალები ნეტავ სულ არ მენახა.

ჰიმნი სამშობლოს

ენა, მამული, სარწმუნოება,
ბურჯია, მტრისგან დაუძლეველი.
ჩვენი ღირსება, ჩვენი მეობა,
ჩვენი სიმღერა დაულეველი.
რწმენის სიმტკიცე, სვეტი ნათლისა,
ჩვენი ღმერთია ენა ქართული,
როგორც ამაყი დედა ქართლისა
თბილისქალაქთან ხმალშემართული.
გმირულ ბრძოლებში სისხლდანამული,
კიდით კიდემდე, იმერ-ამიერ,
სულზე უტკბესი ჩემი მამული,
ღმერთო, მიცოცხლე მრავალჟამიერ!
ჩემი ზვრები და ჩემი ყანები,
ჩემი „ჩაკრულო“ სულის მკვესარი,
მთაწმინდის კალთა სათაყვანები,
ჩემი სამშობლო სწორედ ეს არი.
ვადიდოთ გარჯა კეთილმყოფელი,
შრომა და ნიჭი ჩვენი განძია,
ვინ აღაშენა სვეტიცხოველი?
ვინ გამოკვეთა ქვაში ვარძია?
სისხლით და ცრემლით გადანამულო,
კიდით კიდემდე, იმერ-ამიერ,
სულზე უტკბესო ჩემო მამულო,
დიდება შენდა, მრავალჟამიერ!

თქვენთვის!

თქვენთვის მინდა სამზეო, ჩემი ტკბილი სოფელი,
ჩემი ბაღი, ვენახი და ყანა.
თუ ტკივილით ვატარე ჩემი წუთისოფელი,
სიყვარულით დავიღლები, განა?
ჩემი თბილი ქალაქიც განა თქვენთვის არ მინდა,
ან ეს გული რომ მომიკლა ერთმა.
ჩემი მტკვარი, საბორნე, მეტეხი და მთაწმინდა
თქვენთვის მინდა, დაგილოცოთ ღმერთმა.
ჩემი სიყვარული და ახდენილი ოცნება,
დღეს თბილისის ლაჟვარდებს რომ ერთვის,
ხოხბისფერი აისი, მზით რომ დაიკოცნება,
თქვენთვის მინდა, დამილოცავს თქვენთვის.
სიმღერები ქუჩებში, დარბაზებში, სხვაგანაც...
თვალში ნამი, სულის დამამშვენი,
ჩემი შემოძახილი, ჭაღი რომ შეაქანა,
და ეს ლექსიც თქვენი იყოს, თქვენი.
რაც იყო და რაც არა, ბედმა რაც არ მაცალა,
რაც მაცალა და კაცობა ეთქმის,
ჩემი იმერ-ამერი და ჩემი მზე ცხრათვალა,
თქვენთვის მინდა, დამილოცავს თქვენთვის!

15.06.16

დეკემბერია თბილისში

დეკემბერია ნამდვილი,
ხეებს დასცვივდა ფოთლები,
რას ქაქანებენ ამ დილით
სკვერში უბნელი ლოთები.
ეს ჩვენი ქუჩის მხვეტავი
რა მოხდენილი ქალია,
თუ გაეხუმრნენ, ნეტავი,
აბა, სხვა რა უხარიათ.
დეკემბერია თბილისში,
ქარს მიჰყვებიან ფოთლები,
რას ქირქილებენ, ვინ იცის,
სკვერში უბნელი ლოთები.

ქალბატონ მზიური დათიაშვილ-ათფციანურს

თქვენმა ხმამ, წრფელმა, ვფიცავარ გამჩენს,
გული გამითბო ნაიარევი,
მწამს, სიყვარული რომ გადაგვარჩენს,
ამაყად მიტომ დავიარები.
ვეთაყვანები გულს, ტრფობით სავსეს
და გულს, რომელიც ტრფობის ღირსია.
დიდება ღმერთებს, ამ ქვეყანაზე
რომ სიყვარული მარადისია.
გული მაქვს წრფელი, ფიქრები წმინდა,
სული ზეგარდმო შუქით ნაფერი.
მე მხოლოდ წრფელი გულის ხმა მინდა,
სხვა არაფერი, სხვა არაფერი.
დიდება ღმერთებს, ამ ქვეყანაზე
რომ სიყვარული მარადისია.
ეს გაუმარჯოს გულს, ტრფობით სავსეს
და გულს, რომელიც ტრფობის ღირსია.

რა დროს დაისია

წლები სულაც არ მაშინებს,
გული ტრფობით ამივსია.
ხან აპრილი არ მაძინებს,
ხან ნანატრი მაისია.
ტრფობით სავსე თუ გაქვს გული,
არ გჭირდება სხვა წამალი.
თუ ნაღდია სიყვარული,
განა, რაა დასამალი?
ვინც მიყვარდა, ყველა მიყვარს,
რომ ავივსო საწყაული,
მიტომ ვეტრფი ყოველ ცისკარს,
მინდა შედგეს სასწაული.
წლები ჯერად არ მამძიმებს,
რა დროს ჩემი დაისია?
ხან აპრილი არ მაძინებს,
ხან ნანატრი მაისია.

უშენოდ

„შენ მოგაყარეს მიწა ბელტებად,
მკერდზე რომ ვარდსაც ძლივს იკარებდი“
გ. ლეონიძე

შენს ლამაზ თვალებს რა დამავიწყებს,
იმ განცდამ დღემდე არ გამიარა,
გული ძალუმად ძგერას დამიწყებს,
რომ მახსენდები, როგორც იარა.
შენს სახლთან ახლოს ჩავივლი როცა,
შემომეყრება სევდა და დარდი.
იმ ლამაზ დღეებს ვიგონებ, ვლოცავ,
დაუფარავად შენც რომ გიყვარდი.

03.12.18

ყველა მიყვარს

ყველა მიყვარს, ვინც ოდესმე მომჭრა თვალი,
ვის მიმართაც სითბო გამომიჩენია,
მაგრამ ერთი, სულით, ხორცით ლამაზმანი,
ყველა ქალებს მირჩევნია!

დავალ ასე, გულზე ტრფობადანახალი,
სიყვარულით სული გადამირჩენია,
მაინც ერთი, თვალხატულა, სხვისი ქალი
მთელ ქვეყანას მირჩევნია!”

შენ და ის

ხომ იცი, რომ შენ მიყვარხარ,
მაგრამ ისიც რა ნაზია,
შენ თუ ატმის ყვავილს ჰგავხარ,
ის ვარდივით ლამაზია.
მარტო შენით კი არ ვხარობ,
მისი ნახვაც მიხარია,
შენ მზესავით მადნობ, ქალო,
ის კი დილის ცისკარია.
შენ მღელვარე ზღვის ტალღა ხარ,
ის – ანკარა წყარო მთისა,
შენ ჭიკჭიკა მერცხალს ჰგავხარ,
ის ჰანგია ბულბულისა.

მისი ვარდიც შემიყვარდა,
როგორც შენი ზამბახები,
მისი ტანის რხევაც მკლავს და
შენი უბის კალმახებიც.
შენ რომ უღვთოდ გამახელე,
ის მირჩენდა იარებსა,
შენ დამწვი და დამანელე,
მან კი ნაზად მიალერსა.
კარგად იცი, რომ მიყვარხარ,
მაგრამ ისიც რა ნაზია,
შენ რომ ატმის ყვავილს ჰგავხარ,
ის ვარდივით ლამაზია.

ლეილა გაფრინდაშვილი

ახალი წელია

ახალი წელია...
სიცივით მობუზულ შიშველ ალვის ხეებს
თოვლის ნაზმა ფიფქმა
თეთრი სამოსელი ტანს შემოახვია,
ამაყად მხრებგაშლილ ნაძვის მწვანე ტოტებს
მკერდში ჩაეკრა და
თავზე შემოავლო თეთრი მაქმანებით
მორთული
არშია!
ახალი წელია...
ოჯახში ფერებად ბრჭყვიალებს
ნაძვის ხე,
თასი, ხილითა და
ნუგბარ-ტკბილეულით
ამშვენებს სუფრას,
ახალი წელია...
და მეც მოსალოცად მესტუმრნენ რითმები,
სურვილებს, ღიმილებს, ალერსს, მოფერებას
ბოლო არ უჩანს.
ახალი წელია...
საათის ისრები 12-ს ჩაეხუტნენ,
გვლოცავს პატრიარქი...
და ყველა ოჯახში სანთელი ანთია,
ახალი წელია....
სუფრას ვუსხდებით და ღვინით სავსე თასით,
ქეიფით, ჰანგებით, ტრფობით ვეგებებით
ახალ წლის განთიადს!

ა ხ ა ლ ი წ ე ლ ი ა....

მოდით ამაფორიაქეთ

ეკუნას და გიგის

თავიანთ სახლს მიაშურეს,
გაიხურეს კარი,
ბებოს თხოვეს, წამოდიო..
მიიღეს უარი.
ახლა მარტო დარჩენილა...
ფიქრებშია ბებო,
ოთხი შვილიშვილის პატრონს
მარტოობა ერგო.
კარს აღებს და თვალწინ უდგას
ჟღურტულა ჩიტები,
ფანჯარაზე მიხატული
გიგუჩას თითები.
ნახატები, სურათები
კედელზე გაკრული,
ტანსაცმელი არეული,
 სამყარო ზღაპრული.
კომპიუტერს მიჯაჭვული
ეკა, თოვლის ფიფქა!
ბებო ზის დაღონებული,
გაიტაცა ფიქრმა.
მათთან ჩხუბიც და ალერსიც
 ენატრება ბებოს,
რა აზრი აქვს მათ გარეშე
 სახლ-კარს ანდა ეზოს?
მოდით, ამაფორიაქეთ,
 ბებოს ასე უნდა,
 ბევრ სიყვარულს მე გიბოძებთ,
 თქვენ მომეცით ხურდა.

დედა ენავ

შუბლცხებულო უფლის მადლო და მირონო,
ლალ-ზურმუხტო, ფირუზო და საფირონო,
ყურთასასმენად ნატიფო და საამურო....
დედა ენავ!...
ერის მტკიცე საგანძურო.
მამა-პაპის, ღმრთის, ლაზარეს ნატერფალო,
ცეცხლის ალო, სანთელო და ნაპერწკალო,
დაუღლელო, მომხვდურთან ხმალაღმართულო,
სამეტყველოდ საროსტანად გამართულო.
ერის პულსო, ფეთქვავ, გულის ამღერებავ!
ბულბულის და იადონის აჟღერებავ!
ღრუბლებით და ქარიშხლებით ნასეტყვარი...
სისათუთევ, მაინც გიჭრის სატევარი.
ალმასის და ბრილიანტის სამაჯურო...
დედა ენავ!... სისხლნაჟღენთო საგანძურო...
ქარიშხლებზე, ბეწვის ხიდზე ნატარებო
დედა ენავ!.. სანატრელო!

მიხმობს!

ფიქრი მიხმობს,
ცის სივრცეში შევიჭრა,
მძინარე მზე მოვიპარო ღამით,
ციმციმ, ნაზად, ფეხაკრეფით ვატარო.
მწვანე მოლზე, დაცვარულზე ნამით.
მზეცხრათვალას ხელისგულზე დავიდებ
და ფეხდაფეხ შემოვივლი სამყაროს,
ყველა სახლის კარს ხალისით შევაღებ
მზის სხივების სტუმრობა რომ ვახარო.
მთის ყვავილებს ტანზე გროვად ავისხამ,
შევიკერავ ჭრელხატულა კაბას,
ვერხვის ფოთლებს სირმის ძაფით მოვქარგავ,
დედამიწას დავაფარებ საბნად.

ხელისგულით დავარიგებ სითბოს....
ჩემი ქვეყნის ერთგულება მიხმობს!

მეეზოვე

ალიონზე, როცა ქალაქს სძინავს,
მეეზოვე დატრიალებს ქუჩას,
ეფერება ხეს, ბუჩქსა თუ ფოთოლს...
გვის, ნაგავს კი ბოლო აღარ უჩანს.
ტვირთს მიათრევს გადაღლილი მხრებით,
წლების შრომა დასტყობია ხელებს,
ცოცხით ხელში, ღიღინით და სევდით
გვისუფთავებს ბაღებსა და სკვერებს.
ქედს არ უხრის, არ ემორჩილება,
ზაფხულის ცხელ, ზამთრის პირქუშ სეზონს,
პატივი ვცეთ მეეზოვის შრომას,
გავუფრთხილდეთ ჩვენს ქუჩას და ეზოს!

ლექსის ცრემლები

დღევანდელ დღეს რაღაც საქმე დავგეგმე,
მაგიდაზე შემოვაწყვე ნივთები,
გულისყურით შევუდექი შრომას და ...
უცაბედად თავს დამესხნენ რითმები.
არ მაქვს-მეთქი ფურცელი და კალამი,
მოვიტყუე-ვერ აგაწყობთ ლამაზად,
მუზა ყელზე შემომეჭდო ვედრებით,
რითმა ტირის, ჩემს ტყუილზე გაბრაზდა!
თვალის მზერა ზეცას მივაპყარი და
დავიჭირე ხელში კრიალოსანი,
ლექსის ცრემლებს აბა როგორ გაუძლებს
მეოცნებე, პოეტი თუ მგოსანი!?

ისევ ლექსის მხიბლავს ლაბირინთები.....
ისევ მუზის გვირგვინებით ვირთვები!

მოვა

ფარჩის კაბას ჩავიცვამ და...
ფრთებშრიალით ჩაგიქროლებ,
ხიბლით მზერას მოგტაცებ და...
გზად თილისმად გავიყოლებ.
თავს ჯარივით დაგესხმევა
ამხედრებულ ფიქრთა გროვა,
მერე ...ძებნას დამიწყებ და...
მერე... სიყვარულიც მოვა!

მზია ელიაძე

ბრუნავს წისქვილი

ბრუნავს წისქვილი და იხსენებს თავის დარდ-ვარამს,
წარსულ დღეების ნოსტალგია გულ-გონს უღონებს.
წყლით ნალოკ ლოდებს ამჩნევია დროთა დაღარვა;
ბებერი მუხაც ნამოქმედარს მიკვირს, უწონებს!..
ქალი ფქვილისგან დასვრილ ხელით იწნავს დალალ-კავს
ფიქრში ჩაძირულ კოფოზე მჯდარ კაცს თვალს უსწორებს,
ო, უხარია მისი ნახვა, მისი დანახვა,
იმედის მომცემ გზას იმოკლებს დიდს და უშორესს!..
... ბებერ წისქვილის ფართო მკერდზე უკვე დაზამთრდა.
ხანი? სირცხვილი სულ არ არის! დიდ გზას უმოკლესს
უცებ გატარებს და ხვდები, რომ ჟამი დამთავრდა!
ჯაფა-გარჯისგან გადაღლილ გულს რომ უფონებს!..

19.09.2018

შენიდან ჩემამდე

ტარიელ ხარხელაურს
ლექსის პასუხი

შენიდან ჩემამდე მართლაც რომ შორია
ოცნება ნატვრად მაქვს ქცეული, შეგეხო!
ქარაფის ნამსხვრევში ენძელას ზოლიანს
ჰგავხარ, ჩემო, გნატრობ, მინდა სულ გეფერო!
მზე ჩითის კაბაში მორთულ-მოკაზმულა
საამო ცვარ-ნამით ცხელ გულ-მკერდს იგრილებს,
მეც მინდა მასავით ვილაღო ქვეყნად და
მარად ჩემთან იყო, ხელს არაოს მიშვებდე!..
ჩვენი ერთად ყოფნა ო, როგორ სწორია!
განგების განძი და ჯილდო ხარ, შენ, ჩემო.
ენძელას მშვენიერს და პირ-ტუჩმადლიანს
თოვლიც კი ქედს უხრის, და მე არ გეფერო?!
...შენიდან ჩემამდე არც ისე შორია,
თუ გსურს ჩემთან ყოფნა, სიკვდიმდე გელოდო!..

06.06.2018

ანი-დან ჰაე-მდე

ანი
ბანს
გულით,
დიადად
ეფერებოდა
ვაზში
ზეცაში
თავისუფლება
ისწავლა
კანით
ლასით...

მტერო,
ნუ
ორგულ-
პაექრობ;
ჟამო,
რაოდენ
სწუხხარ?!
ტყვია
უდრეკი
ფარია
ქართველ
ღინღლიან
ყმისა!..
შენს
ჩამოსანთლულ
ცვარს,
ძირძველს
წამი
ჭედს
ხმლით,
ჯვრით,
ჰანგით...
დიდება თავისუფლებას!
თავისუფელბას, ამინ!
დიდება ქართულ გენიას!
დიდება, ამინ! ამინ!..

ვალენსია
07.08.2018

გიორგი სხვაძეს

წუთისოფლის ბობოქარი ჟამთასვლა
ქართველ კაცზე ფიქრი დარდ-დაულეველი.
ფათერაკ-განსაცდელ დროთა აღმასვლა
სამშობლოსთვის შეწირულ-დაუდეგი!..
რწმენით მდგარი მარად გოროზ, ამაყად
დღე-ღამ ფიქრი მამულზე დაუშრეტი.
ომით დაღლილ, ტანჯულ მიწას, არამდგრადს
მამულს გლოვობს, გმირი, ერს „აქილევსი“!..
საქართველო იყო მწარედ დაშლილი:
ქართ-კახეთად, იმერეთად, გურიად,
სამეგრელოდ, აფხაზეთად, მესხეთად
და ვინ მოთვლის კიდევ, რამდენ
მტრის ლუკმად?!.
ჰოდა, იმედს, ბედშავ სიდუხჭირის ჟამს,
დაცემ-დაქვესკნელების მოლოდინში;
ღმერთი გვივლენს გადარჩენის დიდ ხსნა-გზას
სააკაძეთ წმინდა სპეტაკ ოჯახით!..

23.09.2018

ჰვცა სხვაძე

ჰატარა ქვეყნის პატარა შვილო
ვღმატებულო, მამის ტკბილძეო;
ვლავერდს აგერ, მკერდზე სისხლი სდის
ცკივილს არ იმჩნევს, მტარვალს ხვდება ხმლით!..
ვრ შეუშინდი სისხლისმსმელ, ავ შაჰს
ხამშობლოს გულით დაედე შენ, მტლად!
ვლესილი ხმლით აგკუწა, ტკბილო,
ვნთებულ სანთლად ზეცამ მიგიღო...
ჯოლხ-იბერთ გენი ვალშია შენს წინ!
ვჰ, აგისრულდა ყოფნა მამულში...
ძევ, გიორგისა, სააკაძისა
ეამაყები, სამშობლოს მარად!..

ქართა ქროლვა

მოუქარგავს, მოუკაზმავს შემოდგომას ოქროს მკერდი,
სურნელებას მიმოაფრქვევს, გააგიჟა ფრინველ-მწერი.
თმაგაშლილი შემომჯდარა ცის ტატნობზე ჰა, მზე ეტლით
და სიყვარულს ეფიცება ირგვლივ ყველას, ხარობს, მღერის!..
ქართა ქროლვა შეაჩერა ოქტომბერმა ოქროს ფერით,
ცვარ-ნამით დათრთვილულ ყვავილთ ტუჩს უკოცნის, ვნებით ეტრფის.
იალაღზე ჰანგი კვნესის, ფარას უდგას ნორჩი მწყემსი
ზეცა-მიწის ჰარმონია მოსდებია მამულს გზნებით!..
გემო-სურნელით გაგიჟდა შემოდგომა ოქროსფერი,
ზამთრის სუსხი თავს ახსენებს, ხეთ აშიშვლებს, ფოთოლთ ებრძვის.
უკან იხევს მადლიანი რთველის დედა სექტემბერი,
ღრმა ძილისთვის ემზადება, წასულ და-ძმათ უხმოდ ერთვის!..

26.09.2018

ზაფხულის გარდასვლება

ხოდაბუნებში ჩაკარგულა მწველი ზაფხული
მწვანე სამოსი გასცვეთია, ცრემლი ღვარად სდის;
სიყვარულისგან გალაყული, ვნებას ნატრული
მწარედ მიითვლის დარჩენილ დროს მხრებჩამოყრილი!..
ქანცგაწყვეტილი მთვარე ბწკარით ჰკიდია ცაზე
საშინელ გრიგალს ელოდება, გული უსკდება;
სევდანარევი, მოწყენილი ფართო პირ-სახე
ნელ-ნელ ელევა, ეკარგება, უკრთებ-უკვდება!..
გაყუჩებულა ღამის ბინდიც ფიქრდაზაფრული
მთათა უბეში ჩასვენებულ მზეს გრძნობით ელის...
ხოდაბუნებში გამქრალ-ჩამდნარ მწველი ზაფხული
ოქროსფერ კაბით ქრებ-ილევა, წამებს მიითვლის!..



გერონტი მესხი
(სამაჩაბლოს ბულბული)

ჩემო სამაჩაბლოვ!

ცისკენ ქედებაწვდილს თიღვის ტაძრის მადლი
მოჰფენია მხარეს და ჩემს სულშიც ატანს.
სიო ძუძუს მაწვდის ფრონის ჰავით გაზრდილს,
როგორც ცხვარი-ფარეხს შემოგდებულ ბატკანს.
სულში ხელი აწი არ წაგიცდეთ არვის,
მოიშორეთ რიგით თოფი,ბოღმა,ტყვია.
ღმერთმა შექმნა კაცი-ნუ ენდობით დარვინს —
და მას შემდეგ იგი სიყვარულის ტყვეა.
თემურ-ლენგი გმირად ჰყავდა მონღოლს როცა,
აოხრებდა ქვეყნებს უსწრაფესად ელვის...
ვამპირსა და ტირანს ერთეული ლოცავს,
ხოლო, წყევლა-კრულვით მილიონი წყევლის.
შენს წიაღში ვერ შობ ურჩხულს, მის მსგავსს, ვიცი,
მხარევ, მადლისწყაროვ, მხარევ-სწორო მშობლის...
გამოვაცხობთ ნამდვილ მერმისს ურყევ ფიცით
გვიან, მაგრამ, მაინც, როგორც კვერებს ობლის.
ფონს კვლავ ძაბავს ვიღაც... არ დაგვაჭრას ხახვი!..
თუმცა ვფხიზლობთ, მაინც, ბურანს ვებრძვით ჯერაც.
სიყვარული, პირზე ამბორით და ნახვით,
კვლავ მორევში ბრუნავს... ფონსაც ნახავს, მჯერა!
მთანო ლიახვისა, არემარეს მშვენნო,
ფრონის ხეობაო, ფერად-ათასფერო,
ჩემო სამაჩაბლოვ, ჩემო ახალშენო,
ჩამიხუტეთ გულში, უნდა მოგეფეროთ!..
გადღეგრძელოთ ღმერთმა!..
ცამდე აგაშენოთ!

2012 წ.

ფრონის ხეობის კიდევ ერთხელ მონატრება

ეს მერამდენედ გადაიდარა
და ოხშივარი ასდით მთა-გორებს.
ადრე რომ ჩქეფდა, ახლაც იმგვარად
მოსჩქეფს ფრონე და ყრმობას მაგონებს.
თითქოს გაურბის მეგზურ მთის ქედებს,
ცას რომ ერწყმიან დასაბამიდან.
...აქ მიჰპარვია გაფურჩქნილ ედემს
და, მგონი, იმ ვაშლს, ევა თავიდან...
აქ სცეს პირველად შემქმნელს თაყვანი,
ლელოც, ოდითგან, აქ გამართულა.
აქ გაუთლიათ უწინ აკვანი,
ნანას იმღერდნენ მუდამ ქართულად.
აცვივა ნატურმორტი ნიადაგს,
ღვთის ფერთა გამა იშლება ფერხთით.
სამოთხის ჰავას ყნოსავ ნიადაგ,-
აქ უღვთო დროსაც ღმერთობდა ღმერთი.
წრფელი ლოცვები დამდევდა დედის
და ვდევდი ბილიკს, გაკვალულს მამის...
გასროლამ უცებ შეწყვიტა ბედი
მათი და... სუსხიც შევიგრძენ ღამის...
მაგრამ, მშობელი არასდროს კვდება,
როგორც სამშობლო, სხვისას რომ არ ჰგავს.
ნანი-ნანატრი ორივე ხდება,
მით უფრო, როცა უაზროდ ვკარგავთ.
...ფრონის წყალს ისევ ვივსებ ჭაშნიკად
ღვთის სითხედ ნაქცევს ვაზის ფესვებით.
სივრცის შეკვეცამ ფიქრი დაშრიტა
და სულს, დაჩეხილს, თრთოლვით ვეხები.
მზე გამოაფენს კვლავ ცისარტყელას
ფრონისპირს, ქედზე, ლაჟვარდის ბოლოს.
ჟამი ნამუსებს მოაწმენდს ყველას,
ევას ცოდვები დაგვრჩება მხოლოდ.
ეს ქარბორბალა რაღას დაეძებს,
გადახვეწილან გამკვრელნი კვესის...
პინას, თემიდის, კუთვნილ მხარეზე
გადახრის ღმერთი, სიმართლის მთესი...

2014წ.

გამარჯობათ, დევნილებო!

გამარჯობათ, დევნილებო,
ჩემი კუთხის შვილებო!
ჩუმი სევდა აგყოლიათ
მშობლიური მიწიდან.
ფრონის პირას ჩარჩენილი
ფესვები, თუ ძირები,
ანდამატის ძალით გბოჭავთ
და თავისკენ გიზიდავთ.
მერამდენე შემოდგომა
ჩამოთავდა ლიახვთან,
უთქვენოდ მნიფს ხეჭეჭური,
ლარს ვაზი აქვს მიმხმარი.
ვინც თქვენს ფუძეს დაგაშორათ,
სულში ძაღლი მიაკვდა,
გადახდება ყველაფერი,
ვით კოშმარი სიზმარი.
მერამდენედ დაგიბერათ
ქარბორბალამ ირიბად,
მარცხიანი ბედისწერა
ცუდ განაჩენს მიაგავს,
განსაცდელი ხურდასავით
როგორ ჩამოგირიგდათ,
ან, რა ძალით უმკლავდებით
საზრუნავთა ნიაღვარს?
ლიახვიც ხომ ფრონესავით
გულით უხმობს თქვენს გულებს,
ფერს იცვლიან ოცნებები
დროის პირქუშ სრბოლაში.
ვერც რა ძალა ვეღარ გაგტეხთ
დრო და მიზნის ერთგულებს,
დაიჩოქებს ეს ზამთარიც
პრინციპებთან ბრძოლაში.
ღრუბელს ქარი გადადენის,
გადაწმენდავს კაბადონს,
ცამ დალახვროს დღე დაცემის,
ამაღლების დროც დგება.
ღმერთმა ქნას, რომ
თქვენმა თხებმა
სულ ტყუპები დაბადონ,
მატიანის ხსოვნად დარჩეს
წუხილი და გოდება.
ძმები-ძმისგან დევნილები...
ვერსად ნახავთ ამდაგვარს...
დამიჯერეთ,
ვიდრე კალამს
შეშრობია მელანი:
მე დევნილიც რომ არ ვიყო,
თქვენი ალი დამდაგავს,
ვიდრე გვყვანან დევნილები,
დევნილნი ვართ ყველანი.
გამარჯობათ, დევნილებო!..
შავბნელ დარდებს ნუ ჰგუობთ,
ავდრის ნაცვლად მზე იბრწყინ-
ნებს
ლიახვს ზემოთ,
მშვიდ ცაზე...
ხიდი, განზრახ ჩატეხილი,
გამთელდება უთუოდ,
ისევ
მტრედი
იღუღუნებს
სამაჩაბლოს მიწაზე...

2012 წ.

ხამსჩაბერო, ფრონისპირი

ღვთით ნაკურთხი ნატურმორტი
მეძალება ახლაც შენი
თვალწინ კრთის და ნატურ მორბის
ჩემი ყრმობა... ახალშენი...
ორი ერი .... ბიჭი.... გოგო...
ვარსკვლავს ვწყვეტდით ციდან ყველა.
ვუხდებოდით სოფელს, როგორც
შვიდი ფერი – ცისარტყელას.
დარს ვჭვრეტდით და ვხვრეპდით ავდარს,
სხივებს პეშვით ერთად ვკრებდით.
ღვთისმშობელი ერთი გვყავს და
ლოცვებს მის წილ აღვავლენდით.
ერთი მიწა, ერთი ქედი,
ერთი ცა და ერთი მდელო...
ქალთან მორცხვი ეტიკეტით
აღმოთქმული სადღეგრძელო...
ერთად შეგვძრა ეშმას ნებამ:
ძმამ ძმის სისხლი ვალად იდო.
დამოყვრება, ქორწინება
ულვთო დროით გადაიდო.
მერე გაწყდა სუსტი რგოლი,
და იმ „ნებამ“ გაგვყო სამად
და ჩვენი ფრე: ნოლით-ნოლი
დაგვაგესლა მანვე შხამად.
დრო ხელთ იგდეს გარეწრებმა
და დამუხტეს მშვიდი ფონი,
ფინიშის სწორს გარე მტრებმა
დაგვიგრძელეს მარათონი.
ნაძირალა გვყავდა საცა,
შუბი სტყორცნა ძმობას ნაცადს.
ვინც მახვილი ქართველს ჩასცა,
ნაღდი ოსი არც თვლის კაცად.
ომს მოგება არც ეწერა, –
ძმა ძმის კარგვის გამო ჩივის!...
ამოვშანთავთ მარცხის კერას, –
უკუნს სხივი გამოსჭვივის.
... ჩვენს მდინარეს ფრონე ჰქვია,
ჩემს ძარღვებშიც იგი ფეთქავს...
ხვალ რომ ვინმე მომეხვიოს,
მინდა, ოსურ ტონზე ეთქვას,
რომ ღებულობს გამოწვევას –
ერთურთს დავკრათ მხარზე ხელი,
რომ სჯობს, ისევ ქიშპს და რღვევას,
ვიყოთ სტუმარ-მასპინძელი.
ისევ ერთად, თუნდაც მზეში,
ვუმარგლიდეთ სიმინდს ბალახს.
და, ჩვენს თვალწინ, ორღობეში
ასდიოდეს ორთქლი ტალახს.
ჭკუას ვტოვებ ხეჭეჭურზე, –
ზურგს ვუჩვენებ მტვრიან ქალაქს
და ჩემს მსხლის ქვეშ, განა ჭურზე,
ოსს შევუვსებ სირჩა არაყს.
... ღვთისმშობელი გველის თმენით:
სალოცავი ჩვენიც, მათიც.
გამოკრთება, მჯერა, რწმენით
ციდან ძმობის ათინათი...

2012წ.

ედვარდ უგულავა

***

ვფიცავ სიცოცხლეს და შენ თავს ვფიცავ,
მე რომ ვნატრობდი, ეს არის ის ცა..
მზე წამოადგა თავზე ქვეყანას
და ერთი მწარე სილაც კი სტკიცა.
ხან სულ მარტივო და ხანაც რთულო,
ნეტა, ვიცოდე, რას დარდობ, გულო,
ღმერთმა ერთი დღე კიდევ გვაჩუქა,
რა გაქვს სათქმელი და საწუწუნო!

რა შეგაშინებს

აქვს უცნაური განცდა სიბერეს,
მკერდზე მობჯენილ ცივი ლულების...
ტანზე ჯირითით გადაგირბენენ
მერნები, ფლოქვებდანალულები.

აქვს ჰაერს სუნი გასროლილ მასრის,
ცდილობს საუბარს სული სხეულთან...
ეს ტკივილია – მზის წითლად ჩასვლის
და სევდა – ცერზე წამოწეულთა.

მოსრისავ ხელში ფოთოლს სილიანს
და შეგიმჭვარტლავს დარდი სამშვინველს,
მაგრამ თუ გიყვარს – ნუ გეშინია!
თუმცა თუ გიყვარს – რა შეგაშინებს?!.

***

მგონი, რაც უფრო შევდივარ ხანში,
მშვიდად ვეჩვევი უცხო ალმურებს.
სხვა მელოდიას უკრავენ ქარში,
თითებს უწყობენ სხვა სალამურებს.
დგას ახლა სახლში სურნელი ვაშლის,
ვესაუბრები ბროლის ამურებს,
მაგრამ ეზოდან ტირილი ბავშვის
ამ დღესაც სევდით ასათაურებს.
ჩანან ბავშვები ცაცხვების გვერდით,
მიწას აყრიან ცისფერ სასახლეს
და წამებს ითვლის საათი კედლის...
ბავშვებმა მკვდარი ჩიტი დამარხეს...
და როგორც ხელი, შვილმკვდარი დედის,
სარკმელთან ცაცხვის ტოტი ცახცახებს...

***

უკვე დატოვეს გული მერცხლებმა,
შუბლიდან მძიმედ ვიწმენდ მარილწყალს...
ჩემს ხმაზე ფერი რად არ გეცვლება,
ან ჩემი სახე რამ დაგავიწყა?!.
ვინ გაგიმეტა ასე საშინლად,
შენგან წარსული ვინ გამოდევნა,
წვეთი შხამიც რომ არ შეგარჩინა,
ან სიხაული ცრემლის ოდენა...
როგორ უბრალო ნავით ეცლები
ჩემს სიგიჟემდე მღელვარ სამყაროს...
ნეტავი ვისკენ ფრენენ მერცხლები,
რომ გაზაფხულის მოსვლა ახარონ...

შავო მოცხარო

შენ ვერ გაიგებ, შავო მოცხარო,
ვის როგორ კაწრავს სული ჯებირებს,
ის არც კატაა - ყურთან მოფხანო,
აკრუტუნდეს და წამონებივრდეს.
იგი ყველასთვის ტკბილიც არ არის
და ზოგჯერ სულსაც სული ელევა,
ხანდახან ასდის სუნი სამარის,
ხან გაზაფხულის აქვს სურნელება.
ახლა არ მიწვავს თვალებს ნაცარი
და ამწვანებულ ველზე ნახარებს,
გადაგაწყდი და ძვლები გამშრალი
შენს მკვახე ჩრდილქვეშ წამოვახვავე.
შენს თავზე ქარი ღრუბლებს მიდენის,
თუ მზე სხივებად დაგეზოლება,
სულ არ გაღელვებს, რომ ამ მინდვრების
იქით იწყება სულ სხვა ცხოვრება.
იქ ვერ ეტევა ბევრის სამყოფელს
და მათი ვნება ისე დიდია,
არ ესმით, მაგრამ იმდენს ლაყბობენ,
რომ ენა ლამის ზურგზე ჰკიდიათ.
შენ კი შრიალებ შენ წილ მზიანად,
სარგებლობ ქვეყნად ყოფნის უფლებით...
სიმართლე რომ ვთქვა, მე შენ კი არა,
უბრალოდ ჩემ თავს ვესაუბრები.
თორემ შენ ნაყოფს კიდევ დაისხამ
და მარტოობით დაღლილს ესოდენ,
არ გესმის, მაგრამ ჩუმად მაინც ხარ,
ეს რამდენს ნიშნავს... ნეტა გესმოდეს...

***

როცა გაძარცვულ ცაცხვებს და იფნებს
უცქერ და სული ჟრუანტელს ითმენს,
წაგიღებს სევდა, ვით ტალღა მეცხრე
და ხომალდივით მიგაფშვნის რიფებს.
ვერ ეჭიდები როდესაც ვერც ხავსს,
როცა ზამთარი სიმშვიდეს რეცხავს,
რა დიდებული იმედი მოაქვს
თუნდ ნაადრევად მოფრენილ მერცხალს;
და მერე სულის სიცივეც იტყვის,
როგორ აშინებს სურნელი კვირტის,
როგორ ეყრდნობა სიცოცხლე დღემდე
უმწეო ბავშვის ნაბიჯს და ტიტინს.
სხვა სიმაღლე აქვს ამ გრძნობას უთქმელს,
იმ დაუვიწყარ წამებს და წუთებს,
პირველ შვილს აკვანს რომ ურწევ, ანდა
მომაკვდავ მშობელს ღამეს რომ უთევ;
და ამის შემდეგ, თუ იცი, ნეტავ,
რომ შენ ჯერ კიდევ სიცოცხლეს ბედავ...
და გული – ყურზე უკეთ რომ ისმენს,
და გული – თვალზე უკეთ რომ ხედავს,
რა ძნელად ხვდება, გაჩენის დღიდან,
რომ ერთხელ მაინც ნამდვილად ღირდა,
ასე უღმერთოდ ნაწამებ ღმერთის
ცოტა ხნით მაინც ჩამოხსნა ჯვრიდან...

ლეილა ვადაჭკორია

***

„ხელი ხელს ბანს,
ორივე პირს“,
მესმის გამიგია ასე,
ღმერთო, ხშირად გამაგონე
მადლი დაუდია ქვაზე.

რა ვქნა უფალო

რა ვქნა უფალო, ვერ გაუძელ
ამდენ სიმწარეს,
დამფრთხალ სულიერს, ფესვებიდან
მოგლეჯილ ხეებს,
კედლების გმინვას, მიმოფანტულ
ფოთოლთა გროვას,
სასომიხდილი რომ იშვერდნენ
საშველად ხელებს.
მე კი უძლურმა სიმწრისაგან
ვწყევლე გრიგალი,
ცოდვილი ხარო, მომაძახა
ცოდვილმა თვითონ,
შენი ხელქმნილი სამყაროს ხომ
მეც ვარ ნაწილი,
ჰოდა უფალო, ისევ შენგან
შენდობას ვითხოვ.

მინდა დაგტოვო

მინდა დაგტოვო რომ გიცქირო
შორით მდუმარემ,
თავო, რომ უკეთ დავინახო
შენი ავ-კარგი,
როგორ მიყვარდი, ვერ გაგწირე
სხვათა სანაცვლოდ,
ანდა პირიქით, სხვის სანაცვლოდ
შენ რომ გკარგავდი.
მინდა დაგშორდე, სადღაც მარტო
დავიდო ბინა.
თუმც მარტოსული არ ვყოფილვარ
ადრე ბუნებით,
დრო გავა, ვიცი მიმიზიდავ
ანდამატივით,
და თავო ჩემო, მონატრებულს
დაგიბრუნდები.

წიდი წიდის წიდ

ჩემი სამშობლოს წალკოტი
წაულეკია ქარცეცხლს,
შორს უდაბნოში ვარწყულებ
სემირამიდას ბაღებს.
სხვის ციხის კედლებს ვერკინე
ნეტავ რისთვის და რატომ,
აქ სული რატომ მელევა
ქაჯეთის ციხის პატრონს.
წილი წილის წილ, მადლი მადლს
მოიტანსოო, გჯერა,
მინდორში ბიჭი აძოვებს
თავის მარჩენალ ჭრელას.

კახა სამყურაშვილი

ლაშა ტალახაძე

ლაშა ტალახაძე დაიბადა 1993 წლის 2 ოქტომბერს საჩხერეში. 2015 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული. 2016 წელს ნორვეგიის ქალაქ ფერდეში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ტალახაძემ ჯამში 463 კილოგრამი დაძლია და ევროპის ჩემპიონი გახდა, ხოლო ატაცში 212 კილოგრამის დაძლევით ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა[4].

2016 წელს რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიური თამაშებზე ატაცში 215 კილოგრამი დაძლია და ამ მაჩვენებლით სულ რამდენიმე წუთით ახალი მსოფლიო რეკორდის მფლობელი გახდა. აკვრაში ტალახაძემ მესამე ცდაზე 258 კგ. აწია და საერთო ჩათვლაში 473 კილოგრამით ახალი მსოფლიო რეკორდის მფლობელი გახდა. ამ შედეგით ოლიმპიადის კვარცხლბეკზე უმაღლესი ადგილი დაიკავა.[5][6] ხოლო 2017 წლის ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც ხორვატიაში გაიმართა, მან ატაცში 217 კილოგრამი დააფიქსირა და ამით ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. 2017 წლის დეკემბერში აშშ-ის ქალაქ ანაჰაიმში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ტალახაძემ ატაცში 220 კილოგრამის დაძლევით მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა, ხოლო საერთო ჯამში 477 კილოგრამის დაძლევით მან კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი დაამყარა[7]. 2018 წელს თურქმენეთის დედაქალაქ აშხაბადში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ტალახაძემ 474 კგ. დაძლია და მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა.

2017წ მსოფლიოს წლის საუკეთესო ძალოსანი კაცი - ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, ქართველი ლაშა ტალახაძეა. ასევე საქართველოს 2017წ წლის საუკეთესო სპორტსმენის ტიტულის მფლობელი.

არის ღირსების ორდენის და ბრწყინვალების ორდენის კავალერი.

ლაშა ტალახაძეს

მშობელ ქვეყანას მოხსენი ტვირთი
(ხალხი გმირთაგმირს ბედად ელოდა!)
და დედამიწას დაასვი ტვიფრი:
– მძლეთამძლე ლაშა საქართველოდან!
შეძელი მეტი, – რაც გმირს მართებდა:
– სულით და გულით გბაძავს თაობა,
ქართველს მიეცა კვლავ შემართება,
წინაპართ ძალა, გამბედაობა!
ძალად გაქვს რწმენა, ჯიში და გვარი,
– ამგვარად კაცი ყველა მტერს დაძლევს!
მუდამ ამართლებს შენი პირჯვარი,
ზეკაცის ძალებს თვით ზეცა გაძლევს!
შენ პაექრობებს მოუღე ბოლო,
მოსპე ქიშპობის შნო-ხასიათიც,
ანდა აწ ვისღა უნდა ებრძოლო,
დავითიც შენ ხარ და გოლიათიც!
შენ ვარსკვლავებთან ატყორცნე ტვირთი,
პლანეტა თავის ვარსკვლავს ელოდა!
და ამოტორე ხმელეთზე ტვიფრი:
– მსოფლიოს ლაშა საქართველოდან!

10.11.2018წ.

ზეინაბ ასისტიშვილი

ნეტავი სადამდე

გახსენება მაქვს: ბავშვობის, წარსულის,
გაჭირვების და რაღაცის ატანის,
მაგრამ ლამაზი: მშვიდი და გამთბარი,
სიკეთის, გართობის, ერთურთის გატანის.
საღამოს სიმღერა, დიდის და პატარის,
ცხოვრების, იმედის, შრომისგან დამტკბარის,
ლუკმის მიწოდებით, გამხნევებით,
დამმარცხებელი, ვიყავით სატანის.
ახლა კი რას ვხედავ, მორებით ჩახერგილს,
სიკეთე, ხალისი არ მოდის ჩვენამდე,
დამძიმებულ მხრებს, უიმედობას,
ყოველდღე არ ვხედავდე, ნეტავ მე.
რა მძიმე ტვირთი გვაქ, საზიდი, სათრევი,
ვატაროთ ნეტავი, ნეტავი სადამდე?
მომავლებს ნუგეშად ნეტავ რას ვუტოვებთ,
ვის აბარია ამ ქვეყნის სადავე.
ფიქრებით დაღლილი დიდი თუ პატარა,
უფალო სწორი გზით, სიკეთით ატარე,
მხოლოდ თქვენა ხართ, პატრონი ჩვენი,
თქვენი წყალობით მშვიდობით გვატარე.
მოხსენით ცოდვიანს ძალა და უფლება,
მოძმეს რომ არ ინდობს, სტანჯავს და აწამებს,
უგულოდ გამხდარნი, ქვეყანას გვისპობენ,
ძალაუფლება ძლიერ რომ ახარებს.
ტურებად გადიქცნენ, ყმუილით დარბიან,
ძარცვავენ ქვეყანას, ყველაფერს მალავენ,
ნეტავი რად უნდათ ასეთი ცხოვრება,
დღეს თვითონ იპარავს, ხვალ კი მას პარავენ.

ვუძღვნი პატრიოტ ახალგაზრდა ვაჟკაცს, რომელიც თავის ქვეყანაზე, სოფელზე, თავის ხალხზე უზომოდ შეყვარებულია. კეთილი საქმის კეთებით არის დაკავებული, ღმერთმა დალოცოს და გვიმრავლოს ასეთი ერთგული შვილები.

დავით ხახუტაშვილს

სიყვარულით სავსე გულით,
გადმოსცქერი მთა და ველებს,
გაზაფხულის სილამაზე
გისაჩუქრებს ნაირ-ფერებს.
შენი სოფლის სიყვარული,
ბავშვობიდან თან გქონია,
სადაც წახველ, თან დაგყვება,
მასზე ფიქრი გაგყოლია.
ერის შვილი შენისთანა,
ბევრი ჰყავდეს უნდა სოფელს,
შენს ვაჟკაცობას შევაქებ,
დაგილოცავ ძვირფას მშობელს.
ამღერდეს და გალამაზდეს,
ჩვენი დედა საქართველო,
კახეთის ახალსოფელმა,
დაგლოცოს და აგამღეროს.
ღმერთმა მოგცეს დიდი ძალა,
შეგისრულდეს რაც კი გინდა,
ჩვენი დიდი იმედი ხარ,
შენი მსგავსი ბევრი გვინდა.

ოჯახი მშვიდი

მშვიდი ოჯახი, ნეტარება,
კეთილი, სათნო,
ბევრი არ არის,
სიმშვიდისათვის, ყველაფერს დავთმობ.
რაა? ცხოვრება,
სადაც არის აურზაური.
მილიონიც კი ფასს დაკარგავს,
ხდება „შაური“.
წესიერება, სათნოება,
ოჯახი მშვიდი;
პატივისცემა ოჯახში ყველას,
განძია დიდი.

***

ვაჟკაცი უნდა ასეთი,
რომ გიყვარს შენი სოფელი,
კეთილ საქმეებს აკეთებ,
ბილიკს იებით მოფენილს.
შეჰხარი როგორც ღვთიური,
გიყვარს ბალახი ცვრიანი,
შენს გულში აყვავებულა,
საქმენი შედეგიანი.
დაგლოცოს წმინდა უფალმა,
გლოცავდეს წმინდა ჯვარით,
ნაკურთხი წყალი გასხუროს,
იხარე უფლის ძალით.
მშობლების გამართლება ხარ,
არ გავიწყდება სხვა.
შენი სიკარგე მახარებს,
მზე გინათებდეს გზას.
ამ ჩვენს კურთხეულ მიწაზე,
ხარობდეს ჩვენი ერი,
ამას იმედით ვუცქერ,
ამას ნამდვილად ველი.
გულს უხარია ძალიან,
ჩვენი მიწა-წყლის ხარ.
ლოცვას სიყვარულს გაჩუქებ,
სხვას რას გაჩუქებ, რას?

მზე ჩაესვენა

მზე ჩაესვენა,
ნეტავ ისევ ამობრწყინდება?
დაველოდები, ისევ ამოვა,
რომ მოსწყინდება.
გააღებს კარებს,
გამოანათებს, ჩვენი მნათობი,
და სიყვარულით გაგვახარებ,
როგორც გვართობდი.
ცას მიაჭედე,
ჩვენი გულის ნაიარევი,
ისევ სიცილით,
ბედნიერი დავიარები.
გულიც გამთბარა,
სითბო და სიტკბო ჩაღვრილა მარად,
სხვა არა მინდა,
მზე ხომ გვანათებს და ესა მკმარა.

ღმერთისგან მჯერა

ჩემი სამშობლოს, ტკივილი მტკივა,
ის დაჭრილია, მე კი მდის სისხლი.
წვეთებით უკვე გამძღარა მიწა,
ამ დროს ხარბი კი სიმდიდრეს ითვლის.
მე შემოგფიცე, ჩემო სამშობლოვ,
იცი, ამ ფიცით გეხვევი შენა,
თუ ვინმეს უნდა შენი გაძარცვა,
დედაშვილობის თუ არა სჯერა.
დაეკარგება მას ხომ ყოველი,
ჩვენ კი ერთურთის გვესმოდეს ენა,
თუ გული შენი და ძარღვიც შენი
დარდმა გაბერა, გისკდება ვენა.
შენზე ვილოცებ, გადარჩე მინდა,
მე სასწაული ღმერთისგან მჯერა.

ილიას წყალი

სადაც ილია იარებოდა,
მეც იმ მიწაზე დამიდგამს ფეხი.
ცაცხვის ყვავილის სურნელი მათრობს,
ამოძახილი მიწიდან მესმის.
ილიას წყალი დალიე პეშვით,
გაგითენდება მზიანი დარი.
თუ აქ ცოდვებით დამძიმებისგან,
დაშრება ჩვენი ილიას წყალი.
კუდიგორიდან დაჰქროლებს ქარი,
გაფანტავს დარდებს, დღეის სამზეო,
უფრო და უფრო შეგიყვარებენ,
შენი ტკივილი გამოვამზეო.
შენი სიტყვები, ნანად ჩაგვესმის,
გალობაც არის და ჩვენ საზრდო,
შენმა ქვეყანამ არ დაგივიწყოს,
და მომავლები კარგები ზარდოს.
დღეს უზნეობას რომ ასწავლიან,
არ მოისმინონ, შენს რჩევას გაჰყვნენ,
ქართველს ზნეობა არ დაეკარგოს,
რაც უნდა მოხდეს, კაცებად დარჩნენ.
შენი მთა-გორი, მინდორ-ველები,
აგრძელებს სუნთქვას, ლამაზად არის,
დურუჯი, მტკვარი ისევ მღერიან,
არასდროს დაშრეს ილიას წყალი.

ლამარა ასისტიშვილი-ჯამასპიშვილი

ფიქრი

ფიქრი მოლოდინში გაილია,
ოცნება დამადნა ხელის გულზე,
სიცივემ ჟრუანტელად დამიარა,
გაყინვა ვიგრძენი გულზე.
-ველოდი ოცნების ასრულებას,
გაქრა, როგორც თოვლი გაზაფხულზე,
მე მაინც ველოდები შეუპოვრად,
ვფიქრობ, ოდესმე ამისრულდეს...

შემოდგომა მიიპარება

გაცრეცილი და გაყვითლებული,
ჩამოსცვივნია ხეებს ფოთლები,
მხოლოდ აქა-იქ შემორჩენია,
მწვანე ფოთლები, როგორც ობლები...
შემოდგომა რომ გაიპარება,
ზამთარი მოვა - მრისხანე მზერით,
შეციებული, დაღონებული,
ბეღურებისთვის, თუმც არის ძნელი.
ბუნება მალე ძილს მიეცემა,
გამოიღვიძებს ცხელი მზის გულზე,
მერცხლებიც ისევ მოფრინდებიან,
იჭიკჭიკებენ კვლავ გაზაფხულზე...

მშვიდობა გვინდა

ჩემს სამშობლოსთვის სიკეთე მინდა,
მინდა მშვიდობა სუფევდეს მარად!
გლეხ-კაცი მუდამ შრომობდეს მშვიდად,
შიში არ ჰქონდეს, არასდროს, არა!
– რომ ვინმე ოფლით ნაშრომს წაართმევს,
ან ვინმე გულში გაუყრის დანას,
ან უსამართლოდ სახლ-კარს დაკარგავს,
ველარ მოვითმენთ ჩვენ უკვე ამას!
პრობლემები ხომ იცით, ჩვენც გვაქვს,
თქვენგან მოვითხოვთ, რაც გვიჭირს - შველას,
ვინც ხალხის ბედი გადაიბარეთ,
გთხოვთ, - შეასრულოთ პირობა ყველა...

მე ქართველი ვარ

მე დავიბადე, მე გავიზარდე,
ახლა დიდი ვარ!
პატარა ბავშვების, მომავალ თაობის
ბეწვის ხიდი ვარ!
თუმცა მყავს დედა, მეც მაქვს სამშობლო,
მე ქართველი ვარ!
დედა-სამშობლო, სამშობლო-დედა,
მათი შვილი ვარ!

მე ქართველი ვარ, პატარა გოგო,
ვფიქრობ და ვტკბები,
მოგონებებით, მომავლის ფიქრით,
ცას ვაშტერდები.
მე მიხარია და მზეს შევხარი,
ყვავილებს ვეტრფი,
მიყვარს სამშობლო და მის მაქებარს
ვლოცავ და ვეტრფი!

მიყვარს სამშობლო,
მის შელახვას არვის შევარჩენ,
მიყვარს და როგორ არ მიყვარდეს,
აბა შენა თქვი!
როცა რომ მის მზეს, მის მთვარეს და
მის ცის ნათებას,
ქართველის გარდა, კიდევ ბევრი
ერი შეჰხარის...

მე დავიბადე, მე გავიზარდე,
ახლა დიდი ვარ!
პატარა ბავშვების, მომავალ თაობის,
ბეწვის ხიდი ვარ!
მეცა მყავს დედა, მეც მაქვს სამშობლო,
მე ქართველი ვარ!
დედა – სამშობლო, სამშობლო-დედა,
შენი შვილი ვარ!

მონატრება

ჩემი სოფლის მონატრებას ველარ ვუძლებ,
წელიწადში მხოლოდ ერთხელ მიწევს გასვლა,
დედის, ძმის და მამის სულის სახსენებლად,
სააღდგომოდ მიწევს მხოლოდ ერთხელ
წასვლა.
– მენატრება იმ ეზოში ფეხის დადგმა,
სადაც ფეხი ამიდგია, გამივლია...
ქუჩის კარი ყოველთვის რომ ღია იყო,
დაკეტილა, და მე ველარ გამივლია.
მენატრება ჩემი ახალსოფელი და
მენატრება, ჩემი ეზოს კარი - ღია.

ღმერთო დამიფარე

ღმერთო, დამიფარე ეშმაკის სულისგან,
ღმერთო, მიწყალობე მუდამ,
ჩემს შვილებს ჩემი თავი კიდევ სჭირდებათ,
სიცოცხლეც მათთვის მინდა...
ღმერთო, დიდებულო, გევედრები
ქმარ-შვილი მიცოცხლე დიდხანს,
წყალობა არ მოაკლო ჩემს პაწაწინებს,
ბედნიერი მიმყოფე მუდამ.
მათი სიხარულით მაცოცხლე და
მათი კარგად ყოფნით დამატკბე
და როცა ასი წლის გავხდები,
მაშინ სხვა სათხოვარს შეგთხოვ მე...
– სამოთხის კარი გამიღე და
ერთი კუნჭული მომეცი მე...

დაიფარე საქართველო

დილის რიჟრაჟს, აივანზე გამოვედი,
გადავხედე გამწვანებულ მთას და მდელოს,
მოლივლივე ალაზანს და ბაღ-ვენახებს,
მოქარგულ და აყვავებულ საქართველოს!
ფიქრებში და ოცნებებში გავიფანტე,
შეშფოთებამ, შიშმა გულში დამიარა,
– თუმცა უმალ მოვიკრიფე ისევ ძალა,
ლოცვა ვიწყე, შიშმაც თითქოს გაიარა.
ეს მშვენება, ეს სიმდიდრე ღმერთო ჩვენო,
არ მოაკლდეს არასოდეს საქართველოს!
გამოგონდი, გამოფხიზლდი ჩვენო ერო,
არ გაცვალოთ არაფერზე, საქართველო!

* * *

თუ ხარ ქართველი, მაშ გიყვარდეს
სამშობლო შენი,
მისთვის არაფერი დაიშურო,
სული შენი რომ აამაღლო,
შესძელი, ბოროტება აიცილო.
გიყვარდეს მუდამ, ქართველი ხალხი,
გიყვარდეს მუდამ, ქართული გენით,
ქართული სულით დასძლიე შუღლი,
სიკეთე თესე, ბევრი და ბევრი!..

ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილი

ჰარიჰარალი

ჰარალიმ ჩამოიქროლა
ქართველი კაცის ერდოში,
მოაგროვ-მოახორაგა
დოვლათი გლეხის ეზოში.
გული გაუთბო მშრომელ კაცს,
წელში გასწორდა დაღლილი,
არ დაელოდა ხარ-კამეჩს
თავად მიზიდა მარხილი.
ჭერი ბადაგით აივსო
დუღილობს ჰარიარალი
ოჯახი გამოაზამთრა
კაცი ხალისობს ალალი.
სტუმარს მასპინძლობს გულადად
აღარ სჭრის დარდი-ვარამი,
იმ გლეხის კაცის მარნიდან
მოისმის ჰარი-ჰარალი.

2018 წ.

მზემ მითხრა

მზემ მითხრა ბნელზე ვიმარჯვე,
გავუკაშკაშე წყვდიადი,
ჰქონოდა გული კეთილი,
განედლებოდა ხმიადი,
ემარჯვა ბოროტ ძალებზე
ძალა ჰქონოდა დიადი,
მთვარემ დაბინდა ქვეყანა
მზემ გაინათა წყვდიადი.

2018 წ.

შარბათი შევსვი

მე სიყვარულის შარბათი შევსვი,
იმედის თვალით შევყურებ მერმისს,
ჩემი ცხოვრების გზის გასაყარზე
აღარ შემხვდება ღვარძლი და გესლი.
ლოცვებს აღვავლენ უფლის წინაშე
ვილოცებ წმინდა ლოცვებით თქვენთვის,
გავისუფთავებთ ბილიკ-სავალზე,
თურამ ეკალი იზრდება თქვენთვის.
დღეის დღეს ვხედავ ერი და ბერი
ცდილობს დაატკბოს ერთურთის გესლი,
იცხოვრონ ისე ტკბილი ცხოვრებით
ტკბილი შარბათი როგორც მე შევსვი.

25.11.2018.

ვაი არ მქონდეს სათქმელი

ვაი არ მქონდეს სათქმელი
უის ვიცემდი თავშიო,
ტყვია არ გქონდეს სასროლი
ცულს ჩავირტყამდი თავშიო.
გარეთ რას ვეძებ სიმშვიდეს
თავდაყირა ვარ სახლშიო.
მტერს ღობის იქით ვეძებდი
გველი მჯდომია ჯამშიო.
რაც ჟამით ჟამად ვაგროვე
გამინიავა წამშიო.
ღმერთო კვლავ შენი იმედით
მიდორში ვდგავარ კვალშიო,
შიშველი ხელით კვლავ გავგლეჯ
ვარჩევ თავთავებს ნარშიო.
ქართველებს ჯიშში ისიც გვაქვს
მოყვარე მტრისგან ვარჩიოთ,
ვაი არ მქონდეს სათქმელი,
უის ვიცემდი თავშიო.

2.12.2018

46 წელი

ორმოცდაექვს მალე მივუხურავ კარებს,
რაც ერთად ვართ ერთი სუნთქვით ვიკრებთ ძალებს,
ჭმუნვა-დარდი ბევრი, ერთად ვიზიარეთ,
ბევრი ეკალ-ბარდიც ერთად გავიარეთ.
მე ფიცხი ვარ, მინდა სწრაფად მოვრჩე საქმეს,
რა ვქნა, მუდამ, როცა ხარ წყნარი და მშვიდი,
და მეც ასე მშვიდად სიყვარულში მზრდიდი.
მაშინაც კი როცა, საქმე ძალას მატანს,
შენ ჩემს გიჟმაჟ სიტყვებს მობერილ ქარს ატან,
გულში ჩამიხუტებ, ცდილობ დამამშვიდო
გაფიცხებულ გულზე, თუ გულს მაინც გატკენ,
გაყუჩდები მშვიდად, არას მეტყვი სატკენს.
თუ შემთხვევით დალევ, მაინც რჩები მშვიდი,
შემომყურებ ტკბილად, ჩამჭიკჭიკებ ყურში,
– მე უშენოდ ვერ ვძლებ, უშენობით ვკვდები,
ჩემი იყავ მუდამ, კვლავაც ჩემში რჩები.
მთვრალი ხარ და მაინც სიყვარულში რჩები.
იქით წავალთ ერთად, უფალს შევთხოვ შველას,
საუფლოში ღმერთთან, სიყვარულით შევალთ.

15.09.2018

ლალი ასაბაშვილი

გულს ვერ უბრძანებო ...

„გულს ვერ უბრძანებო“ – უთქვამთ,
თვალი გავუსწორე ტატნობს..
ჩემი შემოდგომის ფერებს,
მუქი ფერი, მეტად ჭარბობს..

„გულს ვერ უბრძანებო“ – უთქვამთ,
გულო – მე კი ხშირად გსჯიდი..
ისე, გაიპარნენ წლები,
ისე, მალე გავხდი დიდი..

„გულს ვერ უბრძანებო“ – უთქვამთ,
ზურგი შევაქციე ტატნობს..
ბაღში ვეფარები პალმას,
გული, გამალებით გნატრობს..

მინდა ვწერო მხიარული სტროფები

ერთი ლექსი მინდა ისე დავწერო,
არსაიდან შეიპაროს სევდა..
ჩემს ცხოვრებას, აი ამ ჩემს სამყაროს,
სევდისფერი ფეხ-დაფეხ რომ სდევდა..
მინდა, სევდას ჩავურაზო კარები,
ჩამქრალ თვალებს დავუმატო სხივი..
გულიანი მომენატრა სიცილი,
ყელზეც უცბად ჩამომებნა მძივი..
სადაც წაველ, სევდა უკან დამდევდა,
ვერსად შევძელ, ბედნიერი ყოფა..
ცხოვრებაში ერთხელა ვარ მოსული,
მარტო სულად დამებედა ყოფნა..
ვერ შევძელი, ვერც ამ ლექსის დაწერა,
ისევ ისე, გაიპარა სევდა..
ის ფურცელიც, სადაც ლექსი დავწერე,
უნებურად ცრემლით დამისველდა..

დედას

როცა შენი მონატრება ჩამაფიქრებს;
გულს მიჩქარებს მოწოლილი მძიმე სევდა..
ოცდასამი ოქტომბერიც მიღებს კარებს,
უშენობას გამახსენებს ჩემო დედა..

რაც დრო გადის, უფრო მეტად მენატრები,
დედი! – სულში ჩამისახლდა აპათია..
ბევრ ტკივილებს გავუძელი, მაგრამ ვხვდები,
რომ დაგკარგე, გულმა რად ვერ მაპატია..

რა ძნელია, უშენობას ვერ ვეჩვევი..
ფოთოლცვენას თმებზე ვითვლი ჭაღარებს..
რაც წახვედი, რაც დამტოვე, მერე მივხვდი,
რომ ამ ქვეყნად, არაფერი მახარებს..

ამ შემოდგომას..

ამ შემოდგომას
როცა ქარი ამოვარდება,
ხეებს მოსტაცებს ლამაზ ფოთლებს
შორს გადააფრენს..
შემდეგ მიწაზე დაიწყება
ხალიჩის ქსოვა,
და ამ ხალიჩას შენს საფლავზე
საბნად დააფენს..

***

ცხოვრების მწვერვალებს
საზღვრები ქონია...
და იმედებიც ტყუილად ვიწამე,
რამდენჯერ მინდოდა
სიცოცხლით დატკბობა,
ეს სურვილებიც, ქრებოდნენ იმწამსვე,
დავშორდით ... წავედი,
ვერ შევხვდით ერთმანეთს,
გაყარა ეს გზები, ცხოვრების ჭიდილმა,
რამდენჯერ დავეცი, მუხლებზე დავემხე,
დამღალა ცხოვრების უსაზღვრო ტკივილმა..

ედელვაისის სიყვარულით ალპებშიც წავალ

კვლავაც დავუცდი, ალბათ მოვა ჩემი მაისი,
ჩემთვის ალპებში, დღესაც ყვავის ედელვაისი..

ეს შემოდგომა, შემიკერავს ზამთრის თბილ საბანს,
თოვლის ფიფქები, მოძებნიან ჩემს თავზე საფარს..

ყოჩივარდებით გაივსება ღობის ძირები,
ია ენძელებს დავიკრეფავ, ყელზე მძივებით..

თუ გაზაფხულზე ვერ გავუძელ ცვალებად მარტებს,
კარს მივუხურავ, მის კაპრიზებს, არა რა მმართებს..

მერე აპრილი, გაიღვიძებს ლურჯი ფერებით,
იასამნობას ბაღს მოვივლი ფერებ-ფერებით..

ჩემი მაისი, ვარდის ფურცლებს ფეხთან გამიშლის,
ალპებში წასულს მარტოობას არვინ დამიშლის..

მერე ზაფხულის ნაკადულებს გვერდით ჩავუვლი,
გვირილებსა და ყაყაჩოებს ნურვინ დამითვლის..

ზაფხულის ხვატი შემიკერავს მოჩითულ კაბას,
ედელვსისის სიყვარულით ალპებშიც წავალ ..

წავალ, ბილიკებს ავუყვები, ვიხილავ ჩანჩქერს,
სანამ ზამთარი, ჩამოთოვს და გამიშლის ნამქერს ..

სანამ ზამთარი ჩამოდგება..

სანამ ზამთარი ჩამოდგება, ჩემს სახლის კართან,
ეს ფოთოლცვენა, შემიკერავს ხავერდის მანტოს..
მე შევეჩვიე, უშენობას ფიქრების ზღვასთან,
და მონატრება, არ მტოვებდა არასდროს მარტო..
ზამთარი მუდამ მიყინავდა, ფიქრებს გათოშილს,
ფანჯრის რაფასთან მიკიდებდა ყინულის ლოლოს..
თუ შევეჩვიე, შენს დაკარგვას დეკემბრის თვეში,
იმ ქვეყნად, მაინც ხომ გიპოვნი, ბოლოს და ბოლოს..
სანამ ეს გული, უშენობის დაითვლის ტკივილს..
ცივი ზამთარი იბატონებს გაყინავს მთვარეს..
იმედგაცრეცილს ძალა არ მაქვს, ვივიწყებ ჩივილს,
შენზე ფიქრებით მიმოვხატავ, სამყაროს, არეს..

ქეთინო ნიკურაძე

სიყვარულის ანაბანა

ვერაფერი ვერ გავუგე
სიყვარულის ანაბანას,
ჩემთვის მუდამ იყო იგი
როგორც დიდი გამოცანა.
თუმცა თავი მიმაჩნია,
ყველაფერში ჭკვიან ქალად.
მთელი ჩემი შეცდომები,
ავიკიდე ყველა ვალად...
ღრმა მორევში ჩავიძირე,
თავს გავართმევ ამას განა?
სიყვარული ჩემთვის რჩება
გამოუცნობ გამოცანად.

* * *

თეთრი სუდარა მოუსხამს ქალაქს,
შემოძარცვიათ სამოსი ხეებს.
მთაწმინდისაკენ მიმიწევს გული.
აჩქარებული მივყვები ქუჩებს.
თეთრად ქათქათებს თბილისის ზეცა,
თვალს ვერ ვაცილებ ფარფატა ფიფქებს
და ამეშალა ოცნება ყველა,
ვერ გავექეცი მაინც ამ ფიქრებს.

* * *

შარას რისთვის გავყურებდი,
თუ კი ჩემგან წახვიდოდი.
თუ სხვას ტკბილად უმღეროდი,
ნეტავ მე რად მიღიმოდი.
რად ვათევდი თეთრად რამეს,
შენზე რატომ ვლოცულობდი,
რად მჯეროდა ნეტავ შენი,
შენს მზეს რატომ ვფიცულობდ

ნატვრა

ზოგჯერ ქარი მინდა ვიყო,
ტანზე ჯაჭვად მოგხვეოდი.
ანდა ვიყო თოვლის ფიფქი,
შენს ბაგეზე დავდნებოდი.
ნეტავ ბაღის ვარდი იყო,
მე პეპელა ფრთაფარფატა.
ანდა წვიმის წვეთი ვიყო,
ეგ თვალები დამენამა.
ნეტავ დილის ნამი ვიყო,
დაგდებოდი ზედაც ცვარად.
ანდა მქონდეს ნატვრისთვალი,
რომ ამიხდეს ყველა ნატვრა.

ყვავილი და ქალი

არჩევანი არც კი არის თითქოს,
ყვავილივით ლამაზია ქალი.
ორნივ ისეთი ნაზია, გინდა
მოეფერო, არ მოწყვიტო თვალი.
გაფრთხილებას საჭიროებს ორნივ,
ყვავილივით სათუთია ქალი.
მისი გული კოცონივით არის,
შეუკეთებ, ავარდება ალი.
მზრუნველობას საჭიროებს ორნივ,
ყვავილს წყალი რომ არ ჰქონდეს, კვდება.
ალერსი და მოფერება უნდა
ქალს თუ სითბო დააკლდება ჭკნება.

თბილისო ჩემო

მომნატრებიხარ, თბილისო ჩემო,
ნელა ავყევი მთაწმინდის აღმართს,
მოვინახულე დიდი სავანე
და გადმოვხედე მაღლიდან ქალაქს.
თაყვანი ვეცი კრძალვით საფლავებს,
თავი დავხარე, გული დავღალე.
მუხლმოდრეკილი მიწას ვემთხვიე,
ვერ მოვითმინე, ცრემლი დავღვარე.
რა დრო გასულა, როგორ გაზრდილხარ
და კიდევ უფრო დამშვენებულხარ.
შენს გვერდით ვიყავ, თბილისო ჩემ

დედის მონატრება

დედა ძლიერ მენატრება,
დარდს ვერ დავაღწიე თავი,
გული ისე დამიმძიმდა,
დასწოლია თითქოს ზვავი.
როგორ მინდა გვერდით მყავდე,
მოგეფერო ერთი წამით.
და თუ ცხადში ვეღარ გხედავ...
სიზმრად გნახო მაინც ღამით.
ნეტავ ნათვრისთვალი მომცა,
სხვას არაფერს ვინატრებდი,
უშენობა ისე მტანჯავს,
შენს სიცოცხლეს ვინატრებდი.

თეთრი ვარდი

ალიონზე ბაღს ვესტუმრე
ყვავილების დასაკრეფად.
თეთრი ვარდი რომ ვიხილე,
გამიხადა თავის მონად.
უჩვეულო სილამაზემ
ერთ ადგილზე გამაქვავა.
დამავიწყა ყველაფერი,
სულ ერთ წამში დამატყვევა.
ვერაფერი ვერ ვიღონე,
მისი გულის მოსაგებად.
სიყვარული შევთავაზე,
ავი მზერა მომაგება.
როცა გონი მოვიკრიბე,
უღიმოდა მთვარეს მორცხვად,
შური ისე მომეძალა,
შევიქენი ძლიერ ავად.

ზღვა და მენავე

აგორებული ტალღები
ნაპირს ღრიალით აწყდება.
შორს, ზღვაში მოსჩანს მენავე,
თვალი რომ თითქმის ვერ წვდება.
ნავი მოსტაცეს ტალღებმა.
ნაპირზე ვეღარ ბრუნდება.
არავინ არის დამხმარე,
დღე კი სრულდება, ბინდდება.
იმედი გადაეწურა,
ღმერთს დახმარებას შესთხოვდა.
ძალღონეგამპლეული
ამაოდ მედგრად იბრძოდა.

დათას ბადი ზეზოსგან

(ვუძღვნი ჩემი ძმისშვილიშვილს დათა ნიკურაძეს)

აუცრემლდა თვალები
ჩემს ონავარ დათას.
შეაშინა პატარა
სათამაშო დათვმა.
აიბზუა ტუჩები,
აუწია ხმასა.
გულში რომ ჩავიკარი,
ჩაეჭიდა თმასა.
ლამაზ ცისფერთვალებას,
აეწეწა ქოჩორი.
ყველაფერს მირჩევნია,
ჩემი გულის კოკორი.
ისე ეშმაკუნაა,
მაოცებს და მაგიჟებს.
სულ მინდა მოვეფერო.
მისი ბუთხუზა ლოყებს.
თავის სოსკას პირში მრჩის,
უცნაურად ღიღინებს.
პატარა ონავარი
თავის ჭკუით მაძინებს.

წლები

დროს უკან ვერ დააბრუნებ,
როგორ სწრაფად მირბის წლები.
სიყმაწვილე ჩაიქროლებს
და ჭარმაგი უცებ ხდები.
ჭაღარა რომ შეგერევა,
გაგიქრება ძალა მუხლში,
სიბერე რომ მოგერევა,
გაგიჩნდება ეჭვი გულში.
წუთისოფელი ასეა,
თაობები მიდია, მოდის.
მივაცილებთ ერთმანეთს და
თითქოს ამით ჩვენს ვალს ვიხდით.
როცა ჩვენი ჯერი მოვა,
ასე გაგვაცილებს სხვები.
უკან მოხედვას ვერ ვასწრებთ,
ისე სწრაფად გარბის წლები

უშანგი მოსიაშვილი

შურით კვლს

მოგცეს უფლება, არ ნიშნავს იმას,
წერო ყოველი, რაც რომ შენ გჯერა,
შურით აღვსილ და ბოროტ სულიდან
გადმოანთხიო ნაღველი მთელად.
რომ სწერ იცოდე მაგ შენს ნაწერებს,
სადღაც უნდა ხომ ელოდეს ლხენა,
რომ სამომავლოდ შენმა ნაღველმა –
არ შეგახვედროს დიდ გზაზე წყენა.
თუმც ოდითგანვე სჩვევიათ მავანთ,
რომ ბოროტებით სძლიონ კეთილი,
მაგრამ ცხოვრება თავისას შვრება,
მათ ვერ უშველოთ თუნდაც ვექილი.
თუ ცხოვრებაში გზას ვერ დაადექ,
ვერ ჩადექ ძმათა ფერხულში შენა,
სხვისი ძაგება შენ რას მოგიტანს,
თუნდაც წიწაკით დაიწვა ენა.
და თუ ასე ძლიერად გჯერა,
შენ შენი ნიჭის გაქვს დიდი რწმენა,
კარგი კაცობით უფრო აჯობებ,
თუ ვინმემ შენზე ცუდი დაწერა.
მაგრამ თუ სულში გიზის სატანა,
გაგიჭირდება კარგის ატანა.
თუ ასე ცხოვრობ, იცოდეს, ყველას
გაუჭირდება შენი გატანა.
თუ დაიჯერებ, სჯობს, დაიხიო,
სულში ჩაიდო სიკეთე ქვეყნის,
რაც გიჯღაბნია, სულ მთლად დახიო,
კარგ კაცის სახელს ვერავინ შერყვნის.
როცა ვფიქრდები, მსურს დავიჯერო,!
რომ ეშმაკი ხარ უფრო მელაზე.
თუ არ შეჩერდი, მალე გიხილავთ
ჩამოკიდებულს სახრჩობელაზე.

1987 წ.

მუდამ ვფიქრობ

მუდამ ვფიქრობ, ჩვენ ქართველებს
სად გვაქვს გზა გასაყარი,
ან სად ვპოვოთ ჩვენ გულებზე
მიწა გადასყარი.
ან ვინ გასცა ჩვენი მიწა
მის ლამაზი მთებითა,
რატომ დუმან წინაპრები,,
რად არ აღდგნენ ხმლებითა.
ჩვენ სადა გვაქვს გასაცემი
მიწა ანდა წყალიო,
ჩვენ წინაპრებს მოხდილი აქვთ
მთლად ყველასთვის ვალიო.
მათ არასდროს ჩაუგიათ
თვის ქარქაშში ხმალიო,
ყველას რისხვა მიუღიათ,
ვინც დაადგა თვალიო.
უნდა დაეგმოთ, გვიყვარდეს
კაცი ჩვენი ორგული,
გინდა იყო გმირთა გმირი,
გინდა იყოს ლომგული.
გავაჩუქოთ? ის რისთვისაც,
ხალხმა სისხლი დაღვრა.
ვერც მოღოლმა და თათრებმა
აქედან ვერ აგვყარა?
ეს ხომ ქვეყნის ღალატია
ღაღადია სხვისიო,
ვერასოდეს გაიხარებს
მისი გასაგისიო.

1988 წ.

9 აპრილი

ნეტავ რა მოხდა 9 აპრილს, ღამით,
რატომ დაკარგა თბილისმა ძალა?
რომ მის ქუჩებში უმანკო სულებს
ძვირად დაუჯდათ ტანკების გავლა.
რა ქარიშხალმა გადაიარა,
რომელ ურჩხულმა შეისხა ფრთები?
რომ აღეკვეთათ გოდება სულის,
სისხლში ჩაახშვეს უმანკო ხმები.
არ ვიცი, ასე რამ გაახელათ,
რომ კაცის მოდგმის არ ჰქონდათ გული?
სისხლი დაღვარეს თავის მოძმისა
და დაიმშვიდეს მტარვალი სული.
გლოვით შეძრწუნდა კავკასიონი,
წამოიმართნენ ზვიადი მთები.
მუშტად შეიკრა მთლად საქათველო,
აღდგა, აზვირთდა, გაშალა ფრთები.

1989 წ.

რუსთაველს

რუსთაველმა მთელ მსოფლიოს
მოაბნია მარგალიტი,
ყველამ კარგად ვერ გაიგო,
მიუსიეს, კენკავს ჩიტი.
რუსთაველი პირობითად,
შოთა ქვეყნად არის დიდი,
ვინც მას ცუდად მოიგონებს,
იგი არის ფლიდზე ფლიდი.
მან უმღერა ქვეყნად სიბრძნეს,
სიყვარულს შეასხა ფრთები,
მან უმღერა მეგობრობას,
დღესაც ისმის მისი ხმები.
ის ხომ ქვეყნად დიდზე-დიდი,
მწიგნობართა იყო ღმერთი.
მიტომ ბრწყინავს მსოფლიოში
რუსთაველი ერთადერთი.

ვინ გაბრიყვდა, ვის დასჭირდა
გვარი რუსთაველისა?!
მან სახელი შეგვილახა
ჩვენ – ყველა ქართველისა.
განა ქვეყნად ცოტა არის
გვარი უკულმართული?
ეს ერის წინ ბრძოლა არის,
შუბივით აღმართული.
არა, ქართველთ არ სჩვევიათ,
თვის წინაპართ ძაგება,
ამის ჩამდენს მოუხდება
თავის შუბზე აგება.
რა გაჭირდა, ვის დასჭირდა
ქართველ ერის ძაგება,
რომ მსოფლიოს კინოს სახით
ამცნო შოთას გაგება.

1988 წ.

ვისაც ამ ქვეყნის ტკივილი

ვისაც ამ ქვეყნის ტკივილი,
არ მიაჩნია არც რადა,
დაე, იმისი ქვეყანა,
იქცეს ტიალად, ნაცრადა.
ლამაზ ქალ-ვაჟთა გამზრდელსა
დედას ავუნთოთ სანთელი
მუდამ თან გვდევდეს იმედად,
არ ჩაქრეს მისი ნათელი?
ქვეყნის ჭიუხებს, მდელოებს,
მუდამ ნათელი ეფინოს?

მის ლამაზ ცაზე ავბედითს,
ჩიტსაც არ გადაეფრინოს.
ბევრ ქარტეხილმა ჩვენს მიწას,
ჩამოაცალა კლდეები,
არ დარჩეს ქვეყნად არავინ,
ვინც შეგვიმოკლოს დღეები.
არვის ეგონოს ტყუილის ვწერ,
ასეთი ქვეყნად ბევრია,
ქართველი მუდამ იცოცხლებს,
უფლის ნაკურთხი ერია.

1988 წ.

შევევედრები განთქმულ პოეტებს

შევევედრები განთქმულ პოეტებს,
ცის კაბადონზე ფარფატა მტრედებს,
რომ მათ დაგვმოძღვრონ და დაგვარიგონ
რა ნუგეში ვცეთ მწუხარე დედებს?

მინდა ვიცოდე რად მოკლეს ნინო,
სანთლებით ხელში ცელქი ნათია?
დღეს საქართველოს სული ბობოქრობს
და ყველას გულში ცეცხლი ანთია.

მინდა, ვიცოდე თავს რად დაგვესხნენ,
რატომ აიღეს ნიჩბები ხელში?

ასე უწყალოდ ქალების ჩეხვა
არვის უნახავს არასდროს ჩვენში.

მინდა, ვიცოდე, რა დავაშავეთ,
არ ჩამოიხსნეს ნიღაბი ჩვენთან,
თუ სურდათ სისხლი, ჩვენ რად გაგვწირეს,
რად არ მოიქცნენ ამგვარად სხვებთან?!

რა დაგვიამებს, ამდენ ტკივილებს,
რა მოაშუშებს ამდენ იარებს?
უნდა შეჩვენდეს, ვინც გინდა იყოს,
ვინც რომ აღმართავს ხალხზე იარაღს.

1989 წ.

მშობელ მიწას დავლოცავ

მშობელ მიწას დავლოცავ,
სადაც ფეხი ავიდგი,
სადაც ფუძე ჩავყარეთ,
სადაც ფესვი გავიდგი.

ეს ხომ ნაფუძვარია
ჩემი მამა-პაპისა,
ბევრი ცუდის მნახველის,
მომსწრე მრავალ კარგისა.

იაგუნდის სავანე,
დათაკრული ველებით,
აკორძილი მთებით და
დაკლაკნილი სერებით.

ჩვენს მომავალს შევცქერით,
ბრწყინავს როგორც ალმასი.
მათ დღესაც გაგვახსენეს
არაგველი სამასი.

ასე იყო ძველადა,
დღესაც დაგვრჩა ჩვევადა,
ქართველს მუდამ თან ჰქონდა
ღვინით სავსე ხელადა.

სალოცავად ქვეყნისა,
სადიდებლად ღმერთისა,
სადღეგრძელოს ამბობდა
თავის გუთნისდედისა.

დალოცავდა მომავლს,
მგრძნობიარე სულითა,
გულს აძლევდა წამლად დაო...
თავის აღსასრულითა.

მიტომა აქვს ჩვენს მიწას –
ასე დიდი სურნელი,
დღესაც ბევრი შვილი გვყავს
თავგანწირვის მსურველი.

1988 წ.

სიყვარულს

მე ის მხიბლავს და ის მატკბობს
და მაგრძნობინებს სიხარულს,
ვინც, რომ პირველად უმღერა,
პირველ კოცნას და სიყვარულს.
პირველი ყველგან პირველობს
კოცნაც და სიყვარულიცა
პირველ შეხვედრამ სატრფოსთან,
გამიხსნა სიხარულის ცა.

პირველი ყველგან პირველობს,
მუდამ მეტი აქვს ფასიო,
ეს სადღეგრძელო იქნება
და ღვინით სავსე თასიო.

რადგან სიყვარულს ვადიდებთ
და ჩვენს თავს ვაძლევთ რწმენასა,
ვინც დადის სიყვარულითა,
ნურც მათ ჩავუშლით ლხენასა.

სიყვარულს უშენებია,
ნანგრევი ბევრჯერ მტრობითა
და თავი გაგვიტანია,
მეგობრობით და ძმობითა.
მოდით ვუმღეროთ სიყვარულს,
რაც ქვეყანაზე გვარობსა,
ვაქოთ, ვადიდოთ ის ყველა,
ვინც სიყვარულზე გალობსა.

1988 წ.

მიტომ გაუძლო საუკუნეებს

„მე ფიროსმანის ქუჩაზე ვცხოვრობ“,
ცას ფიროსმანის თვალებით ვხედავ
და უფრო ლამაზ რაღაცას ვინატრებ,
ახლა მე ამის თქმასაც კი ვბედავ.

რომ პატრონობდნენ ამ სილამაზეს
დიდ წინაპართა ლეგიონები
დღესაც არტყია ურღვევ სიმაგრედ
შემართულ მთათა ბახტრიონები.

მიტომ გაუძლო საუკუნეებს,
დიდ საქართველომ ლამაზ ფერებით,
და საზრდოობდა მომავლის რწმენით
აყვავებული ტურფა ველებით.

„მე ფიროსმანის ქუჩაზე ვცხოვრობ“,
და ფიროსმანის ქებასაც ვბედავ,
ერის აღმასვლას, თავისუფლებას,
მუდამ და ყველგან ვუმზერ და ვხედავ.

1990 წ.

როგორც არასდროს

დღეს საჭიროა, როგორც არასდროს,
შემართება და სიბრძნე ქართული,
რომ ჩვენმა მიწამ იგრძნოს პატრონი
და არ გაუჩნდეს ვინმე ბატონი.

მხოლოდ შრომა და სიკეთის თესვა,
უშველის მამულს, ოდითგან ძლიერს,
წინაპრებიც ხომ ასე იღწვოდნენ,
არ იგუებდნენ უქნარას, ცბიერს.

*

ჩვენ რა გვჭირს, რა დრო დაგვიდა,
ეშმაკი წილში ჩაგვიდგა.
ვანგრევთ ქვეყანას ვერ ვხედავთ
სიმართლის თქმასაც ვერ ვბედავთ

*

და გვეჩვენება, რომ ბევრს ვაკეთებთ
მომავლისათვის სიკეთეს ვთესავთ,
რაც ძველი გვქონდა, ისიც დავკარგეთ
და კარგს ვერაფერს ახალს ვერ ვხედავთ.

დღეს საჭიროა, როოგრც არასდროს,
შეკავშირება და სიყვაული,
რომ დავუტოვოთ ჩვენსა მომავალს
ბედნიერება და სიხარული.

1996 წ.

თეა ნოზაძე

მინდა გაგაცნოთ მრავალგზის ნიჭიერი შემოქმედი მხატვარი და პოეტი – **თეა ნოზაძე**. რომელიც დაიბადა 1994 წლის 27 ნოემბერს ქარელის რაიონ სოფელ აგარიაში. ფირუზ ნოზაძის და ლეილა გობეჯიშვილის მრავალშვილიან ოჯახში. თეას ოთხი დედმამიშვილი 2 და და 2 ძმა ყავს. მიუხედავად ათასგვარი დაბრკოლებისა ახალგაზრდა შემოქმედმა შეძლო სწავლა გაეგრძელებინა ქრისტუანულ ხელოვნებათმცოდ–ნეობის მეოთხე კურსზე. ბავშვობიდან ხატავდა და წერდა ლექსებს, რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა ჯგუფურ გამოფენაში, ერთხელ კი პოეზიის საღამოც დაამშვენა მისმა შემოქმედებამ. მინდა გზა დავულოცო ამ მრავალმხრივ ნიჭიერ შემოქმედს და ვუსურვო წარმატებები ხელოვნების ძნელსავალ გზაზე...

თეა კანდელაკი

გულის აპოკალიფსი

(ლექსი ეკუთვნის ჩემს საყვარელ ძამიკოს,
თორნიკე ნოზაძეს ❤ მიხარიხარ თოკა ბიჭო!!!)

სხეულს მიბოჭავ, როგორც კრაკენი,
ლურჯ სულს მიტყვევებ, როგორც კალიფსო;
ცრემლ დაფრქვეული თრთიან ბაგენი,
გაპობოლ გულის აპოკალიფსო!
თუკი გამიქრა ზეცის ნუგეში,
მწველ მზემ დამამხო ოქროს ფარფლები,
წავალ კიდეთა სიმსუბუქეში,
შორ ლაჟვარდებში დავიფერფლები...
დავიფერფლები და ამ ფერფლიდან,
როგორც ფენიქსი მკვდრეთით აღვსდგები
და ვულკანური ლავის ღველფისგან
ტუტანურ ძალით შენს წინ წარვსდგები.
დავარღვევ ჯადოს—სულს რომ აწუხებს,
არ მსურს ჯვარს ვეცვა უსაგნობაში;
მკლავებს შემოგხვევ, როგორც მარწუხებს,
წავალთ კოსმიურ უსაზღვრობაში...
თმათა ნაკადზე სხივებს დავბანტავ,
ფოლადის ცრემლებს რომ დააოსებს;
ნიღბად შეჯგუფულ ღრუბლებს გავფანტავ
და ბაბილონის თან მდევ ქაოსებს.
სხეულს მიბოჭავ, როგორც კრაკენი;
ლურჯ სულს მიტყვევებ, როგორც კალიფსო;
ცრემლ დაფრქვეული თრთიან ბაგენი,
გაპობილ გულის აპოკალიფსო!

გრაალის სასმისი

(საყვალელ ძამიკოს თორნიკე ნოზაძეს)

ციკლოპოს მზერა წყვდიადს არღვევდა;
პოსეიდონი ზვირთებს ლესავდა;
წმინდა ბარძიმებს,წყევლა ამღვრევდა,
რომელთაც ბაგე ლოცვით შესვამდა.
ახლა მიჰყვები შიშველ ტერფებით
ლავიან დელტის მტანჯველ ბილიკებს;
მოგონებებო,რად იფერფლებით?!
ან რატომ იცვლით ასე მიმიკებს.
ნორჩ ემბაზიდან ბნელ აკლდამამდე
უმიწო რისხვით მხეცი აიშვებს;
ნორჩ ემბაზიდან ბნელ აკლდამამდე
ქარი წეწავდა სულის კლავიშებს.
უფრსკულში ბჟუტავს მკრთალი სანთელი;
ცვრისებრ აორთქლდა მწველი მზის კოცნა;
გრაალის მთათა ბასრი ნათელი
სიკვდილის შრეში გადაიტყორცნა.
ზეცა დაემხო ღრუბლის მუცელზე
და პოლუსური ქარი ზრიალებს,
კოშმრის ლაქებად ვარდის ფურცელზე
კოლიზეუმის სისხლი ტრიალებს.
არ მოკვდე,ელავს ოქროს სერები...
უთუოდ მოვა ვნება,სინაზე;
ჭრელ ცისარტყელის რკალის ფერები
კვლავ დაიღვრება თვალის მინაზე.
ჯოჯოხეთიდან სხეულს ეწევი,
ეს წყევლა გულს ვერ გაანადგურებს;
შენ ფანტომური ძალით ეწვევი
ცად უზენიტო შვების სადგურებს.
უდაბნო იყავ ცოდვით მწყურვალე,
ღრუბლის დევები გაგიფანტია
და სერაფიმის ფრთები მხურვალე
ზამთრის ნისლებში გიქსოვს მანტიას.



"მებრძოლი"

ლალი მჭედლიძე

გოლეულივით დამეწვეთა ტუჩზე ალერსი,
ო, კიდევ კარგი, საიდუმლო რომ არ გავეცი,
გულწასულია მონატრების თეთრი ფერია,
და თქვენი გულის დარბაზებში ისევ მელიან...
მე გულისპირზე შემოვივლებ მწიფე ალუბლებს,
თქვენი სურვილი ჩემს სხეულზე დაიწურება,
შემოასკდება ტკივილები მკვახე ალუჩებს.
და უთქვენობის ცივი სევდაც გაიბუტება.

2018

მე რომ მცივა და დავსველდი უშენოდ,
წვიმამ ისე მომამწყვდია მკლავებში,
მომენატრე და შევშინდი... უღმერთოდ
მოყინულა შენი ლექსის ბწკარები.
შემაკედლე შენს უბეში-ნიბლია,
არ წახვიდე სიზმარეთში, ვინ გიცდის?
ეს წუთები შენთან ყოფნის ტკბილია,
გეძებე და ძლივს გიპოვნე ამ ნისლში....

2018

ქალი ღრუბელთან ცეკვავდა ტანგოს

ქალი ღრუბელთან ცეკვავდა ტანგოს,
მიწამ აზიდა ზეცამდე წარბი,
ის დაბრუნდება სრულიად მარტო.
და ვერ იპოვნის თქვენს შორის ადგილს...
გეზედმეტებათ მისი სითეთრე,
და არც კი იცით, როგორ კლავს დარდი,
თქვენ გაასვენებთ ალბათ იმედებს,
და ტკივილებში ჩადგება ქარი.
ვიცი ღრუბელთან აღარ იცეკვებს,
ის საიდუმლოს გაანდობს აპრილს,
ახლა მის ძარღვში სისხლი იცელქებს,
ატმისფერ კაბას მოიხდენს ქალი.
ქალი... რომელიც თქვენი არ არის!

2018

* * *

ახლა სიჩუმე ხმაურობს შენში,
მაგრამ ვის ესმის?
გადაერევა ქვიშაში მტვერი,
ამას რას შვრები?!
– გაშალე ფრთები!
მარტო ნუ რჩები!
იცოცხლე შენთვის!
ილაღე შენთვის!
სხვას არასოდეს არ ესმის ჩვენი!
აქ ნუ გაჩერდი!
მიეცი ფერი მტვერსა და ფიქრებს,
ეტკინოს თუნდაც ღრუბლებს და ნისლებს,
შენ იფერადე!
ვიცი, სიჩუმეც ხმაურობს შენში
მხატვრის პალიტრას გამოსტაცე
ატმების ფერი!
მე შენში მესმის
ხმაური ზღვების!
გაშალე ფრთები!

2018

გული გულია

გული გულია და არ მიჯერებს,
მთვარეს დააწია შენზე ფიქრი,
თვითონ დავიყვედრე ეს სიცელქე,
სული სად შევმალო, აღარ ვიცი.
ზეცას მივამაგრებ ხვალ ბიაზებს,
იქნებ ზედ შემოვრჩე თვალხატულა,
ვიყო რიგით თუნდაც ასმეათე,
ვინც შენს სიზმარეთში იზაფხულა!
მაგრამ... აჭედილა მოლოდინი,
კარტან ატუზულა სიმარტოვე,
მგზავრებს ვეკითხები; სად წასულა
ასე ფეხშიშველი სიყვარული?
- გული გულია და არ გიჯერებს,
უსწავლებიათო სიარული...
ფიქრი ერთგულებით დამიბერე,
ღმერთო, მეც მაჩუქე სიხარული!

2018

არ გამითენო დღე უშენო!

არ გამითენო დღე უშენო და ცარიელი,
ეს გაზაფხულიც, ეს წვიმებიც შენი ბრალია!..
არ დამიტოვო სამახსოვროდ მხოლოდ სიზმრები,
ქარს მოყოლილმა ყვავილებმა ისე ამრია...
ვერგამხელილი სურვილების მაკრთობს შრიალი,
კვირტებთან ისევ გაიბუტა ყველა ფოთოლი,
ასე უთქმელად არ დამტოვო, რამე მითხარი!
არ მინდა, მქონდეს სამახსოვროდ მხოლოდ სიზმარი!

2018

* * *

არის სიწყნარე, მაგრამ არა სიმშვიდის ფერი,
წვიმის წკაპუნი, ვიოლინოს ჩუმი ვედრება,
არის ბგერები, აუწყობელ ნოტების მსგავსი,
და კუთხეში დგას ყველა ფიქრი, ფრთებს რომ ვერ გაშლის.
მე დამესიზმრა ფეხშიშველი ვიღაც ქალწული,
– მკერდზე ეხატა თეთრი ყვავილი,
ეცვა კაბა აპრილივით მოჩითული,
იდგა ლოცვად-დაღლილი და გარინდული...
ისე ცივა სხეულს-სულში შეფარებულს,
ეს ცხოვრება განა, მართლა ადვილია?!
ღრუბელს ვეძებ, იქ ცრემლი მაქვს შემალული,
სადღაც მზეა, სადღაც მგონი, აპრილია...

2018

მე არ ვარ ევა

მე არ ვარ ევა!
მაგრამ ეჭვის ცოდვით დავმძიმდი,
სულის და ხორცის გზაგასაყარზე
მარტოდ დავდივარ.
და ახლა როცა აწიოკდა ჩემში აპრილი,
სულ აღარ ვიცი, ვინა ვარ
და რა გზას ვადგივარ?!
გარეთ ისეთი სითეთრეა
ტყემლის ყვავილთა,
მზით ნათამამებ ნაკვირტებზე
საკინძე შემწყდა
მე სამოთხიდან გამოდევნილ
სევდად დავდივარ...
მე არ ვარ ევა!

2018

მანანა თარაშვილი

სპექტაკლი სამისთვის

სპექტაკლი დაიწყო,
როლები გაიყო,
მუსიკას უკვეთავს ვიღაცა მესამე;
ვთამაშობთ იდილიას,
ჩვენს გულში ჭიდილია,
ჩემი სიძულვილით თანდათან გგესლავენ.
„ნიჭიერ მსახიობს“
როლი არ გამოგდის,
სიყალბე არ უხდება ერთგულებას,
მესამე ხალისობს,
რაღაცას „ჩალიჩობს“,
მე მხოლოდ ერთი გზა მეგულება:
სპექტაკლი მდორეა,
ფინალი სწორეა –
მე უნდა გავიდე კულისებში...

ასიყვარულეთ სიყვარული

ასიყვარულეთ სიყვარული, გემუდარებით,
მთელი არსებით, გულით, საქმით, თუნდაც თვალებით,
აფენთხეთ გული, რომ დასცვივდეს სითბოს ღადარი,
უგულო ხალხში უგულობა ნეტავ რად არის.

ასიყვარულეთ სიყვარული, რას ემართლებით,
კვლავ ეყავარჯნეთ აზრით, რწმენით და შემართებით,
სულ ნუ მოაშთობთ, ამოსუნთქვის მიეცით შანსი,
რომ იშრიალოს გალაღებით სიცოცხლის ვალსით.

ნუთუ ბოლომდე დაგიჩლუნგდათ გრძნობის საცეცი,
აღარ შემოგრჩათ სიყვარულის თუნდაც ნამცეცი,
ვეღარ იხსენებთ რა დიდია სულის ზეიმი,
ან ვის უნახავს კაცთმოდგმიდან ურვის ხეირი.

ასიყვარულეთ სიყვარულის ციცინათელა,
რომ კვლავ დაბრუნდეს თქვენს გულებში მისი ნათება,
გადაირეცხეთ სიავისა მთქმელი და მქმნელი
ღვარძლის ღვარცოფით გაბიდნული გონება თქვენი.

გავგულმზიანდეთ, შემოვძახოთ, მადლი უფალსა,
კვლავაც ერთობით მოვაშოროთ მუმლი მუხასა,
თორემ დაგვტოვებს უფუნქციო სიტყვა-მშვენება
და მასთან ერთად გვიწერია გადაშენება.

ასიყვარულეთ სიყვარული, გემუდარებით!!!

მშვიდობით

გორის ბულბულს – მიშიკო კოშკაძეს

დასათვლელ დღეებს წამზომი ჩაურთო და
მეტად მიეძალა სმას,
არასდროს აფიქრებდა თავი საკუთარი,
ეფერებოდა სხვას,
ქვეყანა სტკიოდა, გორი ადარდებდა,
გიტარას უყვებოდა ჯავრს,
უსწორო ცხოვრებას სიმღერით ეაღმართა,
აღმართში დაეწია ქვა,
ადრე ჩაიმღერა ყველა მელოდია,
მოასწრო ყველაფრის თქმა,
ვირტუოზული დაკვრით და ნამღერით
მარად გვეხსომება კვლავ.
დაობლებული სიმების ქვითქვითი,
ყველა ნაღდ გორელს წვავს,
ქალაქს დაკლებული ხელოვნის სტატუსით
დაადგა მართალთა გზას...

ხსოვნის წუთები

9 წლის ნანიკო ბერიაშვილის ხსოვნას
(პედოფილიის მსხვერპლს)

შეშლილი ფიქრი თავს არ მანებებს
და სისასტიკეც გასცდა განედებს,
სერაფიმების ისმის გოდება,
ცრემლიც თვალთაგან უხვად გორდება.
ვერ გავუფრთხილდით პატარა გოგოს,
არ გვაქვს პასუხი: რატომ და როგორ???!!!
მზარავს პროფილი განა წყენისა,
გაბრწყინებული ლუციფერისა.
სულწართმეული სხეული კვნესის,
ბავშვის კივილი ყველა ნერვს ესმის,
ან ღრუბლის ფთილით იხვევს ჭრილობას,
(მიწადყოფნისთვის ბევრი იომა),
უმანკო ფრთებით მივა უვნებლად,
უფალთან გულში ჩასახუტებლად...

მანანა ზაზიკაშვილი

ლევილის სასაფლაოზე

ლევილის სასაფლაოზე
ფერფლად ქცეულო მოგვარე,
საქართველოდან მოვედი,
თეთრი ბატკანიც მოგგვარე.
ჩემი სისხლი და ხორცი ხარ,
სხვის კარზე ღამენატეხი,
სხვის სასმელ-საჭმელს გერჩია
შინ ცივი მჭადის ნატეხი.
შინაურების დანახვა
გულს გიხარებდა მუდამა,
სამშობლო რომ გაგახსენა
ფრანგის ნასროლმა გუნდამა.
სამშობლოს ზეცას ნატრობდი,
ნატრობდი ფშავის სანახებს,
სამარხი მიწაც არ გერგო,
მიწა თვალით არ განახვეს.
ფერფლად გაქციეს, მამულში
წვიმის წვეთებად ბრუნდები,
ყოფნა-არყოფნის საკითხებს,
მთელ საუკუნეს ვუნდები.

შენ ხარ

შენ ხარ ჩემი
ფიქრი, განცდა,
მგონი უკვე
გულის დარდიც,
შენ გგონია
არტისტულად?!
არა, მართლა შემიყვარდი!!!

ხამანცა ხმიცს

დამეწყრილ მიწას გამსგავსე,
ძეგლი აგიგე სამანტა,
ლამაზი ფიჭვი დაგირგე,
ჩემს ბაღში იასამანთან,
მგონია ისევ ჩვენთან ხარ,
რეპორტიორთა ალყაში,
ხან ცივწყაროზე მგონიხარ,
ხან მელანდები ვაყაში.
ტყეში მივდივარ, თან მომდევ,
მუდამდ ხალისით მომყვები,
პატარა ამერიკელო,
ჩვენთან ბევრი გყავს მოყვრები.
ჩემი მიწა-წყლის მგონიხარ,
ჩემნაირ სიცილს ნაჩვევი,
ჩემს გულში, ჩემო სამანტა,
მუდამ ცოცხალი დარჩება!!!

ალქემის კუზი

დავბადებულვარ ზარით, ღრიალით,
ზოგი რომ ტირილს არქმევს სახელად,
მწუხარებისთვის დროს ვერ ვიმეტებ,
სახლშიც კი მიჭირს ამის გამხელა.
სიხარულისთვის დაბადებულებს
ტირილი ღმერთმა ყველას გვაცილოს,
ვიცოცხლოთ მხოლოდ ერთმანეთისთვის
და ერთმანეთი არ დავამციროთ.
ერთი თუ წავა, სხვა მოვა ქვეყნად
კაცობრიობის გადასარჩენად,
ღმერთმა მიანდო მიქელ-გაბრიელს
საიქიოსთვის ხალხის არჩევა.
მიერეკება ისიც თავისთვის,
ვინც რომ სიაში პირველი უზის,
სასაფლაოზე მაღლდება მიწა,
როგორც მოზრდილი აქლემის კუზი.
საფლავს საფლავი კვლავ ემატება
ჟამთა ცვლას ქვეყნად ვერვინ აჩერებს,
ამქვეყნად ყოფნა გერჩიოთ მუდამ
შესანდობარს და სხვა დანარჩენებს!!!

ღვთისმშობელი გვფარავს

ოსმან თურანს
შენ კარგად იცი,
ოსმან, თუ რანი ვართ,
ჩემი საქართველო
კიდობანს მაგონებს,
ვირწევით ზღვაში და
მივდივართ, მოვდივართ,
ვინ არ შეხიზვნია
ჩვენ სახლის ვაგონებს.
რატომ წაგვაგლიჯეს
გაგრა ან ბიჭვინთა,
რატომ გვიყურებენ
მომხვდურნი იჭვითა?!
რატომ პარპაშობენ
ცხინვალში, ჯავაში?
ვებრძოლოთ?! თუ ავყვეთ
ამ ბინძურ თამაშში?!
მტერი ულმობელი
სულ გვიტევს ეშვებით,
ღვთისმშობელი გვფარავს და
ძირს არ ვეშვებით.

ვიცოცხლებ სამარადისოდ

სულის სავანეს დავეძებ,
სულ არ ვამძიმებ მიწასა,
გამახსენდები თუ არა,
შენზე ფიქრს ვიწყებ იმ წამსა.
სულ არ მაქვს გულში ნაღველი,
ვუღიმი მტერს და მოყვარეს,
ოღონდაც ჩემი ოჯახი
სხვების ფეხდაფეხ მომყავდეს.
არ გაუჭირდეთ ჩემს შვილებს,
ჩემს მეზობელს და ჩემიანს,
ჩემი ქვეყანა ხარობდეს,
მე მეტი რა დამრჩენია.
ჩემია ჩემი ხაშური,
ეს საქართველო ჩემია.
ჩემია ჭალისუბანი,
ვაყა, ფლევი და ცოცხნარა,
ვიცოცხლებ სამარადისოდ
თუ არ შემჭამეს ცოცხლადა.

ნიკო ბაღაშვილი

გულნაზ ხარაიშვილს

მოწყენილია ეს შემოდგომა
სიკვდილი ალბათ გამანიავებს,
გაუსაძლისი სიცოცხლის ყოფნით...
მე მოგიშუშებ დეე იარებს.
გაიცრიცება ალბათ სიცოცხლეც
იმედი, ნუღარ დააგვიანებს...
დეს დაკოდილ და ტკივილიან გულს
ცეცხლის ალივით ავაბრიალებ –
დე... შევიცვალე, დავდინჯდი თითქოს
წლებს და ჩემს ნიჭსაც გაუფრთხილდები
გულს გაგიხარებ, არასდროს ითოვს,
მე შენი სიბრძნით გამოვიზრდები.

ნანა ყალიჩავა

ბევან:

გიჟი ქარები მინდვრად ფანცავენ
შენი ღექსების ხიდვად სიმშვიდეს,
შენ გაგიცანცეს ცაში მუზებმა
ღექსები გულზე ამოგიშენეს.

ბევან, რამდენი სათქმელიი დაგრჩა...
იქაც გამოგყვა ციბათ დარდები.
ციბათ „მიმინო" კვლავ ცერზე გაზის
და განთიადებს ღექსად ადნები.

შენი სამშობლოს დარდს, გამოყოლილს
მონაგრებით და ღექსით იოკებ.
„მკლავის მოსაჭრელ" კვდელს ისიზმრებ
და ძილში მწარედ ამოიოხრებ...

და შენი ელადი „მიმინოები",
მიმოფანცვია ცის მაღად კიდეს
სამყაროს ღექსად გადაუქროლე
თავთან, „დაკღული სიკვდილი" გიდევს.

ვახტანგ გაჩეჩილაძე

კაკაფონია

მათ ყოლიათ ვან გოგი
აქ ჩვენ კიდე გოგია
მთქმელს თუ არ ყავს გამგონი
ესეც გამიგონია:
გინდ გყოლია ვან გოგი
გინდა კიდე გოგია!
ჩვილს თუ არ ყავს პატრონი
და გარდაცვლილს მომგონი,
ერს თუ არ ყავს გამყოლი,
მისი დარდის გამგონი.
თუ დაჟანგდა გუთანი,
აღარა ჭრის მახვილი,
აღარ ისმის მებრძოლი
გმირის შემოძახილი.
ყველაფერი სხვა არის,
ჩემი კაკაფონია.
დამიჯერეთ ასეა,
მე არ მომიგონია:
გინდ გყოლია ვან გოგო
გინდა კიდე გოგია!

26.05.2011წ.

ჩვენი შეხვედრა

რა მოხდა თუ კი ჩვენი შეხვედრა
ერთ მშვიდ საღამოს ვეღარ შედგება?
გონებას თურმე ყველა შემთხვევა,
მარადიული ხსოვნით შერჩება.
ასეა თურმე, რაც ხდება ვნებით,
უჩვენოდ ქრება, უფლის განგებით
და მეც ამ ძველი კანონის ნებით
დავრჩები მარტო, სევდის ჰანგებით.
როცა გონებას შენი სახელი
მოგონებადაც არ დაჭირდება,
არ დამჭირდება მე შენი ხელი...
ვიცი, უთუოდ გამიჭირდება.
მომეცი ნება, ვიქნები ჩრდილი
ჩრდილი, რომელიც არ შეგაწუხებს
თუნდაც მე ვიყო თეთრი აპრილი,
ჩუმად გავუძლებ მე ამ მარწუხებს.
რა მოხდა, თუკი ჩვენი შეხვედრა
ერთ მშვიდ საღამოს აიცრემლება?
ეს გული უფალს უკვე ევედრა,
შენ ხსოვნა მცველად შემოგევლება.

01.06.2018წ.

იმედის წვეთები

ისევ წახვედი როგორც არასდროს,
გული გაჩერდა და სისხლს არა მთხოვს.
ასე მგონია წლები თამაშობს,
გული უსისხლოდ ცემას განაგრძობს.
რატომ გგონია რომ შენი წასვლა
საშინელ გრიგალს ნიავად აქცევს.
უკვე რამდენჯერ მითხარი არა,
არა რომელიც ყველაფერს ანგრევს.
იქნებ როგორმე უსმინო ვნებას,
ყური დაუგდო როგორ თამაშობს.
იქნებ მიენდო, ქარს იმ თავნებას
და გული ამით მიუშვა ნებას.
ისევ წახვედი მაგრამ რაღა დროს,
შენი დარჩენა არაფერს მაძლევს
და ამ გაქცევით თითქოს ბატონობს,
სიჩუმე თავის პირობას არღვევს.
პირობას არღვევს და ზღვის ტალღებში
გული იმედით თვალებს აცეცებს...
და ისე როგორც გემი რიფებში,
დახმარებისთვის თხოვნას ავრცელებს.

31.01.2017წ.

ავთო ხარაიშვილი

თავი მგონია ომში

ვიღაც ახალ ჭორს ამბობს
წვიმა მირეცხავს სევლდას.
შენი სიშორე მაკრთობს
ზეცა მიმატებს ელდას.
გადაიარა წამმა
მონატრებების დღემაც.
და მე კი თითქოს გვამმა,
ჩემს თავს დავუწყე გვემა.
მომავლის რწმენა მათრთობს
წარსული შენს თავს ძერწავს.
ღიმილი აღარ მამკობს,
ამინდიც სულს მიწეწავს.
თუ, გადავრჩები ხვალაც
თუ, გამითენდა ზეგაც.
იქნებ მომეცეს ძალა
გადმოგეფარო ძეგლად.
ვიცი, სიმშვიდეს მომგვრის
შენი თვალების ცქერა.
არ შემიძლია მორიგს
გავანდო გულის ძგერა.
მე, დავიბადე შენთვის,
და მე, მოვკვდები შენად.
ამ ლექსს ცრემლები ერთვის
აღარ მიბრუნავს ენა.
გვირილებს ვაწყობ მწყობრში,
გარეთ კი, ისევ ელავს.
თავი მგონია ომში
განცდები წამებს წელაცს...
თუ, გადავრჩები ხვალაც
თუ, გამითენდა ზეგაც.
იქნებ მომეცეს ძალა

22.06.2018

ახლა ისევ თენდება

უშენობით დღის ბოლოს სიმარტოვე მემძიმა,
ისე ვწუხდი ამაზე ღამე არ დამეძინა.
ახალ ისევ თენდება უღიმღამო ფერებით,
მე კი ვკვდები გრძნობების უსახური შენებით.
შემომაკლდა ხალისი, სულში ისე შემცივდა,
სუნთქვა გახშირებული ერთ ღამეში შემცირადა.
წუხელ დუმდა ქალაქი, თითქოს ცა დაეხურა,
ამინდებიც კამათით სხვა მხარეს გაეშურა.

09.2018

* * *

დავდივარ ფილტვებს ვანაგვიანებ,
ვსუნთქავ ამინდებს მოკლული მზისას.
და ვფიქრობ ეს გზა დამაგვიანებს,
ვერ მოვალ შენთან მზის ნათებისას.
იმედებს ვახრჩობ უგულოდ ტვინში,
ფიქრები ისევ შეხვედრას ბედავს.
ამპარტავნება გავრიე სისხლში,
ცოდვილის სახეს ვინ ჩამომწმენდავს?
ქარების დღეა თრთიან ფოთლები
გარს ეშმაკებიც ახლოს არიან,
რომ გამოვცალო სასმლის ბოთლები,
განა უბედურს რა მიხარია?!

15.05.2018.წ

მე შენს სხეულის ენას,

შევატყე ჩემთან ლხენა.
შენი თვალები ელავს,
შეწყვიტეს ცრემლის დენა.
ახლა ამინდი თბილი,
თბილისში ხის ქვეშ ვზივარ.
ნიავი ოდნავ გრილი,
ვფიქრობ მე, შენთვის ვინ ვარ?..
არარსებული წამის ლოდინში,
ღმერთთან მოვტყუვდი. ღმერთო ბოდიში...
ჩემი ზმანება შენს მოლოდინში,
გადაიწურა. და გცვლი მორიგში...

ვერ მომკლავ!

ვერ მომკლავ! რადგან ჩემშია ღმერთი,
რაც შეგაკავევს ეს არის ერთი.
ვერ შეძლებ ჩემი დაღვარო სისხლი,
და შემაშინო თითქოს და რისხვით.
ვერ მომკლავ! რადგან მე, სანთლის ღვენთი,
შენ კი მოსული ვით ზღვაში წვეთი.
გადამიდექი და ურცხვად მერჩი,
მე გაგეცალე შენ კი ღმერთს შერჩი.

3.06.2018

მე შენი აზრების მხარდამხარ

მე შენი აზრების მხარდამხარ,
შენ ჩემი ფიქრების მხედარი.
მეძახი! უღონოდ რადახარ?!
მე, ვამბობ! ღამის ვარ ცხედარი.
დამჩემდა წამების ჩამოთვლა,
ტირაჟით გავცალე მელანი.
მომბეზრდა სხეულით მაღლა სვლა,
შემიჩნდა ეშმაკი ვერანი.
თენდება! დღე მატობს თანდათან,
თვალებში ჩასვენდა ცხედარი.
შევჩერდი სინათლის ტაძართან,
სიცოცხლის უაზროდ მძებარი.
17.09.2018

აგვისტოს თვეა

აგვისტვოს თვეა და დღე მეტია,
ვიდრე წყვდიადის ჩუმი ფერება.
მზიანი დილის თეთრი მტრედია,
შენი ღიმილის გამომზევება.
მაგრამ თვალები, ოჰ ეგ თვალები,
იმაზე ცივი ვიდრე როდესღაც.
წავალ და მთაში დავემალები,
და დავბრუნდები მაშინ როდესაც...
იგრძნობ სიშორე თუ, რა რთულია,
თუ, რა ძნელია ტრფობით ფერება.
ახლა, ცა ღრუბლით დახურულია,
და არც ის ვიცი რა მეშველება...
26.08.2018

ჩემი ასაცანია

იმედები მამშვიდებს
არ გაჰყვები სხვას.
მოვსდევ მე შენს ნაბიჯებს
ვერკინები ზღვას.
ძლიერია ეს გრძნობა
უფრო მეტად შენ.
დროსაც შევეჭიდები
ცრემლს არ დავიდენ.
ეს მანძილი ქარია
და შენამდე გზა.
ახლა უფრო მტკნარია
მოჭედილი ცა.
უსასრულო ღამეა
სადღაც მოსჩანს მზე.
ჩემი ასატანია
გათენებამდე...
19.06.2018\

ნუ მიანდობ სხვებს

ნუ მომიჭრი გზას,
ნუ მომიკლავ გულს.
ვეძებ სულის ხსნას,
შენში დამარხულს.
თუ, გამიღებ კარს,
გამოგიწვდი ხელს.
და გავატან ქარს,
მონატრებას ძველს.
ამინდები რბის,
უფრო მეტად დღეს.
ხან ფოთლები თრთის,
ხან ატოკებს ხეს.
ეგ თვალები მწვავს,
მას მივანდობ წლებს.
თუ, მომიძღვნი თავს,
შემოგწირავ ძვლებს.
ჩემი სულის ხსნა,
შენს სხეულში ძგერს.
ნუ გამატან ზღვას,
ნუ მიმანდობ სხვებს.
28.06 2018

***

მე მივდიოდი,
შენ კი რჩებოდი,
ამაო არის ახლა ყვედრება.
თუ კი სიყვარულს გულში მალავდი,
რატომ მომეცი წასვლის მე ნება... ....

პესიმისტური ლექსი

ისე გავიდა ეს პერიოდი,
როგორც უმთვაროდ ეს ორი ღამე.
შენ წარსულიდან მზედ მოდიოდი,
ახლა სადახარ! მითხარი რამე...
მწამდა მომავლის ნათელი მხარის,
და შენშიც წმინდას ვაქსოვდი გრძნობებს.
ვიგერიებდი მოვარდნილ ქარის
თუ, ბობოქარი ზღვისაგან შტორმებს.
მე არ გიწესებ იცოდე ზღვარს
და ნურც შენ დამიდგენ სიცოცხლის ფორ-
მებს.
შენ მისთხოვდები მერივით სხვას
და მეც, გალაქტიონს მივბაძავ სწორედ...
10.06.2018

მახსოვს ყოველი წამი,
წამი წვრილმანზე მეტად.
მე მოვდიოდი ღამით,
ღამეს ვათევდით ერთად...

ბეჟან ხარაიშვილი



* * *

ყურძენს მიჩვეულმა ბავშვმა
ერთხელ შემთხვევით შეჭამა ძახველი,
და მტრისას იყოს, სისხლი მოეწამლა;
ნუკრები უკოცნიდნენ თვალებს გახელილს...
დედის აჩრდილივით აფრთხობდა წყურვილს

და
ტუჩებზე მიედო რძისფერი სახელო,
ღმერთმა დაგწყევლოს...
ღმერთმა დაგწყევლოს!
გათათრებული ქართველის სისხლზე
ხომ არ ამოდიხარ ძახველო?!

რომელი ჯობნის

გამოზაფხულზე, მოგიხმობს როცა,
სხვა მაისობის თეთრი ლანდები,
ლელვივით მწიფე ნაკვთების რხევით
დიდი სარკის წინ შეტრიალდები.
გარეთ კი სიო ალუბლის რტოზე
ღამეულ ცვლათა ცვლილებებს არკვევს,
– რა ლამაზი ვარ – ფიქრობ სარკის წინ,
– რა ლამაზი ხარ! – გიღიმის სარკე.
ოთახში უხმოდ შემოდის ლანდი
და წარმოდგენით ცოცხლდება წამსვე,
რომელი ჯობნის? – გაიფიქრებ და –
შენი მწიფობა იწყება ასე.

ფიქრი კი შორეთს მიჰყვება ისე,
როგორც მწევარი წვიმიან ნაკვლევს,
– რა თვალები მაქვს? – იფიქრებ ისევ,
– რა თვალები აქვს? – იფიქრებს სარკეც!
ველარ შენიშნავ რა ხდება გარეთ,
სიზმრისეული სიამე გავსებს,
გადაირეკავს გული სადარდელს
როგორც მთის ჩქერი ნაპრალთა ხავსებს.
ოთახში უხმოდ შემოდის იგი
და ორეულთან მესამე ჩნდება,
– როგორ მიხდები! – დახედავ კაბას,
– შენ კი გამიქრი! – გპასუხობს დედა!

* * *

მომიახლოვდი, როგორც არასდროს,
მომიახლოვდი!
– ვყიდი ვარძიას,
– ვყიდი ხერთვისს,
– ვყიდი არხოტს და
– ვყიდი ხოშარას...
მე აღარ მინდა თქვენი ლიბანი,
ისრაელი და მთელი კამბოჯა,
მე საკუთარი დარდი გამბოჭავს,

მე საკუთარი ბოღმა მომშხამავს,
შენ კი ჯიბეზე ხელებს იფარებ,
მე ამიტირდა მუხრანი...ანა...
მე რომ გავყიდო, იყიდი განა?
მე რომ გავგიჟდე მომკლავდი განა?
მე თვალებდათხრილ დიდ ფრესკებს გიც-
ვლი,
მხარჩამოკვეთილ ამ ხერთვისს გიცვლი
იმ პირველადქმნილ საოცრებაზე.

* * *

ცა რომ მტრედისფერობს,
ტყე რომ ფერი-ფერობს,
მზე რომ ნისლის ყანწებს ეტანება,
ბუჩქთან წამოვწვები
სადმე ცვარიანში
ლექსებს დავაპურებ ნეტარებით!
უბეს გამიქექავს
ქარი თიბათვისა,
გულში ჩამეტკბობა პირველყოვლის,
რითმებს გამოაკრთობს
წვეთთა სინაზეში
და მზით გადაფერავს
მწვანე მოლი,
წყარო სისხლს გადუსხამს
ღელის ცისფერ ვენებს
და ძმას ჩაეხვევა
ძმადნაფიცი,
ამ მთებს ვენაცვალე,
ამ ტყეს ვენაცვალე,
მეტი რაღა დამრჩა დასაფიცი!
ერთი გაიხედე ქარი რა დღეშია,
როგორ გადალოკა არე-მარე,
ეს შენ გიმღერიან ზეცის ასულები
მუხავ, ჩამუხლული, გაიხარე!
რტომან შინდებისამ იყვავილა
და მზე ჩანჩქერების თარზე დნება,
გული სამარეშიც იმზიანებს,
გული სამარეშიც ამღერდება –
ჩვენში ასე იცის
მზემ ამოსვლა,
ჩვენში ასე იცის გათენება!

გამოთხოვება

დათვის ჯვარს ვეფხვის ფერი დაჯაბნის
და სიმწვანეში ჩასთვლემს ხახმატი,
ნახვამდის ხევის მჟავე წყლის შხეფო,
მიწის მზექალო, შენაც ნახვამდის!
რა დამავიწყებს ბეწინას წისქვილს,
არაგვის ტალღის ქვებთან ხუმრობას...
მიყვარს ეგ მთა და ეგ ქალიც მიყვარს,
მაგრამ შევძლებ კი მაგ ხევსურობას?

სიყვარული იწყებოდა ასე

გახსოვს? ღამე სოფლის განაპირას,
კოდის წყალთან ხელადები ვავსეთ,
გეჩქარება? – გკითხავდი და დუმდი...
– სიყვარული იწყებოდა ასე!
სიზმრად გნახე, ღია სარკმლის იქით
გეხვეოდა ანგელოზთა დასი,
მოჩვენება? არა, ცხადი იყო...
– სიყვარული იწყებოდა ასე!
შენს თვალებში ციმციმებდა, მახსოვს,
უსაზღვრო ცა, იმედებით სავსე,
ძილი გსურდა? არა, ღამისთევა...
– სიყვარული იწყებოდა ასე!
ტოტებ-ტოტებ მოგყვებოდა მთვარე,
კოდის წყალთან ხელადები ვავსეთ,
გეჩქარება? – გკითხავდი და დუმდი...
– სიყვარული იწყებოდა ასე!

ეს ცხოვრება

თუ რამ სადმე მეტი შევსვი,
გადმომდინდა ცხვირში ძმარად,
ეს ცხოვრება ბაგირია
ხან დავძლიე, ხან დამძალა.
ოქროს ჩიტი მოფრენილი
ბევრჯერ თვალწინ ამაცალა,
ფეხი წავკარ, წავიჩოქე,
სულის მოთქმა არ მაცალა,
ხან ალერსით მანებივრა,
ხან დამაგდო ბაღში ცალად,
ეს ცხოვრება ბაგირია –
ხან დავძლიე, ხან დამძალა,
ხან ცხელ-ცხელი პური მომცა,
ხან მაჭმევდა ცივ მჭადს მცირედს,
ეჰ, ცხოვრებავ, ვერ გადაგძლევ...
შენ ორს ებრძვი –
მე და იმედს.

გვანცა ხარაიშვილი

სანამ ჩუმად ვართ

არავინ ითვლის დღეებს.
წლები კი გადიან სწრაფად.

ფართო ველიდან
კერამიკის ლარნაკში გადმომრგეს.
ყოველთვის მინდოდა ჭრელ, კოპლებიან და
ცისარტყელასმიჭყლეტილ სპილოებიან სამყა-
როში მეცხოვრა,
 მაგრამ ასე ვიწროდაც არა.

ბედს არ ვემდური.
თეთრად შეღებილი თაროდან ბევრი ფანჯარა
–
ანუ ბევრი ისტორია ჩანს.
არ მოვიწყენ.

ჩემი ამბავი არავინ იცის საიდან იწყება.
არც მე მეცოდინებოდა მოყოლა რომ არ და-
მეწყო _
სანამ ჩუმად ვართ, არავინ გვისმენს,
მერე _ მით უფრო.

ყველაფერი, რაც ვიცი
ჯერ ჩემმა თესლმა იცოდა _
მტკნარი წყლის გემო,
ხის წებოს სუნი,
მწერების გაუთავებელი ბზუილი,
შეხება.
იცოდა ამაზე მეტიც,
რაც მაშინ მახსენდება,
როცა ვიკარგები
და გზის ხედვა მიძნელდება.

ფესვებით ვდგავარ.
მიწაზე ამოსვლა გამოღვიძებას ჰგავდა.
მზის სხივები არხევდნენ ჩემი სიზმრების
ნაზ რტოებს,
მიწისქვეშა წყლები კი მშვიდად ლოცულობ-
დნენ,
რომ ამ გამოღვიძებას
სამყარო უკეთესობისკენ შეეცვალა.
ვიცოდი მაშინ,
ვის მხარეს იყო ბედისწერა.
ახლა არ ვიცი.

როცა ვფიქრობ დღეებზე,
ფართო ველზე
 მატარებლის ვაგონივით თანაბრად ჩამწკრი-
ვებულ
ერთნაირ დღეებზე,
ტანის ღეროში ისეთ სიცივეს ვგრძნობ,
თითქოს,
ცივი წყალი დამასხეს
ონავარმა ბავშვებმა.

წამოსვლა მინდოდა.
თანაც, ისე ლამაზად,
ბელურებს რომ მოეყოლათ
ნისკარტდაღებული ბარტყებისთვის,
კოდალებს მთელი ტყისთვის მოედოთ
გამოთხოვების ეს დიდებული ამბავი.

აქ ვარ.
ხის თეთრადშეღებილ თაროზე.
ფხვიერ მიწაში თავჩარგული თერმომეტრი
ჩემი ფიქრების ნაცვლად
ტენიანობას კითხულობს.
ადამიანებმაც ასე ცუდად იციან კითხვა.

ეს მარტო სული კაციც,
რომელიც სახლში შევიფარე,
მხოლოდ ქვითრებით
და საკვირაო გაზეთებით ინტერესდება.
იშვიათად წაუცდება ხოლმე
სურვილი,
წვება ხის სავარძელში,
თვალებს ხუჭავს,
ხელებს ფეხებზე იწყობს
და საკუთარი თავის კითხვას იწყებს.
მე ვისუსები.
ხმა არ მაქვს,
მაგრამ შინაგან ტალღებს ვაჩუმებ.

თენდება.
მზე აქაც ისეთივე ამოდის,
როგორიც ფართო ველზე ამოდიოდა,
მაგრამ პეპლები აღარ მოჰყვებიან
მზის ამოსვლას.
აქ არავინ მაკითხავს.
რა მოკლე სიცოცხლე ჰქონიათ მათ,
ვინც წარსულში დავტოვე,
რა პატარა ოცნებები.

ბაბუაწვერას მოჰქონდა ხოლმე
დილაობით ფოსტა.
შრიალებდა ჩემ გარშემო ბალახი,
წრეზე ბრუნავდნენ მისი მსუბუქი ქოლგები
და მიყვებოდნენ საოცარ ამბებს
შორეულ ფართო მდელოებზე,
კერპთაყვანისმცემელ ადამიანებზე,
კოცონის ირგვლივ დატრიალებულ ჯადოსნო-
ბებზე,
ზღვის პირას გათეულ
ცივ ღამეებზე.
ზოგჯერ, სიყვარულზეც,
როგორც რაღაც მყარზე
და ცარიელზე.

მწერებს მოვწონდი.
ამბობდნენ,
რომ ლამაზი ყლორტი მქონდა _
გრძელი, მწვანე, სრულყოფილი.
მე მხოლოდ ჭიამაიების აზრი მინდოდა გამე-
გო.
ჩემზე არა, ამინდზე.
იწვიმებდა თუ არა,
იწვიმებდა თუ არა,
გადავრჩებოდი თუ არა სიცხეს.

მარტო სულ კაცს ამინდი არ აღელვებს.
ყოველდღე ერთნაირად იცვამს _
ნაცრისფერ გახამებულ შარვალს,
მუქ ყავისფერ ჯემპრს და
მასზე ცოტა უფრო ღია და გაცვეთილ ფეხ-
საცმელებს.
ზოგჯერ მგონია,
ეს ერთი გასვლაც და
აღარ დაბრუნდება,
ყავის ეს ყლუპიც და
ხელებს უკანასკნელად გამოიწვდის
ჩემკენ,
ცხოვრებისკენ.
ის კი ყოველ ღამით მოდის,
დაძინებამდე,
სანამ უკანასკნელი ზეწარი დატოვებს
თეთრ კვალს ზეცის კიდეზე.
მარტო სულმა კაცებმა ხომ
ყველაფერი იციან მარტოობაზე,
ამიტომაც ჩემთან ყოფნას ირჩევს.

ფართო ველიდან თეთრ რაფაზე გადმოვედი.
ნეტა, რას ყვებიან ჩემზე კოდალები?
რა ამბები მიაქვთ ბელურებს
ნისკარტდაღებულ ბარტყებთან?

არავინ იცის საიდან იწყება ჩემი ამბავი.
არც მე მეცოდინებოდა
ოცნება და მარტოობა რომ არ მესწავლა.

გავთავისუფლდი.

გულნაზ ხარაიშვილი

გამახსენდი

გამახსენდი... ისევ უნდა განგიკითხო,
სიამაყე, მიკვირს რად ვერ აღმოფხვერი, –
ძველ მეგობარს, ფიქრით უნდა მოგაკითხო,
ხაიათი წლების შემდეგ ამოვხსენი.
ბრძენთა რჩევას არ იღებ და კვლავ ვერ იტან,
შენზე დიდი, არსად არვინ გეგულება...
თუ ჩემს ძარღვებს შენს გულმკერდში გადაიტან,
ეგებ შეძლო მეგობარის ერთგულება.

არ შეგეშინდეთ

არ შეგეშინდეთ დარდის სამოსის,
სულს რომ ტკივილად შემომჯინჭრია,
თვალზეც ხშირ-ხშირად ცრემლი ჩამომდის,
სიტყვასაც ვუძლებ ბევრჯერ ჭინჭრიანს.
ქარიც ბოროტობს, სიავით დარბის,
მზეც ღრუბლებშია ვერ შემამჩნია...
არ ვარ სიმდიდრის წუწკი და ხარბი,
გაძლევთ ყველაფერს რაც გამაჩნია.
ფარჩაფურჩები, ოქრო და ვერცხლიც,
წაიღეთ ყველა თქვენია ხალხო, –
ლექსი ჩემია, ეს გულის ცეცხლი,
წაიკითხეთ და ხელი არ ახლოთ!

არავინ არ ხარ

არავინ არ ხარ, ბოროტებას
თუ არ ჩაქოლავ, –
არ გაიხარე, სხვის სიკეთით, არ გახალისდი,
თუ შენში ჩარჩი, აქეთ-იქით სადღაც დაქროლავ,
იმ ტოტს ჩამოჭრი, რაც ამოდის
კარგო, ხვალისთვის.

თეა კანდელაკს

თ-ბილისელების სიცოტავე, შორით მატება,
ე-რის ტკივილი, მონატრება, სისხლის გენია...
ა-მომავალი მზეთა სხივის, ნაზი ხატება,

კ-კოკისპირული წვიმებიც ხომ განაჩენია.
ა-მწვანებული ფიქრის მთები, ლოცვა-გალობა,
ნ-ოსტალგიით რომ შერჩენილხარ გულის ტკივილთან
დ-ედის ღიმილი, ხელოვნება, წმინდა ქალობა,
ე-ს გმირობაა, გამარჯვება, დროის ჭიდილთან.
ლ-ოცვით ცრემლები შეერევა დარდის მდინარეს,
ა-ისის ცის მზეს, მაინც რწმენით შეეგებები.
კ-მაყოფილებით გააღვიძებ ლექსებს, მძინარეს,
ს-იყვარულიდან, სიწმინდიდან, გამომდინარე.

დასალევად ვეძებ

ისე როგორ შემიძულე ქარო,
სასიკვდილოდ გამიმეტე ბევრჯერ...
მუხის ტოტებს უნდა შევეფარო,
სუფთა წყაროს დასალევად ვეძებ...
მთელ სხეულზე სამყაროს რომ იცმევ,
ბოროტებით ბრდღვინავ ძირს და ცაში,
ძალიან გთხოვ, სეტყვად არ გადიქცე
მაშინ გულში სამუდამოდ წაგშლი.

სმწვანდებინ

შენს ნაზ ღიმილში მუდამ
თბილი გაზაფხულია...
მზეთა სხივები სულის ღმერთქალს
დაგვანება, ...
შენ მომიშუშე ნატყვიარი
დარდის გული და ....
ჩემთვის არასდროს არაფერი, დაგნანებია.

მეგონა

შეყვარებულ გაბუტულ ანის, სიყვარულმა აჯობა და... თავგადასავალი ცრემლით მიამბო (ლექსს პირველ პირში ვწერ...)
მეგონა დაგივიწყებდი,
ღამის კედლები ჩამოვფშვნა...
დავფიქრდი... ჩემს თავს ვუწყრები,
დარდის მთა უნდა ჩამოვდგა,
გულში შენ უნდა მოგიხმო,
ღამის მთვარედ და ვარსკვლავად, –
თუ გსურს ზღაპრებსაც მოგითხრობ,
გზებს თოვლიანსაც გავკვალავ.
იმ წუთებს კვლავ გაგახსენებ
გრძნობების შენარჩუნებით...
ფიქრს ჩემში ჩამოვასვენებ
და ლექსით გეჩურჩულები...

ასი წლის შემდეგ

(კოტე ესებუას)

კოტე შენ ზეცის სასახლეს ხუხავ,
ასი წლის შემდეგ ცოლშვილს
რომ დახვდეს...
აქ დაცქერიან შენს ლამაზ სურათს,
რომელსაც ტაბუდ ცრემლები დადევს.
მეგი გათხოვდა, უმწიკლო გოგო,
ზრდილი მკაცრად და სიბრძნეს აჩვევვდი –
ცოლშვილი გდარდობს,
გდარდობს და როგორ...
რადგან არ იყვნენ ცრელმებს ნაჩვევი.
თქვენს ტკბილ ოჯახში ჩამიჩუმდნენ,
ტკბილად ნათქავმი ბაგის სიტყვები,
ქარსაც სიმშვიდით გააჩუმებდნენ
ახლა მათ ამბავს ლექსით გიყვები,
ღირსებით სავსეს მეგის, ციურის,
ვერ დააჩოქებს გამოცდა ბედის, –
ორნივ არიან, ზრდილნი, ღვთიური...
ორნივ საყდარში ღვთის რწმენით შედის...
შენ მშვიდად იყავ კოტევ უფალთან,
რადგან სიძეც გყავს ძალზე ჭკვიანი,
ის გავიცანი კვლავ შენს სურფრასთან
იდგა დინჯად და თვალცრემლიანი...
ზეცას ესტუმრა სიძის დეიდაც,
ის უკვე ცაში ამორძალია,
გარდაცვალების წუთს დღეიდან,
მარადისობის პატარძალია...

შენ მშვიდად იყავ კოტევ, უფალთან...
შვილი და სიძე გამრავლდებიან,
ახლა აქ ვზივართ კვლავ შენს სუფრასთან,
მოგონებები არ ბერდებიან.

ჩვენი შეხვედრა

ოხ! ღმერთო ჩემო რაღატომ შემხვდა,
ხომ აღარ მსურდა შეხვედრა მასთან...
შეხვედრის იმ დროს ფიქრებში ხევდა,
აღარ იცოდა რა უნდა ეთქვა,
და ჩემი სუსტი ფაქიზი ხელი,
მოექცა მის დიდ ტორივით მკლავში...
რაღატომ შემხვდა ან მე რად ვნახე,
აღელვდა როგორც პატარა ბავშვი,
მერე წავიდა, ჰო, წავიდა,
ჩემს გულში დატოვა არარა,
ბუუტავს დაისსში, თითქოს ჩავიდა, –
გაყვითლებია, თმებში ჭაღარა.
ცრემლი სდიოდა ძველ დროს ლუჯთვალას,
რადგან შეხვედრის წუთი მებევრა...
მეც არ მინდოდა, მაგრამ უფალმა,
ინება ისევ ჩვენი შეხვედრა.

ცათა ლაჟვარდში
(მურმან გენელიძეს)

მ-იღმის სამყაროს წაართმევ სივრცეს,,
უ-ამრავ მხატვარს ნიჭით აჯობებ...
რ-მ არ იწვალებ, უბრალოდ ისე,
მ-ეფურ იერით დაწერ ნაშრომებს.
ა-ბრწყინებული მზისფერ ლაჟვარდში,
ნ-აირ-ნაირი ვაზი ვენახობს...

გ-ულში ნათოვლი ფიფქთა ბარდნაში,
ე-რთი ვარსკვლავი შენიც მენახოს,
ნ-ავით დაცურავ ფერთა გამაში,
ე-რის ბედი, რომ იწილ-ბიწილობს,,
ლ-ელიანს კაფავ ბედის თამაშში,
ი-მედის დრონი რადგან შიმშილობს.
ძ-მადნაფიცებში არაგყავს მტერი,
ე-რთ ლამაზ ქართველს გხედავ იღბლიანს...
ს-ული კი შენი – სამყაროს წევრი,
ისე წმინდაა, როგორც ბიბლია.

სიზმარი

ლამაზ ოცნებამ მასეირნა, მაღლა სივრცეში,
მერე სულ კრძალვით მოწიწებით მაახლა მთვარეს,
მზემ მომანათა სხივები და ვიდექ სიცხეში,
გადაპწკიალდა ჩემს წინაშე ცის არემარე.
ჩამოვისვენე იქვე ახლოს მნათობის ჩრდილში,
მომიახლოვდა ანგელოზი, მკითხა, რა გნებას?..
ო, მაპატიე თქვენთანა ვარ? ალბათ ვარ ძილში,
თორემ ფიქრითაც აქ ამოსვლას როგორ გავბედავ.
თუ მეტყვი რამეს ქართველებზე, მაშინ მოგისმენ,
კი გიპასუხებთ: ომებში ვართ, წვიმების თქეშში,
ა, ქართველი ხარ?.. მაშინ მიდი მიგიღებს ღმერთი.
მესმის შორიდან ღაღადისი მაღალი ზევსის,
შენ პოეტი ხარ, სანთელივით დადნები ღველფით,
და მოვალეც ხარ! იტირო და იცინო ლექსით,
ქართული მიწა ღვთიშობელის არის წილხვედრი.
დავფიქრდი ერთხანს, არ ვიცოდი რა უნდა მეთქვა,
აფხაზეთი და სამაჩაბლო გულში მტკიოდა...
ჩემი ტკივილი დავიტოვე ისევე ჩემთან,
და თავისთავად სიმწუხარის ცრემლი მდიოდა.
გამომეღვიძა... ცხადში მოვხვდი, შფოთს და გნიასში,
რეალობაში ღვთიშობელს კი... ან ვინ ნახავდა...
ხმამ ჩამომძახა: მწუხარების აგონიაში,
მიმოიფანტეთ,... ვაზი მიტომ გავენახარდა.

ნაძვის ხე

ღრუბლებში ისე გაიხიდა მზე,
აქეთ გამოხედვას აღარ აპირებს...
ნაღვლიანობს ნაძვის ხე და...
ლამისაა ხმამაღლა ატირდეს.

მადლი სიონის

ბ-ილიკს, მის გავლილს, წლები რას წაშლის,
ე-ნაწყლიანი პოეტის სიტყვებს...
ჟ-ანგისფერ ფოთლებს ფიქრები აშლის,
ა-იყვანს ტყეში ამოსულ ნიყვებს.
ნ-ანატრ გაზაფხულს ვერ მოესწარი,
ხ-ის ტოტებს ტანი შემოეჟარათ...
ა-ხლა გახურავს ზეცის ზეწარი,
რ-ამდენს ვტირივარ, ძმაო, ბეჟანა.
ა-მ თოვლს, ამ წვიმებს როგორ გავუძლო,
ი-მედი ნისლით იხრჩობა კვამლში.
შ-ეშლილო ქარო, სევდის საუფლოვ,
ვ-ერ მოგიშორე, თითქოს ვარ ვალში.
ი-მიტომ გითმობ ქარო, ოხერო,
ლ-ოცვით საგზალი ცაში ავიდეს,
ი-მ ფაქიზ სულის ლექსის კენწეროს,
მივწვდე, თუ გინდა წლები გავიდეს.
მერე ავანთო გულს ლამპიონი,
გავაცისკროვნებ ბნელს ვარსკვლავებით.
მწამს მიწყალობებს მადლი სიონის
და ასე ვივლი ძმის ნაკვალებით.

გურა-ანგურა
(გურამ გედევანიშვილი)

მოგეფერები წყაროს დინებავ

მოგეფერები წყაროს დინებავ;
მაჩვენე გამჩენი მაჩვების,
სითეთრე ახურია (აპრილმა ინება),
ლეღმას დაეწაფნენ დათვები.
იყოს ნიაღვრები საზარი,
ზვავი ჩვენს სიცოცხლეს წალეკავს,
მიწად გადიქცევა რაც არის,
ვიქცევით მოარულ ქარებად.
მოგეფერები, ჩაგიხუტებ, გავითქვიფები,
ჭავლად მაქციე ნაკადულო, ო, ნაკადულო,
თუ, გახსოვს თოვდა, ვიყავ ფიქრი,
ვიყავ ფიფქები,
მართალსა ვამბობ და არა ვხმურობ.
ხშირად გადმომხედე მოწყალეო,
ფერი მომაშხეფე ფერი,
მომწყურებიხარ, როგორ არ დაგლევო,
გრილად შემომხვიე მკერდი.

პეპელის სიკვდილს შევესწარ

პეპელის სიკვდილს შევესწარ;
მზეზე დაკეცა ფრთებიო,
ფოთოლზე გადაესვენა,
სულის ფრთა ერთადერთიო.
ზედ დაეფინა ფიფქები,
ტყემლის, შინდის და ალვისა„
უკანასკნელად ჰკოცნიდა
ასკილის მჭვირვალ ყვავილსა.
უკანასკნელად ისმენდა
გაღმა მზვრის წყაროს დუდუნსა,
მერცხლისამც ჩამოქროლებას
უკანასკნელად უყურა.

პირველად ქმნილი ხართ

პირველად ქმნილი ხართ,
სულ მთლად ცისფერი,
დაგკრავთ ვარდისფერი ტონები,
იყო სიბნელე, შენ მოსვლას ვითმენდით,
ათასწლეულთა განმარტოებით.
მტრედი გაფრინდა, მტედისფერ
ნისლებს
დაჰკრავთ ტონები სოსანისფერი,
შორეულიდან მე მარად გიმზერთ
და სხვა რა მინდა აქ, ამის მეტი.
ზამბახის გედებს ჩრდილის ტბა უნდათ,
ყელყელაობენ ყვითელ ალმურში,
მზე გადაპობილ ტუჩზე დაუნჯდა
დღეო, დაისის ფარდა დაუშვი.
დღეო, დასწერე პირჯვარი ვარდებს,
ველად გაუშვი ხევის წყალები,
ალალი იყოს, ვინც გადავარდეს
პირთეთრათ სპეტაკ ამორძალებში.
თქვენ უნაზესი ხართა სილურჯე,
ჰაეროვანი ლაჟვარდის სივრცე,
ფრინტას სურვილო, მსურსა
დავმუნჯდე,
როდესაც ჰყვავით, როდესაც გიმზერთ,

ჯვარო, ლომისის გვრიგვინო

ან, რა მომკლავდა, გუგულის კაბავ
მომიხველ ველადა,
ღიღილოვ, ყანის პირებში,
– მელანო – ლურჯის ფერადა,
ყაზახავ, კორდის თავებზე,
– კლდის ქარაფების მშვენებად
იფნურა, კაბაჭრელების
და ზამბახისა ენებად.
ლუღლუღა ღელის ჩქერებო,
ბუერავ, აკვნის ფოთელო,
გულებზე საკინძ-გახსნილო„
ცისფერთვალება სოფელო,
სოფელში ყანის ბარაქავ,
ჭირნახულისა მლოცველო,
ჯვარო, ლომისის გვირგვინო,
შამწყალევ, დაუცხრომელო.

ბუნება ჩემი ხატია

აბა, რა გითხარათ მის მეტი,
სხვა მეტი არა ვიცია;
ბუნება ჩემი ხატია,
სალოცავ დასაფიცია.
მზის სხივზე აზრებს დავაწყობ,
თოვლის ქათიბზე ფიქრებსა,
დავფრინავ, წერილ-ვბარათობ;
ხვალ სასწაული იქნება;
პირველად მოვა ენძელა,
მთის გადახოტრილ თავზედა,
გვიამბობს მიწის ამბებსა –
მძინარე დედოფალზედა.

მარადიულად ასე იქნება

მარადიულად ასე იქნება;
დღე გარდიცვლება გადაფითრდება,
ჩამოითოვებს მთვარე ფიფქებად
და კვლავ ფოთლებად გარდაიქმნება.
ფოთლებში ისევ მოვა შრიალი,
ისევ ჩურუჩული, ქროლვა ნიავის,
სული მედგარი ქარიშხლიანი,
მტევი, ძალუმად, ომახიანი.
ჩვენ ვინ ვიქნებით? გუდა ფიქრების,
ათას ოცნების, ათას საზრისის,
დაღლილნნი, ვითარც ქარაიები,
სივრცის უარით, დროის მანძილით.
მაინც სავსენი ვით ოაზისი,
ზღვა სიხარულით, ზღვა სასწაულით,
როგორც სულღუმი, როგორც არწივი,
ვით უდაბნოში ხე საქსაულის.
რაიც იმსხვრევა, რაიც ნოლდება,
ის ცად მძივდება ან მოგონებად,
თუ, როგორ გავჩნდით, რა გზით ვიარეთ,
ქაოსს რა ფანდით – ჩავეხვიარეთ.
ხედავთ სიშიშვლეს ლანდთა ჩრდილებში,
ხედავთ დუმილებს ცისფერ თვალების,
მარად მოგვდევენ ცით შეშლილები,
ძუძუმოჭრილი ამორძალები.
ნეტავ, გექმენით მდოვრე მდინარედ,
ნეტავ, გვედინა უსრულ დინებით,
თუ, არა, ღმერთო, დაგვამძინარე,
მცინარა სულად წამოზრდილები.

მე მესმის ყანების შრიალის

მე მესმის ყანების შრიალის,
სინათლის ჩურჩულს ჰგავს ეს,
შემოდის ლაჟვარი ტბიანი,
უხდება ქვითინი მწყერს...

იქიდან, იქიდან მოისმის,
იდუმალ შიფრებად, ხმა,
ტყეს სჯერა, ქვა ფიქრობს: მოიცდის
კოცნა, ლოდინი... სხვა..

მე მესმის ღრუბელთა ხახუნის,
ქაფს უყვარს ოცნებით რანინა
ნახვამდის, ტკივილი გაუვლის,
წავა და სხვა მეტი, რა უნდა...

დაგვფლავენ მსუბუქი ზვავები,
ასეა, როლები იცვლება,
ლეშისკენ მივეყვავებით,
მიფრენ და თეთრი სივრცეა...

შეშურდა წეროთა ფერიონს –
– ორშაბათს, ქათქათა ზეწარის,
ქარბუქნი სიკვდილში მღერიან
და მთელი ჩურჩულიც ეგ არის.

მე მესმის ყანების შრიალის...
სინათლის ჩურჩულს ჰგავს ეს.

ლამაზი სუნთქვა

ლამაზი სუნთქვა ალუბალს უნდა, აპრილის ბოლვით,
კაცს დაეუფლა ყვავილი სუფთა, ცისფერი ბროლი.

ტბაზე ლელწები ცივ დაირებს შეათამაშებს

შუაღამისას,
როს გასცდეაბ სევდა სამანებს,
როცა ვარსკვლავებს მიმოფანტავს ეული სული,
ტბაზე ლელწები ცივ დაიარებს შეათამაშებს...
და დაიხრჩობა მოლანდება გადარეეული.
მწარედ იტირებს,
მობუზული მთაზე ნიავი...
ეკალბარდებით და ნარშავით
გარემოსილი,
გზაზე იმედი,
მოწყენილი სახით მივალის
შავი სისველით,
მჟრჟოლი სუთქვით,
თეთრი დობილით.
შუაღამისას
მარტოსული ხურავს დარაბებს,
დღის მჭვირვალების სამუდამო დასამარებით,
ტბათ მდუმარებაც აღარ ეტყვის აწი, არაფერს
და გაწვებიან მოსისინე შავი ქარები.

ლელწებში გაირინდა სული მცინარა

წვიმის ლელწები ჩამოეშვნენ დედამიწაზე
და იმ ლელწებში გაირინდა სული მცინარა.

ღილიფარების რეკენ ზარები

საით მიდიხარ...?
ღილიფარების რეკენ ზარები,
თეთრ შუადღემდე
მთის ნიავიც ჩამოიქროლებს,
არა, დობილო, ...
ვერ დავრჩები, მივეჩქარები
ღრუბელთ ოცნების გარინდება
ჩამოვიწოდე.
მახსოვს ლატავრა, მკერდს რომ მატანდა,
გრძნეულ სიზმრებში
თვლემდა სატანა, ქაფში, რა ტანად,
ღმერთის თითებით
იყო შექმნილი ნაწნავთ გრეხილი,
გველთ მოქნილობა,
ვით ხე კეთილი, ვაზის ხეხილის
მოთენთილობა.

ყინვის დამყვანდა ხარები

თეთრსა პენტელა კალოზე,
ზამთრის თეთრონა ქარებით,
ყინვის ვზიდავდი ნალოებს,
ყინვის დამყვანდა ხარები,
ზვინებსა ვსდგამდი თოვლისას,
ვაბულულებდი ფანტელსა,
ნისლებს ვიგებდი ლოგინად,
ლელმით მივყავდი წყალებსა.
ვქრებოდი, ვიკარგებოდი
არმოგონების არარით,
ენძელად ვიქარგებოდი,
დრო – ჟამის მქურდავ-მპარავი.
სევდობით ვდაისდებოდი,
მაისის მღელვარებაში,
ნეტავ შვილთა და დედობის
გრძნობაში გავმჟღავნებოდი.
ნეტავ ამეხსნა არსობა,
ჩვენი ამფერად ყოფისა,
რაობის არარაობა,
უდარდელობა თოფისა,
სიოცე, ახალ შობილთა,
ლაღობა ჩიტის ფრენისა,
დავმჯდარიყავი მეტირნა,
ცრემლი მდენოდა ლხენისა,
ისევ, იმ თეთრონ ქარებზე,
ისევ იმ თოვლის ზვინებზე
ცივს დამწუხრებულს ღამეზე,
მზის დილებით რომ ვილოცე.

ვრაფერობა ლოდთა სჯეროდა

მე ვფლობ ხელობას,
მახსოვს ლელობთან...
სახლობდა კაცი...
იმან მასწავლა;
ცხენთა ბელობა
და დროის ფასი,
ბალახს ელოდა,
შროსა ცელავდა,
ხატავდა მიწას,
არაფერობა
ლოდთა სჯეროდა
და ლოდებს ცისა.

ნამში სიზმრები თოვს

ბინდში იდგა და დგას მყუდრო სოფელი,
შორით მდინარის ხმა, უარმყოფელი,
კლდის მცინარედ რომ სჩანს,
მგლის ბილიკებს რომ სჭამს,
ტბის სხივებში რომ თვლემს, დაუნდობელი.
ბინდში მკლავები ცის...
მოქნილი ლელწი მკლავს,
ყმუილი ისმის მგლის,
სწამს, ეშინია, სწამს,
ჰფენს პირთეთრები კლდის,
ფერს დავიწყების ფერს,
სუროს თითები თრთის
და მოშრიალებს მზე.
ნამში სიზმრები თოვს
ნიავი ფოთოლს ზრდის
ვნებიერების ფონს,
ყანა მიენდო ბინდს,
ბინდი ეხვევა ტევრს,
ხმას, მდინარისა ხმას,
ტყეს, იდუმალა ტყეს,
დღეს – ქალწულების თმას.
მთვარე მთვლემარე ტბის,
გზად, მივიწყების გზად,
უარმყოფელი ცის,
მზეში იკლავდა თავს.

ბინდი წყვდიადეთს ჰგავს,
ბინდი გადასცდა გონს,
კვამლის დევები სჩანს,
სჩანს და სიზმრებად თოვს.

ჩემს შვილს ბესიკს

ხტუნაობდა ბინ-ბონ-ბენ,
მოდიოდა ბიჭი-ბე,
მოგორავდა დისკო მზის,
იძახოდა: სი-სი-სი,
ბიჭს მუხლები ჰქონდა მგლის;
ცავ ასწავლე ფრენა ბიჭს;
ცა იტყოდა: – ისეც ფრენს,
უფრო... მაღლა...? კი... ხო... ჰე...!

შემოგანათებს ველი ხარხარით

ზღვისა უმცირეს კენჭს როს გადახსნი,
შემოგანათებს ველი ხარხარით,
აბრიალდება ძახველის ჭალა,
ტყემლის ყვავილი, ზეცის დარბაზი.

თეთრით შეგმოსე

თეთრით შეგმოსე...
ვარდისფერით
გამოგატარე,
ო, გაზაფხულო!

ღელემ როს მიმატოვა

იცით, რაღაცნაირად,
სწორედ ახლა, რატომღაც,
გამახსენდა, აი, რა...?
ღელემ როს მიმატოვა.
განშორების იმ ტკივილს
ვადარებდი სხვადასხვას,
ადრე მწამდა ლურჯი ცის,
ახლა, ლურჯიც აღარ მწამს.
ღელეს ჰქონდა თვალები
და თვალები სთხოვდა ფერს;
იქ, სად შორი ქარები
და ნისლები მწუხარებს
წამიყვანე, არასდროს,
არ ვყოფილვარ, ცხრა მთას იქ,
დღე მიმცხრალი სადაც თოვს,
ცა მიმკრთალი სადაც კრთის.
იცით, როგორ ვეწამე,
თუ გრძნობთ, თუ დამიჯერებთ,
ღელე მთხოვდა; ზეცამდე,
ზეცას სურდა მიწამდე.
საოცარი ის არის,
მოლოდინი სურდა ტყეს,
ჩურჩულებდა სიმწვანით;
მოდი, მომეხვიარე,
ღელე მხვევდა სოფელ მკლავს,
მეკვრებოდა მკერდით – ზე,
მიკოცნიდა თვალთა ტბას
და მეტყოდა, გიყვარდე.
ო, იმ მკლავებს ახლაც ვგრძნობ,
ვიღუპები ლბილი თმით
და მთიებო ამას გთხოვთ,
დამაძინოთ მარადის.

ქალაქი მწყრალად ქრებოდა ნისლში

გავხედე ქალაქს, ქალაქი მწყრალად
ქრებოდა ნისლში,
ნისლები ჰმალავს დაბინდულ დალალს,
შეორთქლილ ისვრიმს„
ედება მთვარე დართვილულ არეს,
იძინებს შორი
ელამი შარა, ჩურჩულებს ფარა –
სიჩუმის ქორი.
მშვიდობა... აწი... სხეულის ნაწილს
იდუმალ ქუჩის,
სნთლებად კმარა, სილურჯის ნანა;
„ეს, იყო გუშინ...“
ფრინავდა მტვერი, სიჩქარის მტევი,
ქვანტების ღალა,
ბალახში ცელი, ყურებთან გველი
კისერზე დანა.

გავხედე ქალაქს, ქალაქი მწყრალად
ქრებოდა ნისლში.

ბინდმა თვალები მომაპყრო

ბინდმა თვალები მომაპყრო,
ბინდმა მომიხმო თავისთან,
ნუ, მეძალები ამას გთხოვ;
იმ, ტბად, იმ ცოდო-ბრალითა,
იმ დიდ უძირო მორევთან
იმ, ტბათა ფსკერის ბინადა,
თუ მზესთან ყოფნა მომბეზრდა,
იქ, ჯერ არ დამაგვიანდა.
ჯერ, ბევრი საქმის შემწდე ვარ,
ავის, ბევრს ვაპირებ ლოცვანსა,
იცის და კარგის ყოფნა მკლავს,
ღვთაება მიზის მოყვრადა.
შენ დამეკარგე, გამცილდი,
გზა დამიტიე ქავისა,
ბიჭნი ღელავენ წაწლის სჭირთ
ძუძუ, ვით შუქი მთვარისა.
მაწვალებს სიტყვის არსობა,
ანცობა მჭვირვალ წვეთისა,
რა დალევს სიბრძნის ცად ხმობას,
არ ცოდნას, ცოდნა ბევრისა.
სააქაოსც ქმნა უნდა,
ქნა ქამანდის და საბლისა,
კალოსა ლეწვა, პურის ძნა
ფიქრია ამბარ-საძლისა.
ჩიორა ღობემძვრალები –
ტკივილ-წიოკი მშობლისა,
მკერდსავსე ამორძალები –
სურვილი კაის მოყმისა;
სიკეთით კაფე – თესები,
წკრიალი ნამგალ-ცელისა,
კაი კაფია ლექსები,
კარგით შლა საძულველისა,
იქ, სამდურავი ბედთანა
და ბედნიერად ყოფისა,
თუ არ იგემე ხევძმარა,
გულით ნაღველი შფოთისა,
ისე, არ გაგითენდება
ღამე ცისკართა მოსვლისას,
გველი თუ დაგიჭრელდება,
სიბრძნეს შეიტყობ სოფლისას,
ცრემლებში გამოიხედავ,
მზეს დაინახავ სულისას,
ცად მოიმედედ ახევდეს
სიმწვანე გაზაფხულისა,
ბინდო, შენ მაინც მიყვარხარ,
მდუმარ სივრცეთა ხვეტისა,
ვინძლო, ფიქრ მომცე, როგორც ხმა
ექოს სიმთუღერა – რეტითა,
კლდე – ტინთა ამოძახილი,
ამონაკვნესი ხევითა,
ნაპრალის პირთა მანძილი
გადამფარფატე ფრთენითა,
მომიყვა ფიფქების ფანტელად,
ლუსუმად ტყისა პირებში,
სიცოცხლეს უნდა გაძლება
ცხადად და სიზმარ-ძილებში.

მთები ფასკუნჯივით გაფრინდება

შორი, მოგონების რეზერვიდან,
შორი, დაკარგული ეთერიდან,
დამწვარ-დაფერფლილი ვნებებიდან
სივრცე ალ-ქაჯივით დაგიჯდება,
თაღუდს სანთლის გზნება შეენთება,
ცათა გაღიმება შეერთდება,,
მთები ფასკუნჯივით გაფრინდება.

სადაც სავანებში ლომს ეძინა

არმსტრონგს, რაველსა და რიველინოს,
პელეს, გასტონსა და მარადონას,
ჯაზის რითმიკებში მიმობნეულთ,
ველარ ვუსურვილე კარგად ყოფნა.
შორი აფრიკების ქვეყანებიდან,
სადაც სავანებში ლომს ეძინა,
დიდი პოლ რობსონი შემესიტყვა,
ნანით, ვით ციური მელოდია.

დროშები აბჯარტანგაუხდელი

ახსოვს არადეთს სპარსთა ლაშქარი,
ახსოვს არადეთს თურქთა მხედრობა,
ფრონე წყალსავსე, ფრონე დამშრალი
და ციხე – ბურჯთა დაუშლელობა.
ახსოვს დაცემულ გმირთა სულები
და გამარჯვების შემოყივლება,
დროშები აბჯარტანგაუხდელი,
დღენი მომსკდარი ძლევის დილებად.

წყნარად

წყნარად, სულ წყნარად,
ბაღებს ვეწვიოთ, ხეხილს მივხედოთ
მოდის წკანწკარა, წყარო აწ მრავლად,
უხმობს სუროებს.
არც კი, დაგლევდი,
თვალთა ნამლევით
მთვარის სურათით,
რომ არ ვკვდებოდე მიწის მკერდოზე,
რომ არ, მწყუროდე.

ფანრავაზ წიგნი აღიღო

ფანრავაზ წიგნი აღიღო,
წიგნი წამებულ ერისა,
ღიმილობს, ჰქონდა სალარო,
მფლობელს გრძნეული ენისა.

სამჯერ აკოცა მიწას

თოვლი მოვიდა ბევრი,
ო, ... უსაშველოდ ბევრი...
(თავი მოხადა)...
თოვლით მამამ გარეცხა ქვევრი...
...
აბა რა ვიცი რისთვის,
ალბათ ლამაზი მზისთვის.
ადრე დაბარა მიწა,
გაყურსული რომ იწვა
და სთქვა ნასროლი ტყვია
არ ასცდებაო მიზანს,
როცა ტყვია გაქვს ერთი,
როცა გმფარველობს ღმერთი.
(ყინვა სასროლოდ გვიმზერს
საით, ლამაზი ცისკენ...)
ცხენს დაუყარა თივა,
ხბო მიუყენა ჯიქანს,
სიყვარული კი ჰგავდა,
დედას, იმ ქალწულს, ის ქალს...
(რა დღეს, რა საათს, რა წელს...
სურნელი მოჰყვა დაფნებს...).
თადარიგს იჭერდა ადრე,
მომავლის სახავდა რწმენას,
სულ ღიღინებდა ღიღოს,
სულს ასწავლიდა ფრენას.
ასე მოიქცა ახლაც;
სამჯერ აკოცა მიწას,
ზედ მოაბნია თვისი
ციცქნა ნატეხი მზისა.
მერე თოვლის გზას გაჰყვა,
ნისლით დაბინდულ სერებს,
საგზლად ფიქრები ახლდა,
შორში, მერე და მერე.
იყო მარადის ბაღში,
ბალღი მშობელთა მშვენი,
მზეს შეახია თალხი
და „მგლის დაედო ფერი“.

წვეთო ჩადი მდინარესთან

გაიწელა წელი წვრილი...
და კრიალა გახდა ზეცა,
ცისარტყელა ხელაწვდილი,
მოიხაზა, მოიკეცა.
ნაწილები მოჰყვნენ წივ-წივს,
აიწონა კვამლის წიო,
გადაფრინდი-გადმოფრინდი,
ჩიტიო, გვითხარ ზღაპარიო.
გაიზმორა კატის კნუტი
და კატურად მოჰყვა კრუტუნს,
წყაროვ ჩვენსა გადმოხტუნდი,
მოგვაწოვე წამლად ძუძუ.
წკნელის ღობე დაგვიწანი,
წიწკანებს და წითელგულებს.
აამღერე იით – გზანი,
ტყე მიეცი ფურისულებს.
მერე, ჩადი მდინარესთან
წვეთო, ზამთარ-ჭირნახულო
იწამწამე მრავალწელთა,
პაწაწუნა გაზაფხულო.

წანწალა სიო მეწვია

წანწალა სიო მეწვია,
მითხრა მომენდევ მკლავზეო
გოგლასა ლეონიძესა
კალმისა ვეჯექ ფხაზეო,
მეც ვუთხარ, – მოდი გენაცვა,
გამგრილე, ოფლის ღვარიო,
ჩემსა ფიქრებსა დაჰნათის
წმინდა გიორგის ჯვარიო.

ის ღამები წამოთვრა

ეს, სიცოცხლე სანატრელი
თოვლის დნობით გეიპარა,
თავს დამადგა რუხი მგელი,
ვით სამყაროს ქარაგმანა.
ოქროს ზღაპარს არ მეტყოდა,
ვერცხლისასას წყალში ცრიდა,
ჟანგს იკრეფდა გარემოდან
და მითხრობდა სპილენძისას.
სამყაროზე მწარედ სდუმდა,
მიმალავდა გარსთა მცნებას,
ზამთარს მომაყრიდა გუნდას,
ზაფხულს – ოფლით ბაბანებას.
მიმალავდა ცათა გახსნას,
ცისარტყელის ფერად თაღედს,
არ მიშვებდა გრძენულ ტბასთან,
მონისლავდა „მოდი მნახეს“.
ხორცთა ნდობას მიკრძალავდა,
ვინ ძალავდა, არ ვუწყოდი,
ყურს მიწევდა წარა-მარა,
წყეულს ვერსად გავურბოდი.
ჩამაგდებდა ცხრაკლიტულში:
გიხდებაო მარტოდ ყოფნა,
ვიტანჯვოდი, ჟამთა ხოშით,
ის კი, სივრცით არაკობდა.
ჯერ ვიქეცი ჩრდილის-ჩრდილად,
შემდეგ, ლანდის მოლანდებად,
გამომახმო მკვახე-ჩირად,
სურვილები – მონატრებად.
ქვიშად მიმცა, მღვრიე ტალღებს
და დუნიად გამატარა,
კლდის ლოდებთან, რაც ვილაღე,
ის ლამები წამაფარა.
ასე მოვხვდი ქალთევზებთან,
ასე, ვნახე სირინოზნი,
ზღვის ფსკერებზე გამირბოდა,
ღელვა ჩუმი ქარაგოზის.
ვეშაპები მეხვეოდნენ,
ვით ერთეულ ქვიშის ნამცეცს,
მე, კი სული მეხეოდა,
ნაგვემსა და კარგად ნაცემს.
შემდეგ, მთებად ამომზიდა,
ამომკრიფა, ამომაგდო
მწვერვალს მიმიჩინა ბინა,
სად, ლაჟვარდი ია-ვარდობს.
მყინვარები დამახურა,
გამეხუმრა ზვავის სახით,
ქარი მეცა, ხარა-ხურად,
ღრუბლის მომახვია თალხი.
ჯანღი მომცა, შუბლი შევკარ,
ფიქრსა ფიქრით მივეძალე,
ჩემი ცოდვა ვცანი ვერსად,
ხოშკაკალად დამაყარეს.
გაჩენიდან – გაჩენამდე,
უკუნისით – უკუნამდის,
ცოდვა ესე ყოვლთა თანსდევს,
გინდაც, იყოს უხნოვანი.
უნებლიე უგრძნობელი,
უნებური მოგვდგამს ნირი,
ისევ ივსის საბერველი,
რადგანაც ადრე იყო ცლილი.
ბნელი, ისევ სანთლით შუქობს,
თორემ ბნელი არ ეთქმოდა,
გრძნობა მარად არის უხმო,
ვნების მწველი სამეფოდან.
ცრემლად დაბლა ვედინები,
ვულკანური დნობის წყაროდ,
ფრიალებენ მერდინები,
და ნიავიც წარმავალობს.

ხრმალი რომ დაჰკრეს დიდოეთს

ჯაბანი, განა ჯაბანნი,
რკინის ჯაჭვ-პერანგ-კაბანით,
მებრძოლნი, მტერთა მჯობელნი,
კაი სიმღერით, კა-ბანით,
საუკუნენი ვიდოდნენ,
კინენით ეშმას ბურთავდნენ,
ხრმალი რომ დაჰკრეს დიდოეთს,
ტარმა უწია თურქამდე.

წყაროვ, ქვიშად ნუ გადამშლი

ახ, სახლნო, ერდო მაღალნო,
ახ, ხალხნო, მოსახლნარენო,
ყანა თქვენთვისა ღაღანობს,
თქვენთვის ივსება მთვარეო.
თქვენთვის იკვრება ლავაში,
თვალშავი თავშალს წუნობსა,
შენ, გენაცვალე გავლაში,
თეძო როს გაზაფხულობსა.
(მკერდი კვირტივით ასკდებათ)
რა, ხდება ბაგის ნატვრაში,
ვსტირი შოლტივით ნაძვებთან,
წყაროვ, ქვიშად ნუ გადამშლი,
ნუ დამადუმებ ნიავო,
იაო, ენძელ-სუროო,
თქვენად მაქციეთ, მამკრიფოს
მამკონმა, მოვისუროო
და სურნელებით ნესტოებს
შეველაციცო ციცისას,
ფიქრს ვამბობ, ხენო მატოტეთ,
ქორო მაფრინე ცისისა,
ჩამაკონე და მამკალი,
მომკილ ყოილის მდელოზე,
ფანდურის დანდალ-დანდალით
მალი-მალ ამაკვნესოდე.

რა მშვენნიეერი ეცვა ცისფერი

რა მშვენიერი ეცვა ცისფერი,
რა, მომხიბვლელი ჰქონდა ღიმილი,
სოსანის სუბუქ ღრუბლებს ვიწვდენდი,
ეს, გავიხსენე, გულის ტკივილით.
დუმილი მწვავდა, წამწამთა რკალში,
ბურუსის სევდა, ბურუსის რიდე,
მე ათას მზეში, მე ათას ქალში,
ვით მარგალიტი ამოგარჩიე.

რა, მშვენიერნი იყვნენ მატრონები

რა, მშვენირნი იყვნენ მატრონები...
მაშინაც, ანტიკური ხანის მირაჟებით...
ზეცით ცისფერით, ქარის ტატნობით
აქლემებით, სპილოებით, ნიანგებით,
ელინნი, ეგვიპტელნი, ხეთნი შუმერნი,
ბერძენნი, სპარსნი, ვნების გაკვირვებით.
ინდონი იბრიელლნი და კოლხნი უღლელნი,
ერთურთს რომ ულეწეს, ციხე-კარიბჭენი,
ოქროს საწმისისთვის, გრილი ბაღებისთვის
კრავდნენ მოწყენით უსაზმო სივრცეებს;
შედეასათვის, ელენესათვის
ხალხები დახოცეს, ერები მიხვეტეს.
ახვავეს-ახვავეს ნაგავი ურიცხვი,
ფენები სხვა ფენებს, ფენებად დაეწყო,
ნეტავი რაისთვის, სულ რისი გულისთვის,
გულსა ხარბს მტკაველი მიწა რომ არ ეყო,
სხვაგვარად როკავდა მნათობი ცის კიდეს,
სხვაგვარად ბრუნავდა მილიარდ წლეებში.
მას ბევრი უმზერდა, მას ბევრი უცქირეს
და მაინც გულები შემორჩათ ხეშეში.
ეს იცის სამყარს ხსოვნამ და წარღვნებმა
ო, როდის გალღვება ყინული ნდობისა,
ილაშქრეს გულხარბა სპათ-არგონავტებმა,
იტირეს, იგლოვეს ნანგრევნი ტროისა.

დაემშვიდობა ხეს ფოთოლი

დაემშვიდობა ხეს ფოთოლი
უკანასკნელად,
უკანასკნელად,
უკანასკნელად,
ხეს მოგონება ტკივილამდე,
ხეს მოგონება,
მარადიული მოგონება ქარში დასჩემდა.
ხმელი ტოტები შემოიბუზა
აცახცახებულ შიშველ სხეულზე
და აქვითინდა, აქვითინდა
ან მერამდენედ.

მდინარეთა წარმავალი ნაკადის სრბოლა

გვემშვიდობებიან შვილები,
მეგობრები, ნათესავები, შეყვარებულები,
კვლავ ხილვის იმედით, მაგრამ
ყოველთვის უკანასკნელად,
ვით მდინარეთა წარმავალი
ნაკადის სრბოლა.

კლდეს ქოჩრად გადმოეკიდა

წყალმა მოსხიპა მოცელა,
რაც გზაზედ დახვდა წინაო,
კლდეს ქოჩრად გადმოეკიდა
ბროლივით გაეცინაო.

მერე „ტინები დაცელა“
შხეფებად დაეფრქვიაო,
მზეს შვიდი ფერი წარსტაცა,
გულ-მკერდზედ გადიფინაო.

ცრემლი ღვთაება ლისისს

სიპები დაუფხოჭნია ზვავს და ვულკანის ფრქვევასა,
დაუმარხია სიცოცხლე, შემწყალე გადარჩენასა,
გაჰქვავებია გულ-მკერდი, სხვა მისცემია ლხენასა,
არ უფიქრია დროებზე სივრცეთა გამრუდებასა.

შეგუბებულან ტბორები, უჩხრიალიათ წყაროებს,
დამდგარან დიდი წყალები, დღესაც რომ ამორძალობენ.
მოსულა ტევრის ნაკადი, ლელწამთ უყრიათ, საროებს
ცისაკენ გაუხედიათ, შეჰყრიან ავდარ-დაროებს.

უბიბინიათ ბალახებს, ლოდებს უცვნიათ ლოდები,
ერთურთას ჩაჰხუტებულან ქვეყნის უენო ობლები,
მოუსხამთ ქარაგოზები, ნისლები მოდენ-მოდენით,
დაუბანიათ ტან-პირი დაუხურიათ ფოთელი.

დიდრონ ბუერას ჩრდილები, ღრუბელთ მორუხო ნაბდები,
უტყვად წარსულში მზირალებს, მოსტუმრებულან დათვები.
მწვანე ხასხასა მკერდებზე, ქართ კუდ-კუდა კატები,
ხევისკენ გაუგზავნიათ ქოთ-ქოთით ნარატრატები.

მერე, მოსულა ნაღველა – ლურჯი ბალახი ცისისა,
ცეცხლისფრად გაბრწყინებული, ყვავილი არავისისა,
ჟუჟუნა მარგალიტები, ცრემლი ღვთაება ლისისა,
უთქვიათ ერთი ამბავი, კვდომის და დასაწყისისა.

და მახარებდა წყალთ ხარხარება

მე მზის მაიას, ოქროს თმაიას ვეთვისებოდი,
ვითარც ფრთაიას, ჩიტის ფრთა იას სიოს კანკალით,
როგორ ვთვრებოდი ტანით თეთრონით, როგორ ვთვრებოდი;
წამის ფართხალით, პეპლის ფარფატით, ნამით ნამკრთალი.

და მახარებდა წყალთ ხარხარება, ჭავლის დგაფუნი,
სხივთა ქარებით გადაქარება ლურჯი ქედების,
უცხო ეთერით, თითთა შეხებით დრო არნახული
და სილაჟვარდე ფრთების გაშლამდე შუქით ედემის.

წვეთი მართობდა ცვენა მართობად სწორი შვეულით,
ბროლიის წყაროთა მოწანწკარობა, ღია თვალები,
დროთ ნამთვრალობა, მოლაღლაღობა, სივრცის ხვეული,
ასკინკილობა, ველთ ნამრავლობა, სხივთა ლალები.

მე მზის მაიას ოქროს თმაიას ვეთვისებოდი.

როგორ კვნესის დუდუკებით კბოდე

როგორ სტირის სალამურით ტყე,
როგორ კვნესის დუდუკებით კბოდე,
სიყვარულით მონატრების დღევ,
კვლავაც ღმერთი მოვიდოდეს, ოდეს.

ნეტავ, ვყოფილიყავ ფრინველი

სხვა ღირებულებათა ფონზე,
რასაც სიყვარული მოსდევს
ვიწამე ფერადი დილები.
        სულნი გაცრეცილნი კრთოდნენ,
        მწარე ტირილები მოვრთე,
        შორში დამეკარგა იმედი,
თქვენამც გენაცვალოთ გურამი,
მიწით და ცით დასახურავით,
ჩემო პაწაწინა ჩიტნო.
        თქვენთვის სიკეთისა მსურველი,
        ქვეყნად წამით მოსასტუმრელი
        ცხელობს, ცახცახებს და გრილობს.
სჯერა სხვა დროები მოვლენ,
ქართა ელოდება ქროლვებს,
ნეტავ, ვყოფილიყავ ფრინველი.

ქარი ხეობათ ტანჯვის ხმაა

ო, ეს ნიავი იდუმალად მოხეტიალე,
ტყის შიმელების ჩუმი ოხვრაა.

ქარი ხეობათ ტანჯვის ხმაა, ხმა მარადისი,
მცნობი ამ სოფლის რაობის და არარაობის,
ნემსიყლაპიას გამჭვირვალე ფრთები სულია,
მოხეტიალე, უცოდველი, გალობასავით.

ისევ, ცით აგვეტირება

ვერ დაინახავ ვერასოდეს საკუთარ თვალის ნათელსა,
ჩვენ კვლავ გვეწვევა იგივ დრო, დრო დაგვიძახებს სახელსა,
ისევე დავიბადებით, ისევ მოვკვდებით ტიელად,
ისევ ვიცინებთ ცარგვალით, ისევ ცით აგვეტირება.

სცურავენ სალი კლდეები

სცურავენ სალი კლდეები,
ქარ-ქარიშხალას მორევში...
და სთვლემენ დრონი წარსულის
ლეგად წასულნი ქორებში
ღვთებას ფეხებს უკოცნის
ნიავი ვარდის ტუჩითა,
სივრცენი ნებიერობენ,
ვნებებით განაყუჩითა,
პირთეთრას თეთრი თვალები
ცაში ბროლივით კრიალებს,
ნეტავ რას ფიქრობს არყის ხე,
ან ბუჩქის ძირას ია-მზე.

მე მიხარია, რომ წვიმს

მე, მიხარია რომ წვიმს,
ეს წვიმა აღმიძრავს ფიქრებს,
წვიმა წააგავს კრინს
და ხილვის ტბორებში მიწვევს.
მირიად წვეთებში თვლემს
სამყაროს ვნებათა ხიბლი,
გაბმულ სიმღერადა ჟღერს
ის, რაც მარადისად მირბის.
მირბის იდუმალი გზებით
მთები და ნისლების გლოვა,
დრონი იმპულსურად მფეთქი
და გრძნობ არასოდეს მოვა;
თეთრი თოლიების ფრენით,
სევდა შეყუჟული შორეთს
ის-ის, ის წარსულის დღენი,
დიად ალერსებს როს გვთხოვდნენ.
ბავშვი გარინდული ხესთან,
ბავშვი სიზმრებში მთვლემი,
წვიმის წვეთები როს სდევდა
და ღვთის ეფარვოდა ხელი.
არც ის შროშანები მოვლენ,
არც ის პირთეთრების ღიმი,
წყალნი შეიცვლიან ფონებს
და ცად გამართავენ კივილს.
მაინც კარგი არის წვიმა,
ველი სუსამბარის მოსვლას,
წყალი დადინდება მზიდან
როკვად, სიმღერად და ლოცვად.
მე, მიხარია რომ წვიმს,
მე, მიხარის რომ ვთვრები,
ალი მეხატება წინ,
თავის ოქროსფერი თმებით.
ვიცი რომ გავყვები ძახილს,
სველი დაძენძილი თმების,
სადაც ბორიალობს მკრთალი
ვნება და ნისლებში კრთების,
სადაც იდუმალი სახლობს
წვიმის ლაბირინთის ქსელში,
შორეულადა და ახლოს
გრძნობა მარადისად მფეთქი,
გული სიყვარულით სავსე
სული უწმინდესი სხივის,
რაიც უკუნისში გაჰმზერს
ფეთქვა ნათელივით ლბილი,
იგი დაჰფარფატებს აწმყოს
სუსტს და უსასრულოდ მცინარს,
რათა საუკუნეს ამცნოს,
ღამე შეიცვლება დილად.

მე მიხარია, რომ წვიმს.

კოსმოსს შესეული ნაოსნები

თითები, შემოქმედის თითები;
ფითრი, თრითინა და გაფითრება,
მითები სასწაული მითები,
გონი, დუმილი და დაფიქრება.
ვირთვებით, მარადისში ვირთვებით;
რითმებით, აკორდით და გაცისკრებით,
ცისფერი, ნისლოვანის იქეთით,
გვიხმობს და ჩვენ გვჯერა გავფრინდებით, ...
... ასე, მარადისი დაპირებით;
თვალს კი, მირაჟების გაოცებით,
საზღვრავს უსასრულო ნაპირები
კოსმოსს შესეული ნაოსნებით.

მიყვარს სანაპირო სილოვანი

ასე, იგონებდა სილოვანი,
ასე, ოცნებობდა მინადორა,
მიყვარს სანაპირო სილოვანი,
წყალთა მიმოლურჯო – მიმოდორვა.
დენად სისტემათა ხვეულები,
სივრცეს აუნჯებდა სხეულებად
ჩუმად, მოცინარი მეურჩების
და კვლავ მიყვარხარო მეუბნება.

ახსოვს ძველი ძეწნები

მარად მხიბლავს ფიქრებში, სანაპიროს სილაზე,
ზღვათა მშვენი ალერსი და ფერთა სილამაზე,
ახლაც გული მკვნესარე იმედით ალესილია
და რაც დარჩა ნათელი ტალღით მონასილია.
სხვა, რა ვსთხოვო ზმანებას, სიხარულით, მე მეტი,
ზვრითებში ქალღმერთებმა შეაცურეს ტანები,
მიუმატეს სილურჯე, შეაფრქვიეს ლილა სერს,
და ლამაზი ყვავილი დააბნიეს მიმოზებს.
იძენძება ნისლები, სილუეტის ფონებით,
თვალს მღელვარე ცისფერით, ახსოვს ცის გოგონები,
ახსოვს ძველი ძეწნები, თმაჩაშლილი მდინარეს,
იმას, რასაც ვეძებდი, საუკუნოდ მძინარებს.
თვლემს ლანდების მირაჟი, ვით მიმინოს გაფრენა,
ირეკლება მინაში წამიერი ნათება,
ვიცი ისევ მოვლიან ლილისფერი ხსოვნიდან,
თოვს ირგვლივად, სიჩუმის და სიმშვიდის თოვლია.

თვალი შედედებულ დღეთა

ისმის შორეული ხმები დაირების,
ცეკვავს და ირმების, ცეკვავს,
წამი, წამი არის დიად გარინდების,
წვეთავს მთა ცრემლისა წვეთავს.
დრო, დრო გაივლის და არ ვიქნები,
ლელნის დავიქნები ღეროდ
ისევ, ყინულ-ლელმად გავილევი
და ცას გავეკვრები წეროდ.
ჯერ კი, ბორიალობს სული ხეობების,
ლანდებს ალმურივით დასდევს,
დღენი ოცნებისა სიზმრად მელანდების:
ქალდე, ურუქი და ქალდე.
ციდებს ვირუკები დაჰყავთ ნაპრალებით,
კლდეთა ლაბირინთის გავლით,
გველი ჭრელ პერანგებს ჰქარგავს დაკვირვებით

და გზად ეკარგება თვალი –
უცხო ნატვრისთვალი, წამთა შემკვრივების,
თვალი შედედებულ დღეთა,
სივრცე სასწაულით მთვრალი წამოწვების;
ჩინი, მისრეთი და ხეთა.
ზღვაში ვულკანები ქაოსს შესტირიან,
დედა სამყაროებს დასდევს,
მგელნი ესწრებიან დიად მისტერიას
და ცად უყეფავენ მთვარეს.
მთვარეს ახსენდება თვისი სიყმაწვილე,
შორი, უდარდელი წლები,
სივრცე პლანეტება გადაინაწილეს;
მიწით, ქარებით და წყლებით.
ახსოვს უნეტარი, ტკბილი გარინდება,
საშოდ, მძინარების რული,
შემდეგ ზმანებითა თეთრი გაკივლება,
წყვეტა გასროლა და ბრუნვი
ბრუნვი სპირალური, ბრუნვი აღმავალი,
ძალთა ვულკანური ფრქვევა,
ბეწვის გზა-ბილიკზე სივრცე გამავალი,
კოცნა, ალერსი და ხვევნა.
მრავალ სამყაროსთან შეხლა-შემოხლები,
ველნი მაგნეტიზმით სავსე,
ვცხოვრობთ სურვილებთან, დიად განზიდვებით,
ვმართავთ წარმოდგენა-ფარსებს.
ფარსებს რა მოჰყვება, ალბათ, ყველამ იცით;
სისხლი, სიცილი და ცეცხლი,
დედას გამოუხტა თვალწინ ლურჯა კვიცი,
ლუკმად მოდარაჯე მგელის.
ბოლავს დედამიწა იწვის დედამიწა,
ვნების ალმურების კვამლით,
ვინაც ჩვილს აკვნები ნაზად დაგვირწია,
ბროლით ეცრემლება თვალნი.
ალერსს არ მოაკლებს, ვიცით, პაწაწინებს,
კარგს და საოცნებო არაკს,
სხივებს ოქროცურვილ ნაწნავ-ჩამოწნულებს,
ყვავილთ მდელოებს რომ ჰქარგავს,
ალბათ, წრფელ დალოცვებს, ალბათ, ვედრებასაც,
უფლის მწყალობელი ლოცვით,
ძილისპირულებსა – მშვიდსა ნანინასა,
ქვეყნად ანგელოზთა მოსვლით.

მშვენიერი ქალწულები ცვიოდნენ

მშვენიერი ქალწულები ცვიოდნენ,
გაზაფხულის ფერად ფანტელებივით,
დაწნულებად სხივნი ჩამოდიოდნენ,
სხივნი დროის ბრუნვით გახელებულნი.
სივრცის ღობეს ამშვენებდნენ ვარდები,
ცის ფარდები ფრიალებდნენ ღრუბლებად.
მოტივობდნენ წამის დარდიმანდები,
ვით დარდები, წეროთ შეკრულ გუნებად.

ქვები სულებივით თეთრი

შორი მელოდია ჟღერს,
შორი ნისლეულის ბინდით,
ფერს გალაქტიურ ფერს
მისდევს უსასრულო ციფრი,
მსდევს, მარადისში მსდევს,
წყნარი განქრობა და შვება,
გზებს, ნუ, დამიხშობ გზებს,
მკვეთრად დამიხატე, მკვეთრად;
მოლი მობიბინე მწვანის,
წყარო ბუერების ჩრდილში,
ძოწი, ზურმუხტი და ლალი,
ცხადად, სიზმარში და ძილში,
ფრთები გადაშლილი ქორის
ბროლი ჩამოშლილი წვიმის,
კოჭლი ნიავები მქროლი,
მუმლი, ატეხილი ქინქლის,
ტყენი მოშრიალე წუთის,
გუნდი მოღუღუნე ქედნის,
მიწა კოსმიური „ბუნტით“,
წესით, იღბალით და ბედით.
ნისლში სიმღერები მკლავს,
კვალი საუკუნეთ გრძნების,
ძამავ, გადამხვევდე მკლავს,
ძამავ, ერთ გალობას გეტყვი.
სივრცეს, გადარეულს სივრცით,
სიბრძნით, გულმდუღარედ მძგერს;
ქარი ნუ მოჰყვება ქვითინს,
ქარი შეესიტყვოს ქვებს;
ლოდებს ჩახერგილებს ხევში
მლოდნედ, საუკუნის ძილით,
ტაძრის ჩამოღვენთილ ცრემლში,
ფუძე-ბალავარის ჭრილში,
სევდა ამიჟღეროს ბერის,
სუნთქვა რუშთაკვეთის მზის,
დროთა საოცარი ფეთი
და ქვათ ღაღადისი ღვთის.
მექცეს საუკუნედ, სიტყვად,
სიმთგზა სიყვარულზე ძევს,
ვინ სთქვა იმ ჯვარცმაზე, ვინ სთქვა,
ეკლით ვინ შეამკო ძე.
ხარი უზენაეს არსის,
ქარში გუგუნებდნენ ქვები,
ქვები მოქარგული ვაზით,
ქვები სულებივით თეთრი,
ქვები მზის ტეხილი სპექტრით,
მკვეთრი შეკივლების ფონით,
ცისფრად მოკიაფე ღმერთი
კედლის ნახატებით მოდის.

არ მეგონა თუ სიკვდილი გამართობდა

ვულკანები იძინებდნენ იმის მკერდზე
და ბორცვები ქანაობდნენ მთვარის შუქზე,
რაღაც ძალა მიბიძგებდა; ნაპრალთ ფსკერზე
დასკდებოდნენ მზით კვირტები გაზაფხულზე.
სხვა ძალები მაკავებდნენ შეუცნობი,
მაშინებდა დასჯის ვნება – ჯოჯოხეთი,
საკუთარი შეუნდობით, შეუძლოთი
დრო და ჟამის ცვალებადი სივრცეები.
არ ვიცოდი, რა მინდოდა? როგორ არა,
როგორ არა, ძალას ვთხოვდი, მაწვალებდა,
დაუსჯელი სისხლის ჩქროლვა წარა-მარა
ბონდის-ბონდზე ზედ მტიებდა ანაბარად,
და ვუძლებდი მე ფიზიკურ საოცრებას,
დაობლებას თავგანწირვას, არად ყოფნას,
ულაყივით ჭაკის ძლევა მაოთხებდა,
არ მეგონა თუ სიკვდილი გამართობდა.

აქ, ნაძვების წერწეტობდნენ ტანები

მე ნაყშები ცად ამშვები მშვენოდა
ეს სამყარო, ვით ლამაზი შენობა,
კლდის რაშები, ლელქაშები ტბებისა
ღრმად შაობდნენ უძირობით, გზნებისას.
შარი-შური მდუმარებას ხიბლავდა,
მზით ნაჟური ნამი, წვიმა, ცის ანა,
მოდიოდა მოშაირო შორეთით
და შაორი მშვენდებოდა გორეთით.
ტალღის სუნთქვა თევზის ფარფლთან ლაღობდა,
სურნელება ტყემლის ხეებს ათოვდა,
თბილი გულთქმით წიფელთ გამოცანებით
აქ, ნაძვების წერწეტობნდნენ ტანები.
სხვა ედემი არ მეხილა უხილავს,
არ ვიცნობდი ექოს ხევ-ხევ ქუხილად,
სხვა გაზაფსულს აქ, ფეხადგმულს, ტიტინას,
სხვა გალობას, სხვა სხივთ ჭიტა-ჭიტინათ
მე სამყაროს გაოცება ვიწამე,
საოცრება ზეციერის – მიწამდე,
შიმელების მოჩურჩულე შიშინი
და ჩივილი ნაკადულის; მშინ-მშინ-მშინ,
მეშინია, რომ დავშრები შანთებით
და სილაღე, ფერდას ნათამეშები,
შემეცცვლება გვალვის სუნთქვა-გლოვანით,
ატირდება ქარაგოზი კლდოვანის
წვიმის ღვარით ნაჟური და ნაწოვი,
ქვებზე მკვდარი გადამლოკავს ქარ-ბუქი,
ისიც წავა ვით, შრუთხების ყივილი,
ბალამწარა კანს დაიჭრის ტირილით,
ბინდს რაშები ლურჯ სამოსელს ახვევდნენ,
ფრთის დაშვებით ორბთ ირაოს გავხედე,
მოლოდინში ყაშყაშებდნენ სვავები,
დღის ნადიმში მოგუგუნე ქარებით.

ის ცრემლი ვინ მოიპარა?

განზიდვის სქემა ვეწაფე, განზიდვის ზიარებასა,
შერწყმისა სიტკბოს მე წამებს ვსძღვნიდი ქებათა-ქებასა,
სად გავიყარნეთ, იქ, შევხვდით, ვსტიროდით დანანებასა,
ორჯერ არ გაგვბანს ივრისა წყალი მგლოვარე წვეთასა.
სად წავა ჩემი ნინველი, ჩემი ალერსის მპოვნელი,
ნეტავ სად არის ის ველი, ყანებით დამათრობელით,
ან ის ღიღილო მცინარა, მიწა ნამგალზე მგლოველი,
ის ცრემლი ვინ მოიპარა, ის ფიქრი შეუცნობელი.
ან ტოროლები სად გაჰქრნენ, ცისკრის მფეთქავი ფრთენია,
ან, სიმღერები, ცა მაღლებს შემსხდარნი შენამღერია,
საით წავიდნენ ცვარები, წამები ალმასფერია,
გულდახატული ღამენი, ვარსკვლავნი შექთამფენია.

იდუმალი ქვითინებდა

ციათეთრებს ბორიალით ვატყობდი,
არ მოსწონდათ ლაჟვარდები ტატნობის,
ქროდნენ, ქროდნენ და ქორივით ქარობდნენ,
ხმელ ფოთოლთა სიფარფატით გარბოდნენ.
სად, ვინ იცის, ცისის-ბრინსის ამბავი...?
ან მდელოთა უცნაური ქარგანი,
იდუმალი ქვითინებდა ქვითკირებს,
მოდი, დაჯექ და ამაზედ იტირე.

სხვას არას გეტყვის უჩინი

სხვას არას გეტყვის უჩინი, ბევრჯერ უცნობის პირითა,
დაგიდუმდება ლოდივით, ათას ოხერის ქვრივითა,
ამოსთქვამს ქვეყნის სამდურავს, სატირალს გუდა-სტვირითა,
სიკვდილს ყვავილებს დააყრის ცისას, ცისფერის პირითა.

სსბავშვო განყოფილება

ნაირა ნიჟარაძე

მავნებლები და სსსრგებლონი

მავნებლები

სოფლად ატყდა განგაში,
მგელმა დაგლიჯა ვირი,
– უი, მომიკვდეს თავი, –
ეზოში ბებო ყვირის.

შეწუხდნენ მეზობლები,
გაჩნდნენ ბავშვები წამსვე,
გაქრა, გაიქცა ტყეში,
სისხლის მოყვარე მთაზე.

აი, ბებიამ რა სთქვა:
ბევრია მავნებელი,
ერთმა დაკბინა შველი,
მეორემ თეთრი ბელი.

სოფლის მახლობლად ტყეში,
ცხოვრობს ღრენია მგელი,
მაშინ გამოდის ტყიდან,
როცა არავინ ელის.

დედაცხვარს კბილი გაჰკრა,
ღორი დაგლიჯა გზის პირს,
არ ეშინია მწყემსის,
ღამე თავდასხმა იცის.

მოდის მზის ჩასვლის უმალ,
ძაღლების მსგავსი ტურა,
ბუმბულა ქათმებს გვართმევს,
ველარ აშინებს მურა.

თუ დასჭირდება გიკბენს,
ყავისფერია, ცივი,
დაძრწის სოფლიდან სოფლად,
ორღობეებში კივის.

სახლში გაგვიჩნდა თაგვი,
მისი ხსენება არ ღირს,
ბნელ სოროებში ძვრება,
მზარეულებთან დარბის.

დიდ კარადაში შეძვრა,
ნიგვზის კაკლები დახრა,
ეცა ფეხმარდი კატა,
ცუდი სიზმარი ახდა.

დაჩეკა წრუწუნები,
ერთი კი არა, ათი,
ბავშვებო, თაგვის სუნი,
ნუთუ არაფერს ასდის?

ბაბუმ ხაფანგი დადგა
– ბახ, – დაიჭირა თაგვი,
ამ ქურდბაცაცას უცებ,
ჩამოამტვრია თათი.

– ბებო, – გასძახა ლიამ,
– ის განჯინაში ვნახე,
ამ წუწკის გარდა, ვიცი,
პურს პირს არვინ ახლებს.

უფრო ცუდია ვირთხა,
სარდაფში ცხოვრობს დიდხანს,
ეძებს სიმინდს და ფინჩხას,
თხრის ორმოსა და მიწას.

***

კარგად იცნობთ მელიას?
მელა კუდაგრძელიას,
საქათმეში შემძვრალა,,
ქურდობაში ძველია.



დაინახეეს ბავშვებმა
ხევში როგორ გარბოდა,
პირში ჰქონდა ვარია,
თავზე კიდეც ათოვდა.

– აბა, ჩქარა მურია,
შეუძახეს ბავშვებმა,
მელა ბუჩქში შევარდა,
არსად აღარ გაჩერდა.

– უი, ჩემო ვარიკა, –
შეიკავივლა ბებიამ,
– ნუთუ ვეღარ დავსაჯეთ,
სასიკვდილე მელია!?

***

გველი საშიშარია,
მოერიდე შხამიანს,
მისრიალებს მინდორში,
ვისაც უკბენს – მკვდარია.

მაგრამ მისი შხამისგან,
დაამზადეს წამალი,
მძიმე სენს რომ უხდება,
საკვირველი რამ არის.

მახრას – იცნობთ
მძრომალეს?
მიწაში რომ დაძვრება,
მაგრამ იგი არ ჯდება,
მიწის ზემოთ არ ჩნდება.

დახრა თალგმის ძირები,
ნორჩი კარტოფილები,
ხნულში მოსპეს ბარებით,
დარჩნენ კმაყოფილები.

მორიელი – კუდს იქნევს,
შიგნით შხამს ხომ ინახავს,
საშიშია, ბოროტი,
იქნებ არც კი გინახავს

მორიელი მავნეა
შხამიანი, მძრომელი,
ბნელში არსად შემოგვხვდეს,
ფრთხილობს ყველა
მშრომელი.

ფაროსანა მტერია,
საძაგელი მწერია,
როგორ შემოგვეჩვია,
ეს ფრთოსანი მელია.

თხილიც დახრა, ყანაცა,
ვერ ებრძვიან კატები,
მხოლოდ გაანადგურეს,
მოსპეს ქიმიკატებით.

ფოცხვერს იცნობთ? ჭრელია,
მიირთმევს მწერებს,
წრუწუნებს,
თუ გოჭი სადმე დალანდა,
მაშინ ნამდვილი მგელია.

მარტის ნომერი
შენ მეყვარებოდი
მაინც რომ ყოფილიყო
ღმერთი

ხსხარგებლონი

ბაყაყს იცნობთ ყაყანას?
როცა გუბე ივსება,
ლაქაშებში იზრდება,
თავისუფლად იქცევა.
წებოვანი ენა აქვს,
მწერებს იჭერს ადვილად,
პირში გადაუძახებს,
არ იწუნებს სადილად.
მხოლოდ ერთი მტერი ჰყავს,
წყლების გველი ანკარა,
უყვარს მწვანე ბაყაყი,
ან შეჭამს და ან არა,
ბაყაყსა და გომბეშოს,
მედიცინა აფასებს,
ცდებს ატარებს ექიმი,
სინჯარებში განაგებს.
თუ მამალი **გომბეშო**,

თავის სატრფოსს უმღერის,
სურს დაადგას გულისსწორს,
საოჯახო უღელი.
ჭიებს, ლოკოკინებსაც,
თუ მოასწრო ფოთლებზე,
სწრაფად გადასანსლავს და,
არ გაუშვებს ღობეზე.
ახლა ნახეთ **ობობა**,

ფართო ეზო მოღობა,
აბლაბუდა მოქსოვა,

არვის ჰკითხა ოღონდაც,
ქსელში ზის და ოცნებობს,
უსაქმურის იერით,
მისი ძაფი წვრილია,
და ფოლადზე ძლიერი.
იჭერს ბუზებს, კრაზანებს,
მწერებს არ აჭაჭანებს,
ქსოვს, დღედაღამ მუშაობს,
სწორად ავლებს კვადრატებს.
ალბათ მარტო არ არის,
გულისსწორსაც ახარებს,
როგორც კარგი ოსტატი,
ისეთ ბადეს ამზადებს.
რვაფეხაა ობობა,
კუთხეებში ფარდებს ქსოვს,
ბუზებს ქსელში გააბამს,
აბეზარებს სისიხლსა სწოვს.

***

ციცინათელას უმღერენ,
საღამოობით ელიან,
მას ვერ დაიჭერს ზღარბუნა
ვერ გამოიჭერს მელია.

რა კეთილი ვინმეა,
ის არ ერჩის არავის,
ტყის პირს გუშინ ააგო,
მწვანე ფოთლის კარავი.

დაღამდება, ელიან,
და ბავშვები მღერიან,
ციმციმციმციმ დაფრინავს,
ნეტავ ვიღას არგიხარ...

მუდამ ასე მღერიან,
მანათობელ ფერიას,

„ჩემო, ციცინათელავ,
დაფრინავ ნელა-ნელა,
შენმა შორით ნათებამ,
დამწვა და დამანელა.“

მღერის ლუკა მანანა,
ეთერი და ნათელა,
ცაცხვის ძირას ფრინავენ,
გვიყვარს მისი ნათება.

ხელისგულზე უმზერენ,
სიყვარულით აღსავსე,
– რა კარგი ხარ, პაწიავ,
– მოდი, გამოანათე!
– რა ძალა გაქვს ასეთი,
ხან ანათებს, ხან არა,
გვირილებზე მფრინავო,
გვირილივით პატარა.
ეს, რა კარგი რამა ხარ,
ხარ ცოცხალი შუქურა,
მელამ – იმ ცრუპენტელამ,
გაოცებით უყურა.

ჭიამაია – პაწიას,
წითელკაბიანს ხვდებიან,
– ხვალ კარგი დარი იქნება? –
ბავშვები ეკითხებიან.

იგი საძაგელ მწერების
დაუღალავი მწერია
ულვაშა ხოჭოს წინწკლებით,
მწვანელეულში ელიან.

ტყუილს არ იტყვის
არასდროს,
ოღონ ბაღჩაში იაროს,
თავის წითელი ფრთებითა,
ხშირ ბალახებში ფრიალობს.

რა მარჯვე ხოჭოებია,
სპობს ბუგრებს,
ცრუფარიანებს,
სანამ არ გაანადგურებს,
მანამდე თავს არ ანებებს...

მოფარფატე **აპოლონი**
პეპელაა ფრთაჭრელი,

მთამაღალი სამშობლოს
სხივის ერთი ნათელი.
ღმერთის სახელი დაარქვეს,
ფრინავს პეპელა უვნებლად,,
სიმშვენიერით გვახარებს,
მწვანედ მორთული ბუნება!
მაგრამ ერთი დღე
ცოცხლობსო,
მითხრეს და ძლიერ მეწყინა
მინდოდა ასე მშვენიერს
მთელი ზაფხული ეფრინა.

ჭინჭველა

ვინ არის ძალზე მშრომელი?
თავდადებული, მოძრავი?
ჭინჭველა შავი, პაწია,
დედამიწაზე მცოცავი.
მწარე მატლებს და
მწერებსაც,
ანადგურებენ თანდათან,
მათ შეუძლიათ თათებით,
დიდი ტვირთების გატანა.
გონებით იცის ჭინჭველამ,
მტრის და მოყვარის გარჩევა,
მისი შრომის და უნარის,
ნაყოფი ბევრჯერ გვაჩვენა.
გმირულად იცავს ბუდესაც,
უცხოს სახლ-კარში არ
უშვებს,
– მტერია, შემოგვეპარა,
განვდევნოთ, – ყველას
აუწყებს.

კუს ჯავშანი იფარავს,

ის არაფერს იპარავს,
მიჩოჩავს ნელანელა,
ზოგჯერ კიდეც მიგორავს.
ზღვაშიც ცურავს ბაკანით,
დიდი-უზარმაზარი,
თევზებს, მცურავ პატარებს,
კიდეც დასცა თავზარი.
ზოგჯერ გველსაც იჭერსო
გვსურს ეზოში იდგესო,
ჭრელი დააქვს ჯავშანი
სულ არ არის ავშარი.

მაჩვი გაგიგონია?

ჭამს მწერებს და ბაყაყებს,
ის მიწაში ბინადრობს,
ბოროტს არ გაახარებს.

მაჩვს გათხრილი სორო აქვს,
იცის შინ დაბრუნება,
თაფლის არ დაწუნება,
პირის ჩატკბარუნება.

ზღარბი – ეკლიანია,

ძინავს მთელი ზამთარი,
მას ვერ ავნებს ვერავინ
ვერც ტურა, ვერც აფთარი.

სამყაროს ელჩი კეთილი,
ფუტკარი ფრინავს ტყე-ველად,

ყვავილთა მეგობარია
თავზე მალამოდ ევლება.
დიდი ოჯახის დედაა,
ვეძახით უფლის გაჩენილს
თაფლი შემოაქვს ულევი,
მას დაელოცოს გამჩენი.
კარგად იციან ბავშებმა,
სასარგებლონი ვინც არის,
ავგულა მტერი ბევრია,
დიდიხანია ვიცანით!

ჭრიჭინა – ხეზე ბინადრობს,



ჭრიჭინებს – ჭრია-ჭრიაო,
მისი საზრდო და საგზალი,
ბალახში ბევრი ყრიაო.
ზაფხულში მუდამ იმღერის
ვაზებში ზის და ჭრიჭინებს
ის პატარაა, უმწეო,
ტოტებზე როგორ იძინებს!?
იგონებს ჰანგებს მისებურს
ეს არის მისი უღელი,
ისიც კი მომღერალია
ზის და სამშობლოს უმღერის!

– ყიყლიყოო, – ყივის **მამალი**,

გამოიღვიძეთ მალეო,
მინდა ხმატკბილად გიმღეროთ,
მაგრამ ძლივს მოვიცალეო!

***

ზღარბმა, თხუნელამ,
გომბეშომ,
ასე მისწერეს ბებიას,
– ბრძენო, ძვირფასო დედილო,
ბავშვები არ გვეშვებიან,
ფეხი მოტეხეს თხუნელას,
და ძლივსღა დადის სულნელა,
ჯოხით გალახეს ბაყაყი,
მუცელს იტკივებს ნანაყი,
ზღარბს თოკი მოსდეს
ეკლებში,
და დაუშინეს ბეჭებში.

– ჩვენ განა რამეს ვაშავებთ,
რუხი ბელტები დავშალეთ,
ავგულა ქვეწარმავლისგან
მწვანე ბოსტანი გავცალეთ.

– გვინდა ბავშვებმა იცოდნენ,
თუკი მოგვისპობთ
სიცოცხლეს,
ჭია-ღუით და გველებით,
დაიფარება ველები.

– თუ ვენახებში დავდივართ,
მხოლოდ კეთილი ფიქრებით,
იცოდეთ, სანამ ვარსებობთ,
ხალხის მშველელი ვიქნებით.

თქვენი თხუნელა,
ზღარბი და
თვალდაკუსული გომბეშო
წერილს კითხულობს, თავს
იქნევს,
შეწუხებული ბებია
– ესენი ჩემი, შვილებო,
კეთილი მეგობრებია.

***

ბუნებამ უხვად გვაჩუქა,
მწერები სასარგებლონი,
მაგრამ ბოროტიც ბევრია,
ხარობენ მზით და მდელოთი.

ბავშვებს ერთ-ერთი
გიყვარდეთ,
ეს მთა და მდელო თქვენია,
ღმერთმა გვიცოცხლოს
სამშობლო
დედა, მამა და ბებია!

თარგმანები

მაყვალა გონაშვილი

პოემა

მარ ბაჯიევი

დაპატიჟება კოკეტეის წლისთავზე

(გაგრძელება)

პოემის დასაწყისი იხილეთ
ანთოლოგიის №№ 3, 4, 5, 6 ტომსა და ჟურნალი
„ათინათის“ №№ 18-27 ნომრებში

მანასისა და კონურბაის ორთაბრძოლა

კარვების წინ მოხუცები
სხედან და თვალს ახარებენ,
ნება-ნება სვამენ კუმისს,
მზეს ბებერ ძვლებს აფიცხებენ.
ზოგი საუბრით თავს იქცევს,
ზოგი ზის და გზას გაჰყურებს,
ხვალ ალამან-ბაიგიდან
მოელიან ბედაურებს.
კვლავ ყოყოჩობს ბოკმურუნი,
ერ-მანასით მოაქვს თავი,
სურს ერ-საიშის შეჯიბრით
დაასრულოს ეს წლისთავი.
უნდა თავი მოიწონოს,
მამის სული განადიდოს,
ორი ათასი მერანი
გამარჯვებულს ელის ჯილდოდ.
შეიკრიბა ყველა ერთად,
მზე რომ დადგა შუბის ტარზე,
შეუპოვარ, მამაც მხედრებს
მოელიან მოედანზე.
გამოვიდა კონურბაი,
თქვა: — „ხანი ვარ ჩინეთიდან,
გიწვევთ ჩემთან საიიშზე,
შემერკინეთ, ვისაც გინდათ.
გაჰყვიროდა: — „მოდით, გელით,
ჩემს ხელთაა თქვენი ბედი,
გადმოგაგდებთ ცხენიდან და
ვერ გიშველით აღვირედი.
უნაგირიდან მოგისვრით,
თავით მიწას დაგანარცხებთ
ჯილდოდ ცხენი უნდა მომცეს,
იმან, ვისაც დავამარცხებ.
მე ვერავინ მომერევა,
დამახვიოთ თუნდაც ჯარი,
დიდგულობდა კონურბაი
ალგარაზე შემომჯდარი.
„კონურბაის ფლიდს და ყეყეჩს
შევებრძოლო, მომე ნება,
მსურს ვიძიო შური მტერზე“, —
მანასს სთხოვა ალმანბეტმა.
„ჩემთან უნდა შერკინება,
თავგასულ ხანს, ალმა, ძმაო,
ვერ გავიხდი იცი საქმეს
საქილიკოდ, საჭორაოდ.
საიიშზე ვერ გაგიშვებ,
თუმცა არის შენი მტერი,
რას იტყვიან, რომ ჩინელ ხანს
შევაბრძოლე მე ჩინელი.
მე თუ თავად არ შევები
ნახე მისი ქედმაღლობა,
დავამარცხებ კონურბაის,
ალმანბეტო ვფიცავ ძმობას.
შენც ხომ იცი, რომ აკ-კულა
გავაგზავნე მარულაში,
ვიცი, რომ არ მიღალატებს
მე სარალა, შენი რაში.
სწორედ ამ დროს ერ-მანასმა
ქალთა გუნდი დაინახა,
ხანს მხევლებთან ერთად ცოლი
მოკრძალებით მიეახლა.
თავის დაკვრით მიესალმა,
არ გაუბა მასლაათი,
კანიკეიმ ქმარს მიართვა
აკ-ოლპოკი[1] და ხალათი.
ხან ბაკაიმ უთხრა მანასს:
„გულით გლოცავ, ჩვენო მხსნელო,
გაიმარჯვე ყირგიზების

[1]აკ-ოლპოკი — საბრძოლო ზედა ტანსაცმელი.

საამაყოდ, სასახელოდ.“
ვინ დაიწყებს ორთაბრძოლას,
ახლა მოდი, ვყაროთ წილი“,
„არა, სტუმარს პატივი ვცეთ,“,
ერ-მანასმა თქვა ღიმილით.
ერ-მანასის სულგრძელობამ
ყველა დიდად გააოცა,
გამოქანდა კონურბაი
და მეტოქეს შუბი სტყორცნა.
მტერს უფარა გმირმა ფარი
რკინას მოხვდა შუბის წვერი,
გააქროლა წინ სარალა
ერ-მანასის დადგა ჯერი,
დაუმსხვრია ფარი ჩინელს
თუმცა შუბი მიზანს აცდა,
ძლივს გადარჩა კონურბაი
უნაგირზე შებარბაცდა.
საიიშის ოსტატია
ეს ჩინელი ძაღლთაპირი,
მანას ფერდში მოხვდა შუბი,
აკ-ოლპოკმა იხსნა გმირი.
მოერია ბრაზი მანასს,
მეტოქისკენ შემობრუნდა
და კონური ერთი დარტყმით
გააგორა, როგორც გუდა.
მანასს გულში გაეცინა
„ლამის გასკდა ეს ოხერი“,
ალგარას გამოეკიდა
და აღვირში სტაცა ხელი...
ცხენია რა სანაქებო
ყელმაღალი, ფერად რუხი,
დაიჩოქა ჩინთა ხანმა
მანასს მოუყარა მუხლი.
შეევედრა: — ერ-მანასო,
შენს გმირობას გულით ვაქებ
აჰა, ჩემი სატევარი,
და თუ გინდა მომკალ აქვე.
ერთსაც გეტყვი, შემოგბედავ,
თავზე მეტად მიყვარს ჰუნე,
თუკი მართლა გსურს, ვიცოცხლო,
მე ალგარა დამიბრუნე.
მანასს თითქოს დაავიწყდა
რომ კონური არის უნდო,
გაუღიმა მას მოწყალედ
და აღვირი გადაუგდო.
„ვერაგ მტერთან ერ-მანასო
სულგრძელობა როდი გმართებს?!“
ბრაზს ვერ მალავს ალმანბეტი
და მეგობარს ამუნათებს.
უნდა ცხენი წაგერთმია,
დაამარცხე მტერი რაკი,
ახლა ვხვდები ბავშვობაში
რატომ გერქვა აკარაკი.
ვიცი, თავად არ დაგვინდობს,
ეგ ყალჩა[2] და ბაიყუში,
მელა დაჭერილი გვყავდა,
ხაფანგიდან რად გაუშვი?“
რას დამაკლებს კონურბაი,
მანასს ეცინება გულში.
ალმანბეტის გაფიცხებას
არც კი აგდებს აინუნში.

კოკეტეის ქელეხის დასასრული

გაილია ერთი კვირა,
მალე დოღი დასრულდება,
ვისი რაში გაიმარჯვებს,
ვისი ნატვრა ასრულდება?
სტუმარი თუ მასპინძელი
უკვე ყველა ელის ცხენებს,
ჯომარდობის შედეგები
მანასს დილით მოახსენეს:
„აკ-კულამ ყველას გაასწრო,
მისი დარი სხვა სად არის,
მას ფეხდაფეხ უკან მოსდევს
ხან-ჟოლოის აჩ-ბუდანი“.
მანასმა ალმანბეტს უხმო,
უთხრა: — ძმაო, დამეხმარე,
ჩინელივით გამოეწყე,
აკ-კულასთან წადი მალე.
მეშინია, რომ ჩემს ტულპარს
არ დაუგოს ვინმემ მახე,
გავაბრიყვოთ ჩვენი მტრები,
ცხენს ჩინურად შეუძახე.
ისე, როგორც ტყუპისცალი
აკ-კულას ჰგავს აჩ-ბუდანი,
ბევრი არის ჩინელებში
ბოროტი და ქვებუდანი,
ალმანბეტო, ამდენ ჯილდოს,
სტუმრები არ შეგვარჩენენ,
ვიცი, შურით გასკდებიან,
გულში ბოღმას ჩაიდებენ.
მე დოღიდან გამარჯვებულ
ტულპარს ველი, განა თიკანს,
მეშინია, ჩემი რაში
ვინმემ შურით არ მომიკლას.
ტანზე ხალათს ირგებს ალმა,
ვით აცვიათ ჩინელ ხანებს,

[2] ყალჩა – ყალმუხებს ეძახდნენ დაცინვით ყირგიზები.

საღარასაც ამოქარგულ
ჩინურ პოპონს დააფარებს.
რა იციან ჩინელებმა
ალმანბეტის ჩუმი ზრახვა,
დაინახა მან აკ-კულა,
ცხენს ჩინურად შეუძახა.
გააცურა ჩინელები,
ეცინება ალმას გულში,
აერიათ მათ აკ-კულა
ხან-ჟოლოის ბედაურში.
აჩ-ბუდანი გაიმარჯვებს,
ჩინელები დებენ ფსონებს,
ალმანბეტის ხერხმა გაჭრა,
ცხენს ისარი არ ესროლეს.
არ ყოფილა აჩ-ბუდანი,
ჩინელებმა გვიან იცნეს,
როცა ტალასელი ვაჟი
ეამბორა მანასის ცხენს.
ახლა მიხვდნენ, რომ აკ-კულამ
ყირგიზები ასახელა,
მაგრამ უკვე გვიან იყო,
ყვირილი და თითზე კბენა.
ასე ბრძანა ბოკმურუნმა:
„მანასს ერგო მთელი რემა!
ყველას თითო ცხენი მისცა,
გაიხარეს მეგობრებმა.
სტუმრებს უხვად მოუტანეს
ბეშბარმაკი ხის ლანგრებით,
ადღეგრძელეს ერ-მანასი,
დაიღალა ენა ქებით.
არაყი სურებით მოაქვთ
და კუმისი ჩანაჩებით.
გაუმაძღარ ხან-ჟოლოის
დაეღალა ჭამით ყბები.
ყირგიზებმა გამარჯვებით
დაიმშვიდეს უკვე გული,
ყარაკირის ხეობაში
ნადიმია დიდებული.
როცა ყველა დაიღალა,
ქეიფით და თამაშებით,
როცა ღამის გიშრის თმაში
გაეხვია ლურჯი მთები,
როცა ბინდი დაეფინა,
ველზე ოთხმოცდაათ კარავს.
ჩინელები მოიწვია.
ასე უთხრა მათ ნესკარამ:
„ნეტავ რისთვის წამოვედით,
მოგვტეხოდა ჯობდა ფეხი,
საქმე რატომ გავიხადეთ
ბურუტების დასაკვეხი.
ჩვენზე უკეთ მოახერხეს
ჭიდაობაც, ჯომარდობაც,
გადაგვეკრა თვალზე რული,
ვერ შევძელით ცხენის ცნობაც.
ხედავთ, როგორ გათავხედნენ,
აღარა აქვთ ჩვენი შიში,
დაავიწყდათ ფარასავით
რომ გავრეკეთ ალტაიში.
ეს რა გვიყო ერ-მანასმა,
ეს რა ძალა დაგვანახა,
ბებერიც კი მოგვერია,
და ღირსება შეგვილახა.
ვიცი, ახლა ხარობს გულით
მოღალატე ალმანბეტი,
ასეთ ყოფას სიკვდილი ჯობს,
რაღა გითხრათ ძმებო მეტი.
დავაყენოთ სისხლის გუბე,
ჭკვა ვასწავლოთ არაკაცებს,
თუკი კიდევ შეგვრჩენია
ჩინელებო, სიმამაცე.
ამოვწყვიტოთ ბურუტები,
გავიყოლოთ მთელი რემა
და გავიჭრეთ ჩინეთისკენ
მანამ, სანამ გათენდება.
„იყოს ასე!“ – თქვა ილამამ,
კონურბაიც დაეთანხმა,
ჟოლოასაც მოეწონა
ნესკარ-ხანის ავი ზრახვა.
რა კვნესაა, რა ტირილი,
ყვირილის ხმა ზეცას ერთვის,
მინდორს ცეცხლი უკიდია,
ღამეა თუ ჯოჯოხეთი.
დედის თვალწინ შვილსა კლავენ,
რამდენ ტანჯვას იტევს გული,
ბოლით შავად შეიჭვარტლა
ვარსკვლავების ცისკიდური.
ქმრების თვალწინ ნამუსს ხდიან
დაერივნენ ლამაზ ქალებს,
მდინარეში ჩაყრილ ქვავებს
წყლის ტალღები მიაქანებს.
დაისრული გდია ნოხზე
მოხუცი თუ ჭაბუკია,
მტრის ასეთი სისასტიკე
დღემდე არვის გაუგია.
ბერდუკებიდან[3] იღვრება
კუმისი თუ ეირანი[4].
სასიკვდილო ველად იქცა
სათამაშო მეიდანი.
სადაც ვიწრო ხეობაა

[3]ბერდუკი – ტყავის ტომარა რძის შესანახი.
[4]ეირანი — მჟავე რძე.

და ჩანჩქერი კეგენს კვეთავს,
იქ ილხენდა ერ-მანასი,
თავის ერთგულ მეგობრებთან.
დაეძინათ ნასვამ მხედრებს,
ჩუმად მიეპარა მტერი,
და ქვა-ღორღით გადახერგა
იმ ხეობის ვიწრო ყელი.
ვით ხაფანგით მელაკუდა,
როგორც ჩიტი კაკანათით,
ჩინელებმა სწორედ ასე,
მოიმწყვდიეს გოლიათი.
ერ-მანასი ხეობიდან
გამოვიდა გაჭირვებით,
უკვე ძლიერ გვიან იყო,
სამშვიდობოს იყო მტერი.
ველარ ცნობდნენ ხან ბოკმურუნს
დამუნჯებულს, დარდით შეშლილს,
სამუმის ქარს ჩაუვლია
თითქოს ყარაკირის ხევში.
„ჩემო ალმა, ჩუბაკ, სირგაკ,“
თქვა მანასმა: — „ვფიცავ ძმობას,
სანამ პირში სული მიდგას,
არ ექნება მტერს დანდობა.
არასოდეს მინახია,
ასე საზარელი დილა,
ჩემი ხალხის მწუხარებამ
ვაჟკაციც კი ამატირა.
ვიქეიფე, ვსვი და ვჭამე
და მუცელი მოვაღორე,
მთელი დაცვა გასართობად
ნახირივით წავიყოლე.
ორგულს გული გავუხარე,
ხალხის მოთქმა სწვდება ზეცას,
ამ ჩემს საუკუნო ცოდვას,
წარღვნის წყალიც ვერ გარეცხავს.
მე სანამ შურს არ ვიძიებ,
ვერ ჩავიქრობ გულში კოცონს,
დავეწიო უნდა მტერს და
ამოვჟლიტო, ამოვხოცო.
მონობისგან ვიხსნა ხალხი,
დავუბრუნო უკან რემა,
მტერს ვაჩვენებ, როგორია,
შერცხვენა და დამცირება.
მანასს უთხრა ალმანბეტმა:
„რაც დავკარგეთ, ისიც კმარა,
ვერაგ მტერთან შესაბმელად
საკმარისი არ გვაქვს ძალა.
ახლა ძლიერ გვიანია,
იქნებიან უკვე ჩინეთს,
თუ დავმარცხდით, ნესკარხანი
კიდევ უფრო დაგვამცირებს.
ჩვენი ასე აჩქარებით,
მტერი რომ არ გავახაროთ,
კიდევ უფრო მეტი ჭირი
რომ არ ერგოს შენს სახანოს,
შექმენ ძლიერი არმადა,
მეტად აღარ დაახანო,
ასახელე კვლავ სამშობლო,
უძლეველო, ჩემო ხანო.

. . . .
წალკოტივით ტურფა მხარე
გადაიწვა, გავერანდა,
და ბორბალი ბედისწერის
რა უკუღმა დატრიალდა.
საფლავებით დაიფარა
ყარაკირის ვრცელი ველი,
წაიკითხეს მოკლულთათვის
სულის მოსახსენებელი.
ასე იქცა ლხინი ჭირად,
აალმან-ბაიგე — ომად,
და მანასის ჩანაფიქრი —
საბედისწერო შეცდომად.

Ratiani Lali
Professor Doctor deutscher Philologie
Staatlicher Universität Sochumi

WEG DES RUHMES
Fortsetzung

Mit der Poesie geschieht es auich eben so. Sie ist sowohl der Tod als auch das Leben aufeinmal, könnte sein, daβ sie etwas mehr ist.

Frau Gulnasi scheint, sich oft ihr eigenes schmerzhaftes Herz mehrmals durch das Sehen auf den Sonnenuntergang kuriert gehabt zu haben. Deswegen, wenn sie ihrem geistigen Freund den Sonnenuntergang schenkt, könnte sein, daβ dieses Wunder, das ihr mehrfmals geholfen hatte, dir auch das Schmerzen lindert. Der Sonnenuntergang ist doch eine rosafarbige Poesie: eine der schönsten unter den Poesien. Ich meine, daβ die Poetizität dieser blauen, rosa und weiβen Farben, eine groβe Kraft hat.

Wenn wir Gulnasis Tätigkeit beiseite legen und uns nur über ihre Kunst unterhalten werden, sollen wir uns danach fragen, welche Schöpfung aus ihem Schaffen am besten und erstklassig ist?

Direkt gesagt, weiβ ich es nicht genau.

„ In den Armen der Sonne“ ist vielleicht unter ihren Büchern, wie ich es schon gesagt habe, am besten. Ich kann darauf keine Antwort geben, welches aus ihren Gedichten das Erste ist.Unter ihren einigen besten Gedichten soll eben „Hoffnungswand“ sein.

Gulnasis Poesie ist doch weit und vielseitig. Sie ist aber auf keine konkrete Schöpfung aufgebaut worden. Hier gibt es kein zentrales Gedicht, weil alle Gedichte das Herz der Dichterin ist. Alle lyrischen Arbeiten liebt sie wie ein Kind. Sie sind ihr Tod und Leben.

Charaischwili Bedschjan, ihr Bruder hat einst gesagt und ihm gehört diese Phrase, daβ das Herz der Gröβte Friedhof sei.

Man kann diese Phrase allerlei interpretieren.

„ Das Herz ist Friedhof“.....das ist eine unvergessliche Aussage von diesem Menschen, der nicht wenige als dreβig Jahre gelebt hatte.

Was kann ich zu dieser Aussage von dem früh verstorbenen Dichter hinzufügen. Ich soll aber ihnen darüber unbedingt mitteilen, daβ sowohl das Herz als auch der Sonnenuntergang die Poesie ist. Āhnlich der Poesie ist es der Tod und das Leben aufeinmal.

Wenn das Herz doch ein Friedhof ist, kann dann für Frau Charaischwili Gulnasi kein zentrales Gedicht existieren, weil es für sie unmöglich ist, unter dem Gedicht den Friedhof zu verstehen, aber anderseits.....

Vor kurzem schrieb ich selbst anderseits, daβ alle Gebilde das Herz der Poeten sind.

Stelle ich mir selbst gegenüber?

Zeigt sich hier mein logischer Gedanke nicht ?

Wo ist aber meine Wahrheit?

Es handelt sich mein Leser darum, daβ sich die Logik des Dichters nicht nur manchmal, sondern auch ziemlich oft von der Logik des Wissenschaftlers unterscheidet. Die dichterische Logik ist mehr kompliziert und entgegensätzlich, aber doch schöner. Die Gegenüberstellung kann doch die Poesie nicht zersören, aber in der Wissenschaft wird der Widerstand im Gegenteil seltener zugelassen werden.Die präzisenWissenschaften lassen sich sowas schwer anpassen.Was es aber die Philosophie anbetrifft, steht sie der Kunst und

der Poesie ganz näher. Deswegen versucht sich der Philosoph-Wissenschaftler doch aus Respekt zu Poetizität die Gegenüberstellungen zu gewöhnen.

Als eine Mischung von der Wissenschaft und der Kunst hat die Philosophie die analytische Fähigkeit der Venunft, der suchende Gedanke des Menschen am meisten entwickeln und alle andere Wissenschaften entstehen lassen.

Die Poesie, als mehr poetischer Kunst mit der Musik zusammen, hat einen poetischen Gedanke entwickelt. Da sie auf solchen Gedanke aufgebaut sind, wurden dadurch alle anderen Künste entstanden.

Für die Wissenschaft ist der logisch-analytischer Gedanke hauptsächlich, weil sich darauf alle Wissenschaften gründen.

Für den Dichter ist aber der poetische Gedanke am wichtigsten und seine Logik gründet sich eben auf die Poetizität.

Alle Arbeiten und darunter natürlich auch wissenschaftliche schätze ich hoch. Ich möchte dazu sagen, daβ es ihnen manchmal schwerfällt, die wahre Poesie anzuerkennen, die auch zu dieser Frage hartknächig versuchen uns zu belehren. z..B. Einer der Wissenschaftler behauptete, das Gedicht- Meisterwerk von Arabuli Goga „Asche des Lichtes“keinen Sinn zu haben.

„ Es gibt gar kein Kreuz und den Himmel im Menschen,

Und der Mensch ist eine ewige Gemeinde“

Was für eienen Sinn soll aber dieses Wortspiel tragen. Das ist doch einfach ein Versuch eine bestimmte Poetizität zu schaffen.

In diesen zwei Zeilen habe ich aber viel Sinn ausgelesen!

Ich schlug diesem Wissenschaftler eine der Erklärungen vor: der Dichter sagt uns, daβ es in einem Menschen kein Kreuz und keinen Himmel gibt. d. h. er fühlt sich den Gottmenschen. Auf diese Weise entfernt er sich heut zu Tage von einer höhen Idee, von dem Gottmenschen, der mit seiner Gröβe auch einen Supermenschen übertreibt. Da er den Bund mit Herr verloren hat, bleibt deshalb der Mensch ewig auf der Ebene des Gemeindes, der aber nicht in der Lage ist, sich bis zur Priester zu erhöhen. Also, Esua ist in unserem Herzen und unserer Geist verloren. An Stelle Gottes ist dort nur die Leere, eine Lücke entstanden. Darin besteht unser Unglück und eben das versucht der Autor uns durch seine Zeilen zu Verstehen zu geben.

Dieser, vor allem, als Philosoph genannte vielseitiger Wisschenschaftler hat sich über solche Erklärung sehr gewundert und fragte sich, warum er die darunter versteckte so groβe Philosophie, nicht gleicht empfand.

Ich habe ihn darauf erwidert, daβ es ein Teil der Philosophie ist und es vor allem uns, den Poeten angeht.Und wenn er nicht verstanden hat, was darin stand, sollte er doch die Schönheit dieser Zeilen einfach gespürt haben.

Als Antwort hatte er feierlich meine Hand gedrückt und mir gesagt, daβ ich Recht habe.

Ein weiser Mensch hat einst gesagt, man soll sich die Dichtung mehr spüren, als erkennen,

Dieses Werk von Charaischwili Gulnasi ist das Gefühl von Anfamg an bis zum Ende:

„Ich schwimme im Meer und folge den Wellen,

Ich vermisse dich und versinke mich tief in Gedanken

Ich kann dich niergendwo finden und ich bin müde ,

ich fühlte mich, du wärmstest mich von dort,jenerseist aus,

Für die Hilfe wendete ich mich an Gott:

„Du sollst als Schöpfer sie suchen! –
-Suchst du nach ihr? Sie sitzt hier an der Tafel.
Wenn du sie herzlich liebst, dann zeige ich sie. dir..
Mit der Hoffnung sie zu sehen,
Habe ich die ganze Nacht nicht geschlafen.
Von Gott wurde ich nicht verjagt worden,...
Der Mond lächelte mir durchs Luftfenster zu,
Ich habe genau beobachtet und darin
In der Gestalt des Mondes dich entdeckt....“

Unter den besten lyrischen Schöpfungen von Gulnasi soll ich eben dieses Gedicht erwähnen. Hätte ich das Sammelwerk aus ihrer ganzen Tätigkeit zusammengestellt, würde ich dieses Gedicht dort unbedingt eintragen.

Was soll zu dieser Schöpfnung gesagt werden.

Beginnen wir damit, daβ die Autorin scheint, dieses Gedicht der Rückerinnerung und der Liebe ihres verstorbenen Mannes gewidmet zu haben. Diese Tatsache und solche ewige Treue läβt uns sie respektieren und ehrerbieten.

Die Dichterin wendet sich ans Meer, als Symbol der vollen Welt, und im Raum des Meeres versucht sie ihren gestorbenen Geliebten, ihre verlorene Liebe zu suchen, um das durch den Tod ihres Mannes verursachte Herzschmerzen zu lindern.

Ich erinnere mich wieder an den unsterblichen Helden von Eqsiuperie**,** der sagte, daβ“wenn es dem Menschen schwer zumute ist, wenn es ihm etwas schwerfällt, liebt er auf den Sonnenuntergang zu sehen.“

In diesem Fall ist ein Symbol-reales oder irreales, die Sonne im Traum und in der Klarheit durch die zweite Ewigkeit-durch das Meer ersetzt worden. Der Bund der Natur mit dem Menschen ist ununterbrochen. Die ganze Welt bemüht sich der Alleinseele die Hilfe zu leisten, damit er seine Geliebte sucht, die niergendwo ansichtig, aber ihre Existenz immer spürbar ist- „ich fühlte mich, du machtest mich von dort, jenerseits aus warm“-diese Zeile ist die Beste in der ersten Strophe, weil das poetische Gefühl – das Erlebnis wahr ausgedrückt ist. Daβ diese Zeile nicht falsch und echt ist und sie durchs Herz geht, das ist nur eine Frage. Die andere Frage besteht aber darin, wie sich der unüberwindliche Damm, der zwischen dem Leben und dem Tod erhoben ist, allmählich zerstört. Die entgegensätzliche Welt/ das Universum wird sich ohne Gott, unser Herr nicht geeinigt werden

Der lyrische Held des Gedichtes verlässt sich eben nur auf Gott und er bietet um die Hilfe auch ihn.

Selbst Gott wird den Damm zwischen dem Tod und dem Leben zeitweilig vernichten.

Der lyrische Held, wie sie wissen, trifft seine Geliebte , die sich als Mond vor ihn zeigt, auftaucht.

Die Worte von Gott sind in diesem Gedicht stark ausgedrückt worden:

”Suchst du nach ihr? Sie sitzt hier an der Tafel.
Wenn du sie herzlich liebst, dann zeige ich sie dir.“

Die groβartigen Menschen, die die irdische Welt verlassen haben, sitzen dort im georgischen Himmelsreich, nach der poetischen Vorstellung der Autorin, bei der Zecherei an der Tafel selbst mit Herr zusammen.

Solche Gottesvermenschlichung ermöglicht nur den Rechtgläubigen, den Christen, vor denen Gott als Mensch in der Tat erschien. Das Wort verwandelte sich in den Mann, der dann das Kreuz bestieg. Der Kopf mit dem Dornkranz beschmückend hat er als Himmelskönig sein irdisches Leben am Kreuz beendet.

Für den Rechtgläubigen ist Gott so menschlich und verwandt.

Es gibt das Wort –Gottmensch, als die Einigung des Mannes und Gottes in einem Leib, in einem Wesen und Ideal formiert. Gottmensch war eben Esua-der gröβte Dichter-Idealist des Univesums, der Welt.

Also, gute Menschen sterben nicht, sie gehen zu Gott, damit sie sich so erhöhen, daβ sie an der Himmelstafel mit Gott zusammenessen.

Wenn du sie herzlich und mit vollen Gefühl liebst, zeige ich dir nur in diesem Fall deine Verliebte -sagt Herr-Gott.

Nachdem einer von meinen besten Freunden sein lyrisches Gebilde“Das Gefühl als Welt“ geschaffen hatte, schrieb er darunter solche Worte:“ Das Herz ist doch klein, und das Gröβte unter den Wundern, weil es als Ansatz des Gefühls bezeichnet wird.“ (aus dem Postkriptum von Bazikadse Kacha).

Ähnlich meinem Freunde sieht auch Frau Charaischwili Gulnasi im Menschenherzen das Weltzentrum, weil das von Gott erfühlte Herz ein Teil des Himmels ist, das in der Brust des Sohnes von Adam als zauberhafter Briliant oder Türkis läuchtet.

Es ist wirklich so –wenn du jemenden herzlich liebt, kann dich nichts von deiner Ausserwählte trennen. Der Tod ist schwach gegenüber der echten Liebe, weil selbst die Liebe Gott und Poesie ist.

Die Gedichte von Charaischwili Gulnasi sind wirklich tiefer, als man es glaubt.

Die einfachen Menschen können durch die gefühlsvollen Schönheit dieser Schöpfungen bezaubert werden, aber den ausgebildeten Menschen fesselt sowohl die Empfindlichkeit als auch solche verborgene Kenntnis, die in dieser Dichtung, in den Worten oder auβerhalb der Worten versteckt ist.

In den Gedichten „ Sehnen," „Ich bin im Meer geschwommen", kann man gute Kenntnisse der Weltmithylogie und der Philosophie auslesen. Das Gedicht ist vor allem das Gefühl und man soll es als das Gefühl und die Schönheit aufnehmen. Das wäre besser, wenn es im Gedicht auβer dem Herz auch die Vernunft gäbe.(Ich sage es nicht deswegen, daβ Rustaweli die Poesie als Zweig der Weisheit genannt hatte. Er verstand unter der Weisheit, meiner Meinung nach, nicht nur die Vernunft und es wurde gleich klar geworden, nachdem er dazu das Wort „Gott, Gottes-„hinzugefügt hatte.

Unter Rustavelis Weisheit soll man mit der Weisheit der Vernunft zusammen auch die Gefühlsweisheit verstehen, weil es ohne das Gefühl keine Gottespoesie geben würde..Da der gröβte Geogier, georgischer König das Gedicht als" Zweig der Weisheit"genannt hatte, hatte er damit nur auf die Vernunft hingewiesen und sie unterstrichen .

Wenn doch das Gedicht „Sehnen" keinen konkreten Autor gehabt hätte, wäre es ein Teil des groβen Mythologie gewesen.

Wäre dieses Gedicht so bescheiden und schön nicht geschrieben, würde es ein Teil der Philosophie sein.

Der Tod kann nach der Mythos der früheren Zeiten kein absolutes Ende und ebenso kein absolutes Ende der Liebe sein. Ich erinnere mich dazu an eine Geschichte über einen halbmythischen Dichter-Musiker 0rpheos und seine Verliebte aus der griechischen Mythe. Dort sucht Orpheos auch nach seiner verstorbenen Geliebte, ebenso wie es in Gulnasis Gedicht gegeben ist. Es scheint, für die Dichter seit undenklichen Zeiten keine unüberwindliche Barrijere/ Schranke zu existieren. Das Problem „der durchgebrochenen Brücke" zwischen dem Tod und dem Leben bestand für sie nie.

Die religiöse/ konfessionelle Philosophie erkannt den Tod als das Ende im allgemeinen gar nicht an. In der ganzen Welt gibt es solche Religion fast nicht, die das posthume Leben propheziert.

Was es aber selbst die Philosophen angeht, bezeichnen sie den Tod auch als das Ende nicht. In jeden Fall ist es so bei der übewiegenden Mehrheit von ihnen. Sagen wir, daβ Sokrate, Platon, Aristotel, Bles Paskal, Hegel.den Tod als der Schluβ nicht behandelten. Gurdjiew Giorgi auch, der sich in seinem Kopf griechisch-georgisch-tibetische oder, im allgemeinen, euroasische Kultur vereinigte, nahm den Tod als keinen unüberschreitenden Widerstand auf. Denselber Meinung war auch ein groβer indischer Dichter-Religiöse, Philosoph Rabindranat Thagor und viele andere.

Wenn die Zeile für den Dichter die Blut ist, die in seinem Herzen, in der Arterie und seinen Venen lebt und der ganze Körper, die Seele des Dichters aus den Zeilen geschaffen ist, dann zeigt ihm das Gedicht fehlerlos solchen Weg, der ihm ermöglicht, den zwischen dem Tod und dem Leben existierenden ewigen Damm zu überwinden.

Und die Verliebte taucht vor dem siegreichen Sucher in der Gestalt des Mondes auf.

Die Sonne hat sich auch hier gewendet: Sie ist im Gulnasis Gedicht durch das Symbolick des Meeres und des Mondes ersetzt worden.

Sehr interessant sind übrigens die Symbole, die Arten .der Sonne und des Mondes in der georgischen oder in der Weltmythologie. Sie sind zu veränderlich, die Einbildungskraft des georgischen-oder der Weltmenschen malte die Sonne und der Mond seit alters bald unter dem Schein des Mannes, bald beim Anblick der Frau.

ბერძენი პოეტის – მილტოს სახტურისის პოეზია

ახალბერძნული ენიდან თარგმნა თეონა ბერიძემ



თეონა ბერიძე *ახალბერძნული ენისა & ლიტ-ის ფილოლოგი, განათლების მაგისტრი, მთარგმნელი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი; 2016წ. – ათენის კაპოდისტრიას სახელმწიფო უნივერსიტეტი & ახალბერძნული დიალექტებისა და იდიომების კვლევის ცენტრი – ათენის აკადემიის – ახალგაზრდა მკვლევარი; 2013-2014წწ. – ათენის კაპოდისტრიას სახელმწიფო უნივერსიტეტის (დაწყებითი განათლების პედაგოგიკის კათედრა) — მიწვეული დოქტორანტი; სხვადასხვა დროს საბერძნეთის რესპუბლიკის სასწავლო კვლევითი ფონდებისა და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სასწავლო გაცვლითი პროგრამების სტიპენდიანტი; არის საქართველოსა და საზღვარგარეთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მონაწილე და ორი საერთაშორისო ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიის ავტორი; 2009 წლიდან ეწევა აქტიურ მთარგმნელობით (ბერძნული&ინგლისური ენები) და პედაგოგიურ საქმიანობას. მისი თარგმნილი თანამედროვე ბერძნული პოეზიის ლექსები დაბეჭდილია სხვადასხვა ჟურნალში. 2015 წელს ქართულიდან ბერძნულად თარგმნილი ''წმ. ევაგრე ციხედიდელის ცხოვრება და სასწაულები'' გავრცელებულია საბერძნეთის 70-მდე ქალაქსა და კუნძულზე არსებულ ეკლესია-მონასტრებში, მათ შორის ათონის მთაზე, რამოდენიმე ეგზემპლარი ინახება ათენის კაპოდისტრიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორის ბიბლიოთეკაში; ''წლის ქართველი სტუდენტი საბერძნეთში 2017'' ჯილდოს მფლობელი).*



მილტოს სახტურისი (Ο **Μίλτος Σαχτούρης**) მე-20 საუკუნის გამოჩენილი ბერძენი მწერალი და პოეტია. დაიბადა 1919 წლის 29 ივლისს ქ. ათენში. იგი არის ერთ-ერთი გამორჩეული და თვალსაჩინო პოეტი ომისშემდგომი პერიოდის პოეტთაგან. ავტორია მრავალი ნაშრომისა და ლიტერატურული ნაწარმოების. მიღებული აქვს სამი სახელმწიფო ჯილდო, მათ შორის, 1956 წელს მისი საუკეთესო კრებულისთვის "როცა მე ვლაპარაკობ" იტალიის რადიოსა და ტელევიზიისგან დაჯილდოვდა პირველი ხარისხის პრემიით: *''ახალგაზრდა ევროპელი პოეტები''*. მილტოს სახტურისი გარდაიცვალა 2005 წლის 29 მარტს, ქ. ათენში.

Η μεταμόρφωση

Μια μέρα θα ξυπνήσω
Άστρο
όπως το 'λεγες
θα πλύνω από τα χέρια μου
το αίμα
και θα πετάξω τα καρφιά
από το στήθος μου
δε θα φοβάμαι πια τον κεραυνό
δε θα φοβάμαι το σφαγμένο
πετεινό
μια μέρα θα ξυπνήσω
άστρο
όπως το 'λεγες
τότε
θα είσαι ένα πουλί
ίσως να είσαι έ ν α π α γ ό ν ι
εγώ
θα έχω αθωωθεί.

მეტამორფოზა

ერთ დღეს გავიღვიძებ როგორც ვარსკვლავი
და ჩამოვიბან სისხლს ხელებიდან;
და როგორც შენ ამას ამბობდი,
მე გადავიყრი ლურსმნებს მკერდიდან.
და აღარც შიში შემიპყრობს მეხის,
არც განგმირული მამლის.
ერთ დღესაც გავიღვიძებ ვარსკვლავად,
როგორც ამბობდი შენ ამას...
შენ მაშინ ჩიტად გადაიქცევი
ან იქნებ იქცე ფ ა რ შ ე ვ ა ნ გ ა დ.
და გამართლებული დავრჩები მარად..!

2015 წლის ნოემბერი

Κύριε

— Κύριε, είναι μεσημέρι κι ακόμα
δεν ξυπνήσατε
— Κύριε, δεν πήρατε το πρωινό σας
— Κύριε, ήπιατε πολλούς καφέδες
— Κύριε, ο ήλιος λάμπει, αστράφτει
βρέχει και χιονίζει
— Κύριε, ένα κόκκινο πουλί έχει κολλήσει
στο παράθυρο σας
— Κύριε, μια μαύρη πεταλούδα φάνηκε
πάνω στο στήθος σας
— Κύριε, πώς τρέχετε με το ποδήλατο!
— Κύριε, είστε παγωμένος
— Κύριε, έχετε πυρετό

Κύριε, είσαστε νεκρός;

ბატონო

- ბატონო, შუადღე ჩამოდგა და
ისევ არ გღვიძავთ,
დილის საუზმეც გაგცივებიათ...
მაგრამ ნალექი მოსჩანს ფინჯანზე
და ვხედავ ყავა დაგილევიათ.
- ბატონო, წვიმაა.. ელვაა... თოვაა მზის შუქზ
წითელი ჩიტუნა მიკრულა
სველ სარკმელს,
მოშავო პეპელაც მოელავს თქვენს ზურგზე
სადა ხართ? სამყარო იღვიძებს რიჟრაჟზე!
- ბატონო, ვინ იცის? მაღალი სიცხე გაქვთ,
ან ველოსიპედით როგორ დაქრიხართ!
თუ მეჩვენება რომ გაყინულხართ?
თქვენ გაყინულხართ

და გარდაცვლილხართ?

2009 წლის ოქტომბერი

პროზა

რევაზ მიშველაძე

ზამეზა

რომანი

(გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ ჟურნალ „ათინათის“
№28-29-სა და „ანთოლოგიის“ მე-7 ნომრებში)

***

ერეკლე მეორე ელჩებს ელჩებზე აგზავნიდა პეტერბურგში; რუსთ ხელმწიფეს თხოვდა, მტერთაგან შევიწროვებული, ილაჯგაწყვეტილი საქართველო შენს უბეში შეიფარე, თორემ უკვე სისხლისგან ვიცლებით და დღედღეზე ან სპარსეთი გადაგვყლაპავს, ან ოსმალეთიო.

ერეკლე რუსეთისადმი ამ ლოიალურ დამოკიდებულებას არც სამეფო დარბაზის სხდომებზე მალავდა და დიდებულთაგან ბევრს შესჩიოდა; სამეფო თავზე დამენგრა, ყველა მარბიელი და მაწანწალა ჩვენზედ მოიწევს, თუ რამე არ ვისაშველეთ, ჩვენც ვახტანგ მეექვსესავით მოგვიწევს აქედან აბარგება და გაქცევაო.

ეს ხმა რუსეთში მცხოვრებ ვახტანგ მეექვსის შვილს – პაატა ბატონიშვილსაც მისწვდა.

პაატა ფრიად განსწავლული, სამხედრო საქმის მცოდნე (ზარბაზნის ჩამოსხმის სპეციალისტი)

და სამშობლოსათვის გულატკივებული კაცი იყო. იგი ერეკლე მეორის ბიძა – დედის ძმა გახლდათ.

აწრიალდა პაატა: ე, მანდ ერეკლემ ქართლკახეთის ბედი ნაჩქარევად არ გადაწყვიტოს და ის, რისთვისაც ქართველებმა საუკუნეთა განმავლობაში სისხლი ღვარეს – საქართველოს დამოუკიდებლობა – ქარს არ გაატანოსო.

რუსეთის იმპერატრიცას – ანას არზით მიმართა, საქართველოში დაბრუნების ნება მომეცითო, რაზეც ერთ თვეში კატეგორიული უარი მიიღო.

რუსეთის ვრცელ ტერიტორიაზე მიმოფანტულ ქართველებს (და განსაკუთრებით სამეფო ოჯახის ნათესავებს) სამშობლოში უნებართვოდ დაბრუნების უფლება არ ჰქონდათ.

ასე რომ, „კეთილ მასპინძელს“ რუსს ქართველები შინაპატიმრობაში ჰყავდა.

პაატამ უკან არ დაიხია. ახალგაზრდა, პოლიტიკაში ჯერ გამოუცდელი ჩემი დისწული, მართალია, უშიშარი მებრძოლია, მაგრამ მე რომ გვერდით ვეყოლები მრჩევლად, უკეთ განსჯის ქვეყნის სამომავლო წონასწორობასო.

პაატა ბატონიშვილმა ვასილ ეგოროვის პასპორტით 1749 წელს პეტერბურგი დატოვა და სამი წლის შემდეგ თბილისში ჩამოაღწია. იქნებ დააინტერესოს მკითხველი მისი მოგზაურობის მარშრუტმა. პეტერბურგი – რიგა – მიტავა – მემელი – კენიგსბერგი – ვარშავა – კომენეცი – ბუქარესტი – კონსტანტინოპოლი – ერზრუმი – თბილისი.

ხედავთ, რამდენი უწვალია რუსის სახელგვარს შეფარებულ პაატა ბატონიშვილს, რომ სამშობლოში დაბრუნებულიყო?

გაეხარდა ერეკლეს ბიძის დაბრუნება. ისნის სასახლეში დიდი ნადიმი გაუმართა. მეორე დღესვე პაატა ბატონიშვილი სამხედრო მრჩევლად დანიშნა და ერთი წლის მერე თბილისის მოურავად განამწესა.

ერეკლე მეფე ფიქრობდა, რუსეთში აღზრდილი უფლისწული ჩემს მიერ რუსეთისკენ აღებულ გეზს მოიწონებს და ზოგიერთ გულაღრენილ დიდებულსაც დამირწმუნებს იმაში, რომ საქართველოს მხსნელი ამ დუნიაზედ მხოლოდ და მხოლოდ რუსეთიაო.

ფიქრობდა, მაგრამ მოტყუვდა.

ჩამოსვლიდან ერთი წლის განმავლობაში, თუ ერეკლე მეორეს ყველაფერში ეთანხმებოდა, მერე და მერე უფრო გამოამჟღავნა პაატამ ანტირუსული განწყობილება. იგი პირად საუბრებში ხომ „წამლავდა და წამლავდა“ ირგვლივ მყოფთ, რუსეთის ნდობა არ შეიძლებაო, დარბაზის სხდომებზეც კი უპირისპირდებოდა პატარა კახს, როცა ეს უკანასკნელი რუსეთის იმპერატორის მიმართ ახალ აჯათხოვნას წაუკითხავდა დარბაზის ერს და სარუსეთო მხარდაჭერას თხოვდა.

პაატას გარშემო იკრიბებოდნენ ერეკლეს პოლიტიკით უკმაყოფილონი და ბჭობდნენ, როგორ გადაერწმუნებინათ ერეკლე, არ „განესყიდა“ საქართველოს თავისუფლება.

ისე სწრაფად მრავლდებოდა პაატა ბატონიშვილის მომხრეთა რიცხვი, რომ 1765 წლის 5 დეკემბერს შეთქმულთა მთავარმა შტაბმა – „მარკოზაშვილის დარბაზმა“ ძლივს დაიტია.

პაატას ერთგულებაში დაეჭვებულ ერეკლე მეორეს ისედაც ჰქონდა მეთვალყურეობა დაწესებული „ქვეგამხედვარი ბატონიშვილის“ მიმართ, მაგრამ მარკოზაშვილის დარბაზის სხდომამ მეფის მოთმინების ფიალა ბოლომდე აავსო და შეთქმული (ორასზე მეტი კაცი) დააპატიმრეს.

ერთ კვირაში გაიმართა საერო სასამართლო. შეთქმულთა წინააღმდეგ მთავარ ბრალმდებლად თვით მეფე გამოვიდა.

სასამართლომ პაატა ბატონიშვილს ხელმწიფის ღალატის გამო თავის მოკვეთა, ხოლო დანარჩენ დამნაშავეებს სხვადასხვა სასჯელი შეუფარდა (რა იყო ეს სხვადასხვა სასჯელი ქვემოთ დავინახავთ).

სასამართლო დიდხანს არ გაგრძელებულა.

დილის 10 საათზე დაიწყო. პირველი სიტყვა მეფემ თქვა და გავიდა. ბრალდებულთაგან მხოლოდ პაატამ არ აღიარა დანაშაული; ხელმწიფის კარის გადატრიალებაზე არც მიფიქრია, რასაც მარკოზაშვილის დარბაზში ვამბობდი, ერეკლესთვის პირშიც არაერთგზის მითქვამსო.

განაჩენის გამოცხადების დროს პაატა ბატონიშვილი ფეხზე არ ამდგარა.

იგი პირველი გაიყვანეს და საპატიმრო ეტლით, ოთხიოდე ცხენოსნისგან შემდგარი ბადრაგის თანხლებით დიდუბის საპატიმროში დააბრუნეს.

მამლის ყივილამდე დიდი დრო არ იყო დარჩენილი, პატიმარს რომ მოახსენეს – შენთან საუბარი მეფემ ისურვაო.

სიკვდილმისჯილს, რა თქმა უნდა, არ ეძინა. ნარზე წამოჯდა, ჩოხის ღილკილები შეიკრა და წვერზე ხელი ჩამოისვა.

კარი გაიღო, ჯერ ორი შუბოსანი მცველი შემოვიდა. მცველები რკინის კარის იქეთაქეთ დადგნენ. ორიოდე წუთში პარმაღზე ერეკლე გამოჩნდა.

მეფემ ჯერ პატიმარს შეხედა, მერე მცველებს შეავლო თვალი და დაგუდული, გამშრალი ხმით თქვა:

– გადით.

შუბოსანნი გავიდნენ.

კარი ღია დარჩა.

ერეკლე ნარის ბოლოზე ჩამოჯდა.

პაატამ წამოდგომა დააპირა, მაგრამ მეფემ ხელით ანიშნა, იჯექიო.

ორივენი კარგა ხანს დუმდნენ.

– მაშ ასე? ბიძავ?

ერეკლე ქვის იატაკს დასცქეროდა.

ტყვემ გაუბედავად გამოხედა.

– რაზე ბრძანებ, მეფევ ბატონო?

– ასე ისურვე?! ბიძაჩემო?

– მე კი არა, შენ ისურვე მეფევ ბატონო.

– აქამდე „მეფევ ბატონოთი“ არასოდეს მოგიმართავს ჩემთვის.

– დღეს ვიგრძენი სასამართლოზე, რომ იმაზე უფრო შორს ყოფილხარ ჩემგან, ვიდრე მეგონა.

– მე სხვა გზა არ მქონდა, პაატავ. ხომ ხედავ, ისედაც ცალ ფეხზე დგას საქრისტიანო საქართველო. შენთვის რომ მეპატიებინა, ეს აღრენილი დიდებულები ხვალ თავზე დამასხდებოდნენ და ჯვარზე გამაკრავდნენ.

– მე პატიება არ მითხოვია.

– ოღონდაც.

– იცოდე, ერეკლევ, დღეს ჩემი სასამართლო კი არა, შენი სასამართლო იყო. დღეს შენ გაგასამართლეს და მოგისაჯეს, რომ საკუთარი ბიძისთვის თავი მოგეკვეთა.

ერეკლე დუმდა.

– მოღალატე ბიძისთვის.

ყრუდ დასძინა მეფემ.

– ერეკლევ, მე შენთვის არ მიღალატნია. შენ ფიქრის გამო მსჯი, თუნდაც ჯიუტი ფიქრის გამო. იცოდე, რუსეთისკენ შენი ჯიუტი სწრაფვა, შენვე ჩაგეთვლება ისტორიულ დანაშაულად.

– განსჯა იოლია. რამდენჯერ მითქვამს შენთვის, აბა, ჩემს ადგილზე წარმოიდგინე თავიმეთქი.

– ბევრჯერ წარმოვიდგინე და გამოუვალ მდგომარეობას ვერ ვხედავ. საქართველოს უარესი დღეებიც ჰქონია.

– შენ როგორ ფიქრობ, დავითი და თამარი არ ეძებდნენ მეზობელთა მფარველობას?

– ეძებდნენ, ოღონდ თავისუფლების დათმობის ხარჯზე არა. არ გეწყინოს და შენ არ იცნობ რუსეთს. რუსეთი გაცილებით უფრო ვერაგია, ვიდრე შენს კარზე მომრავლებული, წვერცანცარა და ცხვირაპრეხილი ლოთი ელჩების საქციელიდან ჩანს. რუს ხელმწიფეზე უფრო უპიროს, უნდოს, სიტყვის გამტეხს მთელს დუნიაზე ვერ ნახავ.

– მერედა, დრო ხომ იცვლება, ბიძავ ბატონო. იქნებ ახლა გადარჩენის ამ გზამ აჯობოს. ხვალ... ხვალე ჩვენს ხელთ არ არის? არ ივარგებს და ისევ გამოვეცლებით რუსს...

– მერე გვიან იქნება... ასწლეულები დასჭირდება ჩვენს შთამომავლებს რუსეთის კლანჭებიდან თავის დასახსნელად.

– დავუტოვოთ ეს ყველაფერი განსასჯელად შთამომავლობებს. მე აქ ჩვენი კამათის გასაგრძელებლად არ მოვსულვარ. ვიცი, შენი გადარწმუნება ძნელი საქმეა.

– ძნელი კი არა, შეუძლებელი.

– იცი, რატომ მოვედი?

– ვიცი, მეფეო, შენ იმისთვის მოხვედი, რომ ჩემგან პატიების თხოვნა მოისმინო, მაგრამ მე გათავისუფლებ ამ უხერხული წუთებისაგან. გითხრა შენი მოსვლის ნამდვილი მიზეზი?

– ?!

– შენ მოხვედი, რომ პატიება მთხოვო, მაგრამ მე არ გაპატიებ. საქმე საქართველოს ყოფნა-არყოფნას რომ არ შეეხებოდეს, გაპატიებდი... წადი, მეფეო, ღმერთმა გაგვასამართლოს.

ერეკლე მეფეს ხმა არ ამოუღია.

მუშტში წვერმობოჭილი კარგა ხანს იჯდა.

ბოლოს წამოდგა. პაატას მხარზე ხელი დაადო, მერე კარებისკენ გააბიჯა. შემობრუნდა, თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა, სიკვდილმისჯილს ერთხელ კიდევ შეხედა, ხელი ჩაიქნია და გავიდა.

ერეკლე მეფეს თვალებში ცრემლი უბრწყინავდა.

***

1765 წლის 15 დეკემბერს თბილისში დილიდანვე თოვდა.

რიყეზე მტკვარში ჩაყინული ნავები და დადუმებული წისქვილები მოჩანდა.

ავლაბრის ხიდზე ტევა არ იყო.

თბილისელი მოქალაქენი მეფისკარის შეთქმულების მონაწილეთა დასჯის სანახავად მოიჩქაროდნენ.

შემაღლებულზე სამეფო დარბაზის წევრები და სახელმწიფო სამხედრო რაზმის სარდლები იდგნენ. ქვემოთ წარჩინებულ მეხმლეთა ათეული.

უეცრად ხალხი შეჩოჩქოლდა.

ბორკილების ჩხარუნით შემოიყვანეს დამნაშავენი და სამთავრობო კარვების წინ სამრიგად ჩაამწკრივეს.

განწირულთა მწკრივის თავში თავშიშველი პაატა ბატონიშვილი იდგა. მამადავითს ასცქეროდა და მგონი, იღიმებოდა კიდეც, თითქოსდა, რაც აქ ხდებოდა, მას სრულიადაც არ ეხებოდა.

მებარაბნეთა დგრიალბრაგუნის მერე მოსამართლემ განაჩენი წაიკითხა და ბოლოს ხმამაღლა დასძინა: „ახლა, დიდუბის ციხის ჯალათი დარჩო ტაბაღოვი აღასრულებს მოღალატე პაატა ბატონიშვილისთვის თავის მოკვეთის განაჩენს!“.

ხალხს ჩურჩულის ტალღამ გადაუარა და წამში ყველანი მონუსხულივით გაირინდნენ.

პაატა იდგა და ყველა ხედავდა მის სახეზე შეყინულ ღიმილს.

– სად არის დარჩო? – იკითხა მოსამართლემ.

– დარჩო!

– დარჩო!

– დარჩო!

თითქოსდა ხმაგაუმეტებლად ერთმანეთს გასძახოდნენ დიდებულები და ყველას სახეზე ეწერა, რომ გულით სურდათ დარჩო არ მოსულიყო.

დარჩო არსად ჩანდა.

უკვე თორმეტი სრულდებოდა და მანდატურთუხუცესი ჩექმის დეზებს ერთმანეთს „პოლკას“ მოცეკვავესავის უკაკუნებდა, მას უნდა ეცნობებინა ერეკლესთვის სასჯელის აღსრულება.

***

იქნებოდა პირველის ნახევარი ისნის სასახლიდან სოლომონ ლიონიძე და მასთან ოთხიოდე დიდებული ჩქარი ნაბიჯით რომ გამოვიდნენ.

ხუთივენი გაბადრული სახეებით ჩამორბოდნენ კიბეზე და ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავდნენ.

– ბატონებო, ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ შეიწყალებდა, – წამდაუწუმ იმეორებდა სოლომონ ლიონიძე.

– უნდა ვიჩქაროთ! – ყვიროდა სახლთუხუცესის თანაშემწე (თვით სახლთუხუცესი განსჯილთა შორის იდგა).

საშიკრიკო ყაზარმაში შევარდნენ.

მორიგე შიკრიკი წამოხტა.

– იჩქარე, მეფემ პაატა ბატონიშვილი შეიწყნარა! თვალის დახამხამებაში რიყეზე უნდა გაჩნდე! პირდაპირ მთავარ მოსამართლეს უნდა აცნობო!

ფეხდაფეხ მისდევდა სოლომონ ლიონიძე ამხედრებულ შიკრიკს.

***

– რა ხდება, ბატონებო! ეს რა უბედურებაა! მეფე ძელზე გამსვამს! ჯალათი არ გამოცხადდა!

ყვიროდა, ხელებს ასავსავებდა, ადგილს ვერ პოულობდა მანდატურთუხუცესი.

– ვინ აღასრულებს?! – დაიძახა მეხმლეთა ათეულის უფროსმა.

წამიერი დუმილი.

ცივმა ოფლმა დაუცვარა შუბლი ჩოხოსან ოფიცრებს.

– მე აღვასრულებ! – ყველასგან მოულოდნელად დაიძახა გიორგი რევაზის ძე ქსნის ერისთავმა.

მოსამართლემ და მანდატურთუხუცესმა შვებით ამოისუნთქეს.

... როცა შიკრიკი ცხენის თქარათქურით და ძახილით: „შეაჩერეთ! შეაჩერეთ“ ფიცარნაგზე შევარდა, ყველაფერი გვიან იყო.

მეხმლე გიორგი ქსნის ერისთავს თავისი უკეთური საქმე მოეთავებინა და ჩოხის კალთით სისხლიან ხმალს წმენდდა.

მალე დარჩო ტაბაღოვიც გამოჩნდა

ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ჯალათმა პაატა ბატონიშვილის დასჯას თავი აარიდა.

რატომ?

სული არ დაიმძიმა?

მაგრამ იგი ხომ ციხის ჯალათი იყო.

უცნაურ გულჩვილობას ზოგჯერ ჯალათნიც იჩენენ.

რაკი მთავარი დამნაშავე დასჯილი იყო, დარჩო ტაბაღოვს „წვრილწვრილ“ დამნაშავეთა მიმართ „უწყინარი“ სასჯელის მიგება არ გაჭირვებია.

„გლახა ციციშვილს ენა მოაჭრეს, დიასამიძეს ცალი თვალი დათხარეს და მარჯვენა ხელზე ცერა თითი მოჰკვეთეს, სახლთუხუცესი დიმიტრი ამილახვარი საჯაროდ შეარცხვინეს (ვირზე შესმული ჩამოატარეს), ხოლო მის ძეს – ალექსანდრეს ცხვირი მოჰკვეთეს და ფეხის ძარღვები გადაუჭრეს, ელიზბარ თაქთაქიშვილის ვაჟს – ხელი მოჰკვეთეს და თვალები დათხარეს...“ (ისტორიკოსი ნიკო ჯავახიშვილი).

ერეკლე მეფეს როცა მოახსენეს, შეწყალება არ შედგა, პაატას ცოცხალს ვერ მივუსწარით, სასჯელი ჯალათ ტაბაღოვის ნაცვლად წინამასწარა გიორგი რევაზის ძე ერისთავმა აღასრულაო, მეფემ თავი ჩაჰკიდა და ტუჩზე იკბინა. წამოდგა, ბარბაცით შევიდა თავის სამყოფლოში და მეორე დღეს გარეთ არ გამოსულა. წახემსებაზეც კი უარი თქვა. ქსნის საერისთავო საერთოდ გააუქმა და თავის შვილებს დაუნაწილა.

გულმავიწყი მკითხველისათვის გავიმეორებ: ეს მოხდა 1765 წლის 15 დეკემბერს.

გეორგიევსკის ტრაქტატამდე 17 წელი, ხოლო აღამაჰმადხანის შემოსევამდე მთელი 30 წელი რჩებოდა.

მე მგონი, ისტორიამ დაამტკიცა, რომ პაატა ბატონიშვილი მართალი იყო.

ბატონო სტუდენტებო

საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდანვე მეფობა გაუქმდა.

ოკუპირებულ ქვეყანაში ერთმანეთს ცვლიდნენ მეფისნაცვლები. ზოგი მათგანი აშკარა მტერი იყო, ზოგიც – გაიძვერა მოყვარე.

წერდნენ გულუბრყვილო ისტორიკოსები, ქართველები რუსის სამსახურში ჩადგნენ და ქედზე უღელი დაიდგესო.

არ დაიჯეროთ.

ქართველი მონობას არასოდეს შეგუებია.

დღეს სწორედ შეუგუებლობაზე, დაუმორჩილებლობაზე მოგიყვებით:

***

1837 წლის 23 სექტემბერს სამეგრელოს მთავრის, ლევან დადიანის რეზიდენციას ოთხი ცხენოსანი მიადგა.

ზუგდიდს ღრმა ძილით ეძინა.

აღმოსავლური სტილით ნაგებ, კოწოლებიან სასახლეს მთვარის ვერცხლისფერი ათინათი მოჰფენოდა.

– ღამე მშვიდობისა, ბატონი ლევანის სტუმრები ვართ. ჭიშკართან ახლოს მისწია ჩოხოსანმა ცხენი და თითქმის ყურში ჩაულაპარაკა კარის მცველს.

კარისკაცმა უკან დაიწია, ე, მანდ ფარსაგი რამ არ იყოსო.

ცხენები ოფლისა და ორთქლის ოხშივარს აყენებდნენ ირგლივ, ფრუტუნებდნენ და ლაგმიან თავდრუნჩს მიდამო აქანავებდნენ. ცხენებს ნაბდები უნაგირის ბოლოზე ჰქონდათ დაკრული.

– სძინავს, ბატონო.

– გააღვიძეთ და უთხარით, თბილისიდან თავადი ზორბა მაღალაშვილი გეახლათთქო.

– ახლავე ბატონო.

დარაჯმა ალაყაფის ურდული, ყოველი შემთხვევისთვის, გადასწია და კიბე აირბინა.

ხუთიოდე წუთში სასახლეში ალაგალაგ სინათლე დაჩნდა.

ბიჭებმა სტუმრებს ცხენები ჩამოართვეს და წინკარში შეიპატიჟეს, ზორბა მაღალაშვილს კი მასპინძელი კიბეზე შეეგება.

...ნავახშმევს თბილისელი სტუმარი და სამეგრელოს მთავარი სასაუბროდ დასხდნენ.

– გილოცავთ, თავადო, ჩვენი მფარველი იმპერატორი პირველ ვიზიტად თქვენს კიბეებს ამოივლის.

– დიდი პატივია, შენ ნუ მომიკვდები.

ორივეს ჩაეცინა.

– ოცდაშვიდ სექტემბერს ყულევში ხვდებით, ხომ?

– როზენი დახვდება. მე დამხვედრთა საპატიო სიაში არ აღმოვჩნდი.

– ?!

– ამას რა მიხვედრა უნდა, ბარონი კორპუსის სარდალია და იმპერატორს იმ ცნობებს მიაწვდის, რასაც ჩემი თანდასწრებით ვერ ეტყოდა.

– არ გენდობიან?

– ერთი ქართველი მითხარი, ვისაც ენდობიან.

– ეგ ცუდი არ არის. მამა უცხონდათ, სინით მივართმევთ ჩვენს სიყვარულს კრწანისის მერე, სამეფო ტახტის და ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების მერე...

– რაღა შორს მიდიხარ, ოცდათორმეტის მერე... შეთქმულთა ერთი ნაწილი ახლაც გადასახლებაში იტანჯება.

– ბედდამწვარი სოლომონ დოდაშვილის ამბავს, ალბათ, გაიგებდი.

– აბა, აბა... რას ამბობენ დედაქალაქში?

– რას და მოკვლაზე კატეგორიული უარია. საქართველოს წაღმაუკუღმა დატკეპნიანო, მაგრამ გამწარებით კი უნდა გავამწაროთო. ისე უნდა მოვუქციოთ საქმე, საქართველოში მეორედ ჩამოსვლის სურვილი აღარ გაუჩნდესო...

ორი კვირა დაჰყო ნიკოლოზ პირველმა საქართველოში.

ამ ორი კვირის განმავლობაში ოთხი ისეთი ამბავი შეემთხვა, რომ 16 ოქტომბერს პეტერბურგში ჩასულმა გრაფ აქსელბურგის შეკითხვას – ხომ კმაყოფილი ხართ, თქვენო იმპერატორობით უდიდებულესობავ, სამხრეთში მოგზაურობითო, ზიზღით უპასუხა: ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ გადავრჩი. ველურ ბუნებაზე უფრო ველური თურმე ქართველები გახლავან, მოწყალეო ხელმწიფევ. მსგავს სისულელეს ჩემს სიცოცხლეში აღარ ჩავიდენ.

შემთხვევა პირველი

– როგორ მიდის თქვენი სამსახური? – ჰკითხა ბარონ როზენს იმპერატორმა, როცა სალამქალამისა და ჩაის სმის შემდეგ ეტლში ჩასხდნენ და ზუგდიდისკენ გაეშურნენ.

– ვემსახურები იმპერიას, – თავი ასწია ბარონმა.

– როგორი განრიგი გაქვთ?

– ამაღამ სამეგრელოს მთავარი გიმასპინძლებთ, ღამეს იქვე, ზუგდიდში გაათევთ. ხვალ ქუთაისს ეწვევით, ზეგ...

– სომხეთის მხარესთან ხომ შეთანხმდით? – სიტყვა გააწყვეტინა იმპერატორმა.

– რასაკვირველია, თქვენი ვიზიტის ყოველი საათი გაწერილია.

– ხალხი დაშოშმინდა?

– მეტნაკლებად.

– კიდევ ცოტა ხანიც და მოჯდებიან თავის ადგილზე. მაგათ ჯერ კიდევ ბოლომდე არ იციან რუსული მათრახის ძალა.

სამეფო ამალა ოთხი ეტლისა და თერთმეტი ცხენოსნისაგან შედგებოდა. ექვსცხენიანი ეტლები მთვარის შუქზე მიწკარუნებდნენ. კოფოზე იქეთაქეთ ფანრები ენთოთ.

ჭაქვინჯის გადასახვევთან თავყაბალახიანი, ნაბდოსანი ცხენოსნები იდგნენ გზის გარდიგარდმო.

– რა ხდება? – გაიკვირვა იმპერატორმა.

წამში მხედრები ჩამოქვეითდნენ, ყაბალახები იშვლიპეს და პირველივე ეტლს გარსშემოეწყვნენ.

– ნაბიჯი არ გადმოდგათ, თორემ გესვრით!

ბარონმა მკაცრად გააფრთხილა დამხვდურნი.

დაცვამ დამბაჩები შემართა.

– საიდუმლო ჟანდარმერიის ხალხი ვართ, ბატონო, მივესალმებით იმპერატორს, ნაბრძანები გვაქვს, მოკლე გზით მიგიყვანოთ ზუგდიდამდე. ეს საგანგებო ღონისძიება ჩვენმა უფროსობამ ერთი საათის წინ შეიმუშავა. ჩვენ წინ გაგიძღვებით.

ამალა დაიძრა.

რაც უფრო წინ მიიწევდნენ, მით უფრო უასკეცდებოდა ეჭვი ბარონ როზენს, მახე არავინ დაგვიგოსო და უკან მიმყოლნი გააფრთხილა, ჩახმახზე გეჭიროთო დამბაჩები.

ასე სამიოდე საათის მგზავრობის შემდეგ მეგზურნი შემობრუნდნენ და ბარონს აცნობეს: ზუგდიდამდე ორიოდე ვერსი დარჩა, ხელმარცხნივ იარეთ, ჩვენ დაგემშვიდობებით, ნაბრძანები გვაქვს, ყაზარმაში დავბრუნდეთო.

ცხენებს დეზი ჰკრეს და ტყეს შეერივნენ.

დარჩა იმპერატორის ამალა შუაგულ ტყეში.

გზის ბოლო მზვერავი რომ დაბრუნდა და განაცხადა, ახლომახლო არა თუ ზუგდიდი, მწყემსის კარავიც არსად ჩანსო, მაშინღა მიხვდა ბარონი როზენი, რომ მოატყუეს.

– რას ჰგავს ეს, კორპუსის სარდალო?!

იმპერატორს დაღლილი, გაწამებული ხმა ჰქონდა.

„უსათუოდ მომხსნის!“ რეკავდა ბარონ როზენის ყურებში.

შემთხვევა მეორე

ქუთაისში აღარ დარჩა ღამის გასათევად იმპერატორი. განრიგი მოულოდნელად შეცვალა და ახალქალაქში გაემგზავრა. იქედან სომხეთში გადავიდა, ერევნიდან კი 7 ოქტომბერს თბილისისკენ აიღო გეზი.

ერევანში საჩუქრებით აავსეს და გუნება თანდათან გამოუკეთდა, მაგრამ ყულევთან მომხდარი მარცხი ძაღლის ნაკბენივით ახსოვდა.

– ყველაზე ტკბილი ლუკმა – თბილისი, ბოლოსთვის შემოვინახეო, ეუბნებოდა გრაფ ორლოვს. – თბილისი, რაც არ უნდა იყოს, ევროპული ქალაქია და ერთი სული მაქვს, სანამ ამ მტვერჭუჭყისგან გოგირდის აბანოებში განვიბანებოდეთო.

ბარონი როზენი იმპერატორის ნებართვით დაწინაურდა; ერთი დღით ადრე ჩავალ თბილისში და უმაღლესი დონის შეხვედრისთვის ქალაქს მოვამზადებო.

იმპერატორმა ღამე თბილისთან ახლოს, სოფელ კოდაში გაათია.

თბილისამდე სულ რაღაც ოცდახუთიოდე ვერსი რჩებოდა.

დილით ადრე ამალა თბილისისაკენ დაეშვა, იმ ვარაუდით, რომ გზას ერთ საათში გაივლიდნენ, საუზმე ისნის სასახლეში, ხოლო სადილი ორთაჭალის ბაღებში იყო დანიშნული.

დაღლილ, შთაბეჭდილებებით განაწამებ იმპერატორს სულ რაღაც თხუთმეტიოდე წუთით ჩაეძინა და რაკი ეტლი აღარ ჯაყჯაყებდა, ეგონა უკვე თბილისში ჩამოვედითო. მუნდირის ღილი შეიკრა და კივერი დაიხურა. ეტლის საეჭვო რწევამ მარჯვნივ გაახედა და ელდა ეცა: ცხენებიანად ტალახში ჩაფლულ სამეფო ეტლს პოლიცმეისტერდრაგუნებიანად ყველანი ამაოდ აწვებოდნენ.

– აქ როგორ აღმოვჩნდით?! – იკითხა იმპერატორმა.

– ეტლი გაუვალ ლაფში ჩავარდა, თქვენო იმპერატორობით უმაღლესობავ, – უპასუხა ერთ-ერთმა მიმწოლმა, რომელსაც მუნდირის ბოლოები ტალახზე ლოტოსის ფოთლებივით გადაეფინა.

– კი მაგრამ, ირგვლივ გზაზე ტალახი არსად ჩანს და ეს ლამიანი ხრამი სად მოძებნა ამ ოჯახქორმა!?

იმპერატორს სასოწარკვეთილი ხმა ჰქონდა.

მზე კარგა ხნის ჩასული იყო შავნაბადას გაღმა, როცა საიმპერატორო ეკიპაჟი თბილისში ჩავიდა.

ორთაჭალის ბაღებში გაშლილ სუფრასთან სტუმრებს, მიმტანებს და მზარეულებს ხელისგულებზე ეძინათ. ვიღას ჰქონდა ჭამის და ქეიფის თავი.

– არ შეჩერდე, პირდაპირ გოგირდის აბანოებისკენ! – უბრძანა ნიკოლოზ პირველმა მეეტლეს.

შემთხვევა მესამე

9 ოქტომბერს იმპერატორი და მისი ამალა საქართველოს ეგზარქოსმა, არქიეპისკოპოსმა ევგენიმ სიონის საკათედრო ტაძარში მიიწვია.

შეხვედრა სამ საათზე იყო დანიშნული.

თბილისის სამხედრო გუბერნატორი ბრაიკო 12 საათზე ეწვია ეგზარქოსს და კიდევ ერთხელ შეათანხმა მასთან იმპერატორის ვიზიტის ყოველი დეტალი.

თვით ეგზარქოსი და სამღვდელოების მთელი უმაღლესი კრებული ტაძრის მთავარ შესასვლელთან დახვდებოდნენ უმაღლეს სტუმარს, არქიეპისკოპოსი ევგენი ლოცვას აღავლენდა იმის გამო, რომ ღვთის ნებით, თვით ნიკოლოზ პირველი მობრძანდა სიონის ტაძარში და ამით გააბედნიერა ქართველი ერი. მერე მგალობელთა გუნდი იგალობებდა „სლავა ცარია ნაშემუს“ და ყველანი ერთად შევიდოდნენ ტაძარში, სადაც არქიეპისკოპოსი მეფისა და რუსეთისათვის თავდადებულთა პარაკლისს გადაიხდიდა.

ზუსტად სამ საათზე საიმპერატორო პროცესია მიადგა სიონის ტაძარს, მაგრამ შესასვლელთან არც მეუფე ევგენი ჩანდა და არც მგალობელთა გუნდი.

შეცბუნებული იმპერატორი ეტლიდან ჩამოხტა, კიბე ჩაირბინა და ტაძრის კარებს მიაწვა, მერე ხელჯოხით რამდენჯერმე დააკაკუნა, მაგრამ კარი არავინ გაუღო.

– ჩტო ზა ბეზაბრაზიე?! – მრისხანედ შეხედა ხელმწიფემ მის უკან მდგომ ბარონ როზენს, სამხედრო გუბერნატორ ბრაიკოს და თბილისის სამოქალაქო გუბერნატორ ფალავანდოვს.

– პანიატიე ნე იმეუ, – მხრები აიჩეჩა როზენმა.

ფრჩხილებიანად შეშინებული სამეული გამოტრიალდა და სიონის ტაძრის უკანა მხრიდან პატარა კარში შეცვივდა.

გვერდით სენაკში მეკელაპტრე ბერი თვლემდა.

– სად არის ეგზარქოსი?!

სამივემ ერთად შეჰყვირა.

ბერი წამოხტა და კანკალი აუვარდა.

– აქ არ არის...

ამასობაში ტაძრის ვიწრო კარიდან თვით იმპერატორი და მისი თანმხლები პირნი შევიდნენ ტაძარში.

– სად არის ეგზარქოსი?! – ახლა უკვე ხმის მოგუდვით ცდილობდა ბარონი როზენი წყენის დაოკებას.

– ამ დროს, ტრაპეზის შემდეგ ყოველთვის ისვენებს ხოლმე, ახლა ეგზარქოს ევგენის თავის სამყოფლოში სძინავს... ახლა მისი გაღვიძების უფლება არავისა აქვს, – ლუღლუღებდა ბერი და ცოტაღა აკლდა, რომ ატირებულიყო.

ზურგზეხელებდაწყობილმა იმპერატორმა საკურთხევლის წინ გაიარგამოიარა, შეჩერდა, უცებ შემოტრიალდა:

– და ნუ ვას ვსეხ! – ჩაილაპარაკა და გასასვლელისკენ ჩქარი ნაბიჯით გაემართა.

მეორე დღეს იმპერატორმა გუბერნიის სამხედრო და სამოქალაქო ხელმძღვანელობის შეკრება ბრძანა.

ერევნის მოედანზე სამასამდე კაცი მოგროვდა. ჩინოვნიკების გარდა იყვნენ ვაჭრები და გიმნაზისტები.

იმპერატორმა გამოსათხოვარი სიტყვით მიმართა საქართველოს საერთოდ და კერძოდ თბილისს.

მეო, საშუალება მქონდა ამ ორი კვირის განმავლობაში დავრწმუნებულიყავი, რა სიკეთე უყო დედარუსეთმა სამხრეთ კავკასიასო. ჯერ კიდევ ბევრი გაკლიათ რუსულ შეგნებაგანათლებამდე, მაგრამ ყველაფერი კარგად იქნებაო.

სამადლობელი ერთი სიტყვაც არ უთქვამს.

ბოლოს, პატარა ორგანიზაციული გადაწყვეტილება უნდა გამოგიცხადოთ, მე, როგორც თქვენმა მფარველმა იმპერატორმაო.

„ვბრძანებ, კარაბინერთა პოლკის მეთაურობიდან გათავისუფლდეს პოლკოვნიკი ალექსანდრე დადიანი (ბარონ როზენის სიძე), ახლავე ჩამოეხსნას ექსელბანტები და სამი წლით მიესაჯოს პატიმრობა ბობრუისკის ციხეში მოხდით“.

„გადავრჩი“ – გაიფიქრა როზენმა, მაგრამ იმპერატორი ამით არ ამთავრებდა: „ვბრძანებ, როგორც თანამდებობისთვის შეუფერებელი, მოიხსნას კორპუსის სარდალი ბარონი გრიგორი როზენი და მის ადგილას დაინიშნოს გენერალი ევგენი გოლოვინი!“

ეს უკვე ღვთის რისხვაზე მეტი იყო.

ბარონი როზენი ასეთ მკაცრ განაჩენს არ ელოდა.

მან იქვე ჩააბარა გოლოვინს კორპუსის სარდლის ბეჭედი და ისე გაბრაზდა, რომ საღამოს იმპერატორის გამოსათხოვარ ვახშამზე არ გამოჩენილა.

შემთხვევა მეოთხე

12 ოქტომბერს იმპერატორ ნიკოლოზ პირველის ამალა სახელმწიფო კანცელარიის სასტუმროდან გავიდა.

მხსნელ, „ბატკა იმპერატორს“, „მამას და მარჩენალს“ თბილისელები აივნიდან ყვავილებს ესროდნენ და გულისამაჩუყებელი შეძახილებით ეფერებოდნენ.

პროცესია სოფელ ვერეს გავლით მცხეთაში უნდა ჩასულიყო, იქ კიდევ ერთ გამოსათხოვარ მეჯლისს გაუმართავდნენ ხელმწიფეს და ამალა საქართველოს სამხედრო გზის გავლით ვლადიკავკაზის გზას გაუდგებოდა.

მდინარე ვერესთან სანამ ჩაივაკებდნენ, იმპერატორის ეტლმა (მცხეთამდე ეტლი ქართველ მეეტლეს უნდა წაეყვანა, ასეთი იყო შეთანხმება) მკვეთრ მოსახვევთან წონასწორობა დაკარგა. როგორც ჩანს, მეეტლე დიდი სიჩქარით შევიდა მოსახვევში და როცა აღვირი მოღრიჯა, უკვე გვიან იყო, ცხენები ველარ დაიმორჩილა. ეტლი აყირავდა, რკინის სადგარზე გადატყდა და მდინარეში გადაეშვა.

იმპერატორმა მისდაიღბლად თუ ჩვენდაიღბლად, გადახტომა მოასწრო და უვნებლად გადარჩა.

ასეთი გახლდათ ოფიციალური ვერსია, რაც ნიკოლოზ პირველის პირადმა მწერალმა – გრაფმა ადლერბერგმა იმპერიის მთავარ პროკურორს აახლა.

სინამდვილეში კი რაც მოხდა, ჩემი ჭკვიანი მკითხველი ადვილად მიხვდება.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

რეზო ადამია



სულხან-საბა ორბელიანი და ბედი ქართლისა

გაბოროტებული, უსულგულო ქვეყნების და ყოველთა მოძულეთა-გან ჭირშეყრილ მეჩვიდმეტე -მეთვრამეტე საუკუნეებში უკიდურესად უჭირდა საქართველოს. უსასრულო სამყაროს პატრონს კი, წმიდად მარ-თალი ქვეყნისთვის უნდა მიეხედა, მაგრამ: რადგანაც საშავდღეო შხამ-მგზავნელი ვარსკვლავისაგან, ბოროტებით გადავსებული დამპყრობელი ქვეყნები წამებული ერის ჯიშ-ფესვიანად ამოძირკვით და ფიზიკურად შთანთქმით მიზნობრივად იერიშობდნენ, იმავდროს, კეთილსაპირისპი-როდ, უფრო ძლიერი აღმოჩნდა, კოსმოსიდან ის დადებითი სხივნათება კეთილთვისებიანი ძალა ვარსკვლავიდან რომ იგზავნებოდა და უდრეკ იბერიელთა ღვთისშვილებს გმირული შემართება-გამძლეობა-ამტანიანო-ბით აღავსებდა. ბრძოლა ქვეყნისა და ერის გადარჩენისათვის თავდაუ-ზოგავად მიმდინარეობდა. სამხრეთიდან მოვარდნილი მომაკვდინებელი ტალღა კი, გამუდმებით უტევდა მტრისგან ისედაც გაპარტახებულსა და დაქცეულ ქვეყანას. სისხლისმსმელთა და გონება-ბნელ მტარვალთა გა-ცოფებულ სხეულზე ბალღამმოდებულ ძარღვებამოყრილ ბინძურ ენერგიას ვერავითარი ღვთიური ლოცვა-კურთხევა ვერ აკავებდა. პატარა ერების ჯვარმცმელთა ჯოჯოხეთური ქარბორბალა ისევ და კვლავ დედაფუძიანად ყველაფერს ანგრევდა და საოცრება კოსმოსური კავშირის მითოსურ ქალაქ მცხეთასთან ერთად უფსკრულისკენ მიაქანებდა. იბერიულ-კოლხთა ნაკუწ-ნაკუწებად დაჩეხილი უხა-ნო ჟამი კი, უკუნეთით საძირკვლამდე ჩაბნელდა...

სამყაროს ვარსკვლავთა განლაგება-გადაადგილებებს და შორეულ მათ იდუმალებებს სასწაუ-ლებრივად ხედავდნენ, გრძნობდნენ, შინაგანად აღიქვამდნენ, უძველესი ზეციური წარმოსახვითი ხილ-ვები, აზრ-ფორმა ხაზები ეგზავნებოდათ ინდიელებს, კერძოდ, მაიას ხალხს, აცტეკებს და შორეულ ატლანტიდელებს, რის შედეგადაც შეიქმნა მარადიული თუ ათასწლოვანი, თანამედროვეთათვის მეც-ნიერულად ძნელად მისაწვდომი კოსმოსური საიდუმლოებებით სავსე ურთულესი თვითმყოფადი და ყველასგან განსხვავებული ცივილიზაცია. იბერიულ-კოლხური უიშვიათესი მოვლენა სულხან-საბა ორ-ბელიანი, უცილოდ ინდიელთა და ატლანტიდელების დონეზე გრძნობდა და განიცდიდა ყოველივეს, რითაც უშუალოდ სტუმრობდა გარემოს ზეციური სივრცის სიღრმეებში და თვითმყოფადი, უფრო ეროვნულ-მეცნიერული იდუმალ-ნიუანსური ხელოვნების სიბრძნით წვდებოდა, ამრიგად სამუდამოდ ამდიდრებდა საქართველოს ისტორიული, მეცნიერული და ლიტერატურული საგანძურის ბედ-იღ-ბალს. დიდმა სწავლულმა გენიალური ალღოთი ქართულ ენას საოცრება ფიდიასის მსგავსად დაუდგა მტკიცე გრანიტის მზესთან შემხვედრი ქანდაკება, რომლითაც მსოფლიოს წამყვან ერთა უნიკალურ ენებს გვერდით, სამუდამოდ დაუმკვიდრა ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი.

რაც გინდ ზეციური მოვლენა იყოს ნებისმიერი ნიჭისა და მოწოდების გენია, ღვთიურ-რელიგიუ-რი, რწმენა-სწავლება, სრულიად დადებით კეთილსმყოფელად მოქმედებს და შემოქმედებით მომავ-ლის გზას ფართოდ უნათებს. მგონი არ ვცდები და სულხან-საბა ორბელიანი, დავით-გარეჯის მონას-ტრის წმიდათა-წმიდა სავანემ უზარმაზარ თავისუფალ მეცნიერ-მოაზროვნე და დიდ ხელოვნად ჩა-მოყალიბებაში უფრო ზეციურად შეუწყო ხელი. თუმცა ნებისმიერ რჩეულ ადამიანში გადმოსული გე-ნია, როგორც თავადვე, ასევე ყველაფერს და ყოველივეს კოსმიურად ფლობს. სულნათელი ბერი საბა, გარეჯის მონასტერში მოღვაწეობის პერიოდში საღვთო კანონით დადგენილი დღე-ღამის ლოცვებისა და სამეურნეო სამსახურის აუცილებელ საქმეებს რომ მოისტუმრებდა, როგორც საეკლესიო, ასევე საერო წიგნების კითხვით და მთარგმნელობითი სამუშაოებით იყო დაკავებული, შუალედებში კი სხვა-დასხვა მნიშვნელოვან ჩანაწერებს აწარმოებდა. ხშირად ცამოწმენდილ ვარსკვლავიან ღამეებს მთის ბორცვზე საგანგებოდ წამომჯდარი პლანეტების ულამაზეს მოძრაობა-გადაადგილებებს საათობით აკვირდებოდა და მხოლოდ შინაგანი ურთულესი ფიქრებით მსჯელობდა. ზოგჯერ ჩაყვითლებულ ქა-ღალდზე ვარსკვლავთა განლაგებებისა და მრავალფეროვან გამოსახულებათა აუცილებელ ასტრონო-მიულ ნახაზებსაც აფიქსირებდა. ღვთივ განწყობილება ოცნება შეუდარებელი ფრესკებით გაცოცხლე-ბული სალოცავი სენაკებიდან მოთვალთვალე მშვიდ ბერებს კეთილი საბას ამგვარი საქმიანობები თითქოსდა უკვირდათ, მაგრამ ხელს არ უშლიდნენ და არც უკრძალავდნენ.

როდესაც ჩვეულებრივი ადამიანი სამშობლოსათვის თავდადებით იღვწის, მისი ნებისმიერი მხედრული თუ გარემო ეროვნული საქმიანობა გონებრივად თუ სულიერად ყველასათვის მისაწვდომი და უახლოესია. ხოლო ზეციური, ერის მოვლენა, სრულიად განსხვავებული პიროვნება, ბრძნული გა-

აზრებებითა და უიშვიათესი წარმოსახვებით, იდუმალ-უხილაობაში გადის, თანმიმდევრულად მეცნიერების, ხელოვნებისა და მტრისგან აოხრებული ქვეყნის საერთაშორისო დიპლომატიის წარმოუდგენელ მართალ იდეურ სიახლეებსაც სახავს: უჭეშმარიტესი მისი შემოქმედება და მოღვაწეობა კი მხოლოდ ერთეულებისთვისაა მისაწვდომი. ხშირად მარტოხელა ბრძენ მოგვად მოარულ სულხან-საბა ორბელიანის თანამემამულეთაგან მხოლოდ მეფეს და სამეფო კარის დიდებულთ გაეგებოდათ, ზოგიერთთა გამოკლებით. სამწუხაროდ, იბერია-კოლხეთის ერთ-ერთ მზემაღალ მოამაგეს იმ პერიოდში ბოლომდე ღრმად ჩაუხედავმა და დაბნეულმა ეკლესიამაც ვერ გაუგო. თითქმის განდეგილს, ზეზნეობრივი სინანულითა და უფლისმიერი თანადგომით მეფის დონეზე თანაუგრძნობდნენ მხოლოდ მოწინავე ხელოვანნი, მეცნიერნი, ფილოსოფოსნი და გაკვირვებულთ ვერ წარმოედგინათ ერის უიშვიათესი გენიისა და მოციქულთა სწორის აგრე განწირვა.

შთამომავლობათა უწყვეტ დარდ-ფიქრად როგორი დამაღონებელი და უცნაური ბედი აქვს ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს. დაუსრულებელ უბედურებასთან ერთად, თავის რჩეულ გენიათ, ღვთივკურთხეულ სამარხებს მზისქვეშეთში პატივით რომ არ ასახლებენ და მიწისაგან პირისა უკვალოდ ქრება, რაშიც არაუფლისმიერი ქმედებებია, რათა მხოლოდ უცხო და გაურკვეველი ბნელეთია ჩაფლული. ამდაგვარი გარემოება ხომ ყოვლად უკადრისი, ჩვენივე ეროვნული დაუდევრობაცაა. ხშირად ურთიერთმტრობის გაუტანლობისა და შურის შედეგიც.

სამშობლო – საკუთარ ოჯახწართმეულს და ქვეყნიდან გასულ ღვთისნიერ მამა საბას, უკვე მოახლოებულ სიკვდილზე ცუდ აზრებს, მეცნიერებასა და ხელოვნებაზე ფიქრი, და შრომა ავიწყებდა, რათა მაგდაგვარი ზეადამიანური პროცესი, მარადიულობასთან გახლავთ იდუმალ სივრცესთან უშუალო შეხებები. საზარელი და უსახო სიკვდილი მზაკვრულად ყველასთანაა ჩასაფრებული და ნებისმიერს შავ ჩრდილად დასდევს, უთუოდ მას განსაკუთრებით უნდა ვუფრთხილდეთ და მოვერიდოთ. მერმე ქვეყნიერების უსაშინლესი ძალა ჯიუტად, მაინც მოვიდა მტანჯველი და უმძიმესი ცხოვრებისგან დაუძლურებულ სულხან-საბასთან და სულით, სამყაროს სივრცის, წარმოდგენისთვისაც მიუწვდომელი, სრულიად სხვა შუქ-სხივთა ვარსკვლავეთურმა გზა გააგრძელებინა და კაცთათვის იდუმალ ყოველთა პირვანდელობასთან დააბრუნა.

ათასეული წლების და უსასრულობის სივრცობრივმა მეხსიერებამ ნათლად შემოინახა მსოფლიოს ხალხთა ისტორიის საბედნიერო და უჟამო დავიწყებამ ვერ მიიყოლია ქვეყნიერების საოცრება „ოქროს საწმისი“. შორეული საუკუნეების მისტერიების კოლხეთი, პლანეტის საკვირველი ის ფენომენია, რომელსაც გენიალური ჰეგელი ასე გვიხასიათებს: „კოლხეთის უძველესი მიწიდან იწყება კაცობრიობის პროგრესი“, და მაინც ძარცვავდნენ და აპარტახებდნენ ამ ლეგენდარულ ქვეყანას. მერმე მოაწია ქვესკნელისფერმა დრომ და მაღალი ფენის წარმომადგენელმა მებრძოლმა ბერძენმა იაზონმა, პლანეტაზე არნახული, ღვთიური სილამაზე, ბუნებით იდუმალფონიანი ნიჭი კოსმოსური წარუშლელი სიმდიდრე, ანტიკური ხანის გენიალური დასტაქარ-მკურნალი, ღვთიური აიეტ მეფის ასული და ქვეყნიერების საოცრება ცივილიზაცია, „ოქროს საწმისი“, მუხანათურ-უკადნიერ-ვერაგულად მიიტაცა და თავის ქვეყანას მიუბრძანა. გაივლის მრავალი ათასი წელი და ჩრდილოეთის დამპყრობელი ქვეყნელი, თანამედროვე იაზონი, ძალმომრეობიდან გამომდინარე მიისაკუთრებს ისევ იბერიულ-კოლხურ მშვენიერებას, უკეთილშობილეს და სათნოებით შემკულ სილამაზეს, პირმშვენიერ, ნინო ჭავჭავაძეს და ასე ჩაკლა მან უცნობი ქართველი რაინდის გამორჩეული სიყვარული. ჩაწყვიტა ერის ციკლურ-კანონიკური გამრავლება და დაირღვა უძველესი უნიკალური გენის საიდუმლო, რითაც შეირხა წარსულის, აწმყოსა და მომავლის სულიერი ქსოვილი. ქართველების თვინიერ მოძალადე, თავნება რომანტიკოსი კი, წმიდანის დონეზე წამოვწიეთ და უდროოდ გარდაცვლილის ცხედარი მთაწმინდის მიწას მაღალადამიანური და ზეციური ნათებით მივაბარეთ. ხოლო ყოველ მართლმადიდებელთა თუ მსოფლიოს ნებისმიერი რელიგიურ აღმსარებელთა სინანულად, ჩვენი წმიდა მადლმოსილებითი ცხედრები თავის დროზე მოსკოვის ქრისტიანული ტაძრის ეზოში რომ დაკრძალეს. მერმე მწარედ არ დაახანეს, დაბინდული დრო და, თითქმის გამიწიერებული წმიდა ძვლები, ვითომდა კულტურულმა აღმოსავლეთევროპელმა ხალხმა, იქაურობის გათხრა-ამოთხრის შემდეგ, ველურად მონასტრის ეზოში ერთ ადგილას დაყარეს უხეშ მეეზოვეთა სათრევად. ამჟამადაც იქუხა ქართველთა თავზე ბოროტების დაუნდობელმა მეხმა. ჩავიხედოთ ისევ წარსულში და მანამდე წლების წინ სამშობლოში, ქრისტიანთა სათაყვანებელი წმიდა სალოცავის, სამყაროსმიერი სვეტიცხოვლის ეზოში, უკიდურესად შეურაცხყვეს და სამუდამოდ გული ატკინეს ერთ-ერთ სხივოსან, უნიჭიერეს წმიდა ბერს, საბა-სულხან ორბელიანს.

როგორც მოგახსენეთ, იმ ავად სახსენებელ დროს, ღმერთივით მართალი ბერის დასჯა-გაკიცხვა, სამარცხვინო ქართული ჯვარცმაა უაზრო და ფნატიკოსი თანამემემულეების მიერ: რატომ დაუშვი მიუტევებელი შეცდომა, მებრძოლო ჭეშმარიტებავ? და რითი ვერ შეაღწიე მათ შეგნებაში?!

უძველესი კულტურისა და ცივილიზაციის ქვეყნის ღვთივკურთხეული მეფის ოფიციალური წარმომადგენელი ბრძენ ელჩად ეწვია რუსეთს, იტალია-საფრანგეთს, რათა სისხლისმსმელ დამპყრობთა-

გან აწიოკებულსა და ჯვარცმულ ქვეყანას როგორმე საშველი დასდგომოდა, მაგრამ სამხრეთული საშინელი მოუშორებელი ჭირი, თურმე მთელ კონტინენტს მოსდებოდა, ჟამიანი ქოლერის ფერ-ფერფლით და ცენტრალურ ევროპასა და ორ ბარბაროს ქვეყანას შორის დიპლომატიური უღვთო შეთანხმება ურყევი აღმოჩნდა. ამითი ქრისტიანული და მუსულმანური სარწმუნოებათა მაღალი რელიგიური ჭეშმარიტება სისხლისმხმელთაგან არაფრად იქნა მიჩნეული, ამდაგვარი უზარმაზარი აღმსარებლობათა კანონების საზარელ უარყოფასაც შეეწირა სულხან-საბა ორბელიანი და მისი მაცხოვარივით უდანაშაულო სამშობლო.

ლეგენდარულ სულხან-საბას შორეულ მოსკოვში, თავისი ქვეყნიდან კაცთმოძულე სელჯუკებისგან განრიდებულს, უმძიმეს ლტოლვილობაში მოუწია ცხოვრება, წარმოუდგენელ სევდიან და ტანჯვის მომგვრელ სამშობლოზე მოგონებების ჩამძირავ ფიქრებში იყო მუდამჟამს.

საქართველოდან მოსკოვში, დამპყრობთაგან გაწამებული რამდენიმე წარჩნებული ლაზი და ოდიშელნი ჩასულან გაუბედურებული ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე და მეფე ვახტანგის ამალას შეუერთდნენ. სულხან-საბა დიდხანს ესაუბრა მათ; მერმე აფხაზეთის ამბებსაც შეეხნენ, ოსმალებმა სულ არივ-დარიეს და ააოხრეს იქაურობაო, იყო პასუხი. მრავალ ჭირ-ვარამთან ერთად აუტანელი გვალვებიც დაგვატყდა თავსაო. ამ დროს უფრო გაბოროტებული სატანისტები დასიცხული გველივით დაძრწოდნენო, თანაც მოახსენეს, სვანეთშიც ასულა ამაოხრებელი ხროვა, მაგრამ ჩვენი ულამაზესი და ძნელად მისასვლელი მთები ვერ დაუპყრიათო. საქართველოზე მრავალი ავი ამბის მაუწყებელთ ყურადღებით რომ უსმენდაც წმიდა ბერი, გონდაკარგული ცუდად გამხდარა, მერმე, მოკეთებულს, დინჯად უთქვამს: გამაგრდით, ძმანო, და თქვენ აქ ყოველმხრივ მოგხედავენო.

დიდი მეცნიერი, ბრძენი ხელოვანი და წმიდა ბერი როდესაც ფიზიკურად დაუძლურდა და, ამ ქვეყნიდან მიემგზავრებოდა ბოლო ცრემლშემშრალი სიტყვები თვალდახუჭულს ამოუვედრებია; ყოვლად ჩემნო! უმორჩილესად გთხოვთ, დავით-გარეჯის წმიდა მონასტერში დამაბრუნეთო, მაგრამ ზეადამიანური ძალა, მზიური იმედი და ამქვეყნიური კეთილი მოქმედების მომავალიც გამქრალიყო. ამ მასალის წინამდებარე გვერდზე თხრობისას, როგორც გიამბეთ, რუსეთის დედაქალაქ მოსკოვის ეკლესიის ეზოში, ტანჯული დიასპორა მამა საბას მართლმადიდებლურად, ქართლის მეფისა და დიდებულთა გვერდით პატივით დაკრძალავენ. ქრისტიანთათვის სამარცხვინოდ მოვარდნილ დროს უკლებლივ მათ სამარხებს უსულგულონი გადათხრიან და ჩვენს სათაყვანებელ წინაპართა ძვლებს ერთ ადგილას უხეშად დაყრიან. მერმე ეკლესიის ეზოს კუთხეში შიშველ მიწაზე ერთიანად ჩამარხავენ და მშენებელ-საქმოსნები ზედვე ქვითკირით კარტოფილის შესანახ საწყობს ააშენებენ. სად იყვნენ ჩვენი მართლმადიდებლები ან კეთილშობილი ლიბერალი რუსები? სირცხვილი თქვენზე მოგონებას, ერთ დროს მცირედ მორწმუნეებო და სულ-ღვიძლამოთხრილებო! ამ ამაზრზენი სურათის მნახველთ, საინტერესო მისტიკური საოცრების ამსახველი გადმოცემითი ნაამბობი შემოგვრჩა, თურმე უპატრონო ჩვენი მიცვალებულთა ძვლები, ღია ცის ქვეშ რომ ელაგა, მათ შორის ზოგიერთი ნაწილი, ნაკურთხი სანთელივით ანათებდაო...

წმიდა ბერსა და დიდ შემოქმედს ყრმობიდან ნათელი ამაღლებული რწმენითი სისავსით, უმდიდრესი ეკლესიური განსწავლულობის მადლი ებოძა და სათავეებიდანვე უახლოესი მსოფლიო და საერო ლიტერატურის ცოდნას საფუძვლიანად ეზიარა. წინდახედულად სრულყოფილად შეისწავლა რამდენიმე უცხო ენა. მწერლობაში იმჟამინდელ გაფანტულ დაუმუშავებულ ქართული ენის გრამატიკას კი უზომო მონდომებით და გონებრივი მუხლმოდრეკით ეცნობოდა და ყმაწვილობიდანვე აუცილებელ სამომავლო სამუშაოებზე მეცნიერულ კვლევით მინიშნებებსაც აფიქსირებდა. საბედნიეროდ, როგორც სამეფო ოჯახის სისხლით ნათესავს, მზრუნველობითი ცხოვრების თანადგომა ერგო და რაც კი მომავალში, სულხან-საბასგან გენიალური ქმნილება „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, „სიბრძნე სიცრუისა“ და „იგავ-არაკების“ ლიტერატურული განძის მოვლინებაა, ყოველივე დიადური და ღვთივზნეობრივი, ბაგრატოვანთა, მრავალსაუკუნოვან მსოფლიო დონის კულტურა-ცივილიზაციიდან ებოძა. მერმე სიახლე ქმნილებებს, თავისთავადი თანმიმდევრობით; საოცრება ენობრივ წმიდათაწმიდა მეცნიერებას, ასევე უმდიდრეს ლიტერატურულ შემოქმედებას, გენიის მოვლენა-წარმოსახვებით ამდიდრებდა, რითაც დაუღალავი შრომა-მოღვაწეობით პლანეტაზე რამდენიმე რჩეულთაგანი ენის გვერდით დააყენა და ბრძნული სიახლეებით ხორცშესხმული, კლასიკურად დახვეწილი მეტყველების, სიტყვაკაზმული, ხელთუქმნელ მარად მანათობელ, სანთლის ქანდაკად ჩამოქნა.

გარი ჩაფიძე

სიყვარულის ლაბირინთი

სიყვარული

(გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ ჟურნალ „ათინათის“ №28, 29-ში და „ანთოლოგიის“ № 7-ში)

თვითონ თუ რაიმე გაუჭირდებოდა იმისი ვაი—ვიში და გოდება მთელ უბანს ფეხზე აყენებუდა. მეზობლებიც ერიდებოდნენ საჩივრების დიდოსტატის წყენინებას და გვერდით იმ იმედით უდგებოდნენ, იქნებ შვილებს გაემართლებინა ბუნებრივი შეხედულება და კეთილი ადამიანები გამხდარიყვნენ. ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს გააგრძელებდა მინდია ფიქრის ოკეანეში წასულთან ცურაობას, რომ გრძელწამწამა მდივნის მკაცრი ხმა არ გაეგონა:

– გამომძიებელი გიხმობთ! – თქვა მდივანმა და თავის მაგიდასთან სავარძელში ჩაჯდა.

მინდიამ თმა თითებით შეისწორა და წყნარად შეაღო გამომძიებლის ორმაგი კარები.

– შეიძლება?! – ისე წყნარად იკითხა მინდიამ, რომ თავისი ხმა თვითონაც ძლივს გაიგონა.

გამომძიებელი სქელ საქაღალდეს ჩასცქეროდა, ვინ იცის იქნებ მართლაც ვერ შეამჩნია კაბინეტში მინდიას შესვლა და დიდხანს თავი მაღლა არ აუწევია. ერთხანს უკან გამობრუნებაც კი დააპირა მინდიამ, მაგრამ როგორც იქნა თავი ასწია წიკლაურმა და ყოფილი მასწავლებელი სალმის ღირსი გახადა. იგი ფეხზე არ წამომდგარა, ოდნავ შესამჩნევად თავი დააქნია, სკამზე მიუთითა მინდიას „დაბრძანდიო“ და ისევ საქაღალდეს დაუწყო ქექვა.

იროდი წიკლაური ხშირად ხვდებოდა ხოლმე ყოფილ მასწავლებელს, მაგრამ ქუჩაში შეხვედრა, სუფრასთან ტკბილ სადღეგრძელოებში პაექრობა და კაბინეტის ღრმა სავარძელი სულ განსხვავებული ყოფილა ერთი მეორისაგან. ოჰ, რა ტკბილი, თავაზიანი და ღიმილიანი მოსალმება იცოდა ქუჩაში გამომძიებელმა არა, ყველასთან არა, მაგრამ ყოფილ მასწავლებელს კი ეტყობოდა რომ ნაძალადევად აფასებდა. ხორაგით დატვირთულ მაგიდასთანაც ვახტანგურად დაულევია იროდის მინდიას სადღეგრძელო და დიდკაცური საქციელი ვერ შეუნიშნავს ჭაბუკისათვის. მაგრამ ეს რა არის? აქ რა ხდება? ნუთუ ასეთი ჯადო აქვს ტყავგადაკრული კაბინეტის კარებს, რომ იმის შიგნით სხვა არის ადამიანი და კარების მიღმა სხვა?

– გისმენთ! – ჩაესმა ისევ ფიქრებში გადასახლებულ მინდიას.

და ამ ერთი სიტყვის თითქოს შეძახილმა საგრძნობლად შეაკრთო ყოფილი მასწავლებელი, რომელმაც გამომძიებლის წარბქვეშიდან გამოხედვა, ეკლიანი თვალები და მკაცრი, მსუსხავი მზერა შენიშნა. მინდია სულ სხვაგვარ შეხვედრას მოელოდა თავისი აღზრდილისაგან. ასეთმა უყურადღებო და ცივმა მიღებამ შეაცბუნა, დააბნია და მეორედ დააპირა სიტყვის უთქმელად დაეტოვებინა გამომძიებლის კაბინეტი, მაგრამ კიდევ მძიმედ აზიდა თავი გამომძიებელმა, ისევ წარბების ქვეშიდან გამოხედვა მინდიას და თვალით აგრძნობინა – „დაიწყე მოყოლა რაზედაც ხარ მოსული”...

– მე მინდა ივანეს ძე ძიძიგური ვარ! – თითქოს მობოდიშებით დაიწყო მასწავლებელმა.

– გიცნობთ! – მოკლედ მოუჭრა გამომძიებელმა.

– ძლიერ მნიშვნელოვან საქმეზე გავბედე თქვენი შეწუხება.

– გისმენთ! – ისევ გაიმეორა წიკლაურმა და ამჟამად ცოტა მკაცრად. ყოფილი მასწავლებელი აენთო. – „რა მაქვს დასაკარგავი, შესაშინებელი ან მოსარიდებელიო“ – გაიფიქრა, სითამამე და ძალ—ღონე მოიკრიბა და ჯიქურ მიმართა გამომძიებელს.

– ასე შეიძლება უგუნურმაც, მოისმინოს ბრძენის საუბარი, რადგან უგნური იგივე მტერია როგორმე საკუთარი თავისა, ასევე სხვისიც. მე კი გულისყურით მოსმენა მინდა, შენ ჩემი ყოფილი მოსწავლე ხარ და ვიცი რა ბაგაჟითაც საზრდოობ, რომელი ცეზარი შენ მყავხარ, ერთდროულად მომისმინო, სულ სხვა თემაზე წერო, სულ სხვა რაღაც წაიკითხო და სულ სხვა საკითხზე იფიქრო?

ცოტა არ იყოს გამომძიებელს არ მოეწონა მინდიას სითამამე და გაკვირვებულმა მომნუსხველი მზერა მიაპყრო მოსაუბრეს. მაგიდაზე თითები აათამაშა, ცოტა ხანს სიწყნარე ჩამოვარდა, შემდეგ თითქოს რაღაც გაახსენდაო, ფარულ ღილაკს თითი დააჭირა და მდივანი გამოიძახა.

ოჰ, ღმერთო, ეს კაბინეტი მართლაც არაჩვეულებრივი ჯადოსნური სავანე ყოფილა. ამ რამდენიმე წუთის წინ ცივი და მიუკარებელი მდივანი ისეთი მანჭვა—გრეხით და გაბადრული სახით შემოვიდა კაბინეტში, რომ ერთი შეხედვით მინდიამ ვერც კი იცნო.

– ყავა კონიაკით მოართვი სტუმარს! – ისე მკაცრად წარმოთქვა გამომძიებელმა, თითქოს უხერხულობა და სტუმრის მიერ მიყენებული შეურაცხყოფა ყველაფერი მდივნის ბრალი

ყოფილიყოს. ორიოდე წუთის შემდეგ მოოქროვებული ლამბაქით მინდიას წინ ყავა დადგა ამჟამად ღიმილად დაფერფლილმა მდივანმა. მინდიამ ხელის ზურგით ყავა გვერდზე გასწია, გამომძიებელს თვალი გაუსწორა და მკაცრად წარმოთქვა:

– მისმენთ?

– რასაკვირველია, გისმენთ გულისყურით!

– ექვიოდე თვის წინათ თქვენ გამოიძიეთ შმაგი დიმიტრის ძე მგალობლიშვილის საქმე, რომელსაც ბრალად ედებოდა ჩემი შვილის შორენა ძიძიგურის მკვლელობა...

– დიახ, მახსოვს – თხრობა შეაწყვეტინა გამომძიებელმა მინდიას.

– მაგრამ სასჯელის განაწილება ეს ჩემი საქმე არ არის, მე საქმე გამოვიძიე, გადავეცი სახალხო სასამართლოს, მათ კი თავიანთი საქმე იციან. ისე მე რომ მოსამართლე ვყოფილიყავი დახვრეტას ვერ გადამირჩებოდა მკვლელი არამზადა.

– ღმერთს დაუფარავს შმაგიცა და ჩვენი სინდისიც, რომ მოსამართლედ არ იყავით, თორემ მწამს კაცთმოძულე ყოველთვის მოიყვანს სისრულეში დანაქადს, მითუმეტეს თუ სახელმწიფო ძალაუფლებაც იმის მხარეზეა.

– აბა, თქვენ რას მოითხოვთ, მკვლელები არ დავსაჯოთ?

– მკვლელები უნდა დავსაჯოთ, მაგარმ უდანაშაულო ხალხი კი არა. ამისათვის საჭიროა ზუსტი გამოძიება და არა ერთი მოწმის ჩვენება, რომელზედაც შეკოწიწდება მცადრი საკითხების უამრავი თავსატეხი მასალა.

– ვერ გამიგია რა გაქვთ მხედველობაში, ჩემი აზრით, მე იურისტის ალღო არ მღალატობს, თქვენ პროკურატურაში მოსული ხართ იმ მიზნით, რომ შვილის მკვლელი უფრო მკაცრად დაგვესაჯა.

– ცდებით! მე სწორედ იმის განსათავისუფლებლად მოვედი, ვინც უსამართლოდ ასე მკაცრად დასაჯეთ.

– ეს საქმე საგამომძიებლო ორგანოს აღარ ეხება, ამ საკითხზე შეგიძლიათ უმაღლეს დისტანციებს მიაკითხოთ. ისე კი გასაოცარია თქვენი საქციელი, საკუთარი შვილის გამაუპატიურებელი და მკვლელი როგორ უნდა შეინწყნარო ვერც კი წარმომიდგენია.

– უმაღლეს დისტანციებს მივაკითხავდი, როგორმე თქვენს დაუხმარებლად გზას და კვალს გავიგნებდი, მაგრამ ცოტა თუ ბევრად თქვენ გიფრთხილდებით, რადგან ადგილობრივი საგამომძიებლო ორგანო და სახალხო სასამართლო ჩიხში აღმოჩნდებით.

– აღმოვჩნდეთ ბატონო, აღმოვჩნდეთ, ნუ მოგვერიდებით და გაგვიფრთხილდებით! – აღელვება დაეტყო, სახე წამოუჭარხლდა, ზეზე წამოიჭრა გამომძიებელი და ამ საქციელით ყოფილ მასწავლებელს აგრძნობინა – „საუბარი დამთავრებულია, სადაც გინდა წადი და მიჩივლეო". – მაგრამ მინდია სკამზე არც განძრეულა, თავისი ჩვეული სიდინჯით განაგრძო საუბარი:

– დაწყნარდი ჭაბუკო, ბოლომდის მათქმევინე სათქმელი,ს აუბრის დასაწყისში ხომ დამპირდით – „გულისყურით მოგისმენთო?! – ჰოდა სიტყვის კაცი თუ ხართ, მომისმინეთ.

– შენს გარდა სხვაც გვაქვს ბატონო საქმე, თქვი რასაც ამბობ და მორჩი სათქმელს! – წყენინებას ვერ ფარავდა წიკლაური.

მინდია კი სპეციალურად აჭიანურებდა სათქმელს, რათა კიდევ მეტად აეღელვებინა გამომძიებელი, ჩასწვდომოდა თავისი ნამოწაფარის მოთმინების უნარს და დაენახა მასში არც თუ ფარული დიდკაცობის ძალა.

– საქმე ის გახლავთ ბატონო გამომძიებლო, რომ ჩემი შვილი ცოცხალია. – წყნარად წარმოთქვა მინდიამ და ნიკლაურისაკენ თვალი გააპარა. აინტერესებდა თუ როგორ იმოქმედებდა მასზე გამოძიებაში დაშვებული უდიდესი მარცხი და თუ როგორ გარდაიქმნებოდა მკაცრი გამომძიებელი ლმობიერ არსებად.

– რაო? – მხოლოდ ერთი სიტყვა წარმოთქვა წიკლაურმა. აპილპილებულ სახეზე სიყვითლემ გადაურბინა, შუბლი ცივი ოფლით დაეცვარა და სავარძელში ღრმად ჩაეშვა.

– დიახ, გუშინ მომინახულა მეუღლითურთ!

– მდა! – თქვა მრავალმნიშვნელოვნად გამომძიებელმა და თითქოს ამით დასრულდა მათ შორის საუბარი. სიწყნარე ჩამოწვა კაბინეტში, სადაც მხოლოდ წიკლაურის ღრმა სუნთქვა ისმოდა, ასე გაგრძელდა რამოდენიმე წუთს. სანამ გამომძიებელი გარდაიქმნებოდა. და აი, გარდაიქმნა წიკლაური. მკაცრი სახე რაღაც არაბუნებრივი ძალით გაუნათდა და ღიმილად დაიფერფლა მისი ბაგენი, თვალებში ბოროტი ცეცხლი რომ უგიზგიზებდა ამ რამოდენიმე წუთის წინ ახლა ჩამქრალიყო, ჩანაცრებულიყო და ნაცარში გახვეული ნაპერწკალივითღა ღვიოდა მზერის ორი ორგანო, რომელშიაც მინდია სიძულვილს კითხულობდა. მიხვდა ყოფილი მასწავლებელი, რომ ამ თვალების პატრონმა რაღაც მზაკვრული განიზრახვა, მაგრამ ახლა ფარხმალის დაყრა გვიანი იყო და გადაწყვიტა ბოლომდის ებრძოლა ნამოწაფართან.

ироди ნიკლაური მომღიმარი სახით ზეზე წამოიმართა, ხელები მოცეკვავესავით ფართოდ გაშალა და წყნარად, ნაძალადევი თავაზიანობით წარმოთქვა:

– მეორე ოთახში გავიდეთ, პირისპირ დავჯდეთ პატარა მაგიდასთან, კონიაკის ბოთლთან უფრო ტკბილი გამოგვივა საუბარი!

– არ არის აუცილებელი, აქ ხომ არავინ გვისმენს, მესამე პირმა კი შეიძლება ისეთი რაიმე წამოგვაროშინოს, თქვენც ნაწყენი დარჩეთ და არც მე წავიდე კმაყოფილი.

– მესამე პირი ვინ გყავთ მხედველობაში?

– კონიაკი!

– ნება თქვენია, არ მეგონა კი თუ უარს მეტყოდით „რუმკა" კონიაკზე.

– ყველაფერს თავისი დრო აქვს, უარს როგორ შემოგკადრებთ შემოთავაზებულ პატივისცემაზე, მაგრამ უმჯობესია შემდეგისათვის გადავდოთ ეს პატივისცემა.

– კარგი ახლა თქვენებურად მოვიქცეთ, ხორაგით სავსე მაგიდასთან მართლაც უკეთესია საუბარი. აქ ასე იყოს საღამოს კი... – მთლად დაითაფლა გამომძიებელი, ცოტა ხანს შეისვენა, თითქოს რაღაცას ფიქრობსო და განაგრძო: – თქვენ ბრძანეთ, რომ თქვენი ქალიშვილი ცოცხალია და ქმართან ერთად მოგინახულათ, ეს მართლაც საოცრებაა. გამოდის, რომ თქვენს ქალიშვილს მგალობლიშვილზე უფრო ძლიერად სხვა ჰყვარებია და სწორედ იმ ღამით გაპარულა ოჯახიდან, როდესაც სეირნობიდან მგალობლიშვილთან ერთად დაბრუნებულა.

– არ ვიცი, სალაპარაკო დრო ვერ გამოვნახე მასთან, იქნებ გაიპარა შეიძლება მოიტაცეს, ყველაფერი საფიქრალია ამ დროში.

– თქვენ მობრძანებული ხართ იმ მიზნით, რომ საქმე დავარღვიოთ და მგალობლიშვილი გამართლებული გავანთავისუფლოთ?..

– რა თქმა უნდა, თუ ეს თქვენს ძალას არ აღემატება და თუ თქვენთვის შეუძლებელია ზემდგომ ორგანოს მივაკითხავ.

– მერე არ გებრალებათ თქვენი ქალიშვილი, რომელსაც პასუხს მოთხოვენ ძიების შეცდომაში შეყვანისათვის?

– კანონის წინაშე ყველა თანასწორია, არ მენაღვლება დამსახურებისგვარად მიიღოს სასჯელი.

– ოჰ, ეს სრულებითაც არ არის მშობლიური სიყვარული, როგორ შეიძლება გაიმეტოთ შვილი დასაღუპავად?

– ის კი არის მშობლის სიყვარული, რაც მან ჩაიდინა და მოიმოქმედა?

– მშობელი რა მშობელია თუ არ მიუტევებთ?

– მე კაცო თქვენთან იმ მიზნით არ მოვსულვარ, შვილი შემარიგოთ, ჩემი ოჯახის ჩახლაფორთებულ საქმეს მე თვითონ მოვუვლი როგორმე, ვეცდები გამოვასწორო ცხოვრებაში დაშვებული შეცდომა. მე სათხოვარზე ვარ მოსული, რომ ჩემთან ერთად თქვენც გამოასწოროთ ნებით თუ უნებლიეთ მომხდარი შეცდომა.

– გამოვასწოროთ, მაგრამ იცით თქვენ, ამას რა ამბავი მოჰყვება? მთელმა მართლმსაჯულებამ თავი უნდა გავიმტყუნოთ. უნდა დავეცეთ, გავნადგურდეთ და ვისთვის? ერთი ადამიანისათვის, რომელიც ალბათ დიდი ხანია შეეგუა თავის ბედს და კეთილსინდისიერად იხდის სასჯელს.

– თქვენი აზრით, ესე იგი გაუჩუმდეთ, ტანჯვა—წვალებაში გაზრდილი ადამიანი ციხეში გამოვამწყვდიოთ, დავუკარგოთ კარიერა და მომავლის იმედი? მერე „ცეცხლი თივაში რომ არ დაიმალება?" დღეს არა, ხვალ ხომ თავს იჩენს სიმართლე და ჩვენი გაჩუმება ჩვენვე მოგვაყენებს მოუშორებელ აჩრდილს?

– რაც მთავარია თქვენი სიჩუმეა აუცილებელი, სხვები კი მეორეხარისხოვანი მეჩვენებიან. მგალობლიშვილის მშობლები გლეხები არიან, ადგილსაც ვერ მიაგნებენ სად იკითხონ სამართალი, მგალობლიშვილი კი კოლონიაში იმყოფება, სადაც გადაკეტილი აქვს სამართალსაძიებო გზა. ასე რომ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ მსჯავრდებულის განთავისუფლებამდის!

– რომ განთავისუფლდება, ვინ იცის შემდეგ გადაწყვიტოს შურისძიება!

– ეს გამორიცხულია, დამნაშავე თუ უდანაშაულო მსჯავრდებული ჩვენს მიმართ ყველა ბოროტად არის განწყობილი, მაგრამ განთავისუფლების შემდეგ არავის აზრდაც არ მოსდის შურისძიება, ყოველი ზიარებისა და განწმენდის შემდეგ ახალი ცოდვის ჩადენა იწყება. რომელსაც ხელმეორედ ჭირდება განწმენდა.

– მერე ჩვენი ადამიანობა, ჩვენი სინდისი ჩვენვე გავთვლოთ, წავბილწოთ და სანაგვეში მოვისროლოთ?

– ადამიანი ცვლადი კატეგორიაა. მაშასადამე სინდისის მცნებაც შედარებითია და ისიც მეტად ცვლადი რამ არის. აქედან გამომდინარე, ნამუსიანი კაცი, სხვადასხვა ადამიანის თვალში შედარებითია და ისიც მეტად ცვლადი რამ არის. აქედან გამომდინარე, ნამუსიანი კაცი, სხვადასხვა ადამიანის თვალში ცვლადია, სხვადასხვაგვარია და სინდისის უარყოფაც პირდაპირპროპორციულია.

– აგაშენა ღმერთმა, მათემატიკურად მელაპარაკებით და ლამაზიც არის ყოველი თქვენი სიტყვა, მაგრამ ადამიანურ მცნებას მთლად მოკლებულია ის.

„ლამაზი არის სიტყვა, როდესაც
საფუძვლად უდევს აზრი ძლიერი
რად გინდა შუბლი თუნდაც ლამაზი
მხოლოდ უჭკუო და ცარიელი"...

კიდევ ერთჯერ მოისმინე ყოფილი მასწავლებლის დარიგება, სხვის უბედურებაზე კარიერას ნუ აიშენებთ, თორემ სავარძელს ადამიანთა ცოდვა აგიფეთქებს, თუმცა თქვენი სავარძელი ხომ ჯადოსნური და სასწაულმოქმედია, ალბათ ზემდგომი მართლმსაჯულების წყალობით. ვინ იცის რამდენისათვის მოგიჩვენებიათ ამ სავარძლიდან ცრუ სიყვარული – ნამდვილ სიყვარულად, ცრუ მამულიშვილობა – ნამდვილ მამულიშვილობად, ვინ იცის რამდენჯერ ჩამოგიფარებიათ ნიღაბი და ცრუ ადამიანს – ნამდვილ ადამიანად მოგიჩვენებიათ თავი ცრემლად დაღვრილი ადამიანისათვის. რამდენს ნამდვილ გმირად მოჩვენებიხართ თქვენი ორატორული საუბრით, რამდენისათვის მიგიჩქმალავთ თქვენი არაკაცობა და კაცურ კაცად მოჩვენებიხართ. გახსოვთ, თქვენი წინსვლის გემოვნება ისევე კაცის გამოგონილი ცრუ ღმერთია, რომელსაც კაცობრიობისათვის ყველაზე დიდი უბედურება მოაქვს და სასწაული მხოლოდ ის არის, რომ უბედურება სავარძლიდან იწყება, რადგან მაღლა სწრაფვით უფსკურლის სიმაღლეც იზრდება და იქედან დანარცხებული იშვიათად თუ წაომდგება ზეზე.

გამომძიებლის სახის ფერი რამოდენიმეჯერ შეიცვალა. ბოლოს კი წამოენთო, მაგრამ ბავშვობაში ამავე ხმით ადამიანის სიყვარულით ქადაგება გაიხსენა, ნერვები მოითოკა და ჩაყოლა ამჯობინა. თუმცა მზად იყო პანღურის ცემით გაეგდო გარეთ და კარები თავისი ხელით მიეხურა, მაგრამ გაიხსენა ყოფილი მასწავლებლის შეუპოვრობა, სიმართლისათვის თავდადება და გადაწყვიტა სიბრძნით გაეწია პაექრობა მასწავლებლისათვის.

– მე თქვენთვის შეურაცხყოფა არ მომიყენებია, პატივცემულო მასწავლებელო და თქვენ რისთვის მლანძღავთ ასეთი უდიერი სიტყვებით?

– შეურაცხყოფა არ მოგიყენებიათ? განა ეს ჩემი შეურაცხყოფა არ არის, როდესაც შეურაცხყობთ სკოლას, სადაც აღიზარდეთ და ჩირქს ცხებთ მართლმსაჯულების უწმინდეს ადგილს?

– როგორ გეკადრებათ ბატონო მინდია, მე აზრადაც არ მომსვლია ვინმესათვის შეურაცხყოფა მიმეყენებინა, მხოლოდ დროის გამოძახილს მივყვები. ის დრო აღარ არის პატივცემულო, ბევრი რამ შეიცვალა ცხოვრებაში, დრომოჭმულია ის მორალი, რომელსაც თქვენ ჩაგვჩიჩინებდით, დღეს ცხოვრებას თქვენებური არშინით ვეღარ გავზომავთ, ახალი ცხოვრება მოდის, ნუთუ ვერა გრძნობთ, რომ თქვენი მორალის ხალხი უკანასკნელი მოჰიკანები ბრძანდებით?

– ესე იგი ახალი ცხოვრების თანახმად უნდა დვკარგოთ სინდის—პატიოსნება. დავივიწყოთ ჩვენი სამშობლოსათვის თავდადებული მეფეები, მოძღვრები, მწერლები, პედაგოგები, რომლებმაც ანა—ბანა შეგვასწავლეს, შემოგვინახეს და შეგვინარჩუნეს სამშობლო, ენა და კულტურა. თქვენ კი, რამ განაპირობა არ ვიცი სინდისზე საუბარი ცახცახს გაწყებინებთ, რატომ ჩქმალავთ და ივიწყებთ ჩვენს ნაქადაგარს, წინაპართა ნატერფალს?

– არც მთლად ასეა ბეტონო მინდია, როგორც თქვენ ბრძანებთ, დავიწყებთ ჩვენ არაფერს ვივიწყებთ, მხოლოდ აუტანელია, როდესაც თქვენ გვაბრალებთ სინდის—პატიოსნებისა და კულტურის დავიწყებას. ეს დავიწყება კი არა გარდაქმნაა, რომელიც ცხოვრებამ მოიტანა, ეპოქის ყოველ მიჯნაზე, ისტორიის ყოველ მოსაქცევზე, როცა ცხოვრება იცვლება, სინდის—პატისონებაც იცვლება. თქვენ კი ცხოვრების შეცვლას ვერ ამჩნევთ და წარსულის დავიწყება—დაკნინებას გვაბრალით.

მეც არ მომწონს, როდესაც ქვეყანას სინდისზედ ხელაღებულები დაეპატრონებიან, მაგარმ ჭკვიანი მებრძოლი კაცისაგან ცხოვრების ჩამორჩენაც არ შეიძლება.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გულნარა შოთაშვილი-ტაბატაძე

სიყვარულის ძალა

(გაგრძელება, დასაწყისი ჟურნალ „ათინათის“ №27, 28, 29-ში)

ვაჟა იდგა, პირი გაერო დაისე უსმენდა ზვიადის შეგონებას, ხოლოზვიადის ობლობისა და დის სიკვდილის ამბავმა მეტი ფასი მისცა მის ადამიანობას და ამანაგებმა სიყვარულითი გადახედეს გულდამწვარ ვაჟკაცს, ხოლო ვაჟას ზიზღნარევი მზერა არგუნეს. ნაზიბროლა ვაჟასთან ახლოს მივიდა, მისი კოსტუმის საყელოს ხელი მოჰკიდა და წყნარი ხმით დამარცვლა: ადამიანი მეგონე, მხეცი ყოფილხარ, დღეის შემდეგ ჩემს ამხანაგად აღარ გთვლი! – როცა ყველა კლასში შეიკრიბა პატარა, მაგრამ დიდი აზრის შემცველი ბარათი გაუგზავნა ვაჟას, ლექსად გამოთქმული:

„მე მაშინ შევცდი, რომ შენში ვპოვე
ვითომ კეთილი ადამიანი!
სულ დამავიწყდა ილიას თქმული
ყველა კაცია ადამიანი?“

ვაჟას რეტი დაასხა, ნაზიბროლას მიწასთან გამასწორებელმა სიტყვებმა, ბოროტების ჭია უფრო აუფუთფუთდა გულში, მიხვდა, მის საქციელს ყველა ჰგმობდა, ზვიადის წყნარმა და დარდით სავსე ხმის კილომ ადამიანობის ნარჩენი ნატამალი გაუღვიძა, მამის ქონებითა და თანამდებობით გაზულუქებულ ვაჟას. აგრძნობინა არჩეული მეთოდის მცდარობა, მაგრამ იმის წინასწარ განწვრეტამ, რომ ზვიადი დიდ გზაზე ნამდვილად გავიდოდა თავისი გულმოდგინებითა და მუყაითობით, ვაჟა აიძულა კუსავით ჯავშანში ჩამალულიყო, ქამელეონივით ფერი ეცვალა, სადაც ამის საჭიროებას დაინახავდა, გაფაციცებით ედევნებია თვალყური მისი და ნაზიბროლას ყოველი ნაბიჯისათვის და თუ საჭიროდ ჩათვლიდა, ისე დაემცირებია ზვიადი ქალიშვილის წინაშე, თვითონ არ გამოჩენილიყო.

ბოროტების თესვა სხვათა ხელით, მამასავით, ეხერხებოდა და თვითონ კი „კეთილი ადამიანის“ პირით შეხვდებოდა „უცაბედ მსხვერპლს“, თავს საუკეთესო ძმაკაცად მოაჩვენებდა და ჩუმად გამოუთხრიდა ძირს. ვინ იცის როგორ გაუმართლებდა?! და როცა მისი საკითხი ახალგაზრდულ კრებაზე გაიტანეს, პირობა დადო აღარასოდეს მოიქცეოდა ცუდად. აპატიეს, ისევ მიიღეს ამხანაგად.

ვაჟა გარეგნულად მართლაც გამოიცვალა, რაც სათქმელი ჰქონდა აღარასოდეს ამბობდა პირდაპირ, პირიქით როგორც საჭირო იყო ისე ლაპარაკობდა. მაშ რაღა მამამისის შვილი იქნებოდა გულშინადები ვერ დაეფარა? საჭირო იყო შესაფერისი მომენტის შერჩევა და ისიც ხელსაყრელ დროს უცდიდა მოთმინებით, აზრი კი არ შეუცვლია და გულში გადაწყვიტა: თუ ზვიადი გზიდან ჩამოეცლებოდა და ნაზიბროლას თავს არ წაართმევდა, არც კარგს გაუკეთებდა და არც ცუდს. მისი წარმატება და მარცხი ვაჟას გულს ვერ შეძრავდა, ხოლო თუ ნაზიბროლას არ დასთმობდა, ვაჟა ჩაფიქრებული გზით ივლიდა და ანანებდა ნაზიბროლას სიყვარულს.

დღეები გადიოდა, სწავლის ორი წელი ილეოდა, გამოცდებისათვის ემზადებოდნენ მეგობრები. ადრე ზვიადსა და გელას ვაჟაც მიაკითხავდა, „ძმურად“! გაუღიმებდა და გაუგებარ საკითხს ერთად გაარჩევდნენ. მეცადინეობაზე უარს არ ეუბნეოდნენ ძმადნაფიცები, რადგან იცოდნენ, „ცოდნა იმისთანა მადლიანი სიმდიდრეა, რომ, რაც უნდა ბევრი დაარიგო, შენ არ დაგაკლდება, ცოდანა ანთებულ სანთელსა ჰგავს, ერთ სანთელზე რომ ათასს მოუკიდო, სანთელს ამით არც ალი დააკლდება და არც სინათლე, პირიქით უფრო იმატებს სინათლე, რადგან ათასი სანთელი ერთად ანთია“ – ასე ასწავლიდა ილია ჭავჭავაძის სიბრძნე დაწყებით „სკოლაში“, ამასვე უმეორებდა მათი საყვარელი მასწავლებელი ქავთარაძე და მათაც არ ენანებოდათ ცოდნის გაზიარება ვაჟასათვის. ნდობით მაინც არ ენდობოდნენ, ზვიადს არ უყვარდა ვაჟა. მისი ალალმართალი გული ხვდებოდა, რომ იგი რაღაცისათვის ემზადებოდა შინაგანად, გველივით ჭრელი ბიჭი, თავისი აზრი გელასაც გაუზიარა, გელასაც გაეღიმა და – მეც ასე ვფიქრობო, განაცხადა.

გამოცდები დამთავრდა, გადაწყვიტეს პატარა სუფრა გაეშალათ და ერთმანეთისათვის სასწავლო წლის დამთავრება მიელოცათ.

ასეც მოიქცნენ, ორივე მეგობრის ფული გელამ დადო და შეთანხმდნენ ზვიადს როცა საშუალება ექნებოდა, ვალს მაშინ გადაიხდიდა.

ქეიფი ნაზიბროლას სახლში მოაწყვეს, ოჯახის დიასახლისმა სიამოვნებით მოჰკიდა ხელი მზარეულობას და ისეთი გემრიელი კერძები დაამზადა, საუკეთესო კულინარს შეშურდებოდა. მეზობლის ორმა ქალიშვილმაც წაახმარა ხელი და საღამოს ათი საათისათვის ბრწყინვალე სუფრა გაშალეს.

დანიშნულ დროზე ყველა უკლებლივ შეიკრიბა, მხოლოდ გელა და ზვიადი არ სჩანდნენ. ზვიადის

მოსვლამდე სუფრას არავინ მიაკარა ნაზიბროლამ, თვითონ კი კარს არ აშორებდა მომლოდინე მზერას. თუ „ის“ არ მოვიდოდა, ჩამწარდებოდა ქალიშვილს დროსტარება, აბა ზვიადის გარეშე რა ეშხი ექნებოდა მისთვის რაიმეს?

მასზე არანეკლებ არ იყო აღელვებული და დაფიქრებული მკერდმაღალი, სანდომიანი ქალიშვილი, რომელიც დღეს განსაკუთრებით გამოწყობილიყო და ისე უხდებოდა საზეიმო მორთულობა, ქალები შურით და ვაჟები ნდომით უყურებდნენ. მას კი გელას ერთი შემოხედვა და მისი შავი წამწამებით შემოჯარული ცისფერი თვალების გაელვება ყოველგვარ კაეშანს გაუქარვებდა, მისი ღიმილი აჯადოებდა და სიხარულის ულევ ზღვას უქმნიდა ქალიშვილს...

– რატომ იგვიანებენ ნეტა? ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს გელას რჩეული და ნაზიბროლა – მიზეზი კი ვერ გამოენახათ.

მოთმინების ფიალა ის იყო ბოლომდე აივსო, რომ კარები გაიღო და გამოჩნდნენ ვისაც ელოდა ორი აძგერებული გული და მრავალი თვალი, შემოვიდნენ და სინათლე და სიმხიარულე შემოჰყვათ, ზვიადმა მოლოდინს გადააჭარბა, არავინ იცოდა თუ მას ასეთი ძვირფასი ტანსაცმელი გააჩნდა. შავი კრეპის შარვალ-კოსტუმი, ნეილონის თეთრი პერანგი და ფეხზე ლამაზად მორგებული ფეხსაცმელი, ისიც არავინ იცოდა, რომ ეს ყველაფერი გელამ დანაზოგი ფულით უყიდა და იმდენი ეხვეწა ზვიადს ძმადნაფიცი ძლივს ჩააცვა და დათქვეს, მათ გარდა არავის გაეგო მათი საიდუმლო, ახლა კი იდგნენ ამხანაგების წინაშე და დაგვიანებისათვის ბოდიშს იხდიდნენ.

კარებში ნაზიბროლას დედა გამოჩნდა, ორთავე ერთდროულად მიეახლა და ხელზე ამბორით მოუბოდიშეს. ლუბა ღიმილით მისჩერებოდა ორ საუკეთესო ვაჟს და კმაყოფილების ნიშნად თავის ქალიშვილსა და მის გვერდით მწყერივით განაბულ თამარს, ლუბას თვალების ციმციმში გამოცდილი ადამიანი აუცილებლად ამოიკითხვდა: – მიგიხვდით ჩიტუნებო, ვისაც ელოდით და რატომ ღელავდით, გარეგნულად „ისინი“ ღირსნი არიან ამ ლოდინისა და თუ შინაგანადაც ასე მშვენიერნი არიან რაღა მეთქმის, წინ ვერ გადაგიდგებითო.

სუფრას შემოუსხდნენ, დიასახლისმა ჭიქა აიღო, კარგი დროსტარება უსურვა ახალგაზრდებს და გაეცალა იქაურობას, ისე რომ შორიდან ედევნებია თვალყური.

ქართული სუფრა უფროსსა და სადღეგრძელოების ოსტატურად წამყვანს მოითხოვს მუდამ და ასეთ ადამიანად მას ასახელებენ, ვინც ღირსეულად მიაჩნიათ.

პირველმა დაბნეულობამ განვლო, ურთიერთს შეეხმიან-შემოეხმიანენ და საერთო მხიარულებაში, როგორც მასპინძელმა, ისევ ნაზიბროლამ ასწია ჭიქა და თამადის არჩევა მოითხოვა: – შესაბამისი კანდიდატურა მომაწოდეთ ამხანაგებო – თქვა მან ღიმილით და ზვიადსა და გელას შეხედა.

ზოგმა გელა წამოაყენა და ზოგმა ზვიადი.

– ჩემი სურვილია დღევანდელ სუფრას ზვიადი გაუძღვეს – თქვა ისევ ნაზიბროლამ – ვუსურვოთ ამხანაგებო ცხოვრებაში სულ პირველობა, დღეს კი კარგი დრო გაგვატარებინოს.

ზვიადმა იუარა, დაიმორცხვა. მან გელა დაასახელა, მაგრამ არ გასჭრა მისმა უარმა. მთელმა კამპანიამ ერთსულოვნად აირჩია თამადად ზვიადი. მან კი მოადგილედ გელა დაასახელა და არც თუ დიდი ხალისით შეუდგა მოვალეობის შესრულებას, ვაითუ ისე ვერ ვთქვა სადღეგრძელოები, როგორც ჩემგან ელიანო და დავმცირდეო ამხანაგების თვალში – ფიქრობდა იგი, მაგრამ მისი შიში უსაფუძვლო გამოდგა, როცა ზვიადი ჭიქას ასწევდა და სადღეგრძელოს იტყოდა ყველა კმაყოფილი უსმენდა მის მრავალსიტყვიანობას სიყვარულზე, მეგობრობაზე, მტრობაზე და მზაკვრობაზე. ღოცა დიასახლისის სადღეგრძელოს რიგი დადგა, თამადამ მოითხოვა ქალბატონი„ლუბა“ სუფრასთან მოსულიყო. სავსე ჭიქა დაუდგა შემოსულს და მოსიყვარულე ხმით დაიწყო.

– დიდხანს იცოცხლეთ, იჯანმრთელეთ და იხარეთ დეიდა ლუბა, თქვენმა მარჯვენამ უთვალავი სუფრა გააწყოს, უამრავი სიხარული გენახოთ, ღმერთსა ვთხოვ სიმწარე არ განგეცადოთ, ჯანი და ღონე არ გამოგლეოდეთ და ხალისი არ დაგკარგვოდეთ. თქვენი ხასიათით იმდენი სიკეთის დათესვა შეგძლებოდეთ, რომ ბოროტება ახლოს ვერ გაგკარებოდეთ. – ოდნავ შეჩერდა და ჩანაღვლებული ხმით განაგრძო – ნაზიბროლამ იქნებ არც კი იცის, სრულიად, როგორი მშობელი ჰყევხართ, სიკეთისა და სათნოების ულევი წყარო, ფასდაუდებელი დიასახლისი, გულმართალი ქართველი დედა ბრძანდებით – ისევ შეისვენა და გულში ჩამწვდომი ხმით განაგრძო – ნეტავ მას ვისაც დედის სითბო და ალერსი არ მოჰკლებია და გული სალი კლდესავით მიუვალი და მიუსაფარი არ დარჩენია, ტრიალ მინდორზე ამოსული ხესავით რ დაუზრია ფესვები დედინაცვლის გულბოროტებასა და სიანჩხლეს – ღრმად ამოისუნთქა – თქვენმა სიკეთემ ჩემს უდედობით გაყინულ გულშიც აახმაურა შეწყვეტილი მშობლისეული სიმი სიყვარულისა, განა მარტო მე ვარ აღვსილი მადლიერებით? ყველა ჩვენგანი აღფრთოვანებულია თქვენით, ყველა ჩვენთაგანი კმაყოფილი იქნება თუ შევძლებთ და ნაწილობრივ მა-

ინც გამოვთქვამთ, რასაც განვიცდით დღეს, თქვენი დაიღალავი მარჯვენის მადლით. იცოცხლეთ მრავალჟამიერ.

ყველამ ერთსულოვნად შესვა დიასახლისის სადღეგრძელო, დიასახლისი გაიდა და სუფრას ისევ თავისუფალი ატმოსფერო დაუბრუნდა, მაგრამ ყველას ჩაეწვეთა თითო წვეთი ზვიადის სადარდელისა. ნაზიბროლამ იგრძნო მისი მეგობრის გულში ბევრ დარდს დაებუდებია და გადაწყვიტა განედევნა მისგან ყოველგვარი უსარგებლო კაეშანი, ხელსაყრელ მომენტში ყველაფერი გამოეკითხა. ახლა კი წამოდგა, პიანინოსთან მივიდა და ჰაერში ვალსის აკორდები გაიშალა. ყველა წყვილ-წყვილად ცეკვავდა. ზვიადი კი, რომელმაც ევროპული ცეკვებისა არაფერი იცოდა, იდგა პიანინოსთნ და ნაზიბროლას თითების სრიალს თვალს ადევნებდა, როცა ნაზიბროლა თამარმა შეცვალა, ნაზიბროლამ თავი დაუკრა და ზვიადი ძალით გაიყვანა წრეშუი.

მალე აითვისა ცეკვის ილეთები სხარტმა ვაჟმა და ქალიშვილის ნარნარ წელზე ხელშემოხვეული გაბედულად დაცურავდა წრეში...

გათენდა. ყველანი წავიდნენ. ნაზიბროლამ ყველა გააცილა და გაბრუებული ლოგინში ჩაწვა. ეგონა ჩაწოლისთანავე დაეძინებოდა, მგრამ შეცდა. ვერა და ვერ მოიშორა ზვიადის ტანის სითბო და მისი რკინისებური მკერდის სიახლოვით გამოწვეული გრძნობის სიცოცხლე. დიდხანს იტრიალა და დაქანცულს გვიან ჩაეძინა.

ლამაზი დილა იდგა, ისეთი, როგორც საქართველოში იცის. მარტო მიმავალ ზვიადს მოსახვევში ორი ვაჟი გადაუდგა.

– მოგვაწევინე ჯიგარო – აგდებიტ უთხრა ერთმა.

– მაგას პაპიროსოს ფული ვინ მისცა სავლე? შიმშილით სული ლამის ამოძვრეს.

ორივემ საკრასტულად გაიცინა. ზვიადმა კი, რომელსაც არ სურდა წუხანდელი სიამოვნება უსიამოვნო ამბით გაებათილებია, წყნარი ხმით უთხრა.

– პაპიროსს არ ვეწევი. ღაც შეეხება შიმშილს, მე თქვენთვის პურის ფული არ მითხოვია, ხოლო თუ რაიმე ანგარიშები გაქვთ ჩემთან, სხვა დროისათვის გადადეთ, დღეს არ მინდა ხასიათი წავიხდინო...

– ბიჭო! – თქვა ისევ პირველმა – ჩვენ თურმე მაგის სურვილზე უნდა ვიაროთ; არა, ვაჟბატონო. შენ ისა თქვი, როგორ ეხვეოდი ლამაზ ქალიშვილს წუხელ? ან სიცოცხლე უნდა დათმო ან ნაზიბროლა!

ზვიადი გუმანით მიხვდა საქმე ვაჟას ამფსონებთან ჰქონდა. ახლა ისიც გაახსენდა, ვაჟა რომ ისე გაიპარა, მისი წასვლა არავის შეუმჩნევია მისსა და გელას გარდა. ლაჩარმა თვითონ ვერ გაბედა ანგარიშის გასწორება და ვიღაც გარეწრები მოუგზავნა. ვიდრე ზვიადი ფიქრობდა, სავლემ უკნიდან მოუარა და ის იყო მუშტი უნდა დარეტყა, რომ ზვიადი მიტრიალდა და მომხვდური მოწყვეტით დაანარცხა ასფალტზე, მეორემ არ დააყოვნა და ზვიადს ფერდში მუშტი უთავაზა.ერთი ორის წინააღმდეგ მხოლოდ თავდაცვას ფიქრობდა, არც უფიქრია სამაგიეროს გადახდა, მაგრამ როცა ნახა აღარ ეშვებოდნენ, იკადრა ხელის გამოღება.წამომდგარ სავლეს ნიკაპში ისე მძლავრად ამოჰკრა ხელი, ეს უკანასკნელი, ასფალტზე ხელმეორედ გაიშოტა და დიდხანს აღარ ამდგარა, ხოლო მეორეს მუცელში მუშტი უთავაზა და ოთხად მოკეცილს ჯიბიდან რაღაც წიგნაკი ამოუვარდა. ზვიადმა აიღო და საბუთი ჯიბეში შეინახა. ამ საბუთით უნდოდა გაერკვია ვინ იყვნენ და რა უნდოდათ. მერე ნაცემები ქუჩაში მიატოვა და სახლის გზას დაადგა.

კოსტუმის სახელოდან სისხლმა გამოჟონა. გაუკვირდა, როდის მოასწრესო დანის დარტყმა. ფეხს აუჩქარა და რადგანაც პოლიკლინიკა ჯერ ღია არ იქნებოდა სახლს მიაშურა, ხელი თვითონ შეიხვია. დაწვა და დაიძინა. ტკივილმა გამოაღვიძა. ხელი მხრამდე გასიებოდა და გალურჯებოდა. სასწრაფოდ ჩაიცვა და ექიმს მიაშურა.

– ცოტაც რომ დაგგვიანებოდა, ვეღარაფერი გიშველიდა. დანა მოწამლული ყოფილა და როცა შხამი გულამდე მიაღწევდა ათასი ექიმიც ვეღარ გადაარჩენდა შენს სიცოცხლეს – უთხრა ექიმმა და ჭრილობა სასწრაფოდ ამოწმინდა, შრატი გაუკეთა, ნემსები დაუნიშნა, ფეხზე სიარული აუკრძალა და დაინტერესებულმა გამოკითხა, სად მოუხდა მარცხი. მანაც უამბო და თან ის წიგნაკი ამოიღო ჯიბიდან ხულიგანს რომ დაუვარდა.

– შენ, ჩემო შვილო, პროფტექნიკურ სასწვლებელში ხომ არ საწვლობ? ეს გამოუსწორებელი ხულიგნის, ვაჟა შავლაშიძის მეგობრებია.ალბად მისი დავალებით მოქმედებენ.ამ წიგნაკის პატრონი მისი კარის მეზობელიცაა და მისი მესაიდუმლეც.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

ანთოლოგია – საახალწლო ნობათი საქართველოს

„ათინათის“ შენაკადთა მზესხივოსანი კრებული



პოპულარულმა ჟურნალმა **„ათინათმა“** ანთოლოგიის სახით საახალწლოდ შემოქმედებითი ანგარიში ჩააბარა ქართველ ხალხს. აქ თანამედროვეობის თითქმის ყველა პრობლემა მაღალპროფესიულად არის გაშუქებული.

ჩვენდა სავალალოდ, დღეს (დღეს კი არა, კარგა ხანია) ღვაწლ-ამაგის მეტად დაუნახავ-დაუფასებელ გარემოში ვცხოვრობთ. როცა ვფიქრობ ჟურნალ **„ათინათის“** და მისი ანთოლოგიის მთავარ რედაქტორზე, ჩინებულ პოეტ **გულნაზ ხარაიშვილზე** ვფიქრობ, გაოცებული ვარ: საიდან აქვს ამ ნაზ და ფაქიზ ქალბატონს ამხელა ვაჟკაცური ენერგია? ბევრს წარმოდგენაც არა აქვს, რა რუდუნება, ამტანობა და გულის სისხლი სჭირდება ასეთი მაღალი რანგის საზოგადოებრივ-მხატვრულ-ზნეობრივი საუნჯის გამოცემას.

დაფასება? მკითხველისგან – დიდი, მთავრობისგან – მიზერული (მგონი, ისიც არა), ამ გულგრილობამ, „სხვისი ჭირი, ღობეს – ჩხირის“ განწყობილებამ აპოგეას მიაღწია. შედარებისთვის: უნებურად მახსენდება „ავადსახსენებელი“ კომუნისტების დროს ბრწყინვალე პოეტის, **მთვარისა კერესელიძის**, ხუმრობით ნათქვამი: „ერთ ლექსს დაწერს გორგანელი დსა ჰონორარს ორგან ელის“. დიახ, ომგადახდილი პოეტი რამდენიმე ჟურნალ-გაზეთში მიიტანდა ერთ კარგ ლექსს და ყველგან ჰონორარს გამოუწერდნენ. ვფიქრობ, ქვეტექსტი გასაგებია.

დღეს კი ბევრი რამ ყირაზე დგას. ზოგიერთ ბილწმესიტყვე პოეტს, მუზა თურმე უნიტაზზე ჯდომისას რომ ეახლება, ფინანსური მხარდაჭერა გარანტირებული აქვს. მათთვის დაწესებულია პრემიები, მივლინებები. დიდი მეიგავის, **„სიბრძნე სიცრუისას“, „სიტყვის კონის“, „ევროპაში მოგზაურობის“** ავტორის შეურაცხყოფა ხომ არ არის, მისი სახელობის პრემია ასეთებს რომ ენიჭებათ?

რამდენჯერმე ვახსენე სიტყვები: „დღეს“, „დღევანდელ პირობებში“. დიახ, დღევანდელ გაუსაძლის პირობებში მართლაც გმირობის ტოლფასია **გულნაზ ხარაიშვილისა** და მისი თანამებრძოლების შემართება, მუშა ფუტკრის ძალისხმევა. აქვე ვიტყვი, ქალბატონმა გულნაზმა სათანამებრძოლების საქვეყნოდ ცნობილი მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები, ახალგაზრდა, პერსპექტიული ჟურნალისტები შემოიკრიბა. ამიტომაც არის **„ათინათი“** და **„ანთოლოგია“** ასე პოპულარული.

მინდოდა ანთოლოგიის ამ ნომრის მოკლე მიმოხილვა, მაგრამ გადავიფიქრე, რადგან 600 გვერდიან წიგნში 14 გვერდი მარტო სარჩევს უჭირავს. ამდენი ავტორის დასახელება კი პრაქტიკულად შეუძლებელია. ერთი თუ დაასახელე, არდასახელებულთა წყენას მოიმკი.

ზარს მხოლოდ განათლების სამრეკლოდან გავახმიანებ: განუზომელია **ანთოლოგიის** სასწავლო-აღმზრდელობითი მნიშვნელობა. კოლეგებს, მოსწავლეებს, სკოლის ხელმძღვანელებს ვურჩევ: შეიძინეთ, იკითხეთ, რედაქციასთან ითანამშრომლეთ. მოგებული დარჩებით, ცოდნისა და გამოცდილების თვალსაწიერს გაიფართოვებთ.

„მამული, ენა, სარწმუნოების“ უღალატო დარაჯს **„ათინათ“-ანთოლოგიას** უფრო გაბრწყინებას ვუსურვებ, რედაქციის ყველა თანამშრომელს და ავტორს უფრო მშვიდობიან, უფრო წარმატებულ, უფრო ბედნიერ შობა-ახალ წელს ვულოცავ.

სერგი ლომაძე

პოეზია და შემოდგომა

სერგი ლომაძე, კახა ბაციკაძე

ახლა, როცა ვწერ ამ სტატიას, არის ნოემბერი. მაგრამ ოქტომბერშივე შედგა კიდევ ერთი პოეტური საღამო ჩვენი აკადემიისა, ისევ მირზასეულ ბიბლიოთეკაში, ქალბატონი ქეთევან ნიკურაძე რომ ხელმძღვანელობს, და ისეთი მუყაითი, რჩეული კადრები რომ ჰყავთ, როგორებიაა ხათუნა სვანიძე და სხვებიც ასევე.

სწორედ აქ ჩავატარეთ აკადემიური ღონისძიება: საღამო-ზეიმი პოეზიისა.

გულნაზ ხარაიშვილი, ქეთევან ნიკურაძე

ხომ ხუთი ხაზია ძირითადი, კაცობრიობას რომ წარმართავს: პირველებია ხელოვნება და რელიგია, მერე მეცნიერებაა, პოლიტიკაა, სპორტია, და ამ ხუთიდან პირველი ორი (ხელოვნება-რელიგია) სწორედ თავისი უდიდესი პოეტურობით გამოირჩევა, ანუ რელიგიაც ხელოვნებაა გარკვეული თვალსაზრისიც, რამეთუ დიდი რელიგია პოეზიითა გადანათებული... ხოლო ჩვენ, მსახურნი პოეზიისა, ამ ზეხელოვნებით ვსულდგმულობთ.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: გურამ გედევანიშვილი, გურამ ჭავჭანიძე, ლამზირა შეყილაძე, მანანა მიქაძე, ლია ოსიაშვილი, მზიური აფციაური, მზია ელიაშვილი, ლეილა ვადაჭკორია, მანანა ზაზიკაშვილი, ნაირა ნიჟარაძე და სხვები. სპეციალურად მოვიწვიეთ აკადემიაში, სწორედ ამ დღისთვის, პოეტები – ქეთი დოლიძე და ნაირა უგულავა. ჩვენი ღონისძიებების უმეტესობას ხომ რეჟისორი ნიკო ბაღაშვილი იღებს, ეს ცნობილი ამბავია ისედაც. რაც შეეხება პრეზიდიუმს, ჩამოყალიბდა, ბოლო დროს, აკადემიის ოთხეული, საბჭო, ასეთი შემადგენლობით, – ნომერი პირველი აკადემიელი, რა თქმა უნდა, უცვლელად არის ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი, შემდეგ მამა ამირან ამირანაშვილი, მე და

კახა ბაციკაძე ვართ. საღამოს გახსნა და წამყვანობა მე ჩამბარდა.

გამომსვლელები, ძირითადად, ორ-სამ ლექსს კითხულობდნენ, თუმცა ეს არ ეხება ცნობილ მხატვარს – ალექსანდრე ციხელაშვილის მეგობართან ერთად იყო მოსული, მოგვიტანა ნახატები და აკადემიური სიტყვა თქვა.

ყველა მონაწილე კარგად აღმოჩნდა მომზადებული. წაიკითხეს ლექსები და პოემებიც კი. გამარჯვება იყო თუნდაც ის, რომ ყველა მონაწილე გახლდათ ორიგინალური, არა ჰგავდნენ ერთმანეთს, – სულ სხვადასხვა თემები, სხვადასხვა სამყაროები წარმოადგინეს. ყოჩაღ მათ! რთული პოეზია წარმოადგინა გურამ გედევანიშვილმა და ნაირა უგულავამ, ხოლო დანარჩენებმა შედარებით მსუბუქ, ტკბილ ლირიკას უფრო მიმართეს, თუმცა ხანდახან ისინიც ეხებოდნენ როგორც მტკივნეულ თემებს, ასევე ფილოსოფიურ თემებსაც და მითოსსაც.

რაც შეეხება ქეთი დოლიძეს (ცნობილი რეჟისორის სეხნიას და ცნობილ პოეტს), მან წაიკითხა ორი დიდებული ლექსი, რომელთაგანაც ერთი ეკუთვნოდა მის ლეგენდადქცეულ მეუღლეს – ადრედაღუპულ პოეტ ზურაბ ჯაფარიძეს.

მოხდა ერთი ისტორიული ამბავიც: მოგეხსენებათ, სულ თავიდან ქალბატონ გულნაზისთან ერთად, ორ უდიდეს ადამიანს ეჭირა პირველი პოზიცია აკადემიაში, – ჯუმბერ ლეჟავას და მეუფე თადეოზს. თადეოზი ყველაზე მოსიყვარულე ადამიანი იყო, საოცრად პოეტური, თბილი. მერე ისე მოხდა, რომ ეს ორი ადამიანი გამოგვეცალა ხელიდან დაობლდა აკადემია, და მეუფის აკადემიურ ადგილზე მოგვიანებით მამა ამირანი მოვიდა – თეთრი დეკანოზი, წარმოსადეგი, მრავალმხრივი ნიჭით შემკული კაცი ლიდერის თვისებებით, თუმცაღა არც ისაა მკაცრი, კეთილი, თბილი პიროვნებაა, ყველას უყვარს. იდეები არ ელევა ჩვენს დეკანოზს, და აი, როცა ლამზირა შეყილაძისა და გურან ჭავჭანიძის პოეტური დუეტი კიდევ ერთხელ წარსდგა წარმატებით, მსმენელის წინაშე, მამა ამირანმა მათ ლექსებს ჯვარი დასწერა, – ასე შედგა მსოფლიოში პირველი ქორწილი ლექსებისა: მამაკაცი პოეტის ლექსი ქმრად გამოცხადდა, ხოლო ქალი პოეტის ლექსი – ცოლად. ვნახოთ, ვნახოთ, როგორი იქნება პოეზიის ოჯახი, ეყოლებათ თუ არა ამ ლექსებს პაწაწუნა ლექსუკა-შვილები. თუ გნებავთ ხუმრობად ჩამომართვით ეს სიტყვები, მაგრამ პოეტურ სამყაროში განა რა არის შეუძლებელი!.. ამას გარდა, მამა ამირანმა თავისი პოეზიაც გააქტიურა საღამოზე, და აპლოდისმენტებიც უხვად მოიხვეჭა.

გულნაზ ხარაიშვილი,
ლამზირა შეყილაძე

რაც შეეხება კახა ბაციკაძეს.

კახა ფენომენია, სუპერფენომენი. ჯგუფ „ზღვარში“ ორ კაცს – მე და მას გვასახელებენ ლიდერებად (თანალიდერად, ხანდახან, მესამედაც – ზურაბსაც ასახელებენ ხოლმე), და არაა გასაკვირი, რომ სწორედ ეს ორი კაცი ვართ ყველაზე აქტიური აკადემიის მუშაობაშიც. კახა ყველაფერში პოეტია და უპირველესია, რითაც კი მართლა დაინტერესდება ყველანი დიდი გულისყურით ველოდით, თუ რას იტყოდა ასეთი კაცი. მან შეაჯამა მთელი იმდღევანდელი მუშაობა, შეეხო თითოეულ გამომსახველს, ხოლო ყველაზე უკეთესად ქალბატონი გულნაზის შესახებ ილაპარაკა.

ვინმემ რომ არ თქვას, ეს ხალხი ხშირად და მეტისმეტად აქებს გულნაზ ხარაიშვილსო, აქვე დავწერ: აკადემია ის სუფრაა, ხელოვნება-მეცნიერების, რომელიც ქალბატონმა გულნაზიმ გაგვიშალა და მის გაშლილ სუფრაზე რომ ვზივართ, დიახაც, თავს არ უნდა ვამეტებდეთ მას, დიახაც, ის იმსახურებს ყველაზე მეტ ქებას. არაერთხელ მითქვამს, – რა პირობებშიც იგი ემსახურება ერს, იმ პირობებში ბევრი საერთოდ გაეცლებოდა ბრძოლის ველს, ეგ კი არა, ქვეყნიდანაც გადაიკარგებოდა ალბათ, ხოლო ქალბატონი გულნაზი, აგერ ამდენი ათეული წელია მუხლჩაუხრელად მუშაობს.

და კახამ თქვა: როგორც შეუდარებელი მცხეთისჯვარი დაჰყურებს მცხეთის სივრცეებს მაღლიდან, ისე დაჰყურებს ჩვენს კულტურას და ამ კულტურის მოღვაწეებს, სიმაღლიდან, მზრუნველად, ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილიო. მართლაც ასეა. ამას ბევრი დაადასტურებს. უცნაურია, ბევრი რამ ჩვენს ირგვლივეთში. მაგალითად: ასეთი კადრი რომ ეყოლება ქვეყანაში, ვთქვათ, კულტურის სამინისტროს, ასეთი დაუღალავი ადამიანი, ათასობით შემოქმედებითი საღამოს მომწყობი, უამრავი სხვა ღირსეული საქმის მაკეთებელიც, და რომ არ გამოიყენებს ასეთ გამოცდილ კადრს! მეორეს მხრივ, ახლა, უსახსროდ, უყველაფროდ, ამდენ საქმეს რომ აკეთებს ადამიანი, ხომ წარმოგიდეგნიათ რას მიაღწევდა იგი უკეთს პირობებში!

საბოლოოდ თვითონ ქალბატონმა გულნაზიმ შეაჯამა ღონისძიება. მისი სიტყვა იყო ყოვლისმოცველი, ღირსეული ღონისძიების ღირსეული ბოლო აკორდი.

საერთოდ, სიბრძნის ძიება ოდითგანვე გახლდათ აზრი კაცობრიობის ცხოვრებისა. ქრისტიანობამდეც ასე იყო. მერე გამოჩნდა, უფალი იესო, ღმერთკაცი ნაწილი ლათინურ-არამეული და სხვა კულტურებისა და აღემატება ყოველ კულტურას, საბოლოოდ მან ახალი კულტურა შექმნა, ახალი დროება დაიწყო. მხარე-სახელმწიფო ანტიოქია და ანტიოქიელები – ესენი პირველი ქრისტიანები იყვნენ, ხოლო მერე მსოფლიოს მოედო ქრისტეს პოეტური სიბრძნე.

ამბობს რუსთაველი პოეზია საღვთოაო, ანუ ქრისტესმიერიაო, ზეცისეულიაო, სიბრძნის დარგიაო იგი, და აქ გრძნობისმიერ სიბრძნეს ანუ ყველაზე უპირველესად ყოვლისა.

ჩვენი აკადემიის გულიც პოეზიაა, პოეტებია.

და კიდეც მოვაწყვეთ სწორედ პოეზიის ზეიმი შემოდგომის იმ დღეს, ოქტომბრის ბოლოს.

დარბაზში ლექსები ათბობდა გულს, ხოლო გარეთ ძალისძალად გაჩახჩახებულიყო, გადანათებულიყო შემოდგომის სუსტი მზე, არამწველი, და ნიავი ხეებზე შერჩენილ უკანასკნელ ფოთლებს ითვლიდა.

სევდიანია შემოდგომა.

მაგრამ შეიძლება სწორედ ამიტომ, შეიძლება სწორედ ამ ნაზი, ფერადი, სიზმარეული მელანქოლიურობის გამო, პოეზიას ძალიან უხდება შემოდგომა, ან – ისინი უხდებიან ერთმანეთს.

პოეზია და შემოდგომა... – მირაჟიზმში (ანუ ზღვარიზმში) ეს ორი რამ ერთად, ერთიანად ირეკლება ხოლმე, ზეცის სარკეც არაა სრული მათ გარეშე, მათი ხელშეუხებელი სიუჟეტების გარეშე...

აკადემიამ მართლაც აკადემიურად დახურა ოქტომბერი. დიდი, უდიდესი ნიჭი გენიაა. არ ვიცი, რამდენად იყო გენიალური ეს დახურვა, თუმცა დასამახსოვრებელი ნამდვილად იყო პირადად ჩემთვის, თანაც მკვეთრად დასამახსოვრებელი...

სერგი ლომაძე

თბილისი. 2018 წელი.

გურამ ჭავჭანიძის პოეზიის საღამო

მამა ამირანი,
გურამ ჭავჭანიძე

ძნელად ნახავთ მეორე პოეტს, რომელიც ასე ზუსტად თვლის, თავის გამოსვლებს, აუდიტორიაზე, ასე მუშაობს მსმენელზე. ამიტომაცაა, რომ გურამ ჭავჭანიძე, რომელიც უკვე ოთხმოც წელსაა გადაცილებული ახლაც ყოველთვის იგებს: იგი იხვეჭს უბევრეს აპლოდისმენტს.

ვის მაგონებს იგი?

კითხვის მანერით, ალბათ, უფრო, იოსებ გრიშაშვილს. მოგეხსენებათ, გრანელამდე, გრიშაშვილ-შანშიაშვილი და „ცისფერყანწელები“ მიიჩნეოდნენ გალაკტიონის მთავარ მეტოქეებად. მერე ზოგი რა შეიცვალა, მაგრამ გრიშაშვილის აჟღერებული მანერა, კითხვისა, და ის, რომ იგი ლექსებს ზეპირად „კითხულობდა“ (ამბობდა), – უამრავ ლექსს ათეულობით წლეების განმავლობაში აღანთებდა მსმენელს. ასეა გურამიც. თან, ისიც „თბილისის ტრუბადურია“. ერთი კი არის: ზოგი ამბობს, რომ გრიშაშვილზე უკეთაც კი წერს ეს „პლეხანოველი“ კაციო. ამას მომავალი განსჯის.

ჩვენს აკადემიაში ბევრმა სხვადასხვა ასაკის ადამინმა გაშალა ფრთები. ბატონი გურამიც, როგორც პოეტი, აქ უფრო გამოჩნდა. მთელი ცხოვრება წერს, თუმცა პოპულარობა ახლა – ათიან წლებში უფრო მოიპოვა, რაც დიდი გულნაზ ხარაიშვილის წრეში მოხვდა, და სწორედ ქალბატონმა გულნაზიმ დაგეგმა გურამ ჭავჭანიძის ეს ბრწყინვალედ ჩატარებული საღამო ოცდაშვიდ ნოემბერს, ლეგენდადქცეული მირზას სახელობის ბიბლიოთეაში (დირექტორი – ქეთი ნიკურაძე).

უცნაური ისაა, რომ ხუთი თანაპრეზიდენტიდან, აკადემიური საბჭოს ლიდერი – თვითონ გულნაზი, პრეზიდიუმში არ დაბრძანდა. ეს, ყველამ, მის თავმდაბლობად აღიქვა (თანაც, მას ადრეც გაუკეთებია ასეთი უცნაურობა), თუმცა მე მაინც მერჩივნა, ჩვენს გვერდით ყოფილიყო. ეს ერთმა ეპიზოდმაც ცხადყო: მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი, ლიდერის თვისებების მქონე პიროვნება ვარ, ერთ ეპიზოდში მაინც გამექცა ხელიდან ღონისძიების სადავეები (წამყვანი მე ვიყავი), და რომ არა ქალბატონი გულნაზის დროული გამოსვლა სცენაზე, არ ვიცი, როგორ განვითარდებოდა მოვლენები. მან სწრაფად დაარეგულირა გარემო, და მერე ისევ დამიბრუნა წამყვა-

ნობა („ღონისძიების თამადობა“). ქალბატონი ლუარა ამჟამადაც ვერ დაესწრო საღამოს, თუმცა სამი სხვა თანაპრეზიდენტი – მამა ამირანი, მე და კახა ბაციკაძე პრეზიდიუმსი ვისხედით. ვიმეორებ: ნამდვილი პრეზიდენტი სხვა მაყურებელთა გვერდით დაბრძანდა (წინა რიგებში), ხოლო მისი ადგილი, ამჟამად გურამ ჭავჭანიძეს დაუთმო პრეზიდიუმში.

საღამოს ესწრებოდნენ: ციური ხუჭუა, ნაირა ნიჟარაძე, ლეილა ვადაჭკორია, ნიკო ბალიაშვილი მანანა ზაზიკაშვილი, ანზორ ჯაფარიძე, სიმონ ზაქარაია (ფაზისის აკადემიის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი), ცნობილი მხატვარი ალექსანდრე ციხელაშვილი, ზურა მამულაშვილი, და სხვანი. მოსული იყო პოეტი ედუარდ უგულავაც, პოეტ ნაირა უგულავასთან ერთად ცოტა გვიან შევნიშნე გერონტი მესხიც...

საღამო ქალბატონმა გულნაზიმ გახსნა და სიტყვა ჯერ მამა ამირანს გადასცა, მერე თემურ გოგსაძეს. ბატონმა თემურმა ფილოსფიური ლირიკა შემოგვთავაზა. მოკლედ, საღამო კარგად დაიწყო. მითუმეტეს, რომ ჩვენი აკადემიის რიგებში მივიღეთ ქალბატონი ნაირა უგულავა, რამაც აამაღლა ისეთად საზეიმო განწყობა.

და აი, საღამოს სადავეები მე გადმომეცა, მე კი გურამ ჭავჭანიძეს გადავეცი სიტყვა.

ბატონი გურამი, როგორც იტყვიან, ლექსებად დაიღვარა. ამდენი ლექსი, ერთ პოეტს, აკადემიის საღამოზე, ალბათ არც წაუკითხავს. ას ტომზე მეტიც, ასზე მეტიც კი შეიძლება დაწეროს კაცმა, მაგრამ საკუთარი ლექსების საჯაროდ წაკითხვა, ასე ძალიან, არ უყვარდეს. თითქოს ცეცხლში გახვია დარბაზიც. ზღვასავით მოვარდა აპლოდისმენტები. პოეტი არც იღლებოდა. პატარ-პატარა შესვენებების შემდეგ ისევ აგრძელებდა ლექსთა ზეპირად თქმას. თან საინტერესო ამბებსაც ყვებოდა. ქართულის გარდა, რუსული ლექსებიც წაიკითხა, მერე ჩუმად გამანდო, – სხვა ენებზედაც შემიძლია წერაო. კახა ბაციკაძემ და ედუარდ უგულავამ შეაქო პოეტი. გურამ ჭავჭანიძემ დაიპყრო დარბაზი. გამომსვლელებმა: მანანა თარაშვილმა, მზიური აფციაურმა, ეკა გოგიაშვილმა, ზურა მამულაშვილმა და სხვებმა გაალამაზეს საღამო. ნიკო ბაღაშვილმა თავისი კლიპი წარმოგვიდგინა, ბატონი გურამის სიმღერაზე რომ გადაუღია თურმე, როცა თავისი დიდებული ბანით (სხვა ხმაშიც ადვილად მღერის) შეასრულა სიმღერა, ესაა ძველი, ლეგენდარული რომანსი.

მოკლედ, ხელოვნების ზეიმი გაიმართა ბიბლიოთეკაში.

რა არის პოეზია? იგი ჭეშმარიტებაა.

პოეზია ყველა და ყველაფერია, უპირველესად კი იესოა პოეზია, რუსთაველია პოეზია... პოეზია ქართველია და პოეზია საქართველოა, ის მშვენიერებაა...

და სწორედ აქ – პოეზიის ქვეყანაში, გურამ ჭავჭანიძემ უამრავი ლექსი ააფრიალა იმ დღეს, შინდისფერი დროშასავით...

რაშია ბატონი გურამის წარმატების საიდუმლო? ბევრ რამეში, უპირველესად კი იმაში, ალბათ, რომ იგი სიყვარულის კაცია და თავმდაბალი კაცია, უაღრესად თავმდაბალი. ეს ის თვისებაა, რომელიც სამწუხაროდ, დღემდე ვერ ვისწავლე სათანადოდ. ბევრთა ტომებზე მეტი მაქვს, უკვე დაწერილი. ეს დიდი რიცხვია, მაგრამ ამათგან ერთიც რომ გადარჩეს, ერთი ტომიც, ესეც დიდი საქმე იქნება. ეგებ არც დარჩეს რაიმე ჩემგან, ჩემი საძმოსგან, და მაინც რამდენჯერმე მითქვამს, რომ სწორედ „ზღვარია“ მსოფლიოს (სამყაროს) ჩემპიონის პოეზიაში (ხელოვნებაში). რა თქმა უნდა, ეს არასწორი პოზიციაა. თავმდაბლობის არქონა დიდი მინუსია, გინდ იცოდე და გინდ არა, თუ „რას იტყვის შენზე შთამომავლობა“. მე, რეალურად, რა ვიცი და რა არა, ეს სხვა თემაა, მაგრამ თავმდაბლობა რომ მეტი მმართებს, მართალია.

გულნაზ ხარაიშვილი, ნიკო ხერკელაძე, გურამ გედევანიშვილი (ფილოსოფიისა და მითოლოგიის დიდი მოყვარული) და სხვანი სწორედ თავმდაბლობით გამოირჩევიან. უნდა იყო პროფესიონალილ სუპერპროფესიონალი, მაგრამ სუპერპროფსაც კი არ უნდა გავიწყდებოდეს თავმდაბლობა..

აი, გურამ ჭავჭანიძეზე ვიტყვი;

ბატონ გურამზე: – იგი შეიყვარეს თვის უბრალოებისა გამო. ძველ თაობას, საერთოდ, ახასიათებდა ასეთი მზისფერი უბრალოება.

მართმადიდებელი ქრისტიანი ქართველი, საერთოდ – ქართველი, თავისი ბუნებით ტოლერანტია. ჩვენ პატივს ვცემთ ყველა ერს, ყველა რელიგიას.

პატრიარქმა თქვა: ღმერთი, სამშობლო, ადამიანი, – ესაა უპირველესიო (აქვე მახსენდება ილიასეული – მამული, ენა, სარწმუნოება), ხოლო ადამიანი რომ შეიყვარო, კაცობრიობა რომ შეიყვარო, შენ თვითონ უნდა იყო ადამიანი, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით.

გურამ ჭავჭანიძე დიდებული ადამიანია, ამიტომაც არის, იგი, დიდებული პოეტი. სულ რომ არ დაეწერა, მაინც კი პოეტი იქნებოდა, მისი გულის გამო, მისი დიდი ადამიანობის გამო და ახლა ხომ, როცა წერს, ორჯერ პოეტია!..

ბოლოს პატარა, მაგრამ გემრიელი სუფრა გაიშალა. მე, კახამ და დარიამ დიდად მოვილხინეთ. სხვები კიდევ უფრო ამაღლებულ განწყობაზე იყვნენ. ერთი კი არის: ქალბატონი ქეთი ნიკურაძე, რომელიც მთელს ღონისძიებას დაესწრო, ფურშეტზე არ გამოჩენილა.

გურამ ჭავჭანიძე, სერგი ლომაძე, კახა ბაციკაძე

ქალბატონი გულნაზი, როგორც ღონისძიების, ასევე სუფრის სული და გული იყო. ამ ადამიანში საუკეთესო თვისებებია როგორც პროვინციელის, ისე ქალაქელის და მთავარქალაქელის. იგი, თან უბრალო, თან დარბაისელი, თითქმის ყოველთვის ყურადღების ცენტრშია.

მოკლედ, სექტემბერ-ოქტომბერ-ნოემბერი გაილია. წინაა მეთორმეტე თვის – დეკემბრის ღონისძიებები.

საერთოდ, ძალიან ხშირად ვფიქრობ და ვწერ პოეზიის შესახებ, თუმცა ამას, ალბათ, არ გაიკვირვებთ: მე ხომ თვითონ ვარ პოეტი...

სერგი ლომაძე.

თბილისი. 2018 წელი. ნოემბერი.

ელიზბარ ხერკელაძისა და თამარ ვარდოშვილის დიდი დღე

ელიზბარ ხერკელაძე და თამარ ვარდოშვილი. ჯვრისწერა.

ნიკო ხერკელაძეს,, როგორც ფილოსოფოს-მხატვარს, მწერალს, წარდგენა არ სჭირდება საზოგადოების წინაშე. ვთვლი, რომ იგი ლეგენდაა, და ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

ბატონ ნიკოს ორი შვილი ჰყავს. მისი ქალიშვილი იტალიაშია გათხოვილი, იქ ზრდის ბავშვს, ხოლო ვაჟმა – ელიზბარ ხერკელაძემ, ახლახანს მოიყვანა ცოლი – თამარ ვარდოშვილი, რომელიც სოფელ მარტყოფიდან არის. მოგეხსენებათ, თუ როგორი თაყვანისმცემელია, ჩვენი ნიკო, ნოსტელი გიორგი სააკაძისა – მარტყოფის უძველესი გმირისა, და სიმბოლურია თითქოს, რომ მისმა ბიჭმა სწორედ მარტყოფელი გოგო შეარჩია თავისი ცხოვრების სამარადისო თანამგზავრად. ამას დავამატებ ერთ ფაქტსაც: გოგოს მეჯვარე, ნინი, გვარად სააკაძე აღმოჩნდა! ამაზედ იტყვიან: გინდ დაიჯერეთ, გინდ არაო! აქვე ელიზბარის მეჯვარეც აუცილებლად უნდა ვახსენოთ – თორნიკე ბეჟაშვილი. აქ სახელზე გავაკეთებ აქცენტს: საქართველოს არამეფე სარდლებიდან ორს გამოარჩევენ უფრორე. ერთია გიორგი სააკაძე, ნიკო ხერკელაძემ რომ გრანდიოზული წიგნი უძღვნა, ხოლო მეორე სარდალი, თანაც, ქრონოლოგიურად, გიორგის წინამსწრები, თორნიკე ერისთავი იყო. აი რატომ გავამახვილე ყურადღება მეჯვარის სახელზე..

ქორწილი ოცდაოთხ ნოემბერს შედგა რესტორან „ანცში“ – ანზორ ჯაფარიძის სამოთხეს რომ ვიცნობთ. მოვიდა ბევრი კარგი ხალხი და მეფური სუფრაც გაიშალა.

როგორც კი საქეიფო დარბაზსი შევედი, იმწამს ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს მოვკარი თვალი – ჩვენი აკადემიის პრეზიდენტს (კიდევ ერთ ლეგენდას). იგი ორ სხვა ქალბატონთან საუბრობდა. ასე გავიცანი, ახლოს, დები ფირანიშვილები: ნათელა და ასმათი (ისინი ადრეც ნანახი მყავდა, თუმცა ნაცნობობა ახლა შედგა). ნათელა მეუღლე აღმოჩნდა ნიკო ხერკელაძისა.

სუფრას მივუსხედით ყველანი და ....

ზღაპარიც დაიწყო, – გაზღაპრდა სივრცე...

აკადემიაში ყველა „პოსტი“ განაწილებული გვაქვს ქალბატონი გულნაზი ლიდერია, მე და კახა ბაციკაძე – პროფესიონალი ხელოვანები (მთავარი ხელოვანები), მე, არცთუ იშვიათად, ღონისძიებათა წაყვანაც, კრიტიკოსობაც, პუბლიცისტობაც, ფილოსოფოსობაც მევალება, ხოლო

აკადემიის თამადად, აკადემიურ თამადად... ო! ასეთად მამა ამირანი არის გამოცხადებული! საოცრებაა, რომ სასულიერო პირია, დღეს, საუკეთესო თამადა! ასეთი რამ მხოლოდ საქართველოში თუ მოხდებოდა!.. მეტსაც ვიტყვი: თუ, ვთქვათ, ჩემი ვერსიით, ხელოვნების მსოფლიოს (სამყაროს) ჩემპიონად „ზღვარი“ ითვლება, თამადებს შორის ასეთივე ჩემპიონის ტიტულს სწორედ მამა ამირანს ვაკუთვნებ. სწორედ მან დაიკავა გულბაათ ჭავჭავაძის, თემიკო ჩირგაძის და სხვათა ადგილი თანამედროვეობაში. ეს კოლორიტული ადამიანი, უმეტესად შავად მოსილი, თეთრი თმაწვერით დამშვენებული, ახოვანი, გამოირჩევა სიტყვით, ენერგიით, იუმორით, სიმღერის საოცარი უნარით და ასე შემდეგ. მოკლედ, ათიდან ცხრა შემთხვევაში, იგი, უბრალოდ, შეუდარებელია. ფიქციაა და უაზრობაა სხვა თამადების მცდელობა, რომ მას სუფრის უფალის ტახტი წაართვან, სუფრის თავში წაართვან ადგილი.

და აი, სწორედ ეს კაცი იყო თამადად ხერკელაძე-ვადოშვილის ქორწილში.

და, შესაბამისად, ყველაფერი იყო უმაღლეს დონეზე.

მე, კახა, ქალბატონი გულნაზი, დები ფირანიშვილები, ერთად ვისხედით, გვერდიგვერდ ჩვენს წინ თამადის მოადგილე იყო – ბატონი ტარიელი (როცა მამა ამირანი წავიდა, უკვე გვიან, თამადობა მან იკისრა).

გაიმართა პურობა.

თამადის სიტყვას მუსიკალური გაფორმება ენაცვლებოდა ხოლმე. მამა ამირანი მთელი დარბაზის მასშტაბით მიმოდიოდა, ამაყად, და ასე არიგებდა სადღეგრძელოებს. მის ძლიერ ხმას მიკროფონი არ დასჭირვებია.

ბევრი დასამახსოვრებელი ეპიზოდი იყო ქორწილში. მე რამდენიმეს გამოვარჩევდი:

ერთი ის იყო, ქალბატონმა გულნაზიმ ლექსი უძღვნა ელიზბარსა და თამარს. ეს იყო ლექსი-დალოცვა. აპლოდისმენტები მყის მოსწყდა ირგვლივეთს. პოეზია, როგორც ზეხელოვნება, მეფურად შემოიჭრა სივრცეში.

თუ სამყარო ყველა და ყველაფერია, ესე იგი, სამყარო ღმერთია და ღმერთი სამყაროა.

ხოლო თუ ღმერთი სიტყვაა, ესე იგი ის პოეზიაა (პოეზია ხომ სიტყვათა ყველაზე პოეტური ხელოვნებაა).

პოეზია ყველას და ყველაფერს მეტობს, – ეს ბევრჯერ მითქვამს.

ამიტომაც ქალბატონი გულნაზის გამოსვლა განსაკუთრებული იყო, – პოეზიის გამო.

მამა ამირანს, იმ დღეს, პოეზიისათვის არ მიუმართავს (თუმცა ლექსები სულაც არაა მისთვის უცხო), მაგრამ სადღეგრძელოებს ერთი სიმღერა დაამატა, სიმღერა მეფე-ღვინის, ანუ კა-

ხური ღვინის შესახებ. ისე მოუხდა ამ სიმღერას თამადის ხავერდოვანი ბანი, რომ სულ გაგიჟდა დარბაზი, იფეთქა აპლოდისმენტებმა.

დამამახსოვრდა ახალგაზრდების ცეკვაც, ძალიან ახალგაზრდა დიჯეის მიერ შერჩეული მუსიკის ფონზე...

მოკლედ, ქორწილსი სამი თუ ოთხი სხვადასხვა თაობის ადამიანნი ვიყავით, და ყველამ მაგრად მოვილხინეთ...

ძალიან ბედნიერი იყო ბატონი ნიკო... ყოვლისმომცველი (ენციკლოპედიური) განათლების ამ ადამიანმა, მთელს თაობებს ჩაუყარა საფუძველი ქართულ ხელოვნებაში, ზოგადად ქართულ აზროვნებაში. სწორედ ასეთი ადამიანების მხრებზე დგას შემდეგი დროის წარმატებები. ვთქვათ, ბრწყინვალე გოჩა ზირაქიშვილი და სხვები და სხვები ბატონი ნიკოს შემდეგ გამოჩნდნენ. ეს შემთხვევითი არაა. ნიკო ხერელაძე (ეს გვარი ხერხეულიძიდან მოდის, მისი ერთ-ერთი განშტოებაა) ისტორიას ქმნის, და ვითარცა ლეონარდო და ვინჩი, ქართველი ლეონარდო, ყველა სივრცეს სწვდება. უსაზღვროა ბატონი ნიკოს პატრიოტიზმიც. მაგალითად: ოცაოთხში რომ შვილის ქორწილი გადაიხადა, ოცახუთში უკვე მიტინგზე იდგა თავისუფლების მოედანზე. მისი მოწოდებით, იქ მეც და კახაც ვიყავით. ასიათასზე მეტი ქართველი გამოვიდა. საერთოდ, მიტინგები, ჩემთვის, უცხო არაა, მაგრამ ასე ანთებული ხალხი იშვიათად მინახავს. მერაბისა და ზვიადის დრო გამახსენდა.

და ოცდახუთიც სუფრით დაგვაბოლოვებინა ბატონმა ნიკომ.

მოკლედ, ეს იყო ნოემბრის დიდებული შაბათ-კვირა.

სტატიის ბოლოს კი, მინდა, რომ მთელი აკადემიის სახელით, დაუსრულებელი ბედნიერება ვუსურვო დიდი ნიკო ხერკელაძის მემეკვიდრის, ელიზბარ ხერკელაძის ახლადშექმნილ ოჯახს!..

სერგი ლომაძე

თბილისი. 2018 წელი. ნოემბერი.

განსხვავება-შენიშვნა

მე, როგორც ჯგუფ „ზღვარის“ ერთ-ერთი ძირითადი წევრი, ვაცხადებ, რომ ზღვარელების მთელს შემოქმედებას, მთელს დანატოვარს, ვუწოდებ „უსაზღვროეთს“ – საერთო სათაურად. ხანდახან ვამბობ „უსაზღვროებასაც“, „უსასრულობასაც“, სხვებსაც, მაგრამ ყველაზე ხშირად მაინც ვამბობ სიტყვა „უსაზღვროეთს“, რომელიც, უფრო, სამყაროს (სამყაროებს) მაგონებს.

მოკლედ, ზღვარელების წიგნებიც, ალბომებიც და ყველაფერი სხვაც უნდა მოექცეს საერთო სათაურის ქვეშ – „უსაზღვროეთი“. ყოველთვის ათასგვარად ვიაზრებ, მათ შორის – სათაურებსაც, მაგრამ აქვე ვიტყვი: ყველაფერი ცვალებადია, და სათაურებსაც, რა თქმა უნდა, შეიძლება შეეხოს ცვლილება.

ჯერ-ჯერობით მაინც, ავირჩიე სიტყვა „უსაზღვროეთი“.

რა იქნება ხვალ, არავინ იცის...

თამარ ჯაჭვაძე

ცრემლისფერი წერილები

ამ თითქოსდა ერთ მთლიანობაში გაერთიანებულ ცრემლისფერ წერილებს ერთმანეთთან ტკივილი აკავშირებს. ისინი სხვადასხვა დროსაა დაწერილი. დიდმა ტკივილიანმა თემატიკამ, განწირული შვილის თემატიკამ, უცნაურად გააერთიანა. რაღაც უცნაური პარალელები გამოიკვეთა, ყოფიერებას და ისტორიას შორის. ისტორიის ტრაგედიებს რომ გვერდი ავუაროთ, დღევანდელობაში ყოფა-ცხოვრებითი ტრაგედიები ისე გახშირდა და გაიოლდა, თითქმის უკვე ვეღარ ვამჩნევთ... რა უცნაური არსებანი ვართ ადამიანები, როდესაც ცხოველებმა შეიძლება თავი მოიკლან ერთმანეთის სიყვარულის გამო, ადამიანის სიყვარულის გამო... ჩვენ კი, გვერდით მდგომი ადამიანის სევდა ვერ დაგვინახია.

სულ სხვა თვალით შეიძლება გადახედო გუშინდელ დღეს, სულ სხვა თვალით შეიძლება ჩაიხედო ადამიანის გულში, როცა რაღაც გიბიძგებს... თურმე რამხელა ამოუთქმელი სიყვარული გიტარებია გულით და რამხელა ტკივილები გქონია, ლამზირა! მალულად, ჩუმად რომ დაატარებდი და შენი ტკივილებით სხვისი შეშფოთება არც გინდოდა. არადა, თურმე გვერდით უფალი გედგა... გვერდით ისეთი ადამიანი გედგა, რომელიც შენ ტკივილებს უხმოდ, უსიტყვოდ იგებდა. აკი, კიდევ ერთი სასწაული გვაჩვენა შენი სულის თანაზიარმა ქალბატონმა გულნაზმა. ათი წელია ცხოვრების ძნელბედობის ჟამს, შენი ვაჟიშვილისათვის მიწერილი ეს წერილი თან ატარა... და დღემდე მოიტანა. მაშინ თვითონაც ბედნიერი დედა იყო, შვილის იმქვეყნად გარდასვლის ეს გაუგონარი ტკივილი ჯერ არ გადაეტანა... და მაინც, რას გრძნობდა, ნეტა, მისი დედური ალღო, მისი მუდამ სხვისი ტკივილით ატკივებული გული?! რატომ ინახავდა ასე სათუთად შენი შვილისეულ ტკივილებს ამ პატარა ბარათში ჩატეულს და რა იცოდა რომ ერთ დღეს ასე მწარე გასახსენებელი გახდებოდა?!

ვინ იცის?!

დღეს, როცა ბედისწერამ კიდევ ერთი დედა გაიმეტა ძაძებისათვის, გადავავლეთ თვალი იმ თურმე ბედნიერ დღეებს, ბედნიერად რომ არც კი მიგვაჩნდა.

ლამზირა შეყილაძე, ჩვენი უსაყვარლესი, უთბილესი, უთქმელი, მოალერსე, ცასა და ქვეყანაზე შეყვარებული, სამშობლოსა და მის ტანჯულ ისტორიაზე შეყვარებული, უშურველად და უზომოდ რომ გასცემდა სულის სითბოს, თბილ სიტყვასა და სიკეთეს, თავად ყოველგვარ სითბოს მონატრული, ვაი, როგორ აგვიტირა ბედისწერამ...

სიკვდილსაც კარგები უნდაო... ასეთი დედის გაზრდილი შვილი ხომ არ შეიძლება სხვანაირი ყოფილიყო. უწყინარი, უპრეტენზიო, უკომფლიქტო... და როგორც ძალიან ბევრი პატიოსანი ადამიანი, ჩვენს ძარცვა-გლეჯია საუკუნეს ვერ მორგებული. მისმა გულმა და ნერვმაც ვეღარ გაუძლო ამ სამყაროს ჯოჯოხეთად ქცეულ რეალობას უსამართლობას და დადუმდა გონი... შეწყვიტა ამაოებასთან ჭიდილი და დაისვენა სხეულმა.

რითი შეიძლება ანუგეშო შვილის დამკარგავი დედა, მითუმეტეს პოეტური სულის ქალი, რომელსაც დიდი კი არა, სულ მცირე წუხილიც ესმის მარტო ადამიანების კი არა, მთელი ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების?!..

რა გითხრათ ლამზირა, შენი ტკივილიანი წერილებიდან გადმოვიხედავ... ერთაწმინდაშიც ამოვა მზე, საქართველოს ტანჯული ისტორიაც გაგრძელდება, შენც დაუწერ შვილს ტკივილიან ლექსებს, ყველა თავის გზას გაუყვება... შენ კი შვილის საფლავზე დამხობილო, ცოცხალო ჯვარო, შენი ტკივილები არასოდეს არ დამთავრდება, სულეთის გზაზეც გაგყვება შვილის ხანმოკლე სიცოცხლეზე დაუამებელი დარდი. შეხედე შენს სულიერ დას, შენს ერთგულ მეგობარს, გულნაზი ხარაიშვილს... თუ გვერდიდან არ გიშორებდა აქამდე, აკადემიის გზაზე გაგიყოლია, საზოგადო მოღვაწეობის გზაზე გაგიყოლია, სიკეთის და სიყვარულის გზაზე გაგიყოლია, ამქვეყნიური ამაოებისათვის რომ გაგეძლო... და ნუ მიწყენ ბევრი რამ გასწავლა შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე, საკუთარი მაგალითის ძალით... ახლა უდროოდ წასულ შვილზე დარდის გაძლება უნდა გასწავლოს, ძვირფასი საფლავის ერთგულება უნდა გასწავლოს, მისი სულის საოხად ფეხზე დგომა უნდა გასწავლოს.

ჩემს თვალწინ კიდევ ერთი საოცრება მოხდა, შენი სახლისაკენ მომავალ მამა ამირანს და მამა მერაბს, შენი ტკივილით გულდამძიმებულ და ხელებაკანკალებულ მამაოებს, თავად ამხნევებდა ქალბატონი გულნაზი; ამქვეყნიური ჯოჯოხეთიდან იმქვეყნიურ განსასვენში მიდიან ჩვენი შვილების სულები და მათთვის ეს ხსნაა და სულის გადარჩენა-ო.

უფრო მჭიდროდ მიეკარი ლამზირა ქალბატონ გულნაზის, თქვენსავით განადგურებული და გულმოკლული ჩვენი ლია ოსიაშვილიც გვერდით დაიყენეთ. ჩაკიდეთ შვილებისგან გაშვებული ხელები ერთმანეთს და ასე ხელიხელჩაკიდებულნი გასწიეთ ამქვეყნიური გზებით, იმ სანუკვარი ქვეყნისაკენ, სადაც საკუთარ თავზე ძვირფასი ადამიანები გელოდებიან.

სად გაგონილა საფლავის სიყვარული?.. მაგრამ იმ საფლავებს, სადაც საკუთარი გულები ჩაასვენეთ, მიხედვა უნდა და სწორედ ესაა ამქვეყნად გაძლების საიდუმლო.

თქვენი სიკეთის ნათელი და თაფლის სანთელი არ მოაკლდეთ თქვენს ბიჭებს!

ლამზირა შეყილაძე

ერთაწმინდაში მზე რომ ამოვა

ბატონ ჯუმბერ ლეჟავას საერთაშორისო, მრავალპროფილიანი აკადემია მის სიცოცხლეშივე დააარსა ქალბატონმა გულნაზ ხარაიშვილმა, რომელიც დღემდე ემსახურება ეროვნულ საქმეს.

ქალბატონ გულნაზის და ჩვენი დიდი, ღირსეული ქართველის, ბატონ ნიკო ხერკელაძის ძალისხმევით, ამავე აკადემიის წევრები წავედით ერთაწმინდაში. გზადაგზა ბატონი ნიკო ხერკელაძე ჩვენი ქვეყნის მოამაგე, ღირსეული ქართველი, დაწვრილებით გვიყვებოდა ბედკრულ გიორგი სააკაძის ომების და უმძიმესი წარსულის, მისი მამულისათვის თავდადების შესახებ.

მე, მწარე ფიქრებში ჩაფლული, ვათვალიერებდი ქართლის ულამაზეს ხედებს, რომლებიც ჩვენი ძმათა სისხლით იყო მორწყული და გაჟღენთილი. თვალწინ დამიდგა სააკაძის ოჯახის და თავგანწირული ქართველების ბრძოლის კადრები... თვალწინ დამიგდა გიორგი სააკაძის მუდამ გვერდით მეომარი, გულმხურვალე ყმაწვილი — ავთანდილი... თვალწინ დამიდგა ყმაწვილობაში შესული ზვარაკი — პაატა და საკუთარი მიწა-წყლიდან, მრავალჯერ გახიზნული, ჩირქმოცხებული, სააკაძის ოჯახი.

გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა, მტკიოდა უსაშველოდ... მტკიოდა ჩემი ტანჯული სამშობლოს აუწონელი ტკივილი... მტკიოდა ის, რომ თავად ქართველი შადიმანები თავიანთი ხანმოკლე ცხოვრების კეთილდღეობისათვის, ასამარებენ სამშობლოს წარსულს, აწმყოს და მომავალს. მოღალატეებად რაცხავდნენ ნამდვილ გმირებს. ამ ფიქრებში მყოფს ბატონი ნიკოს მიერ დაწერილი წიგნიდან (“ცრემლში ნალესი ხმალი”) წაკითხული ისტორიული ფაქტებიც ემატებოდა და გული მელეოდა, მართლა ცუდად ვიყავი, აუწონელ ტკივილს განვიცდიდი. ამასობაში მივედით ერთაწმინდის ძირძველ ტაძარში. ფეხი დავადგი გიორგის ნალოლიავებ მიწაზე. ათასმა ფიქრმა გამიელვა თავში. მოკრძალებით და რუდუნებით ავანთე სანთლები, უფალს შევავედრე ჩვენი ნაწამები სამშობლო, ერი, ბერი და ყველა ჩვენთაგანი. ჩვენი სამშობლოს ბედი ხომ მუდამ სასწორზე დევს და არავინ არ ვიცით რა წუთში რა გველოდება. შემდეგ ჩვენი გმირი პაატას საფლავს დავემხე და ჩავჩურჩულებდი დიდ სატკივარს. ვუყვებოდი დღევანდელ უსამართლობაზე. განა თავადაც უსამართლობის მსხვერპლი არ იყო?! ღაპა-ღუპით ჩამომდიოდა ცრემლები, მინდოდა ყველას გასაგონად მეღრიალა, კმარა ამდენი უსამართლობა, კმარა, მოგვეცით სიცოცხლის საშუალება. მაგრამ ვიცოდი, ვისაც უნდა მოესმინა, ის ყურად არ იღებდა ჩემს ტკივილს, ისევ გულში ჩავაბრუნე და ვგოდებდი.

პაატას, როგორც წმინდანს შევთხოვდი; იმჟამად ჩემი უდანაშაულო პატიმარი შვილისათვის იმ ტალახის მოშორებას, რომელსაც მას აბრალებდნენ და დედა-შვილს გვტანჯავდნენ თავიანთი უთავბოლო მიზნების გამო. ის ციხეში იტანჯებოდა, მე კი სიცოცხლეც აღარ მინდოდა. ხოდა ამ სატკივარს ვეჩურჩულებოდი მხურვალე ცრემლებით.

მივიხედ-მოვიხედე, ჩემი მეგობრები იქ აღარ იყვნენ. გამოვედი ტაძრის ეზოში. გულნაზი ხარაიშვილის მიერ დაგეგმილი გიორგი სააკაძისადმი მიძღვნილი ღონისძიება დაწყებული იყო.

იყვნენ სიტყვით გამომსვლელები. გიორგისადმი და პაატასადმი მიძღვნილი ლექსები წავიკითხეთ და სწორედ მაშინ გააჟღერა ქალბატონმა გულნაზ ხარაიშვილმა აზრი პაატას წმინდანად შერაცხვის შესახებ. იქ დამსწრე საზოგადოებამ ერთბაშად აიტაცა ეს იდეა და მქუხარე ტაშით გამოხატეს თანხმობა. ღმერთმა ქნას და ეს მართლაც მოხდეს, მართლაც შეირაცხოს სამშობლოსათვის ზვარაკად შეწირული პაატა წმინდანად!

შინ დაბრუნებულს თითქოს კვლავ მიხმობდა პაატას საფლავი, კვლავ მიმიწევდა გული და გონება დავმხობილიყავი და მეღვარა გულწრფელი ცრემლი. ამგვარ განცდაში გავიდა რამოდენიმე ხანი. კვლავ ცხოვრებისეულ ჭაპანწყვეტაში დადარდიანებული ტელეფონის ზარის ხმამ გამომაფხიზლა.

– დედა, სადა ხარ? – მესმის ჩემი შვილის გახარებული ხმა.

– შვილო, სახლში ვარ, ამას თუ ყოფნა ჰქვია...

– დედა, სახლში იყავი, მოვდივარ, გამანთავისუფლეს!

სიხარულის ცრემლები მცვიოდა, შვილს ველოდებოდი და გულში ჩავიკრავდი. არადა წინა დღეს შეხვედრაზე ვიყავი ციხეში. მაშინ არც მან იცოდა, რომ გაანთავისუფლებდნენ, და არც მე. ასე მოულოდნელად მოხდა ჩემს ცხოვრებაში სასწაული ეს ღმერთის და პაატას სულის შემწეობით.

ან წერილს 10 წელიწადი ვინახავდი, ახლა დღეებიღა დარჩა მალე 2019 წელი შემოაღებს კარებს. წერილზე თვე, წელი და რიცხვია მითითებული. რატომ ვინახავდი არ ვიცი, ალბათ, ამ დიდი ტკივილისთვის? ... ვინ იცის?

რედაქტორი

შვილო ალიკა!

აღარ ვიცი რა ვიმოქმედო, თავზარი დამეცა ამ ამბით, თავში აურზაური მაქვს.

ისიც აღარ ვიცი რა გითხრა, ამას ნამდვილად არ მოველოდი... როცა გული დავიმშვიდე, სწორედ მაშინ დამეცა მეხი...

ვისთანაც ამ საქმეზე ვიყავით, იმედი ვერავინ მოგვცა. ნაწილობრივ დამნაშავე კი ხარ, მაგრამ ოთხი კედლისთვის არ მემეტები...

ეხლა, როგორც არასოდეს ისე უნდა მოიკრიბო ძალა და მხნეობა, რომ ცხოვრების სიმკაცრეს გაუძლო. ჩემთვის გააკეთე ეს, გთხოვ!

მთხოვდი ხოლმე ლექსი დამიწერეო, განა ყოველი ლექსი შენი არ ოყო?!

გიწერ და ახლა მაინც შეიმეცნე ის, რაც აქამდე ვერ გაიგე.

* * *

ნუ შეგაშინებს ცრუთა სიყალბე
და ალმაცერად ყურება ბედის,
გზების სიმრავლე და ზღვის სიდიდე...
მუდამ გჯეროდეს მაღალი ღმერთის.

ნუ შეგაშინებს ზამთრის სივივე
და დღეთა რბოლა ქარიშხლიანი...
ვისიცა გჯერა და ეფერები,
სწორედ ის გწირავს, ადამიანი!

ნუ შეგაშინებს ნოემბრის სევდა,
გაალმასება მშიერი მხეცის,
არ შეგეშინდეს თვით სიკვდილისაც,
გწამდეს, გჯეროდეს მაღალი ღმერთის!

19 / X 2009 წელი

ლამზირა შეყილაძე

თამარ ჯაჭვაძე

სასყვარელი სასფლავები

მზის გულზე მიმჯდარი მოხუცივით მარტოა და მდუმარე, სასაფლაო. ქართველი კაცი ისე აწყობს სასაფლაოს, რომ დილის პირველი მზის სხივი იმ ბორცვსა თუ გორაკს ხვდება, მერე ჩამოინაცვლებს ცოცხალთა სამყაროსაკენ.

ამ ბოლო დროს, საქართველოში სასაფლაო მეტისმეტად გაახალგაზრდავდა. შემოივლი დიდი ქალაქების თუ პატარა სოფლების საგოდებლებს და შეგზარავს იმდენი ახალგაზრდა, ნორჩი თვალები შემოგყურებენ ქვაში სათუთად ჩასმული სურათებიდან... და გაზაფხულზე, განსაკუთრებით აღდგომის დღეს, იმდენი შავკაბიანი დედის გულისმომკვლელი გოდება ისმის: შვილო ირაკლი, შვილო გელა, შვილო დათო... შეგზარავს და სიკვდილ-სიცოცხლის რაობაზე დაგაფიქრებს... წუთისოფლის ამაოებაზე დაგაფიქრებს.

არსად არც ქალაქად და არც სოფლად არც ერთი ეზო ისე სათუთად მოვლილი და ნალოლიავები არაა, როგორც სასაფლაოს პატარა მიწის ნაჭერები. ამ მოვლილ-მოკრიალებულ სამყაროს სწორედ ის ანდამატი აქვს რასაც სიყვარული ჰქვია და რასაც ვერც კი ვაცნობიერებთ ჩვენი ქაოსური ცხოვრებით თავბრუდახვეულნი, ამაოების წიაღში გადაშვებულნი, ცოცხალნი, ამ სიცოცხლის დარდითა და ტკივილებით სავსე დღეებში... მარგამ უეცრად შევდგებით სიკვდილის პირისპირ და ყველაფერი უფასურდება, რასაც ამქვეყნიური ამაოება ჰქვია. ყველაფერი უფასურდება მაშინ, როცა დედის სიმწრით ჩალურჯებულ ბაგეს აღმოხდება კივილი: ვაიმე... დედა მოგიკვდეს, შვილო!

შვილმკვდარს ვერ ვიტყვი, ძალიან მწარე სიტყვაა, რამდენი შავკაბიანი დედაა ჩვენ სამეგობროში... გელას ტკივილი ჯერ ოდნავაც ვერ მიგვევიწყებინა, დათოს ტკივილი მოგვემატა, ირაკლის ტკივილი... და არა მარტო ჩვენი სამეგობროს, თითქმის მთელი საქართველოს ახალგაზრდა დედების ტკივილი...

შორი გზებიდან შემოვხაროდი ჩემ უახლოეს მეგობარს, ყველასათვის საყვარელ ადამიანს და ნიჭიერ პოეტს ლამზირა შეყილაძეს... მიუხედავად ჩვენი ეკონომიური კრიზისით დაღდასმული ცხოვრებისა, მიყვარდა მისი მუდმივად მოწესრიგებული გარეგნობა, მისი შენართება, ღვთისა და ადამიანის სიყვარული, როგორ უხდებოდა სცენას მისი სიხარულისფერი სამოსი, მისი სიკეთით და სითბოთი სავსე ღიმილი და ლექსი!

ახლა?

შენს თბილ და ალალ გულში ჩასახუტებლად მოვიჩქაროდი, ჩემო ლამზირა, როცა ტელეფონის ზარმა შემზარავი ამბავი მაცნობა, ტირილნარევი ხმით რომ მითხარი; ცუდად ვარ, ბიჭი მოწევს რეანიმაციაში-ო.

სამი კვირა გვეშინოდა შენს სამეგობროს ყოველი დილის გათენების, სამი კვირაა ლოცულობს მთელი ჩვენი აკადემია, სასულიერონი თუ საერონი... ეკლესიაში თუ სახლში, ხმამაღლა თუ ჩუმად და მალულად...

– არ გამიშვა, შვილო, ხელი, არ მიმატოვო- ისევ ისმის დედის დუმილში ამოკივლებული სიტყვები...

ამქვეყნიური უსამართლობითა და ამაოებით დაღლილმა შვილმა კი, გაუშვა ხელი დედის გათოშილ თითებს და... ეს ფიზიკური ხელის გაშვება სულის მარადიულ მიჯაჭვულობაში გრძელდება. აკი განუგეშებენ შენი შავკაბიანი მეგობრები, განუგეშებს ბერმუხასავით გაკაჟებული და ოთარაანთ ქვრივივით ძლიერი დედა – გულნაზი ხარაიშვილი, – არსად არ მიდიან ჩვენი საყვარელი ადამიანები, ისინი ჩვენთან არიან, თავს დაგვტრიალებს სული და სიცოცხლის გაგრძელების ძალას გვაძლევს... ეს ჩვენ ვერ ვხედავთ, ჩვენი ახლომხედველი გონებით!

ალიკა, შენი სულიც აქ არის, დედის გვერდით, გააძლიერე დედაშენი, არ გაუშვა ხელი, მთელი ცხოვრება თქვენთვის, შვილებისათვის ტანჯვა გამოვლილ, მარტოხელა დედას...

სამი კვირა თავს დაგტრიალებდა და როგორც არასდროს, ისე გეფერებოდა და ევედრებოდა უფალს დაეტოვა შვილი ამ დროებით წუთისოფელში...

უფლის სასწაულებს ვერასოდეს ჩასწვდება მოკვდავი ადამიანი. ვინ იცის რამდენი ტკივილისაგან იხსნის უფალი თავისთან მიხმობილ შვილებს, აქ დარჩენილნი კი, მოვალეობის მოხდის ტყვეობაში მყოფნი მივეტირებით საკუთარ ტკივილებს. ამ სამზეოს დროებით შეჩერებული ადამიანია ცოდო... და მაინც, ადამიანებს ადამიანური კანონზომიერება სჭირდებათ ეს დედის ვალია, წავიდეს და საკუთარი ძვლებით გაუთბოს საფლავის მიწა შვილს, როგორც ბავშვობაში გაყინულ-გათოშილ ზამთრის ღამეებში ლოგინს უთბობენ დედები შვილებს საკუთარი სხეულით.

როგორ ყვარებიხარ, ჩემო ლამზირა შენს ალიკას! ამ ამაოებით სავსე ქვეყანაში ვერ მოგეფერა, ვერ შეგიმსუბუქა ამქვეყნიური ცხოვრება და აგერ საფლავის მიწის გასათბობად წავიდა. წავიდა რათა იმ სამზეოში მიუხაროდეს შენი პოეზიით სავსე სულს, ძვირფასი ადამიანებისკენ მიუხაროდეს, შვილთან შესახვედრად მიუხაროდეს!.. გულმოკლული დედისათვის ხომ ამქეყნიური ნუგეში არ არსებობს. ლამზირა, შენც უკვე ვინ იცის რამდენი ადამიანივით გულდაწყვეტილი იტყვი, სიკვდილის კი არ მეშინია მენატრება სიკვდილი, იქით უფრო მეტი ძვირფასი ადამიანი მელოდებაო.

ჩვენ კი, ამქვეყნიური ამაოებით გართული ადამიანები აგიტირდებით, როცა ერთ დღეს ისევ დადგები სცენაზე, შენი მწარე სულის ტკივილებს წაგვიკითხავ და... შენი წითელი მოსასხამის მაგიერ ბინდისფერი ძაძები გეხვევა დარდიან სხეულზე....

ჩვენ უბრალოდ მოკვდავი ადამიანები ვართ, ამქვეყნიური პაწაწინა დარდით და უმნიშვნელო ტკივილებით სავსენი და ყველას გვავიწყდება, რომ ყველაფერი წარმავალია, ერთადერთი სულის მარადიულობაა მარადისი.

ალიკა, ჩვენი საყვარელი მეგობრის დიდო ტკივილო, ჩვენო საერთო ტკივილო, გზა მშვიდობისა, მარადისობის საუფლოში! ვიცი, შეხსენება არ სჭირდება შენს სულს, მაგრამ მაინც ვევედრებით ხელი არ გაუშვა დედის აგოდებულ სულს, გააძლებინე ამ პაწაწინა წუთისოფელში, შენი ცოცხალი ძეგლი იყოს მისი სხეული... ვიდრე მარადისობის გზაზე არ წამოგეწევა დედის თვალცრემლიანი სული.

ალიკა, დათო, ირაკლი, გელა, ბეჟან... ბიჭებო, ჩვენი სამეგობროს საერთო ტკივილებო, უფალს შეავედრეთ, შეაცოდეთ ყველა დედა დედამიწაზე, აწი მაინც, არცერთ დედას აღარ ასწავლოს ეს ერთი, ყველაზე დიდი ტკივილი.

გზა მშვიდობისა... გზა ნათლისა და სიმშვიდისა, ალიკა!



სიმონ ზაქარაია

ავღანეთისა და აფხაზეთის ომების გმირის გოდერძი ზაქარაიას ცხოვრების ტრაგიკული დასასრული



„ღმერთისა და სამშობლოს ერთგული ვაჟკაცის სიცოცხლე ასე ტრაგიკულად არ უნდა მთავრდებოდეს“.

ნაწყვეტი წიგნიდან
„ბედის ირონია“

არიან ადამიანები, რომლებიც ამ წუთისოფელშიც ჯუქურ ებრძვიან რიგითი ადამიანებისათვის თითქმის გადაულახავ ცხოვრებისეულ სიმაღლეებს და ამით უკვდავყოფენ თავიანთ თავს. მართალია, ასეთი გამჭრიახი, გაბედული, უშიშარი და ძლიერი ადამიანები ძალიან ცოტანი არიან, მაგრამ საბედნიეროდ ისინი ყველა ეპოქას ახლდათ და არც მომავალი იქნება დაცლილი მსაგვსი ნოვატორებისაგან. ისინი ხომ გზამკვლელევი არიან და ხშირად სტიმულის მიმცემი უკეტესი მერმისისათვის ბრძოლისაკენ.

ვფიქრობ ასეთ თავგანწირულ, უკომპრომისო მებძოლთა შორის იყო გოდერძი ზაქარაიაც, რომლის დასტურია, მის მიერ ცხოვრებაში განვლილი გზის მონაკვეთი. ამასთან ერთად გოდერძი იყო მეტად გულთბილი, თავაზიანი, ადამიანის მოსიყვარულე, მეგობრული და საიმედო.

გოდერძის უცნაური ბავშვობა

გოდერძი ზაქარაია დაიბადა 1967 წელს, გალის რაიონ სოფელ ზემო ბარღებში, აფხაზეთის ასსრ. იგი დედ–მამის ხუთი შვილიდან ყველაზე უფროსი იყო. ჰყავდა ერთი ძმა და სამი და. ოჯახში გოდერძის დაბადება დაემთხვა იმ პერიოდს, როცა ქართული ფილმი „ჯარისკაცის მამა“ დიდი ტრიუმფით გადიოდა მაშინდელ საბჭოთა რესპუბლიკების კინოეკრანებზე. გოდერძის მამა, შოთა 5–6 წლის ყოფილა, როცა მისი მამა, ორი ბიძა და მამიდაშვილი დიდ სამსმულო ომში წაუყვანიათ და ისინი ქერჩში როგორც ათიათასობით ქართველი, ბრძოლის ველზე დაეცა. თვითონაც სამი წელიწადი იმსახურა შუა აზიის რესპუბლიკებში. ყველაფერი ზემოთქმულიდან გამომდინარე, სამამულო ომის მონაწილე და დაღუპულ მეომართა პატივსაცემად, განსაკუთრებით კი ყველა ქართველი ოჯახისათვის საყვარელი გმირის გოდერძი მახარაშვილის ღირსახსოვრად შოთამ თავის უფროს შვილს გოდერძი დაარქვა. მაშინ მამამ რა იცოდა თავისი შვილის ცხოვრების ბედი ტრაგიკული გმირების მსგავსად წარიმართებოდა.

მაინც რაში გამოიხატებოდა ბავშვობაში გოდერძის უცნაური ხასიათი და ქცევები? უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახში გოდერძი სხვა ბავშვებისაგან არაფრით არა გამოირჩეოდა, სკოლაში სწავლასა და სპორტში აქტიური იყო, მისი უმცროსი ძმა გივი მე–9 კლასის მოსწავლე იყო, როცა ის როგორც პერსპექტიული მზარდი ფეხბურთელი სამტრედიის „ლოკომოტივის“ გუნდის ძირითად შემადგენლობაში შეიყვანეს, მაშინ „ლოკომოტივი „ უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა.

გოდერძი ხუთი წლისაც არ იყო, როცა იგი ნადირობაზე ოცნებობდა, მას უცნაური აზრი უტრიალებდა თავში, როდის გავიდოდა ტყეში თოფით ხელში, არადა მაშინ თოფის სიმაღლეც არ იყო. ჩემი აზრით გოდერძის ასე ნაადრევად გატაცება მონადირეობაზე, ორი ფაქტორით მაინც იყო განპირობებული: პირველი — იგი თავის სახლში ხედავდა მამამისის ნაირგვარ სანადირო თოფებს, მონადირე ძაღლებს. ხედავდა, თუ როგორ იტენებოდა ტყვია–წამლით გილზები, ესმოდა მამისა და მისი მეგობარი მონადირეების საინტერესო საუბარი მონადირეთა თავგადასავალზე და სხვ. მეორე — სოფელი, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ თავისი ადგილმდებარობით უნიკალური იყო წვრილი ნადირის გასამრავლებლად, სადაც მომრავლებული იყო კურდღლები, მელიები და ტყის ფრინველები. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ სოფელს ორი მხრიდან ესაზღვრებოდა ჩაის თვალუწვდენელი პლანტაციები, ხოლო მათ გასწვრივ იყო საშუალო სიმაღლისა და სიხშირის ტყეები. მოსახლეობა კი კონცენტრირებული იყო ცალკე იზოლირებულად. საკმაოდ მომრავლებულ ტყის ბინადრებზე ხშირად ნადირობდნენ სკოლის მოსწავლეები და ახალგაზრდები. (საუბედუროდ ახლა

ამბობენ, რომ უპატრონო სოფელებში ტყემ ჩაყლაპა ხსენებულ წვრილ ნადირებთან ერთად ამჟამად ტყეები გავსებულია ტურებისა და მგლების ხროვით.) განსაცვიფრებელი იყო ის, რომ ხუთი წლის გოდერძიმ ხუნდებით დაიწყო მელიებისა და კურდღლების დაჭერა, იგი საკმაოდ სწრაფად დაოსტატდა ამაში. სოფლის მოსახლეობა გაოცეული იყო პატარა გოდერძის დიდკაცური მოქმედებებით. თუმცა მან მალე აიცრუა გული ხუნდებით კურდღლებისა და მელიების დაჭერაზე. ერთ მშვენიერ დღეს არავის დაუკითხავად მოკიდა ხელი მამის ორლულიან თოფს და სანადიროდ გავიდა. მან ახლომახლო ტყეები მოიარა და რამდნიმე ფრინველი და ერთი კურდღელი მოიტანა საღამოს. მაშინ მამამ დაუწუნა დაუკითხავად სანადიროდ წასვლა და გაუწყრა კიდეც, შემდეგ თოფი და ტყვია–წამალიც გადამალა, თუმცა ამას მალე უსიამოვნო შედეგი მოჰყვა ოჯახში, გოდერძიმ ნიშნად პროტესტისა თავი კინაღამ ჩამოიხრჩო, ეს იყო და ეს. მამამ თავის პატარა შვილს მისცა თავისუფლება, რომ ისე მოქცეულიყო როგორც თვითონ მოისურვებდა, რადგან მან ბრწყინვალედ იცოდა და აღქმული ქონდა შვილის შინაგანი ბუნების თავისებურება. გავიდა რამდენიმე თვე, გოდერძი დამშვიდდა. ერთ დღეს გოდერძი მამას თხოვს თოფს და მონადირე ძაღლს, რომ სურს სანადიროდ წასვლა. ბატონმა შოთამ გოდერძის ყველაფერი გაუმზადა სახვალიოდ, თუმც არ უკითხია რომელ მხარეს მიდიოდა. მეორე დილით ადრე გოდერძი მამის ორლულიანი თოფითა და დატენილი გილზებით ძაღლითურთ სახლიდან გავიდა. გოდერძი იმ საღამოს სახლში არ დაბრუნებულა. რა თქმა უნდა ოჯახის წევრები და განსაკუთრებით დედა ძალიან აღელვებული იყო. მამა ყველას აწყნარებდა – მე ვიცი ჩემი შვილი პატარაა, მაგრამ ის ისეთი გამჭრიახი და ჭკვიანია, არც ნადირი შეჭამს და არც ჭაობში ჩაიხრჩობაო. ის ადგილი, სადაც გოდერძი ლამობდა სანადიროდ წასვლას, ეს იყო სოფლიდან 25–30 კილომეტრით დაშორებული. იგი დასავლეთ საქართველოში ერთ–ერთი ყველაზე უღრანი და დაბურული ტყედ იყო ცნობილი, რომელსაც ნაკარ–ღალი ეწოდებოდა, ქართულად ნიშნავს მწყემსების სადგომს. ტყე დასერილი იყო ღელეებით, რომლებიც ზღვას არ უერთდებოდა, ამიტომ ისინი მოზრდილ წყალსაცავებად იყო გადაქცეული. ამ საცავებში დიდი ზომის თევზები ბინადრობდა. იყო შემთხვევა, როცა მონადირეებს 2 მეტრი სიგრძის ღლავი მოუკლავთ თოფით. გადმოცემით აღნიშნულ ტყეში ბინადრობდა ლომებისა და ვეფხვების გარდა თითქმის ყველა სახის მტაცებელი, ჩლიქოსანი და რქოსანი ცხოველები. ხშირი იყო როგორც ადგილობრივი, ისე უამრავი გადამფრენი ფრინველები. გადმოცემით ამ გაუვალ უღრან ტყის შესახებ მრავალი ლეგენდები არსებობდა, რომ ადრე ამ ტყეში ვითომც ველური — ტყის კაცები ცხოვრობდნენ. ეს ყველაფერი გოდერძის ბავშვობაში თავისი ყურით ჰქონდა მოსმენილი. ჰოდა ახლა უკვე მან თავისი ოცნება აიხდინა, ამ უღრან ტყეში იმყოფებოდა. იქ მას არავინ შეხვედრია. შიშზე არც კი უფიქრია. ტყეში საღამო დროს მან მონახა შედარებით უსაფრთხო ადგილი, სადაც მონადირეთა ნაკვალევი ემჩნეოდა, იგი ზურგის მხრიდან კარგად იყო დაცული, ხოლო თოფი მარჯვედ ჰქონდა ხელებში, მთელი ღამე არ დაუძია, რათა გაუთვალისწინებელი საფრთხე არ შექმნოდა, ის ფხიზლად ელოდა გათენებას, როცა თითქმის ყველა ნადირი გამოდის თავისი სამალავიდან. და მან არც ისე შორს შეამჩნია რამდენიმე გაველურებული საქონელი, რომლებიც უშიშრად ძოვდა ბალახს, ზოგი კი ბუჩქების ტოტებს. მე შემეძლო მიპარვით ერთი მათგანი მაინც მომეკლა, ამბობს გოდერძი, მაგრამ მე ეს არ გავაკეთე, თქვა მან, რადგან მისი არც გატყავება შემეძლო და არც ხორცის წამოღება. მას ნადირი შეჭამდა ან კიდევ ტყეში დალპებოდა.

გოდერძი, მისი თქმით ტყის სიღრმეში არ შესულა, იმდენად იყო გზები გაუვალი და დახლართული, რომ უკან გამოსვლა გაუჭირდებოდა.

აი ასე, იწრთობოდა ჩვენი გოდერძის ბავშვობა.

გოდერძის მე ვეძახოდი ჩკალოვს და არც ისე უსაფუძვლოდ. მე არც მაინტერესებს ვინ რას იტყვის ასეთი შედარებისათვის, მაგრამ მის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე, მისთვის რომ შეგვექმნა სათანადო აღზრდის პირობები იგი ბევრ წარმატებებს მიაღწევდა ყველაზე რთულ დარგშიც კი. გოდერძის განსხვავებული ხასიათები ბავშვობიდან ფორმირდებოდა, იგი ბრწყინვალე მახსოვრობის მქონე იყო, მოსიყვარულე, კეთილი ბუნების ბავშვი. იგი ბავშვობიდან ქმნიდა აზროვნების დამოუკიდებელ ავტონომიის საკუთარ სივრცეს, მუდამ საკუთარი აზრის დამცველი და გამტანი იყო, რადგან ყველაზე რთულ პირობებშიც კი მის მიერ ნააზრევში იგი გრძნობდა უპირატესობას, გათვლის სისწორეს, რაც პრაქტიკულად არა–ერთხელ დაუმტკიცებია. მისი მეგობრების დახასიათებით გოდერძი ომებში იყო გულადი, უშიშარი, ალღოიანი, რაც მუდამ გადარჩენის საწინდარი იყო. ის ძლიერი ტრამვების დროს ტკივილებს ჩუმად იტანდა. მან თავისი აზრების დახვეწა 5–6 წლიდან დაიწყო და მას მისი ცხოვრების ყველა ეტაპზე ცეცხლის ქურაზე აწრთობდა. მას შეძლო საათობით მოესმინა თანამოესაუბრებისათვის, მაგრამ ბოლოს თავის მოსაზრებას ისე ჩამოაყალიბებდა, რომ მსმენელი გაოცებას ვერ მალავდა.

გოდერძი ზაქარაია ავღანეთში ომობს

გოდერძიმ 18 წლისამ დაამთავრა გალის რაიონის სოფ. ბარღების საშუალო სკოლა და იმავე წელს გაიწვიეს საბჭოთა კავშირის სავალდებულო სამხედრო სამსახურში. გალის სამხედრო კომისარიატში იგი ჩაწერეს წვევამდელთა იმ ნაკადში, რომელიც შუა აზიის რესპუბლიკების მიმართულებით მიჰყვადათ. მაშინ ყველა წვევამდელის მშობლებისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ ის ახალგაზრდები, რომლებიც შუა აზიის მიმართულებით მიჰყავდათ, მათი უმრავლესობა ინტერნაციონალის მეომრის იარლიყით ავღანეთის სახალხო რესპუბლიკის კონფლიქტურ ზონაში გადაჰყავდათ. ამ აუღებელ ქვეყანაში დაპირისპირებულ მხარეთა უაზრო ბრძოლაში ორივე მხარეს ათასობით მეომარი იღუპებოდა. განსაკუთრებით 1985 წლიდან ავღანეთში მოსამსახურე ჯარისკაცთა შორის იმატა კავკასიელთა რიცხვმა. ამასთან ერთად გახშირდა ავღანეთიდან საქართველოში დაღუპულ მეომართა ჩამოსვენება სპეციალური ცინკის სასახლეებით. დაღუპულ მეომართა გაუბედურებულ მშობლებს სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე უფლებაც არ ჰქონდათ ცინკის სასახლეები თუ ყუთები გაეხსნათ და თავისი მონატრებული შვილის ცხედრისათვის უკანასკნელად მაინც თვალი შეევლოთ. უფრო მეტიც, მოარული ხმებით ცინკის გერმეტულად შედუღებულ სასახლეებში თუ ვინ იყო და რა იყო მოთავსებული, არავინ იცოდა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ იმ პერიოდში (1985–89 წწ.) საქრართველოს სამხედრო კომისარიატებში წვევამდელ მშობელთა დიდი უკმაყოფილება სუფევდა, ამიტომ ყველა მშობელი, რომელთა შვილებს კომისარიატში გამოიძახებდნენ, ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ისინი ჯარში არ გაეშვათ, ან ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებში მოეხვედრებინათ, ან კიდევ რუსეთის რესპუბლიკაში ემსახურათ.

უნდა აღინიშნოს, რომ სომხეთის რესპუბლიკაში აბუნტებულმა მშობლებმა რამდენიმე კომისრის სიცოცხლე შეიწირა, მაშინ იქ პროტესტმა ფართო მასშტაბი მიიღო. სწორედ ამიტომ იმ პერიოდში სომეხი ახალგაზრდების სამხედრო სამსახური ავღანეთში შეჩერებულ იქნა!

გოდერძის მამამ, შოთა ზაქარაიამ, ყველაფერი იღონა, რომ შვილი რუსეთის ტერიტორიაზე მომსახურეთა სიაში მოეხვედრებინა. მაგრამ მოხდა ისე, რომ ნაკადი, რომელშიც გოდერძი იმყოფებოდა, სპეციალური მატარებლით ერთი კვირის მგზავრობის შემდეგ ტაშკენტში ჩაიყვანეს.

— ტაშკენტში ამბობს გოდერძი, — თითქმის ერთი თვის მძიმე და შეუწყვეტელი წვრთნის შემდეგ, ჩვენი ბიჭების უმრავლესობა მხედრულ დავალებებს თითქმის უნაკლოდ ასრულებდა. მისი თქმით, ყველა მათგანი რეალურად გრძნობდა, რომ მათ ამზადებდნენ განსაკუთრებული სიტუაციისათვის, და ეს მოსაზრება რამდენიმე კვირაში განხორციელდა კიდეც. ბატალიონი, სადაც გოდერძი მსახურობდა (ძირითადად ქართველები და აფხაზები იყო) უკლებლივ ავღანეთის ტერიტორიაზე გადაიყვანეს, მცირე ხნით ქაბულში შეაჩერეს, ხოლო შემდეგ სხვადასხვა დროს მსახურობდნენ ხაირატონში, პულიხუმრიაში, კუნდუსში, ქალაქ მეიმენესტან ახლოს მაზარის შარიფში. ავღანეთის მიწაზე ჩვენი ფეხის დადგმიდან 2 წლისა და 8 თვის განმავლობაში მსახურობის პერიოდში — იხსენებს გოდერძი, ყველა ჩვენთაგანს ერთნაირი და უცვლელი შთაბეჭდილებები გვედგა თვალწინ, განსაკუთრებით კი საქართველოს წალკოტი ბუნების შვილებისათვის ეს იყო საზარელი ქვეყანა, თავისი გარემო პირობებით, მოსახლეობის ცხოვრების დონით, მათი ადათ–წესებით, გარეგნული ფორმითაც კი. პირველი რაც შევიტყვეთ ამ უდაბურ ქვეყნის კიშლაკებში (სოფლებში) ის იყო, რომ აქაური მაცხოვრებლები თავიანთ ქალიშვილებს ტანს ბანენო პირველად მაშინ, როცა დაიბადებიან და მეორეჯერ როცა თხოვდებიან!

ავღანეთის მთელ ტერიტორიაზე ერთმანეთის დაშორებით სტრატეგიულ ობიექტებზე იდგენენ საბჭოთა შეაიარაღებული ჯარების მე–40 არმიის ბატალიონები.



СОЮЗ СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК

ВОИНУ-ИНТЕРНАЦИОНАЛИСТУ

ПРЕЗИДИУМ ВЕРХОВНОГО СОВЕТА СССР
ЗА МУЖЕСТВО И ВОИНСКУЮ ДОБЛЕСТЬ, ПРОЯВЛЕННЫЕ ПРИ ВЫПОЛНЕНИИ ИНТЕРНАЦИОНАЛЬНОГО ДОЛГА в Республике Афганистан,

Указом от 28 декабря 1988 г. НАГРАДИЛ

Закараиа Годердзи Шотаевича

Грамотой Президиума Верховного Совета СССР
ВОИНУ-ИНТЕРНАЦИОНАЛИСТУ.

Председатель Президиума Верховного Совета СССР

Секретарь Президиума Верховного Совета СССР

Москва. Кремль. 28 декабря 1988 г.

გოდერძი ზაქარაიას ჯილდო

გოდერძი კატასტროფას გადაურჩა

ავღანეთში ყოფნის 2 წლისა და 8 თვის მანძილზე ყველაზე უფრო საინტერესოდ ერთი დღე მიმაჩნდა — თქვა მან, იმ დღეს 20 წლის გავხდი, ხოლო ავღანეთში ჩემი ყოფნის 2 წელი შესრულდა. რა თქმა უნდა, მე და ჩემი მეგობრები ვაპირებდით დაბადების დღის აღნიშვნას, მაგრამ ეს ასე არ მოხდა - გულდაწყვეტილი იგონებს გოდერძი. დილით 9 საათზე შტაბის უფროსი ოფიცერი იბარებს რამდენიმე ჯარისკაცს და მათ შორის გოდერძი ზაქარაიას, მათ აძლევს მორიგ საბრძოლო დავალებას. ერთი საათის შემდეგ გოდერძი და მისი თანამებრძოლები შვეულმფრენში ისხდნენ გარკვეული საიდუმლო ტვირთით იგი უნდა გადაეტანათ წინასწარ განსაზღვრულ სტრატეგიულ ობიექტზე. ერთი საათის ფრენის შემდეგ, დაშვებამდე რამდენიმე წუთით ადრე, ავღანელმა პარტიზანებმა მათ ვერტმფრენს ცეცხლი გაუხსნეს და სერიოზულად დააზიანა. მაშინ ერთხელ კიდევ დამენანა ჩემი და ჩემი მეგობრების სიცოცხლე და დავგმე ჩემი საქციელი, რომ მოხალისედ მიმეჩქარებოდა იმ ღმერთისა და კაცისაგან განწირულ, უსიცოცხლო მიწაზე -– ამბობდა გოდერძი. მისი თქმით, იმ პერიოდისათვის, იმ უაზრო, აგრესიულ ომში საკმაოდ დიდი გამოცდილება ქონდა მიღებული და ცხოვრებაში უფრო ჩახედული ახალგაზრდა გახდა. მას ძალიან ენანებოდა თავისი დედ-მამა, რომლებიც ყოველდღე დაჩოქილები ლოცულობდნენ მასზე და შესთხოვდნენ უფალს მის ცოცხლად დაბრუნებას. დაზიანებული თვითმფრინავით გოდერძი და მისი თანამებრძოლები აეროპორტში დაეშვნენ, სადაც მეხანძრეებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების ძალისხმევით ვერტმფრენი აფეთქებას გადაარჩინეს, ხოლო მეომრები კი დაღუპვას.

გოდერძი აფხაზეთის ომში

გოდერძი აფხაზეთის ომში პირველი დღიდან ჩაება, რა თქმა უნდა, ის თითქმის სამი წელი იბრძოდა ავღანეთში და იმ პერიოდისათვის მეტად გამოცდილი მეომარი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მე მას დაუშალე გაგრის ბრძოლებში მონაწილეობის მიღება, რადგან მისთვის ეს ადგილი სამხედრო მნიშვნელობით ბევრად უცნობი იყო, იგი მაინც გაიპარა და გარკვეულ პერიოდში იქ იბრძოდა. მე მაშინ მძიმედ დაჭრილი სოხუმის სამხედრო ჰოსპიტალში ვიწექი და მასზე გადამჭრელი ზემოქმედების მოხდენა ვერ შევძელი. გაგრიდან იგი მძიმედ დაჭრილი ჩამოვიდა, მაგრამ გარკვეული მკურნალობის შემდეგ, როგორც ეს უშიშარ და პატრიოტ მეომრებს სჩვევიათ, ისევ ფრონტის ხაზზე გავიდა, იგი რუზგენ გოგოხიას ბატალიონში იბრძოდა ოჩამჩირის რაიონში. მასზე დაწერილ წიგნში მის ბრძოლებზე ბევრია ნათქვამი, მაგრამ აქ მხოლოდ ბოლო პერიოდის ერთ-ერთ ტრაგიკულ ეპიზოდზე შევაჩერებ ყურადღებას. . მტერი ოჩამჩირის რაიონის სოფლებს მწვავედ უტევდა, ქართული დიდი სოფელი კოჩარა მტერს უკვე აღებული, განადგურებული და მიწასთან გასწორებული ქონდათ. დარჩენილი იყო სოფელები არადუ და ცაგერა. დილით გოგოხიას ბატალიონის მეომრები მოსახლეობის დასაცავად უშიშრად და თამამად შევიდნენ სოფელში, მაგრამ ჩვენი მებრძოლების საუბედუროდ, იგი ღამე მტერს აუღია და რიგ სახლებში დაბანაკებულან. როგორც კი ჩვენი მეომრები გამოჩნდნენ ქუჩებში დამალულმა მტრებმა ჩვენს ბიჭებს ცეცხლი გაუხსნა. მიუხედავად ორმხრივი ინტენსიური სროლებისა, ჩვენი მხრიდან მაინც მსხვერპლი დიდი იყო. ჩვენი მეომრები მიხვდნენ, რომ მტერს მთლიანად აღებული ქონდა ქართველთა საცხოვრებელი სახლები, ამიტომ დასახლებულ პუნქტს ალყა შემოარტყეს და შეუტიეს. ორმხრივი ინტენსიური სროლის დროს ერთ-ერთი სახლიდან ახალგაზრდა ქალი ბავშვით გამოვარდა და მირბოდა იმ მიმართულებით, სადაც მტერი იყო დაბანაკებული. როცა ეს გოდერძიმ ნახა, ბავშვიან ქალს უყვირა იქეთ არ წასულიყო, მაგრამ მან ეს ვერ გაიგო. მაშინ გოდერძიმ თავისი ავტომატი დააგდო და გაიქცა ქალისა და ბავშვისაკენ, დაეწია მათ ჩაჭიდა ხელები და ორივე სამშვიდობოზე გაიყვანა. როცა იგი დაბრუნდა და თავისი ავტომატი ხელში აიღო, მტერმა მოასწრო მასზე ყუმბარის დამიზნება და სროლა, გოდერძი უგონოდ დაეცა, იგი მისმა თანაგუნდელებმა ბრძოლის ველიდან გამოიყვანეს და ოჩამჩირის სამხედრო ჰოსპიტალში წაიყვანეს.

გოდერძის უცნაური გზა – მორგიდან (საცხედრე) სიცოცხლისაკენ

არადუსა და ცაგერას უკომპრომისო ბრძოლებში, ორივე მხრიდან დიდი დანაკარგი იყო. ოჩამჩირის ჰოსპიტალი ვერ ასწრებდა დაჭრილების სათანადო მკურნალობას, ამიტომ გალის საავადმყოფოში ორგანიზებულ იქნა დამხმარე ჰოსპიტალი და შეძლებისამებრ დაჭრილები სასწრაფოდ იქ გადაჰყავდათ. დაჭრილთა გადაყვანის ორგანიზაციას საკუთარი ინიციატივით სათავეში ედგა კაცური კაცობით ცნობილი უკეთიულშობილესი პიროვნება რაჟდენ ქარდავა.

რაჟდენი დღის მეორე ნახევარში მორიგე რეისის დროს მან სამი მძიმედ დაჭრილი გაიყვანა საავადმყოფოდან და მოსკვიჩის უკანა სალონში მოათავსა. მაშინ დახოცილთა გვამები პირდაპირ საავადმყოფოს ღია დარბაზში ესვენა. როცა რაჟდენმა გვამების ახლოს გაიარა დაღუპულთა შორის ერთს ჯერ კიდევ ცოცხალი ადამიანის ფერი გადაჰკროდა. როგორც კი დაჭრილები მანქანაში მოათავსა რაჟდენი სწრაფად დაბრუნდა და იმ საეჭვო დაჭრილს მიადგა, მას პულსი გაუსინჯა. ნახა, რომ ძალიან ნელა, მაგრამ გული მუშაობდა, დაჭრილი სისხლში იყო ამოსვრილი, ცალი ფეხი მოჭრილივით უცნაურად ეკიდა. რაჟდენი ძლიერი მამაკაცია და იგი პატარა ბავშვივით ხელში აიყვანა მკერდზე მიიწვინა და მანაქანას მიადგა. მანქანის საჭესთან მჯდომმა ბატონ გივი შერვაშიძემ რაჟდენს საყვედური უთხრა, დაღუპულებზე ცალკე უნდა მოვიდეთ და ახლა ეს აქვე დატოვეო, მანქანაში მაინც არ ჩაეტევაო. მაგრამ რაჟდენმა მას არც კი მოუსმინა და ასე ჩახუტებული ჩაჯდა მანქანის წინა სკამზე. 25-30 წუთში ისინი უკვე გალის ჰოსპიტალში იყვნენ. დაჭრილები სწარაფად გადაიყვანეს საავადმყოფოს პალატებში. მორგიდან გამოყვანილი კი საკაცეზე მოათავსეს, რაჟდენმა მას მაშინათვე საბუთები გაუსინჯა და რა ნახა, გაკვირვებულმა და აღელვებულმა იყვირა: ეს ხომ გოდერძია, ჩემი მეგობრის, ჩემი შოთას ბიჭი. მთავარ ექიმს – დალილა ხორავას შეევედრა ეგებ გადავარჩინოთო. დაჭრილს ყველა სასწრაფო სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს და ნელი სუნთქვაც დაიწყო, მბჟუტავი თვალებით გამოიხედა კიდეც. ექიმებმა ნახეს, რომ მას მარჯვენა ფეხი მუხლსზემოთ თითქმის 70 %-ზე მომსხვრეული ჰქონდა. ფეხი კოჭებამდე გაშავებული ჰქონდა. გადაწყვიტეს მისი ამპუტაცია. რაჟდენმა მისი მეგობრის შოთას ადგილსამყოფელი იცოდა და მანქანით მასთან მაშინათვე გაიქცა. 20 წუთში იგი საავადმყოფოში მოიყვანა. შოთას ყველაფერი აუხსნენს, რომ შვილის გადარჩენის ერთადერთი გზა არსებობდა, მასზე ფეხი უნდა მოეჭრათ. შოთაც დათანხმდა და უთხრა ექიმებს, ოღონდ ცოცხალი შემრჩეს და არაფერს დავეძებო. მოჭრილი ფეხი გულში ჩაიხუტა და დედ-მამის საფლავზე მიწაში ჩაფლო.

იმ დღიდან გოდერძიმ 25 წელი იცოცხლა და ცალფეხა ახალგაზრდამ მოასწრო ბევრი სასწაულების გაკეთება.

გოდერძი მსოფლიოს პრიზიორი ფეხბურთში (თბილისი-ლონდონი-თბილისი)

როცა ამ რამდენიმე წლის წინ, თბილისში ფეხბურთის ინვალიდთა ლიგა ჩამოყალიბდა, მე მაშინათვე სიაში ჩავეწერე და სხვებთან ერთად დავიწყეთ ვარჯიში – არნიშნა მან. ერთი წლის ვარჯიშისა და წვრთნის შემდეგ თბილისში ჩატარდა ინვალიდთა ლიგის შესარჩევი მატჩები, სადაც რუსეთისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან რამდნეიმე გუნდი მონაწილეობდა. ჩვენმა გუნდმა, რომელიც საქართველოს ნაკრების ეგიდით გამოდიოდა, რუსეთის ნაკრებთან ერთად პირველ-მეორე ადგილი დაიკავა. საპრიზო ადგილის დაკავებამ, მსოფლიო პირველობაზე მონაწილეობის უფლება მოგვცა, რომელიც ლონდონში გაიმართა. არც ლონდონში თამაშით შეურცხვენია საქარ-თველოს ფეხბურთელებს თავი და ჩვენმა გუნდმა საპრიზო მე-2 ადგილი დაიკავა. გოდერძი და მისი თანაგუნდელები ინგლისის დედოფლის მიერ სპეციალურად დაწესებული მედლებით მკერდდამშვენებულები ჩამოვიდნენ თბილისში.

გოდერძის ახალი უჩვეულო იდეა, რომლის განხორციელებაც ვერ მოასწრო...

არც ისე დიდი ხნის წინ გოდერძი ბინაში მესტუმრა და მითხრა, სიმონ ბიძია ერთი იდეა მაქვს ჩაფიქრებული, ამაზე სპორტის სამინისტროშიც ვიყავი და ველაპარაკე მათ. ვისაც მთამსვლელთა საკითხები ეხებაო. იმისათვის, რომ ცალფეხა კაცი რომ უმწეო ინვალიდიაო რომ არ თქვან, გადავწყვიტე მცირე ვარჯიშის შემდეგ რომელიმე მთის სიმაღლე დავიპყრო. ჩემო ბიძავ, ხომ იცი როგორი ძლიერი მკლავები მაქვს, მე ჩემს ტანს ფოთოლივით ავაფრიალებ ყველა სიმაღლეებზე, მას მხოლოდ უნდა მაგარი გული, რაც მე გამაჩნიაო. მე ხომ ვიცოდი მის იდეის შესახებ ბჭობა არ შეიძლებოდა და ეს მისთვის მტკივნეული იქნებოდა, ამიტომ დავლოცე, ღვთის წყალობა არ მოკლებოდა. მე სრულიად დარწმუნებული ვიყავი ამ ისტორიული ჩანაფიქრის განხორციელებაში,და მას წინ არაფერ ედგა, მაგრამ... ეს არ დაცალდა.

ბოლოთქმა

რაც საქართველოს დაემართა 1970 წლიდან დღემდე, დიდ და ძლიერ სახელმწიფოებსაც დაანგრევდა. ჩვენი კობწია საქართველო თავისი ქალაქებითა და სოფლებით, ქარხნებითა და ფაბრიკებით, ძვირფასი გზებითა და აბიბინებული მინდორ–ველებით გაპარტახდა. 5,5 მილიონიანი მოსახლეობა თვალსა და ხელშუა გაქრა. ახლა 3,5 მილიონამდე რომ გაიძახიან მათი სისხლი მინიმუმ სამი ფერითაა შეღებილი, რომელსაც უცხო ჯილაგის სუნი აუდის. ყველაფერი ეს კონსტრუქციული ანარქია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით ქვეყნის შინააშლილობამ, დაუფიქრებელმა დიდმა პოლიტიკოსებმა ჩაიდინეს, რა თქმა უნდა გარეშე მოსისხლე მტრების კარნახით და დახმარებით. როცა დაპირისპირებულთა ერთი მხარე გაძლიერდებოდა გამოვიდოდა ლოზუნგით „მოვიდა ჩვენი დრო, ახლა უნდა დავანგრიოთ ბოროტების იმპერიაო“. როცა მეორე მხარე გაძლიერდებოდა მან კიდევ უფრო დიდი სისულელე ჩაიდინა, გამხეცებული იმპერიის ძალებით მოფინა ქვეყანა ე. წ. „სამშვიდობო ძალებით“. ამ მორალურად გაღატაკებული უაზრო პოლიტიკოსების დაპირისპირებამ აფხაზეთი და სამაჩაბლო „გააჩუქა“. თავიანთი კუთხე–მამულიდან აყარა ასი ათასობით მდიდარი, თვაისი ქვეყნის ერთგული ადამიანები და მიმოფანტა მთელს მსოფლიოში. ამ ომმა შეიწირა ათეული ათასობით ადამიანების სიცოცხლე, დაინგრა მათი ოჯახები. აი შედეგიც.

ამ ჩემს სტატიას ასე დავამთავრებდი ბრძენი კაცის გამონათვქამით „იყიდება საქართველო, მინდორ–ველით, მთა–გორით, ტყით, ვენახით, სათესით, წარსულის ისტორიით, მომავალი სვე–ბედით, მშვენიერი ენით, ვაჟკაცური ხასიათით, სტუმართმო-ყვარეობით, დიდებული სანახაობით, წმინდა ჰაერით, მჩქეფარე ნაკადულებით, ლურჯი ზღვით... იყიდება საქართველო, დედით და მამით, შვილით, ძმით, დით, ცოლით.

ყიდის ყველა, მილიონერი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი. იყიდება ყველგან ქუჩაში და სახლში, სასამართლოში, სატუსაღოში, მატარებელში, დილით და ღამით, სიცხეში და სიცივეში...

ვისაც რამდენი სურს და როგორც უნდა: ნისიად, უფასოდ, ნაღდად, დროებით, და სა-მუდამოდ. ბანკის საშუალებით და ჩვენის და-ხმარებით. დაბოლოს იყიდეთ ბარემ მთალად, გაწეწეთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც დღეს ოხრად დარჩენილი აძ-ღებს ყორნებს და გულს უკლავს უძლურ ჭი-რისუფალს“

სამძიმარი



CATHOLICOS-PATRIARCH OF ALL GEORGIA

ჭნ ნინო ზაქარაიას და დიაკონ ირაკლი ნემსაძის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს

მიიღეთ ჩვენი გულითადი თანაგრძნობა ბატონი გოდერძის გარდაცვალების გამო.

დიდია თქვენი განაცდელი, მაგრამ უნდა განვმტკიცოთ რწმენამ იმისა, რომ სიცოცხლე არ მთავრდება ამქვეყნად, არამედ გარდაცვალება დასაწყისია მარადიული, ჭეშმარიტი ცხოვრებისა, რომლისთვისაც ჩვენ ყველანი უნდა მოვემზადოთ.

ლოცვები გოდერძისათვის, რათა უფალმან საკუთარ მარადისობა დაუწყოს საშობლოსათვის თავდადებული მისი უკვდავი სული.

პატივისცემით

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

11 ოქტომბერი, 2018 წელი

გოდერძი ზაქარაიას ჯილდოები, მოპოვებული მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს პირველობებზე

გ. ზაქარაია საქართველოს პრეზიდენტთან გიორგი მარგველაშვილთან

მსოფლიო პირველობის მეორე პრიზიორი ფეხბურთში (ლონდონი)

გ.ზაქარაიას ჯილდოები მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს პირველობებზე. მშილდოსნობაში

მანუჩარ მაჩაიძე

ერი და თანამედროვეობა

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა კანონმა, რომლის მიხედვითაც პიროვნებების დამადასტურებელი დოკუმენტებიდან ამოღებული იქნა ეროვნების გრაფა, მძაფრი კამათი და დაპირისპირება გამოიწვია საზოგადოებაში და პოლიტიკურ წრეებში.

ორი წლის წინ პარლამენტარების ერთმა ჯგუფმა გამოვხატეთ უკმაყოფილება ამ კანონის მიმართ და მოვითხოვეთ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში, ეროვნების გრაფის აღდგენა.

ამ ერთი შეხედვით ბუნებრივ და უწყინარ მოთხოვნას, ოპონენტების მხრიდან მოჰყვა მკვეთრი რეაქცია. დაიწყო თავდასხმები და მუქარები. უმრავლესობის წარმომადგენლებსა და მათი მომხრე პოლიტიკური პარტიების გარდა, აქტიურობდნენ "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლებიც.

კანონის მომხრეები ამტკიცებენ, თითქოს მსოფლიოში ერები არ არსებობენ, რომ მოქალაქეობა და ეროვნება გაიგივებულია და ერების აღიარება ნაციონალიზმი და ფაშიზმია. დაიწყეს საქართველოს ისტორიის, კულტურის, ტრადიციების კრიტიკა და აბუჩად აგდება. პრესაში თუ ტელევიზიით, ხშირად გაიგებთ ასეთ ფრაზებს: "არაფერი ისტორია ჩვენ არ გვქონდა", "სულ სხვისი მონები ვიყავით", "ზარმაცები ვართ". თურმე პოეზია, პროზა, ხელოვნება არ გვქონია და ა.შ.

საზოგადოების ნაწილმა ბუნებრივია მათ საკადრისი პასუხი გასცა, მაგრამ ამაოდ, ეს ძალები თავიანთ პოზიციას არ თმობენ. დაიწყეს აშკარად პროვოკაციული განცხადებების გაკეთება, რომ იმ შემთხვევაში თუ საქართველოში ეროვნების ცნება არ გაუქმდა, ჯავახეთში სომხები და ქვემო ქართლში აზერბაიჯანელები ავტონომიებს მოითხოვენო. თითქოს ჩნდება სერიოზული ეჭვი, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში აღდგება ეროვნების ცნება, ამ ძალებმა მართლაც გამოიწვიონ დესტაბილიზაცია ამ რეგიონებში.

ჩვენი მიზანია, კარგად გავერკვეთ საქართველოში შექმნილ მდგომარეობაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი ოპონენტები ამტკიცებენ, რომ მსოფლიოში ერები არ არსებობენო.

შევეცდებით დავამტკიცოთ ამ შეხედულების აბსურდულობა

ცნობილია, რომ ეროვნულ საკითხს, სხვადასხვა დროს მრავალმა ავტორმა მიუძღვნა შრომები. შევეხოთ რამდენიმე მათგანს,

1913 წელს გამოიცა ი. სტალინის ნაშრომი "მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი".

ჩვენი ოპონენტების საწინააღმდეგოდ, ავტორი ერების არსებობას აღიარებს და განიხილავს მათი ჩამოყალიბების ისტორიას, თუმცა ებრძვის ნაციონალიზმს. "რა არის ერი? ერი, უწინარეს ყოვლისა, არის ადამიანთა ერთობა, განსაზღვრული ერთობა. ერი ყალიბდება მხოლოდ ხანგრძლივი და რეგულარული ურთიერთობის შედეგად, თაობიდან თაობამდე ადამიანთა ერთად ცხოვრების შედეგად. განიხილავს ერის ჩამოყალიბების ისტორიას და ასკვნის: "ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა." ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი ზემოხსენებული ნიშანი, ცალკე აღებული, არ კმარა ერის განსაზღვრისათვის. უფრო მეტიც, საკმარისია არ იყოს, თუნდაც ერთი ამ ნიშანთაგანი, რომ ერი ერად აღარ დარჩეს".

შემდეგ აკეთებს დასკვნას, რომელშიც ალბათ ვერ დავეთანხმებით. "ამასთან ცხადია, რომ ერი, ისევე, როგორც ყოველი ისტორიული მოვლენა, ცვალებადობის კანონს ექვემდებარება, მას თავისი ისტორია, დასაწყისი და დასასრული აქვს".

მსოფლიო ისტორია გვიჩვენებს, რომ ეს დასკვნა ყველა ერს არ ეხება. დღეს მსოფლიოში რამდენიმე ათეული უძველესი ერი არსებობს. ნაშრომში ი. სტალინი ეკამათება ცნობილ თეორიტიკოსებს, ეროვნულ საკითხში, ავსტრიელ სოციალ-დემოკრატებს შპრინგერს და ბაუერს, რომლებსაც რამდენადმე განსხვავებული აზრი აქვთ.

მოვუსმინოთ შპრინგერს და ბაუერს. განვიხილოთ მათი თეორია ერისა. შპრინგერის მიხედვით, "ერი ერთნაირად მოაზროვნე და ერთნაირად მოლაპარაკე ადამიანთა კავშირია". ეს არის "თანამედროვე ადამიანთა ჯგუფის კულტურული ერთობა, რომელიც დაკავშირებული არ არის "მიწასთან". ბაუერი უფრო შორს მიდის.

"რა არის ერი? — კითხულობს იგი — არის თუ არა ეს ენის ერთობა, რომელიც ადამიანებს ერად აერთიანებს? მაგრამ ინგლისელები და ირლანდიელები... ერთ ენაზე ლაპარაკობენ, ხოლო ერთიან ხალხს არ წარმოადგენენ. ებრაელებს სულაც არა აქვთ საერთო ენა და, მიუხედავად ამისა, ისინი ერს შეადგენენ".

მაშ რა არის ერი?

"ერი ხასიათის შედარებითი ერთობაა".

"ნაციონალური ხასიათი იმ ნიშანთა ჯამია, რომელიც ერთი ეროვნების ადამიანებს განასხვავებენ მეორე ეროვნების ადამიანთაგან. ფიზიკურ და სულიერ თვისებათა ის კომპლექსია, რომელიც ერთ ერს მეორესაგან განასხვავებს".

ადამიანთა ხასიათი მხოლოდ და მხოლოდ მათი ბედით განისაზღვრება. რომ ... "ერი სხვა არა არის რა, თუ არა ბედის ერთობა" ,რომლებშიც ადამიანები თავიანთი ცხოვრების საშუალებებს ქმნიან და თავიანთი შრომის პროდუქტებს ანაწილებენ".

ამრიგად, ჩვენ მივიღეთ ერის, როგორც ბაუერი ამბობს, ყველაზე "სრული" განსაზღვრა.

"ერი იმ ადამიანთა მთელი ერთობლიობაა, რომელნიც შეკავშირებულნი არიან ხასიათის ერთობაში ბედის ერთობის ნიადაგზე".

ი. სტალინი შემდეგ აგრძელებს, ისევე, როგორც სოციალ-დემოკრატების უმრავლესობა:

"ერი უბრალო ისტორიული კატეგორია კი არა არის, არამედ განსაზღვრული ეპოქის, აღმავალი კაპიტალიზმის ეპოქის ისტორიული კატეგორიაა. ფეოდალიზმის ლიკვიდაციისა და კაპიტალიზმის განვითარების პროცესი იმავე დროს ადამიანების ერებად ჩამოყალიბების პროცესია. ასე ხდება, მაგალითად: დასავლეთ ევროპაში, ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები, იტალიელები და სხვები ერებად ჩამოყალიბდნენ მაშინ, როდესაც კაპიტალიზმი ფეოდალურ დაქუცმაცებულობაზე იმარჯვებდა და ძლევამოსილად მიიწევდა წინ. მაგრამ, ერების წარმოშობა იქ ნიშნავდა ამავე დროს მათ გადაქცევას დამოუკიდებელ ნაციონალურ სახელმწიფოებად. ინგლისელი, ფრანგი და სხვა ერები, ამავე დროს ინგლისსა და სხვა სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ თეორეტიკოსს მიაჩნია, რომ ერები კაპიტალიზმის წარმოშობამდეც ბევრად უფრო ადრე, მრავალი საუკუნით ადრე წარმოიშვნენ. განსხვავებით სოციალ-დემოკრატებისაგან, რომლებიც ერების წარმოშობას მრეწველობის განვითარებას მიაწერდნენ (ნ, ჟორდანია და მისი თანამოაზრენი.)

მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ქართველი მოაზროვნის არჩილ ჯორჯაძის ნაშრომები: "ქართული ეროვნების წარმოშობის და განვითარების ისტორიის მიმოხილვა".

ი. სტალინის ნაშრომის დედააზრი ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაა. აღიარებს რა ერების არსებობას, ავტორი მოითხოვს, რომ სხვადასხვა ერების პროლეტარიატს შორის დაინგრეს ნაციონალური ზღუდეები და მოხდეს მათი გაერთიანება და შერწყმა.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სტალინს კაცობრიობის მომავალი წარმოდგენილი აქვს, როგორც ჩვენს ოპონენტებს, კერძოდ: ბაუერის წინასწარმეტყველებას "კაცობრიობის ნაციონალურად გამიჯნულ საზოგადოებებად დანაწილების შესახებ", თანამედროვე კაცობრიობის განვითარების მსვლელობა უარყოფს.

ნაციონალური ზღუდეები კი არ მაგრდებიან, არამედ ინგრევიან და ეცემიან. მარქსი ჯერ კიდევ ორმოცდაათიან წლებში ამბობდა "რომ ნაციონალური განკერძოებულობა და სხვადასხვა ხალხთა ინტერესების წინააღმდეგობა, უკვე ახლა სულ უფრო და უფრო ქრება", რომ "პროლეტარიატის ბატონობა" კიდევ უფრო დააჩქარებს მათ გაქრობას.

კაცობრიობის შემდგომი განვითარება, მისი კაპიტალისტური წარმოების გიგანტური ზრდით, ეროვნებათა გადაჯგუფებით და სულ უფრო ვრცელ ტერიტორიებზე ადამიანთა გაერთიანებით, - გადაჭრით ადასტურებს მარქსის აზრს.

ანალოგიურად ფიქრობენ დღეს საქართველოში გარკვეული ძალები, იმ განსხვავებით, რომ ერების არსებობას წარსულშიც და ახლაც უარყოფენ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბაუერი მართალი იყო. დღეს მსოფლიო დანაწილებულია ნაციონალურ სახელმწიფოებად.

თავის დროზე ერების გაქრობისა და შერწყმის იდეა მკაცრად გააკრიტიკა ილია ჭავჭავაძემ, თავის პუბლიცისტურ წერილში "აი ისტორია".

იგი მოგვითხრობს შემდეგს: ტფილისი, 26 ოქტომბერი 1889წ.

"წლევანდელ თებერვლისა და მარტის ნომრებში რუსულმა ჟურნალმა "Ѣеверный вестник"-მა დაბეჭდა ორი წერილი, რომელთათვისაც ავტორს დაურქმევია საერთო სახელი "Письма о Грузий".

რა აზრი ჰქონია ავტორს, როცა ამ წერილებისათვის ხელი მიუყვია, თვითონვე მოგვითხრობს და წერილების თავშივე გვეუბნება, რომ "განვიზრახეთ და გაკვრით (бегло) ვაცნობოთ მკითხველებს სურათი ქართველთა სულიერის და ნივთიერების ცხოვრებისა, ისე როგორც იგი გამოიხატა ქართველთა ისტორიასა, ლიტერატურასა და ახლანდელ ყოფა-მდგომარეობის ფორმებშიო, ხოლო მარტის ნომრის 57-ე გვერდზეც, იგივე ავტორი თავის განზრახულ საგანს ამრიგად გვიხსნის: "მე მინდოდა მეცნობინებინაო, საქართველოს ერი მართლა დაბერდა, დაიცალა თავის ღონისაგან, თუ ჯერაც დღეს-აქომამდე არ დაუწყია სრული ინტენსიური ცხოვრება და შეუნახავს თავისი ძალ-ღონე მერმისისთვისაო". ილიას უკვირს "ჯერ ქვეყანაზედ ამ აზრით არავინ შესდგომია ისტორია და პირველობა ამაში ჩვენს ავტორს უნდა დავულოცოთ"-ო.

"აშკარაა, ავტორს ცოტა თუ ბევრად უწამებია უკვე დაძველებული და ბევრისაგან გამტყუნებული აზრი დრეპერისა იმის თაობაზედ, რომ ერსაც, როგორც თვითოეულ ცალკე ადამიანს, თავისი ასაკი აქვს: ბავშვობა, ყრმობა, ჭაბუკობა, ვაჟკაცობა და ბოლოს სიბერე, რომელსაც სიკვდილი მოსდევს აუცილებლად". დრეპერის აზრით, ეს ყველა ერისათვის გარდაუვალი კანონია, როგორც ცალკე ადამიანისათვის. ამას ვერც ერთი ერი ვერ წაუვა, ვერ გადასცდება.

ჩვენს ავტორსაც ეს აზრი უნდა ჰქონდეს, როცა თავისთავს ჰკითხავს — დაბერდა საქართველოს ერი, თუ არაო.

ან რა აზრი აქვს ერის სიბერეს? რას გვიქვიან ერის სიბერე? აიღეთ ეხლანდელნი ერნი ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, ამერიკულ-ინდოელისა, აფრიკის ზანგისა, აბაშის, ეთიოპელისა და გვითხარით ამათში რომელი ვიგულისხმოთ ბებრად და რომელი ახალგაზრდად? მართალია ამათში არიან ძველნი და ახალნი, და ეს სულაც იმ სიბერეს და სიყმაწვილეს არ ნიშნავს, რომ ერთს სიკვდილის მეტი არა დარჩენოდეს რა, როგორც ცალკე კაცს სიბერეში ჩავარდნილს და მეორე კი — ზრდაში იყოს, მინამ დაბერდებოდეს და სიბერეს თან გადაჰყვებოდეს. ეგ ძველ-ახლობა მარტო იმას მოასწავლებს, რომ ერთი ერი ადრე გამოსულა საისტორიო სარბიელზედ და მეორე გვიან. თუ ბევრი მაგალითია ისტორიაში, რომ ერი სრულიად აღგვილია დედამიწის ზურგიდან, სიბერეს კი არ აბრალებენ ეხლანდელნი მეცნიერნი, არამედ გარეშე მიზეზებს, მაგალითებრ მტერთაგან ძლევას, აკლებასა და აოხრებას. დაბერება ერისა რომ მართალი იყოს, მაშ თავის დროზედ ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის, სიბერეს გადაჰყვებიან, დაიხოცებიან, ამოსწყდებიან. ეს შესაძლოა მოხდეს, თუმცა ძნელად წარმოსადგენი კია, მაგრამ თუ მოხხდა, აქ სიბერე ერისა არამც თუ არსებობს, წარმოდგენითაც კი — ყოვლად შეუძლებელია. ამაზედ სიტყვის გაგრძელება მეტი იქნება. თვითონ რუსულ ლიტერატურაშიც კი საბუთიანად გამოძიებულია ეს საგანი და ჩვენ არ გვახსოვს, რომ რომელსამე დაწინაურებულ მეცნიერს რუსეთისას არ გაეკილოს, ასე თუ ისე, დრეპერის აზრი ამის თაობაზედ.

რუსეთის იმპერია ქართველ ერს ორი მხრიდან უტევდა. ერთი ის, რომ ქართველი ერი დაბერდა, დაძაბუნდა და უნდა გაქრეს, გაითქვიფოს და მეორე მხრიდან, რომ ქართველ ერს ისტორია არა აქვს, იგი საერთოდ არ არსებობდა და არც არსებობს.

ანზორ ჯაფარიძე

ალსარება

გაგრძელება
დასაწყისი იხილეთ ჟურნალ „ათინათის“ №№25-29-სა
და ანთოლოგიის მე-6, მე-7 ტომში

***

აზრები რატომღაც პომპეზურობაში გადამეზარდა, თითქოს გავერთე წარმატებების მოყოლაში, რამდენი მწარე დღე მინახია. რამდენი მარცხი და საუბედუროდ სირცხვილიც, რომელიც ზოგჯერ სიკვდილის ტოლფასი კი არა მეტიც არის. ერთხელ მე-9 კლასის მოსწავლე ვიყავი და თელავში ერთ გოგოსთან ერთად (რომელიც მომწონდა), მივსეირნობ, ჩვენს წინ ბიჭები შეგროვილან მოულოდნელად ერთ-ერთმა ფეხი ისე მოხერხებულად დამიდო, რომ ზღართანი მოვადინე, ქვაფენილზე სირცხვილი, ნამუსი, სიკვდილი სულ ერთად აირია თავში – ინსტინქტურად თავზარდაცემული წამოვფრინდი და მთელი ძალით ქვევიდან ამოვკარი ყბაში ურო-სავით დაკოჟრილი მუშტი. ტიპი შექანდა, წაბარბაცდა და 2-3 მეტრის მოცილებით გაიშოტა – მისი ამფსონები ისე დაიბნენ, ნაბიჯი ვერ გადმოდგეს ჩემსკენ – მე ჩამოვიფერთხე მტვერი და ჩვეულებრივ გავაგრძელე გზა – გამომეკიდნენ ნაცნობი ბიჭები და მეუბნებიან ჩქარა გავიქცეთო – შენ იცი ვის გაარტყიო, თელაველი ყოჩია, ქურდი, სპარტაკა ქვიაო – საკმაოდ შემეშინდა, მაგრამ გაქცევით არ გავქცეულვარ. მე-4 კურსის სტუდენტი ვარ ქობულეთში გაგვაგზავნეს პრაქტიკებზე, ჯგუფთან ერთად ვცხოვრობ დაქირავებულ კერძო ბინაში, ერთ საღამოს გოგონები გადამეკიდნენ- კინოში წაგვიყვანეო, არადა ძალიან ცუდი სიზმარი მაქვს ნანახი, ვეხვეწები, ოღონდ დღეს არა და როდესაც გინდათ მაშინ წაგიყვანთ-მეთქი, - არ მომეშვნენ – რას ვიზავდი, წავედით, ორნი ისინი და მე – სალაროსთან რომ მივედით, მოლარე მთავაზობს – მე-10 რიგს, კარგი ადგილებიაო – არა და ავიჩემე გინდა თუ არა, მე-12 რიგი მომეციითმეთქი, რას იზამდა – ვუყურებთ ფილმს, შუაში ვზივარ – ცოტა ხანში – რას ვხედავ, ხან ერთი გოგო წამოხტება და ხან მეორე – რა მოგდით? ვეკითხები და მიმალავენ, თურმე უკან ვიღაც ხულიგანი ბიჭები სხედან და ჩქმეტენ - წამოვხტი, ვინ ხართ თქვენ გარეწრებო, ეს რას ბედავთ-მეთქი, სინათლეც აინთო – რა არის ჭოვ! ჩვენგან რა გინდა, ჭოვ! ვერ ვარკვევ პასუხი ვის უნდა მოვკითხო, გოგოები მეხვეწებიან – გავიდეთ ვეღარ ვუყურებთო – წამოვიყვანე დაბოღმილმა, შეურაცხყოფილმა სახლში და მე ისევ მოვბრუნდი ჩემ მეგობარ ბიჭებთან ერთად, იქნებ მივასწრო და პასუხი მოვთხოვო ამ შეურაცხყოფისათვის, მაგრამ აღარ დაგვხვდნენ. ეს ამბავი გაიგო ჩვენი სახლის პატრონმაც და მილოცავდა, - შვილო, კიდევ კარგი დანა არ დაგარტყაო – ვიღაც ხარაზი ყოფილა ციხიდან გამოსული, რომელსაც რამდენიმე “სროკი” აქვს მოხდილი, რამდენიმე კაცი ჰყავს დაჭრილიო ვერაფრით ვერ შევხვდით – ბედზე სადღაც იყო წასული.

ერთხელ მახსოვს, სოფელში ჩავედი და დედა დამხვდა ატირებული, ბატები დამიხოცა იმ მარჯვენა მოსატეხმა ბრიგადირმაო – ბავშვისათვის (ახალგაზრდისათვის) უფრო მეტი შეურაცხმყოფელი რა არის, ვიღაცამ არაკაცმა დედა რომ აგიტირა – ჩუმად ავიღე დიდი დანა და გადავწყვიტე ან ის უნდა იყოს, ან მეთქო – შევედი დაუკითხავად ეზოში, ცოლი გამოვიდა – სად არის ეგ არაკაცი, ეგ მხდალი – რას გვერჩოდა-მეთქი! ცოლმა დაიწყო ბოდიშები, სახლში არ არის და მე თვითონ გიზღავთ, ოღონდ დამშვიდდიო – ორი თუ სამი საათი ვიჯექი ეზოში, ვკანკალებდი, ვნერვიულობდი გამორიცხული არ არის, რომ გამოჩენილიყო რაღაც უბედურებას გადავეყრებოდი – მე წამოვედი – შემდეგ გავიგე, - ბატები აანაზღაურა.

ერთხელ სკოლის მოსწავლეობისას მე და ერთ გოგონას ბავშვურად გვიყვარდა ერთმანეთი – იმდენად პატარები ვიყავით, რომ ვერ ვაცნობიერებდით, შორეული ნათესაობა გვქონია – ბოლოს და ბოლოს მე მივხვდი, რომ ეს არ შეიძლებოდა, მაგრამ გოგონებმა ხომ “რომეო და ჯულიეტას” სიყვარული იციან – ვერაფრით ვერ გადავაყვარე თავი და აი, უგუნურებავ, ეს რამ მაფიქრებინა, მივწერე წერილი, არ მიყვარხარ, სად შენ და სად მე-თქო – ეს ისეთ მომენტში მომიხდა,

აფექტურში, მერე გამოვფხიზლდი და უკან გავყევი, იქნებ ჯერ არ წაუკითხავს-თქო, მაგრამ რაღა დროს. ცოტა ხანში ვოინიჩის "კრაზანას" ვკითხულობდი და ვტიროდი გულამოსკვნილი – ეს რა ჩავიდინე, ეს რა შეცდომა დავუშვი, როგორ ვატკინე გული-თქო. მან მოთოკა თავისი თავი და ალბათ სამუდამოდ შემიჯავრა. მე დღემდის ისევ ისე განვიცდი და ვიცი, რომ უფლება არა მქონდა. ძალიან პატარები ვიყავით.

ერთი ყველაზე მძიმე ამბავი მინდა გავიხსენო "აღსარებაში", 1984 წელს წამოვედი ნავთობიდან, როგორც ზემოთ უკვე მოგიყევით სხვადასხვა მიზეზის გამო – მაშინ საქწიგნში ვმუშაობდი, როდესაც ჩემთან მოვიდა ნავთობბაზის დირექტორი (ცხონებული როლანდ ფეიქრიშვილი) და უცნაური რამ მთხოვა, შენი დაბრუნება გვინდაო, ფაქტობრივად ფულის კეთების გარდა არავინ არაფერი არ იცისო, იქნებ დაბრუნდე უკან, საქმეს რაიკომში მე ჩავაწყობო (მაშინ ეს ადგილი რაიკომის ნომენკლატურა იყო), არადა მაშინ მე მქონდა პარტიული საყვედური პირად საქმეში შეტანით, ჩემს ცხოვრებაში ეს ერთადერთი საყვედური მაქვს, უბრალო შენიშვნაც არ მქონია – ჯუმბერ პატიაშვილის პირველ მდივნობისას უფროს შვილს თან კადრების ინსექტორად ვამუშავებდით და თან დამამთავრებელ კლასში სწავლობდა, მაშინ ასეთი ტენდენცია წავიდა უმაღლესში – სტაჟს თხოულობდნენ – ჩვენც ავყევით ფეხის ხმას, ცისანა, კათედრის გამგის მოადგილეობიდან გაათავისუფლეს (პარტიული არ იყო), მე კი როგორც პარტიის წევრს სასტიკი საყვედური მომაკრეს – რამდენიმე თვეში საყვედური უნდა მომხსნოდა (ერთწლიანი საყვედური მქონდა) ვადა გადიოდა, შემომთავაზეს: თუ არ გაახმაურებ და საიდუმლოდ შეინახავ – იტყვი, რომ საყვედურის ვადა გასულიაო – რაიკომის მდივანიც თანახმაა დაგაბრუნოთო, მაგრამ იცოდე, მე ხომ მიქმნი საფრთხეს და რომ გახმაურდეს რაიკომიც გაილანძღებაო – მაშინ ამ ადგილზე პარტიული სასჯელი თუ გქონდა, არ გტოვებდნენ, ეს ისეთი მაცდუნებელი თხოვნა იყო, აღარ ვიცოდი რა მექნა, ბოლოს ვიფიქრე ამით ვის რას დავუშავებთ-მეთქი და დავბრუნდი. სულ თვენახევარი თუ ორი თვე ვიმუშავე და, აი უბედურება, იმ ბიჭებთან რომლებიც ჩემს დაბრუნებაზე ოცნებობდნენ დირექტორს ჩხუბი მოსვლია და წამოუძახნია ანზორი – თქვენი ჩახლამული საქმის გამოსასწორებლად დავაბრუნე, ხიფათში ჩავიგდე თავი, განა მართლა მოიხსნა საყვედურიო – ეს იყო მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა, ხალხი, რომელიც ჩემზე ლოცულობდა, გაოგნებულია, როგორ შეიძლებოდა ანზორის ჩვენთვის რაიმე დაემალაო – აი, მეორე სიკვდილი მაშინ ვიგრძენი – სჯობდა მოვმკვდარიყავი – ვერაფრით ვერ ვიმართლებდი თავს, ახლა ვხვდები, ყველაფერზე უნდა მეთქვა უარი – არც რაიკომის მდივნისათვის უნდა დამეჯერა და არც დირექტორისთვის – ფაქტობრივად მოვკვდი, ჩემს თავს ვერ ვპატიობდი და დღემდის ვერ მიპატიებია – უცნაურია, მაგრამ აქ წამყვანი პირი, ვინც საქმეს მირჩევდა და მსაყვედურობდა ის ტიპი იყო არნოლდ ჯუღაშვილთან გულზე რომ შემოიხია ანზორის გულისთვის სისხლს დავღვრიო. კომედია, რომ გაითამაშა, მაგრამ ამ შემთხვევაში ისიც მართალი იყო – იმ დღესვენ მივატოვე იქაურობა, დავბრუნდი საქწიგნში.

აი რა მძიმეა კაცის ცხოვრება, ადამიანის ბედი, დღეს მე ყველას ხმამაღლა მინდა ვთხოვო, ნუ ვიკადრებთ ტყუილს. რაც გინდა ფუჭდებოდეს მწარე სიმართლე ვთქვათ, დღეს ვისაც ჩემთან კონტაქტი აქვს, მეგობრებს თუ თანამშრომლებს წინასწარ ვაფრთხილებ ტყუილი არ შემომკადროთთქო.

ერთხელ კიდევ მინდა გავიხსენო ვოინიჩის (იტალიელი მწერალი იყო) "კრაზანას" მოქმედი პირი არტური – რევოლუციონერი იყო – ბავშვობაში შემთხვევით გაუაზრებლად გასცა პარტიზანები. შეყვარებულმა გოგონამ არაფრით არ აპატია თავზარი დაეცა. უფსკრულში გადავარდა თვითმკვლელობაც კი სცადა, მაგრამ გადარჩა და გადაწყვიტა რევოლუციონერი გამხდარიყო თვითონაც და ამით გამოესყიდა თავისი შეცდომა... მეც გამწარებული ვიბრძოდი შეცდომების გამოსასწორებლად.

დავდიოდი ზოგისგან შეურაცხყოფილი, ზოგისგან უმადურად მივიწყებული, ზოგისგან დათრგუნული და თვალებახვეული ვეძებდი გზას, ვეძებდი სიმართლეს, ვფიქრობდი დაშვებულ შეცდომებზე და ამ ბრძოლაში გადიოდა დრო და ჟამი...

***

1990-იან წლებში როდესაც უცხო თესლი გარბოდა საქართველოდან, ჩალის ფასად ვიყიდე 450 კვ. მეტრი ნაკვეთი რუსული პატარა სახლით გაგარინის პირველ ჩიხში (ახლანდელი რესტორანი "ანცი"), როგორც უკვე მოგიყევით, რამდენიმეჯერ გადავაკეთე ეზო; ხან ფაცხები ჩავდგი,

ხან ოდები, ხან აგურისაგან მსუბუქი კონსტრუქციის კუპეები, მაგრამ გარეგნული სახე ვერ შეუცვალე, გარედან ჩამოკონკილი, კრამიტის სახურავიანი სახლი ჩანდა, არადა ამ ქუჩაზე ცხოვრობს ელიტა, პომპეზური, თანამედროვე სასტუმროებია; "თბილოტელი" – "სიმპატია" მრავალსართულიანი ელიტარული სამკურნალო ცენტრის შენობა, სადღაც მესმის რეპლიკები თუ არ შეგეძლო ამ ქუჩაზე რა გინდოდა, რომ მოდიოდიო, ერთი მეზობელი არ მიყურებდა კარგად იმის გულისთვის, რომ მე მინდოდა ეს ეზო მეყიდა და არ მომყიდაო, ვეტყოდი ხოლმე – გეთქვა ერთი სიტყვა და მე აქ მომსვლელი არ ვიყავი-მეთქი, ვფიქრობ, განვიცდი, როგორ მოვექცე მეზობლებს, რომ არ ვაწყენინო, ზოგი იმას მემდურის მუსიკის ხმა გამოდის გარეთო და ვარ ამ განცდებში, დროც იცვლება, ჩვენს დარგში მიდის და მიდის ბუმი, შენდება და შენდება ახალი თანამედროვე რესტორნები – ჩვენ ჩამოვრჩით დროს, ტემპს, ყოველგვარ სიახლეს და აი ტელეფონი რეკავს "პროკრედიტ" ბანკის ფინანსური ოფიცერი ვარო, გისმენთ რა გნებავსთქო – როგორც მოქმედ რესტორანს დიდი რაოდენობით კრედიტი მინდა შემოგთავაზოთ 7-10 წლიანიო. და აი აქედან დავიწყე ფიქრი რატომ არ შეიძლება ავაშენო ისეთი რესტორანი, რომელსაც ექნება დიდი საბანკეტო დარბაზი, ამავე დროს შენარჩუნდება არსებული კუპეების სტილიც, რაც ჩვენს შემოსავლებს გააორმაგებს და ამით შევძლებთ, როგორც ბიუჯეტის, ასევე სხვა გადასახადების გადახდას, მათ შორის, აურიცხავი გადასახადებსაც;

მაგალითად, მობრძანდება მეხანძრე, შეწუხებულია და პილატეს ცრემლებს აფრქვევს, ბატონო ანზორ, რაიმე არ მოგიხდეს, დღე და ღამ ამას ვფიქრობო, ჩაუდებ ჯიბეში ფულს და დამშვიდებული მიდის, ახლა იკითხავ მკითხველო, რატომ აძლევო, აი რატომ, ჩამოყვება შენობას და დაიწყებს აღწერას აქ შნური არის გადაციცქნილი, აქ ჩამრთველის დაყენება არ შეიძლებოდაო. აქ ღუმელს მოსდებს რაღაც ნაკლს, იქ კონდიციონერს დაგიწუნებს და სხვა მრავალს. ვდგევართ შერცხვენილი, თავდაღუნული. ეს რამდენი რამ მქონია გასასწორებელი-თქო – არადა მე კი წავალ სადაც ჯერ არს იქ წარვადგენ აქტს და მერე იმათ ელაპარაკეთ რა დაგიჯდებათო, ეს წავა და აი მოდის ქალბატონი სულ მცირეოდენი გადასახადიაო, მწერები უნდა დავიჭირო და ლაბორატორიულად დავამუშავო რაიმე ინფექციის მატარებელი ხომ არ არისო – გაოცებული ვეუბნები: ქალბატონო, მაინც და მაინც ჩემს სახლში უნდა დიაჭირო ეს მწერები-თქო? – აბა გარეთ, რომ დავიჭირო ვინ რას მომცემსო? – იღება კარი და შემოდის ცალხელა კაცი, რა გნებავს-მეთქი; მე სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხარისხის შემსწავლელი ინსპექციის ინსპექტორი ვარო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება-თქო. აბა, რით დავიწყოთ-თქო – აქტს ამზადებს და იწყებს წერას – მე ამან და ამან შევამოწმე რესტორან "ანცი"-ს სამზარეულოში არსებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების ვარიგისიანობა და დავადგინე, რომ ეკოლოგიურად სუფთაა და გამოსაყენებლად ვარგისია. ბეჭედიც აქვს და ქვითარიც, ამთავრებს და ფულს მთხოვს – რატომ არ სინჯავ-მეთქი, სად გვაქვს სათანადო ხელსაწყოები საქართველოში სულ ერთი, თუ ორიაო, აბა ეს ქვითარი რად მინდათქო, ვინც გინდა მოვიდეს, ხმას ვერავინ შემოგბედავს – ნებისმიერს ეტყვი შემოწმებული ვარო. უფროსის სახელს მისახელებს რამის გული გამისკდეს იმას კიდევ ფული და აფიორა უნდათქო. აი რა დღეში ვართ – მოვიდა წყლის გადასახადი ერთ თვეში, 1250 ლარი, დენის გადასახადი 1670 ლარი, გაზის გადასახადი 1380 ლარი, ნაგვის გადასახადი 850 ლარი (თითოეულ სკამზე, სკამებს გვითვლიან 3 ლარი) სულ ერთია, ვინმე ზის თუ არა, კიდევ ვინ იცის გაუთვალისწინებელი ხარჯები რამდენია – ვფიქრობ გავზარდო ბიზნესი, შვებას ვიგრძნობთქო. ამბობენ იმედით ვცოცხლობთ, იმედი ბოლოს კვდებაო და აი, მეც ვიბრძვი – ერთ დროს შედეგსაც ვხედავდი – მე ხომ 200 ტონა ყურძნისათვის ვიბრძოდი, მე ხომ მემინდვრეობაში საუკეთესო შედეგს მივაღწიე. 40 ტონა სიმინდი მოვიყვანე (წითელი) – 5 ტონა თეთრი სიმინდის მარცვალი მივიღე, 30 ტონა ხორბალი, 20 ტონა ქერი, 10 ტონა გარჩეული მზესუმზირა მოვიყვანე რატომ არ შეიძლება სერიოზულ, თანამედროვე მშენებლობაზე ვიფიქრო – მიტრიალებს თავში ახალი იდეა. დიდი მშენებლობა, ბავშვობის ოცნება, ისეთი სახლი მინდოდა, სადაც კვების ობიექტი ცალკე იქნებოდა, საცხოვრებელში ჩაის და ყავას თუ მივირთმევდით – ამეკვიატა აზრი ეს უკვე მოძველებული რესტორანი თანამედროვე ლამაზი შენობით შემეცვალა.

ოცნება ავისრულე უკვე თანამედროვე რესტორანი გვაქვს.

2005 წელს ქალაქის მერიის თაოსნობით ჩატარდა კონკურსი, კვების მრეწველობის ობიექტებზე 750 რესტორნიდან საბოლოოდ შეგვარჩიეს 35 რესტორანი. რეჟისორი მანაგაძე იღებდა მრავალსერიან ფილმს, რომლის ერთი სერია დაუთმო ქართულ სამზარეულოს, ქართულ კულინა-

რიას, თბილისში ძველი რესტორნის "არაგვის" მეორე სართულზე გაიმართა კონკურსის დემონსტრირება, პირობები ასეთი იყო – 35 რესტორანს 35 მაგიდას გვაძლევდნენ, კენჭი ვიყარეთ რომელი მაგიდა შეგვხვდებოდა. დიდ გაჩირაღდნებულ დარბაზში №2 მაგიდა შეგვხვდა. – რესტორანი გვაძლევდა 10 კაციან მაგიდას და სკამებს დანარჩენი ჩვენი ფანტაზიით უნდა გაგვეწყო, სუფრა, სერვიზი, ძველი მამაპაპური მენიუ და გაფორმება, დავიწყე სერვიზზე ფიქრი და რას ვხედავ გაქრა თბილისის საკომისიოებში ბროლი. მნიშვნელოვანი სერვიზი მე ვერ ვნახე და აი გაბედული გადაწყვეტილება, თიხა, თიხა, თიხა: 17 სახის თიხის ჭურჭელი შევარჩიე, ძალიან მიყვარს თიხის კულტურა, სოფელში მქონდა ყველაფერი თუკი რაიმეს ვყიდულობდი ვინახავდი, აი ახლა გამომადგა, მიტანილი მაქვს მუყაოს ყუთებით ეს ჭურჭელი, სატყემლეები, საფერფლეები, დოქები, განსხვავებული ჭიქები, დიდ-პატარა თეფში, მოკლედ, მეტალის მხოლოდ დანა-ჩანგალი მქონდა. გაიშალა აბრდღვიალდა დარბაზი ბროლის ჭურჭლით, მაღლიდან ბროლის ჭაღები ანათებს, ყველა რომ მორჩა სერვირებას, შემომყურებენ საბრალოდ ჩემი თანამშრომლები და აი გავეცი განკარგულება ამოალაგეთთქო. ჰოი, სასწაულო, თიხა ამოვარდა დარბაზში, აბსოლუტური კონტრასტი, საოცარი სილამაზე, და წამოვიდა ჩვენი მაგიდისაკენ რამდენიმე ტელევიზიის არხები, პრესის მუშაკები. მიდის ფართოდ გაშუქება თავზე დაგვტრიალებენ ახლა ჯერი დადგა საფირმო კერძების დემონსტრირებისა; ერთ-ერთმა რესტორნის მეპატრონემ შემოიტანა ციკანი მთლიანად შემწვარი, ციკანში, დედალი, დედალში მწყერი და მისი კვერცხები, ერთმა რესტორანმა შემოიტანა საკაცით 3 მეტრიანი ზუთხი მორთული, გარეული ტახი შემწვარი მე კი მთელი კვირა ვავარჯიშე ჩემი მოცეკვავე მიმტანები, ყარაჩოხელის ჩოხა-ახალუხი ჩავაცვი და ჩემი შექმნილი დიზაინით ანთებული კეცით ხარისთვალას მივართმევთ, მიმტანებს მივეცი მითითება არსაით არ გაიხედოთ-ეცეკვეთ ამ კეცს და მხოლოდ მას უყურეთ-თქო. მსოფლიო ჟიური იყო, ფეხზე ადგნენ და ისე ელოდებოდნენ რა მოაქვთ ამ დალოცვილებს, თხა არ გაგვიკვირდა, ტახი და ზუთხი არ გაგვიკვირდა და ამათ რით უნდა გაგვაკვირვონო, და აი, გადმოგვცეს ვერცხლის მედალი.

***

"ყოველი მამაკაცის თავი ქრისტეა, ცოლის თავი – ქმარი და ქრისტეს თავი –ღმერთი"

2006 წლის 25 იანვარია, მძიმე პერიოდი დგება კვების მრეწველობაში, რესტორნებში იწყება ქრონომეტრაჟები, კომისიები, დაკეტვები, დაჯარიმებები, ერთი სიტყვით ეკზეკუციები როდესაც გადავხედე ჩვენს მუშაობას, მძიმე გადასახადებს, რაღაც რადიკალურად უნდა მემოქმედა, დაკეტვა მთლად დაღუპავდა ჩემს უკვე აწყობილ სოფლის მეურნეობასაც და მაღაზიისა და რესტორნის საქმიანობასაც, ჩვენ ხომ 20 ოჯახი აქ რესტორანში და მაღაზიაში გვყავდა დასაქმებული – 20 ოჯახი სოფლის მეურნეობაში იყო ჩართული – 100 კაცამდე ტრიალებს ჩვენს ირგვლივ, მაპატიე ღმერთო, ზოგს პურს ვაძლევ, ზოგს ნარჩენ პროდუქტებს, ხელფასს, გასამრჯელოს, ეს ხალხი რომ უმუშევარი დარჩეს, ისედაც გაუბედურებული კიდევ ხომ უფრო გაუბედურდა. რაღაც უნდა ვიფიქროთ, რაღაც უნდა შევცვალოთ. – და აი, ერთ დღეს, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მირეკავს ახალგაზრდა ბანკირი "პროკრედიტ" ბანკიდან მთავაზობს კრედიტს, დიდი რაოდენობით, 10 წლიანს – დაინტერესებული არის იმით, რომ ჩვენი ობიექტი საკმაოდ გახმაურებულია 2-ჯერ მივიღეთ ქალაქის რესტორნების კონკურსში მონაწილეობა და ორივეჯერ მეორე ადგილზე გამოვედით 2003 წელს გვაჯობა რესტორანმა "წისქვილმა" ხოლო 2005 წელს რესტორანმა "მონადირემ". ეს მთელმა ქალაქმა იცოდა – ცოტა ხანში მირეკავს გაერთიანებული ქართული ბანკის თანამშრომელი მთავაზობს საკმაოდ დიდ კრედიტს – სერიოზულად დავფიქრდი ეს ზარები მეტად მაინტრიგებელი გამოდგა. რატომ არ შეიძლება ჩემი ოცნების ახდენა, რატომ არ ავაშენო ლამაზი ფეშენებელური სახლი-შენობა, მრავალსართულიანი, ლამაზი ხედებით, ლამაზი ინტერიერებით – გავიცანი ახალგაზრდა კაცი მშენებელი ალიკა ბრეგაძე – რომელმაც რამოდენიმეჯერ გააკეთა ძველი "ანცი"-ს რეკონსტრუქცია და კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე, მასთან ერთად დავიწყეთ ფიქრი, ოცნება – დიდ მშენებლობაზე – ასეთი გაბედული აზრი ჩემს საგვარეულოში სადამდისაც კი მიმწვდება მეხსიერება არავის ქონია, ვთავხედობ თუ მართლა მიახლოებული ვარ საქმის რეალობასთან. ვფიქრობ, ყვავის სოფლის მეურნეობა, ვენახები, მემინდვრეობა, მემცენარეობა, მეცხოველეობა, ჩემს ფერმაში რომ შევდივარ გამოსვლა აღარ მინდა, იზრდება ღორი, იზრდება ბაგაზე დაბმული ბუღები, ხბორები – მაღაზია "ბერების ზვარში" პოპულარული გახდა ჩვე-

ნი ღვინოები “ჯანაანურა”, “ბერების ზვარი”, წითელი “პინო”, 20-30 წლიანი მუხისა და თუთის კასრში დაძველებული ჭაჭა, შემოსავალი სოლიდურია, მაშ რის მეშინია, აი, ბანკები კრედიტს მთავაზობენ – მეზობლების რეპლიკა მესმის ყურში; თუ არ შეგეძლო ამ ელიტარულ უბანში რა გინდოდაო და მეც შევტოპე, მაპატიე უფალო, ღმერთო, წამძლია სულმა – იქნებ ავისრულო ბავშვობის ოცნებათქო და აი, ირევა ტვინში რეალური და არარეალური. გადაწყდა; ვზივარ ჩემს ოჯახთან და ვთათბირობ; როგორ მოვიქცეთ? ჩემს ფიქრებსა და პერსპექტიულ გეგმებს ვაცნობ ოჯახს, ერთი ძალიან ცუდი ნაკლი, თვისება მქონდა ჩემს ცხოვრება, ისე ვაკეთებდი დიდ გრანდიოზულ საქმეებს, რომ ჩემს ოჯახს არ ვუთანხმებდი, თავი გენიოსი მეგონა –ჩემი ცხოვრების განვლილ გზას ჩემს ვაჟკაცობად ვთვლიდი და ვამაყობდი, მავიწყდებოდა მთავარი თუ უფალი ღმერთი არ დაგლოცავს თუ მის წინაშე ქედს არ მოიდრეკ არარაობა ხარ – რაღაცა ძალამ გამომაფხიზლა: - რატომ არ უნდა ვთხოვო რჩევა ჩემს პროფესორ მეუღლეს, ჩემს ვაჟკაცებს, რომლებიც უკვე საკმაოდ დიდი ჩინოვნიკები არიან, რატომ არ უნდა შევეკითხო ჩემს რძალს, რომელიც ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორია. შევკრიბე ყველანი და დავიწყე ჩემი იდეების გადმოლაგება, ჯერ პირველხანობას გაუკვირდათ ეს როგორ მოხდა ჩვენ რომ გვეკითხებაო, მაგრამ მერედა მერე ისე შევიდნენ ეშხში, მე თითქმის გვერდზე გამწიეს, უზარმაზარი შვება ვიგრძენი, მორალურად გაიმართა ჩემი ოჯახი, მაგრამ რამის ამ დემოკრატიის თამაშმა დამღუპოს, ნელ-ნელა დამისვეს საკითხი უჩვენოდ არაფერი გადაწყვიტოო, სანამ ყველას მოუყრი თავს შევეკითხები ზოგჯერ ისეთი ექსტრემალური სიტუაციაა, ყველაფერი ყირაზე დგება, მაგრამ მაინც არ იხევენ უკან. გაფუჭდება და გაფუჭდესო. ცისანამ არქიტექტურული ნაწილი აიღო თავის თავზე, ვანომ საერთო ზედამხედველობა, ლადომ სოფლის მეურნეობა გაიპიროვნა, ხოლო რძალმა ქეთინომ ესთეტიკურ-მხატვრული მხარე, მე დამტოვეს სამეურნეო ნაწილში – ლურსმანი, ჩაქუჩი, ნიჩაბი, ცემენტის მომარაგება და ასეთი ტექნიკური საკითხები.

დავიწყეთ იმით, რომ გავიცანით საკმაოდ გამოცდილი არქიტექტორი (ყოფილი ვაკე-საბურთალოს მთ. არქიტექტორი) თამაზ მურვანიძე და ასლან აბაშიძის მთავარი არქიტექტორი ვალერი გაგუა – ნიჭიერი გამოცდილი ადამიანები პარალელურად ვმუშაობთ ბანკებთან და ვმუშაობთ პროექტზე, ორივე ჯადოსნური წრე აღმოჩნდა, ორივემ გაგვიშრო სისხლი და გამიტეხა გული – უკვე ღრმად რომ არ გვქონოდა შეტოპილი, უკან დავიხევდით, მაგრამ ამ დროს უკვე, ჩვენი ოჯახის ეკონომიით შეგროვილი თანხები საკმაოდ იფლანგებოდა, უკან დახევა აღარ შეიძლებოდა, რაც მოხდება, მოხდება, მხოლოდ წინ!...

პროექტის გაკეთება “პრივატსერვიზიდან” დავიწყეთ (თბილისში, ძველ უნივერმაღთან არის ეს ორგანიზაცია) დოკუმენტაციის დაჩქარებული მომზადება ხდება გავიცანი მისი დირექტორი ვაჟა გუნცაძე, გოჩა ფრიდონიშვილი, მათ მოიძიეს ჩვენი მიწის ნაკვეთის დოკუმენტაცია, აღმოჩნდა, მთელი რიგი უზუსტობები, შეცვლილი მისამართი, ამით დავიწყეთ ნერვების წყვეტა, სახლმმართველობები ტექნიკური ბიუროები, ნოტარიუსები და კიდევ რამდენი რამ, მიმდინარეობს ქექვა ძებნა, გადაზუსტება - გავაკეთეთ ფართობის ელექტრონული გაზომვა.

აქ მინდა მოვიშველიო ჩემი დღიურები (2006 წლის 25 იანვრიდან) ყოველდღიურად მაქვს დაფიქსირებული საქმის მსვლელობა:

22.02.06წ. – “ანცი”-ში დავპატიჟე არქიტექტორები თამაზი და ვალერი, ალიკა ბრეგაძე (მშენებელი) – მოვუწყვე პატარა შეხვედრა (სუფრა) ესწრებოდნენ ჩემი შვილები ვანო და ლადოც, გავაკეთეთ პროექტის მოკლე მიმოხილვა, თუ რა სტილით ჩაჯდება ამ კუთხეში ე.ი. ამ ქუჩაზე ჩვენი შენობა, გავაკეთეთ მონახაზი, ორი სართული დაეთმობა რესტორანს და 3 სართული საცხოვრებელს, ვფიქრობთ შენობის დატერასებას, ვნახოთ შემდგომში როგორ გამოვა, ვენტილაცია, განათება, გათბობა და ათასი პრობლემა, პარალელურად ვფიქრობთ კრედიტორებთან შეხვედრას.

23.02.06. ვხვდები ბანკირ შალვა ჩხარტიშვილს, კრედიტის საქმე რთულდება, მაგრამ დასტურდება აზრი, რომ კარლო მეზურნიშვილი (ჩემი მეგობარი ბანკირი) ავტორიტეტიანი ბანკირია, შალვა მითხრა კარლოს თუ რამე დასჭირდა “საქართველოს ბანკში” მეც მოვეხმარებიო, დაველაპარაკე კარლოსაც და მის საბანკო ოფიცერსაც, აჩიკოს იმედს მაძლევენ.

რესტორანში მოვიდა არქიტექტორი ვალერი გაგუა, ვიმუშავეთ პირველი დღე, მე გადავეცი ჩემი სურვილები (მოსაზრებები) და ნაფიქრალი თუ როგორ წარმომიდგენია შემდგომში ჩვენი

რესტორანი. ფართობის სიმცირეს ვაწყდებით, ვეძებთ გამოსავალს, სად როგორ ჩავეტიოთ ვინაჩრუნებთ პატარა ერთიან საქართველოსაც და ვაკეთებთ დიდი დარბაზის მონახაზსაც.

24.02.06.- პარასკევი. ვემზადებით სოფელში წასასვლელად, მიმდინარეობს ვენახში (ზვარში) სამუშაოები უნდა დავასრულოთ. 3 ჰა ვენახის სრულყოფა სარის შედგმა, მავთულის გაბმა, მიმდინარეობს გასხვლა, უნდა შევხვდე ჩემს რწმუნებულს ლალი მერაბიშვილს, რომელიც მუშაობს ფერმის შენობის დაკანონებაზე, 15 ჰა მიწის ნაკვეთები უკვე გამოვისყიდე, საკუთრებაა.

25.-26.02.06 სოფელი, ვენახები- თაზიკო (ხელმძღვანელი) 5 კაცით მუშაობს 3 ჰა ახალშენში – მეორე და მესამე პირ მავთულს აბამს. ფერმაში ღორები და ბუღები კარგად მოდიან წონას იღებენ.

თელავის ბაზარში ვყიდულობ 3 დიდ ღორს, თბილისში წამოსაღებად ვკლავ უკვე გასუქებულ 55 კილოგრამიან ღორს, ვამზადებ ყარაჯალის ბაზრიდან ზაქისა და ხბოს ხორცს, ვამზადებ წამოსაღებად ყველს და ჩემს მიერ გამოყვანილ ვიჩინას.

27.02.06 – მნიშვნელოვარი არაფერი მომხდარა.

28.02.06 – შევხვდი არქიტექტორ ვალერი გაგუას, წარმომიდგინა თავისი მოსაზრება ნაწილობრივ ვეთანხმები, ნაწილობრივ არ მომწონს, ფართობის სივიწროვეს განვიცდით, თითქმის ვერ ვეტევით. იძულებული ვხდებით 3 კუპე მე-3 სართულზე ავიტანოთ.

წარმოუდგენელი ცოდნა და ალღო გამოიჩინა ცისანამ არქიტექტურაში. სანტიმეტრებში, პედანტური სიზუსტით ითვლის ყველაფერს, სად რა განათავსოს, მოხერხებული ექსპლოატაციისათვის თან ჯიუტობს, პრინციპულად აწვება თავის აზრს, თავის შეხედულებას, იძულებული ვხდები უკან დავიწიო და მივყვე, ჩვენს გვერდით ელიტარული სასტუმრო "თბილოტელია". მისი მეპატრონეები ბატონი მევლუდი და ქალბატონი ლალი არიან. ერთხელ შემოუსწრო მევლუდიმ ჩვენს კამათს, დავას არქიტექტურაზე და იუმორით მეუბნება, ჩვენც ვკამათობთ ხშირადო სასტუმროს მართვაზეო, ამ ბოლო დროს ავირჩიე ნეიტრალური პოზიციაო, ჩემს ცოლს მივყვები უკანო და ველოდები, რას დამავალებს, რა გავაკეთოვო, დავმშვიდდი და ვიცი ჩემი კონკრეტული საქმეო, ვიცინით და მეც ალბათ ამ გზას ვირჩევ, იმდენად შევიდა აზარტში, რომ ხარაჩოებზე დადის ამხელა ქალი, ყველაფერი თავის ხელში უნდა გაატაროს, ზედმეტმა შრომამ, დაძაბულობამ, აქტიურობამ ხიფათსაც გადაგვყარა, ერთ დღეს მშენებარე კიბეებზე დაგორდა და ორივე ხელი მოიტეხა. რაღაც სასწაულად გადაურჩა სიკვდილს, ექიმები ტრავმატოლოგები გაოცებულ არიან – როგორ გადაურჩა. ძალიან მძიმე მდგომარეობა შეგვექმნა, მხოლოდ სავარძელში შეეძლო ჯდომა, თითქმის სამი თვე ასე ხელით დავატარებდით, თავის კორექტივებს მაინც არ იშლიდა, სავარძლიდან კარნახობდა არქიტექტორებს. მუშებს, მე კი მევლუდის რჩევა გავითვალისწინე და ვასრულებდი ცოლის დავალებებს.

სამზარეულოს და საწყობს ვერ ვაკავშირებთ ერთმანეთთან, გადავწყვიტეთ ვანო და ლადოც ჩავრთოთ განხილვაში, ველაპარაკე ბანკირებს გაერთიანებულ ქართულ ბანკსაც და პროკრედიტ ბანკსაც, რაღაც იმედს გვაძლევენ, ხვალ გვინდა "პროკრედიტბანკის" ოფიცრის მოყვანა.

01.03.06 – შევხვდით მე და ცისანა არქიტექტორს, ვანო და ლადოც დაესწრნენ. სრულიად ახალი ვარიანტი შევთავაზეთ: სამზარეულო, სასაწყობო-სამაცივრო მეურნეობაა მიწისქვეშ, სარდაფში. საინტერესო და ოპტიმალური ვარიანტი გამოვიდა – ფართობსაც ვიგებთ, კავშირები სამზარეულოსა და სასაწყობო ფართობსა და მომსახურების ზონის შორის უკვე მოხერხებული ხდება, ღამით დამირეკა ვალერიმ (არქიტექტორმა) და ახალი სირთულე მაცნობა, სახურავის მოწყობა რთულდება, აგრეთვე მიწის ფართის 30%-ის დაკავება შენობით არ შეიძლება. ამასთანავე მაცნობა ჩონჩხის მშენებლობის ვიზუალური ფასი, სულ ჩვენი შენობა 1600 კვ მეტრი გამოდის, 1 კვ მეტრის ფასი 130-150 დოლარია, რასაც ვიზუალურად 130 დოლარი სჭირდება, ამის შემდეგ დამატებით შენობის მოწყობა, ინვენტარი და ათასი რამე, მოითხოვს ძალიან დიდ თანხებს, რაც ძალიან სათუო ხდება ჩვენი შესაძლებლობისათვის არც ის ვიცით ბანკი მოგვცემს ამდენ თანხას? ან ჩვენ შევძლებთ მის გადახდას?

02.03.06 მე და ვანო შევხვდით პროკრედიტ ბანკის წარმომადგენელს კრედიტის თაობაზე, საქმე გვირთულდება უცნაურ პირობებს თხოულობენ და ვერ ვთანხმდებით. ვხვდებით არქიტექტორებს, მათ პროექტის საბოლოოდ დასრულებაში მოითხოვეს 10000 დოლარი – ე.ი. 1 კვ მეტრი პროექტის (ნახაზის) დასრულება 5 დოლარი. ვისთანაც ვიკითხე ყველამ მითხრა იაფიაო.

06.03.06 – ჩემთან მოვიდა ალიკა ბრეგაძე, მპირდება მასალებს შედარებით იაფ ფასებში შოვნას, ძალიან ბევრი ნაცნობ-მეგობრები მყავსო, ვზივართ და ვაგებთ ნატვრის კოშკებს მთლად ფუტურისტული აზრები გვიტრიალებს. მას უნდა როგორმე დავიწყოთ, მეც "ვებმები" ვცდილობ დავიჯერო, რომ ყველაფერი კარგად იქნება და ასე თითქმის ყოველ დღეს ვხვდებით, ვგეგმავთ სად უნდა დავალაგოთ ამდენი სამშენებლო მასალა დემონტაჟის შემდეგ დიდი რაოდენობით აგური, ხე-მასალა, კარ-ფანჯარა – ინვენტარი, მაცივრები, ჭურჭელი, ავეჯი, ათასი წვრილმანი, ვფიქრობთ ლვოვის ქუჩაზე ჩვენს ნაკვეთში ავაშენოთ ფარდული და იქ მოვთავსდეთ.

09.03.06 ლადო, ვანო და ცისანა იყვნენ საჯარო რეესტრში "პრივატსერვიზში" თითქმის მთავრდება დოკუმენტაციის მომზადება.

11.03.06 – ვართ სოფელში, ვაწარმოებთ ღვინის გადაღებას, დამუშავებას ფერმაში მიმდინარეობს საქონლის ბაგურზე სუქება (კვება).

ღორების რეალიზაცია ჭირს, 5,50 ლარს გვაძლევდნენ ვაჭრები, ყასაბები, ამდენ ხანს 1 კგ გატყავებულ ხორცში, წუწუნებენ, დაკლებას ცდილობენ.

წამოვედით თბილისში, როგორც წესი წამოვიღეთ დიდი ტვირთი, მათ შორის ნახშირი 10-11 კილოგრამიანი 150 ტომარა. ნახშირი შევიძინეთ 4 ლარად ტომარა. თბილისში ასეთი ნახშირი 7 -8 ლარი ღირს (შევინახეთ ღვინის მარანში).

14.03.06. შევხვდი ვალერის, მთხოვა მეზობელ მევლუდისათვის მეთხოვა გეოდეზიური დასკვნა – კარგად შემხვდა – ყველაფერი გადმოგვილაგა, აგრეთვე ძალიან საინტერესო წინადადება წამოაყენა შეიძლება მეც დავიწყო მშენებლობა და მიწის სამუშაოები ერთად შევასრულოთო რაც ჩვენც და მასაც ძალიან გაგვიადვილებდა საქმეს.

ვალერიმ წარმოგვიდგინა პროექტი რამოდენიმე ჭრილში, ძალიან კარგი, თანამედროვე საინტერესო შენობა გამოდის. ვალერის ვანომ გადასცა 2000 დოლარი ხელფასებისთვის მჭირდებაო და ასევე რეგისტრაციის ფურცელიც გადავეცით.

15-16.03.06. – სახლში ვარ, უცნაური სიცხე მაქვს 38-39^0 უცნაური გრიპი მაქვს – მხოლოდ სიცხე.

16.03.06 – ლადო მიდის სოფელში მარტო, მივეცი დავალებების დასტა, ვნახოთ როგორ შეასრულებს.

დღეს ჩვენმა პროექტმა ოფიციალურად გაიარა რეგისტრაცია.

26 მაისს უკვე გვექნება საბოლოოდ დამტკიცებული პროექტი. ეს იმას ნიშნავს, რომ 26 მაისს მშენებლობა შეგვიძლია უკვე დავიწყოთ, მაგრამ კრედიტის საქმე ძალიან გართულებულია.

19.03.06 – ლადო ჩამოვიდა სოფლიდან, დავალება ბრწყინვალედ შეასრულ, დაათვალიერა ნაკვეთები, ფერმა, ვენახები, მარანში იმუშავა, ღვინო გადაიღო.

20.03.06 – რესტორანში მესტრუმრნენ მამა ამირანი და ამირან კალანდაძე, თამაზ ლობჟანიძე გავაცანი ჩვენი პროექტი, ჩვენიგეგმები და ძალიან მოეწონათ, თანამონაწილეობაც კი შემომთავაზეს ხომ არ გინდა ჩვენც შემოვიდეთ წილშიო, ჩვენ ისეთი დაძაბულობა გადავიტანეთ, მოწილეებთან, რომ არანაირი სურვილი აღარ გვაქვს ის გზა ისევ გავიმეოროთ.

22.03.06 – ცისანა შევახვედრე არქიტექტორებს და ალიკა ბრეგაძეს გაიმართა მეტად საინტერესო განხილვა-საუბარი. ცისანამ კარგად აუღო ალღო, ძირითადში მოსწონს პროექტი, მაგრამ ძალიან ბევრი შენიშვნები აქვს – არქიტექტორები ეთანხმებიან. მე მიხარია ვაძლევ დამოუკიდებლობას.

23.03.06 – ვემზადები ერთ-ერთ მეზობელთან თამაზ ოდიშვილთან შესახვედრად, აგრესიულია მძიმე სიტყვებით ლაპარაკობს და ისეთ პოზიციას იჭერს, თითქოს ამ ეზოზე მეპატრონის უფლება ჰქონდეს, მე ვუმტკიცებ, რომ რეკონსტრუქცია სწორედ მათი კაპრიზების გათვალისწინებით მიმდინარეობს, რომ დავახშოთ ხმაური, შევცვალეთ რესტორანში შესასვლელი კუთხე, ისე რომ მეზობელი არ შეწუხდეს. ეს ბინა გაქირავებული ჰქონდა გერმანელებზე, წითელი ჯვრის საზოგადოებაზე – ერთხელ გერმანელებმა წერილი გამომიგზავნეს თუ შეიძლება თქვენი სამხიარულო მუსიკის დინამიკები სხვა მხარეს მიმართეთ, ხმაური ხელს გვიშლისო – ლამის ჭკუა დავკარგე, ესენიღა მაკლდნენ-მეთქი, და პასუხი მივწერე: ბატონო ერიხ! (ასე ერქვა ერთ-ერთს) თქვენ რომ წითელი ჯვარი ხართ და ჩვენს ლტოლვილებს ეხმარებით მედიკამენტებით, სამედიცინო მომსახურებით, რა მიზნითაც თქვენ აქ იმყოფებით, იმავე მიზნით ჩვენ ეს ლტოლვილები 20 ოჯახი ჩვენს სახლში გვყავს მოწვეული და ლუკმა-პურს ვუნაწილებთ, რაც შეეხება ჩვენს მუსიკას, ეს

სამხიარულო კი არა, სამგლოვიაროა, ჩვენი სისხლი და ხორცი ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, მეორე დღეს ჩამობრძანდა ბატონი ერიხი და დაჩოქილმა მომიხადა ბოდიში, პატიება მთხოვა –ეს რა მოგწერეთო. მე ავუხსენი, რომ ეს ბიზნესი ჩვენი გაუბედურებული ლტოლვილების დასაქმების მიზნით წამოვიწყე, ერთ-ერთი მიზანი ეს იყო, ჩვენს სოფლის მეურნეობასაც ვეშველებით, ჩვენს პროდუქტებს, ჩვენს ნაწარმს აქ ვუკეთებთ რეალიზაციას.

ალი მალი და მუსეიბ მალი

ჩემს შვილებს, ჩემი მეუღლე, რომელიც ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის თანამშრომელი (ლექტორი) იყო, ძალიან მკაცრად ზრდიდა, პირადად ამეცადინებდა და აიძულებდა წარმატებული მოსწავლეები ყოფილიყვნენ – სკოლა წარმატებით დაამთავრეს და გადაწყდა ეკონომიური განათლება მიეღოთ ორივეს, მე იურიდიული მინდოდა ერთერთისათვის მაინც, მაგრამ აქაც იმძლავრა და საბუთები შეატანინა ეკონომიკურ ფაკულტეტზე, მაგრამ რად გინდა, ფულის გარეშე უნივერსიტეტში ჩიტი ვერ შეფრინდებოდა, ფულს კიდევ ჩვენგან არ იღებდნენ, ჯერ ქალისაგან და შემდეგ თან თანამშრომლისაგან, ეშინოდათ ქალია და არ ჩაგვიშვასო, ორი წელი გაწყვიტა ბავშვები მეცადინეობით, მაგრამ შეკრეს პირი, ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს, მიდიოდნენ მიდიოდნენ, თითქოს მიზანს უნდა მიგვეღწია და ბოლოს რაღაც მინიმალური ქულა დაკლებოდათ და გარეთ ვრჩებოდით, მე-3-ე წელს განჯიდან (აზერბაიჯანიდან) დისერტაციას იცავდა განჯელი კაცი ალი აბასოვი, რომელიც მსოფლიოში მე-2 თუ მესამე ხალიჩათმცოდნე გახლდათ, ჩემი მეუღლე ცისანა მისი ოპონენტი იყო. ჩვენს სახლში ვღებულობდით, სასტუმროში არ ვუშვებდით და აქ ვამეცადინებდით, მაქსიმალურად ვეხმარებოდით, პარალელურად ჩემი ბიჭების მეცადინეობასაც უსმენდა და ძალიან აღფრთოვანებული იყო მათი ნიჭით, ერთხელ ალიმ გვითხრა, განჯაში ამ ცოდნით ნებისმიერ ფაკულტეტზე მოეწყობაო. მისი აზრი მაცდუნებელი აღმოჩნდა და გადავწყვიტეთ განჯაში გვეცადა ბედი. პირველივე წელსვე ჩაირიცხა უფროსი ვაჟი – ალის ცოლი პედაგოგი იყო და ძალიან დაგვეხმარა მეცადინეობაში, ასე დავმეგობრდით ჩვენ და განჯელი აზერბაიჯანლები. ჩავდიოდით ოჯახში. ჩაგვქონდა ქართული პურმარილი, ჩვენი ღვინო და არაყი, ალი აბასოვმა თითქმის მთელი განჯის ინტელიგენცია გაგვაცნო მათ შორის ერთი სამხედრო პირი მუსეიბ მამედოვი, რომელიც ძალიან ენაკვიმატი და ოხუნჯი კაცი იყო. ერთხელ წამიყვანეს საქეიფოდ გოიგოლის ტბაზე, ეს ტბა მაღალ მთაშია და მაგარი სანადირო ადგილებია, აქ სანადიროდ ცხონებული ვასილ მჟავანაძე ჩადიოდა ხოლმე და ძალიან მოსწონდა აქაურობა, მართლაც აზერბაიჯანში გამორჩეული ადგილია, ვზივართ ხის ფიცრებით გაკეთებულ ლამაზ ოცკაციან მაგიდასთან და კარგ მსუყე სადილს მივირთმევთ, აზერბაიჯანლები ძირითადად არაყს მირთმევენ, მე ჩემი წითელი პინო მაქვს ჩატანილი ალისთან, ვთხოვე ერთი ათლიტრიანი ღვინო წავიღოთ გოიგოლი ს ტბაზე მეთქი, ალიმ ჯერ იუარა – ტყუილად წამოიღებ, ღვინოს არავინ დალევსო, მე მაინც წავიღე და მაგიდის ახლოსვე დავდგი. სუფრის მსვლელობისას მე შევთავაზე თუ ვინმე ისურვებთ, წითელი უნიკალური ღვინო მაქვს წამოღებული –მეთქი, უარი თქვეს, ვერ დავლევთო კარგმა დრომ გაიარა და სადაც ღვინო დავტოვე სკამიდან კაცი გადმოვარდა. გვერდზე მჯდომები, სუფრის წევრები ყველა შევწუხდით და შემოვეხვიეთ, წითელი ღვინის ჭურჭელთან კარგად მოზრდილი ემალის კათხა ეგდო, წითელი ღვინით შეღებილი, გავსინჯეთ ღვინის ჭურჭელი და საკმაო რაოდენობა აკლდა, შემდეგ გაგვახსენდა, სუფრა რომ დაიწყო, ამ პიროვნებამ კათხა მოიყუდა და რომ დაცალა "ქამპოტ, ქამპოტო" დააძახა. თურმე, ღვინოს სვამდა, რას ვხედავ, დაასხა ერთმა გადაკრა და მეორე დაისხა, მთელი სუფრიონი მიესია აი სანიანასნი სიქიმო – აზერბაიჯანულად იგინებიან, თურმე რა კარგი ყოფილა და ეს გვატყუებდა "ქამპოტო" მიდის სუფრა მუსეიბ მალლი (მალლი აზერბაიჯანულად ზრდილობიანი ფორმაა და საპატიო წოდება მასწავლებელია, მალლი მასწავლებელს, აღმზრდელს ნიშნავს) მეუბნება: - ანზორ "ივანიჩ" შეხედე ამ კაცს, ამ კაცს, ამ კაცს, რა უზრდელად იქცევა, რამდენს ლაპარაკობს, რამდენს სვავს და თან ჭამსო, აზერბაიჯანული აქცენტით რუსულად მელაპარაკება. აბა ახლა იმ კაცს შეხედე, არც ჭამს, არც სვამს და არც ლაპარაკობსო. ეს კარგი კაციაო. ორივემ გადავიხარხარეთ, შემდეგ მეუბნება – მუსეიბა, ანზორ ივანოვიჩ, ნუთუ არ გაინტერესებს სულ პირველად სულ პირველი ქართველი როგორ გავიცანიო, რა თქმა უნდა, დავთანხმდი, გთხოვ მომიყევით-მეთქი და დაიწყო მაშინ ანზორ "ივანოვიჩ" პროპორჩიკი ვიყავი, ერთ-ერთ რკინიგზის სადგურში ჯარისკაცები მყავდა წაყვანი-

ლი, ვაგონიდან ცემენტს ვცლიდითო. დილიდან მეც მშიერი ვარ და ჯარისკაცებიც მშივრები არიანო, როგორც იქნა დავცალეთ ვაგონი ჯარისკაცები გავათავისუფლე მე ცოტა მოვწესრიგდი ჩემოდანი რკინიგზის შემნახველ საკანში ჩავაბარე და რესტორანში შევედიო, ანზორ ივანოვიჩ, რას ვხედავ დარბაზი სავსეა, სავსეა, ნემსი ვერ ჩავარდებაო, მშია, მშია, რამის გული წამივიდეს შიმშილისაგან, კარგად გადავხედე ხელმეორედ და კუთხეში ვხედავ ერთი ახალგაზრდა, მოხდენილი, ლამაზი კაცი ზის და მასთან მივედიო, მოკრძალებით ვთხოვე, - მეგობარო, თუ შეიძლება, თქვენთან დავჯდებითქო, - დაბრძანდითო, მომმართა ახალგაზრდამ, რაღაც მომიტანეს. ლუკმის აღება ვერ მოვასწარი, გახსნა ახალგაზრდამ შამპანურის ბოთლი და ბულბულბულ გამივსო ჭიქაო, მე გავაპროტესტე; ახალგაზრდა მე არამსმელი კაცი ვარ, ჩემს ცხოვრებაში სასმელი არ დამილევიამეთქი, მან მომმართა, ჩვენებური ქართული წესით ჭიქა სავსე უნდა იყოს, შენ თუ გინდა დალიე, თუ გინდა – არაო. აიღო ჭიქა ადგა ფეხზე და დაიწყო სადღეგრძელო. მზიურ, უსაყვარლეს, უძვირფასეს აზერბაიჯანს გაუმარჯოსო, ყველა სიტყვა არ მახსოვს, ალბათ 15 წუთი მაინც აქო და ადიდა აზერბაიჯანიო, დალია და დაჯდაო, მე დავფიქრდი ეს როგორ გამოდის, უცხო კაცმა ამდენი აქო და ადიდა ჩემი სამშობლო და მე, რომ არ დავლიო ეს ხომ უზრდელობა იქნებათქო. ავდექი და მეც ვადღეგრძელე აზერბაიჯანი. ანზორ ივანოვიჩ, მკვეთრი აზერბაიჯანული აქცენტით იმეორებს; ასწია ბოთლი და ბულბულბულ შეავსო თავისი და შემივსო ჩემი ჭიქაცო. მე გავცხარდი ხომ გითხარი მეგობარო, მე არამსმელი ვართქო, მან გამიმეორა, ჩვენი წესით ჭიქა სავსე უნდა იდგესო და ფეხზე ამდგარმა დაიწყო ახლა მზიური საქართველოს სადღეგრძელო, სამშობლოზე შეყვარებული აქებს და ადიდებს საქართველოს, დალია და დაჯდა, ვფიქრობ, ეს როგორღა გამოვა, ჩემი სამშობლო ადღეგრძელა, მეც ვადღეგრძელე, ახლა მე რომ მისი სამშობლო არ ვადღეგრძელო, ეს ხომ უკულტურობა იქნებათქო, ავდექი და ეს ჭიქაც დავლიეო, შემდეგ ანზორ ივანოვიჩ დარბაზში ჩვენს ირგვლივ, სხედან რუსები მაღალი ჩინის სამხედროები, ადგა ახალგაზრდა და ამბობს სადღეგრძელოს ჩვენს უფროს ძმას გაუმარჯოს, რუს ხალხს გაუმარჯოსო ანზორ, ივანოვიჩ ეს უკვე პოლიტიკური სადღეგრძელოა, ვიყურები გარშემო, წამოვხტი, ჭიქა დავცალეო, იცინის ამის შემდეგ აღარ მახსოვს დები, ძმები, მეზობლები, გარდაცვლილები, ცოცხლები და ანზორ ივანოვიჩ მატარებელი უკვე გავიდაო... აი როგორ გავიცანი პირველი ქართველიო, ის ღამე რკინიგზის სადგურში ხმელ სკამზე გავათენეო...

ჩემი შვილი დაუსწრებელზე სწავლობდა განჯაში. სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, შორეულ აღმოსავლეთში იყო ერთი ნაკადი, ერთი ნაკადი ყაზახეთში და ერთიც პატარა ნაკადი აზერბაიჯანში გამოჩნდა, ჩემი ცოლი გადარეული დედა იყო და ლამის აიკლო ქვეყანა იქნებ აზერბაიჯანში გამიგზავნოთო. მუსეიბა უკვე გენერალი იყო და იმანაც წააქეზა აქ მე ვუპატრონებო, დადგა ვანოს გაგზავნის დრო, გენერალი მუსეიბაც ჩამოსულია, ჩვენთან არის, იქნებ ჩემი მანქანით წავიყვანო და ნაწილს ჩავაბაროო, თავი მოიკლა ეშაფოტის უფროსმა არაფრით არ გაათავისუფლა ჩემი მეუღლე ტირის, თავს იკლავს, გინდა თუ არა ჩავსხდეთ ჩვენც მატარებელში და მაჩვენეთ როგორ ჩავაო, იძულებული გაგვხადა, ჩვენს მანქანაში ჩავსხედით და გავყევით მატარებელს. დილით ჩვენ ჩავასწარით, ადრე მოგვივიდა რკინიგზის სადგურში მისვლა – ვდგავართ და ველოდებით, მუსეიბაც ჩვენთან არის, როგორც იქნა, გამოჩნდა მატარებელი, გაიღო კარები და ჩემი ბიჭი გაგიჟებული გვიყურებს, ეს როგორ შესძელითო, გენერალ მუსეიბმა ივაჟკაცა იმ საღამოს კარანტინიდან გაათავისუფლა, ამაღამ ჩემთან გეპატიჟებითო, ცისანა დაწყნარდა და იმ ღამეს დიდი ხნის უნახავი დედა შვილივით იყვნენ, არ გვძინებია, ღამე ტელეფონის გაბმული ზარი გაისმა, მუსეიბას ჩექმების ხმა გვესმის, მანქანამ მოაკითხა და სადღაც სწრაფი სვლით გავარდნენ.

დილით გვიან დაბრუნდა. შემოდის ჩვენს ოთახში და გვილოცავს – კიდევ კარგი, წუხელის იქ არ დავტოვეთო, თურმე კარანტინში მყოფ დაღესტნელ და სომეხ ბიჭებს მოსვლიათ ჩხუბი, ქართველები გასაშველებლად ჩარეულან და ერთმანეთის დაუსახიჩრებიათ, ოცდაათ კაცამდე საავადმყოფოში დავაწვინეთო, მუხლებზე დაჩოქილებმა ვლოცეთ მუსეიბ მალლი, გავიდა ერთი წელი და მუსეიბა მარნეულში გადმოიყვანეს, ჰაერსაწინააღმდეგო ნაწილში, ისევ მოგვეხმარა, ჩემთან გადმოვიყვან და მარნეულში მეყოლებაო – ზამთარი იყო, როდესაც მუსეიბას ნაწილი მანქანებით გადმოყავდათ, მკაცრი სიცივეები იყო თოვლი, ყინვა, მუსეიბამ თქვა, ჩვენც იქ ვიყავით ამ საღამოს ჩვენ ჩავიდეთ თბილისში და ხვალ დილით მარნეულში მივიყვანოთ ბიჭიო, ჩავედით მარნეულში გადის დრო და არ ჩანან განჯიდან გამოსული მანქანები, ორი საათი გადაცდა დრო, კიდევ არ ჩანან და აი მუსეიბა რეკავს განჯაში, - შტაბში განგაშია, სამი ორხიდიანი მანქანა ხევში

მოცურებულა, გადაბრუნებულა და ხალხი საავადმყოფოში გადაგვყავსო... აი როგორი აზერბაიჯანელი მეგობრები მყავს, ჩვენ არ ვზოგავთ ერთმანეთისთვის არაფერს.

***

მე უკვე გადადგმული მაქვს ნაბიჯი, დავაკავშირე სოფელი და ქალაქი, მწარმოებელი და მომხმარებელი ერთმანეთს, ვაკეთებ დიდ საქმეს, ბოლოს, ძალიან გაგვირთულდა ურთიერთობა მეზობელთან და გამოვუცხადე, აგერ არის პროექტი, აგერ არიან არქიტექტორები, აგერ არის ინსოლაციის ინსტიტუტის დასკვნა და თუ რაიმე დარღვევას ხედავ, მათ მიმართე-თქო) აწ გარდაცვლილია, ცხონებული იყოს, საერთოდ ფიცხი, ნერვიული კაცი იყო. ვაგრძელებ დღიურებს.

02.04.06 – დავბრუნდით თბილისში, ცისანა სერიოზულად მუშაობს, ბანკისათვის საჭირო საბუთებს ამზადებს, საჭირო გახდა ერთი წლის მასალები, საბოლოოდ ჩემი მეგობრის, ცხონებული ზაზა რუსიას შვილი ჩაერთო ქართულ ბანკიდან, ვნახოთ როგორ გავართმევთ თავს, ძირითადში ცისანაზეა დატვირთვა.

04.04.06 ცისანა მაქსიმალურად მუშაობს საკრედიტო საბუთებზე, ვფიქრობთ 2 დღეში წარვადგენთ საბუთებს.

07.04.06 – დღეს ხარებაა, გწყალობდეთ მისი მადლი, ვემზადებით სოფელში წასასვლელად. მგონი სარის შესყიდვის საქმე ჩაგვეშალა, სოფელში ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს, დაკავება, თოხნა, ცხენის გუთნით ძირების გამოხვნა – ვიყიდე ღორები – დავკალი უკვე კონდიცირებული ღორები თბილისში წამოსაღებად. ვაწარმოებთ მოლაპარაკებას ბუღების გაყიდვაზე ფასი 1კგ-ის 6 ლარზეა ასული – ბუღების რეალიზაციამ კრახი განიცადა, მგონი ღალატიცაა.

13.05.06 – შაბათია, 13 დაწყევლილი რიცხვია, ვენახებში ფაზენდაში ავტოგენი მაქვს – ელექტროსვარკას ვამუშავებ. ფაზენდის აივანს ვაკეთებთ, მშვენიერი დღე იყო, მაგრამ უცბად მოიღრუბლა და წამოვიდა სეტყვა, თოვლივით გადაათეთრა ახალი ვენახი, ძალიან განვიცადეთ, ეს ყველაფერი ხდება ჩვენს თვალწინ, ვუყურებთ და ვგმინავთ, ვერაფერს ვერ ვუშველით... ბუნება მბრძანებელია ყველაფრის შემოქმედი. ამ ყველაფერს (მოვლენას) ჩემი ტყუპი შვილიშვილებიც შეესწრნენ ამ რისხვას.

01.06.06 – დღეს ამაღლებაა, წმინდა ნინოს მიერ ვაზის ჯვრის შემობრძანების დღე – დიდი დღესასწაულია, მთლიანად საქართველო და ჩვენც ავღნიშნავთ ამ დღეს, ვიყავი სიონში, ვილოცე, ცისანა და ლადო წყნეთში, წმინდა გიორგის ეკლესიაში დაესწრნენ წირვას, - გწყალობდეთ უფალი.

17.08.06 – მე და ლადო ვიყავით სოფელში, ძალიან მძიმე სეზონია, ერთდროულად მიმდინარეობს ფურჩქვნა, წამვლა, სარის შედგმა, ფერმის ოპერაციები, მძიმე გვალვაა, იწვის ყველაფერი, დუღს კახეთი.

31.06.06 – ავიღეთ ქერი, მოსავლით კმაყოფილი ვარ, დავათვალიერე ხორბლის ნაკვეთები, ვენახში ფურჩქვნა გრძელდება ძალიან მძიმე სეზონი არის ყველაფერს ფული უნდა არ ვიცი როგორ გაუძლებ შრომას ვუმატებთ ღამით დავბრუნდით თბილისში.

05.07.06 – დღეს რესტორანში მოვიდა რესპუბლიკა ბანკის ოფიცერი, გადაიღო სურათები, კადრები, ცისანამ წარადგინა დამატებითი მასალები, მე ვკითხე საფინანსო ოფიცერს თუ რას ფიქრობენ, რაიმეს იმედს გვაძლევენ თუ არა, მპასუხობს იმედი რომ არ მქონდეს, აქ მოვიდოდიო, აქ რა მინდოდაო.

24.07.06 – ორშაბათია – დღეს ყაზახეთის ბანკის ოფიცერი და ალიკა ბრეგაძე წავიყვანე სოფელში. ძალიან მოეწონათ ყველაფერი. ვაჩვენე ვენახები, ფერმა, მარანი, და სახლში გავაკეთე პურმარილი. თვითონ ძალიან კმაყოფილი დარჩა, ვნახოთ რა მოხდება.

26.07.06 – რიგრიგობით მოდის პასუხები ბანკებიდან, უარი თქვა ქართულმა ბანკებმა, დაგვრჩა ყაზახეთის ბანკი .

07.08.06 –დღეს ყაზახეთის ბანკმა გაიტანა კომისიაზე ჩვენი კრედიტის საქმე. ირაკლიმ, საბანკო ოფიცერმა თქვა, ყველაფერი ეტევა ნორმებში, პირობებს აკმაყოფილებსო, მშენებლობის ექსპერტი გამოიძახეს და სიტყვა მას აქვს სათქმელიო. ვნერვიულობთ, გაუსაძლისი ხდება ლოდინი.

15.09.06 – პირველი რთველი ჩავატარეთ, დავკრიფეთ პინოს ახალშენი, არ ველოდი, კარგი მოსავალი გამოვიდა, დიდი რთველი დავიწყეთ 26.09.06-ში. უხვი მოსავალი მივიღე, მიუხედავად მძიმე კლიმატური პირობებისა, 20 ტონა ყურძენი დავწურე, მხოლოდ ახალშენი ვენახისა.

07.04.07 – ორშაბათია, "ხარების" დღესასწაულია, დილით ვიყავი სიონში, მამა ამირანს პარაკლისი აქვს. დღის ორ საათზე ვხვდები არქიტექტორ თამაზის, გივი ოზბეგაშვილს, "გალას" დირექტორს, პრარაბ გივის და ალიკას გვაქვს გენერალური მიმოხილვა თუ როდის ვიწყებთ დემონტაჟს. გადაწყდა – მომავალ ორშაბათს დღეის სწორს შევწყვეტთ მუშაობას. სტუმარს აღარ მივიღებთ. მშენებლობის დეტალების აღწერა შორს წაგვიყვანს და ალბათ თავს შეგაწყენთ.

31.12.08. ოთხშაბათი. განვლო, გაიარა 2008 წელმა, ძალიან მძიმემ, მთელი წელი ტიტანური შრომის წელი იყო, ნორმალური ძილი და ელემენტარული ცხოვრების პირობები მოვიკელით, ყველაფერი შევწირეთ – 15 აპრილიდან დღემდე ძაღლმადურად ვცხოვრობდით, უძილობა, დაძაბულობა, იქეთ სოფელში პრობლემები, აქეთ აუწერელი სირთულეები, ძალიან ბევრი საქმე გავაკეთეთ კიდევ ბევრი დაგვრჩა მაგრამ ალბათ დავძლევთ, მთელი ოჯახი გვერდში მიდგას, მიზანი ერთია, - უნდა მოვერიოთ სიძნელეებს. ფინანსური კრიზისი გვაქვს, მგონი ლადოს პირდებიან 5000 დოლარს და თუ ეს გამართლდა, იქნებ მოვრჩეთ და როგორმე შემოვიყვანოთ სტუმარი მერიის მშენებლობის ზედამხედველობიდანაც დადებითი პასუხი მივიღეთ. ალბათ მალე ჩავაბარებთ მშენებლობას და ექსპლოატაციის უფლებას მივიღებთ. გაზის სამსახური ბიუროკრატების ბუდეა, ყველანაირ პრობლემას გვიქმნიან რომ გაგვამწარონ, დაგვამცირონ, ვიღაც მოთრეული ხალხი ჩემს სახლში ჩემს საკუთრებაში საშინელ პრობლემებს მიქმნის. მენატრებოდა დიდი სურვილი მქონდა ჩემი ქართული სამამულო რესტორანი მქონოდა, მე ხომ მივაღწიე იმას, რომ 80%-ი ადგილობრივი საკვებ-საჭმელი მაქვს, ღვინის მარანი, ფერმა, მწვანილიც კი და ვფიქრობდი ჩვენი სამამულო ხორბლის ფქვილიდან გამომეცხო პურიც, ვცადე თონის მოწყობა, თავი გაიგიჟა გაზის სამსახურმა, როგორ შეიძლება სახლში, შენობის ქვეშ თონეო, არ მომცეს გაზის შეყვანის უფლება პირველ სართულზე, სადაც სამზარეულო მოვაწყვე, ეს მოხდა მშენებლობის დამთავრების შემდეგ, ეს არც არქიტექტურამ გაითვალისწინა, მე კი რა ვიცოდი, გაზის სამსახურმა იცოდა ჩვენი მშენებლობის დეტალები. თავის დროზე არც მან თქვა სათქმელი, თითქოს ჩასაფრდა დღეს იმუშავეს ელექტრიკისებმა, მინის პროფილის ბიჭებმა გარე შემინვა მოიტანეს მინები (მთლიანად) მაგრამ მთელი დღე თოვს, მხოლოდ 2 ცალი მინა ჩააყენეს, საშიშია და შევაჩერე ამწე კალათით მუშაობდნენ. 2008 წელი მძიმე იყო, ტრაგიკული, ბარბაროსული ომიც გადავიტანეთ, მაგრამ ძალიან დიდი ისტორიული საქმეც გავაკეთეთ, რაც მთავარია, ცოცხლები ვართ, ვნახოთ რას მოგვიტანს 2009 წელი, ღმერთო, მშვიდობით დაგვიყენე.

09.01.09 – პარასკევი. მძიმე საზიზღარი დღე გათენდა, ამინდი ძალიან ცუდია, ცივა, ყინავს, მუშაობენ გაზის ხელოსნები, რომლებმაც შეცდომა დაუშვეს, გარაჟში შეიყვანეს წვრილი მილი, მსხვილი მილის ნაცვლად, მე ღვინის გასაცემად წავედი (მანქანიდან, ფორდიდან ვყიდით) ხან იქეთ დავრბივარ, ხან აქეთ. ვეღარ გავაკონტროლე და გახდა სადაო, ხელმეორედ გასაკეთებელი. მინის ხელოსნებს კალათა ყავდათ მოყვანილი გარეშემინვაზე და მთელი დღე ქარიშხალში მუშაობდნენ, ეს ძალიან დიდი რისკია მაგრამ რა ვქნათ, სხვა გზა არ გვაქვს. დღეს ძველი ეთნოგრაფიული ნივთები შევლაკეთ. პარალელურად ვასუფთავებთ, ვემზადებით გახსნისათვის. ძალიან მიჭირს, მივდივარ მშიერ-მწყურვალი და უკვე წერაც მიჭირს. არ ვიცი როგორ გავუძლებ ან ფინანსურად, ან ფიზიკურად.

10.01.09 – შაბათი. ძალიან მძიმე დღეები გვაქვს, ძალიან მიჭირს. დაღლილ-დაქანცული, მტვერში ამოგანგლული, ამოთხუპული მივდივარ სახლში. ფულზე მიტევს ყველა, ყველა მოიწევდა ოღონდ მამუშავე და როცა გექნება მაშინ მომეციო, ეხლა ყველა ტირის, დაცდა არავის უნდა. ხალხი დამშეულია, ირგვლივ არავინ მუშაობს, გაჩერებულია ქალაქის ყველა მშენებლობა, არ მუშაობს ქალაქში საწარმოები, ხალხი უმუშევარი დაძრწის, მშიერია და გაბოროტებული. ვის აუხსნა ამხელა ვალი რომ ავიღეთ, ვგრძნობ ირგვლივ ბოღმით შურით მიყურებენ, მათ არ იციან, რომ მე საშინელი გაჭირვება მაქვს, ძალიან ახლობელსაც კი არ სჯერა, ერთის იმედი მაქვს დამიცავს ჩემი მოძღვარი და სულიერი საძმოს ლოცა, ყოველდღე მოდიან და დადებით აურას გვაწვდიან, გვამხნევებენ.

11.01.09 – კვირა. დღეს ნახალოვკიდან გადმოგვაქვს ინვენტარი, ძველი "ანცი" რომ დავშალეთ ყველაფერი ნაქირავებ ფართში გადავიტანეთ, ორი დიდი "ფურაჟი" სატვირთო მანქანა გადმოვიტანეთ.

13.01.09 სამშაბათი. ძველით ახალი წელი დგება, მშენებლობაზე ფუსფუსია: მღებავები, კაფელის ხელოსნები, ელექტრიკოსები, მეთუნუქეები. გაზის ხელოსნები დიდი ფუსფუსია. მესამე დღეა "ანცი"-ს კოლექტივი მუშაობს დალაგება-დასუფთავებაზე. ძალიან ერთგულად ასრულებენ საკმაოდ მძიმე საქმეს... რაც წინ მივიწევთ, უფრო და უფრო მეშინია. რაიმე არ შეგვეშალოს, ფულის პრობლემა უფალმა გადაგვიწყვიტა, ალიკას ბიჭმა, ვოვამ 30000 დოლარი წაგვაშველა სესხად, ვალად.

მშენებლები დამშეული არიან საახალწლოდ ცოტა ცოტას დავურიგებ ფულს.

15.01.09 – ხუთშაბათი. დღეს ეზოს დეკორაციაზე ვმუშაობთ, განვალაგეთ ეთნოგრაფიული ძველი ნივთები, ომარმი – ჩემმა მძახალმა რესტორნის აბრა, წარწერა გააკეთა, ძალიან მოუხდა. ცისანა პრინციპულად მოითხოვს, გინდა თუ არა, 19-ში უნდა გავხსნათ, სტუმარი მივიღოთო.

17.01.09. შაბათი. დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა, როგორც იქნა, გაზი ჩაგვირთეს, ზაური ზურებიანმა (ჩემმა სულიერმა ძმამ) მოიყვანა თავისი ხალხი და იმათ შეჭრეს, დასვეს მილი და ურდული, ბოლოს და ბოლოს გაზი გვეღირსა. დღესვე დაიწყეს გათბობის მომზადება, მუშაობს ბრიგადა.

18.01.09 კვირა დღეს დილიდანვე დაიწყეს გათბობის ხალხმა მუშაობა, სამწუხაროდ, პირველმა დეფექტებმა თავი იჩინა, ვიშოვნეთ კალორიფერი, ჰაერის გამათბობელი ხელსაწყო, კონდიცირებული ჰაერის გამაშრობელი.

24.01.09 – დღეს ინტენსიური დალაგება მიმდინარეობს, მოვიდნენ მუსიკოსებიც, რეპეტიციები მიმდინარეობს, პირველი ბაზარი, ბესოს, მამუკას და ზვიადის მივანდეთ.

25.01.09 კვირა. და აი, გვეღირსა რესტორანი ნაწილობრივ გავხსენით, ვერ გავაკეთეთ პრეზენტაცია, რაც ძალიან ცუდია მაგრამ იტყვიან ხოლმე, თავს ზევით ძალა არ არისო.

დილით რომ ჩავედი, მე მეგონა ყველაფერი თავზე დაგვექცა, ზოგი აქედან, ზოგი იქედან პანიკურად მიძახის, სამზარეულოში წყალი ჩამოდის დენი არ ირთვება ღუმელებში, მაცივარი არ მუშაობს, ვის რა უჭირს მეც პანიკაში ვვარდები, თავი მისკდება, დახმარება მინდა ცისანა და ვანო აგვიანებენ, ლადო სოფელშია, ვარ აგონიაში. მოდიან ცისანა და ვანო, ცოტა თითქოს იმედი მეძლევა. შევძელით ხარვეზების აღმოფხვრა. დღეს პირველად ვაკეთებთ 25 კაცზე სადილს. ეს არის ნაწილობრივი გახსნა. მუსიკა, ცეკვა, სიმღერა ყველა წესი დავაყენეთ. და შემდეგ დავიწყეთ სტუმრის მიღება.

28.01.09 ოთხშაბათია. სოფელში დავავალე ჩემი ნივის გაყიდვა, ვენახებში სასიარულოდ მქონდა იაფად ნაყიდი. მეგობარმა დამითმო ეხლა კარგი ფასები აქვს, იქნებ გავყიდო. მე ძალიან ცუდად ვარ, ნევროზი მძლავრობს თან გულს ვიკეთებ კარგადაც იყო და ბენზის ხიდზე იარო, სამწუხაროდ, არ გამოდის. თუ გინდა რაღაცას მიაღწიო, უნდა გარისკო, უნდა გასწიო ჯოჯოხეთური წამება – შრომა, მე ხომ აღარ ვეკარები არაკანონიერს, მე ხომ დავიფიცე, ჩემი შრომით უნდა ვიცხოვროთქო – პომპეზური განაცხადია, მაგრამ ეს რეალობაა. ცისანა ამ მძიმე ტრავმის შემდეგ ლოგინში არ წოლილა, სამი თვე გადის, მაინც ჩამოგვყავს ასე არტახებში ჩამჯდარი და არ ისვენებს, თავის განკარგულებებს გასცემს, ბიჭებიც ძალიან ნერვიულობენ, მე მეგონა ლადო გულგრილი იყო, მაგრამ დავრწმუნდი, რომ ძალიან განიცდის ჩვენს მდგომარეობას. მან ხომ რამდენიმეჯერ გვისესხა გარკვეული რაოდენობის თანხა. ჯერ მთელი ოჯახი იმას ვფიქრობთ, სადმე ვისესხოთ, ოღონდ მშენებლობა დავამთავროთ. მეორე და საბედისწერო მომენტი გადახდა, - ბევრი მეუბნება ირონიულად,. თუ არ შეგეძლო რა ძალი გადგაო, მაგრამ ასე არ არის, ღმერთის მეტი ყველა ვცდებით, კარგ დროს დავიწყე მშენებლობაზე ფიქრი, მაგრამ იმ მევახშეებმა, ბანკირებმა, სანამ არ მოიკლეს ჟინი, სანამ 110%-ით არ დარწმუნდნენ რომ 100%-იან მოგებას ამოიღებდნენ გაცემული თანხიდან, მანამ არ მოგვცეს სესხი, როცა მოგვცეს, არ შეიძლებოდა რისკის გაწევა, მაგრამ ძირითადი ნაბიჯები გადადგმული გვქონდა და უკან ვერ დავიხიეთ. 16%-იანზე გვქონდა საუბარი, მასალები იაფი იყო, ხელოსანი იაფი იყო და აი, უცებ ყველაფერი გაორმაგდა, ახლა მესმის მე რატომ გამიჭირდა, ევროპაში სოფლის მეურნეობისათვის 3%იანი სესხები გაიცემა, 20 წლიანი ვადით, ბინებისათვის და მშენებლობისათვის 5%-იანი სესხი, ოღონდ მუშაობის ცნობა, მიიტანო – ჩვენთვის რომ თავის დროზე მოეცათ ყველაფერს გადავლახავდით, მაგრამ რომ გაუბედურდა ეკონომიკა – გა-

ძაღლდა ცხოვრება მაშინღა იკისრეს და თანაც კაბალური ჯერ 16%-იანი რა უღმერთობაა და ახლა 25%-იანი რა იქნება. რაც პირველმა ბრიტანულმა ბანკმა მოგვცა "ეს ძირითადში კრახია დაღუპვაა ბიზნესის, ნუთუ ჩვენი მთავრობა არ ფიქრობს ამ საკითხზე, რატომ მისცა ამ მევახშეებს ამდენის უფლება. როდემდის გავუძლებთ, ერთხელაც იქნება ქვეყანა თავზე დაგვემხობა.

01.02.09 შაბათი. დღეს დარბაზში პირველი საქორწილო სუფრა გაიშალა. 130 კაცზე, ეს იყო გამოცდა ჩვენი ტექნიკის და მომსახურე პერსონალის, ანშლაგით ჩაიარა ქორწილმა, მადლობა ღმერთს, მადლობა უფალს.

08.02.09 კვირა. მანაქანა გაგვაქვს (ნივა) თელავის ბაზარში, მაგრამ ვერ ვყიდით. ჩაბარებულ ყურძნის ფულს ჯერ კიდევ ვერ გვაძლევს ღვინის ქარხანა. ამბობენ, გაკოტრების პირასა ვართ მისულიო. გადასახადები სულს გვხდის. აღარ ვიცი როგორ მოვიქცეთ.

13.02.09 – პარასკევია – ძალიან ცუდი ამბები მომდის საბერძნეთიდან ჩემი დისშვილი ლილი სამუშაოდ არის წასული, რამდენიმე წელიწადია ქმარშვილით პურის ლუკმის საშოვნელად, სულს ვღაფავთ, ბიჭი, შვილი, გიორგი ადგას თავზე, მესამედ გაუკეთეს მძიმე ოპერაცია, ვტირივართ დღე და ღამე რა ვუშველოთ, თვითმფრინავით გადმოფრენაზე უარი თქვეს, მანქანით ვერ აიტანს მგზავრობასო და აღარ ვიცით რა წყალში გადავვარდეთ, აქეთ მეორე დისშვილმა გაიკეთა ოპერაცია ნაღვლის ბუშტი ამოჭრეს რაღაც შეცდომები დაუშვეს, ალბათ ჩემი დები ვერ გადაიტანენ ამ მძიმე ტრავმას, ღმერთო, უშველე ღმერთო, გადამირჩინე ორივე.

14.02.09. ვალენტინობაა, სიყვარულის დღეა. 100 კაციანი სუფრა გაიშალა დარბაზში, ბრწყინვალედ გამოიყურება, დიდებულია. დაიწყო ხალხის შემოსვლა, დარბაზშიც ჩავუშვით დამატებით ხალხი, თითქმის ყველა კუპე შეივსო. ღმერთო გვიშველე, იმედი გამოჩნდა. მთელი ოჯახი ფეხზე ვდგავართ, ვტრიალებთ.

21.02.09 შაბათი – ხარჯები, ხარჯები – გასავალი, ფული შემოდის, მაგრამ გასავალი სჯობნის. ძალიან ბევრი, სამეურნეო თუ საყოფაცხოვრებო ხარჯი გვაქვს.

24.02.09. სამშაბათი – დღეს სტუმრები არ შემოვიდნენ, 2 პატარა სუფრა გვქონდა. თვე გადის, არ ვიცი როგორ გადავიხდით გადასახადს. მარტო ნაგვის, დასუფთავების ფული 850 ლარია, როგორ უნდა დავარწმუნოთ, რომ სკამები ცარიელია, ერთ სკამზე ხომ 3 ლარს გვახდევინებენ, მე ვუყვები ფორდი გვყავს და ჩვენი ნარჩენები სოფელში მიმაქვს-თქო, ღორებისთვის, საქონლისათვის, სასუქისათვის, ძვალი, ქაღალდი, ყოველგვარი ნარჩენი – ჩვენი საქმე არ არისო, რამის ოქროს კარებები შეაბან თავიანთ ოფისებს, ქალაქის წყალმა, დასუფთავებამ, თელასმა... ხალხი იღუპება, შიმშილობს, აღარ არის ხალხში ფული, ქართველი კაცი იმით ამაყობდა, რომ რესტორანში მეგობარს პატიჟობდა და ევროპელივით, ყველას თავისი საჭმელი არ მიჰქონდა შეხვედრებზე "ნემეცკი სჩოტი". ახლა ვხედავთ რაც ხდება, როდესაც ჩვენ სუფრის მამაპაპეულ-ტრადიციულ წესს მოვსპობთ, ჩვენც მოვისპობით, მორალურად, სულიერად, ზნეობრივად.

გვიშველე, ღმერთო.

24.02.09. სამშაბათი – დღეს სტუმრები არ შემოვიდნენ, გიჟებს ვგავართ, თვე გავიდა, გადასახდელები გადასახდელია. უკვე სერიოზულად ვარ ავად – ნევროზი მძვინვარებს – მეწვის კანი, ძილი დავკარგე, სულ ვალზე და სირცხვილზე ვფიქრობ, რით დამთავრდება ეს ამბავი.

04.03.09. ოთხშაბათი – დღეს ჩემმა რძალმა ქეთინომ წარმატებით დაიცვა დისერტაცია. გამარჯვებაა, დიდი სიხარული, დიდი ბედნიერება, ერთი მაგათ შვილსაც მაღირსა და მერე თუნდაც მოვკვდე.

05.03.09. ხუთშაბათია. ჩემი დაბადების დღეა, 71 წლის ვხდები, შარშან ამ დროს ბედნიერი ვიყავი დიდი დაბადების დღე გადავიხადე. დღეს ძალიან მძიმე დღეში ვარ – ლილი, მედიკო, მარინე, ცისანა, რომლის ტრავმები ვიდარდო თუ ვალები.

06.03.09 პარასკევი – დღეს მთელი დღე ვილოცე, შევეხვეწე ჩემი ავადმყეფობის მშვიდობით გადარჩენა და ჩვენი დუხჭირი ეკონომიკის ხსნა. ვნახე მამა ამირანი, რატომღაც ორჯერ გამიმეორა, - გამოსვლა მინდაო და საუბარიო, მე სულ ხორცი დამეწვა, ვალი ხომ არ უნდა მთხოვოს მეთქი, მან ხომ ხელი გამომიწოდა იმ ძალიან კატასტროფის დროს 5000$ მისესხა. არ ვიცი, რა უნდა გავაკეთო, სირცხვილი მწვავს და მანადგურებს.

მამა ამირანი დღედაღამ ლოცულობს თავის მრევლზე, ვის როგორ დაეხმაროს, ცდილობს ღმერთს ევედრება, ეხლაც არ ვიცი ვინ შეაწუხა, ვის სთხოვა, მე უგუნურმა როგორ გავუბედე, მას

ხომ თვითონ უჭირს, ისე მე ერთი თვისება მაქვს, მიჭირს უნდა ვთქვა იქნებ ვინმეს შეუძლია დახმარება, იქნებ მისთვის ეს სულის გამათბობელიც არის ვინმეს რომ ეხმარება, მაგრამ შემხვედრია ისეთი ადამიანებიც, რომელიც აცხადებს ხმამაღლა როგორც გინდა გამიჭირდეს, მე სხვას არ შევაწუხებო, ე.ი. .გაგრძნობინებს რომ ახლოს არ გამეკაროთო, მე ბევრჯერ გამომიწვევია ასეთი ადამიანი, ძალით მიმიცია ფული და მითქვამს როდესაც შენი სურვილი იქნება, მაშინ მომეცითქო, რა თქმა უნდა, ეს კარგ დროს ხდებოდა.

11.03.09. ოთხშაბათი. ალიკას ცოლს ველაპარაკე, ვოვას უარი უთქვამს 5000-ს ვერ ვშოულობო, მაგრამ მეორე დღესვე მირეკავენ, ვოვას თურმე თავის მეგობრებში (მოსკოვში) ულაპარაკია ანზორი ძიას უჭირს და ვერ დავეხმარეო, ღმერთმა უშველოთ, მეგობრებს უთქვამთ, რაკი ასე სწუხარ, ჩვენ დაგეხმარებითო და აი, გადავრჩი. მამა ამირანი, რა თქმა უნდა, ჩემზე მეტად განიცდიდა ჩემს მდგომარეობას, ვოვამ გადამარჩინა. ეს ფული, რომ დავუბრუნე, მითხრა – ასე სასწრაფოდ კი არ იყო საჭირო, ასე რატომ განიცადეო. ვფიქრობდი იმდენმა მეგობარმა გამომიწოდა ხელი და, რომ ვერ გადავიხადო, ხომ თავი მომეჭრება-მეთქი, ჯერჯერობით უფალი მმფარველობს.

კიდევ გამიჭირდა ერთ მოვალესთან, ჩემი აჭარელი ძმა მამული მახარაძე დამეხმარა, მასთანაც გაჭირვების დროს ვახსენე, ვინმესთან ხომ არ გეგულება თავისუფალი ფული ან გასაპროცენტებელი-თქო და ჰოი, სასწაულო, მეორე დღეს 4000 დოლარი მომიტანა, არავითარი პროცენტიო – ცოტა ხანში მამულის დაბადების დღე ჰქონდა და აი იქ გავიგე ეს ფული როგორც იშოვნა. ერთი კახელი კაცი – ბატონი უშანგი ეკითხება, ეს ის ანზორი ხომ არ არის, მთელი კახეთი რომ მომატარე, ჩემს მეგობარს ფული სჭირდებაო, მამულიმ შემაყვარა დამიბრუნა აჭარა და აჭარლები – დიდი ვაჟკაცია, დიდი მეგობარი.

აჭარაში დარჩენილ ჩემს ნაშრომზე საუბედუროდ არავინ ფიქრობს. ღმერთმა ხომ იცის რამდენი კარგი გავაკეთეთ, სამი ტონა ღვინო და სხვა მრავალი პროდუქტი მიითვისეს, სირცხვილია, სირცხვილი, სირცხვილი, თავის მოძღვარსაც არ გაუწიეს ანგარიში, ჩვენ ხომ უანგაროდ მან წარგვადგინა აჭარაში.

04.04.09 შაბათი. ლადო სოფელშია არ ვიცი როგორ ფიქრობს სოფლის საქმეების მართვას. გული მწყდება, რომ ჩემს გამოცდილებას არ იზიარებს, მინდა მეტად ჩაიხედოს სოფლის მეურნეობაში, მე ფულისათვის არასდროს ვგიჟდებოდი, ჩემი ნატვრა და მიზანი იყო რაღაც შემექმნა, რაღაც მეწარმოებინა ეს იყო ჩემი სიხარული ეს კონვეიერიც ხომ ამიტომ მოვიგონე – სოფელი, სოფლის ბარაქა და ჩემი სარეალიზაციო ობიექტები – ჩვენ ხომ პატრონი არ გვყავს რომ მოგვხედოს, სტიქიურად ვმოქმედებთ, ჩემი სიყვარული და ბედნიერება სოფელია, მითუმეტეს, რომ მე იქ უნდა დავიმარხო, ის ვიცი, რომ ჩემ ცოლშვილს საფლავის ყიდვა მაინც არ დასჭირდება, ქალაქში დანასისხლად რომ ყიდიან. თბილისში ჩემმა კარის მეზობელმა ცნობილმა პოეტმა ტაბუ მებურიშვილმა თავი მოიკლა – ფანჯრიდან გადაფრინდა: ანდერძი დატოვა –იმ ქვეყანაში, სადაც საფლავის 2 კვ მეტრი მიწა სისხლის ფასად უნდა ვიყიდოთ სიცოცხლე არ ღირსო. მე ამ ეკონომიას ვუკეთებ ჩემს ოჯახს – ღმერთო გვიშველე!

14.04.09 სამშაბათი. დილით ცისანა ცუდად გრძნობდა თავს, ვანო და ქეთინოც გადმოვიდნენ, მეხი დამეცა თავზე. ლილი, ჩემი ულამაზესი გოგო, ჩემი დისშვილი გარდაიცვალა საბერძნეთში, გუშინვე სცოდნიათ, მაგრამ მე მიმალავენ, დამემხო თავზე ყველაფერი ასე უარაროო დღეში ვართ და ასეთი ტრაგედია დაგვიტრიალდა. მტკივა ლილი, მაგრამ უარესი სატკივარი გველოდება საბრალო ჩემს დას, - დედას როგორ უნდა გავუმხილოთ.

P.S. უკვე ძალიან მიჭირს ყველაფრის გახსენება. გული მტკივა ვნერვიულობ და ვფიქრობ – ღირდა კი ყველაფერ ამის გაკეთება. თუ მეც ზოგიერთივით თვითდინებით უნდა მევლო ამ ქვეყანაზე?! და ამდენი ხალხი, რომელიც მე დავასაქმე ქუჩაში უნდა დამეტოვებინა?

ალბათ ყველაფრის მოყოლა, იმ ტიტანური შრომის და ჯაფის გახსენება შეუძლებელი იქნება, მაგრამ მაინც მინდა ერთხელ კიდევ გადაგახედოთ; ბანკებთან ურთიერთობას, მშენებლობის წარმოების სირთულეებს.

გაგრძელება იქნება

სიბრძნის სკივრი

ნაირა უგულავა

* * *

ყველაზე დიდი სურვილი რაც გამაჩნია, ეს არის – ვთქვა სიმართლე. ყველაზე დიდი ბუნდოვანებაც ჩემთვის სწორედ სიმართლეა.

* * *

არსებული მოფუსფუსე სამყაროდან, კოსმოსის ღია სივრციდან, უსასრულობიდან, მილიარდი წლების სიღრმეებიდან, შენს სულში მოურიდებლად იჭრებიან რეალური თუ არარეალური არსებანი. ბევრჯერ არც კი იცი, ვინ არიან ისინი, რა უნდათ, რას დაეძებენ, რატომ ირევიან, ფუთფუთებენ, გაფორიაქებენ, მოსვენებას არ გაძლევენ – საზღვარი არ არსებობს მათ შესაკავებლად. მათ შორის დაეძებ შენსას, დაუცველს, სუსტს, დაბნეულს. ზოგჯერ პოულობ სრულიად უსუსურს და უნებისყოფოს. ცდილობ, ამ არეულობიდან დაიხსნა, გამოიყვანო, გამოსახო, ფორმა მისცე – ინდივიდუალობა, პიროვნულობა, ადამიანურობა და სახიერება შესძინო მას.

სამყაროს მოძრაობაში და ხმაში საკუთარი ტონი გამოიცნო, გამოარჩიო, ჟღერადობა შესძინო, შეუპირისპირო სხვათა აზროვნებას, მით უფრო, ხმამაღლა, მოურიდებლად ააჟღერო, როცა ამ ხმაურში და ქაოსში გამუდმებული ჩახშობა და ჩაქრობა ემუქრება მას – ეს გაბედვაა.

* * *

იმის სათქმელად რაც მე მინდა, ღმერთს ვევედრები, მაპოვნინოს საჭირო სიტყვა...

* * *

ადამიანი მოვალეა, ჩაიხედოს თავისი ეპოქის საზოგადოების წარმოსახვათა სარკეში და თავისავე წარმოსახვათა თვალსაწიერით კრიტიკულად შეაფასოს იგი. არ არის მოვალე, კვერი დაუკრას ყოველივე ნანახსა და გაგონილს...

* * *

პიროვნული გონიერების შემთხვევაშიც კი, უძლურნი ვართ, წინ აღვუდგეთ მეწყერად მოხეთქილ საზოგადოებრივ აზროვნებას, რომელიც დროდადრო ტრანსში აგდებს მასებს. სწორედ ამ ტრანსის შემდეგ იწყება მასათა ინტუიციური მოძრაობა გადაგვარებული აზროვნების წინააღმდეგ, რომელსაც ასევე ვერაფერი შეაფერხებს.

დღევანდელ აზროვნებაში „კრიზისი“ სახეზეა, ინტუიცია კი ჯერ არ გამოკვეთილა...

* * *

დედამიწაზე დამანგრეველთა და აღმაშენებელთა აზრები საპირისპირო მიმართულებით წრეზე მოძრაობენ, რომლებიც მაშინ აღმოჩნდებიან ერთ წერტილში, როცა ეს დედამიწა აღარ იქნება...

* * *

არ უნდა დაგავიწყდეს, უფლის გამონაშუქ სულს რომ დაატარებ და არც ის, ადამიანური ხორცი რომ გასხია – რომელთაც სათანადო პატივი უნდა მიაგო.

* * *

რა თქმა უნდა, საზოგადოება შეეცდება შეცვალოს აზროვნება, რომლიდანაც გამორიცხეს...

* * *

როცა ავანსცენაზე პრიმატები და პრიმიტივები გამოდიან, საზოგადოებრივი აზრის გაჯანსაღებაზე ფიქრი დაგვიანებულია.

* * *

აზრობრივ–მენტალური ძალადობა, რომელიც სოციალურ გარემოში შეიძლება არსებობდეს, ბუნების კანონზომიერებებთან ვერაფერს გახდება. დამკვიდრება, რომელსაც სოციალურ–მენტალური ჯგუფები

ახდენენ, პირობითია და დროის მხოლოდ მცირე მონაკვეთში გამოდგება, ბუნების მთავარ ასახვაში ის არ მოიპოვება...

* * *

თუ საზოგადოება დაავადმყოფებულია, მას მოვლენების მიმართ სწორი რეფლექსია ვერ ექნება...

* * *

კაცობრიობის აზროვნება ძალიან ნელა იზრდება იმ ფონზე, როცა აზროვნებითი პროდუქტი ხვავდება (ვერ ვიტყვით, მათ შორის სრული შეუსაბამობა იყოს). აზროვნებითი პროდუქტი ხორაგივით იყიდება ბაზრებზე, მაშინ, როცა ჭეშმარიტი აზროვნება სანთლით საძებარია...

* * *

ყოველი ადამიანი თავისი ცნობიერების უნიკალურობიდან და ფასეულობით– კატეგორიალური ღირებულებიდან გამომდინარე აყალიბებს კრიტერიუმებს, რომელთაც არგებს როგორც საკუთარ თავს, ასევე საზოგადოების წევრებს და აქვს შეფასების სრულიად განსხვავებული სისტემა.

* * *

დასანანია, ამ საზოგადოებას, ჯერ კიდევ, დეილ კარნეგის ულუფები რომ ესაჭიროება.

* * *

აზროვნება არ არის მარტო ტვინის აზროვნება. ყოველგვარი მიზანშეწონილი მოძრაობა აზროვნებაა. მიზანშეწონილი მოძრაობა არის არსის შესაბამისი მოძრაობა, რომელიც სიცოცხლეს ან სიცოცხლისუნარიანობას გულისხმობს; თანაც იგი საწინააღმდეგო ტენდენციის – ამ არსის მოსპობის – განადგურების საპირისპირო მოძრაობაა, მასთან ჭიდილია. თუ ამ ჭიდილში არსის აზრი იმარჯვებს, ეს უკვე სასიცოცხლო ტენდენციაა – დადასტურებული მოძრაობაა; განცდადია, რომელიც ამავე არსში აისახება; გამეორებადია და მიმართულებაც აქვს – ესაა სიცოცხლის განხორციელების აუცილებლობა.

* * *

ზოგჯერ, გაამპარტავნებული, პატივმოყვარე ადამიანი როლის „ გათამაშებას“ იწყებს (ორმაგი თამაში), გამოჰყავს რა თავისი პიროვნება ასპარეზზე. ეს ხელოვნებაა, რომელიც უბრალო მომაკვდავთათვის მიუწვდომელია. თითქოს, ზებუნებრივი ძალების დახმარებით, ეს პიროვნება თავის იდეოლოგიას თავს ახვევს მილიონებს... იწყება დასნებოვნება – ეს ვირუსის გავრცელებას ჰგავს და შეუძლია არა მარტო ზემოქმედება მასებზე, არამედ მათი განადგურებაც. ამ დროს წინააღმდეგობა ნულია. მხოლოდ შეუცნობელი ძალა „თვითგანადგურების ინსტიქტის პრინციპით“ ერთი მიმართულებით ამოძრავებს ამ პიროვნებას და საზოგადოებრივი აზროვნების ამ ფორმას.

* * *

ქაოსისაკენ მიმზიდველი ლტოლვები და მისწრაფებები გარდაუვალობის და აუცილებლობის ინსტიქტური შეგრძნებებით უნდა ჩავანაცვლოთ.

დღესდღეობით, დგას არა მასების ფსიქოლოგიური მართვის, არამედ მისი შესწავლის აუცილებლობა. იმ კატაკლიზმებიდან გამომდინარე, რაც უკვე სახეზეა, საჭიროა არა ფუტურისტულ– კოსმოპოლიტური აზროვნება, არამედ რეალობასთან – მისი შედეგებიდან გამომდინარე, სწორი დამოკიდებულება და კომპეტენტური აზროვნება, რომელიც სხვადასხვა სოციალური ჯგუფების დამოკიდებულებით და აზროვნებით უნდა იყოს ნაკვები და არა ახირებული, ბედისწერის ტალღებზე მოთამაშე, ავანტიურისტების მცირე ჯგუფების აზროვნებით!..

* * *

სიცოცხლის განხორციელების ხაზზე, ბუნებრივი კატაკლიზმებით და ადამიანის ხელით შექმნილი ხელოვნური ბარიერების მიმართ სრულიად განსხვავებული აზროვნება და დამოკიდებულება არსებობს.

თუ კატაკლიზმში ადამიანი საყოველთაო და უფლის განგებულებას ხედავს, ხელოვნურ ბარიერებს ის თავისუფლების შემზღუდავ, სრულიად დაუშვებელ, ძალმომრეობით განხორციელებულ ქმედებებად აღიქვამს, რომლის მიმართ წინააღმდეგობა იმდენად დიდია, რომ არაფერზე უკან არ დაიხევს; სწორედ რომ,

ყველანაირ საშუალებებს – აკრძალულ თუ აუკრძალავ მეთოდებს გამოიყენებს ამ ძალადობის აღსაკვეთად. მსოფლიოს ,,უკანონო მამები," დროა, დაფიქრდენ ამაზე!..

* * *

ადამიანებს უნდა დაუმტკიცო, რომ არსებობ!..

* * *

მორჩილებამ შეიძლება თავ–ბედი გვაწყევლინოს.

* * *

მწვერვალზე ასვლისას ფრთხილად იყავით... არა იმიტომ, რომ მაღალია ან საშიში, არა, იქ სხვანაირი გამოცდა გელოდებათ...

* * *

ეს – დედამიწაა, ზედმეტ „ტვირთს" რომ დაატარებს და არა რომელიმე ადამიანი მასზე...

* * *

ადამიანში რეალობა ტალღისებურად, მომენტ–მომენტ გამოსხივდება, ამის
შენარჩუნების ძალა კი არ შესწევს...

* * *

ნურასოდეს ეცდები, საკითხი გააშუქო ბოლომდე, სულერთია, ამას მაინც ვერ შეძლებ. სჯობს, დავტოვოთ იდუმალების საბურველში გამოხვეული.

* * *

სიტყვას და გამოხატვას ყოველთვის აქვს აზრი: მე არ ვიტყვი, სხვა იტყვის; სხვა არ იტყვის, კიდევ სხვა – ექო გაიმეორებს და ვინ იცის, იქნებ, კეთილგონიერებას ყურში მისწვდეს...

* * *

სიტყვა ტემბრისა და ინტონაციის განუსაზღვრელ ტონალობას შეიცავს და ინტერპრეტაციების ფართო შესაძლებლობას იძლევა.

* * *

ნიჭიერს ყოველთვის აჯობებს ჭკვიანი... ჭკვიანი ნიჭიერი კი ყოველთვის მოხერხებულად ხმარობს ლაგამს.

* * *

შენში პატარა ბავშვი არასოდეს ჩაკლა – ეს თვითმკვლელობის ტოლფასია.

* * *

არასოდეს იფიქრო, რომ რაიმე აღმოაჩინე და არ გაგიხარდეს!..

* * *

ქართველები ნიჭიერი ხალხია... დახატეთ, წერეთ ლექსები და პოემები, შექმენით მუსიკა, რაც გნებავთ, ოღონდ! – საკუთარ დედებს ნუ შეაგინებთ!..

* * *

ცნობადი ხის ნაყოფის სწრაფი გასინჯვა კრახით მთავრდება (ნოვალისის მაგალითი).

* * *

სანამ მუშა–ცხენის ტვირთს იტვირთავდეთ, კარგად დაფიქრდით...

* * *

შენს მოღვაწეობას და ამბიციას ადამიანები არ უნდა გადააყოლო!..

* * *

უბრალო ადამიანებთან ფრთხილად, დაკვირვებულად და გააზრებულად ისაუბრეთ... მათ შორის ბევრი გენიოსია!..

* * *

ადამიანები „საშველს" დაეძებენ, არადა, ბევრჯერ ის ხელში უჭირავთ...

* * *

შეუძლებელია, ცხოვრებაში ერთხელ მაინც, სხვა განზომილებაში არ მოხვდე და იქედან არ შეაფასო აზრი და არსი ყოფიერებისა…

* * *

ადამიანის კმაყოფილების სასმისი ზომიერად თუ არ შეივსო, თრობას გამოიწვევს. ზედმეტმა და სწრაფმა შევსებამ დაბნეულობა,არეულობა და გადაგვარებაც შეიძლება გამოიწვიოს.

* * *

ვინმეს რაიმე რომ დაუმტკიცო, ხანდახან, წლებია საჭირო და მოთმინება…

* * *

არ მეგულება ადამიანი, რომელიც მომავალს განჭვრეტს და იტყვის, რა გველოდება ერთი დღის, თუნდაც, ერთი საათის შემდეგ და ამ პირობებში შეიძლება, უდიდეს კანონზომიერებებს დავუპირისპირდეთ?

* * *

დაუოკებელი სწრაფვა ცოდნისადმი მანამ იპყრობს ადამიანს, სანამ ეს ცოდნა თავად არ დაიპყრობს მას…

* * *

ცოტაა ადამიანები, რომლებიც მომხდარ ან მოსალოდნელ ფაქტებს რეალურად განიცდიან და მათ, როგორც გამოცდილებას, ისე აგროვებენ და იყენებენ.

* * *

ზოგიერთი ადამიანს ინფორმაციული გაუმაძღრობა სჭირს.

* * *

არ აღმოჩნდე სულელის მდგომარეობაში, რომელიც ყველას ჭკუას ასწავლის, მათ შორის ბრძენსაც.

* * *

ზედმეტად წარმატებული და ამბიციური ადამიანები უფალსაც არ უყვარს, რამეთუ ხშირად უფლის წინაშეც მედიდურობენ.

* * *

თუ სხვა ადამიანმა უკეთ იცის, შენ რა გინდა და ამის შესახებ გაგაგებინებს, ის მტერია?..

* * *

არიან ადამიანები, რომლებიც იწელებიან იმად, რაც არ არიან. ისინი ყოველთვის ზედაპირზე ტივტივებენ და ჩანან.

არიან დიდი სულიერი სიღრმის ადამიანები, რომლებიც, ბევრჯერ, ისე ამთავრებენ სიცოცხლეს, საზოგადოება მათ ვერ ამჩნევს…

* * *

გონიერება უნებისყოფო ადამიანებს ვერ ეუფლება.

* * *

ის, რაც უნდა დაგვემართოს, ჰაერში რიალებს, ჩვენ კი მისი დანახვა არ გვინდა…

* * *

ყველაზე დიდი მტრები სხვა სარწმუნოებაში და ეროვნებაში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ საკუთარ თავში.

* * *

გახსოვდეს, შენი ტალანტის სულ მცირე გაბრწყინებისასაც კი, დამდგარი მოლოდინები დიდ პასუხისმგებლობას გაკისრებს.

* * *

არშემდგარი ადამიანები არასრულფასოვნების კომპლექსებით მხეცებთან შეჯვარებული მანიაკების ხროვაა.

* * *

ადამიანის გონებრივი შესაძლებლობების გაზრდამ, „წარმატებების“ მიღწევის მცდელობებმა შეიძლება კაცობრიობა დაღუპოს. დროა, გონების განვითარების პარალელურად, ვიმსჯელოთ გონების „გონივრულობაზე“.

* * *

ყველაზე საშიში ადამიანები ნიჭიერთა შორის უნდა ვეძებოთ...

* * *

ბავშვი რეალურობის საზღვრებში უნდა იზრდებოდეს. თავისი სახლის კარიდან გასული, იგი უამრავ აგრესიას წააწყდება. აგრესიის სტერილიზაციის ჩატარებას ნუ შევეცდებით.

* * *

მოზარდის ასაკის შეუსაბამო გაცნობიერება – ცნობიერებითი ველის ზედმეტი გაფართოება (ჩვენი გადაჭარბებული მცდელობები) შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს. ცხოვრების საზრისის ძიება – ზედმეტი ჩაკირკიტება და მრავლად წარმოშობილი კითხვები – ხშირად ხდება მოზარდის იდენტიფიკაციის კრიზისის მიზეზი.

* * *

აღზრდა, უპირველესად, ბუნების სწორ შემეცნებას, მასთან სწორ კონტაქტს უნდა გულისხმობდეს და განაპირობებდეს.

* * *

ზოგჯერ ადამიანს ეზარება, გასწიოს ძალისხმევა, რათა საკუთარი პიროვნება აღზარდოს და მისგან რაიმე გამოიყვანოს. იგი სხვა პიროვნებებს ან ჯგუფებს აედევნება და გაუცნობიერებელ ურთიერთობაში მყოფი, მათთან არასწორი ასახვით ცდილობს თავის პიროვნებას რაიმე შესძინოს, რაც, საბოლოოდ, დამღუპველად მოქმედებს მასზე, – სხვა ადამიანების სურვილების აღმსრულებელ საშუალებად იქცევა ისე, რომ თავად ამას ვერ აცნობიერებს ან აცნობიერებს ძალიან გვიან, როცა უკვე სახეზეა პიროვნული კონფლიქტი.

* * *

საით წაიღებ შენს ტრაგედიას, ტანჯვას და პრობლემებს ეს შენი საქმეა. უნდა ეცადო, ის სხვას არ გადაუნაწილო – განსაკუთრებით შვილებს.

* * *

გამოცდილებას ყველა თავისებურად იზიარებს (თუ იზიარებს საერთოდ...) გამოცდილება არ არის მყარი მოცემულობა. იგი შემოქმედებითად მიდგომას მოითხოვს. არ შეიძლება ყოველგვარი გამოცდილება მიაძალო მომავალ თაობას, რომლებიც სულ სხვა მიზნებისკენ არიან მიდრეკილნი...

* * *

მოზარდის ინტელექტუალური განვითარებისდაკვალად უნდა მიმდინარეობდეს მისი ფიზიოლოგიის და, ზოგადად, მასთან მიმართებით ფსიქოლოგიური პრობლემების გაცნობა. წინააღმდეგ ამისა, ცალმხრივად განვითარებული და გაუცნობიერებელი მოზარდი უამრავი პრობლემის წინაშე აღმოჩნდება სრულიად მოუმზადებელი, რაც მის ცხოვრებას ძალიან გაართულებს.

* * *

უდიდესი სიზუსტით ასახულ ბიოლოგიურ სისტემებს შეუძლიათ, კიდევ, ურთიერთასახვის პროცესში მათი ცნობიერებითი სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება, მათგან განსხვავებით ადამიანს – ცნობიერების წარმართვა, – მისი ობიექტივიზაცია გარე სინამდვილესთან ერთად.

* * *

შინაგან გაურკვევლობაში გარკვეული ხატებისა და შინაარსების შემოსვლა ადამიანად ფორმირების მომასწავლებელი იყო.

* * *

არათუ ერთს, მრავალ ადამიანს ერთად არ შეუძლია, იხილოს მთლიანი არსი მოცემულობისა, როგორიც არის სამყარო. ეს არის ადამიანური უძლურებაც და მთავარი განმაპირობებელიც მისი სიცოცხლისუნარიანობისა...

* * *

ხატოვნად და სიტყვიერად გაფორმებულ ჩვენს წარმოსახვებში კიდევ არის ცოდნა, რომლის წაკითხვა უნდა შევძლოთ.

* * *

საინტერესოა, რომ ჩვენი სამყარო ახლა სხვა განზომილებაში გადადის. დედამიწაზე მომხდარი კატაკლიზმების გამო, ბიოლოგიური მასალა და ადამიანის აღქმა შეიცვალა. შესაბამისად, შეიცვალა ადამიანის აზროვნება.

საჭიროა თავისუფალი, ინტუიციური აზროვნება, მომავლის სწორი რეფლექსია და

სწორი ქმედებები, რათა არ მოხდეს რეგრესია.

* * *

ჩვენი აზროვნება, ზოგჯერ, პლანეტების ორბიტაზე მიზიდულობითი კანონებით მოძრაობის მსგავსი აზროვნებაა, რომელსაც ვერც აღვიქვამთ და ვერც ვცვლით.

* * *

ფსიქიკა – ეს ქცევაა და ქცევა ფსიქიკაა. მათ შორის დიდი ლაბორატორია – დრო მუშაობს.

* * *

ზომიერი პროტესტი ყველაფრის და ყველას მიმართ უნდა გაგაჩნდეთ ისე, რომ საკუთარი თავი არ დაიზიანოთ...

აზროვნების მხოლოდ მაღალ კატეგორიებში შეიძლება მიუახლოვდეთ და ჩასწვდეთ რეალურ არსს და საწყისს. სხვისი შეგონებები ყოველთვის ყალბად და მცდარად მოგეჩვენებათ თუ თავად არ მიხვალთ ჭეშმარიტ არსამდე და აზრამდე.

* * *

აზროვნებითი შესაძლებლობა და უნარი გამოხატულებათა შესაძლებლობას ხშირად არ ემთხვევა, ზოგჯერ არ ეთანხმება...

* * *

სიმბოლოთა სიმბოლო – ეს ადამიანური აზროვნებაა.

* * *

აზროვნებითი აქტი არის მთავარი შრომა – რაშიც ვქმნით, ვიქმნებით, ვახორციელებთ და ვადასტურებთ კიდევაც საკუთარ არსებობას.

* * *

საგნები გვიზიდავს – ჩვენს აზროვნებას ირჩევს (კურტ ლევინის მიხედვით).

* * *

აზროვნება არ არის მარტო ტვინის აზროვნება. ყოველგვარი მიზანშეწონილი მოძრაობა აზროვნებაა. მიზანშეწონილი მოძრაობა არის არსის შესაბამისი მოძრაობა, რომელიც სიცოცხლეს ან სიცოცხლისუნარიანობას გულისხმობს; თანაც იგი საწინააღმდეგო ტენდენციის – ამ არსის მოსპობის – განადგურების საპირისპირო მოძრაობაა, მასთან ჭიდილია. თუ ამ ჭიდილში არსის აზრი იმარჯვებს, ეს უკვე სასიცოცხლო ტენდენციაა – დადასტურებული მოძრაობაა; განცდადია, რომელიც ამავე არსში აისახება; გამეორებადია და მიმართულებაც აქვს – ესაა სიცოცხლის განხორციელების აუცილებლობა.

* * *

ისეთ პატარა არსებას, როგორიც ადამიანია, არ უნდა ქონდეს პრეტენზია – ცოდნა სამყაროზე ან თავის თავზე დასრულებულად გამოაცხადოს ან დაბეჯითებით ამტკიცოს პარადიგმებად მიღებული მოსაზრებებიდან გამომდინარე გადახრა.

* * *

საყოველთაო ცოდნასა და მტკიცებულებებში ყოველთვის არის შავი ხვრელები, რომლებიც არ ვიცით, სად მიგვიყვანენ...

დიდი მოგზაურობა

ჯუმბერ ლეჟავა

(დასაწყისი ჟურნალ „ათინათის“ № 26, 27, 28, 29-ში)



სან-ტომედან ბატაში ჩასაფრენი ბილეთის საშოვნელად საინტერესო ისტორია გადამხდა თავს... როგორც ვიცით გაბონი ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი ქვეყანაა აფრიკის კონტინენტზე. გაბონის ტერიტორიის ¾ უღრან ჯუნგლს უკავია, რომლის საშუალო სიმაღლე 60 მეტრია. ფლორითა და ფაუნით იგი ერთ-ერთი უმდიდრესია რეგიონში. ნალექების წლიური რაოდენობის მაჩვენებლითაც პირველია მსოფლიოში. ხშირად ნალექების რაოდენობა 4000 მმ-ს აღწევს, რის შედეგადაც მდინარეები წყალუხვია. ქვეყანაში მოსახლეობა მცირეა და არც სიცოცხლის ხანგრძლივობაა მაღალი. ჯუნგლი გადაჭედილია სპილოებით, კამეჩებით, ანტილოპებით, ლეოპარდებით, აფთრებით, აფთრისებრი ძაღლებით, მაიმუნებით... მდინარეები სავსეა ნიანგებით, ბეჰემოტებით... გაბონში განსაკუთრებით მრავლადაა ადამიანის მსგავსი მაიმუნები – გორილა და შიმპანზე, მწერებიდან სჭარბობს ბუზი ცეცე. საინტერესო ბუნებისაა გლოსიდების ოჯახის სისხლისმწოველი მწერი. იგი ცოცხლადმშობია. გავრცელებულია აფრიკის ტროპიკულ და სუბტროპიკულ სარტყლებში. ოცი სახეობიდან ზოგი ტრიპანოსის – ძილქუშის გამომწვევი დაავადებების გადამტანია...

გაბონი უმდიდრესია სტრატეგიული წიაღისეულით, ჰიდრორესურსებით და ძვირფასი ხის ჯიშებით. მოსახლეობის 50% პიგმეი „ბაბუნგაა“. ეს ხალხი ჯუნგლებში ცხოვრობს.

აი, ასეთი გაუვალი ჯუნგლით დაახლოებით 700 მ ვიარე კონგო-ბრაზავილის საზღვრამდე, რამ გადამარჩინა?.. ოფიციალურ სასაზღვრო პუნქტში მისულს მეუბნებიან: ომია კონგო-ბრაზავილში და საზღვარი ჩაკეტილიაო. შესვლის ორი ვარიანტი მქონდა და თუ მაინც ვერ შევაღწევ-

დი, მაშინ როგორმე კონგო კინმასაში უნდა მოვხვედრილიყავი. პირველი ორი ვარიანტი სიცოცხლისათვის საშიში გახლდათ, ხოლო მესამე გაუვლელ სახელმწიფოთა რიცხვს მიზრდიდა. სხვა გზა არ მქონდა – რადაც უნდა დამჯდომოდა, კონგო-ბრაზავილში უნდა შემეღწია. ე. ი. არჩევანის რულეტზე სიცოცხლისათვის საშიშ პირველ ორ ვარიანტს ვდებდი. აქედან უფრო რთულსა და საშიშს, – სამხრეთის ვარიანტს ვირჩევ. ამ ვარიანტს შესვლის ალბათობის უფრო მეტი შანს აქვს, რადგან სამხრეთით საზღვარი უკონტროლოა და შეპარვა უფრო შესაძლებელია. ჯუნგლით 300-მდე კმ ვიარე. რამდენჯერმე შევხვდი ხე-ტყის ბრაკონიერებს. ამ ხალხთან შეხვედრა, თანაც ჯუნგლებში, მეტად სახიფათოა. ალბათ გაინტერესებთ, როგორ გადავრჩი...

ჯუნგლში სხვადასხვა ტომებიც ცხოვრობენ. ერთ-ერთი ტომიდან ზანგმა ქალმა სუფთა წყალი მთხოვა, ორი წლის შვილისთვის მინდაო. ორი ლიტრი წყალი მივეცი. მე კი უწყლოდ დავრჩი.

მე... თუმცა ამაზე სხვა დროს!

როგორც იქნა, შევედი კონგო ბრაბავილის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ე. ი. შევიპარე!.. ბევრი ვიწვალე, რადგან მუხლამდე ტალახში მიწევდა სიარული. რა თქმა უნდა, ველოსიპედი, უმეტესად, მიწოლით მიმყავდა. ამ გზაზე რამდეჯერმე გაიარეს ჩინელთა ყველგანმავალმა მანქანებმა. ვინ იყვნენ? რისთვის მაჩვენებდნენ წყლის ბოთლს?.. მე მათთვის წყალი არ მითხოვია.

ჩავედი პუენტ-ნუარში. მეგონა ჯოჯოხეთიდან გამოვედი და პირჯვარი გადავაიწერე. თურმე სადა ხარ?! უარესი ჯოჯოხეთი წინ მელოდა! მივადექი პოლიციას. პოლიციის უფროსმა მითხრა, მოსკოვში ვსწავლობდიო. ალბათ, ნდობის განმტკიცების მიზნით, მაგრამ ამან მისდამი ნდობა უფრო დამაკარგვინა. ნებით თუ უნებლიედ, მართალი აღმოვჩნდი. ღამის გასათევად იგი ეკლესიაში მაგზავნის, სადაც მწამლავენ, ხომ ვიცოდი, რასაც მიპირებდნენ? მაშ, რისთვის ვჭამე მათი მორთმეული ვახშამი?.. ღვთისმსახურებს სასწრაფოდ გადავყავარ საავადმყოფოში, სადაც არც მაჭმევენ და არც წამლებს მაძლევენ ე. ი. „მარილზე“ მაგზავნიან!.. რა ვქნა!.. საავადმყოფოში შემთხვევით ახალგაზრდა ზანგი შემოვიდა. ვთხოვე, როგორმე პოლიციის უფროსიათვის ჩემი მდგომარეობა შეეტყობინებინა, რათა სასწრაფოდ გავეყვანე საავადმყოფოდან. სიარული აღარ შემეძლო. ზანგის ბიჭი მალევე დაბრუნდა და მითხრა, რომ ღამით ორი კაცი გამაპარებდა საავადმყოფოდან.

ურთულესი პირობების დაძლევის შემდეგ მოვხვდი ქ. ბრაზავილის საზღვარზე...

რაში დარწმუნდნენ ჟენევის საერთაშორისო წითელი ჯვრის თანამშრომლები და რა მოიმოქმედეს? რისთვის მმალავდნენ რუსი მფრინავები მთელი თვის განმავლობაში ბრაზავილის ხუთვარსვლავიან სასტუმროში? რატომ დამჭირდა ხანგრძლივი მკურნალობა? ვინ არიან ჩემი გადამრჩენები?

ისევ გზა!.. მაცილებს ვასილი და ჟენია. ვინ არიან ისინი?.. რას უნდა უმადლოდეს მათ საქართველო?..

ადვილად გადავდივარ კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის (ზაირი) დედაქალაქ კინმასაში.

ისევ თავგადასავლები...

კინმასაში გახარჯული ენერგიისა და დაკარგული სპორტული ფორმის აღსადგენ ვარჯიშებს ვიწყებ, რათა მაღალ სიცხეებში სიარული შევძლო. რვა დღის განავლობასი ველოსიპედით, სიცხეში (შუადღით) 4-5 საათის განმავლობაში ვვარჯიშობ. მაქვს ყოველდრიური შეხვედრები, მათ შორის პრესის წარმომადგენლებთანაც...

სამწუხაროდ, აქაც სამოქალაქო ომია, რაც, რა თქმა უნდა, ანგრევს სახელმწიფოს ეკონომიკას და .... მირთულებს მდგომარეობას. რომ არა შიდა ომები, დასავლეთ აფრიკის ბევრი სახელ-

მწიფო ეკონომიკურად სწრაფად მოძლიერდებოდა. სამოქალაქო ომია ანგოლის ჩრდილოეთ ნაწილშიც, კონგო კინშასას საზღვართან, ამგვარი ვითარების გამო ანგოლის რესპუბლიკის დედაქალაქ ლუანდაში ველოსიპედით წასვლის მაგივრად გადაფრენას მირჩევენ...



ლუანდაში ჩემი მასპინძელი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გენერალური კონსულის ოჯახია. აქ, საზღვაო პორტში, უფლება მომცეს, დამეთვალიერებინა ფრანგული ავიამზიდი, ორი კვირის განმავლობაში ზედიზედ სამჯერ გადავდე ნაშიბიაში წასვლა. სამივე გადავადების მიზეზი მოწამვლა იყო.

საინტერესოა, ვინ აკეთებდა ამას?.. რაში დავეჭვდი?.. რისთვის დამესხა თავს ქალაქის პოლიციის შესასვლელში ხუთი პოლიციელი? ვინ არის გენერალი მოსალუ?.. საავარიო სიტუაცია მომიწყვეს თუ?..

ინტერვიუ მივეცი „ჟორნალდ დი ანგოლას“...

ურთულესი დღეები მედგა ამ არშემდგარ სახელმწიფოში. მომეწონა დედაქალაქი ლუანდა, განსაკუთრებით მისი ბულვარი, სადაც ველოსიპედის სწრაფ ტარებაში ვვარჯიშობდი. დავესწარი ლიანას (გენერალური კონსულის მეუღლის სახელი) დაბადების დღეს. აფერუმ აფრიკელებო! ქეიფი ჭეშმარიტად ქართული გცოდნიათ!..

იმ საღამოს ვფიქრობდი, რომ მათზე ლამაზი და გონიერი ხალხი დედამიწის ზურგზე არ არსებობდა. მაშ რა უშლიდათ ხელს?..

ეს თავისთავადად, საინტერესო ინფორმაციაა, რომლის შესახებაც ვრცელ მონათხრობს წაიკითხავთ წიგნში – „ველომოგზაურობა ანგოლის რესპუბლიკაში“.

ანგოლადან ნამიბიის რესპუბლიკის დედაქალაქ ვინდჰუკში, ღვთის წყალობით, საღ-სალამათი ჩავფრინდი. სამწუხაროდ, საკეთილდღეო შედეგზე ფიქრი ნაადრევი აღმოჩნდა.

მივიღე ბარგი. თავს კარგად ვგრძნობ ვიღაც მესაზღვრე გოგონამ მოგზაურობის შესახებ რამდენიმე კითხვა დამისვა. საუბრისას შეუძლოდ შევიქენი. გოგონას დავეკითხე, სად შეიძლებოდა წამოვწოლილიყავი. მათი ადგილი მიმითითა. მეც წამოვწექი და ვთხოვე, არ მივეტოვებინე. დავკარგე გონება. გონს საავადმოფოში მოვედი, როცა ვიკითხე, ვინ მომიყვანა-მეთქი, სამმა ახალგაზრდამ, – მიპასუხეს. გონებაში აღვიდგინე, რომ თავიდან ერთ-ერთ საელჩოში წამიყვანეს. ვფიქრობ, ეს რუსეთის საელჩო იყო, რადგან უგრძნობ მდგომარეობაში რუსული ლაპარაკი ჩამესმოდა და რამდენადაც ვიხსენებ, მათ სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაყვანას ვთხოვდი.

როგორც ადრე, ნემსი ახლაც ხერხემალში გამიკეთეს, ბოლოს საავადმყოფოში აღმოვჩნდი. განმეორებით კითხვაზე, თუ ვინ მომიყვანა აქ, ექიმებმა მიპასუხეს: მათ ვინაობა არ გაუმხელიათო. მე კი ვიცი... ექიმებს ხერხემალი ვუჩვენე და დამიდასტურეს – ხელხემალზე ნანემსარი გემჩნევათო.

გაგრძელება იქნება

ბიბლიოთეკა

ქეთინო ნიკურაძე

ხაბიბლიოთეკო ხაქმე ხაქართველოში

51. წერილი ბატონ ზაქარია ჭიჭინაძისადმი [ძველი წიგნების ბიბლიოთეკის დაარსების მოსურნესაგან] // დროება, 1880, N 156, 23 ივლ.
52. [ჭიჭინაძე] მთაწმინდელი, ზ. მიმართვა [ძველი ქართული წიგნების შეკრებისა და დაცვის შესახებ] // დროება, 1880, N170, 13 აგვ.
53. [ჭიჭინაძე] მთაწმინდელი, ზ. ძველი ხელთ-ნაწერი წიგნების შეგროვება
// დროება, 1880, N175, 20 აგვ.
54. ჭიჭინაძე, ზ. წერილი რედაქტორთან [მის მიერ ძველი ქართული ხელთ-ნაწერი წიგნების მიყიდვა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის] // დროება, 1880, N163, 3 აგვ.
55. ადგილობრივი მან. [სასოფლო შკოლების ბიბლიოთეკის სასარგებლოდ
1612 მანეთის გადადება] // დროება, 1881, N4, 23 სექტ.
56. ახალი ამბები [ი. ლომოურის მიერ მოწოდებული ცნობა მეტეხის სატუ-საღო ბიბლიოთეკის სასარგებლოდ შემოწირული წიგნების შესახებ] // დროება,
1881, N73, 5 ივნ.
57. ახალი ამბები [მეტეხის პატიმართა ბიბლიოთეკის სასარგებლოდ შემოწირული წიგნები] // დროება, 1881, N137, 3 ივლ.
58. ახალი ამბები [შემოწირულებანი მეტეხის სატუსაღო ბიბლიოთეკას. ქართული ნაბეჭდი წიგნების კატალოგის შედგენის განზრახვა...] // დროება, 1881, N264, 16 დეკ.
59. ახალი ამბები [ხმები პროფესორ დავით ჩუბინაშვილის მიე თავისი ბიბლიოთეკის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგა-დოებისათვის“ შეწირვის გამო] // დროება, 1881, N231, 4 ნოემბ.
60. თბილისის ქრონიკა [ქართლი წიგნების ბიბლიოთეკის დაარსების საჭიროება] // შრომა, 1881, N6, 7 ოქტ.
61. სეველი. საპოლიტიკო მიმოხილვა [ისევ ანტონ ლორთქიფანიძის ბიბ-ლიოოთეკის შესახებ] // შრომა, 1881, N6, 7 ოქტ.
62. ფხაკაძე, ნ. სასოფლო ბიბლიოთეკებზედ [„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ სასოფლო ბიბლიოთეკების დაარსების საჭიროება და აუცილებლობა სოფლის სკოლის მასწავლებელთათ-ვის] // დროება, 1881, N14, 21 იანვ.; N15, 22 იანვ.
63. ჩარკვიანი, გ. კატალოგი გ. ჩარკვიანისა და ამხ. ქართული წიგნის მაღა-ზიისა // ტფ., 1881, 12 [2] გვ.
64. ადგილობრივი ამბები [ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკის გაყიდვის შესახებ] // შრომა, 1882, N49, 15 დეკ.
65. ადგილობრივი ამბები [ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელე-ბელი საზოგადოების ბიბლიოთეკაში ბევრი ხელნაწერი წიგნების დაგროვებას-
თან დაკავშირებით წ.კ.გ.ს. გამგეობის გადაწყვეტილება ხელნაწერი წიგნების კატალოგის შედგენის შესახებ] // შრომა, 1882, N33, 25 თებ.
66. დღიური [დავით გარეჯის ეკლესიის წიგნსაცავში დაცული ქართული ძველი ხელნაწერი წიგნები] // დროება, 1882, N11, 1 ივნ.

67. დღიური [თბილისის „საგუბერნიო“ ციხეში ბიბლიოთეკის უქონლობა და საკითხის მოსაგვარებლად წიგნების შეგროვების საჭიროება] // დროება, 1882, N196, 19 სექტ.
68. დღიური [კრების ჩატარება საზოგადო ბიბლიოთეკის ზალაში] // დრო-ება, N94, 8 მაისი.
69. დღიური [მეტეხის ციხის მღვდლის ი. ლომოურის თაოსნობითა და საზოგადოების თანაგრძნობით ბიბლიოთეკის გამართვა] // დროება, 1882, N196. 19 სექტ.
70. დღიური [მეტეხის ციხისა და გუბერნიის ციხის ბიბლიოთეკების სასარგებლოდ შემოწირული წიგნები ბ-ნ პ. ი. უმიკაშვილის მიერ] // დროება, 1882, N209, 7 ოქტ.
71. დღიური [პ. ცხვილოევის შენიშვნა ბიბლიოთეკის დაარსებაზე და განკარგულება ყველა ძველი წიგნების ერთად თავმოყრის შესახებ] // დროება, 1882, N18, 26 იანვ.
72. დღიური [ჟურნალებისა და წიგნების შემოწირვა მეტეხის სატუსაღო ბიბლიოთეკის სასარგებლოდ] // დროება, 1882, N203, 29 სექტ.
73. დღიური [ტფილისის გუბერნიის სატუსაღოს ბიბლიოთეკის სასარგებ-ლოდ შემოწირული წიგნები გ. აბესალომოვის მიერ] // დროება, 1882, N 205.
1 ოქტ.
74. დღიური [ქვათახევის მონასტრის წიგნთსაცავში დაცული ქარტული ძველი ხელთნაწერი წიგნები] // დროება, 1882, N152, 24 ივლ.
75. დღიური [„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბიბლიო-თეკის დაარსება] // // დროება, 1882, N16, 26 იანვ.
76. დღიური [ჯვარის მონასტრის წიგნსაცავის გაქურდვის შესახებ ცნობების შეკრება ზ. ჭიჭინაზის მიერ] // დროება, 1882, N 166, 11 აგვ.
77. „თითქმის ათი წელიწადია მას აქეთ, რაც ჩვენს ქალაქში ბიბლიოთეკა დაარსდა...“ [ხმები ა. ლორთქიფანიძის მიერ ბიბლიოთეკის გაყიდვის შესახებ] // შრომა, 1882, N49, 15 დეკ.
78. იურიდიული კაბინეტი იურიდიული ბიბლიოთეკით // დროება, 1882, N54, 13 მარტი; N 56, 16 მარტი.
79. საზოგადო ბიბლიოთეკა // დროება, 1882, N121, 12 ივნ.
80. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წლიური კრება. 6 ივნისი, 1882 წელი [ბიბლიოთეკის სემოსავალ-გასავალი] // დროება, 1882, N124, 17 ივნ.
81. ჭოჭოლა ს. დროების კორესპონდენცია. აი თვით საქმეც: [წიგნსაცავის დაარსების განზრახვა] // დროება, 1882, N49, 28 ნოემბ.
82. ახალი ამბები [პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის ეპისკოპოზ პორფირისაგან ქართული და სხვა ხელნაწერების შეძენა] // დროება, 1883, N115, 12 ივნ.
83. ახალი ამბები [საზოგადო ბიბლიოთეკის დროებით დახურვა] // დროება, 1883, N49, 28 ნოემბ.
84. განცხადება [ჟურნალ „ქართული ბიბლიოთეკის“ გამოცემის შესახებ] //
// ქართ. ბ., 1883, N1, კანის მეოთხე გვერდი.
85. დღიური [მეტეხის ციხის ტუსაღთა ბიბილიოთეკის სასარგებლოდ შემოწირული წიგნები] // დროება, 1883, N52, 11 მარტი.
86 ერთი მოსამსახურეთაგანი. ბატონო რედაქტორო! [მოსამსახურეებში წიგნის კითხვისა და სწავლის სურვილი და მათთვის წიგნსაცავის გახსნის საჭიროება] // დროება, 1883, N181, 14 სექტ.
87. „თბილისში არსებობს საზოგადო ბიბლიოთეკა...“ [ამ ბიბლიოთეკასი არსებული უწესრიგობის შესახებ] // დროება, 1883, N263, 28 დეკ.
88. მესხიევი, ივანე. ბატონო რედაქტორო! [მესხიშვილიანთ საგვარეულოში დაცული წიგნები, დავით რექტორის ნახატი „კიბე ცხოვრებისა“ და სხვა ნივთები. მისივე წიგნების სია შეწირული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბიბლიოთეკისათვის] // დროება, 1883, N175, 6 სექტ.
89. საყდე-გალანტიური სახელოსნო ილ ჭყონიასი... ამავე შენობაში იმყო-ფება ბიბლიოთეკა თავად ანტონ ლორთქიფანიძისა ილ. ჭყონიასაგან იჯარით აღებული... [განცხადება სახელოსნოში შეკვეთების მიღებისა და ბიბლიოთეკაში ჩაწერის პირობების შესახებ] // დროება, 1883, N38, 20 თებ.

90. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმეთწარმოება. 1882 წლის 15 მაისიდან 1883 წლის 15 მაისამდე. [საზოგა-დოების ბიბლიოთეკა] // ივერია, 1883, N 7-8 .– 16-17 გვ.
91. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმეთწარმოება. 1882 წლის 15 მაისიდან 1883 წლის 15 მაისამდე .– [თბილისი, 1883] .– 20 გვ. უთავფურცლო, (20 ხ 13) .– [ფ.ა.]
92. შინაური ქრონიკა [ქუთაისში ბ. პეტროვის მიერ გახსნილი ბიბლიოთეკა საკითხავი კაბინეტი] // დროება, 1883, N165, 21 აგვ.
93. ჭიჭინაძე, ი. წერილი რედაქტორთან [თხოვნა წერა-კითხვის საზოგადოე-ბისადმი ხოვლეს სკოლის ბიბლიოთეკისათვის წიგნების გამოგზავნის შესახებ] // დროება, 1883, N260, 23 დეკ.
94. „გიორგი ვასილის ძის ზალიკანიანისაგან ...“ [შეწირულება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკის სასარგებლოდ] // დროება, 184, N180, 19 აგვ.
95. გაზეთ „რუსკი კურიერს“ სწერენ თბილისიდან...“ [საჯარო ბიბლიოთეკის შენობის გაფართოების აუცილებლობის შესახებ, საქართველოს მონასტრებიდან ჩამოტანილი ძველი ხელნაწერების შესანახად] // დროება, 1884, N246, 14 ნოემბ.
96. გარეშე მაყურებელი – „ქუთათური ტელეფონი“ [ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკის შესახებ. ი. პეტრროვის ახალი ბიბლიოთეკის გახსნა] // დროება, 1884, N134, 22 ივნ.
97. დროების კორესპონდენცია [ქუთაისში ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლი-ოთეკის გახსნის შესახებ] // N232, 27 ოქტ.
98. თელავი, ღვინობისთვის 4-ს [კრება ბიბლიოთეკის დაარსებასთან დაკავ-შირებით; ივ. როსტომაშვილის სიტყვა, წესდების შემუშავება და გამგეობის არჩევნები] // დროება, 1884, N221, 13 ოქტ.
99. „პარიჟიდამ ჩვენ მოგვივიდა შემდეგი წერილი...“ [ქართული წიგნების ბიბლიოთეკის დაარსების განზრახვა და თხოვნა ქართული წიგნების გაგზავ-ნის შესახებ] // დროება, 1884, N253, 24 ნოემბ.
100. პეტროვი, ი. პ. ბატონო რედაქტორო! [პასუხი „დროების“ N134-ის ნომერში დაბეჭდილ კორესპონდენციაზე „ქუთათური ტელეფონი“, თითქოს ქუთაისის ი. პეტროვის ბიბლიოთეკაში შეემცირებინოთ ჟურნალ-გაზეთების გამოწერა] // // დროება, 1884, N146, 7 ივლ.
101. ჟურნალი „ქართული ბიბლიოთეკა...“ [1884 წ. პროგრამა და ხელისმო-წერის პირობები] // ნობათი, 1884, N1, დამატება, გვ. 31.
102. სოფელი ხოვლე (გორის მაზრა) [ხოვლეს სკოლის ბიბილიოთეკის სასარგებლოდ შემოწირული წიგნები] // დროება, 1884, N81, 14 აპრ.
103. სხვადასხვა ამბები და შენიშვნები [...ძველი ქართული ხელნაწერი წიგნების გამოტანა სამეგრელოს დედოფლის წიგნსაცავიდან] // მწყემსი, 1884, N20 .– გვ. 14-15.
104. „ქ. თელავში იქაურ ახალგაზრდობას...“ [ქართული და რუსული წიგნების ბიბლიოთეკის დაარსების განზრახვა] // დროება, 1884, N171, 8 აგვ.
105. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმეთწარმოება. 1883 წლის 15 მაისიდან 1884 წლის 15 მაისამდე. [თბილისი, 1884] .– 16 გვ. — (20ხ13), [ფ.ა.]
106. [ყიფშიძე, გრიგოლ]. თბილისი, სექტემბრის 29-ს [რუსეთის უნივერსი-ტეტებთან ქართული წიგნების ბიბლიოთეკების დაარსების საჭიროება. ხარკო-ვის უნივერსიტეტის რექტორის მიმართვა „წერა-კითვის გამავრცელებელი საზოგადოებისადმი“] // დროება, 1884, N210, 29 სექტ. (ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადო-ების ცალზე მიწერილია „გ. ყ.-ძე“).
107. ყიფშიძე, გრიგოლ. წიგნის საკითხავები პროვინციებში [მათი დანიშნუ-ლება, თელავის საზოგადოების წამოწყება] // დროება, 1884, N223, 16 ოქტ.
108. შემოწირულებანი [ქუთაისის ტუსაღების წიგნსაცავისათვის შემოწირუ-ლი წიგნები] // მწყემსი, 1884, N21, 1 ნოემბ.

109. შინაური ქრონიკა [თბილისის საზოგადო ბიბლიოთეკაში დაცული ნემეცურად თარგმნილი „ვისრსმიანი“] // დროება, 1884, N247, 16 ნოემბ.
110. შინაური ქრონიკა [„ქართლის ცხოვრების“ დაბეჭდვის განზრახვა დავით ბაქრაძის რედსქტორობით. ნებადარტული პიესების კატალოგის დაბეჭდვა] // დროება, 1884, N195, 8 სექტ.
111. შინაური ქრონიკა [ქართული ბიბლიოთეკების დაარსება რუსეთის უმაღლეს სასწავ-ლენლებში და ქართული გამოცემების გაგზავნა] // 1884, N232, 27 ოქტ.
112. შინაური ქრონიკა [შემოწირულება „წერა-კითვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ხელნაწერთა ბიბლიოთეკის სასარებლოდ] // დროება, 1884,
N197, 12 სექტ.
113. შინაური ქრონიკა [„წერა-კითვის გამავრცელებელი საზოგადოების“
ხელნაწერთა ბიბლიოთეკასთან პატარა მუზეუმის დაარსების განზრახვა] // // დროება, 1884, N186, 26 აგვ.
114. შინაური ქრონიკა [„წერა-კითვის გამავრცელებელი საზოგადოების“
ბიბლიოთეკისათვის უსასყიდლოდ გაზეთ „ნობათის“ გამოწერა] // დროება, 1884, N242, 8 ნოემბ.
115. „წერა-კითვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბიბლიოთეკას...“
[სხვადასხვა ძველი ქართული წიგნების შეწირვა] // დროება, 1884, N189, 1 სექტ.
116. „წერა-კითვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნთსაცავი. თბილისი, აგვისტოს 19-ს [წიგნთსაცავის მნიშვნელობა და დაკომპლექტების საქმე] // დროება, 1884, N180, 19 აგვ.
117. „წერა-კითვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნთსაცავს ამ დღეებში ...“ [ნ. ხიზანიშვილის მიერ დავით ბატონიშვილის გრამატიკა და გ. ზალიკანიანის მიერ შეწირული სხვადასხვა ხელნაწერები] // დროება, 1884, N179, 18 აგვ.
118. წესდება თელავის საზოგადო წიგნსაცავისა // დროება, 1884, N221,
13 ოქტ.
119. ჭიჭინაძე, ისიდორე. სოფელ ხოვლე (გორის მაზრა), 12 აპრილს [„ქარ-
თველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ საკითხა-ვი წიგნების გაგზავნა სოფელ ხოვლეს სკოლის ბიბლიოთეკისათვის] // დროება,
1884, N179, 18 აგვ.
120. [ჭყონია, ილია] შენიშვნები [ზურაბ წერეთლის ძვირფასი წიგნსაცავის განიავების საშიშროება. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ ნიკოლოზ მეგრელსკის, ირაკლი ლორთქიფანიძისა და ნიკო დადიანის ძვირფასი ბიბლიოთეკათა თავმოყრა და ზრუნვა მათი დაცვის საჭიროებაზე]
// დროება, 1884, N117, 2 ივნ.
121. ხარკოვის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები. ბატონო რედაქ-ტორო! [მადლობის გამოცხადება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოები-სადმი“ და იმ კერძო პირთა მიმართ, რომლებმაც ქართული წიგნები გაუგზავ-ნეს ხარკოვის უნივერსიტეტის ქართულ ბიბლიოთეკას] // დროება, 1884, N280,
29 დეკ.
122. ხმა სატუსაღოდან. წერილი რედაქტორთან [...ზრუნვა წიგნსაცავ-სამკითხველოს დაარსებისათვის] // მწყემსი, 1884, N19 .– გვ. 3-4.

გაგრძელება იქნება

ხელოვნება

გულნაზ ხარაიშვილი

გულის წევრი

მხატვარი, თბილისიდან რუსთავისკენ მიმავალ მიკროავტობუსში გავიცანი.

ზაფხულის პაპანაქება სიცხე იყო. მძღოლები მგზავრების გასაგრილებლად, ფანჯრების გაღებითა და კარების გახსნით გვმასპინძლობდნენ. გარედან აუტანელი სიცხე შემოდიოდა, თუ ვინმე შენიშვნას გაბედავდა მძღოლის მისამართით, შეტევაზე გადმოდიოდნენ: – გეგმას გვიმატებენ, ცოლ-შვილი რითი ვარჩინოთო – და ისინიც მგზავრებთან ერთად ერთ ტაფაში იწვებონენ, მიკროავტობუსის ტაფაში. იმ დღეს წინა სკამზე მომიწია დაჯდომა. მე ყოველდღე მიწევდა სიარული, რადაგან რუსთავში ვცხოვრობ და თბილისში ვმუშაობ. შეგუებული ვიყავი სიცხისაგან გამოწვეულ უსიამოვნებებს. წყლით გაყინული ბოთლით დავდიოდი, ბოთლს ერთი წლის უნახავი საყვარელი ნათესავივით ვიხუტებდი გულში, მიკროავტობუსში წინა სკამი შემხვდა და გვერდით ახალგაზრდა შვილის ტოლ გოგონასთან მომიწია დაჯდომა. ჩემი იარაღით შეიარაღებული მოვუჯექი იდუმალებით მოსილ ახალგაზრდას.

ორთაჭალას რომ მივუახლოვდით, ჩვენს უკან ერთი ახალგაზრდა გახდა ცუდად. ხელჩანთიდან ნახევრად გამლღვალი მეორე ბოთლი ამოვიღე და გადავაწოდე, ერთი ადამიანიც ვიხსენი გულის წასვლისაგან. გზა განვაგრძეთ ცხელი ქარის ბუღში და მტვრის კორიანტელში, ჩემს გვერდით მჯდომ ქალბატონსაც შევაფეთე თვალი, შევატყვე, რომ არც ის იყო კარგ დღეში. თავშეკავებით იტანდა გაუსაძლისი სიცხის პარპარშს. ლამაზ, იდუმალებით მოსილ თვალებში კი შიში დათამაშობდა, ცუდად გახდომის შიში. – შვილო, გამოვესაუბრე, – აიღე ჩემი გაყინული ბოთლი ჩაიხუტე გულში მონატრებული ადამიანივით და გამოხვალ მდგომარეობიდან-მეთქი. ბოთლი გამომართვა, სახეზე ნაზად დაიდო, გული დაიამა. ასე გადადიოდა ხელიდან ხელში წყლით სავსე გაყინული პლასტმასის ბოთლი, რუსთავამდე.

ჩასვლის დროს ბილეთი ამიღო, ტელეფონი გამომართვა. გავიდა ერთი თვე, გავიდა ორი თვე და შემეხმიანა: – მე ქეთი ვარ, ერთად რომ ვიმგზავრეთ და სიცხეში ცივი წყლით რომ მომასულიერეთო. თავის სახლში მთხოვდა მისვლას, მისამართი ამიხსნა, რუსთავის მეცხრამეტე მიკრორაიონში უნდა მივსულიყავი.

ანთოლოგიის მეშვიდე ტომზე ვმუშაობდი. წავედი... დათქმულ ადგილზე შევხვდით ერთმანეთს. გზა განვაგრძეთ მისი საცხოვრებელი ბინისაკენ, ირგვლივმყოფები ესალმებოდნენ. ქეთიც არ იშურებდა მათი მისამართით თბილ სიტყვებს. სადარბაზოს შესასვლელთან მეუღლეც შეგვხვდა. ქეთიმ სიყვარულით მიმართა – ეს ქალბატონი გულნაზიაო. ახალგაზრდა, ახოვანმა ლამაზმა ვაჟკაცმა გზა შესასვლელთან დამითმო და ასე დედა-შვილური ურთიერთობით მეორე სართულზე ავედით. მეუღლემ კარი გასაღებით გააღო და ჩემს წინ საოცრებები გადაიშალა, პატარა სამხატვრო გალერია ქეთის ხელით შესრულებული. ქეთი სპეციალობით მენეჯერია, ის მეუღლესთან ერთად ერთ-ერთ ფირმაში მუშაობს. ხატვა მისი ჰობია. მკითხველს ვთავაზობ ქეთის პირველ პერსონალურ გამოფენას ჟურნალ „ათინათის“ ფურცლებზე.

ამ საოცარი გოგონას ეშხმა,
დედაშვილური ჟინით ამანთო...
მის ნაზ ნახატებს იმედი ესხა,
რომელმაც ცეცხლი გულში დაანთო.

სულთა კავშირმა დაგვამეგობრა,
თან ბედისწერის ხელიც ერია,
ფიქრში ის ჩემი გოგო მეგონა,
მას შემდეგ ქეთი გულის წევრია.

ქეთი მაზმიაშვილი







გოგი ფაცაცია

სიმონ ზაქარაია



ნიჭიერი მხატვრის ხელოვნება ხალხის სულიერი სიმდიდრეა

შარაბ ხოჭოლავას მხატვრული სივრცე

„ლამაზი არის შენს ხელში ცხელი უდაბნოც“
გულნაზ ხარაიშვილი, პოეტი



შარაბ ხოჭოლავა ავტოპორტრეტი

ბიოგრაფიული ცნობები

შარაბ ხოჭოლავა დაიბადა 1945 წელს, ხობის რაიონის სოფ. ნოჯიხევში. მშობლების საცხოვრებლად ზუგდიდში გადასვლასთან დაკავშირებით , შარაბი სწავლობდა და ამთავრებს ქალაქის მე–2 საშუალო სკოლას. იგი მე–3 მე–4 კლასიდან ავლენდა პროფესიონალური ხატვისადმი მიდრეკილებას, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია მის პედაგოგებს, მათ შორის დირექტორს, საქართველოს სკოლის დამსახურებულ მასწავლებელს გოგოლა ჩხოლარიას. მას სწამდა, რომ მოსწავლე შარაბი დიდ მხატვრობაში გზას აუცილებლად გაიკვლევდა.

მხატვრობაში მან პირველი ნათლობა მე–10 კლასის მოსწავლემ მიიღო. 1965 წელს ზუგდიდში ადგილობრივ მხატვართა გამოფენა გაიხსნა, რომლის ერთ–ერთი ინიციატორი შ. ხოჭოლავაც იყო. მან გამოფენაზე თავისი შერჩეული ნამუშევრები წარადგინა, რომლებსაც წარმატება ერგო. გამოფენის დასათვალიერებლად თბილისიდან ჩამოსულ მხატვართა ჯგუფს, რომელსაც ცნობილი ხელოვანი ელენე ახვლედიანი ხელმძღვანელობდა, განსაკუთრებით მოიწონა შ. ხოჭოლავას ნახატები, მათ შორის მისი ერთი ნამუშევარი ნატურმორტი. მან ის, თბილისში წაიღო და თავის კოლექციაში მიუჩინა ადგილი. ამასთან ერთად მალე თბილისში ჩატარდა მხატვართა რესპუბლიკური გამოფენა. შ. ხოჭოლავასაც ურჩიეს მონაწილეობა მიეღო გამოფენაზე და თავისი ნამუშევრებიც წარედგინა. მან სიამოვნებით მიიღო მხატვართა რესპუბლიკურ ტურში მონაწილეობა.

აქაც მისმა ნახატებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა და სამხატვრო ჟიურის მიერ შერჩეული შ. ხოჭოლავას ნამუშევარი სხვა საუკეთესო ნახატთა შორის გაიგზავნა საკავშირო გამოფენაზე მოსკოვში. საბედნიეროდ ახალგაზრდა მხატვრის სურათებმა იქაც საკავშირო დიპლომი დაიმსახურა. „ეს წარმატება იყო ჩემთვის ნამდვილი ტრამპლინი, რომელმაც კიდევ უფრო მეტი სტიმული მომცა მხატვრობის სრულყოფისაკენ“, — მოკრძალებით ამბობს დღეს უკვე აღიარებული მხატვარი.

თბილისის სამხატვრო აკადემიაში

შარაბ ხოჭოლავამ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მტკიცედ გადაწყვიტა გაჰყოლოდა გზას მხატვრობისაკენ. სწორედ ამიტომ ის 1965 წელს ჩაირიცხა თბილისის სამხატვრო აკადემიაში გრაფიკის ფაკულტეტზე, შემდეგ კი კინოტელემხატვრის სპეციალობით, რომელსაც წარმატებით ამთავრებს 1971 წელს. თბილისში სწავლის პერიოდში შ ხოჭოლავას საცხოვრებელი ბინის

პრობლემა ჰქონდა, როცა ეს გაიგო დიდმა მხატვარმა ელენე ახვლედიანმა იგი მაშინათვე მიიწვია თავის სახელოსნოში და ბინითაც უზრუნველყო. რა თქმა უნდა შემდეგში შარაბისადმი ასეთმა დედაშვილურმა დამოკიდებულებამ, ხელოვნებაში მიზანმიმართულმა მზრუნველობამ მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ნიჭიერ ახალგაზრდას ხელოვნების ფორმირებასა და დაოსტატებაში.

სწორედ დიდი ხელოვანის, ელენე ახვლედიანის პატივსაცემად შარაბ ხოჭოლავამ პირველი პერსონალური გამოფენა მიუძღვნა მის სახელოსნოში მის ხსოვნას.

1971-1975 წწ მუშაობდა კ/ს „ქართულ ფილმში“ დამდგმელ მხატვრად. 1965 წლიდან მონაწილეობს რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებში: 1965 წ, 1969-1979 წწ. მოსკოვი, 1976 წ. იაპონია, 1977 წ. პოლონეთი. 1980 წ. ტაშკენტი.,1991 წ. გერმანია. 1971 წ. მუშაობდა მოსკოვის სენეჟის შემოქმედებით ჯგუფთან ერთად. 1975 წ. მუშაობდა განათლების სამინისტროს ესთეტიკის ცენტრის მთავარ მხატვარ-რედაქტორად. 1992 წ. მუშაობდა ქ. მიულჰაუზენში ფრანც გოლშტეინის ფირმაში „რესტავრაცია და ხატწერა“ -ხატმწერად. 1998 წ. მუშაობდა ხატმწერის კურსის ხელმძღვანელად ჰოლანდიაში, ქ. ლეოვარდენში. 1998 წ. ქალიშვილთან ნინო ხოჭოლავასთან ერთად მოაწყო ქართული კულტურის დღეები ჰოლანდიაში. 1989 წ. პერსონალური გამოფენა პოლონეთში, ქ. ლოძში. 1991 წ. პერსონალური გამოფენა ქ. მიულჰაუზენში, 1992 წ. პერსონალური გამოფენა ჰოლანდიაში, ქ. ლეოვარდენში, 1998-1999 წწ პერსონალური გამოფენა ჰოლანდიაში, ქ. როტერდამში.

მისი ნამუშევრები დაცულია თბილისის სახელმწიფო ხელოვნების მიზეუმში, ელენე ახვლედიანის მუზეუმში, თბილისის და მოსკოვის კულტურის სამინისტროს ფონდში.ასევე კერძო კოლექციებში: მოსკოვი, პოლონეთი, იაპონონიის, გერმანიის, ჰოლანდიის, ჩეხოსლოვაკიის კერძო მფლობელებთან; მისი შემოქმედებითი მონაცემები შეტანილია საქართველოს ხელოვნების ლექსიკონში „ვინ ვინ არის“ (თბილისი 2003 წ.) და „მსოფლიო ხელოვანთა ლექსიკონში“ (ლაიბციგი, 1998 წ.) შარაბ ხოჭოლავა ქართველ მხატვართა იმ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელმაც ხელოვნებაში საკუთარი ხელწერით ახალი სიტყვა თქვა მე-20 საუკუნის დასასრულსა და 21-ს დასაწყისში.

ერთი შეხედვით ჩუმი, უწყინარი და სიკეთით აღსავსე გამომეტყველების მქონე ადამიანი, მრავალფეროვან შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა, რომელიც მის შინაგან ბუნებაში აზრთა ჭიდილის უწყვეტი პროცესის რაელური შედეგია.

ამ ნიჭიერმა მხატვარმა 1965 წლიდან დღემდე შექმნა 300-ზე მეტი აღიარებული სურათი, რომლებიც დადებითად მუხტავს დამთვალიერებლებს და მათში სულიერ კმაყოფილებას იწვევს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ შ. ხოჭოლავამ თავისი შესანიშნავი ნახატებით კიდევ უფრო გაამდიდრა ქართული, დიდი ტრადიციის მქონე შემოქმედებითი სივრცე.

შარაბ ხოჭოლავას რამდენიმე სურათი მისი ნაწარმოებიდან

შარაბ ხოჭოლავას მრავალფეროვან შემოქმედებაში განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ღვთიური სულიერების წარმართვისაკენ მუდმივი სწრაფვა, რაც გამომდინარეობს მისი სიფაქიზითა და სიკეთით აღსავსე შინაგანი ბუნებიდან. უდაოა ის ფაქტი, რომ როცა მხატვარი ხატავს დაჭრილ და განრისხებულ მტაცებელ მხეცს, მაშინ მისი შინაგანი ემოციები ნამდვილად არ იქნება მშვიდი, მაგრამ როცა ის ქმნის რომელიმე წმინდანის, ან ღვთისმშობლის ან მაცხოვრის ხატს, მაშინ იგი უდაოდ განიმსჭვალება სიკეთისა და სიფაქიზის გრძნობებით. უმთავრესი ის არის, რომ ეს სულიერი სიფაქიზე და სიკეთე მის მიერ შექმნილ ნაწარმოებებში მნახველზე გადადის, რაც მხატვრის ნამდვილ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს. შ. ხოჭოლავას მიერ შექმნილი მინიატურები და „სცენები ქრისტეს ცხოვრებიდან“ ღრმა შთაბეჭდილებებს ტოვებს მნახველებზე - „აჰა მე ვგზავნი შენს წინაშე ჩემს ანგელოზს, რომელიც განამზადებს შენს გზას შენს წინაშე“. ამით მაცხოვარი მოძღვრავს ადამიანს, იმედსა და სიმტკიცეს ნერგავს მასში.

სცენები ქრისტეს ცხოვრებიდან :

სურათი №1

სურათი №2

უდაოდ მნიშვნელოვანია შ. ხოჭოლავას მიერ შექმნილი ნახატი „ნათელი სიბნელესა შინა“. ამ სურათიდან რიგითი მკითხველიც კი აღიქვამს მის ღვთიურ ბუნებას, სიდიადეს, რაც აღაფრთოვანებს მათ. ცის ნაპრალებიდან დედამიწის

წყვდიადში შემოდის ნათლით შემოსილი, კეთილი ცხენი–ბედაური თავის უმშვენიერესი ფრთებით, რაც თავისთავად ნათელს ფენს სიბნელით მოცულ სივრცეს. ნაწარმოებიდან ნათლად ჩანს „ნათელის მოსვლა წუთისოფელში“, რაც შუქის შემობრძანება იწვევს სიბნელის მუდმივ თანამგზავრი სატანებისა და ურჩხულების გაქრობას და საერთოდ ხდება ბოროტების გაუჩინარება. აი როგორ მოძღვრავს ღმერთი ადამიანებს –– „ თუ თქვენ გეუბნებიან საიდან დაიბადეთ? –– თქვენ უთხარით: ჩვენ დავიბადეთ სინათლისაგან იქ, სადაც თვით სინათლეც დაიბადა“ (იესო ქრისტეს სიტყვები, თომას აპოკრიფული სახარებიდან). ამ სურათით მინდა ვიწამო, რომ „ნათელი ბედაური“ სულიწმინდაა, რომელიც დედამიწაზე ბნელეთის მოციქულთა განწმენდის შემდეგ, ადამიანში გადადის და მას ღვთაებრივ ბუნებას ანიჭებს. უფრო მეტიც, უფალ იესო ქრისტეს აქვს ასეთი ყოვლის მომცველი განსაზღვრება – „ღმერთი ადამიანამდე დამდაბლდა, რათა ადამიანი აეყვანა ღმერთამდე.“ სწორედ შ. ხოჭოლავას ნაწარმოები „ნათელი სიბნელესა შინა“ ამას უნდა გულისხმობდეს.

სურათი №3

„ნათელი სიბნელესა შინა“ — 1970 წ.

ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია შ. ხოჭოლავას სურათმა „გუთნის დედა“. ალბათ ავტორის მიერ შერჩეული ეს სახელწოდება კანონზომიერია და ფილოსოფიური. აღნიშნული სურათი, ერთი შეხედვით მარტივ კომპოზიციას წარმოადგენს, მაგრამ თუ მის ცალკეულ

სიუჟეტებს ჩაუფიქრდებით და ჩაუღრმავდებით, აღმოჩნდება, რომ მხატვრის ლოგიკური აზროვნების სამყაროს რთული ბილიკებისაკენ მივყავართ, სადაც იწყება სულიერი და მატერიალური ძალების გაერთიანება, სადაც ბუნების გარდაქმნის პროცესი უნდა განხორციელდეს. კომპოზიციის საწყის სიუჟეტებიდან ჩანს, რომ „გუთნის დედა“ ანუ გონიერი ადამიანი, რაღაც დიდი გარდაქმნის სამზადისშია.

სურათი №4

„გუთნის დედა“

ცოტაც და ხარებს უღელი დაედგმება, გუთანიც მიებმება, იწყება ბუნების გარდაქმნის მაცოცხლებელი პროცესი –– ხვნა, თესვა, აბიბინებული ყანა, უხვი მოსავალი, მაძღარი საზოგადოება, რომელიც განვითარების ახალ საფეხურებზე ადის. ამასთან ერთად, მხატვარი სიუჟეტებში ოსტატურად იყენებს ფერებს, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ფერები, მხატვრობაში აღიარებულია, როგორც ძირითადი სამუშაო საშუალება, რაც ნახატებს სანახაობრივი თვალსაზრისით მიმზიდველს და საინტერესოს ხდის. მარტივად რომ ვთქვათ, ნახატის ცენტრში მდგომი გამრჯე, ღონიერი და გონიერი გლეხი, თავისი მუშა ხარებითა და სათანადო ინვენტარებით, ბუნების ხელახალი გრდაქმნისათვის ემზადება. უდავოა, რომ სურათის ავტორი, ჩანაფიქრის მიზანს აღწევს. აქ შინაარსი და ფორმა სრულ ჰარმონიაშია.

ასევე დამთვალიერებელთა შეფასებით, შ. ხოჭოლავას ნახატი „მეგი“ საინტერესო ნამუშევრადაა მიჩნეული. დაინტერესებული პირი ადვილად შეამჩნევს, პერსონალურ გამოფენისას, რომ მათი უმეტესობა ამ სურათის წინ მცირე დროით მაინც აყოვნებს და სიამოვნებით უმზერს მას. მათ აინტერესებსთ თუ რა არის მიზეზი, რომელმაც გამოიწვია პატარა (2,5–3 წლის) „მეგის“ განცვიფრებული გამოხედვა, ან საით იცქირება ეს პატარა, რომელიც ამ შემთხვევაში მთლიანად ვიღაცის მიმართ ყურადღებადაა ქცეული.

რა თქმა უნდა ამაზე სხვადასხვა დამთვალიერებელს ალბათ განსხვავებული პასუხიც ექნება. ამ

მიზნით როგორც ჟურნალისტმა შეკითხვით მივმართე ერთ დამთვალიერებელ ახალგაზრდა ქალს, რომელსაც 2,5–3 წლის გოგონა ახლდა თან. მას ვთხოვე ეპასუხა პატარა „მეგის“ გაოცებული გამოხედვის მიზეზის შესახებ და მოეცა მას ამაზე მისეული მოსაზრება. აი, რა გვიპასუხა მან: – როცა დედები იძულებულნი ვართ ჩვენი პატარები (თან თავის პატარაზე მიანიშნა) ბინაში ან საბავშვო ბაღში დავტოვოთ, ამაზე ისნი ხშირად ცუდად რეაგირებენ, ცხარედ ტირიან და კატეგორიულად ითხოვენ ჩვენთან ერთად ყოფნას, რა თქმა უნდა რაც ყოველთვის ვერ ხერხდება. ამის შემდეგ, ბინაში ოჯახის წევრები თუ ბაღში მასწავლებლები უამრავ სათამაშოებს აწვდიან და ართობენ მათ. როცა გარკვეული დროის შემდეგ ვბრუნდებით ჩვენს ნახვამოწყურებულ ბავშვებთან, მიახლოებისას ვეძახით ხოლმე, რაზედაც ისინი სწრაფად რეაგირებას ახდენენ და მათი ყურადღება მიმართულია, საიდანაც ეს ნანატრი და საოცნებო ხმა მოესმით. მე მგონია,

სურათი №5

„მეგი“

ამბობს რესპოდენტი, მხატვარს ეს წამები აქვს დაფიქსირებული თავის ნახატში და იგი ამ შემთხვევაში სინამდვილეს ასახავს – იყო მისი პასუხი, რასაც მთლიანად ვეთანხმები. ნახატი „მეგი“ ფერების სიუხვითა და სიმწვავით არ ხასიათდება, მაგრამ სურათი მთლიანობაში ემოციური მუხტის მატარებელია. აქაც, ამ სისადავეში, მხატვარი თავის სიმაღლეზე დგას და ნამდვილად იწვევს დამთვალიერებელთა მადლიერებას.

მაღალი რანგის ქართველი მხატვარი რა მხატვარია, თუ ის ძველი თბილისის კოლორიტულ თემას, მის ისტორიული წარსულის ამსახველ, განუმეორებელ ლანდშაფტებსა და პეიზაჟებს ფუნჯით ფერად ფერებში არ ასახავს ტილოზე.

მისდა საბედნიეროდ, აქაც არ ღალატობს მას თავისი ხალასი ნიჭი და ოსტატობა, იგი ღრმად წვდება მის სილამაზის რთულ საიდუმლოებებში. შ. ხოჭოლავას ძველი თბილისის ამსახველ სურათებზე ფერთა ჰარმონიული შეხამებაა ნაირგვარ სიუჟეტებთან, რომელიც იწვევს მნახველთა უნებლიე, კეთილგანწყობილ ემოციებს, რაც უდაოდ მხატვრის გამარჯვებას ნიშნავს.

სურათი №6

„ძველი თბილისი“

სურათი №7

„გახედვნა“

შ. ხოჭოლავას ძველი თბილისის ამსახველი სხვა სურათებიც მისი ხელწერის მშვენებაა და მას საპატიო ადგილი უჭირავს ქართველ მხატვართა მსგავს ნაწარმოებებს შორის.

შარაბ ხოჭოლავას ნახატი „გახედვნა“ ბრწყინვალე ნაწარმოებია. ამ სურათზე მხატვარს დაინტერესებულ ადამიანთა აზროვნება აღტაცებაში მოჰტავს. აქ ნათლად ჩანს ადამიანის სიბრძნე, მისი შემართება და გონების სიმძლავრე, თუ როგორ ბატონობს ყოველგვარ მრისხანებაზე, ერთი შეხედვით მიუკარებელ ცხოველურ სტიქიაზე. აქ ადამიანი ბატონობს ყოველგვარ აგრესიაზე, ნახატი უდაოდ ძლიერია.

შარაბ ხოჭოლავას ნამუშევრებზე, მის მრავალფეროვან შემოქმედებაზე დღემდე საკმაოდ ბევრი დაწერილა, იმედია, ეს ტრადიცია შემდეგშიც წარმატებით გაგრძელდება, რამეთუ შემოქმედი ამჟამადაც აღმავლობის გზაზეა.

შარაბ ხოჭოლავას მომავალშიაც ვუსურვებთ წარმატებებს.

დასკვნა

„დიდი სიყვარულით გავეცანი ყველა ნამუშევარს, სასიხარულოა, რომ ყველა ჟანრში მუშაობ და ავლენ მაღალ მხატვრულ გემოვნებას, რაც შენი დიდი ნიჭის შედეგია“.

ილია პატაშური
ფაზისის აკადემიის წევრი რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი.

თეა კანდელაკი

როკის მომღერალი ქართველი ქალი, რომელიც როკის სამშობლოში ქართულად ამღერდა

ოკეანის გაღმა დატოვა სამშობლო და მსოფლიოს წამყვან ქეყანაში უყოყმანოდ გამოემგზავრა შვილებთან შესახვედრად... დიახ, ეს ის პერიოდია, როდესაც დგება დრო, არჩევანი გააკეთო კარიერასა და ოჯახს შორის... ასე დაიწყო მეორე ეტაპი ცხოვრებისა სამშობლოდან შორს, 1998 წლის 13 დეკემბერს,პირველმა ქართველმა როკის მომღერალმა ქალბატონმა თამრიკო დავითაშვილმა...

თითქოს ოკეანის იქით, სამშობლოსთან ერთად დატოვა თავისი შემოქმედება და ამით დაემშვიდობა კიდეც სცენას. ამბობენ: – ქართველები ნოსტალგიით დაავადებული ერიაო და ზუსტად სამშობლოს მონატრების და მწვავე ნოსტალგიის შეგრძნებამ ახლებურად, სულ სხვა ამპლუაში ამოხეთქა შემოქმედის სულიდან და საქართველოსადმი მიძღვნილი სიმღერებით, პირველად აამღერა ქართულად როკის ქვეყანაში ჩასული – როკის მომღერალი ქალი...

„ემიგრანტის სიმღერა"; „ტანგო"; „თბილისო"; „თამარის სული"–ს პარტია".., რომელიც გვირგვინად დაედგა ნიუ–იორკში, ი. ლერმონტოვის პიესის –"მწირი"–ს მიხედვით, 2007 წელს რუსტემ გალიჩისა და ბროდვეის რეჟისორ ანდრეი დიონის თანაავტორობით დადგმულ სპეკტაკლს „დემონი". რომლის ტექსტის ავტორი გახლდით მე (თეა კანდელაკი), თამარის სულის პარტიის შემსრულებელი და მუსიკის ავტორი კი თავად თამრიკო დავითაშვილი. სპეკტაკლმა ანშლაგებით ჩაიარა ნიუ–იორკის თუ საზღვარგარეთის დიდი სცენები სადაც დემონის მთავარ პარტიას მხატვრული კითხვის ოსტატი რუსტემ გალიჩი თამაშობდა.

სულ მალე ნიუ–იორკში არსებული ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაჯილდოვდა ნომინაციით „წლის ქალი" – ქართული კულტურის უცხოეთში პოპულარიზაციისათვის,

2009 წელს კი „Big Apple Music Award" –ის მიერ.

ანშლაგით დამთავრდა მომღერლის მიერ 2003 წელს გამართული პირველი სოლო კონცერტიც...

ოჯახი, რომლის გამოც მომღერალმა დათმო საქართველოში მოღვაწეობა, ამერიკის ემიგრაციაში ახალი კარიერის სულის ჩამდგმელად მოევლინა... შვილების ვანოს და რიჩარდის უდიდესი სურვილი სტუდიის დაარსებისა, ქ. თამრიკოს მეუღლემ ბატონ შოთა დავითაშვილმა სისრულეში მოიყვანა და მისივე ხელმძღვანელობით, 2003 წელს შეიქმნა ხმის ჩამწერი სტუდია STVR, სადაც ოჯახის წევრებმა თანასწორუფლებიანობით შეითავსეს საქმიანობა. სტუდიის სახელწოდებაც ხომ ოჯახის წევრების ხორცშესხმულ ერთ მთლიანობად ამოიტვიფრა

S – შოთა
T – თამრიკო
V – ვანო
R – რიჩარდი

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო რიჩარდ დავითაშვილის უდიდესი ღვაწლი, არა მხოლოდ სტუდიის, არამედ ამერიკაში მოღვაწე ემიგრანტების ცხოვრებაში ასახული ისტორიული კადრების, კლიპებად და ფილმებად გადაღებისა, მას ეკუთვნოდა მონტაჟი და განაგებდა ტექნიკურ მხარეს. რომელმაც პროფესიის გასაღრმავებლად 2005 წელს სწავლა გააგრძელა „ნიუ-იორკ ფილმ აკადემი"-ში.

2005 წელს თამრიკო დავითაშვილი აყალიბებს საბავშვო ანსამბლს " თამარიანი"

2009 წლიდან მანანა გოგინავას, თამრიკო დავითაშვილის და ლალი სამხარაძის ინიციატივით ნიუ-იორკში უოლ სტრიტზე ყოველ წლიურად იმართება საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ქართული დროშის აღმართვის ცერემონიალი .

2010 წელს კი საფუძველს უყრის ფესტივალს, პირველ ქართულ-ამერიკულ დაჯილდოვების ცერემონიალს – „ქართველები ამერიკაში".

2003, 2004, 2005, 2008 წლებში მართავს სოლო კონცერტებს

2008 წლის მაისის თვეში, სოლო კონცერტის გამო გასაშვებ სარეკლამო რგოლზე, რომელიც უნდა გასულიყო რუსულ ტელეარხზე სახელწოდებით – „სადმე, საქართველოს მთებში",, ქართული პატრიოტული სულისკვეთების გამო მოსთხოვეს სათაურის შეცვლა, რასაც მომღერალი არ დათანხმდა. ამავე წელს აგვისტოში მომხდარ რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ თამრიკო დავითაშვილი უარს აცხადებს სცენაზე გასვლაზე რადგან მსმენელის უმეტესობა რუსულენოვანი მოსახლეობა იყო.

2013 წლიდან კი დეკემბრის ბოლო რიცხვებში ეწყობა „საახალწლო კარნავალი თამრიკოსთან" ...

..."მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი, გაახარებს ვისმე განა?!" ...

2017 წლის აპრილის თვეში მეხის გავარდნასავით გაისმა რიჩარდ დავითაშვილის გარდაცვალების ამბავი...თითქოს შეჩერდა ჟამთასვლა... ერთ მუშტად შეკრული ოჯახი განადგურდა... დრო კი მიჰქროდა ცის ელვათა გაელვარებით...

2011 წელს საქართველოში მიწვეულ მომღერალს მხურვალე აპლოდისმენტებით შეხვდა მსმენელი, სადაც შესრულებულ იქნა სიმღერა „GEORGIA".

სიმღერა, რომელიც დაიწერა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებიდან რამოდენიმე დღეში, როცა ავადმყოფობის გამო, ნიუ-იორკის საავადმყოფოში უკვე გონს მოსულ მომღერალს ინგლისურ ენაზე ჩაესმა ყურში "GEORGIA!..." "BOMBING!..." „სიენენ"-ის ცხელი ხაზი საქართველოს დაბომბვას აუწყებდა მსოფლიოს... აქვითინებულს მხოლოდ ერთი სახელი უტრიალებდა თავში „ჯორჯია"

სასწრაფოდ გადაურეკა ამერიკაში მყოფ ქართველ ემიგრანტ პოეტს – მანანა ფრუიძეს და სთხოვა დაეწერა სიტყვები ინგლისურ ენაზე...

სიმღერა, რომელზეც ახლა გიყვებით ეს არის ემიგრანტის სულიდან ამოხეთქილი ტკივილი, სიყვარული და შეძახილი სამშობლოსი, რომ, არ აქვს უფლება დაიჩოქოს... სიმღერა, რომელიც ქართულ-ინგლისურ ენაზე შეიქმნა სრული სიმძაფრით არის აღსაქმელი ამერიკაში დაბადებული და გაზრდილი ბავშვებისათვის, რომელთა უმეტესობას შესაძლოა თვალით არ უნახავთ საქართველო, მაგრამ მთელი სიმძაფრით გრძნობენ და აღიქვავენ სამშობლოს სიწმინდის და სიყვარულის ხატოვანებას.

ამ სიმღერის მოსმენისას ყოველთვის ცრემლით მევსება თვალები. ერთ დღესაც ასე მოხდა, სკოლისკენ ავტომობილით მიმავალი დაბალ ხმაზე ვუსმენდი სიმღერას როცა უფროსმა ქალიშვილმა (9 წლის მართამ) გაოცებულმა მკითხა – დედა რატომ გაქვს ცრემლიანი თვალები?-ო ... საპასუხოდ თავიდან ჩავრთე და ხმას ამოვუწიე ჩემი გოგონები მართა, ქეთავანი და თეკლა (მარიამი ბებიებთან მყავდა დატოვილი) სმენად გადაიქცნენ...

სიმღერის დასრულების შემდეგ სამარისებულმა სიჩუმემ დაისადგურა... მანქანის სარკიდან მალულად შევაპარე მზერა.. თვალები ცრემლებით უბრწყინავდათ...

-დედა, შეიძლება კიდევ მოგვასმენინო?? მკითხეს შეპარვით და ვიგრძენი, როგორ შეძრა მათი პატარა გულები აქ დაბადებულმა ემიგრანტი ბავშვების ქართულ-ინგლისურ ენოვანმა ნამღერმა საქართველოზე...

დავფიქრდი რა წამიერი და ამაოა ეს წუთისოფელი თავისი დაუნდობლობით... იყო და ყველას ახსოვდა... უყვარდათ... გარდაიცვალა და გაიყინა ირგვლივ ყველაფერი... დადუმდა... და მალე დავიწყებას მიეცემა რადგან, შეუსვენებლივ მიფრინავენ დროის ისრებიც და ქარს გაატანს სულის ძახილს დარდსა და სევდას... დამენანა დასავიწყებლად ეს ყოველივე და მინდა ვთხოვო ქ. თამრიკო დავითაშვილს და მის ოჯახს , შვილის, რიჩარდ დავითაშვილის სახელის უკვდავსაყოფად ვალდებულებაც კი მართებთ აღადგინონ STVR-ის სახელი ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებებით, ეს ხომ თავად რიჩარდის იდეა და სურვილი იყო.

ხოლო კომპოზიცია „GEORGIA" დასახელდეს ამერიკაში დაბადებული ემიგრანტი ბავშვების ჰიმნად.

„არსებობს მამა ზეციერი, მე – ჩემი ოჯახით და ჩემი სამშობლო! ეს სამივე ერთად აღებული ჩემი სამებაა" (თამრიკო დავითაშვილი)

პროფესიონალი ხელოვანი არ შეიძლება იყო ცოცხალი და ეწერო მკვდრებში უმოქმედობით, ამაოთა ამაოებასთან ფარ-ხმალ დაყრილი!!!

ნიუ-იორკი, აშშ
2018 წლის 11 დეკემბერი

მზიური დათიაშვილი-აფციაური

ნამდვილი ამბავი

ოჯახი

დრამატული პიესა VI მოქმედებად ვუძღვნი ჩემს უსაყვარლეს ბებიას – ანნა შუმანს (დედის დედას) და აწ გარდაცვლილ მშობლებს გრიშა (გრიგოლის – გარდაიცვალა 1995 წლის 2 იანვარს) და ელენეს გარდაიცვალა 2015 წელს 28 მარტს) – მათი შვილი და შვილიშვილი – მზიური (მზექალა) დათიაშვილი – აფ-ციაური.

სურათი VIII

(ნათლობის რიტუალი ეკლესიაში, გერმანული საგალობელი)

მღვდელი – ნათლულს რას არქმევთ?

ნათლია – ჰელენს! (ჰელენს აიაზმას ასხურებენ თავზე მერე ჩააყურყუმელავებენ ემბაზში) მღვდელი გადასცემს ნათლიას ნათლულს და პირჯვარს სწერს ორივეს. სახლში ეტლით ბრუნდე-ბიან.

ნათლია – (სახლის ზღურბლზე) ჩაიბარეთ თქვენი ქრისტიანი გოგონა ამიერიდან მას ჰელენი ჰქვია.

ანნა – (ბავშვს გამოართმევს) ჩემი ჰელენი, ჩემი ელიჩა (ჰკოცნის)

სურათი IX

გრიშა (ხმა) – გადის დრო. გრიგოლი ძალიან ნაღვლიანობს. ბაღში მუშაობს. მსახურები ეზოს ასუფთავებენ.

I მსახური – ეს ბიჭი ძალიან შეუპყრია ნაღველს.

II მსახური – ასეთი ცხოვრება მაგას იქ არ ექნება, მაგის სამშობლოში სულ აჯანყებები და მღელვარებებია, ამბობენ რევოლუცია მოხდაო. ცოტა დაწყნარებულან თითქოს. მაგას ჭკუა რომ ჰქონდეს აქედან არსად არ წავიდოდა, იმ დიდ რუსეთში ყოფილა მაგის ქვეყანა, რაღაც ლამაზი სახელი ჰქვია და ვერ ვიგონებ. მაგის ქვეყანაში, ალბად, სულ მაგისთანა ლამაზები იქნებიან. (პა-უზა) – ეეჰ! – რატომ არის რომ ადამიანს სულ უცხოსკენ მიუწევს გული, უცხოური ყველაფერი მოსწონს და ყველაფერი კარგი ეჩვენება.

I მსახური – ნუ ბოდიალობ მაგას სწორედ აქ მოხვედრა ანაღვლიანებს. შენისთანა ბრიყვი, აბა, მაგას როგორ მიხვდება. ეს ეტყობა ძალიან პატიოსანი კაცია და იცის, რომ პასუხს აგებს სამშობლოს წინაშე.

II მსახური – ეგ ხომ ყველამ ვიცით. როგორი დაჭრილი მოიყვანეს და გონს აქ მოეგო.

I მსახური – ეგ, შენ იცი, თორემ, მის სამშობლოში იცის ვინმემ? კაცი დაილია მაგაზე ფიქრით; როგორ დაარწმუნოს თავისი ხალხი, რომ დამნაშავე არაა. არ უღალატნია სამშობლოსათვის.

II მსახური – ამბობენ სიმამრი, ეს ჩვენი კეთილშობილი ექიმი, რაღაცას ცოდვილობსო, რა-ღაც საბუთებს ახსენებენ.

I მსახური – ღმერთმა ხელი მოუმართოს, აფსუსია ამისთანა ვაჟკაცის დადნობა.

(ბაღიდან ისმის გრიგოლის ნაღვლიანი სიმღერა)

„მე რად მინდა მკერდში გული.
დამეყაროს მაშინ მიწა,
თუ მოყვასის სიყვარული,
ჩემს სამშობლოს ვერ დაიცავს!“. . .

II მსახური – რა ტკბილი ხმა აქვს ამ დალოცვილს (ამ დროს შემოდის სიმამრი, შემოესმება სიმღერის ხმა და ნელი ნაბიჯით წაიწევს ბაღის შუაგულისაკენ)

ექიმი – (ფრთხილობს, თან სიხარულით) – გრიგოლ! სასიხარულო ამბავი მინდა გითხრა. რამ-დენიმე დღეში შენ სამშობლოში წახვალ (გრიგოლი ელდანაკრავივით შემობრუნდება)

გრიგოლი – მართლა? – ეს როგორ მოახერხეთ (თავშეკავებული სიხარულით)

ექიმი – ბევრი ვეცადე. ნაცნობ-მეგობრები დამეხმარნენ. მხოლოდ (თვალით გაზომა, აათვალ-ჩაათვალიერა) ანნას და ბავშვს ვერ გაგატან. ჩვილია, გზაში გაიტანჯებით, მით უმეტეს, იცი რა

დიდი პოლიტიკური ძვრები მოხდა შენს სამშობლოში და გზა როგორი იქნება, არ ვიცით, ან რა სიტუაცია დაგხვდებათ.

გრიგოლი – (ფიქრობს) მართლაც სარისკოა, მაგრამ ანნა? – თვითონ რას იტყვის?

ექიმი – წავიდეთ, ვკითხოთ (შედიან სახლში, გამზრდელს შეამჩნევს და ეკითხება:)- როგორ არის ჩვენი პატარა?

გამზრდელი – კარგად, სძინავს ჩემო ბატონო.

ექიმი – ანნას სთხოვეთ (შედიან კაბინეტში)

გამზრდელი – ახლავე დავუძახებ (გადის)

ანნა – (ღიმილით შემოდის) მშვიდობა თქვენს მობრძანებას!

ექიმი – მოდი აქ ჩემო შვილო (შუბლზე ეამბორება) მინდა გახარო (თვალით ზომავს ანნას) გრიგოლი რამდენიმე დღეში, თავის სამშობლოში წავა.

ანნა – (დაიბნევა და გაკვირვებული უპასუხებს)0 სამშობლოში?! გრიგოლი?

ექიმი – ჰო, შვილო (თვალზე ცრემლი მოადგება, მაგრამ არ იმჩნევს)

ანნა – მერე ჩვენ? (მიუტრიალდება გრიგოლს) – არ მესმის ჩვენ რაღა დავაშავეთ (ცრემლი მოერევა) უნდა დავცილდე სამუდამოდ?

ექიმი – რატომ? – წავა ნახავს თავის სამშობლოს, მშობლებს და დაბრუნდება ისევ.

ანნა – (მტკიცედ ეუბნება) – არა მამა, ქვეყანა მბრუნავი და ცვალებადია, ხვალ, არ ვიცით რა მოხდება. ახლა ჩვენი პატრონი გრიგოლია, მე მას ვერასოდეს დავცილდები (და ეხვევა გვერდით მდგარ გრიგოლს;) გრიგოლი ხელს შეაშველებს)

გრიგოლი – (გაფითრებული) – დაწყნარდი ანნა, მამა მართალს ამბობს, გზა გაგტანჯავთ შენც და ელიჩსაც.

ანნა – თქვენ ორივეს პირი შეგიკრავთ. სამშობლოში არა მხოლოდ გრიგოლი მიდის. უპირველეს ყოვლისა ის ჩემი შვილის ჰელენის სამშობლოა – ტურფა საქართველო (მუსიკა დიალოგის საფუძველზე მძაფრი, რომელსაც ქართული „შავლეგო“ ცვლის, საქართველოს ხედები)

მოქმედება III

სურათი X

(მატარებლის ხმა. მიემგზავრებიან საქართველოსკენ. რუსეთის სადგურში არეულობაა. ანნა ჩამოდის მატარებლიდან ბავშვით)

გრიგოლი – (ყვირის) ფრთხილად ანნა!

ანნა – (კივილით) ჩამოვარდება მატარებლის საფეხურიდან. ბავშვი ხელიდან გაუვარდება და მატარებლის რელსებზე დაეცემა ისმის ბავშვის ტირილის ხმა ანნა წამოდგომას აპირებს – ღმერთო გადამირჩინე ჩემი ელიჩა.

გრიგოლი – (არ იბნევა) სწრაფად ჩადის და რელსებზე დავარდნილი ჩვრებში გახვეული ბავშვი ამოჰყავს. ტირის, ისევ ვაგონში ბრუნდებიან.

ანნა – (ფრთხილად ხსნის ჩვრებში შეხვეულ ბავშვს. ხედავს ზურგიდან სისხლი მოჟონავს, სინჯავს ხერხემლის ზურგის მალი აქვს გატეხილი)

– ჩქარა გრიგოლი თბილი წყალი, ახლავე შვილო (მიუბრუნდება ბავშვს ჩვარს აფარებს) მოგიკვდეს დედა ჩემო პატარა გოგო! (ტირის)

გრიგოლი – (გარბის სადგურში და ცხელი და ცივი წყალი მოაქვს

ანნა – იარაღები ჩაყარე (აწვდის) 25 წუთის შემდეგ ანნა ოპერაციას აკეთებს. გრიგოლი კანკალით აწვდის იარაღებს.

– ყველაფერი კარგად იქნება გრიგოლი. ფიცარი მჭირდება საარტაშნედ.

გრიგოლი – (ისევ ჩადის მატარებლიდან და ფიცრით ხელში ბრუნდება) აი, ვიშოვე კიდეც (ტირის) – რომ არ მორჩეს, სანამ დროა... (და ღრიალი ამოუშვა პირიდან)

ანნა – არა გრცხვენია, გრიგოლი, ეგ როგორ გაივლე გულში. (დააკრავს ბავშვს ფიცარზე, ეფერება ორივე დუმს) ... კიდევ კარგი იარაღები და წამლები წამოვიღეთ. (იქაურობას ალაგებს) (კვლავ მატარებლის ხმა, ისევ გზაში არიან

– (ბავშვს გადახედავს ოფლს მოწმენდს სახიდან) ღმერთმა გაშოროს ჭირის ოფლი, შვილო, იძინე ტკბილად. (ეფერებიან ბავშვს: ჩემო პატარა, ჩემო თათუნა, საყვარელო)

გრიგოლი – ბავშვები უფრო მეტად უძლებენ განსაცდელს, ვიდრე ასაკოვნები (გაბზარული ხმით) – ო, რა მკაცრი ხარ ბუნებავ! – ვცდილობდი კაცი არ მომეკლა. ტყვედ ჩავვარდი ლამის. ტყვეობას გადავრჩი და შვილი კინაღამ მომიკვდა ნეტავ კიდევ რა განსაცდელი დამრჩა გადასატანი?

ანნა – ნუ გადაყვები ხოლმე ფიქრებს. ცოტა გახალისდი, კიდევ დიდი მანძილია გასავლელი?

გრიგოლი – ნახევარი მაინც დარჩა. ნეტავ ელიჩიც იქნებოდეს კარგად, და არაფერზე აღარ ვინაღვლებ.

ანნა – კარგად იქნება. ვფიქრობ არ გცნობივარ ჯერ კიდევ. ცუდად რომ იყოს ბავშვი ასე რა გამაჩერებდა, ერთ ამბავს ავტეხდი. ნუღა ფიქრობ. დაწყნარდი. ბავშვი (გადახედავს) კარგად არის შეხედე რა მშვიდად სუნთქავს.

გრიგოლი – ვუახლოვდებით საქართველოს.

ანნა – ნეტავ როგორ შეგხვდებიან, მოეწონებათ შენი არჩევანი? თუ არა, თან შვილიც?!

გრიგოლი – აბა, რას ფიქრობ ანნა. ქართველ ქალთა სილამაზე საქვეყნოდაა ცნობილი, მაგრამ ჩემს გულს ვინც უყვარს, ის ყველაზე ლამაზია ჩემთვის, ამასთან შენს მწყაზარ სახესა და კენარ ტანს არავინ და არაფერი შეედრება, რატომ გინდა ყველაფერი ამოვღერღო იცინის და ეხვევა ანნას)

გამცილებლის ხმა – ზესტაფონი, სადგური ზესტაფონი!

ანნა – მგონი მოვედით! (სიხარულით) (მატარებელი ჩერდება გრიგოლი და ანნა ბავშვით ჩამოდიან მატარებლიდან და ფეხით მიუყვებიან გზას. ანნას არტაშანზე დაკრული ბავშვი მიჰყავს)

ანნა – ეს რა საოცარი და მშვენიერი ქვეყანა ყოფილა (აქეთ-იქით აცეცებს თვალებს) სულ ბაღებითა და ვენახებითაა მოფენილი. მართლაც ზღაპრულია. ამიტომაც ნაღვლობდი (გადახედავს გრიგოლს ღიმილით გრიგოლიც უღიმის), მეც კი ვინაღვლებდი ასეთ სამშობლოზე.

გრიგოლი – (შორს გორაზე ჩანს სოფელი) აი, ის არის ჩემი სკანდე!

I მკვიდრი – მგონია (სოფლის შესასვლელთან დგანან და იყურებიან)

– სოფელში ვიღაც მოდის.

II მკვიდრი – ორი არიენ. ქალი და კაცი. რა უცხოთ არიენ ჩაცმული რაცხა, აქაურებს არ უნდა გავდენ.

I მკვიდრი – ნეტა ვინ უნდა იყოს?

II მკვიდრი – ბეჩა, ამისთანა ქალი ჩვენ მხარეში არავინ მეგულება, მგონი პატარა ბავშვიც მოჰყავთ.

III მკვიდრი – ეს კაცი ვიღაა, თავაწეული და გაცინებული კი მოდის მარა, ვერავის ვამგვანებ. (ამასობაში მიუახლოვდებიან კიდეც გრიგოლი და ანნა შეჯგუფებულ ხალხს. გრიგოლი იცნობს ზოგიერთ თანასოფლელს)

გრიგოლი – (გამოექანება) გამარჯობათ ხალხო, ილიკო ბიძია, დარიკო ბიცოლა, როგორ ხართ, როგორ (ტირის სიხარულით) მეზობლებო, თქვენ კი გენაცვალათ თქვენი გრიგოლი

სახლიკაცი – დედა, მამაა! (ყვირის) ჩვენი გრიგოლი დაბრუნებულა (ხალხი გამორბის, ალიაქოთია, ისმის სიხარულის გადაძახილები) მშობლები ეხვევიან გრიგოლს.

დედა – სოფელმა გამოგიტირა, მარა ეს გული მაინც ვერ გიმეტებდა შვილო, შენ მოგიკვდეს დედაშენი (და უფრო ეხვევა გრიგოლის ანნას, შვილიშვილს ხელში იყვანს) – ეს რა მოგსვლია ბებია, ნუ გეშინია, ისეთ გოგოს გაგზრდი, ვაჟკაციც ვერ გაჯობებს. (ხალხი ჟრიამულით შედიან გრიგოლის ეზოში. იშლება სუფრა. ისმის იმერული სუფრული და მრავალჟამიერი)

სურათი XI
(იდილიური მუსიკა ბახის)

(დილაა. ძროხის ბღავილი, მამლის ყივილი, ძაღლის ყეფა)

გრიგოლი – (ადრე წამოხტება, საწოლში ანნა არ ჩანს. გარეთ გამოიხედავს. ანნას ჭიდან წყალი ამოაქვს კათხით, გული შეუქანდება) – არ ჩავარდე, შენ ხომ არ ხარ მიჩვეული (ხელს წაატანს კათხას) აქ სოფლის ცხოვრებაა ძვირფასო ჯერ კარგად უნდა მიეჩვიო. (გერმანულად ელაპარაკება)

ანნა – შენ გგონია (ღიმილით) რახან მსახურების ზრუნვაში გავიზარდე, არაფერი ვიცი? იქ ჩვენ ისევე ვშრომობთ, როგორც ჩვეულებრივად ყველა. მსახურები შირმაა ჩვენი ოჯახისათვის. მამას ასე რომ არ გაეკეთებინა, მაღალი საზოგადოება სხვანაირად დაუწყებდა ყურებას.

გრიგოლი – რა კარგი ხარ ანნა (ეხვევა. იდილიური მუსიკა გრძელდება)

ილიკო – (თავისთვის რაა ახალგაზრდობა) გრიგოლი გადმოდი აქეთ პატარა ხანს, რაცხა ბიცოლაშენი ვერაა კარგად.

გრიგოლი – ახლავე ილიკო ბიძია, (ანნას) – ნეტავ რა მოუვიდა ბიცოლას?

ანნა – მეც წამოვალ ელიჩს ჯერ კიდევ სძინავს. (გადადიან ღობეზე)

დარიკო – (საწოლში წევს) თქვენ გენაცვალათ ბიცოლა, ასე უნდა გხვდებოდეთ? ნაოპერაციებმა შემაწუხა ნამეტანი. იქნება ურემი შეაბათ და ზესტაფონში ჩამიყვანოთ.

ანნა – (გრიგოლის) – რაო რა მაწუხებსო? (მივა ავადმყოფთან) საბანს გადაუწევს (სუნისცემს) ჭრილობას ხელით უსინჯავს და ამბობს: ეს საქმე არ მომწონს. მდგომარეობა სერიოზულია, სასწრაფო ოპერაციაა საჭირო. აპენდიციტის ნაოპერაციევი დაჩირქებულია და მეორედ უნდა გაიკვეთოს.

ილიკო – რა გვეშველება, შვილო?

ანნა – მე მომანდეთ ეს საქმე (გრიგოლის გადახედავს)

გრიგოლი – კი, ილიკო ბიძია, გამოცდილია ამ საქმეში (ანნას გერმანულად გადაულაპარაკებს) – ანნა, რისკზე რატომ დებ თავს?

ანნა – მე სულ რისკზე მაქვს დადებული თავი. იმედი რომ არ მქონდეს, არც კი გავიფიქრებდი. წამოდი მომეხმარე (გადიან, მაგრამ მალევე ბრუნდებიან იარაღებით)

დარიკო – რას აპირებ, შვილო? თუ სასიკვდილო ვარ, რაღა შენ ჩაგაკვდე ხელში. (გრიგოლი უთარგმნის) თან იარაღებს აწვდის).

ანნა – ნუ ბიცოლა, ნუ გეშინია. ჰოსპიტალში მამის მარჯვენა ხელი ვიყავი (თან აკეთებს ოპერაციას) ისე მოგაცილებ ტკივილს, ვერც გაიგებ. სულ ორი წუთია საჭირო. აი, ახლა გავწმენდ და დამთავრდება ყველაფერი (სწრაფად წმენდს, კერავს ჭრილობას) ახლა თეთრეულს გამოგიცვლი.

დარიკო – მორჩა შვილო? – მგონია აღარ მტკივა ისე, მარა მაინც ვერ ვინძრევი.

ანნა – გადარჩი დარიკო ბიცოლა, გადარჩი!

გრიგოლი – (ღიმილით) პურმარილი შენზეა.

ილიკო – ერთი, უყურე ამ ღვთისნიერს, არც კი მოველოდი, თუ ოპერაციას გააკეთებდა.

ანნა – აბა, ომის დროს ჩვენ – მე და მამაჩემი, ამის მეტს რას ვაკეთებდით. ყველაფრის თუ შეგეშინდა, მოკვდები. ადამიანი კი სიცოცხლისთვისაა გაჩენილი და რაც შეგვიძლია, უნდა ვაკეთოთ და ვაკეთოთ სიკეთე. შიშმა და სიბოროტემ არ უნდა გვაჯობოს. არც თვალი უნდა დაგვიბრმაოს და არც ყური უნდა დაგვიხშოს. მე ახლა დარიკო ბიცოლას ისეთ წამლებს დავალევინებ, დილამდე მშვიდად დაიძინებს (ასმევს). ახლა კი დროა ჩემს ელიჩსაც მივხედო.

ილიკო – ახალი გამომცხვარი კეცის ჭადი, ჭყინტი ყველი და ამოლესილი ლობიო მაქვს, შვილო, ჩვენში ასე იციან, უარს ნუ მეტყვით. (ილიკო სახელდახელოდ გაშლილ იმერულ სუფრას დგამს)

ანნა – (იღებს სასმისს) თქვენ გაგიმარჯოთ ილიკო ბიძია, გამოგიჯანმრთელდეს დარიკო ბიცოლა. თქვენს პატარა, მაგრამ ძალიან ლამაზ საქართველოს გაუმარჯოს (ცოტას მოსვამს) ახლა მაპატიეთ...

გრიგოლი – აბა, კარგად ბრძანდებოდეთ (ემშვიდობებიან) კინაღამ გადამიყოლე კაცი, ამდენი ღმერთმანი ჩვენზეც არ მინერვიულია.

ანნა – ნუ გეშინია, გრიგოლი, ანნამ ბევრი რამე იცის. თუმცა ექიმის ტიტული არ მაქვს, მაგრამ მამაჩემისაგან, ცნობილი ქირურგისაგან კარგად შევითვისე ეს საქმე და არც დავიხევ უკან არასოდეს.

გრიშა – და არც დაუხევია ანნას უკან გაჭირვების ჟამს. სოფელში თუკი ვინმეს გაუჭირდებოდა, ყველა ანნას ეძახოდა. ამასობაში ერთი წელი გავიდა კიდეც, იმ ერთი წლის განმავლობაში ორჯერ აიღო ლობიოს და სხვა ბოსტნეულის მოსავალი, ძალიან ყოჩაღი იყო ანნა, მაგრამ კარგს მტერი მუდამ ჰყავს. თუმცა სიკეთე ბოროტებას თრგუნავს, მაგრამ თუ ბოროტება გამძვინვარდა ჭურსაც გახეთქავს. ასე იყო თუ ისე, ანნას გამარჯვება ყველას არ გახარებია. განსაკუთრებით მაზლისცოლი თებროლე ვეღარ ეტეოდა თავის კანში. სულ იმას ცდილობდა დრო ეგდო ხელში და ანნას გამასპინძლებოდა თავისებურად.

– შემოდგომა იდგა (შემოდგომა იმერეთში ფონოგრამა და ყოფითი მუსიკა) გრიგოლი ყანაში იყო წასული მთელ ოჯახთან ერთად. სახლში ანნა და მისი ძმისცოლი თებროლე დარჩენილიყვნენ პატარა ელიჩთან ერთად.

სურათი XII

(ორი იმერული ძველი ოდა სახლი)

თებროლე – ანნა! სახლში ხარ?

ანნა – კი, თებროლე, რა მოხდა?

თებროლე – ახალი ჭადი გამოვაცხვე და ლობიო შევკმაზე, თუ მესტუმრები კაის იზამ.

ანნა – ახლავე გადმოვალ

თებროლე – (ცდილობს გულღიად მიიღოს მაზლის ცოლი, ფუსფუსებს, სუფრას აწყობს, ლობიო გადმოაქვს თიხის თეფშებზე. ერთს თავისკენ დგამს, მეორეში რაღაცას აფრქვევს, შემოდის ანნა)

ანნა – (სიცილით) მადლობთ თებროლე, რა კარგია, ერთად ვისადილებთ (ჯდება სუფრასთან, იწყებენ ჭამას ჩაიდებს ლუკმას)

– ვაიმე რა მწარეა, მუცელი დამეწვა...

თებროლე – აი, არაყი, არაყი მიაყოლე.

ანნა – (სვამს არაყს) უფრო მეტად ასტკივდება მუცელი

– მიშველე თებროლე!

თებროლე – კი, ნაშვეელბი ხარ უკვე. აპა, რა გეგონა ჩემზე მეტი იქნებოდი თუ?

ანნა – მიშველეთ!

თებროლე – (მოჩვენებითად კივის) ხალხი გროვდება, სინჯავენ ანნას, ვერავინ და ვერაფერი ვერ შველის) მიშველეეთ!

გრიგოლი – (ყანიდან ბრუნდებიან; ხალხის დანახვაზე სახეზე ფერი ეცვლება)

– ვაიმე რა ამბავია ჩემს თავს (სახლში შევარდება სულამომავალი ანნა ტახტზე ასვენია, ანნამ გრიგოლის თვალი შეავლო) – რა მოგივიდა ჩემო ანნა!

ანნა – ჩემი სამშობლო, ჩემი გერმანია, ველარ დავბრუნდები იქ.

გრიგოლი – დაბრუნდები ანნა, რა მოგივიდა (და ანნას ხელი მოწყვეტილად ჩამოუვარდება. ის უკვე ამ ქვეყნისა აღარ არის. გრიგოლი ღრიალებს: ანნაააა! ბავშვი ტირის მძაფრი, უბედურების მომასწავებელი მუსიკა)

– ო, ჩემო მკაცრო ბუნებავ, განსაცდელს მაინც არ ამაცდინე. რა დავაშავეთ ამ ორი ქვეყნის ორმა სულდგმულმა, შენთვის სიკეთის მეტი ხომ არაფერი გაგვიკეთებია, რატომ გაგვწირე ასე უსამართლოდ. გვიბოძე ერთადერთი ნაყოფი უცნაური სიყვარულისა და სამუდამოდ მოგვისპე: მე ჩემი უცნაური სიყვარული და ელიჩს იმედი დედისა. ჩვენმა შვილმა მაინც რა დაგიშავა, ჯერეთ უსუსურმა, მოტიტინემ, შენსავით უკარებამ. რატომ ცდილობ წაგვართვა გული ჯერ კიდევ გაუჯერებელი სიყვარულით, ნუთუ შენც ანნასავით რისკზე მიდიხარ! ო, ანნა! (ზედ ეცემა და ტირის) მუსიკა მძაფრი სამგლოვიარო ელიჩას ტირილის ხმა:

სურათი XIII

(ეზოში შემოდიან ხელისუფლების წარმომადგენლები)

სოფლის მამასახლისი – რა იყო ხალხო, რა მოხდა?

მეზობელი – გრიგოლის ცოლი ანნა მოკვდა.

მამასახლისი – რა დაემართა ამ მტრედივით ქალს.

მეზობელი – რა ვიცი, თებროლეს და მაგას საჭმელი ერთად უჭამიათ აგერ სუფრაზე.

მამასახლისი – (სუნავს თეფშებს) ხელი არ დაადოთ, ახლავე გამოუძახეთ მილიციას.

(თებროლეს შიში იპყრობს)

(შემოდის მილიციონერი და რამდენიმე სამოქალაქო პირი)

თებროლე – ერთი ფიორი მოვაფცქვიე ასე (აჩვენებს ხელით) არ მეგონა თუ მოკლავდა.

მამასახლისი – თუ ხარ გონებაზე ქალო, რა ჩაუყარე, რა არ გინდოდა.

თებროლე – ერთი ფიორი თაგვის წამალი, ა (და აძლევს წამალს)

მამასახლისი – შეცდა ეს უბედური ჭკუაზე.

თებროლე – კი, შევცდი მარა, მაგას ეგონა ყველაზე კაი იყო, ყველაზე ბევრი იცოდა!

მილიციელი – მოქალაქე თებროლე მაჩიტიძე-ღიბრაძე, თქვენ დაპატიმრებული ბრძანდებით!

გრიგოლი – (გაკვირვებული) შენ დამავსე ასე ჩემო რძალო? წყეულიმც იყავ უკუნითი უკუნისამდე.

ხალხი – (აფურთხებს) – ფუ შენს ქალობას (ქვებს ესვრიან)

თებროლე – (გაყავთ ბორკილდადებული, იცინის, ჭკუაზე იშლება,

მოქმედება IV

სურათი XIII (იმერული ოდა სახლი და ეზო)

გრიშა (ხმა) – გავიდა დრო თითქოს ყველას გადაავიწყდა გრიგოლი და ანნა. ელენე კი იზრდებოდა მამიდასთან, მეზობლებთან, დედინაცვალთან-სამარიტელ ჭანტურიძესთან. გრიგოლიმ მეორე ცოლი მოიყვანა და მასთანაც გოგო შეეძინა, სახელად თამარი დაარქვეს. ერთდღეს სამარიტელმა ზესტაფონიდან ელენეს ლამაზი კაბა და ფეხსაცმელები ჩამოუტანა, რადგან თამარი პატარა იყო, მისთვის ჩუსტები ეყიდნა.

თამარი – (ჩანთას ჩხრეკს) ეს მე ჩამომიტანა დედამ (მოეწონა თამარს ლამაზი ფეხსაცმელი)

ჰელენი – არა, თამარ, დედამ თქვა, ეს კაბა ფეხსაცმელი შენიაო.

თამარი – ეგ შენი დედა კი არა ჩემი დედაა, შენ გერმანელი დედა გყავდა, ასე მითხრა დედამ. (სამარიტელს მოესმა მათი საუბარი და გულში რაღაცამ გაჰკრა)

სამარიტელი – გააჩუმე გოგო ენა (შეუტია თამარს და ჰელენს მოფერება დაუწყო)

გრიშა (ხმა) – ელენს არც აცია, არც აცხელა, მივარდა დედინაცვალს, მიაყარა საჩუქრები, ძუძუებში ხელი ჩაავლო და ქნევა დაუწყო.

ჰელენი – თუ არ მეტყვი (სამარიტელს) სიმართლეს, სახლიდან წავალ (ჰელენი უკვე 15 წლის იყო)

გრიშა (ხმა) – სამარიტელს არ უნდოდა სიმართლის თქმა, მაგრამ ბავშვის სასოწარკვეთა იმდენად დიდი იყო, ამჯობინა სიმართლე ეთქვა. ელენი ყურადღებით უსმენდა.

სამარიტელი – დედაშენი, შვილო, ადრე გარდაიცვალა. ის ძალიან კარგი, სათნო, მშვენიერი და მცოდნე ადამიანი ყოფილა. ამბობენ მამაშენის სახლში არ ყოფნის დროს, თებროლეს, ბიცოლაშენს მოუწამლავს. ანნა რქმევია. მეტი არაფერი ვიცი.

გრიშა (ხმა) – ისმის ელენეს გულსაკლავი ტირილი. ჯდება დიდი კაკლის ძირში, ეზოში ქვაზე. დიდხანს იჯდა ასე ნამტირალევი და გარინდებული, სანამ გრიგოლი დაბრუნდა.

ჰელენი – (მამის შემოსვლისთანავე) – მამა, დედაჩემი მართლა გერმანელი იყო?

გრიგოლი – (გველნაკბენივით შეცბუნდება). ნეტავ (თავისთვის) ვინ ახარა, ამ ჩემი ცოდვით სამსემ (გულში რაღაც ჩაწყდა) წყნარად უპასუხა: დაწყნარდი შვილო, რა მოგივიდა, ვინ მოგახარობლა ეგ ამბავი?

ჰელენი – მართლია ხომ? ეგრეც ვიცოდი, ვგრძნობდი რაღაცას მიმალავდი.

გრიგოლი – (ეფერება ჰელენს) დაწყნარდი შვილო და კარგად მომისმინე: მითხარი რა მოხდა.

გრიშა (ხმა) – ჰელენს არ უნდოდა დედინაცვლისათვის რაიმე ბრალი დაედო და თქმას მოერიდა.

– შენ ყველაფერს მიმალავ მამა, არ გინდა სიმართლე ვიცოდე დედის შესახებ.

გრიშა – გრიგოლი ისე იყო შეშინებული მაშინდელი პოლიტიკური გარემოთი, ცდილობდა ღრმად შეენახა ეს ყოველივე, ისე რომ არავის სცოდნოდა. შვილს არც დედის გვარი უთხრა და არც მისამართი გერმანიისა. მხოლოდ მოუყვა, თუ რა დიდი ოჯახის და ავტორიტეტის პატრონი იყო ელენეს ბაბუა, ანნას მამა და რომ ანნას გერმანიაში დედ-მამასთან ერთად ჰყავდა ერთი და და ორი ძმა, ერთი ძმა მემანქანე ყოფილა (მატარებელი დაჰყავდა) ეს იყო და ეს.

ვალიკო – და მერე, დედა (მიუტრიალდება სიდედრს) ამით დამთავრდა ყველაფერი? ბაბუა ხომ ცოცხალი იყო 1962 წლამდე.

ჰელენი – კი, შვილო, რამდენჯერმე ჩავაკითხეთ სკანდეში მე და გრიშამ, თვითონაც ერთი–ორჯერ იყო აქ. ბავშვები პატარები მყავდნენ და არაფერი იცოდნენ. ერთხელ მე მზიური და ჩემი მულის – ვერას ქმარიც ვიყავით ჩასული, მაგრამ აღარაფერი მახსოვსო, ნუღა მეკითხებითო, ყველა საბუთი დავკარგეო. მაშინ 80 წლის იქნებოდა. შემეცოდა მამაჩემი (ცრემლები წამოუვიდა) საერთოდ უთქმელი კაცი იყო. ყველაფრის ეშინოდა. ფიქრობდა გრიშასთვის (დირექტორი კაციაო) არავის არაფერი აეტეხა და ვფიქრობ ამიტომ უფრო მალავდა ამ ყველაფერს.

გრიშა – ბევრი ვეცადე, არქივებში ვეძებე, სამხედრო კომისარიატს მივაკითხე, შსს-ს მაგრამ არაფერი გამოვიდა, ყველაფერი ჩაიყლაპა.

ვალიკო – მას ხომ დარჩა მეორე ცოლთან შვილი იქნებ, იმან იცოდეს რამე?

ჰელენი – მამაჩემი გრიგოლი 1962 წლის შემოდგომაზე გარდაიცვალა. გვიან შემატყობინეს. მე და გრიშა, რომ ჩავედით, უკვე გარდაცვლილი იყო. როცა ჩემ დას გამოველაპარაკეთ, ხომ არაფერი დაუბარებია-მეთქი, თამარმა ასე მიპასუხა: რა უნდა დაებარებია, რომელი ოქროები შენ დაუტოვე მამაშენსო. მე დედაჩემის შესახებ გეკითხები-მეთქი. დედაშენი სასაფლაოზე წევსო, სადაც მამაჩემის საფლავი გათხარეს, ძვლები ამოვიდა, ალბათ ეს დედაჩემის ძვლები იყო (ცრემლები მოსდის) ღმერთმა აცხონოს ორივე და ნათელში ამყოფოს.

მზია – მე და მერი ვიყავით მათთან. პირველად მერი წავიდა და მოიკითხა. ცუფნას თამარის დიდ გოგოს, ვაზისუბანში უცხოვრია, მხატვარია, მეუღლეც მხატვარი ჰყავს. მერე ორივე წავედით, იქვე ახლოს რეზოს სახლიც ყოფილა და მივაკითხეთ, მაგრამ არ დაგვიხვდნენ, რამდენჯერმე კიდევ მივაკითხეთ და აღარავინ რომ არ დაგვხვდა, ვიფიქრეთ, ჩვენი ნახვა არ უნდოდათ და თავი გავანებეთ.

ვალიკო – მართლაც დრამატული ისტორია წინაპრებისა.

გრიშა – ცხოვრება თავისი დინებით მიდიოდა. ელენი გაიზარდა 7 – წლედი დაამთავრა და კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა.

მკაცრი პოლიტიკური რეჟიმი II მსოფლიო ომით გამოწვეული ნგრევა. ფრონტის ზურგში კი დამკვრელური შრომა იყო გაჩერებული. აი, 1944 წლის დეკემბერში სოფელ სკანდეში მთავრობის ბრძანება მოვიდა: სამხრეთ საქართველოში იმერეთის გლეხობა უნდა გადაესახლებინათ. გრიგოლ ღიბრაძე ამ დროს 65 წლის გახლდათ. იმის შიშით რომ მამა – გრიგოლ ღიბრაძე არ გადაესახლე-

ბინათ, ელენმა პირველმა დაასწრო: მე წავალ მესხეთშიო, ელენს ბევრი სხვაც მიჰყვა და ასპინძაში გაჩნდა პირველი იმერული ოჯახები. ხალხი შრომობდა. ელენს ყველა აქებდა. მან საუკეთესო ხარისხის აბრეშუმის დიდი რაოდენობით პარკი ჩააბარა სახემწიფოს. იყო მევენახეობის ბრიგადის ბრიგადირი. კარგი მშრომელი ახალგაზრდა და ხალხში აღიარებული ავტორიტეტი.

1945 წელს 9 მაისს დამთავრდა ომი. ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა ამ ამბავს. გაიმართა რაიონული ყრილობა ასპინძაში. მოხდა დაჯილდოება. პირველი მედალი სტალინის, ფრონტის ზურგში მამაცი დამკვრელური შრომისათვის გადაეცა ელენა ღიბრაძეს! ყველა აღაფრთოვანა ამ ამბავმა (ტაში ვუძღვენით დედას). მამამ კი გულში ჩაიკრა და ეამბორა, მას მერე კიდევ 2 მედალი მიიღო.

ამბერგი – მალე ჩვენი გერმანელი დედიკოსა და მესხელი მამიკოს ოქროს ქორწილსაც გადავიხდით. იქნებ ერთხელ კიდევ მოგვეძებნა დედას ნათესავები?

თემური (ძმა) – ამბობენ ახლა ყველას შეუძლია მოძებნოს თავისი ახლობელი. ის დრო აღარაა, ახლა ქვეყანა შეიცვალა. უახლოეს 6 წელიწადში ბევრი პოლიტიკური ძვრა მოხდა საქართველოში უცხოეთი ძალიან გვეხმარება. იქნებ ვინმესთვის მიგვემართა და გაეხმიანებინა ეს ოჯახური ამბავი. იქნებ ენიშნოთ იქ, გერმანიაში, ამგვარი ამბავი ყველა ოჯახში ხო მარ მოხდებოდა. არ არსებობს ვინმე რომ არ გამოეხმაუროს.

ჯენერი (ძმა) – ჩვენ ჩვენი ვეცადოთ, იმედი ბევრს ნიშნავს. დიდება დღევანდელ დღეს. ახალ შობა ახალ წელს. ბედნიერი იყოს ჩვენთვის 1991 წელი.

ყველა – დიდება უფალს!

(მუსიკა – შობა – ახალი წლის საგალობელი)

მოქმედება V

სურათი XV

მამა ბესარიონი:

(ისმის ეკლესიის მშენებლობის ხმა. სცენა წარმოადგენს მშენებარე ეკლესიის ხარაჩოებით, მუშებით ამბერგი და ვალიკო ხალხთან ტრიალებენ ხელში გონიო და ეკლესიის გეგმა უკავიათ. ერთმანეთს ესაუბრებიან და მუშებს უთითებენ... მუსიკა საგალობელი „შენ ხარ ვენახი“. აშენდაა! – შემორბის ზაქარია და იძახის) აშენებული ეკლესია ზარების რეკვა. ხალხმრავლობა ტაბახმელის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის ეზოში ღვთის საგალობელი „წმინდაო ღმერთო“ „წმინდაო“ ღვთის მშობლის საგალობელი „ღირს არს ჭეშმარიტად... ყველას სანთელი უკავია ხელში, გამოჩნდება უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II: ღმერთმა დაგლოცოთ ჩვენო ქართველო ერო და გაგაძლიეროთ. დღეს უსაზღვროდ დიდი ზეიმია. უფალმა დიდი საჩუქარი უძღვნა ტაბახმელელ ხალხს ამ ბრწყინვალე ეკლესიის მშენებლობით, რომელსაც: „ტაბახმელის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი ჰქვია“. კურთხეულ იყოს ტაძარი და მისი ამშენებელი ამბერგი ჭარელიშვილი.

ამბერგი – იჩოქებს პატრიარქის წინ და მის კალთას ეამბორება პირჯვარს იწერს.

ილია II – დღეიდან თქვენ შეგეძლებათ ამ ტაძარში ადიდოთ უდალი ჩვენი იესო და საყვარელი ღვთისმშობელი დედა მარიამი. მათი წყალობა არ მოგშლოდეთ!

(ლხინი ეკლესიის ეზოში, ჯვარის წერა ამბერგისა და მერისი).

მოქმედება VI

სურათი XVI

(1995 წლის 4 იანვარია წყნეთში ვალიკოს და მზიას სახლში ფუსგუსია, გიას დაბადების დღისთვის ემზადებიან, მხიარული მუსიკა, სტუმრები მოდიან, მზია სუფრას შლის. არ ჩანან მერი და ამბერგი)

ვასიკოს ხმა – დედა, გია, სადა ხარ ბიჭო, ბოჩოლა და გოჭი მოგიყვანეთ გამომხედეთ!

გია – ვა, რა ძმა ხარ! (გაეგებება გარეთ სხვებიც მიჰყვებიან, ეხვევა ძმას).

ვასიკო – ეს ჩემი ძმაკაცია ლილოდან (აცნობს გიას) (მხიარული ლაპარაკი, სიცილი, და ა.შ. ეზოში მოსაღამოვდა. სუფრა გაშლილია, ყველა სუფრასთან ჯდება)

– აბა, მამი, ვადღეგრძელოთ იუბილარი, დღეს 19 წელი შეუსრულდა.

ვალიკო – ჭიქას სწევს, მაგრამ სახეს არიდებს. – გაუმარჯოს გიორგის, ბედნიერი ბიჭი ყოფილიყოს (ყველა სათითაოდ ადღეგრძელებს. კამპანია გვიან ღამით მთავრდება)

მზია – (ყველას აძინებს) – ნეტავ რატომ არ მოვიდა მერი?

სურათი XVII

(გამთენია დილის 5 საათი, ისმის კაკუნი კარზე მზია გაიხედავს. ხედავს ამბერგის, განცვიფრდება)

მზია – რამ მოგიყვანა ასე დილაადრიან!

ამბერგი – (ტირის) უნდა გამაგრდე, დაბადების დღეს ხომ არ ჩაგიშლიდით, მამაშენი აღარაა.

მზია – კივის, ტირის. . .

(მზიას ხმაზე იღვიძებენ, თუმცა ვალიკოს არ სძინავს)

ვალიკო – (მზიას იხუტებს) მე ვერ გითხარი, არ შემეძლო. ოთახში შედიან და ემზადებიან ასპინძაში წასასვლელად.

სურათი XVIII

ოთახში მიცვალებული ასვენია

ჰელენი – ჩემო საყვარელო მეუღლე, ჩემი ცხოვრების განუყრელო მეგობარო და მემატიანევ. შენ გადამატანინე ყველა ჭირი და მწუხარება, რაც ჩემს მშობლებთან: ანნასთან და გრიგოლისთან იყო დაკავშირებული. შენც დარდიანი და შენი სიდედრის ანნას გაუცნობლად მიდიხარ ამ ქვეყნიდან. იქნებ იქ მაინც შეხვდეთ ერთმანეთს.

მზია – მამა, შენ ხომ ყოველთვის პირველი გვეგებებოდი, ნუთუ ვერ გაიგე ჩვენი მოსვლა, უშენოდ შობას როგორ უნდა დავესწროთ, რას გვეუბნები შენს შვილებს.

ამბერგი – რატომ მიღალატე მამა, ჩემო მრჩეველო, ჩემო ანთებულო სანთელო, სულ მეშინოდა არ ჩამწვარიყავი, შენ კი ისე ჩუმად გაილიე, ვერ მივხვდით, რა დიდ საზრდოს ვკარგავდით.

ნანი მასწავლებელი – ნუ სტირით, შვილებო! მამათქვენი, ეს უდიდესი პედაგოგი, უნიჭიერესი და ერუდირებული პიროვნება, რომლის გაკვეთილები მუდამ კარღია ტარდებოდა და ანდამატივით იზიდავდა დიდსა და პატარას, ცოცხალი ენციკლოპედია იყო.

ლუბა მასწავლებელი – მან განათლების სფეროში პიკს მიაღწია, მას შეეძლო ეწინასწარმეტყველებინა თანამედროვე ცხოვრება 20-25 წლით ადრე. იგი ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან. ეს კაცი მარადიული ძეგლია ყველასთვის, ვინც კი მას იცნობდა.

მერი – დღეს შობაა მამა. 1995 წლის 7 იანვარი. ამ ოთხი წლის წინ. ჩვენ-ყველა ერთად ვიყავით. არავინ არ გვაკლდა რა ზეიმი გვქონდა მაშინ! შობა ჯენერიმ მოგვილოცა, ახლა ჯენერის აღარ სურს შობის მოლოცვა, აღარ მოდის, ალბად გრძნობს, შენ აღარ შეეგებები ეზოში.

ვასიკო – ჩემო საყვარელო და სულზე თბილო პაპა, ჩვენ არასოდეს არ ვიგრძნობთ შენს სიცივეს, გვემახსოვრები ისეთი, როგორიც სიცოცხლეში, იმ შობის ღამეს იყავი.

ვალიკო – მამის სიდიადე და განვლილი ცხოვრება, ჩვენ გვაძლევს უფლებას, შევასრულოთ მისი მრავალი კოლეგისა თუ მოწაფის აზრი და აღვმართოთ რაიონის შემოსასვლელში ძეგლი, როგორც უდიდესი პედაგოგისა და პირველი მასწავლებლისა რაიონში.

ჯენერი – (შემორბის) მამაააა! (დაემხობა და ტირის) (საგალობელი, პარაკლისი, ყველა სანთლებით ხელში).

მზიური ხმა – გავიდა დრო, მამის გარდაცვალების შემდეგ დედამ 20 წელი იცოცხლა. სულ ელოდებოდა, რომ ვინმე მოაკითხავდა, მაგრამ ამაოდ. სანახავად რომ ჩავედი, ეს წერილი მიკარნახა, იქნებ ნახო კიკია და მისცე, ჭკვიანი ბიჭია და მოიქცევა ისე, როგორც ეს უფლისთვისაა მისაღებიო.

ჰელენი – ჩემო შვილო კიკია. არ გაგიკვირდეს ამ წერილს რომ გწერ. შენც და შენი დებიც კარგად მიცნობთ მე ელენე დეიდას. გულზე ხელი დაიდევით და აღიარეთ, რომ არაფერი მიწყენინებია თქვენთვის, ყველა ნასწავლი და შეგნებული ადამიანები ხართ. ამდენი ხანია ვითმენ მარა, როდემდის, შვილო, უკვე 90 წლის გავხდი. ყველაფერს ხომ აქვს მისი საზღვარი. ჩემი წარსულის ქექვით მე თქვენთვის არაფერი დამიშავებია, უფრო მეტიც, საამაყო დეიდა და დეიდაშვილები გყავსთ. იცი რაზეც გელაპარაკები. უკუღმართმა დრომ დედაც წამართვა და მამაც. გეცოდინება ალბად, რა მწარეა მშობლების დაკარგვა, მით უმეტეს, როცა დედა – ანნა... მომიკლეს ერთი წლის და ოთხი თვის დავრჩი და კარდა-კარ ვიზრდებოდი. მამამ, დედინაცვალმა და დედაშენმა, დამიმალეს დედაჩემის ვინაობა. სოფელმა იცის ვინ ვარ, მაგრამ ციდან ჩამოფრენილი ხომ არ იქნებოდა ცხონებული დედაჩემი ანნა. უსაბუთოდ ვინ გადმოუშვებდა საზღვარზე გერმანიიდან ან მას, ან მამაჩემს გრიგოლ ივანეს ძე ღიბრაძეს და ან მე 4 თვის ჩვილს ჰელენ ღიბრაძეს?

კარგად იცი როგორი განსწავლული იყო ანნა. თვითონ უსურათოდ და უსაბუთოდ არ გადმოვიდოდა საზღვარზე. ან ვინ გადმოუშვებდა იმ გაგანია ომის დროს საბჭოთა კავშირში?

მონახე ეგ საბუთები და ჩამომიტანე დეიდა გენაცვალოს. შენ არ შეგეშლება არაფერი, მით უმეტეს კარგად განსწავლული და გათვითცნობიერებული ხარ ასეთ და უფრო მეტ საკითხებში.

გილოცავ: პროფესორობას, აკადემიკოსობას და მსოფლიოს დაპყრობას!

გელოდება დეიდაშენი ელენე.

უნდა წამომიღო

1 .დაბადების მოწმობა ჩემი (ეკლესიის ჩანაწერები გერმანიაში)

1923წ. დაიბადა ჰელენ ღიბრაძე...

დედა ანნა ... (გვარი თვითონ იცით)

მამა გრიგოლ ღიბრაძე

თარიღი

2. ჯვრისწეის მოწმობა:

ქმარი – გრიგოლ ღიბრაძე

ცოლი – ანნა ... (გვარი თვითონ იცით)

თარიღი.

3. სურათები: ანნა – დედაჩემის

გრიგოლი – მამაჩემის

4. საზღვარზე გადმოსვლის საშვი

დეიდაშენი ელენე 2015 წ. 7 იანვარი.

ეპილოგი

მზიური – დეიდას გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ 2015 წლის შემოდგომაზე გამოვიდა წიგნი: „ღიბრაძეები“. ეს არის წიგნი ღიბრაძეების გვარის წარმოშობისა და გენეალოგიის შესახებ.

ავტორი გახლავთ მეტად ერუდირებული, მოკრძალებული, და თავმდაბალი ბატონი არჩილ ღიბრაძე, რომელიც მე არქივში გავიცანი. ისიც ჩემსავით ეძებდა და უკვე ჰქონდა ჩანაწერები გაკეთებული მთელი ღიბრაძეების დაბადების, ქორწინების, ნათლობის, და გარდაცვალების შესახებ. სწორედ, მან მითხრა, რომ გამოვიდოდა წიგნი: ღიბრაძეების გვარის გენეალოგიის თაობაზე; და ეს მიტოვებდა იმედს, რომ ჩემი გერმანელი ბებიის, დედაჩემის დედის ანნას გვარს გავიგებდი. არც შევმცდარვარ. ვიპოვნე კიდეც და დავაპირე რეზოსთან დარეკვა, მაგრამ 2016 და 2017 წელი ჩემი ოჯახის დამღუპველი წლები გამოდგა. გარდამეცვალა ჯერ მეუღლე და მერე უსაყვარლესი შვილი. გამწარებულ ქალს ამ ამბისათვის აღარ მიმიხედავს.

ახლა მეძლევა საშუალება გულახდილად, ყოველგვარი დამატების გარეშე გადმოგცეთ ეს ტრაგედია მხოლოდ დოკუმენტური მონაყოლზე და მასალებზე დაყრდნობით.

P.S. ჩემი ბებია – ანნა შუმანი განისვენებს თერჯოლის რაიონის სოფელი სკანდას სასაფლაოზე თავის მეუღლის გრიგოლ ივანეს ძე ღიბრაძესთან ერთად.

შვილიშვილი მზიური-დათიაშვილი-აფციაური.

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ეროგიკა

დათო ყანდაშვილი

სულიერ ფასეულობათა ანბანი

შვილები

გაგრძელება
(დასაწყისი იხილეთ „ანთოლოგიის“ №№5-7 ტომებსა და ჟურნალ „ათინათის“ №№22-29-ში)

V. შვილები, როგორც ოჯახის, ცოლ-ქმრის (მამისა და დედის) შედეგობრივ-მაჩვენებლობრივი ფენომენი, როგორც სულიერად სტატიკური სიტუაციის დამ-კვიდრებულობიდან გამოსვლის საშუალება. ეს არის აბსოლუტური ჭეშმარიტების საკმაოდ აქტიური ჩარევა უპირველესი პრინციპის — ევოლუციის აუცილებლო-ბის გაცოცხლებისთვის.

ეს თავი არის დამამთავრებელი, დამასრულებელი სტადია იმ ინდივიდუა-ლურ სულთათვის, რომელთა ცხოვრებაშიც შედის მესამე ინდივიდუალური სუ-ლი ზემოთხსენებული შვილის სახით და ერთგვარი დაწყებითი სტადია ამ მესამე ინდივიდუალური სული-სათვის. ის აგრძელებს (ყოველ შემთხვევაში ფუნქციონალური გადასახედიდან უნდა გააგრძელოს) სულიერ წინსვლას იქედან, სადაც გაჩერდნენ მშობლები ანუ ისინი, ვისი საშუალებითაც მოხდა მისი დაბადება, გა-ჩენა, შობა მატერიალურ სამყაროში მატერიალური, სხეულისეული სახით. აუცილებლად მიმაჩნია ჩასახვის პროცესის უფრო დაწვრილებითი აღწერა. მატერიალური სახით —არსებული ორი ინდივიდუალური სულის ურთიერთობათა პარალალურად არსებობს არამატერიალური სახით არსებული ერთი ან რამდენიმე ინდი-ვიდუალური სული, რომლებიც მათ შეხედულებებს, მათ ფასეულობრივ შეფასებებს იზიარებენ, ზოგნი უფ-რო მეტად, ზოგნი კი უფრო მცირედ, მაგრამ თანაკვეთა ამ შეხედულებათა თანხვედრისა ძალიან, ძალიან დიდია. რა თქმა უნდა, არსებობს არათანკვეთილი ნაწილიც, მაგრამ ორ სხვადასხვა განზომილებაში არსე-ბობის გამო (მატერიალიზირებულობისა და არამატერიალურობის) ამ პერიოდში მათი მხრიდან მაინც ისე-თი სერიოზული მიდგომა არ ხდება, რაც ერთ განზომილებაში ყოფნის პერიოდში იქნებოდა. მე ვიტყოდი, მიდგომა ამ არათანხვედრილის მიმართ მაინც ზედაპირულია და სათანადო ყურადღება არ ექცევა, რო-გორც ერთი, ისე მეორე მხრიდან. ძირითადი გადამწყვეტი მნიშვნელობა კი სქესობრივ აქტზე, მის ესთეტი-კურ და ეთიკურ ხარისხზე გადადის, რამეთუ მესამე ინდივიდუალური სულის მატერიალიზაცია სწორედ ამ აქტის საშუალებით ხდება. თუნდაც ზიგმუნდ ფროიდისა და იუნგის შრომებს დავესესხები ამ საკითხებში, ისინი ხომ სწორედ ამ საკითხზეა მთლიანად აგებული, მაგრამ თუ არ მივუმატებ სულიერ, მატერიალური თვალისთვის უხილავ, ასპექტს, უბრალოდ პერიფრაზი გამომივა და მეტი ვერაფერი. იუნგი თავად აღია-რებდა იმას, რომ ევროპული, უფრო სწორედ, დასავლური ფსიქოლოგიური აღქმა (ქვეცნობიერში წვდომის სიღრმე) ბევრად ჩამოუვარდება ტიბეტურ, ჩინურ და ა. შ. ანუ აღმოსავლურ ფსიქოლოგიურ აღქმას და მი-სი სამაგიდო წიგნი იყო ტიბეტელი ლამების მიერ აღწერილი მდგომარეობა სხეულის გარდაცვალების შემ-დგომ, რომელსაც მუდამ თან ატარებდა. ეს წიგნი არის სიმბოლო იმისა, რომ ე. წ. სიკვდილი არის არა და-სასრული, არამედ ერთი ძალიან გრძელი ციკლის ნაწილი, ე. ი. ადამიანი თავის ძირითად გადამწყვეტ ნა-წილში არა სხეული, არამედ სულია, რომელიც დროის რაღაც პერიოდში ამ სხეულში იმყოფებოდა.

მოდით, დავუბრუნდეთ ჩასახვის პროცესის ასპექტებს. რამდენადაც მამაკაცი და ქალი (ავიღოთ ერ-თმანეთის შესაბამისი წყვილი) ეთიკურად მაღალი ხარისხისანი იქნებიან, მით მეტი იქნება მათი სულიერი გაერთიანების ხარისხი, ანუ მით ნაკლები იქნება მათში მატერიალური შერწყმის სურვილი. მატერიალიზი-რებულ სხეულს აქვს დიაპაზონი, რომელშიც მატერიალური შერწყმის პირობებშიც კი არ არღვევს ეთიკას და უფრო მეტსაც გეტყვით, მატერიალური შერწყმის ნდომის იგნორირებით (ნაძალადევით, რა თქმა უნდა) ხდება მის მიერ ეთიკის დარღვევა. აი, რამდენადაც ახლოსაა ზემოთხსენებული წყვილი ამ ეთიკურად მა-ღალი ხარისხის დონესთან, მით უფრო ეთიკურად მაღალი დონის ინდივიდუალური სული ინტერესდება მა-თი საშუალებით მატერიალიზირდეს (ანალოგიურად ხდება პირიქით შემთხვევაშიც).

ძირითადი ფაქტორები სქესობრივი აქტის დროს: ა) მამაკაცის მხრიდან არის სიამოვნების მიღების ფაქტორი სიამოვნების მინიჭების საშუალებით და რაც უფრო მეტი იქნება ეს, მით მაღალი იქნება მამაკა-ცის ეთიკური დონე და რაც ნაკლები, მით მეტი იქნება ეგოიზმი თავისი ყველაზე ცუდი გამოვლინებით ქალთან მიმართებაში. ბ) ქალის მხრიდან არის კმაყოფილების მიღების ფაქტორი კმაყოფილების მინიჭების საშუალებით და რაც უფრო მეტი იქნება ეს მასში, მით მაღალი იქნება ქალის ეთიკური დონე და რაც ნაკ-ლები, მით მეტი იქნება ამბიციურობა თავისი ყველაზე ცუდი გამოვლინებით მამაკაცთან მიმართებაში.

უპირატესად, მამაკაცური საწყისის ორიენტირებულობის მქონე მესამე ინდივიდუალური სული, რომე-ლიც ახდენს საკუთარი სურვილით მატერიალიზაციას აქტის ეთიკურად სუფთა ნაწილში, მამაკაცად მოვ-ლინებულ ინდივიდუალურ სულს, თავის მატერიალიზირებულ მამას თაყვანისცემით და მორჩილებით ეპ-ყრობა, ხოლო ქალად მოვლინებულ ინდივიდუალურ სულს თავის მატერიალიზირებულ დედას გულწრფელი

სიყვარულით უდგება. აქტის ეთიკურად ჭუჭყიან, ბინძურ ნაწილში მამაკაცად მოვლინებული ინდივიდუალური სული თავის მატერიალურ მამას დაუმორჩილებლობასა და დაპირისპირების სურვილით ეპყრობა, ხოლო ქალად მოვლინებულ ინდივიდუალურ სულს, თავის მატერიალიზირებულ დედას გულში ჩახვეულობითა და მოსალოდნელია ბრმა სიძულვილით (ეჭვით გამოვლენილი).

უპირატესად ქალური საწყისის ორიენტირებულობის მქონე მესამე ინდივიდუალური სული, რომელიც ახდენს საკუთარი სურვილით მატერიალიზაციას, ზუსტად ისევე მგრძნობიარედ აღიქვამს ყოველივეს იმ განსხვავებით, რომ ზემოთხსენებული ინდივიდუალური სული როგორც ეპყრობა მამას, ეს ინდივიდუალური სული ისე ეპყრობა დედას და როგორც ის ეპყრობა დედას, ისე ეპყრობა მამას.

და კიდევ ერთი სერიოზული ფაქტორი. მატერიალური გარსის, სხეულის შეძენისთვის სქესობრივი აქტის დროს საშვილოსნოში ადგილის დაკავების მსურველთა რიცხვი საკმაოდ დიდია, შეიძლება ითქვას — ერთგვარი კონკურენციაა. ისე, რომ ვიდრე ერთნი არგუმენტების აწონ-დაწონვით არიან დაკავებულნი, მეორენი ყოველგვარი ფიქრის გარეშე იბრძვიან შვილად, ადამიანად გადასაქცევად და საბოლოოდ მატერიალიზირდება ის, რომელიც მშობლებს ღებულობს ისეთად, როგორებიც არიან ისინი, ანუ ძირითადში ღებულობს მათ და ქალის მუცელში იდებს ბინას, ვიდრე გარემოსთვის საჭირო ადაპტირების სხეულს მიიღებს. ეთიკური დონის ქვედა შკალის დაცვა გარანტირებულია. ქვედა შკალად მშობლების რეალური ეთიკური დონის რაობაა მოხსენიებული.

ახლა კი იმის შესახებ, თუ როგორი მიდგომა აქვთ მამაკაცისა და ქალის დაწყვილებულ გაერთიანებას პოტენციური მესამე ინდივიდუალური სულის მიმართ, რომელსაც მათი შვილი ერქმევა. სქესობრივი აქტის პროცესში, ვიდრე იგი სექსუალური ეგოცენტრული სიამოვნების მიღების სტადიაში გადავიდოდეს, თავისთავად ბუნებრივად ამოტივტივდება თითოეულში პოტენციური შედეგი ამ აქტისა, ანუ მესამე ახალი ინდივიდუალური სულის ჩასახვის, მატერიალიზირების ალბათობის შეგრძნება. თუ კონცენტრაცია სიამოვნების ან ამ აქტის ფასად საკუთარი მატერიალური სურვილების დაკმაყოფილებაზეა გამახვილებული, ახალი სუბიექტის შემოსვლის არასასურველობა იმდენად დომინირებს, რომ ჩასახვის შემთხვევაში ნეგატივი გაცილებით მძაფრად იქნება გამოვლენილი მოვლინებულში, ვიდრე პოზიტივი. ამ შემთხვევაში ჩასახულის მიზანი, ცალსახად, მატერიალიზაცია იქნება და არა რაიმე სულიერი წინსვლის შეტანა უკვე არსებულ ზოგად ცნობიერებაში.

თუ კონცენტრაცია სიამოვნების მინიჭებაზე იქნება მხოლოდ გამახვილებული მამაკაცის მხრიდან საკუთარი სიამოვნების იგნორირების ფასად, ხოლო ქალის მხრიდან კი მამაკაცის დაკმაყოფილების მცდელობით იქნება აქტი დამუხტული, რომელიც ქალს არავითარ სიამოვნებას, უფრო სწორედ კი, კმაყოფილებას არ მიანიჭებს, მაშინ მათი მხრიდან სქესობრივი აქტის ჩატარება ყოველგვარ მატერიალურ რეალობას მოკლებული რამ იქნება და ერთადერთი, რითაც ისინი ამ პროცესს გაამართლებენ მესამე ინდივიდუალური სულის შექმნა იქნება და შვილი იდეაფიქსის დონეზე დგება. თუ ამ შემთხვევაში ჩასახვა მოხდება, ჩასახულის მიზანი ცალსახად სულიერების მსახურება იქნება, მე ვიტყოდი, ძალიან გამძაფრებული დოზით, სადაც მატერიალური, ობიექტური რეალობა მისი მხრიდან იგნორირდება. მისი ერთადერთი მიზანი არსებული ზოგადი ცნობიერების ჭეშმარიტებასთან, ღვთიურ ცნობიერებასთან დაახლოების, უფრო ახლოს მიტანის მცდელობა იქნება.

პირველ მოყვანილ შემთხვევაში მშობლები შვილების მიმართ გულგრილები, ცივები არიან და დიდად არ აღელვებთ ისინი, რაც ავტომატურად ამ უყურადღებოდ დატოვებულ ინდივიდ სულებს ფაქტიურად იძულებულს ხდის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარი შეიძინონ. წინაღმდეგ შემთხვევაში არსებობის საშუალებას ვერ მიიღებენ და იწყებენ ნამდვილ ბრძოლას არსებობისათვის, მათ საკუთარი თავის უზრუნველყოფა დაბადებიდან პრობლემად უდგათ, ისე რომ მათ სხვათა გაგებას ტყუილად ნუ მოვთხოვთ. ისინი ეთიკური ხარისხის მაღალი მაჩვენებლის მქონენი რომ ყოფილიყვნენ, ასეთი სქესობრივი აქტით დაკავებული მამაკაცისა და ქალის საშუალებით მატერიალიზაციას არც კი ეცდებოდნენ. ეს ნაწილი გამოირჩევა მატერიალური მოთხოვნებით, სადაც სულიერი აუცილებელი მოთხოვნილებები უბრალოდ იგნორირებულნი არიან.

მეორე მოყვანილ შემთხვევაში მშობლები შვილების მიმართ ზედმიწევნით მიჯაჭვულები, ასე ვთქვათ ზედმეტად ყურადღებიანნი არიან, მათ შვილის თითოეული ამოსუნთქვა, ფეხის ნაბარბაცება ან სულ უმნიშვნელო რამ საშინელი უბედურებისაგან დაცვის რანგში ჰყავთ აყვანილი. ფაქტიურად, ამ მიკროსკოპის ქვეშ მოხვედრილი ინდივიდი სრული დამოუკიდებელი მოქმედებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარს ვერ იძენს. ამის გამოვლინების ნებისმიერი მცდელობა სათავეშივე იმხელა წნეხით ითრგუნება, რომ ინდივიდუალური სული (მიღებული ნორმატივების არ დაცვის გამო, შერცხვენით, ნამუსზე შეგდებით, თუ აგრესიული ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით მის მიმართ) იძულებული ხდება უკან დაიხიოს და თანდათან არასრულყოფილების კომპლექსით პროგრამირდება, რაც საკუთარი თავის რწმენით მოქმედების უნარს ქვევით და ქვევით სწევს. მას უნდა ყველასა და ყველაფერს გაუგოს, ფეხი აუწყოს, დაემორჩილოს, მაგრამ სამწუხაროდ საკუთარი თავის გაგებისა და დაცვის უნარი არ გააჩნია და ეს არააგრესიულობა გარემოსთან მიმართებაში საკუთარ თავთან მიმართებაში აგრესიულობაში გადადის. ამ ტიპის ინდივიდუალური სულები ეთიკური ხარისხის მაჩვენებლის მქონენი ნამდვილად არიან, მაგრამ, განურჩევლად დამსახურებლობისა, იმდენად არიან სიკეთის გაკეთების სურვილით დამუხტულნი, რომ თავისდაუნებურად ღმერთთან დაპირისპირებულნი ხდებიან (მთელის სამების დონეზე), რაღაც უსამართლობის აღმოფხვრის სურვილზე კონცენტრირებულნი ან სიტუაციის გაუმჯობესების, გაჯანსაღების დაჩქარების იდეით გატაცებულნი. ეს ნაწილი გამოირჩევა სულიერი მოთხოვნებით, სადაც მატერიალური აუცილებელი მოთხოვნილებები უბრალოდ იგნორირებულნი არიან.

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ მატერიალურ სამყაროში ობიექტური რეალობის დონეზე არსებობს მოთხოვნილება, რომელიც ინდივიდუალური სულების მიერ უნდა იქნას დაკმაყოფილებული და იგი შედგება სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებებისაგან. რეალურ მატერიალურ ცხოვრებაში სახელმძღვანელოდ შეიძლება გამოყენებულ იქნას ერთი, ჩემის შეხედულებით, ძალიან სერიოზული ასპექტი, რომ პირველ შემთხვევაში მოყვანილი სქესობრივი აქტის ე. წ. შედეგობრივი, ინდივიდუალური სულები თუ ფაქტიურად ვერ მივლენ ამ ოქროს შუალედურ რგოლთან სიახლოვეში და ამაზე ცდა და მეცადინეობა თუ მატერიალურ სხეულში არსებობის განმავლობაში ფუჭი მცდელობაა, მეორე შემთხვევაში მოყვანილი სქესობრივი აქტის ე. წ. შედეგობრივ ინდივიდუალურ სულებს ამ ოქროს შუალედურ რგოლთან სიახლოვეში და თვით ოქროს შუალედურ რგოლში მოხვედრის ძალიან დიდი, უზარმაზარი პოტენციალი გააჩნიათ. მატერიალურ სხეულში არსებობის პერიოდი, როგორც პირველადი დანიშნულების მიზანდასახულობა, სწორედ ამ ოქროს შუალედურ რგოლში მოხვედრას უნდა მიეძღვნას, და თუ ეს რაიმენაირად მოხერხდება, რაც აუცილებლად იქნება მინიშნებული და დაფიქსირებული ზეცის მიერ, მეორადი დანიშნულების მიზანდასახულობა, უკვე სხვათა მეგზურობა იქნება. მხოლოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, უნდა განისაზღვროს ვის უმეგზურო და ვის არ მოჰკიდო ხელი. ეს არათუ ხელწამოსაკრავი, არამედ, მე ვფიქრობ, მატერიალურ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე უმთავრესი საკითხია: „ნუ დაუყრით ღორებს მარგალიტებს და ნურც ძაღლებს აჯიჯგნინებთ სიწმინდეებს“ — ასე თქვა ღვთის ძემ იესო ქრისტედ მოვლინებულობის პერიოდში.

ახლა კი ურთიერთობრივ ცდომილებებზე, რომლებიც სუფევს უკლებლივ ყველა მშობლის მიერ საკუთარი შვილების მიმართ. მინდა მოვიყვანო კიდევ ერთი ციტატა:

მაშინ თქვა იესომ: „გადიდებ შენ მამაო, უფალო ცისა და ქვეყნისაო, რადგან დაუფარე ეს ბრძენთა და გონიერთ და განუცხადე ჩვილებს. ჰეი, მამაო! ვინაიდან ასეთი იყო შენი ნება-სურვილი. ყოველივე ჩემი მამის მიერ გადმომეცა მე და არავინ იცნობს ძეს, გარდა მამისა. არც მამას იცნობს ვინმე, გარდა ძისა, და იმისა, ვისაც ძეს სურს, განუცხადოს“.

საკუთარ მიწიერ მატერიალურ ცნობიერებას მიჯაჭვული ინდივიდუალური სულები, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როცა მათი მხრიდან სხვა ახალი ინდივიდუალური სულის მატერიალიზირება ხდება, ახლადმოვლინებულის სულიერი ცნობიერების არსებობის რაობის მთლიანად იგნორირებით სხეულზე და გენიოლოგიაზე ახოხოლავებული მოძღვრებებით გაბღინძულნი, მატერიალურად უსუსურ ჩვილს უმეცარ (როგორც ერთმა მითხრა ჯერ არაფრის მცოდნე, დებილ) არსებად მოიაზრებენ. ვფიქრობ, ეს არის უმთავრესი და უდიდესი შეცდომა მშობლის მიერ ჩადენილი შობილთან მიმართებაში. რეალურად კი ვნახოთ რა ხდება.

რა ხდება რეალურად? მშობლისა და შვილის რეალური ცოდნა, რასაც შეიძლება ცოდნა ეწოდოს აბსოლუტურად ერთმანეთის ტოლია და უფრო მეტსაც ვიტყოდი, ამ ცოდნათა ტოლობის პირობებში თუკი მშობლის ორიენტაცია მატერიალიზმისკენ, დაცემისკენ არის მიმართული, შვილის ორიენტაცია სულიერებისკენ, იდეალიზმისკენ, ზესვლისკენ არის მიმართული. უპირობოდ საკუთარი შეხედულებით ხელმძღვანელობით, შვილის შეხედულებათა სერიოზულად არ აღქმითა და იგნორირებით, მშობელი უცერემონიოდ არღვევს არაძალადობისა და ნებაყოფილობითობის პრინციპებს, რითაც საკუთარ დაცემას უწყობს ხელს და ევოლუციას ებრძვის. ამავდროულად საკუთარ შვილში დაპირისპირებისა და უნდობლობის კერას აჩენს და ზრდის, რომელიც ადრე თუ გვიან აუცილებლად აფეთქდება. ერთი ის არის კიდევ ძალიან ცუდი, რომ შვილში დაბადების დღიდანვე მშობლების ხელით საშინელი სისწრაფით ნადგურდება სულიერებისკენ, იდეალიზმისკენ, ზესვლისკენ სწრაფვის სურვილი და ამის ჩანაცვლება არსებობისთვის ბრძოლის მექანიზმებით ზომბირების მცდელობით ხდება. ისე რომ, გასაკვირი არ უნდა იყოს ის ამბავი, როდესაც ძე ღვთისა აცხადებს, რომ მამა ღმერთს სრულყოფილებად იცნობს, ანუ ისინი ტოლები არიან კოსმიური, ეთიკურად სიღრმისეული ცოდნის თვალსაზრისით, მაგრამ ამავდროულად განსხვავდებიან ორიენტაციული მიმართულებებით. მამა ღმერთს თუ ამ ეტაპზე ჯერ სურს არსებული მატერიალური სამყარო ჰარმონიულობის საჭირო ზღვრამდე მიიყვანოს, ხოლო ღვთის ძეს თუ ამ ეტაპზე სურს სულიერი ზესვლა მოახდინოს მატერიალური სამყაროსი, აქაჩოს სულიერი სამყაროსთვის საჭირო დონემდე და შემდეგ მოახდინოს ჰარმონიზირება მატერიალური სამყაროსი მთელ არსებულ გარემოსთან, ეს მათ არა უთანხმოებას, არამედ თანამშრომლობასა და ურთიერთდაფასებას, ჯეროვნად ურთიერთშეფასებას ნიშნავს და მეტს არაფერს. ანუ არ არის აუცილებელი მშობელი და შვილი ერთი ინდივიდივით, ერთი მიზნით იყვნენ დამუხტულნი. ისედაც ნებისმიერი საღად მოაზროვნე, ლოგიკის მქონე ადამიანი, ვგონებ, ადვილად დამეთანხმება, რომ სტრატეგიულად მათ სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულება აკისრიათ ნებისმიერ რეალობაში, რამეთუ ერთი „მიზეზია“ და „შედეგს“ ღებულობს, მეორე კი „შედეგია“ და რაღაცა ახლის „მიზეზი“ ხდება. სხვაგვარად ამ ყველაფერს აზრი უბრალოდ დაეკარგებოდა.

ფრიად საინტერესოდ დგება საკითხი იმის შესახებ, თუ რა უნდა ვუყოთ აღზრდის პროცესის აუცილებლობას, რომელიც მშობელს ავტომატურად ევალება შვილთან მიმართებაში. თუ ის თავის აღსაზრდელს თავის ტოლად და სწორად აღიქვამს და უფრო მეტიც, თუ მისი ორიენტაცია აღსაზრდელთან შედარებით მკვეთრად არასწორია, მაშინ როგორ უნდა ხდებოდეს ეს ურთულესი საქმე, რომელიც, ჩემი აღქმით, ერთადერთი ფუნქციონალური დანიშნულებაა ნებისმიერი ცოცხალი არსებისათვის, რომელსაც ინდივიდუალიზმის რაიმე ნიშან-წყალი გააჩნია. და თქვენ წარმოიდგინეთ, არც აქ არის რაიმე ისეთი პრობლემატური რომ ვერ გადაწყდეს. მესამე ინდივიდუალური სულის (შვილის) შემოსვლას მამაკაცური და ქალური საწყისის მქონე ინდივიდუალური ორი სული თუ აბსოლუტური ჭეშმარიტების მხრიდან იმის შეხსენების ნიშნად აღიქვამენ, რომ უმთავრესი და უპირველესი პრინციპი ევოლუცირება, უკეთესობისკენ, სრულყოფილებისკენ სწრაფვა უნდა გააცოცხლონ თავისში, მაშინ ყველაფერი თავ-თავის ადგილზე დადგება. გვერდიდან (როგორც აქსიომა ისე თუ მიიღებთ) ალბათ, უკეთესად ჩანს ვიდრე საკუთარ თავში. შვილი სწორედ რომ გვერდიდან შეხედვის საშუალებას იძლევა საკუთარ თავზე. მამაკაცი თუ ქალის არაპირდაპი-

რი სარკეა, ისევე, როგორც ქალი მამაკაცისა, შვილი სრულიად პირდაპირი სარკეა ყოველგვარი ქვეცნობიერების, ქვეტექსტებისა და გართულებების გარეშე. აი, რამხელაზე დიდი პლიუსი იქნება, თუ მშობელი შეძლებს და თავის შვილს თავის ტოლად და სწორად აღიქვამს და ზევიდან არ დაუწყებს ყურებას, რამეთუ დაბადებიდან ის არ ლაპარაკობს და არ შოულობს ფულსა და ქონებას. ამ სარკეში შვილის ცდომილებების დანახვის შემდგომ მშობელს უნდა გაუჩნდეს სურვილი მასში მათი აღმოფხვრისა, მაგრამ ვიდრე სხვას ეტყვი, თვალიდან „ბეწვი ამოიღეო", ჯერ უნდა იფიქრო, იქნებ თავად გაქვს ისეთივე ბეწვი ამოსაღები. მოკლედ, ყოველგვარი თავის მოტყუების გარეშე, მშობელმა უნდა იპოვოს საკუთარ თავში ძალა და აღიაროს, რომ შვილში ნაპოვნი, ასე ვთქვათ ცდომილება, მასშიც ძევს იმავე რაოდენობითა და ხარისხით. შემდგომ ამისა შვილი ხდება თვითაღზრდის კატალიზატორი (შეგნებული მოსიყვარულე მშობლის შემთხვევაში) მამა საკუთარ თავში ზოგად ცნობიერულ, ღრმა ფასეულ დონეზე ამას გაასწორებს, ვიზუალური კონტაქტის პირობებში ეს ყოველივე ავტომატურად გადავა დედაზე, რომელიც მეუღლის მიერ ე. წ. თეორიული, აბსტრაქტული, წარმოსახული ცვლილებების რეალიზაციას მოახდენს ურთიერთობრივ, ხილულ ცხოვრებისეულ დონეზე და, იდეალურად ხავერდოვანი გადასვლის შემთხვევაში, შვილი თავად შეცვლის ამ ცდომილებით დიაპაზონს საკუთარ თავში იმხელაზე, რამხელაზეც ეს გადამუშავებული იქნება მამის მიერ და მიღებული დედის მიერ. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ მესამე რგოლია იმპულსური გადასვლისა, შეიძლება ეს იმპულსი შვილში საკმარისი არ იყოს და დედის მხრიდან უფრო დიდი უკმარისი იმპულსის შემთხვევაში კი მამის მხრიდან ჩარევა დასჭირდეს იმისათვის, რომ უკვე დამკვიდრებულ ჩვევას ძლიოს და ეს კონკრეტული ცდომილება დაძლეულ იქნება მთელი ოჯახის მიერ. ე. ი. აღზრდის პროცესი კომპლექსურ სახეს მიიღებს და ავტომატურ რეჟიმში განსაზღვრავს ოჯახის ყველა წევრის, როგორც ფუნქციონალურ, ისე ვიზუალურ დანიშნულებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, თუკი ოჯახის ყველა წევრი აღქმული ჭეშმარიტების დაცვაზე და ჯერ კიდევ ვერ აღქმული ჭეშმარიტების წვდომაზე იქნება კონცენტრირებული და ყველაფერი დანარჩენი ამის შემდგომი მნიშვნელობის საკითხად იქნება ჩათვლილი, ჭეშმარიტად საჭირო მიმართულებიდან გადახვევა უბრალოდ ვერ მოხდება. არ მოხდება რომელიმე ინდივიდისთვის ანუ სუბიექტისთვის (საკუთარი ინდივიდის ჩათვლით) ობიექტურობის და ამა თუ იმ ეპოქალური მომენტისთვის შესაბამისი რეალობის ანუ ობიექტური რეალობის დარღვევა. ძირითად პოსტულატად და კანონადაც კი შემდეგი ფორმულირება შეიძლება მივიღოთ:

1. ***არ არსებობს ისეთი სიამოვნება ან კმაყოფილების მდგომარეობა, რომელთა გამოც ჭეშმარიტების დარღვევა ღირდეს.***

და აქვე მეორე პრინციპიალურ კანონსაც მივაყოლებდი:

2. ***არ არსებობს ისეთი სილრმის ჭეშმარიტება, რომლის აღქმის შემდგომაც ჭეშმარიტების ძიება და წვდომა უნდა შეწყდეს და საკუთარი შეცნობილობა აბსოლუტურ ჭეშმარიტებად გამოცხადდეს, რამეთუ ვიდრე ცოცხალ არსებას ინდივიდუალიზმის თუნდაც ნამცეცი გააჩნია, იგი ვალდებულია სულიერი წინსვლისკენ, იდეალიზმისკენ, სრულყოფილებისკენ სწრაფვისკენ იყოს მიდრეკილი და ამაზე წინ არასოდეს არავინ და არაფერი არ დააყენოს***. ერთი კი უნდა ითქვას, რომ ეს მეორე კანონი ძირითადად და უპირატესად მამაკაცური საწყისით აქტივიზირებულ ინდივიდუალურ სულებს ეხებათ და ის ავტომატურად მოიცავს პირველ კანონს. ხოლო პირველი კანონი ძირითადად და უპირატესად ქალური საწყისით აქტივიზირებულ ინდივიდუალურ სულებს ეხებათ და მისი შესრულება მათთვის სრულიად საკმარისი იქნება.

ოჯახი, რომელიც სიწმინდეს, სისპეტაკეს, სიყვარულს ემსახურება წმინდა და ერთგული სამსახურით, თვითონაც წმინდა და სპეტაკი იქნება და ყოველი წამის შემდეგ უფრო განიწმინდება და გასპეტაკდება. მასში შიგნით არ იქნება ისეთი უთანხმოება და გაუგებრობა, რომელიც ოჯახის წევრებს ერთიმეორესთან დააპირისპირებდა რაიმენაირი აგრესიული სახით. ძალიან დიდ სისულელედ მიმაჩნია, ოჯახს გარეთ ეძებო იმის გარკვევა, რაც ოჯახის ფარგლებში უნდა ხდებოდეს. ვინც ამ ელემენტარული წესის დაცვას შეძლებს, განკითხვის მანკიერი სენისაგან სრულიად გათავისუფლდება. ის კი, ვინც განკითხვის სენისგან სრულიად გათავისუფლდება, უპირობო რეფლექსების მართვას შეძლებს თავის თავში და სქესობრივი ლტოლვის მონობასაც კი დააღწევს თავს. ამრიგად, არ ვიცი რამდენად კარგად, მაგრამ მაინც ჩანს, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტების და ჩვენთვის, მატერიალიზირებული ცოცხალი არსებებისთვის მისი გამოვლინების, უფალი ღმერთის, სულიწმიდის და ღვითს ძის შემდგომ ყველაზე დიდი სიწმინდე უნდა ყოფილიყო, უნდა იყოს და მომავალშიც ალბათ იქნება ყველა და ნებისმიერი მატერიალიზირებული ცოცხალი არსებისთვის **ოჯახი**.

ინდივიდუალურ სულთა თანაცხოვრებას, როგორც მატერიალიზირებულ, ისე არამატერიალიზირებულ სულიერ მდგომარეობაში, სადაც მათ შორის გულწრფელობა არ არის და ერთმანეთის მიმართ სიყვარულის გამოვლინების სურვილით არ არიან დამუხტულნი, ოჯახი არ შემდგარი და ბუტაფორიული იქნება. ნამდვილი ოჯახის შექმნის გარეშე ბედნიერების მიღება შეუძლებელია.

(გაგრძელება იქნება)

წერილები

ტიტე მოსია



რუსთაველის ენის გარშემო

XIX საუკუნეში რუსთაველის ენაზე დაკვირვება ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად რჩებოდა 1829 წლიდან. სწორედ ამ წელს გაზეთ „ტფილისის უწყებანში“ გამოქვეყნებულ წერილში ვინმე ლ. ა-დ (ამბერკი გაჩეჩილაძე ამტკიცებს, რომ იგი მწერალი ლავრენტი არდაზიანია), რუსთაველს ქართული ენის რეფორმატორად აღიარებს, რომელმაც გაამდიდრაო ქართული მეტყველება ახალი სახეებით და ლექსიკით. ავტორის თქმით, ჩვენი განუმეორებელი პოეტის ენა არისო „პირველი მამა აწინდელისა ენისა“.

თეიმურაზ ბაგრატიონმა თავის ნაშრომში „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“ განსაკუთრებული ადგილი დაუთმო რუსთაველის ენას, პოეტის ლექსიკას. საგანგებო ყურადღება მიაქცია რუსთაველის ლექსიკაში, სპარსიზ-არაბიზმების გარდა, ქართული ძირებით ახსნის საჭიროებას. მისი შეხედულებით პოემის სიტყვები ჰგვანან სპარსულ-არაბულს, „თუმცა ჰგვანან სხვათა ენისა ლექსთა, მაგრამ კი არ არიან სხვისა ენისა, არამედ ნამდვილნი ქართულნი არიან“.[1]

დავით ჩუბინაშვილი თავის „შენიშვნებში“ ყურადღებას ამახვილებს რუსთაველის ენის თავისებურებებზე და თარგმანის სიძნელეებზე, განასხვავებს პოეტურ თარგმანს ჩვეულებრივისაგან, როდესაც გვრჩება მხოლოდ შინაარსი. ბგერის ჰარმონიისა და ფრაზის თამაშის გარეშე ის ემსგავსება გვამს. გამომდინარე ამ კონცეფციიდან, ის აკრიტიკებს ევლახოვის მცდელობას პოემის რუსულად თარგმნისა. თარგმანში იგი მოსდევსო პოემის გარდაქმნის მეთოდსა, უშვებს შეცდომებს, უმატებს ან აკლებს ორიგინალს.[2] ალექსანდრე ორბელიანი წერილში „რამდენიმე სიტყვა გაყრის კომედიაზედ“ შენიშნავდა: „მწერლობა ძველთა, გარდა რუსთაველისა და მცირეთა სხუათა, არა იყო ჩვეულებითისა საუბრისა ენითა“.[3]

1863 წელს პლატონ იოსელიანმა შეადგინა და გამოსცა „პირველ-დაწყებითნი კანონნი ქართულისა ღრამატიკისა“. იგი არჩევს რა სხვადასხვა გრამატიკულ კატეგორიებს (ზმნიზედა, თანდებული, კავშირები, ტმესის მოვლენა), სანიმუშოდ იმოწმებს „ვეფხისტყაოსნის“ შესაბამის ადგილებს.[4]

გაზეთ „დროებაში“ ანონიმი ავტორი საუბრობს ქართულ ენაში ბარბარიზმების მოჭარბებაზე. მას საფუძვლიანად ჰქონია „ვეფხისტყაოსანი“ წაკითხული და შეუნიშნავს არაერთი არაბული და ბერძნული სიტყვები: „აბა ახლა წარჩინებულს ძველს მწერალს რუსთაველს ვკითხოთ, თუ რამდენი არაბული და ბერძნული სიტყვები უხმარია თავის თხზულებაში. „ვეფხისტყაოსანი“ გადაშალე, მკითხველო, და მაშინ შეიტყობ“.[1]

პლატონ იოსელიანი ჟურნალ „ცისკარში“ წერდა: „ქართუელთა მწერლობა ძუელი წინათ ქრისტესა წყობილი და ქრისტიანობისა შემდგომად განვრცელებული, არ არის დასაკარგავი. ენა ქართუელთა, ეკლესიისათვის ქრისტესა შემზადებული უმეტეს და უკეთესად რომაელთა ანუ ლათინთა ენისა, არის ღირსი გაფრთხილებით დაცვისა. ენამან ამან დაბადა ენა რუსთაველისა, შავთელისა, ჩახრუხაძისა“.[2]

1880 წელს შექმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია სხვადასხვა საკითხთან ერთად მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდა რუსთაველის ენას. როგორც ცნობილია, კომისიის სხდომათა ანგარიშები ქვეყნდებოდა გაზეთ „დროებაში“ (იხ. 1881 წლის თებერვლის, მარტის, აპრილის, ნომრები). ამის

---

[1] **თ. ბაგრატიონი**, განმარტება პოემა ვეფხის—ტყაოსნისა, **გ. იმედაშვილის** რედაქციით, თბ., 1960, გვ. 200

[2] **დ. ჩუბინაშვილი**, ვეფხისტყაოსნის თარგმნაზე, წიგნში: „კავკაზის“ გაზეთების კრებული, ტფ. 1847, გვ. 3—6, იხ. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 27

[3] ჟურ. „ცისკარი“, ტფ. 1857, სექტემბერი, გვ. 45—48

[4] **პ. იოსელიანი**, პირველ—დაწყებითნი კანონნი ქართულისა ღრამატიკისა, თფ., 1863, გვ. 32, 63, 108, 112

[1] გაზ. „დროება“, 1867, 6 იანვარი

[2] ჟურ. „ცისკარი“ 1869, მარტი, გვ. 3

საშუალებით მკითხველს საშუალება ჰქონდა გაცნობოდა კომისიის მუშაობის მასალებს მეტნაკლებად, მათ შორის რუსთაველის ენის შესახებაც.

პირველივე სხდომაზე (1881 წლის 6 თებერვალი) დაუდგენიათ, რომ პოემის სათაურის ადრინდელი ხმარების ფორმა „ვეფხვის—ტყაოსანი“ შეცვლილიყო ფორმით — „ვეფხის—ტყაოსანი“, „ვ“ თანხმოვნის გარეშე. ასევე, დაუდგენიათ პოემის ყოველი სტროფის ბოლო ტაეპის წინ ხმარებული „და“—ს ამოღება. აქვე ვეცნობით აკაკი წერეთლის წინადადებას, რომ 76—ე სტროფში დარჩენილიყო სიტყვა „მოესროდეს“ ნაცვლად სიტყვისა „მიისროდეს“. ამასთანავე, დიდი პოეტი მოითხოვდა 46—ე სტროფში „ტკბილთა ხმათა“ დარჩენას „მათთა ხმათა“ მაგივრად, გადაუწყვეტელი დარჩენილა ერთ—ერთ ტაეპში („უცხო ყმა ვინმე უნახავს, ასრე დაღრეჯით ამითა“) ნახმარი ბოლო სიტყვის დაწერის სისწორე — და მითა „თუ“ ამითა“. იგივე ითქმის 106—ე სტროფში მოცემული გამოთქმანის შესახებ: „მელი მე მოყვანებასა“, „მოელი მოყვანებასა“, „რად მელი მოყვანებასა“.

1881 წლის პირველი მარტის სხდომაზე „ვეფხისტყაოსანში“ შეუტანიათ ორთოგრაფიული შესწორებები, რომლებიც ჩამოთვლილია კიდეც. 13 მარტს გამართულა მეშვიდე სხდომა. გავეცნოთ ტექსტის გასწორებათა ნიმუშებს: ბალახში — ბადახში, ოთხ — ხმით — ოთხ — ახმით, პოემის „თუმცა“, „მაგრამ“ დაიწეროს ასე: „თუცა“, „მაგრა“. აქვე ჩამოთვლილია გასწორებები და თხზულების ტექსტიდან ამოღებული სტროფები.

ამავე სხდომაზე დამტკიცებულა, რომ სიტყვებს: ჰსთქვა, ჰსდის, გამოსჩნდა, დაჰსთხივა — ჩამოშორებოდა თანხმოვნები „ჰ“, „ს“. ეს უნდა მომხდარიყო იმის გამო, რომ, გამორკვევის თანახმად, იგი „რუსთაველის დროში არ იხმარებოდა“. 24 მარტის მეათე სხდომაზე პოემის ტექსტში შეუტანიათ სიტყვების ცალკეული გასწორებანი. ერთი მაგალითი: 121 სტროფის „რომელსა“ გაუსწორებიათ როგორც „რომელთა“. „დროებაში“ დაბეჭდილ კომისიის სხდომათა ანგარიშებში წარმოჩენილია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში შეტანილი გასწორებათა ცხრილი.[1]

ეგ. იოსელიანი ჟურნალ „ივერიაში“ დაბეჭდილ წერილში „ქართული ლიტერატურა“ (საუბარია გრიგოლ ორბელიანზე) შენიშნავს: „შოთა რუსთაველის გავლენას ადვილადა გრძნობს მკითხველი თითქმის ყოველს ჩვენს შესამჩნევ პოეტზე. „ვეფხის—ტყაოსნის“ მდიდარი რითმა, მეტყველობა, სიტყვის სიმდიდრე, საკვირველად გამოკვეთილი ლექსი უმჩნევლად სდებს თავის ნიშანს მწერალს, რაკი იწყებს იმის შესწავლას... რუსთაველმა დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს თავის პოემით. შვიდის საუკუნის განმავლობაში ათას ნაირ ერის დარბევასა და დატყვევებაში მან შეინახა „ვეფხისტყაოსნით“ ლიტერატურული ენა არც ერთ პირს არ მიუძღვის. ჩვენს ისტორიაში ამნაირი ღვაწლი ერის წინაშე. ორბელიანი კარგად ხედავდა ამას და გულ—მტკივნეული შეჰყურებდა რუსთაველის ენის დამახინჯებას“.[2]

კოტე დოდაშვილი ალ. ცაგარელთან კამათისას საილუსტრაციო მასალებს იმოწმებს „ვეფხისტყაოსნიდან“ და ასკვნის: „რუსთაველის მიერ ნახმარის სიტყვებიდამ — „გვინახავს“, „დაგვიხოცია“ — ვხედავთ, რომ როცა ზმნის ფორმას წინ უზის პირველ პირის ნიშანი „გვ“, მაშინ მრავლობითის რიცხვის ნიშანი „თ“ ბოლოში აღარ არის საჭირო, როდესაც იგივე მარცვალი „გვ“, როგორც ორ—მაპიროვნებელი ფუნქციისაგან შემდგარი, თავად გამოხატავს სიმრავლესა“.[3]

გაზეთ „ივერიაში“ ანონიმი ავტორის მიერ გამოქვეყნებულ წერილში საუბარია ქართული სამწიგნობრო ენის განვითარებაზე. შენიშნულია, რომ ქართული კლასიკური ლიტერატურა ინახავდა ენის ერთობას: „ტყუილად კი არ ამბობენ, რომ ქართული ენა შოთა რუსთაველმა დაიცვაო“.[4] იმავე გაზეთში მოსე ჯანაშვილი თავის წერილში „სიბრძნე ბალავარისა“ ამბობს: „აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ენა ამ რომანისა ფრიად ადვილი გასაგებია და სრულად მიემსგავსება „ვეფხის—ტყაოსნის“ ენას“.[5]

გაზეთ „ივერიაში“ არ. ქუთათელაძე თავის „პასუხში“ ეპაექრება სილოვან ხუნდაძეს ზოგი გრამატიკული კატეგორიის გამო „ვეფხისტყაოსნის“ მაგალითების საფუძველზე. არ იზიარებს მის აზრს კუთვნილებითი ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვისაგან წარმოშობის საკითხში. ამისთვის დასჭირდა რუსთაველის პოემიდან სათანადო მაგალითების დამოწმება: „თქვენი“, „მით“, „მათი“, „ჩემად“.[1]

როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძემ 1889 წლის გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა ნაშრომი „აი, ისტორია“. სულ 14 წერილი გამოქვეყნდა. ბეჭდვა დაიწყო 29 აპრილიდან. 7 თიბათვეს გამოქვეყნებულ

[1] **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 71—74
[2] **ეგ. იოსელიანი**, ქართული ლიტერატურა, ჟურ. „ცისკარი“, 1883, № IV, გვ. 73—90
[3] გაზ. „ივერია“, 1887, 25 ოქტომბერი, გვ. 3
[4] გაზ. „ივერია“, 1888, 14 აგვისტო
[5] გაზ. „ივერია“, 1888, 29 ნოემბერი
[1] გაზ. „ივერია“, 1889, 2 მარტი, შდრ. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 145

წერილში (№116) ავტორი ქართული პოეტური ენის ბუნებაზე მსჯელობისას წერდა: „დიდ ღირსებად ვუთვლით რუსთაველსა, რომ ამ დედა—ძარღვს ჩვენის მეტყველებისას, ასეთი განიერი გზა და სავალი მისცა და თითქმის არც ერთხელ არ უმტყუნია... ჩვენს ენაში არ არის არც ერთი სიტყვის ნაწილი, რომ როგორც სახელი არსებითი არ იბრუნებოდეს“.[2] საილუსტრაციოდ „ვეფხისტყაოსნიდან“ მოტანილია სათანადო გამოთქმები. იმავე წელს სტეფანე ჭრელაშვილი (სანო) გაზეთ „ივერიაში“ წერდა: „უარსა ჰყოფენ თვით ქართველების ენის ჩამდგმელს რუსთაველს, რომლის ღვაწლი, ადრე თუ გვიან, უნდა შეიქმნეს საუნჯე საკაცობრიო ხელოვნებისა“.[3]

სილოვან ხუნდაძე „პასუხის პასუხში“ ასაბუთებს ქართული ანბანიდან მოძველებული ასოების ამოღების აუცილებლობას და სხვა საბუთთა შორის იმასაც ასახელებს, რომ რუსთაველს არ მოეპოვება ისინიო. იგი ეკამათება არ. ქუთათელაძეს ნაცვალსახელის „ის“ ბრუნების თაობაზე, რომელსაც იმის დასამტკიცებლად, რომ მოქმედებითში „ის“ იღებს „მით“ ფორმას და ვნებითში „იმად“ ფორმას, მოუყვანიაო ვეფხისტყაოსნიდან საილუსტრაციო მაგალითები.[4]

ალექსანდრე სარაჯიშვილი მიხეილ გიორგაძესთან კამათისას აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გასაგებად აუცილებელია რუსთაველის ენის შესწავლა. ეს კი შეგვაძლებინებს პოემაში ჩანართი სტროფები გამოვავლინოთ.[5] გ. იმედაშვილი მოსე ჯანაშვილის წერილთან დაკავშირებით შენიშნავს: „ავტორს დილარიანისა და ამირანდარეჯანიანის გმირების დახასიათებისას მოჰყავს „ვეფხისტყაოსნის“ უკანასკნელი სტროფი „ამირან დარეჯანისძე“... და მისივე პროზაული თარგმანი (იგულისხმება რუსულად —ტ.მ.). ამასთან ერთად ავტორი აღნიშნავს, რომ XI—XII საუკუნეებიდან მოგვეპოვება რამდენიმე თხზულება ორიგინალური წარმოშობის. მათ შორის, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომლის ენა უაღრესად სრულყოფამდე მიღწეული, არავითარი უცხო გავლენის კვალს არ ამჟღავნებს“.[6]

ამრიგად, XIX საუკუნეში რუსთაველს აღიარებდნენ ქართული ენის დამცველად, ქართული ენის რეფორმატორად, ქართული მეტყველების ახალი სახეებით და ლექსიკით გამამდიდრებლად. ყურადღება გამახვილებულია რუსთაველის ენის თავისებურებებზე. სხვადასხვა გრამატიკულ კატეგორიებზე მსჯელობისას ილუსტრირებულია შესაბამისი ადგილები „ვეფხისტყაოსნიდან“. 1881 წლის პოემის ტექსტის დამდგენი კომისია საგანგებო ყურადღებას აქცევდა რუსთაველის ენას. გენიალური პოემა მიჩნეულია საუკუნეების მანძილზე ქართული სალიტერატურო ენის შემნახველად. ამასთანავე, მხედველობიდან არ არის გამორჩენილი რუსთაველის ლექსიკაში ბარბარიზმების გამოვლინების ფაქტი. განსაკუთრებით აქცენტირებულია სპარსულ—არაბული სიტყვების არსებობა.

[2] გაზ. „ივერია“, 1889, 7 თიბათვე, №116, გვ. 3; შდრ. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 146
[3] გაზ. „ივერია“, 1889, 17 იანვარი
[4] გაზ. „ივერია“, 1889, იხ. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 149
[5] გაზ. „ივერია“, 1899, 14 თებერვალი
[6] **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 223—224

ლუარა სორდია

ბიბლიური პარადიგმები ნიკო სამადაშვილის პოეზიაში

ნიკო სამადაშვილის გამორჩეულობის საწინდარი იყო ზღვარის გავლება ეფემერულსა და მარადიულს, სიყალბესა და ჭეშმარიტებას შორის. პოეტს არასოდეს უვლია დინების მხარეს, არ დაუკარგავს სწორი გეზი, არასოდეს მდგარა აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერების გვერდით, პირიქით, მისი უმთავრესი მახასიათებელია ბოროტების მხილება, სიმართლის, სიკეთის სულიერების, რწმენის მსახურება, თემიდას ერთგულება.

პოეტმა ავადსახსენებელი სოციალიზმის დროს, სისხლით, ტოტალიტარიზმით ცნობილ ეპოქაში იცხოვრა, მაგრამ არასოდეს გამრუდებია გზა, არ დაუკარგავს სწორი ორიენტირები, ზედმიწევნით სწორად აფასებდა მოვლენებს და სიმბოლურ—მეტაფორული სახეებით ამხელდა მეიფისოფელის საუკუნეს.

ნიკო სამადაშვილის შემოქედებაში ბოროტეული ძალების მახასიათებლებია ნიანგები, დათვები, ძაღლები, მგლები, ნადირთა ხროვა, გველი, ჭინკა, დევები, ალი, აფთარი, ალქაჯი, ტურა.

ამ სახეთა წინაპრებს მრავლად ვიპოვით ბიბლიის, სასულიერო პოეზიის, ქართული თუ უცხოური კლასიკური მწერლობის წიაღში.

ბიბლიაში ღარიბი ხალხის მჩაგვრელები შედარებულნი არიან ლომსა და დათვთან: „რაღა მბრდღვინავი ლომი და ღრიალა დათვი და რაღა ბოროტეული ბატონი ღარიბ—ღატაკი ხალხისთვის“ (იგავნი სოლომონისა, 28,15) (1,636).

მთავრები, მსაჯულები გამოირჩევიან მხეცური მტაცებლობით, გაუმაძღრობით: „მისი მთავრები მბრდღვინავი ლომებია,... მისი მსაჯულნი მგლებია, დილისთვის ძვალსაც რომ არ ტოვებენ“) სოფონია წინასწარმეტყველი, 3,1–3) (2,294).

ცრუწინასწარმეტყველთა, მთავართა მახასიათებელია ნადირის ინსტინქტები: „შეთქმულან აქ მისი წინასწარმეტყველნი, ლომებით ბრდღვინავენ, ნადავლს გლეჯენ და ცოცხლად ჭამენ.

„მათი მთავრები მგლებივით გლეჯენ ნადავლს, სისხლს ღვრიან, სიცოცხლეს უსწრაფებენ ანგარებისთვის“ (ეზეკიელ წინასწარმეტყველი, 25,27,28) (2,214).

გველის ფესვიდან გამოსული უნასის ნაშიერში გველეშაპს ჭვრეტდა ესაია წინასწარმეტყველი: „... გველის ფესვიდან გამოვა უნასი და მისი ნაშიერი მფრინავი გველეშაპი იქნება“ (4,29) (2,84).

წინასწარმეტყველი ესაია ჰგოდებდა: „ასპიტის კვერცხებს ჩეკავენ და ობობას აბლაბუდას ქსოვენ. მათი კვერცხების მჭამელი კვდება და თუ გატყდა, უნასი იჩეკება“ (58,5) (2,117).

ბიბლიაში მრავალგზის გვხვდება სამოთხეში გველის სახით შეპარული მაცდური გველის ნაშიერი გველეშაპი.

ეგვიპტის მეფე, ფარაონი მოიხსენება, როგორც „დიდი გველეშაპი“ (ესაია წინასწარმეტყველი, 29,35) (2,221).

გველეშაპისებური მტაცებელია ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორი: „შემჭამა, დამღეჭა ნაბუქოდონოსორმა, ბაბილონის მეფემ, ცარიელ ჭურჭლად მაქცია, გადამყლაპა გველეშაპივით“ (იერემია წინასწარმეტყველი, 51, 34) (2,77).

კერპების მოთაყვანე ისრაელის ხალხს, იერუსალიმს „ტურების ბუნაგად“ ქცევით, „მიწის მხეცების“ შესაჭმელად გამეტებით ემუქრება ღმერთი (იერემია წინასწარმეტყველი, 9,10,16,4)(2,134,140).

ბიბლიაში ურწმუნოთა სასჯელად მოაზრებულია უდაბნოს მხეცების, ალქაჯების, ტურების, ველური ძაღლების მოვლენება (ესაია წინასწარმეტყველი13,21,22) (2,83).

იოანე მოციქულის გამოცხადებაში „დიდი წითელ გველეშაპს — ეშმაკს და სატანას ციდან გადმოაგდებენ მიქაელი და მისი ანგელოზი, ხოლო ბოროტების თაყვანისმცემლებად გვევლინებიან ზღვისა და მიწის მხეცები (8,12,13) (3,501–507).

ბიბლიის კომენტატორები ზღვისა და მიწის მხეცების სახეებში ლენინისა და სტალინის არქეტიპებს ხედავენ (აპოკალიფსი და დღევანდელობა) (4, 411).

მომნანიებელთ, სიკეთის გზაზე დამდგართ მხეცებისგან, უკეთური ძალებისგან დაცვას ჰპირდება ღმერთი (ეზეკიელ წინასწარმეტყველი, 34, 25,28). (2,224).

ცოდვებისგან განკურნება ლომის ხახისაგან თავის დაღწევად წარმოიდგინება: „მე თავი დავაღწიე ლომის ხახას“ (პავლე მოციქული, II ტიმოთე,4,17) (3,461).

დავით წინასწარმეტყველი ევედრებოდა ღმერთს: „მიხსენი ლომის ხახისაგან და მარტორქისაგან გადამარჩინე.

„მათი შხამი მსგავსია გველის შხამისა, ყრუ ასპიტისა“ (ფს.21,22,68,32) (3,543,581).

არც „ლერწმიანის მხეცის“ „ოქროს ზოდებია“ დავიწყებული: „შერისხე მხეცი ლერწმიანისა, ხარების ჯოგი ხბოებს შორის, რომლებიც ტრაბახობენ ოქროს ზოდებით“(ფს.68,31) (3,581).

აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერების სახეები გვხვდება მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძის, გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის, ოთარ ჭილაძის, გოდერძი ჩოხელის, რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში ეროვნულ, სოციალურ, პოლიტიკურ, ფილოსოფიურ ასპექტებში.

ნიკო სამადაშვილი ზედმიწევნით იცნობდა წინაპართა ტრადიციებს.

პოეტს ესმოდა „ნადირთა ღრიალი, „ღამურების სისინი“ (ტყე შრიალებდა) (5,230).

აძრწუნებდა ჭირისუფლად მოვლენილი მგლების ყმუილი, სისხლიანი წლების მსხვერპლად მიიჩნევდა თავს: „ალბათ შენს ცხედარს მოასვენებენ და ჭირისუფლად ყმუიან მგლები, შენ არასოდეს გაგიხსენებენ სისხლით დასვრილი ვერაგი წლები“ (გეჯა) (6,12).

თავისი ლექსების მკითხველებადაც ადამიანებად გარდასახულ მგლებს ხედავდა: „...აბა რათ მინდა წიგნის ფურცლებზე თავი ამოჰყონ ჩემმა ლექსებმა, იმატაციონ თავის ლექსებით და შარაგზაზე შეღრინონ მგლებმა. ჩემი ცხოვრება მუდამ ბნელოდა“ (უკანასკნელი ზარების რეკვა) (5, 34-35).

პოეტის სიმდიდრე მხოლოდ ლექსები იყო, მაგრამ სისხლიანი დინგებით ცნობილი ნადირებისგან კარგს არაფერს მოელოდა: „ამოუსვრიათ სისხლში დინგები, ნადირებივით შეჭამენ ლექსებს“ (კამარების შეჭმუხვნა) (5,3).

აღთქმის მხარის მაძიებელი, ნიანგებს აწყდებოდა ბარდებში, თავის საფლავზეც დათვები, ჯიბგირები ელანდებოდა: „რა უცნაური ყოფილა ყოფა, როგორ მფარავდა სიყალბის რიდე... როცა მირწევდნენ აკვანს ნანინით, ვფიქრობდი, მოვხვდი აღთქმის მხარეში, შემომიტყუეს, თურმე ნიანგებს შეუტბორიათ ქვეყნის ბარდებში. ანდა საფლავიც ნეტა რად მინდა, ილაზღანდარონ მომაკვდავებმა, ზედ დამაყარონ წუწკი შენდობა, გადამიარონ ღამე დათვებმა. ან ჯიბგირებმა მომინახულონ, ყომარი გახსნან, იქვე მწვანეზე... მივალ მოკლული დარდით, შეკუმშულ გულში ათევს ზამთარი, იტყვიან, მოკვდა შავი სახადით, მოვიდა, იყო ეხლა არ არის“ (რა საოცარი ყოფილა ყოფა) (5,39).

ქარბუქში დაღუპვის მაცნედ ჩაესმოდა მგლების ყმუილი, გველის სისინი (კაცი, სადა ხარ? (5,23).

„ამქვეყნის უხალისო, უიღბლო მდგმურს“ წყვდიადი, ქარაშოტი ეღობებოდა“, „ხალხის ზრიალს“ გველის ხვევნად აღიქვამდა (5,161).

მათხოვრების, ყორნის თანხლებით წარმოიდგენდა თავის გასვენებას, საფლავშიც გველის ჩაბრომას მოელოდა (წინათგრძნობა) (5,56).

გუბეში მდგარი ძველი საყდრიდან ტურის კივილი მოესმოდა (სინათლის მიმოქცევა) (5,244).

ცხოვრებას აღიქვამდა უდაბურ ტყედ, სადაც ნადირები, დევები ღრეობდნენ, კაცის შეჭამადს მიირთმევდნენ, თითქოს ალი, ალქაჯი ეპარებოდა ღამით, ესმოდა აფთრის ღმუილი, დაკარგული იყო ბილიკი და მხოლოდ ასწლოვან მუხაში ეძებდა თავშესაფარს (5,197-197).

მუხა ერის სულის სიმბოლოა გალაკტიონ ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში. ასეთი გააზრება აქვს ამ სახეს ნიკო სამადაშვილის პოეზიაშიც.

„წარმავლობის ტიალ ყორესთან“ ქვესკნელის გველები ბუდობდნენ (სამანი) (6,122). „ელამ ძეგლზეც კვერნაქის გველს“ ჭვრეტდა (ვიღაც მგზავრი) (5,236).

გველი სიბრძნის სიმბოლოა ვაჟა—ფშაველას „გველის მჭამელში“, გრიგოლ რობაქიძის დრამაში „ლამარა“, კონსტანტინე გამსახურდიას ნოველაში „ხოგაის მინდია“.

ნიკო სამადაშვილიც ანალოგიური შინაარსით მიმართავდა ამ სახეს: „მაღალ სიმშვიდეს ასე შეშლის გველით მისნობა“ (შეხვედრებიდან) (5,178).

ზემოხსენებული კლასიკოსების რემინისცენციას იწვევს გველის სიმბოლო ლექსში „სიზმრების ნაღვერდალი“: „ამ დროს ხელებში გველი გიჭირავს და თვალებიდან მოჩანს ფასკუნჯი“ (6,102).

„წუთისოფლის ნადირ—მაიმუნებად მოაზრებული თანამედროვენი ნიკო სამადაშვილს დანაშაულად უთვლიდნენ ბუდა საკია—მუნისადმი ინტერესს: „როგორა გტანჯეს ღმერთო ჩემო, რა უმოწყალოდ, რათ გიყვარდაო—გაგინებდნენ საკია მუნი. რა ვერაგია ეს ტიალი წუთისოფელი, რა ნადირია, რა მშიშარა, რა მაიმუნი“ (ჩემ გივი ერეკლეს ძე ტატიშვილს) (5, 42).

პოეტს ესმოდა ხატის მიზეზით სახადშეყრილი ვარაზის მგლის ყმუილი (აქ წარმართები მუხლებს იყრიდნენ) (5,49).

ზიზღს გვრიდა ღვთისმბრძოლ ნადირთა ღრიალი, თავისი თანამედროვე კერპისმქნელი „წარმართების ლოცვა“ (ტყე, შრიალებდა) (5,230).

ჭალიდან „ჭინკის ქროქოლა“ არ ასვენებდა (ნახული) (6,121).

ერთმანეთს ენაცვლებოდა „ბალდახინის“ ხილვა, „ფერად ჭინკების სრძოლა“, „სულშემხუთავი ძეძვივით დარდი და ჯოჯოხეთის პირქარი ხრჩოლა“ (დამშვიდობება და სინანული) (7,129).

გველებიანი ქვესკნელის ასოციაცია უჩნდებოდა უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდნილს (სამანი).

ცხოვრებას აღიქვამდა უდაბნოდ, სადაც წელზე გველი ეხვეოდა ქადაგს, „წუპაკი მღვდელი“ კი წესის ამგები იყო (გეჯა) (6,18).

ეკლესიის წინ მლოცველი გველის სახეა ლექსში „სინანული“ (5,111).

„საყდრის გადასწვრივ „ჭინკას უპოვია ასპარეზი“ (ნასთული) (6,121).

მგლებად გარდასახული ადამიანების სამყაროს სურათია ლექსში „გამხმარი კაცი“ (6,44): „ჩვენ ხომ ერთმანეთს ვჭამდით მგლებივით. იქ სურათია: დგას მხედარი, უჭირავს თეფში და ზედ ამხია კაცის თავი გველის ხვრელივით. თავის ქალაში მწვანე ხვლიკი შეძვრება ღამე, ძვლებზე შემხმარი დაფიქრება მოეწონება და მატლებდახურულ თვალებიდან გახედავს ბაღებს“ (გამხმარი კაცი) (6,44).

გარემოს ზარავდა მგლების ყმუილი, ყვავების ჩხავილი (ცაცხვის ხე) (6,39).

ნიკო სამადაშვილის ირგვლივ გამუდმებით ყმუიან ავის მაცნე ძაღლები, თითქოს ცხოვრება საძაღლეთს დამსგავსებია: „უკან სიცოცხლე ძაღლივით მომდევს, სად შევაფარო თავი საძაღლეთს“ (მონასტერი ჩანს მთაზე ნისლივით) (5, 140).

წმინდა იოანე ოქროპირი უღირს კაცს ლეშის მჭამელ მგელს ადარებს: „უღირსებო კაცი ლეშის მჭამელ მგელს ჰგავს“ (8,98).

წმინდა ეფრემ ასური შენატრის „მართლმორწმუნე კაცს“, რომელიც ვერ აცდუნა უწმინდურმა მგელმა: „კურთხეულ არს, ვინც წმინდა ეკლესია ირჩია. ესე არს კრავი, რომელიც ვერ წარიტაცა მგელმა“ (8,101).

წმინდა იოანე ოქროპირი საუბრობს „პატივმოყვარეობის საშიშ კუნძულზე“ მცხოვრები ურჩხულების შესახებ და კითხულობს: „რა ურჩხულებია ასეთი?“ და პასუხი ასეთია: „ეს ურჩხულები არიან მრისხანება, სასოწარკვეთა, შური, მტრობა, ცილისწამება, განკითხვა, სიცრუე, თვალთმაქცობა, მზაკვრობა, გულძვირობა უდანაშაულო ხალხის მიმართ, სიხარული მტერთა გაჭირვების გამო, მწუხარება მათ კეთილდღეობასა ზედა, თავის ქების სურვილი,.. სწავლება პირფერული, ალერსი თვალთმაქცური... უგულებელყოფა გაჭირვებულთა, მსახურება მდიდრებისა, ...მიწიერი შიში, გამბედაობა, მოჩვენებითი სიმდაბლე... სიმკაცრე უზომო უბრალო ხალხის მიმართ, ძლიერთა წინაშე უსიტყვობა. ამდენს კი არა, ამაზე მეტ ურჩხულსაც კი იტევს ის კუნძული და თუკი მათ ერთხელ მაინც მოიტაცეს ვინმე, ისე დაიმონებენ, რომ ბევრ რამეს, რაზედაც ახლა უხერხულია ლაპარაკი, ... გააკეთებინებენ“ (8, 160–161).

ნიკო სამადაშვილი ბინადრობდა არა „პატივმოყვარეობის“, არამედ ჭეშმარიტების კუნძულზე. გაბედულად ამხელდა თავისი თანამედროვე საუკუნის ნადირ—მხეცებს, თავის დიდ ნიჭს არასოდეს

ახურდავებდა წარმავალ მოვლენებზე, უმაღლესი გადასახედიდან, მარადისობიდან ჭვრეტდა წუთისოფელს, ერთგულებდა საღვთო სიბრძნეს, საღვთო სიყვარულს, რაც გახდა მისი უკვდავების საწინდარი.

დამოწმებანი

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1990
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
4. იოანე—იონა, რა უნდა ვაკეთოთ, თბ. 1994
5. ნიკო სამადაშვილი, ფერისცვალება, თბ. 2004
6. ნიკო სამადაშვილი, ასი ლექსი, თბ. 2006
7. ნიკო სამადაშვილი, ქართული პოეზია, თბ. 2010
8. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი III, თბ. 1991

ლია წურწუმია

ჰომეროსის ეპოსი

„ილიადასა“ და „ოდისეას“ სიუჟეტები ტროას ომზეა აგებული. პირველი პოემა საგმირო ხასიათისაა, მეორე – სათავგადასავლო. პირველი ომს აღწერს, მეორე – ომის შემდეგ მშვიდობიანობას, რომელიც ოდისევსის თავგადასავლებითაა გაჯერებული და ორივე საბერძნეთის ისტორიის ერთ დიდ ისტორიულ ხანას აღწერს.

„ილიადას“ შინაარსი ასეთია: ზღვის ქალღმერთი ფეტიდასა და გმირი პელეასის საქორწინო სუფრაზე ღმერთებმა არ დაპატიჟეს განხეთქილების ქალღმერთი ირიდა. განრისხებულმა ირიდამ ჩუმად ლხინის სუფრაზე ვაშლი შეაგდო წარწერით: „ყველაზე მშვენიერს“. ვაშლი განხეთქილების მიზეზად იქცა სამ ქალღმერთს შორის: ათინას, ჰერასა და აფროდიტას შორის. ზევსმა ურჩია: ტროას მეფის პრიამუსის შვილის, პარისის, სანახავად იდას მთაზე წასულიყვნენ, სადაც იგი მწყემსებთან ცხოვრობდა, რადგან წინასწარმეტყველმა მის მშობლებს ტროას დაღუპვა უწინასწარმეტყველა.

ჰერა პარისს ძალაუფლებას შეჰპირდა, ათინა – სიბრძნეს და დიდებას, ხოლო აფროდიტა — ულამაზეს ქალს ცოლად. პარისმა ვაშლი აფროდიტას მიაკუთვნა. მადლიერმა ქალღმერთმა პარისი წამოიყვანა და სპარტის მეფის მენელაის ცოლი, მშვენიერი ელენე მოატაცებინა. მენელაი და მისი ძმა, აქაველთა მეფე აგამემნონი, ტროას სთხოვდნენ ელენეს დაბრუნებას, მაგრამ უარი მიიღეს. ატყდა ომი ბერძნებსა და ტროელებს შორის. აქაველების მხარეზე იბრძოდნენ: აგამემნონი, აქილევსი, მოხუცი ბრძენი ნესტორი, აიკსი, ოდისევსი. ტროას ჯარს პრიამუსის ვაჟი ჰექტორი მეთაურობდა.

ბერძნებმა მხოლოდ მეათე წელს დაიპყრეს ტროა, რომელიც ათწლიან ალყას უძლებდა. პერსონაჟების მიერ მოყოლილი ათწლიანი ომის სიუჟეტები მთელს პოემაშია გაბნეული. მიუხედავად იმისა, რომ პოემა ომის დასასრულს აქილევსის განრისხების სცენით იწყება, პოეტის თხრობა ომის მთელ სურათს გადაგვიშლის თვალწინ.

ტროა ბერძნების ალყის მეათე წელს დაიღუპა ოდისევსის მოხერხებულობის წყალობით. ოდისევსის რჩევით ცხენი, რომელიც ხის უზარმაზარ ფიტულს წარმოადგენდა, ბერძნებმა ღამით ქალაქის კარიბჭესთან დააყენეს, შიგ კი 200-მდე მეომარი ჩასხეს. ტროელებმა იფიქრეს, ბერძნებს ცხენი დარჩენიათო, კარიბჭე გააღეს და ხის ცხენი ქალაქში შეიყვანეს. ამოცვივდნენ ბერძნები და ტროა ცეცხლს მისცეს. ასე დაეცა ტროა. მანამდე კი აღწერილია, როგორ მოარტყა პარისმა აქილევსს ქუსლში ისარი და სასიკვდილოდ დაჭრა. ეს იყო შურისძიება იმის გამო, რომ აქილევსმა ჰექტორი მოკლა და ცხენის კუდზე გამობმული მიწაზე ათრია. ომის შემდეგ ბერძენთა გამარჯვებული მეფე აგამემნონი მისმა ცოლმა და საყვარელმა მოკლეს. დიდხანს დაეხეტებოდნენ მზის ქვეშ მენელაი და მისი ცოლი ელენე. მართალია, ტროა გაანადგურეს, მაგრამ არც ბერძნებს დადგომიათ კარგი დღე. მთელი პოემა ომის სიძულვილითაა გაჟღენთილი. ტროას ომის შემდეგ ოდისევსი ათი წელი დახეტიალობს რთულ გზაზე

და ათას ფათერაკს გადაეყრება, ბოლოს მაინც დაბრუნდება შინ. ამის შესახებ მოგვითხრობს „ოდისეა“.

როგორც აღვნიშნეთ, „ილიადა“ იწყება აქილევსისა და აგამემნონის უთანხმოებითა და მისი მიზეზების გარკვევით. ღმერთები ოლიმპოს მთიდან უთვალთვალებენ ომის მიმდინარეობას, ზოგი ტროას მფარველობს, მაგალითად, აფროდიტა, რადგან ტროელთა რიგებში იბრძვის მისი შვილი ენეა. ჰერა აქაველებს (ბერძნებს) წყალობს, ზევსი ნეიტრალიტეტს იცავს. „ილიადა“ საბრძოლო გმირული ეპოპეაა, რომელშიც მთავარ ადგილს სიუჟეტები იჭერენ. არისტოტელეს თქმით, ჰომეროსი მთელი ომის ისტორიას კი არ მოგვითხრობს, არამედ ომის მთავარ მოვლენებს არჩევს და ამ მოვლენებს შორის კომპოზიციურ კავშირს ამყარებს.

50 დღის მანძილზე განვითარებული მოვლენების ფონზე წინა ამბების ზღვა მასალაა მოცემული: ომის მეათე წელს ალყაშემორტყმულ ტროას ვერ იღებენ აქაველები, მათ ბანაკში მოდის აპოლონის ქურუმი ქრისე და აგამემნონისგან აურაცხელი გამოსასყიდის ფასად ითხოვს თავისი ქალიშვილის ქრისეიდას დაბრუნებას, იგი ტყვედ ჰყავს აგამემნოსს, რომელიც უარით ისტუმრებს ქურუმს. განრისხებული აპოლონი მუსრს ავლებს აქაველებს. აქილევსის თაოსნობით ბერძნები მისნისაგან ცდილობენ ღმერთის სასჯელის მიზეზის გაგებას და როცა მისანი დაასახელებს აპოლონის რისხვის მიზეზს, აგამემნონი და აქილევსი შელაპარაკდებიან. აგამემნონი აბრუნებს ქრისეიდას, მაგრამ, სამაგიეროდ, აქილევსის ბანაკიდან მის მხევალ ქალს მოატაცებინებს. შეურაცხყოფილი აქილევსი დახმარებას სთხოვს დედას, თეტიდას, რომელიც ზევსთან უშუამდგომლებს, რომ დასაჯოს აქაველები. ზევსიც მაცდური სიზმრებით არწმუნებს აგამემნონს, განაახლოს ომი. ასეც ხდება, აგამემნონი მარცხდება, დახმარებისათვის ისევ აქილევსს მიმართავს, რომელიც განრისხებულია და ომში არ სურს მონაწილეობის მიღება. მაგრამ როცა ტროელი ჰექტორი მის მეგობარს პეტროკლეს მოკლავს, შურისძიებით გულანთებული აქილევსი ომის ქარცეცხლში გადაეშვება.

„ოდისეა“ – ზღაპრულ-სათავგადასავლო და ყოფითი პოემაა, რომელშიც ღმერთებისა და გმირების ძლიერების შესახებ კი არ არის მოთხრობილი, არამედ ადამიანის ჭკუისა და მოხერხებულობის შესახებ. „ილიადაში“ მოვლენებს ღმერთები წარმართავენ, „ოდისეაში“ კი ადამიანის გონება ჭრის. ოდისევსი, გონიერი და ჭკვიანი, მოხერხებული, ჩვეულებრივი მოკვდავი, ტროას ომიდან შინ უნდა დაბრუნდეს, გზა იოლი არ არის. უამრავი ფათერაკია აღწერილი: კიკონების ქვეყანა, საიდანაც დიდი სიმდიდრე წამოიღეს ოდისევსმა და მისმა მეგობრებმა, ლოტოფაგების ქვეყანა, სადაც ლოტოსია მთავარი საჭმელი. ვინც მას შეჭამს, სამუდამოდ ივიწყებს სამშობლოსა და შინდაბრუნების სურვილს. მხოლოდ ოდისევსის მოხერხებამ იხსნა თანამგზავრები. შემდეგ კიკლოპების ქვეყანა (ციკლოპების), საიდანაც ცხვრის ფარის მეშვეობით დააღწიეს თავი. ოდისევსმა ციკლოპს თვალი ამოთხარა, მანამდე კი თავი გააცნო, როგორც „არავინ“. თვალამოთხრილი გამწარებული ციკლოპი პოლიფონი ღრიალებს, ხმაზე მოცვივდნენ სხვა ციკლოპები და ეკითხებიან: ვინ ამოგთხარა თვალიო? არავინო – პასუხობს ციკლოპი და ოდისევსს გულისხმობს. დილით პოლიფონმა გამოქვაბულში გამომწყვდეული ოდისევსისა და მისი თანამგზავრების გვერდით შერეკილი ცხვრის ფარის გამოყვანა მოინდომა. გამოქვაბულის კარზე აფარებული ლოდი გადააგორა. უთვალო ციკლოპი ვერაფერს ხედავდა, ამიტომ ხელით სინჯავდა ცხვარს, რომ არ შეშლოდა და კარებში ოდისევსი და მისი თანამგზავრები არ გაჰპარვოდა. ოდისევსიმ მოიფიქრა და თანამგზავრები ცხვარს მუცელზე ნაბდით ამოაკრა, თვითონაც მუცელზე აეკრა ცხვარს, ციკლოპი ცხვარს ხელს ზურგზე უსვამდა, ამიტომ ვერ შეამჩნია ოდისევსის გაპარვა.

ოდისევსი მიაღწევს კუნძულ ეას, სადაც ჯადოქარი კირკე ცხოვრობდა. მთელი წელი დაჰყო ოდისევსმა კირკესთან, რომელმაც ღორებად აქცია მისი თანამგზავრები. ოდისევსმა სასწაულმოქმედი ბალახის, მოლის მეშვეობით სახე დაუბრუნა თავის მეგობრებს. გზად ოდისევსმა თავისი ხომალდი მოხეტიალე კლდეებს: სცილასა და ხარიბდას შორის გაატარა. 6-თავიანი ურჩხული დღეში სამჯერ ყლაპავდა და უკან აბრუნებდა ზღვის ტალღებს.

ბოლოს და ბოლოს შინ დაბრუნებულ ოდისევსს ასეთი სურათი დახვდა: მისი ერთგული ცოლი ძლივს უმკლავდებოდა ჯიუტი თაყვანისმცემლების შემოტევას. მათ პენელოპეს ქმრობა უნდოდათ, რომ ოდისევსის მამულს დაპატრონებოდნენ. ქალმა პირობა მისცა, როცა აბჯრის ქსოვას დაამთავრებდა, გადაწყვეტილებას მიიღებდა. ქალი დღისით ქსოვდა, ღამით კი არღვევდა, რომ დრო გაეთრია. როცა საქმროები ეშმაკობას მიუხვდნენ, მაშინ სიტყვა მისცა – ვინც ოდისევსის მშვილდით გაიმარჯვებდა, ცოლად იმას გაჰყვებოდა. დაბრუნებულ ოდისევსს პირველად შეიცნობს მისი ერთგული ძაღლი არგუსი. შვილი ტელემაქი სპარტიდან ბრუნდება და მამას ხვდება. ოდისევსი გამოუტყდება ტელემაქს, რომ მათხოვრის სამოსში გამოწყობილი მოხუცი თავად იყო, ისინი შეიმუშავებენ გეგმას საქმროების თავიდან მოსაშორებლად. ოდისევსი მოწყალებას ითხოვს საქმროებისგან, ისინი კი დასცინიან. პენელოპეს შეეცოდა მოხუცი და მისთვის ფეხის დაბანა უბრძანა მსახურებს. ფეხის დაბანისას ძიძა შეამჩნევს ჭრილობას, რომელიც ოდისევსს ტროას ომამდე ჰქონდა. მეორე დღეს, სადღესასწაულო ლხინის დროს, პენელოპე შემოიტანს ოდისევსის მშვილდს და საქმროებს თავაზობს მის სროლას, რომ გამარჯვებულს ცოლად გაჰყვეს. მშვილდს ვერავინ უმკლავდება, ოდისევსის გარდა: ოდისევსი

ათინას, შვილისა და მსახურების დახმარებით კლავს საქმროებს, ათინა ოდისევსს ახალგაზრდულ იერს უბრუნებს.

არისტოტელე დიდად აფასებს ჰომეროსის ამ პოემას და აღნიშნავს, რომ იგი გამოცანებითა და მორალური პრინციპებით გამოირჩევა. „ილიადაში“ მოთხრობილი მთელი სიუჟეტი 50 დღე მიდის, „ოდისეაში“ კი – 40. აქ თხრობა მეტია, ვიდრე ქმედება.

პოემებში მოთხრობილი ამბები შორეულ წარსულში ხდება. ჰომეროსის გმირებმა იციან ბრინჯაოს იარაღი, მაგრამ არ იციან რკინის, თუმცა გვხვდება გამოთქმა „რკინის გული“. ბერძნები, რომლებიც ტროას უტევენ, იხსენიებიან აქაველებად ან დანაელებად, ე.ი. იმ ტომებად, რომლებმაც პირველებმა დაადგეს ფეხი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. დორიელებს ჰომეროსი არ იცნობს და არც ახსენებს, „ოდისეაში“ კი ისინი მოხსენიებულია.

ძველი ბერძნებისათვის ტროას ომი ნამდვილ ისტორიულ ფაქტს წარმოადგენდა, ტროას დაცემის თარიღიც კი სახელდება ქრონოლოგიაში (ძვ. წ. XIIს.). მიუხედავად ამისა, XIX ს.-ის ბოლომდე არანაირი ცნობები არ მოიპოვებოდა ძველი საბერძნეთის ისტორიაზე. ჰომეროსის პოემების შექმნის თარიღად მოიხსენებოდა მხოლოდ ძვ. წ. VIII ს. XIX ს.-ის 70-იან წლებში ჰომეროსის ეპოქა შლიმანის გამოკვლევებმა გააცნეს ევროპას.

ჰომეროსის თაყვანისმცემელმა კომერსანტმა ჰაინრიხ შლიმანმა მცირე აზიაში ისარლიყის ბორცვზე (თურქეთის ტერიტორია) გათხრები დაიწყო, ჯერ იპოვა 7 ნასახლარი, ამათგან ორი აშკარად ატარებდა ხანძრის კვალს. გათხრების დროს უამრავი განძი იპოვა და მიიჩნია პრიამოსის განძად, რომელიც, პოემის მიხედვით, მეფემ ტროას შტურმის წინ დამარხა მიწაში. შლიმანმა მიკენში გათხარა პელოპონესის ძველი სამარხები, სადაც გადმოცემით აგამემნონი მეფობდა. შლიმანმა ტროას ძებნაში უფრო ძველ კულტურას მიაგნო, ვიდრე იგი ჰომეროსის პოემაში იხსენიებოდა. 1900 წ. ევანსმა განაგრძო გათხრები, კრეტის ცივილიზაციას მიაგნო და იგი ძვ. წ. XV-XIII სს. მიაკუთვნა.

არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩნდა, რომ ტროას ომი რეალური ისტორიული მოვლენა იყო. ომის მიზეზი კი — მისი დიდი სავაჭრო მნიშვნელობა. ტროა აკონტროლებდა ოქრო-ვერცხლით, რკინით, ხე-ტყით დატვირთულ გემებს და დიდ საგადასახადო შემოსავალს იღებდა. ეკონომიკურმა ძლიერებამ ტროა პოლიტიკურად გააბატონა ეგეოსის ზღვასა და დარდანელის სრუტეზე. თვით სახელწოდება „ტროა“ გვიან გაჩნდა, ხეთურ წყაროებში მას „ვილუსად“ მოიხსენიებენ და დიდ სავაჭრო ქალაქად სახელდება. ჰომეროსისეული „ილიონი“ ხეთური „ვილუსის“ ბერძნული ფორმაა.

1939 წ. პელოპონესის მახლობლად ამერიკელმა არქეოლოგებმა ჰომეროსის გმირის, ნესტორის, დროის დედაქალაქის, პილოსის, ძებნისას იპოვეს თიხის წარწერიანი ფირფიტები. 1953 წ. ინგლისელმა არქიტექტორმა მაიკლ ვენტრისმა შეძლო მათი გაშიფვრა და მათზე ჰომეროსამდელი ძველი ბერძნული სამეურნეო შინაარსი ამოიკითხა. ფირფიტები მიკენის კულტურას მიეკუთვნებოდა. აშკარა იყო — მიკენის კულტურაზე ზემოქმედება მოახდინა კრეტის კულტურამ.

ჰომეროსის პოემის ამბები სწორედ მიკენის ისტორიულ დროს განეკუთვნებიან. პოემებისთვის დამახასიათებელია არქაიზაცია, პოეტი წარსულს დისტანციიდან გასცქერის და ცდილობს არაფერი შეიტანოს მასში მისი დროიდან. სრული ობიექტურობაა დაცული, პოეზია კი არ აანალიზებს, არამედ მოგვითხრობს, გმირების ხასიათს მოქმედებაში გვიხსნის. ეს თვისება ფოლკლორული შემოქმედების დამახასიათებელია. პოემაში ბუნების პეიზაჟს პოეტი ადამიანის განწყობილების გადმოსაცემად მიმართავს, ცალკე აღებული ბუნება მისთვის არ წარმოადგენს ესთეტიკურ ღირებულებას. იგი აღწერს ქარიშხალს, ავდარს, სტიქიურ უბედურებას მხოლოდ ადამიანის მოქმედებასთან დაკავშირებით. პოემა სავსეა შედარებებით, მეტაფორებით, ჰიპერბოლებით.

ჰომეროსის პოემების სტილი გეომეტრიულია, როგორც ძვ. წ. IX-VIII სს.ის სახვითი ხელოვნება. ხაზობრიობა და პერსპექტივის უქონლობა დამახასიათებელია „ილიადასთვის“. ომის საერთო სურათი თანმიმდევრულია, იგი დროში მიმდინარე მოვლენებით იხატება. „ჰომეროსის პოემები უძველესი ეპოქის ენციკლოპედიაა“, – ასე ახასიათებენ კრიტიკოსები.

განსხვავებით ფოლკლორული გმირული სიმღერებისაგან, სადაც პერსონაჟთა უმნიშვნელო რაოდენობაა წარმოჩენილი, ეპიკურ პოემებში პერსონაჟები ორ ჯგუფად იყოფა: ღმერთები და გმირები. ასეა ჰომეროსთანაც, მაგრამ ჰომეროსის პოემები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან გამოსახვის თვალსაზრისით. „ილიადასთან“ შედარებით, „ოდისეას“ ადამიანები უფრო ძლიერი, დამოუკიდებელი, ინიციატივიანი და ენერგიულები არიან. ჰომეროსის ადამიანი სრულყოფილია, თავისთავადია, მისი ხასიათი არა განვითარებადია, არამედ სტატიკური, უკვე ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული.

„ილიადა – ეს პოემაა ომის შესახებ. ომი აღწერილია როგორც უდიდესი სისასტიკე, აუცილებლობა, უბედურება, რომელიც ორივე მხარისათვის ტრაგიკულად მთავრდება. „ოდისეაში“ კი მშვიდობიანი ხანაა აღწერილი ადამიანური ვნებებით, ცუდი და კარგი თვისებებით. ადამიანს თავისი თავის იმედი უფრო აქვს, ვიდრე ღმერთისა. იგი უფრო ფრთხილი და უნდოა. ოდისევსი არაა აქილევსის მსგავსი მეომარი, რომლის ფიზიკური მონაცემები ვაჟკაცობისათვის საკმარისია, ოდისევსი ეშმაკი, მოხერხე-

ბულია, რომელიც ათასნაირ ხრიკს იგონებს მიზნის მისაღწევად. იგივე ითქმის „ვეფხისტყაოსნის“ გმირებზე, ვირგილიუსის „ენეიდაზე“ ან შუმერულ „გილგამეშზე“.

ყოველი მხატვრული ნაწარმოების შეფასება ნოვატორობის ხარისხით ხდება: რა შემოიტანა ახალი ნაწარმოებმა ტრადიციულთან შედარებით. ჰომეროსის პოემები ტრადიციულობისა და ნოვატორობის ბრწყინვალე სინთეზს წარმოადგენს. ჰომეროსი „ილიადაში“ ტროას ომის მეათე წლის მოვლენების აღწერით მთელი ათწლიანი ომის ისტორიულ სურათს წარმოგვიდგენს ჩართული პასაჟებით, მონათხრობებით. „ოდისეა“ ომიდან დაბრუნებული სახელოვანი ადამიანის ხიფათიან გზაზე მოგვითხრობს, მაგრამ ამ ისტორიულ გზაზე ოდისევსს თან სდევს ტროას მოვლენები. ასე, რომ „ოდისეაც“ ტროას ომის გამოძახილია. ჰომეროსი უდიდესი სიფრთხილითა და სიზუსტით მიმართავს ისტორიულ ფაქტს და ამ თვალსაზრისით ტრადიციის მყარ საფუძველზე დგას, კერძოდ, იგი ეყრდნობა წინადროინდელ თუ თანამედროვე პოეტთათვის ისტორიული მასალის დამუშავების ტრადიციულ ხერხს. ნოვატორულია პოემების სიუჟეტთა თანმიმდევრობა, თხრობის კომპოზიცია, ნაწარმოების არქიტექტონიკა. ენა ძუნწი, შემკული, მეტაფორული და მონუმენტურია.

ჰომეროსის პოემებში სიუჟეტები იშლება წრიულად და თანმიმდევრულად. პოეტი ნოვატორია მასალის შერჩევაში, მსოფლაღქმაში, რაც, უპირველეს ყოვლისა, ღმერთებთან დამოკიდებულებაში გამოიხატება. ღმერთების ცხოვრებას ადამიანური ვნებებით ტვირთავს. მასთან ზღვარი წაშლილია უკვდავთა და მოკვდავთა შორის. ღმერთები ერევიან ადამიანთა ურთიერთობაში, წარმართავენ მათ საქმიანობას, ეხმარებიან ან ხელს უშლიან, მაგრამ ჰომეროსის დამოკიდებულება იმდენად ორაზროვანია, ირონიულია, დამცინავია ღმერთების მიმართ, რომ მას „უღმერთობაც“ კი დასწამეს. ჰომეროსის პოემებში ერთმანეთის გვერდით არსებობენ მითოლოგიურ-რელიგიური, რაციონალისტური, გრძნობადემოციური. მის პოემებში მონუმენტურად იკვეთება ძველი ბერძნული რელიგიური პანთეონი.

ჰომეროსი ბერძნული რელიგიური პანთეონის პირველ სისტემატიზატორად გვევლინება. თუმცა მასთან უკვე აშკარაა სამყაროს რაციონალური ინტერპრეტაციის ტენდენცია, ნაცვლად მანამდე არსებული *ირაციონალურ*-რელიგიური აღქმისა, რაც მითოლოგიის არსებით ნიშანს წარმოადგენს. ამიტომაც არის, რომ იგი პოეტური შეფარვით, შენიღბული სახით კრიტიკულია ღმერთების მიმართ. ეს შესაძლოა, პესიმიზმისა და ოპტიმიზმის საფუძველი ყოფილიყო ამ დროის ადამიანებისათვის, მაგრამ ჰომეროსის სიდიადე ისაა, რომ მისთვის მთავარი არის ადამიანი, ამქვეყნიური, მიწიერი, რომელიც იბრძვის, მოქმედებს, უყვარს, ანგრევს, აშენებს. ჰომეროსი არსად აიდეალებს საიქიოს, იმქვეყნიერებას, საგმირო საქმეებს თავის გმირებს ამქვეყნად ჩაადენინებს. მისი გმირები იბრძვიან არა უკვდავებისათვის ანუ იმქვეყნად გადასახლებისათვის, არამედ ამქვეყნად სახელის დასატოვებლად. ჰომეროსის გმირების უკვდავება ამქვეყნიურ საფუძველზე დგას.

ჰომეროსის პოემებში მსჯელობის, ანალიზის, არგუმენტირების ძლიერი სურვილი იგრძნობა, რაც სამყაროს ფილოსოფიური გააზრებისათვის ამზადებს ნიადაგს. ჰომეროსი აფასებს სიტყვის ძალას (აგამემნონი ჯარს არწმუნებს სამშობლოში დაბრუნების აუცილებლობაში, ოდისევსი სიტყვით ცდილობს აქილევსის დარწმუნებას). ჰომეროსი ძუნწია ეპითეტებში, აღწერილობაში, იგი სილამაზის ან ვაჟკაცობის აღწერას კი არ იწყებს, არამედ იმ ემოციურ განწყობილებას აღწერს, რასაც ეს სილამაზე ან ვაჟკაცობა იწვევს მაყურებელში. მაგალითად, „ილიადაში“ არსადაა აღწერილი ელენეს სილამაზე, რომელმაც ტროას ომი გამოიწვია, მაგრამ აღწერს სცენას, სადაც ჩანს უხუცესთა საბჭოს წევრთა უხმო აღტაცება, როცა ელენეს შემოიყვანენ, უხუცესები ფეხზე წამოიჭრებიან, ელენეს სილამაზით მოხიბლულები. ჰომეროსის მხატვრული სიტყვა ძლიერ ეფექტურია თავისი მეტაფორულობით და, ამდენად, ეს არის ზემოქმედების მთავარი წყარო.

საგმირო ეპოსის, როგორც ჟანრის, ისტორია, ძვ. წ. VIII ს-ში დაგვირგვინდა ჰომეროსის პოემებით. ეს ისტორია კი, შესაძლოა, ძვ. წ. III ათასწლეულში დაიწყო. არისტოტელე დიდად აფასებდა ჰომეროსს და წერდა, რომ მხოლოდ მისი პოემები გამოირჩევა მოქმედების ერთიანობის პრინციპით ეპიკურ ტრადიციაში. ჰომეროსის ეპოსმა გახსნა ძველი ბერძნული კულტურისა და ცივილიზაციის დაფარული საიდუმლოება. შლიმანმა მხოლოდ ჰომეროსის წყალობით დაუდო საფუძველი ანტიკური ცივილიზაციის საწყისი ეტაპების კვლევას. მისი ეპოსი მთელი ენციკლოპედიაა ისტორიის, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიის, ენათმეცნიერების სფეროში. პოემები ჰომეროსმა შექმნა არა ბერძენთა ყველაზე დიდი — ტროას ომის — შესახებ ტრადიციული ამბების სისტემატიზაციისათვის, არამედ მის დროს პოლიტიკურად დაქუცმაცემული საბერძნეთის გასაერთიანებლად, ხალხისათვის გმირული სულის გასაღვიძებლად. ჰომეროსი მძლავრი სტიმული გახდა ბერძენთა შეგნებაში „ელინის“, „ელადის“ ცნების ჩამოსაყალიბებლად და საერთო ელინური ფასეულობების შესაქმნელად.

ჰომეროსის შემდეგ ძვ. წ. VII ს-ით იწყება არქაული პერიოდი, რომელშიც მემკვიდრეობით გრძელდება ბერძნული ეპოსის ტრადიციები, მხოლოდ განსხვავებული იდეური მიმართულებითა და განწყობილებით. არქაული პერიოდის დასაწყისშივე უდიდესი პოეტი მოევლინება ბერძნულ ლიტერატურას. ესაა ჰესიოდე, რომელიც ლირიკულ ეპოსს უდებს სათავეს. მთლიანი სახით ჩვენამდე მოღწეულია მისი ორი პოემა: თეოლოგიურ-მითოლოგიური სახის „თეოგონია“ და ავტობიოგრაფიული ელე-

მენტების შემცველი ყოფითი ჟანრის „სამუშაონი და დღეები“, ფრაგმენტებად შემოგვრჩა მისი „ქალთა კატალოგები“ ანუ „ეჰოიები“, მასვე მიაწერენ სრულად მოღწეულ „ჰერაკლეს ფარს“, რომელიც უფრო ჰესიოდეს სკოლის წარმომადგენლებს უნდა ეკუთვნოდეს, ვიდრე მას.

ჰესიოდე ახალი ნაკადის შემომტანია ეპოსში. მან თავისი პოეტური „მე“ ჩართო „სამუშაოებსა და დღეებში“ და ამით დაუპირისპირდა ჰომეროსის ავტონომიურობას. ბიოგრაფიული ცნობები შემოაქვს პოემაში, აღწერს თავის ბავშვობას ბეოტიაში, მაშინ, როცა ჰომეროსის შესახებ მკვლევარებმა ისიც კი არ იციან, ნამდვილად იყო ასეთი პიროვნება, თუ იგი კოლექტიური ავტორების სიმბოლური სახეა. ჰესიოდე ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში მოიხსენიება, როგორც დიდაქტიკური ეპოსის ფუძემდებელი. მისი პოემები შეიქმნა ძვ. წ. 700 წელს ბეოტიაში. მისი პოეზია ბოეტური ფოლკლორითაა ნასაზრდოები. ჰესიოდეს „თეოგონიაში“ მოცემულია ღმერთების გენეალოგია, ღმერთთა თაობის ცვლა. თავდაპირველად დასახელებულია ქაოსი, მისგან იშვნენ ერებოსი (წყვდიადი) და ნიქსი (ღამე). ღმერთების პირველ თაობას ქმნიან ურანოსი და გეა, ურანოსი თავის შვილებს, ტიტანებსა და ტიტანიკებს, გეას წიაღში ნთქავს. დედა შვილებს მამის წინააღმდეგ აამხედრებს და ერთ-ერთი შვილი, კრონოსი მამას, ურანოსს, კასტრაციას გაუკეთებს. ურანოსის ფალოსიდან იბადება ურანოსის (ციური) აფროდიტა. კრონოსს და რეას 6 შვილი ჰყავთ, შიში აქაც თავს იჩენს, კრონოსი ცოცხლად ყლაპავს თავის შვილებს — ჰესტიას, დემეტრას, ჰერას, ჰადესს, პოსეიდონს. მაგრამ ბოლო შვილი — ზევსი — დედის, რეას წყალობით გადარჩება. რეა ზევსის ნაცვლად ქსოვილში გახვეულ ქვას გადააყლაპებს კრონოსს. ზევსი შურს იძიებს, მამას ამოაყრევინებს თავის შვილებს. კრონოსი იწყებს ბრძოლას თავისი შვილების — ტიტანების — მეშვეობით. იმარჯვებენ ახალი ღმერთები ე.ი. ზევსის თაობა. მაშასადამე, ჰესიოდე სამი თაობის ღმერთების გენეალოგიას გვიჩვენებს ურანოსი, კრონოსი და ზევსი. პოემაში აღწერილი სიუჟეტები და ხასიათები ემსგავსებიან ხეთურ-ხურიტულსა და შუმერულ-აქადურ მითოლოგიას. ღმერთები ოლიმპოს მთაზე იკვებებოდნენ ნექტარითა და ამბროსით, ყოველ ღმერთს თავისი ატრიბუტი ჰქონდა: მაგალითად, ზევსის ატრიბუტი იყო ეგიდა (ფარი), არწივი, კვერთხი, მეხი და თასი.

მეორე პოემა „სამუშაონი და დღენი“ – დიდაქტიკური ეპოსია მაღალპოეტური ინფორმაციის სიუხვითა და ბრძნული შეგონებებით. პოემა აგებულია ყოფით სიუჟეტზე, კერძოდ, ოჯახის მემკვიდრეობითობაზე, გვაროვნული ურთიერთობების რღვევისა და ახალი სოციალური ურთიერთობების საკითხების ჰესიოდისეულ გადაწყვეტაზე. ამ დიდაქტიკურ პოემას წინ უსწრებს აღმოსავლური ტრადიციები: შუმერული პოემა „შურუფაქის დარიგებანი“, ეგვიპტური „პტახოტეპის დარიგებანი“. ჰესიოდეს პოემა უნიკალურია იმით, რომ პირველი პოემაა გლეხკაცის ყოველდღიური ცხოვრებისა და საზრუნავის შესახებ. ძმების დავა მამის მემკვიდრეობის გაყოფისათვის ჰესიოდეს სამართლის თემამდე მიიყვანს. პოემა იწყება ზევსის ქებით, შემდეგ მოგვითხრობს ორი ერიდას შესახებ, რომელთაგან ერთი კეთილია, იგი შრომაში შეჯიბრების სამართლიანობას ამკვიდრებს, ბოროტი ერიდა კი მტრობასა და განხეთქილებას თესავს. პოეტი კარგად იცნობს ადამიანის ცხოვრების ავ-კარგს. ადამიანთა უბედურების მიზეზს ღმერთებთან დაპირისპირებაში ხედავს. ღმერთები ადამიანებს ცხოვრებას ურთულებენ, ადამიანებს კი უკეთესი ცხოვრებისკენ სწრაფვა, მუდმივი დაუკმაყოფილებლობა ახასიათებთ. პრომეთემ მოატყუა ღმერთები, ზევსმა ცეცხლი დაუმალა ადამიანებს, პრომეთემ კი ადამიანებს ჩამოუტანა მალულად. ამისათვის ზევსმა დასაჯა პრომეთეცა და ადამიანებიც, რომლებსაც პანდორა გამოუგზავნა თავისი ყუთით. პანდორამ თავი ახადა ყუთს და ამოვარდა იქიდან ათასი უბედურება და ავადმყოფობა. შეშინებულმა პანდორამ ყუთს დაახურა თავი და შიგ იმედი ჩარჩა, რომელიც ადამიანებს უწყალობა.

ჰესიოდე კაცობრიობის ისტორიის 5 პერიოდს ასახელებს: 1) ოქროს საუკუნე — კრონოსის დრო — ადამიანთა ცხოვრების ოქროს პერიოდი; 2) ვერცხლის ხანა, რომელიც ზევსმა გაანადგურა; 3) სპილენძის ხანა — აგრესიულობის, ძალადობის; 4) ნახევრად ღმერთებისა და 5) გმირების ხანა.

ჰესიოდეს სტილი ჰომეროსისას ჰგავს, მაგრამ დიდაქტიკური ხასიათის გამო მოკლებულია მეტაფორებს, შედარებებს, ეპითეტებს. კომპოზიცია რთულია, ამბები ერთმანეთში გადადის. მისი პოემები ხმამაღლა იკითხებოდა, ტექსტის შინაგანი რითმისა და ალიტერაციის რიტმული შესაბამისობიდან მოდის მათი კეთილხმოვანება. ჰესიოდეს პოემები ძლიერ პოპულარული იყო. „სამუშაონი და დღენი“ მეტალის დაფაზე იყო ამოკვეთილი და პოლიკონის ძირში იყო გამოკრული.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მანანა კვატაია

კიტა აბაშიძე - ახალი ქართული სალიტერატურო კრიტიკის ფუძემდებელი

უნიჭიერესი ანალიტიკოსი, ერუდიტი, მკვლევარი და თეორეტიკოსი კიტა აბაშიძე სამწერლო ასპარეზზე 1890-იან წლებში გამოვიდა და 23 წლის მანძილზე ლიტერატურულ სამყაროს პირველხარისხოვანი ოპუსებით ამდიდრებდა. ილია ჭავჭავაძისა და მის თანამოაზრეთა მსგავსად მან ქართული სალიტერატურო კრიტიკის აღორძინება და განვითარება დაისახა მიზნად.

ჯერ კიდევ 1873 წელს სერგეი მესხი წერდა: "ჩვენი ახლანდელი ლიტერატურა არაფერში არ გრძნობს ისეთ ნაკლოვანებას, როგორც კრიტიკაში.. რიგიანი კრიტიკოსი ჩვენში ჯერჯერობით არცერთი არ მოიპოვება, არავინ არ გამოჩენილა" ("დროება", 1873, №14). ამავე პრობლემატიკას 1887 წელს ი. ჭავჭავაძემ "ივერიაში" მოწინავე წერილი უძღვნა სათაურით "რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს?" მწერალი გამოეხმაურა ქართული საზოგადოების გულისტკივილს, ჩვენს ლიტერატურას კრიტიკა აკლიაო, რაც თავადაც დიდ დანაკლისად მიიჩნია. ილიას ხაზგასმით, "ლიტერატურა, თავისი ფართო მნიშვნელობით, გონების ნაჭირნახულევი ხვავია, საცა ხორბალიც არის და ბალახ-ბულახის თესლიც". მწერლის განმარტებით, "რაც ცხავია ხვავისათვის, ისიც კრიტიკაა ლიტერატურისათვის". კრიტიკის უქონლობას ი. ჭავჭავაძე არა ქართული ლიტერატურის სიღარიბეს, არამედ ადამიანთა ქონდრისკაცობას აბრალებს. მისი შეფასებით, ჩვენი მწერლობა კრიტიკისათვის ჯერჯერობით ხელუხლებელი განძია.

სალიტერატურო კრიტიკის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო კიტა აბაშიძემ, რომელმაც 1897 წელს ვალერიან გუნიას რედაქტორობით გამომავალ გაზეთ "ცნობის ფურცელში" (23) გამოქვეყნებულ წერილში "ჩვენი მწიგნობრობა და კრიტიკის უქონლობა" ჩვეული პირდაპირობით განაცხადა: ეს "საქმე ჩვენში საზოგადოდ ცუდად მიდის ისე, როგორც ყოველი საქმე" (აბაშიძე 1971: 55). ამ მოვლენას კ. აბაშიძე პროფესიონალიზმის დეფიციტით ხსნის: "ჩვენ გვყვანან ლიტერატორები, რომელთაც ადგილი სრულიად არა აქვთ ლიტერატურაში, ჩვენ გვყვანან გამომცემელნი, რომელთაც გაზეთის დამტარებლობა უფრო შეშვენით" (აბაშიძე 1971: 56). ამ უკანასკნელთ ავტორი "სალიტერატურო ასპარეზზე სათარეშოდ გამოსულთ" უწოდებს და ერთადერთ გამოსავალს კრიტიკის "სასტიკსა და გონივრულ განსჯაში" ხედავს: "საჭიროა, კრიტიკამ ამცნოს საზოგადოებას უვარგისობა ამა თუ იმ გამოცემისა და გააფრთხილოს — უსარგებლო ხარჯი არ მოუვიდეს. ჩვენს მდგომარეობაში ეხლა აუცილებელია კრიტიკა, კრიტიკა ყოველივე მოვლენისა, და მით უფრო ლიტერატურისა. კრიტიკამ უნდა დაგვანახვოს ამა თუ იმ წიგნის ღირსება და უვარგისობა" (აბაშიძე 1971: 57).

მკვლევარს გაცნობიერებული აქვს, რომ ჩვენში ჯერჯერობით შეუძლებელია, ყოველმხრივ განსაჯო და შეაფასო ნაწარმოები, რადგან ჩვენ "არა გვაქვს ისტორია, არა გვაქვს მემუარები, არა გვაქვს შეკრებილი სხვადასხვა დოკუმენტები". კ. აბაშიძე განმარტავს საკითხის გენეზისს, რასაც ესთეტიკურ და მორალურ კრიტიკასთან აკავშირებს. მისი თავდაპირველი ჩანასახი გრამატიკული კრიტიკაა, - შენიშნავს იგი, შემდეგ კრიტიკა ნაწარმოების ესთეტიკურ მხარეებს აფასებს, ამის შემდეგ — ზნეობრივს, ხშირად - ორივეს. აბაშიძის მოსაზრებით, მხოლოდ ისტორიული და სოციოლოგიური კრიტიკა გვიხსნის, რამ დაბადა ლიტერატურის ესა თუ ის მიმართულება, რამ გამოიწვია მისი ღირსება-ნაკლოვანებები.

კრიტიკოსს მკვლევარი "ლიტერატურულ მოვლენათა თვალყურისმგდებელს, მის განმსჯელს" უწოდებს, რომლის მოვალეობაა ცუდი აძაგოს, კარგი აქოს და "საზოგადოებას შეაძლებინოს ლიტერატურის თვალყურისდევნება". ამავე დროს, კრიტიკოსზე "დროის მოთხოვნილება" და მისივე "საზოგადოების გემოვნებაც" ახდენს გავლენას, რადგან მათ შორის ორგანული ფარული სულიერი კავშირი არსებობს.

სტატიაში "ან. დეკანოზიშვილის ფსიქოლოგიური ეტიუდები" კ. აბაშიძე შენიშნავს: "კრიტიკის უმთავრესი დანიშნულება ის არის, რომ თანამედროვე მწერლობას მიაქციოს ყურადღება, აუხსნას იგი საზოგადოებას, თვით მწერალს დაანახვოს მისი ნაკლულევანება და ღირსება, უჩვენოს მწერლობას მისი დიდებული დანიშნულება და უდიდესი მნიშვნელობა კაცთა ცხოვრებისათვის" (აბაშიძე 1971: 86).

სტატიაში "ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობის გამო" კიტა აბაშიძე პასუხობს ია ეკალაძეს და განმარტავს, თუ რამ განაპირობა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის დაცემა-დაქვეითება. ამ მოვლენის უმთავრეს მიზეზს ავტორი ლიტერატურისა და კრიტიკისადმი გულგრილობაში ხედავს. მისი განმარტებით, "კრიტიკოსიც ერთგვარი ქურუმია სიტყვაკაზმული მწერლობისა.. კრიტიკოსი ისეთივე ამხსნელია ცხოვრებისა, როგორც ყოველივე ხელოვანი.. კრიტიკოსი მწერლობას იხდის თავისი მსჯელობის ობიექტად და იმ მწერლებს მოიხსენიებს აღტაცებით, ვინც აკმაყოფილებს მის შეხედულებასა და გრძნობას მსოფლიოზე და მას იწუნებს, რომელიც, მისი აზრით, ხელოვანი არ არის" (აბაშიძე 1971: 322).

ქართული ლიტერატურის დაცემის მიზეზებზე კ. აბაშიძე იაკობ ფანცხავასაც ეკემათება წერილით "საქართველოს წარსული საუკუნის ლიტერატურა, მისი მოსალოდნელი და სასურველი მომავალი". იგი წერს: "ჩვენი ლიტერატურის დამფასებლები ჯერ ბრბოს გემოსა და წარმოდგენას ვერ გასცილებიან" (აბაშიძე 1971: 309).

ანალიტიკურ ნაშრომებში კიტა აბაშიძე ახასიათებს როგორც ლიტერატურის ცალკეულ წარმომადგენლებს, ისე ქართული მწერლობის გლობალურ ტენდენციებს. წერილში "XIX საუკუნე საქართველოს ლიტერატურისათვის" მკვლევარი განსახილველ პერიოდს კრიტიკულად აფასებს: "საქართველოსათვის, მეცხრამეტე საუკუნე, ასე ვთქვათ, არც კი არსებობს", რადგან "საქართველო, როგორც პოლიტიკური არსება, მოისპო" (აბაშიძე 1971: 273). მკვლევარი XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის "უმთავრეს ტონად" ღრმა პესიმიზმს მიიჩნევს, რაც, თავის მხრივ, ერის სულიერი განწყობილების გამომხატველიც იყო: "ამ საუკუნეს ჩვენმა ლიტერატურამ სავსებით ამცნო კვნესა, გოდება და უსასოება, დაანახვა, რომ ცხოვრების უსასო მდგომარეობამ აზრი წარგვიწყმინდა და გრძნობა მოგვიწამლა" (აბაშიძე 1971: 278). თუმცა, მკვლევრის შენიშვნით, ისტორიის გადასახედიდან "საღი პესიმისტური შეხედულება ცხოვრებაზე უფრო ნაყოფიერია, ვიდრე ბალღური ოპტიმიზმი".

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესწავლისა და სისტემატიზებისათვის საეტაპო მნიშვნელობის გახდა კიტა აბაშიძის "სალიტერატურო მიმოხილვები". "სალიტერატურო მიმოხილვა 1895 წლისა" ამავე პერიოდის სამწერლო პროცესს აჯამებს: "ქართულ ლიტერატურასაც დაეტყო უკანასკნელ დროს სიფხიზლე და გამოღვიძება, მაგრამ შესანიშნავი მაინც არა მომხდარა-რა" (აბაშიძე 1971: 94). "მოამბის" პუბლიკაციებიდან კრიტიკოსი იხსენებს განსვენებული ალ. ყაზბეგის დაუმთავრებელ მოთხრობას და სინანულს გამოთქვამს დიდებული მწერლის დაკარგვის გამო. ახალი თაობის მწერალთაგან კ. აბაშიძე გამოყოფს შიო არაგვისპირელს: "მე მგონია, ამ მწერალს ახალგაზრდათა შორის უპირველესი ადგილი უჭირავს. როგორც ეტყობა, მას სერიოზულად მოუკიდნია ხელი ლიტერატურისათვის და ნიჭიც აქვს.. მისი ნაწარმოებები სავსე არიან პოეზიით, ზოგიერთში ღრმა ფილოსოფიური აზრი არის გატარებული" (აბაშიძე 1871: 97).

კრიტიკოსის ყურადღება დაუმსახურებია არტურ ლაისტის მიერ გერმანულიდან ნათარგმნ მოთხრობას. "კვალის" სიტყვაკაზმული მწერლობის შეფასებისას კ. აბაშიძე კრიტიკულია აკაკი წერეთლის მიმართ, ვაჟა-ფშაველას "მუცელაში" იგი ცრუ-სიმბოლიზმს ხედავს. ამავე პათოსითაა შეფასებული დუტუ მეგრელის "საშინელი ქარიშხალი" და ვასილ ბარნოვის "სვიმონ ხელი". მიმოხილვის ბოლოს კიტა აბაშიძე ჩვენს მწერლობას გაძლიერებას უსურვებს და მის თანამედროვე ლიტერატორებს უცხო ქვეყნების მწერლობისა და ფილოსოფიის შესწავლას ურჩევს: "უამისოდ ყველა ტყუილია", - წერს იგი.

"სალიტერატურო მიმოხილვა 1896 წლისა" ევროპის ლიტერატურული პროცესის შეფასებით იწყება. ავტორი შენიშნავს, რომ ქართული ლიტერატურა საყოველთაო კანონს ემორჩილება. 1896 წლის პროზაული ტექსტებიდან კ. აბაშიძე გამოყოფს ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობას "გამარჯვებული ნიკო" ("მოამბე", II-III). მის ავტორს კრიტიკოსი იდეალური მიმართულების წარმომადგენლად თვლის, იმ მიმართულებისა, რომელსაც ჟორჟ სანდი ეკუთვნის. მისი მიმდევარი მწერლები იმას გვიწერენ, რაც უნდა იყოს და არა მას, რაც "ყოველდღიურ უგემურ ცხოვრებაში ყოველ ფეხის გადადგმაზე შეგვხვდება", - შენიშნავს ავტორი. მიმოხილვაში დახასიათებულია ან. დეკანოზიშვილის, განდეგილის, ილია ელეფთერიძის პროზაული ტექსტები.

"1899 წლის ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა" განიხილავს პ. უმიკაშვილის "ნახსოვნს", რომელიც, თავის მხრივ, ქართული თეატრის 50 წლის ისტორიის ეპიზოდის გადმოცემაა. მიმდინარე ლიტერატურული პროცესის შეფასებისას კიტა აბაშიძე სინანულით შენიშნავს: ილიასა და აკაკის, როგორც მწერლებს, მემკვიდრეები არ ჰყავთო, "ივერიაში" კი, მისი აზრით, წამყვანია ბე-

ლეტრისტიკა, რომელსაც უნდა ვუწოდოთ "კორესპონდენციის მსგავსი ბელეტრისტული მწერლობა". "კვალის" სალიტერატურო მიმოხილვისას კრიტიკოსი გამოყოფს იაკობ ცინცაძის (ია ეკალაძის) თხზულებებს, ელ. წერეთლის შემოქმედებას და ამ ქალი ავტორის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლას "საყურადღებო მოვლენას" უწოდებს არა მარტო ჩვენში, არამედ ევროპაშიც. კრიტიკოსის აზრით, ბელეტრისტული ნაწარმოებებით ყველაზე უფრო მდიდარი ჟურნალი "მოამბეა".

სოფრომ მგალობლიშვილის ერთ-ერთი მოთხრობის ("წარსულიდან") შეფასებისას კ. აბაშიძე ეხება პროზაიკოსის წერის მანერას და მწერალს ილია ჭავჭავაძის ჯგუფის რეალისტებს მიაკუთვნებს. წერილში განხილულია ასევე მელანიას (ნიკოლოზ ნათაძის) მოთხრობები. შიო არაგვისპირელსა და სხვა ახალგაზრდა მწერლებს კ. აბაშიძე "ჩვენი ლიტერატურის ტონის მიმცემებს" უწოდებს. მათვე უკავშირებს იგი ქართულ ლიტერატურაში ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური მიმართულების შემოტანას. შესაბამისად, კ. აბაშიძის განმაზოგადებელი დასკვნით, "ის ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური მიმართულება, რომელსაც თავში უდგას შ. არაგვისპირელი, მტკიცდება და ფესვებს იდგამს" (აბაშიძე 1971: 269). კრიტიკოსის აზრით, ამ სკოლის წარმომადგენელია ი. ზურაბიშვილი. "წარსული მიმართულება ლიტერატურისა, - ნატურალიზმი ირღვევა", - წერს აბაშიძე და ამ დარღვევის სიმპტომს იგი მელანიას "ნავარდობაში" ხედავს.

ანალიტიკური მიმოხილვა "ქართული ლიტერატურა 1907 წელს" "უმაგალითო, თავზარდამცემ უბედურებას" — ილია ჭავჭავაძის ბარბაროსულ მკვლელობას ეხმაურება: "თვალწინ მოგვიკლეს ეს კაცი, ეს დიდებული მოძღვარი, ჩვენი ერის სულის მშვენება და ჩვენ ვერც კი გაგვიგია, ვინ, როგორ, რატომ?" (აბაშიძე 1971: 311). წერილში შეჯამებულია 1907 წლის ლიტერატურული პროცესი და ამ დროის ახალგაზრდა ქართველ ავტორთაგან გამოყოფილია მიხეილ ჯავახიშვილი: "ყველაზე დიდი ყურადღების ღირსია ადამაშვილი, რომელსაც უეჭველი ნიჭი აქვს მხატვრისა და თავისებური მანერა წერისა. ამ მანერაში ნატურალიზმი და რომანტიზმია შედუღებული." კ. აბაშიძის დაკვირვებით, ამ მანერითაა დაწერილი მისი მოთხრობები: "ჩანჩურა", უპატრონო", "მეჩექმე გაბო", "თავდავიწყება".

"1908 წლის სალიტერატურო მიმოხილვის მაგიერ" წლის მნიშვნელოვან მოვლენებს წარმოადგენს. მათგან კრიტიკოსი პირველ ადგილს აკაკი წერეთლის იუბილეს აკუთვნებს ("ამ დღესასწაულმა ისეთი დიადი წუთები განგვაცდევინა, რასაც საუკუნეში ერთხელ თუ განიცდის კაცი", - წერს იგი). მეორე მოვლენად შერაცხულია სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების დაარსება, მესამე კი ლიტერატურას ეხება: კ. აბაშიძე აფასებს ა. შანშიაშვილის პოეზიას, "როგორც ერთ სასიამოვნო მოვლენას".

ქართული მწერლობის კვლევისა და სალიტერატურო კრიტიკის ჩამოყალიბებისათვის საეტაპო ღირებულება შეიძინა კიტა აბაშიძის ფუნდამენტურმა წიგნმა "ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ", რომლის პირველი ტომი 1911, მეორე ტომი კი 1912 წელს დაისტამბა. ავტორის შეფასებით, "ეს ერთად ერთი სისტემური შრომაა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ". კიტა აბაშიძის ამ ნაშრომმა დროის ქარტეხილებს ღირსეულად გაუძლო და უკვე საუკუნეზე მეტია, იგი მკვლევართა და მკითხველთათვის შეუცვლელი სამაგიდო წიგნია.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. აბაშიძე 1971: აბაშიძე კ. ცხოვრება და ხელოვნება (დავით გამეზარდაშვილის რედაქციითა და შესავალი წერილით). თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1971.

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე

კოსმოპოლიტური შემოქმედი

უკიდეგანო, საუკუნოვან ქართული პოეზიის ისტორიას არც იმდენი ცნობადი პოეტი ჰყავს ზღვა და ქვიშასავით უთვალავნი რომ იყვნენ და არც იმდენნი თითზე ჩამოსათვლელად რომ ითქმებოდნენ, ასეა თუ ისე სწორედ ასეთთა შორისაა მხოლოდ დღევანდელობის კი არა, საკმაო ხანის მშობლიური პოეზიის არენაზე გამოსულ-გამობრძმედილი, სამშობლოს სიყვარულით სტრიქონ ჩაკირული, მრავალმხრივ სათნო შემოქმედი, კომპიუტერული ეპოქის ცნობადი სახე, პოეტი ბატონი უშანგი მოსიაშვილი.

მის ჭეშმარიტ, წრფელ პატრიოტიზმზე, მისეულ ალალ კალმოსნობაზე, მრავალმხრივ საქვეყნო შემოქმედებაზე მრავალი საფანატო ითქვა და დაიწერა კიდეც. რისი ერთ-ერთი მასაბუთებელიცაა ახალი საუკუნის მეჩვიდმეტე წელს და სტამბული მშობლიური ლიტერატურის წიგნ-საჩუქარი, რომელსაც განზოგადოებული, აბსოლუტურ პოზიტიური სახელწოდება „მოდით, კაცებად დავრჩეთ ბოლომდე!“ ქვია და რომლის გარეკანსაც ავტორის რეალობაში მოფიქრებით და სახსრებით ნაშენი ქრისტიანულ სარწმუნოებრივი ტაძარი ამშვენებს, რომლის ღირებულებაც ეკონომიური თუ ესთეტიური თვალსაზრისით აუწონავია.

პოეტის ზოგად მრავალმხრივი შემოქმედება კი იმად სახელდება, რომ გამორიცხულია მის მიერ საქველმოქმედო, საერო საქმინობის სრულიად აღნუსხვა, რაც ამ წერილის ფორმატის სათქმელს თვალნათლივ აღემატება, (წიგნის კვალიფიციურ, პრესტიჟულ რედკოლეგიაზე აღარას დავძენ, რაც გამოცდილი მკითხველისთვის ეგზომ აქტუალურ-პირველსახოვანია).

ხოლო რაც შეეხება ბატონი უშანგის, მისი ინტელექტუალური სულისკვეთების, მთლიანი პოეტური კონცეფცია სამშობლოს კეთილდღეობის საფიქრალით იმსჭვალება, როგორ სტრიქონთა უმრავლესობაც მრავლადაა წარმოჩენილი ამ წიგნში, როგორთა რიცხვსაც მიეკუთვნება უშტამპოვკო მრავალი ლექსები: „საქართველოს“, „ნუთუ დაკნინდა ქართველი ერი“, „სამშობლოს“, „მუდამ ვფიქრობ“, „ვისაც ამ ქვეყნის ტკივილი“, „9 აპრილს“, „საქართველოს საშველად“, „მე საქართველოს სიკეთე მინდა“, „საქართველოს მომავალს“, „ო, როგორ გიჭირს კურთხეულო, ჩემო ქვეყანა!“, „სიზმრად ვნახე საქართველო“, „საქართველოს გასაჭირი“, „დამილოცეთ საქართველო“, “ენავ ქართულო“, „დიდი წინაპრები“, „მამულს“, „სამშობლო მთელი“ და სხვა მრავალი.

ლექსში „საქართველოს“ ერთ-ერთ სტროფში ოპტიმისტი ავტორი ამბობს: /ბევრმა ქარიშხალმა გლეწა/, მეხმაც გადაგიარა/... მაგრამ ქართვლის დედამ ცრემლით/, მოგიშუშა იარა/.

ხოლო შემდგომ ცინცხალ ლექსში: „ნუთუ დაკნინდა ქართველი ერი“ პოეტი ასე ოპტიმისტურად ითხოვს თავის მიწაზე გმირის გაჩენას და ამბობს: ,,მამულო ჩემო შესთხოვე გამჩენს /, რომ შენს მიწაზე გულგმირი გაჩნდეს! /.

ლექსში კი „ვისაც ამ ქვეყნის ტკივილი“, ავტორი ნატკენი გულით, მკაფიოდ ითხოვს/„ბევრ ქარტეხილმა ჩვენს მიწას/, ჩამოაცალა კლდეები/, არ დარჩეს ქვეყნად არავინ/ ვინც შეგვიმოკლა დღეები/.

ქართველთა თავგანწირვას კი თავისებურ კომუნიკაბელური ჟესტით აღწერს ავტორი ლექსში „9 აპრილს“: /გლოვით შეძრწუნდა კავკასიონი/, წამოიმართნენ ზვიადი მთები/ მუშტად შეიკრა მთლად საქართველო/ აღდგა, აზვირთდა, გაშალა ფრთები/.

ეს კი აღმასაფრენია ნებისმიერი მკითხველისთვის, როცა ავტორი არა პიარისთვის, არამედ გულით გამოხატავს სამშობლოს წრფელ სიყვარულს თანაც ისეთ ლექსში როგორიცა „ჩვენი

ცხოვრება წააგავს ალბათ“: /მეტეორივით მოწყვეტილს ვგავარ, ჩემო/ ქვეყანავ შენზე ფიქრებით/, ისე გავიღებ შენთვის სიცოცხლეს/, ერთი წუთითაც არ დავფიქრდები/.

ამდაგვარ სტროფთა გვერდით ბატონ უშანგის აქვს გამოქვეყნებული შთამაგონებელი ლექსი „ქართველი აღარ დარჩება“, რომელშიც მისეულად სალექსო სტილ-ხრიკ-სარკაზმის ანუ რიგ ატრიბუტების გარეშე პირდაპირ ანუ მისეულად, საკუთარი სასიტყვეთის მარაგის მეშვეობით ამბობს ერის გენოციდით გამოწვეულ ფასეულ სატკივილო სათქმელს: /რაქნას იმან ვინც არ იცის ინგლისური ენა! /ვინც ფეხით არ მოიარა ლონდონი და ვენა/. ავტორმა იცის რომ ქართველი არაა შტერი და არც გონ დაკარგული რისთვისაც სათქმელს ასე განაგრძობს: /განა ყველა შტერი არის? /და არაქვთ გონი? / ქვეყნის მესვეურთ ასე შთააგონებთ: / ცხოვრებას რომ არ აკარებთ / ვერ გაცურა ფონი/. ჯკვლავ სიმართლის მღაღადებელი სტროფი: / ასე ვარჩევთ დღეს მინისტრებს/, მიტომ არ აქვთ ფასი/ ერთეული ცხოვრობს კარგად/? მშიერია ასი/. პოეტის იარაღი თავისთავად კალამია, რომელსაც ასე შემგონებლურად იყენებს: / და თუ დითხანს ასე გასტანს/, ხალხს ვერ დავასაქმებთ/, ქართველი აღარ დარჩება/, ჩვენს ქვეყანას ნაქებს/.

ხოლო ცნობილია თავად ბატონი უშანგი მოსიაშვილს მრავალი თანამემამულე მის შეძლებისდაგვარათ რომ დაუსაქმებია.

წიგნში გრაკვეული ადგილი ცნობად, თანამედროვეებზე, გმირ წინაპრებზე და მეფეებზე მიძღვნილ ლექსებს უკავია. ასეთებია: „აკადემიკოს ვაჟა ეგრისელს“, „მეფე ერეკლეს“, „ვაჟა ფშაველას“, „სტალინს“, „ვახტანგ გორგასალს“, „მეფე თამარი“, „დავით აღმაშენებელი“, „მეფე მირიანი“, „ფარსმან მეფე“, „ბატონ ნიკო ხერკელაძეს“, „ბატონ ანზორ ჯაფარიძეს“, „ქალბატონ გულნაზსს“ (ხარაიშვილს), „,მამა ამირანს“, „ბერი თევდორე“ და სხვები.

თუმცა ვერ განვაცხადებ, რომ არ ვიცნობ ისეთ პოეტს, რომელიც თან ხატავდეს მეთქი მაგრამ იმას კი დაბეჯითებით დავძენ, წიგნს დიდ ლაზათს მატებს ბატონი უშანგის ფანტასტიური, ფერწერული პროექტები, რომელიც მიძღვნილია საქართველოს გვირგვინოსნებისადმი. ასეთებია: აიეტი, ფარნავაზი, ფარსმან ქველი, მირიანი და ნანა დედოფალი, ვახტან გორგასალი, გიორგი მესამე, ბაგრატ მესამე, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, დემეტრე თავდადებული, გიორგი ბრწყინვალე, ლუარსაბ პირველი, ლუარსაბ მეორე, სოლომონ პირველი, ერეკლე მეორე და მრავალი სხვა.

პოეტ, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედ, ბატონ უშანგი მოსიაშვილს არაერთი წარმატებული დიპლომი აქვს მინიჭებული. მათ შორისაა: რესპუბლიკის საუკეთესო ახალგაზრდა რაციონალიზატორის წოდებისა, პატენტთმცოდნების ინსტიტუტის დამთავრებისა, მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლებისათვის ბატონი უშანგი დაჯილდოებულია აგრეთვე ორდენით „ეკონომიკის ვარკვლავი“ მიღებული აქვს მრავალი სამახსოვრო ორდენი აგრეთვე საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდიას“ ნამდვილი წევრობის დიპლომი. აგრეთვე საქართველოს ეროვნული აკადემის ნამდვილი წვერობის დიპლომი. 2006 წელს მიენიჭა „წლის ინჟინრის“ წოდება და ათასი სხვა დიპლომი დამსახურებისათვის. ნათქვამი ვინმეს მოჭარბებულ-გაზვიადებული რომ არავის ეგონოს, ამდაგვართა ასლებს იხილავთ წიგნის დასასრულს...

პატრიოტ, აკადემიკოს ბატონი უშანგის ღირსეული, კოსმოპოლიტური შემოქმედება, მისი უშუალო, გულში ჩამწვდომი, მომწოდებლური ლექსები მომავალ თაობებს სასწავლ-სამაგალითო ბერკეტ-საგანძურად გამოადგებათ...

თითქმის ყოველი მეფის ხატება
აამეტყველე ფერად პორტრეტად,
მარჯვენით მხატვრად დაბადებულხარ,
ხოლო სულით კი ქართველ პოეტად.

Lali Ratiani
Professor, Doctor deutscher Philologie
Suchumer Staatlichen Universität

AUSGLIEDERUNGSKRITERIEN, UNTERSCHIEDLICHE SCHICHTEN UND WECHSELBEZIEHUNGEN ZWISCHEN DEN REDETEILEN/ DEN REDEEINHEITEN

Dem vorliegenden Artikel liegt die Arbeiten der Vertreter von linguistischen Schulen in verschiedenen Jahren erschienen Grammatiken, die Darstellung der Wortartentheorien, die Artikel von einer Reihe der Grammatikkenner zugrunde.

Eines der Probleme in der Grammatikforschung der deutschen Sprache ist bis auf den heutigen Tag die Einteilung der Wörter in Wortarten, Redeteile, Wortklassen. Die Präzisierung der traditionellen Klassifikation und das Vorlegen einer neuen Gliederung-das sind zwei Tendenzen im wissenschaftlichen Schriften, die sich bemerkbar machen.

Die Präzisierung beruht sich auf Versuchen, die unterschiedlichen Schichten einer Wortart aufzudecken, die Wechselbeziehungen zwischen den Wortarten und den Redeeinheiten zu erforschen, sowie die Ausgliederungkriterien der Wortarten, die grammatische Semantik, die morphologische Form und die syntaktische Funktion tiefer und allseitiger zu begründen.

Die Grammatiker, die gegen die traditionelle Klassifikation auftreten, wenden sich gewöhnlich gegen das semantische Merkmal, als ein Kriterium, das sich für eine Definition der grammatischen Klassen nichts eignet und gegen die Einteilung auf Grund von drei Kriterien, weil jede wsissenschaftliche Klassifizierung nur nach einem Grundsatz vollzogen werden dürfte.

Für die neuen Einteilungen werden sowohl formelle, rein grammatische, der Struktur der Sprache angemessene Prinzipien als auch morphologische und syntaktische Merkmale gewählt. Man versucht dabei, die Wortarten nach einer dieser Merkmale und mit Hilfe eines neuen Verfahrens auszugliedern.

Bei der Betrachtung der neugewonnenen Klassen jedoch werden die bei der Ausgliederung nicht berücksichtigten Kriterien entweder bei der Subklassifizierung oder, bei der Schilderung verschiedener Aspekte der Wortarten in Betracht gezogen.

Mit der Klassifikation der Wortarten sind die Fragen, die Probleme über die unterschiedlichen Einteilungen und Definitionen der Woftarten, die Auffassung des Sprachbaus, die Struktur der Gesamtdarstellungen aufs engste verbunden.

Man stützt sich bei der Ausgliederung der Wortarten auf die morphologische Form des Wortes. Die semantische Interpretation der Wortarten folgt nach ihrer Ausgliederung.

Manche Grammatikkenner vertreten den Standtpunk eine grammatische Klassifikation der Wortarten, der Redeteile nach den grammatischen Gesichtspunkten zu erfolgen.

Als grammatische Grundlage der Einteilung der Redeteile gelten morphologische und syntaktische Prinzipien, wobei man das semantische Ausgliederungskriterium ablehnt und sich auf die Klassifikation von H.Glinz stützt. Er geht beim Aufbau seines grammatischen Systems von der Analyse eines konkreten Textes aus, die Syntax steht im Vordergrund. Er stellt in seinem Buch die Wortfolge im Deutschen dar, mit deren Hilfe die finite Verbform ermittelt wird. Bei der Beschreibung des Nomens und des Nominalsystems beruht auf syntaktische Grundlage.

Die Analyse dieses Systems beginnt mit der Analyse der Kasus, die bei der Gegenüberstellung der aktiven und passiven Konstruktion erkannt werden. Er geht direkt zu den Substantivgruppen über zu den übrigen Wortarten, indem er sich der eigentlichen Mophologie zuwendet. Sein Hauptanliegen sieht Glinz in der Darstellung struktureller Funktionen der morphologischen Formen im Satz, ihr Funktionieren als Mittel zur Organisation der Redeeinheiten. Er sprach gewöhlich von der semantischen Interpretation, weil wohl die semantischen Merkmale beim Fehlen von klaren morphosyntaktischen Signalen, formellen Merkmalen ausschlaggebend sind. Die Wortklassen werden vorerst nach ihrer Flektierbarkeit in Hauptgruppen gegliedert. Bei der Differenzierung-besonders der unflektierbaren- zieht man syntaktische Kriterien heran. (Flämig)

H.Brinkmann unterscheidet in seiner Gesamtdarstellung sechs Wortarten: vier Wortarten mit eigener Geltung-Substantiv, Adjektive, Beziehungswort und Verb und zwei für die Rede angelegte Wortarten:Umriβwörter und Konjunktionen.

Als seine besondere Schicht des Adjektivs wird das traditionelle Numerale, Mengewörter dargestellt. Substantiv, Genus und Numerus, die Adjektivadverbien werden zum Adjektiv, die Adverbien zu den Konjunktionen zusammen mit den Interjektionen gerechnet(Brinkmann H. Die deutsche Sprache, Gestalt und Leistung, Düsseldorf, 1971)

Im Wortartsystem hebt er zwei Momente hervor. Das erste Moment hängt aus engste mit der Entwicklung der Syntax der Rede, der Textlinguistik und der Makrosyntax zusammen. Das zweite Moment bezieht sich auf die Wortarten mit eigener Geltung, zu denen er in Substantiv, Adjektiv und Verb rechnet und sie dabei "höhere Wortarten"und in der Gesamtdarstellung auch das Beziehungswort nennt. Als Wortart ist nach Brinkmann das Beziehungswort durch seinen Inhalt bestimmt und die syntaktische Verwendung eher Folge als Ursache seiner Prägung".

In die Klasse der Beziehungswörter werden die eigentliche Präpositionen, die trennbaren Präfixe der Verben und die zweite Komponente der Komposita mit da(r) eingereiht.Viele moderne Forscher sehen in der Präposition gewöhnlich ein Funktionswort(O. Moskalskaja, H. Glinz)und diese Auffassung des Beziehungswortes unterscheidet sich von Brinkmans Definition. H.Brinkmann und W. Admoni zählen die Präposition zu den Hilfswörter, für ein vollständiges, leeres Wort, das nur eine syntaktische Beziehung ausdrückt und auch diese Beziehung für ein Wort konkretisieren kann, eben weil es eine lexikalische Bedeutung an sich hat.

Einerseits unterscheidet Brinkmann die Wortarten Substantiv, Adjektiv, Verbum und Beziehungswort, die eine Allgemeinbedeutung unabhängig von der syntaktischen Leistung haben und bestimmte Stellen im Satz besetzen können. Er untersucht die Rolle der gleichen Wortarten für den Aufbau und die Gliederung des Satzes auf zweiter Ebene. Diese Wortarten können auf dritter Ebene im Verweisungszusammenhang der Rede von Bedeutung sein. Das Genus, der Numerus, das Substantiv und eine Substantivgruppe erlauben in der Rede durch ein Pronomen wiederaufzunehmen. Als modifizierende Wortart fordert das Adjektiv einen Bezug, es kann auf etwas Vorhergesagtes Bezug nehmen und auf diese Weise eine Antwort beeinflussen. Das Verbum ist aber durch das Tempus, die Person und den Modus mit der Redesituation verbunden.

Brinkmann unterscheidet die Pronomen oder die Umriβwörter und die Konjunktionen, wie Substantive, Adjektive, Verben und Beziehungswörter, die auch auf der Ebene der Rede auftretten können. Die Pronomen hält er für die Rede angelegt und nennt sie Umriβwörter. Die Pronomen empfangen ihre Inhaltsbestimmung im Zusammenhang der Rede, von einer höheren Ebene aus als der des Satzes.

Zu der Wortart Konjunktion zählt er sowohl die eigentlichen satzverbindenden Konjunktionen, als auch die satzanschlieβenden Adverbien, wie: so, dann, da…und Interjektionen sowie andere satzwertige Wörter(Bejahung, Verneinung u. a. wie; ja, nein, bewahre) die eine Stellungnahme des Sprechers ausdrücken.

Man erkennt dem Beziehungswort einen Inhalt zu und man nennt eine Beziehung, die unabhängig von der syntaktischen Leistung existiert, Das Beziehungswort ist als Wortart durch seinen Inhalt bestimmt. Brinkmann steht in dieser Hinsicht Admoni nahe, die die Präposition zu den Hilfswörtern zählen.

Die Formen der Wortarten sind ihrerseits mit verschiedenen Leistungen im Satz verbunden. Jede Wortart enthält eine Grundschicht, die alle Formen komplet besitzt und zu allen Leistungen der Wortart fähig ist. Die übrigen Schichten enthalten Wörter, die alle Formen der Grundschicht besitzen. Gröβtenteils entstehen diese durch einen Übertritt aus einer Wortrart in die andere, wobei das Überwechseln mit einer Veränderung der Lautgestalt des Wortes und der Leistungen verbunden ist.

Durch den Austausch der Wortarten sind die meisten Schichten mit Ausnahme der Grundschicht entstanden. Einerseits führt diese Betrachtungsweise dazu, daβ bei der Beschreibung der Wortklassen Momente der Wortbildung der Wortarten zur Sprache kommt. Der Ausgang von den Wortarten gestattet es nach, die gesonderten Fächerungen der älteren Grammatik aufzuheben und zu einer ganzeinheitlichen Darstellung zu gelangen.

Den Wortarten gesteht z,B. Schmdt eine eigene Geltung zu, die logisch-grammatische Funktion und begrifflich-kategoriale Prägung, neben ihren strukturellen Wert, der im Satz zum Ausdruck kommt. Man versteht unter strukturellem Wert sowohl die syntaktische Funktion, die Rolle des Wortes im Satz, als auch die sie kennzeichnende Form.

Die Ausgliederung der Wortarten erkannt man damit nach drei Merkmalen an. Logisch-grammatische Funktion und begrifflich-kategoriale Prägung entspricht dem “verallgemeinerten abstrahierten Bedeutuingsgehalt.(W. Admoni) oder der “ Allgemeinbedeutung”(O. Moskalskaja)

Was es das Numerale anbetrifft, wird es vor allem als Pseudowortart ausgeschlossen, weil es nach W. Schmidts Ansicht nur einen Sachbedeutung und keine begrifflich-kategoriale Prägung hat. Auf Grund des spezifischen allgemeinen Bedeutiungsgehalts sonderten die sowjetischen Germanisten das Numerale als Wortart aus. Es wird darauf hingewiesen, daβ die zählende Wortart oder die Numeralia ihrer morphologischen Prägung und syntaktischen Verknüpfbarkeit nach keine einheitliche Wortklasse bilden. In Adjektiv und Adjektivadverb gibt W. Schmidt die hekömmliche Eintelung auf. Er unterscheidet im System der deutschen Wortarten: Substantiv, Adjektiv, Verb, Stellvertreter und Begleiter des Substantivs Kennzeichnungswort, Fügewort und Interjektion.

Was die drei Wortarten Stellvertreter und Begleiter des Substantivs, Fügezeichnungswort und Fügewort anbetrifft, so entspricht ihre weitere Subklassifizierung in Artikel, Pronomen, Adverb, Partikel, Präposition und Konjunktion der traditionellen Einteilung. Die Sonderstellung der Interjektion ist von der traditionellen und nichttraditionellen Grammatik erkannt(L.W. Schtschertba, H. Glinz u. a.)

Gegen die traditionelle Einteilung der Wortarten wendet man sich nach drei unterschiedlichen Kriterien /dem semantischen, dem morphologischen und dem syntaktischem / und man versucht auβerdem eine einheitliche Beschreibung vom syntaktischen Gesichtspunkt auszuarbeiten.(G.Helbig) Man stützt sich dabei auf solche Konzeption von Ch. C.Fries, der ein System der Formklassen, Wortarten von der syntaktischen Position aus für das Englische vorlegt. In einem ersten Versuch wird vier Formklassen und neunzehn Funktionswötrer für das Deutsche ausgesondert. Eine Darstellung des Wortartensystems liegt in der deutschen Grammatik von G. Helbig und J. Buscha vor. Nach dem gleichen Prinzip versuchten diese Autoren die vier hauptsächlichen Wortklassen-Verb, Substantivwörter, Adjektiv, Adverb, drei Blöcke und sechs Klasse von Funktionswörtern-Artikelwörter, Präpositionen, Konjunktionen, Partikeln, Modalwörter,Satzäquivalente zu unterscheiden. Durch die Einsetzung der unterschiedlicher Merkmale dieser Klassen sollen in bestimmte Substitutionsrahmen , in bestimmte Positionen im Satz erwiesen werden. Auf diese Weise werden die Numeralia von ihrer Position im Satz ausgehend zu den Adjektiven gerechnet.

Man ermittelt die Wortarten vor allem durch die Analyse der Gesamtheit der Umgebungen und durch die Feststellung der Distribution. Die Adjektive werden von den Artikelwörtern abgegrenzt werden. Ein Artikelwort kann auf diese Weise grundsätzlich vor dem Adjektiv stehen, während vor dem Artikelwort kein anderes Artikelwort benützt werden darf.

Die Ausgliederung der Wörter in Klassen nach der Position und Distribution im Satz führt auch zur Aufhebung der Pronomina als eigenständige Wortart. Ein Teil der Pronomina werden in die ausgegliederte Wortklasse, Artikelwörter eingereiht. Das betrifft die Demonstrativa, die Possessiva und manche adjektivisch deklinierbaren Indefinita, weil sie immer vor einem Substantiv stehen, wenn sich vor dem Artikelwort kein anderes Artikelwort befindet und es seine Position im Satz zusammen mit mit dem zugehörigen Substantiv ändern kann.

Die substantivischen Pronomina, als ein anderer Teil der Pronomina, wie das Personal-, Interrogativ-, Demonstrativ-, Indefinit-, Possessiv- und Relativpronomen, bilden mit den eigentlichen Substantiven die Klasse der Substantivwörter. Die gleichen Pronomina gelangen manchmal in zwei verschiedene Klassen –in die Artikel- und die Substantivwörter. Es sind die Indefinita, die in der Position eines Artikels und eines Substantivs verwendet werden können. z. B. Alle begaben sich in die Aula / (Substantivwort), Alle Studenten haben jetzt Ferien (Artikelwort)

Bei der Ausgliederung der Wortarten wird die Nominalisierungstransformation verwendet. Diese Methode ist aus der generativen Grammatik übernommen. Die Verwendung dieses Verfahrens deutet auf die Ausgliederung der Wortarten in gewissen Fällen von der Satzsemantik her. z. B. Sie kommt bestimmt; Sie kommt; Ihr Kommen ist bestimmt(Adverb); Sie kommt vermutlich; Man vermutet, daβ sie kommt.(Modalwort)

Die Interjektionen und die Wörter, die nicht Teil eines Satzes sind, sondern selbst Sätze darstellen, umfaβt die Wortklasse der Satzäquivalente. Der traditionellen Wortart entsprechen die Partikeln mit einigen Ausnahme. Die morphologische Form und die Semantik der Wortklasse werden nach der Aussonderung erörtert.

რატიანი ლალი

სამეტყველო ერთეულთა დაყოფის კრიტერიუმები, განსხვავებული შრეები და ცვალებადი მიმართებები

რეზიუმე

სამეტყველო ერთეულთა ტრადიციული კლასიფიკაციის დაზუსტებასა და მათი ახლებურად დაჯგუფებისას-მეცნიერულ შრომებში თავს იჩენს ორი საყურადღებო ტენდენცია.

ეს ტენდენციები ეფუძნება მცდელობას მეტყველების ნაწილებში აღმოჩენილ იქნას განსხვავებული შრეები, ღრმად შესწავლილ და ყოველმხრივ დასაბუთებულ იქნას მათ შორის არსებული ცვალებადი მიმართებები, დაყოფის კრიტერიუმები, გრამატიკული სემანტიკა, მორფოლოგიური ფორმა და სინტაქსური ფუნქცია.

სიტყვაჯგუფების ახალი კლასიფიკაციისათვის უნდა შეირჩეს როგორც ფორმალური, წმინდა გრამატიკული, ასევე ენის სტრუქტურასთან შესაბამისობაში მყოფი პრინციპები. ცდილობენ ახალი მეთოდების გამოყენებით მეტყველების ნაწილები დაჰყონ ერთი რომელიმე ნიშნის მიხედვით, ასევე სუბკლასიფიკაციის ან მეტყველების ნაწილების სხვადასხვა ასპექტების დემონსტრირებისას ყურადღება მახვილდება მათ დაყოფასთან დაკავშირებულ გაუთვალისწინებელ კრიტერიუმებზეც.

Ratiani lali

Ausgliederungskriterien, unterschiedliche Schichten und Wechselbeziehungen zwischen den Redeeinheiten

Resüme

Die Präzisierung der traditionellen Klassifikation und das Vorlegen einer neuen Gliederung der Redeeinheiten-das sind zwei Tendenzen im wissenschaftlichen Schriften, die sich bemerkbar machen.

Diese Tendenzen beruhen sich auf Versuchen, die unterschiedlichen Schichten einer Wortart aufzudecken, die Wechselbeziehungen zwischen den Wortarten und den Redeeinheiten zu erforschen, sowie die Ausgliederungkriterien der Wortarten, die grammatische Semantik, die morphologische Form und die syntaktische Funktion tiefer und allseitiger zu begründen.

Für die neuen Einteilungen der Redeeinheiten werden sowohl formelle, rein grammatische, der Struktur der Sprache angemessene Prinzipien gewählt. Man versucht dabei, die Wortarten nach einer dieser Merkmale, mit Hilfe eines neuen Verfahrens auszugliedern und auch bei der Ausgliederung nicht berücksichtigten Kriterien entweder bei der Subklassifizierung oder, bei der Schilderung verschiedener Aspekte der Wortarten in Betracht gezogen.

ისტორია

ნიკო ხერკელაძე

ქართველები ირანში

(დასაწყისი იხილეთ „ათინათი“ №№ 16-29-ებში
და „ანთოლოგიის“ მე-5,6,7 ტომებში)

* * *

ჩვენთვის ცნობილია ის, რომ ხოსრო მირზას ირანში ყოფნისას, თავისი მამის მხრიდან დაუდ-ხანი (სიმონ I-ის დიდის ძმა) ქართველი მოსახლეობა აუგად ახსენებდა. ამის გამო ირანის ქართველობიდან არავინ დაინტერესებულა მისით გარდა გ. სააკაძისა.

„ადრე ვიცოდი შეტყობა, კარგი კაცისა ცნობანი“.

„დიდმოურავიანი“

გ. სააკაძემ შაჰის კარის მაღალი ფენის საზოგადოებასთან დააკავშირა ხოსრო-მირზა.

1618 წელს, როდესაც შაჰ-აბასმა ისპაჰანის ტარუღა (ქალაქის თავი) თავისივე სიძე მირ-აბდალ-აზინი უპასუხისმგებლო საქციელისთვის გადააყენა, სააკაძეს ჰკითხა, ვინ შეიძლებოდა დაენიშნა ამ თანამდებობაზე. სააკაძემ ხოსრო-მირზა ურჩია (იქნებ ფიქრობდა, რომ მისთვის შეეთავაზებინა). ამ რჩევას უფრო პოლიტიკური ელფერი დაჰკრავს, რომ საიმედო დასაყრდენი ჰყავდეს ირანის კარზე. მისი შორისმჭვრეტელობაც ჩანს მომავალი საქართველოს ბედის წარმატება-აღმავლობისათვის, საძირკვლის შექმნა თავისი მომავალი საბოლოო გეგმების სწორად განხორციელებისათვის.

****** გ. სააკაძეს სულ ადვილად შეეძლო ირანში ფუფუნებით ეცხოვრა, იქნებოდა კიდეც სალხინებელში, მით უმეტს, მას საქართველოში დაუძინებელი მტრობა ელოდა, მაგრამ სააკაძეს თავისი ქვეყანა ეძახდა და უხმობდა, აქ იყო უფრო საჭირო მისი ენერგიის დახარჯვა; მას რომ გულის სიღრმეში მხოლოდ ირანული განდიდება ჰქონებოდა, რახან შანსიც მიეცა, ის ამ მდგომარეობას გამოიყენებდა, საამისოდ გამართლებას კი თავისი დაუღალავი მარჯვენით შეიქმნიდა, მაგრამ მას ბაკა ხერხეულიძის სპეტაკი სული სამშობლოსაკენ ეზიდებოდა, აქ ელოდნენ თავისი თანამოძმენი.

„ხანი რომ დავყავ, მიბოძის, რისაც არ ვიყავ მდომელი;
მაგრამ სევდა მწვავს ქვეყნისა, მით ვიყავ ცრემლთა მშრობელი“

„დიდმოურავიანი.“

სააკაძეს შაჰის მსგავსად რომ ემოქმედა, სულ იოლად მოუღებდა ბოლოს მისი ცხოვრების დამაქცევართ, მაგრამ ტაშისკარის ომის გმირს დიდი კაცის თვისებები დანათლული ჰქონდა უზენაესისაგან და თავისი ზნეობრივი მეობის წინააღმდეგ ვერ წავიდოდა. არც წავიდა. ეს ნიშნავს, რომ გაწონასწორებული გონებით მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების დამცველია და მოყვასისადმი მიმტევებელი. მას, ერგო აეწია ეპოქის თვირთი, პირადი ტრაგედიისთვისაც გაეძლო და ეს სანიმუშო ქმედებად აღიქმებოდა ქართველ ხალხში, რაც ფუძე-საყრდენად, მისაბაძ მაგალითად და შემდეგ – რწმენად გადაქცეული, ქმნიდა ეროვნული თვითშენახვა-გადარჩენის შინაარსიან პირობას.

ახლოვდება დრო ქართლში სააკაძის დაბრუნებისა, მაგრამ იმ ხანებში შაჰმა ქართლში ფ. ციციშვილი დანიშნა გამგებლად. ეს იყო დიპლომატიური ნაბიჯი, დროებით უვნებლობის გამოხატვის ფორმა, რაც თვით შაჰის ინტერესებშიც შედიოდა ქართლში სიმშვიდის შენარჩუნებისათვის; სააკაძის შიშის მომლოდინე თავადთა ნაწილიც შვებით ამოისუნთქავდა, რადგან მათი ინტერესები შაჰ-აბასისთვის ყურადსაღები ხდებოდა.

„მეც შემეძლო ამხანაგთა მაბეზღართა მტერობანი,
მაგრამ დავსთმი, ყველას უყვი მიცემა და ფერობანი.
ამისთვის ვქენ, მე მინდოდა აოხრებულთ შენობანი“.

„დიდმოურავიანი“

ფ. ციციშვილის გამგებლობით ქართლში სიმშვიდის დროებითი ნიადაგი შემზადდა, შემდგომ მდგომარეობა შეიცვალა და შაჰმა ქართლის მეფე-გამგებლად ბაგრატ-მირზა გამოაცხადა. მან ვერ გამოიჩინა სიმტკიცე, მისი მეფური გავლენა თბილისსა და ბოლნისს არ გასცილებია, ქართველებისათვის ის მიუღებელი იყო მრავალი მიზეზის გამო და უბრალოდ, თათარს ეძახდნენ. მართალია მწიგნობარი და ხელოვნების დიდი მოყვარული იყო, მაგრამ იმ გაჭირვების ჟამს ამ კუთხით მისი გარჯა ხალხისათვის ბევრი არაფრის მომცემი იყო.

ბაგრატ-მირზა 1619 წელს გარდაიცვალა. შაჰს ერთი ხანობა ფეიქარ-ხანის დანიშვნა უნდოდა ქართლის გამგებლად, შემდეგ გადაუფიქრია, შესაძლოა, იმის გამოც, რომ მას და ქართლში ხშირად მყოფ სააკაძეს უთანხმოება არ მოსვლოდათ. არჩევანი თავის ცოლის ძმაზე, სიმონ II-ზე გადაიტანა.

საგულისხმოა, შაჰი კარგად შემცნობი იყო ყველა ადამინური ღირსებისა და ნიჭისა, რაც სიმონ მეფეს გააჩნდა, მაგრამ მას მშვენივრად ეცოდინებოდა სიმონ II-ის სუსტი, მეფობისათვის შეუსაბამო თვისებებიც, მაგრამ ქართლის გამგებლად მაინც ის მიიჩნია. ისმის კითხვა: ვისი იმედით ? უნდა ითქვას, მაღალნიჭიერი და გულმტკიცე სააკაძის იმედით, რომელიც თანამრჩევლად დაუნიშნა. ესაა შაჰისგან გამოხატული დიდი ნდობა და პატივი სააკაძის მიმართ. 1620 წელს სიმონ-ხანმა და გ. სააკაძემ ქართლის მართვის სადავეები შაჰისგან ხელთ ჩაიბარეს. მათთან ერთად იმყოფება 1619 წელს შაჰის და სააკაძისაგან არაგვის ერისთავად დამტკიცებული ზ. ერისთავიც.

რადგან სააკაძეს დიდი მამულიშვილური განაზრახი ჰქონდა და მას სიმონ II-ის თანაშემწეობა ხელსაც აძლევდა, გამოიყენა ეს მდგომარეობა და თავის მოძულე მხარესთან შერიგების მიზნით, 1620 წლის სასამართლო მოაწყო (იხ. ზემოთ, გვ?). შიშით და უფრო გაკვირვებით მწყობრში მდგომი ნაწილი თავადები „დაუძმობილდნენ“ დიდსულოვან მეტოქეს.

სააკაძეს უკვე შერიგებულ თანამოაზრეთა სიმტკიცისათვის გამოუყენებია მაშინ არსებული კანონმდებლობაც, რაც ითვალისწინებდა მომხრეთა გამრავლებას ქართლის თავადთა გაერთიანების სახით.

ფეოდალური სახლის გაერთიანება ითვალისწინებდა სუსტი ფეოდალების მიერ ძლიერი მფარველის მოპოვებას. გაერთიანება თვით მფარველის ინტერესებშიც შედიოდა, რადგან ამით მისი სიძლიერე უფრო მტკიცდებოდა. 1624 წელს გ. სააკაძის სახლს შეერთებია ზაქარია და იესე ჯავახიშვილების ფეოდალური სამფლობელო „გაერთიანების წიგნით“, რომელშიც ნათქვამია: „მთელი ჩვენი მამული აზნაურებითა და ყმა-გლეხებით თქვენ მოგართვით და დაგანებეთ, ამისათვის, რომე ერთმანეთის პასუხი და ვალის დადება შეგვეძლო (ე.ი. ერთმანეთის დახმარება და მფარველობა შეგვძლებოდაო, – განმარტავს ისტორიკოსი გივი ჯამბურია), და ამისათვის გავერთდით, რომე მისთა დღეში ერთნი ვყოფილიყავით“.

თვალნათლივ ჩანს, რომ სააკაძე მიზანმიმართულად იღვწის თავდაცვის საშუალებების განმტკიცება-მობილიზაციისათვის, რომ ქართლის ერთსულოვნება აღადგინოს და გააძლიეროს. გაჩაღდა ციხე-სიმაგრეთა შეკეთება, აღდგენა, მისასვლელი გზების სამეთვალყურეო ფუნქციისათვის მზადყოფნა, იარაღის გაჭედვა-გაახლება...

ქართლში სიმონ-ხანის მეფედ დანიშვნამ და სააკაძის თანაშემწეობამ, როგორც ჩანს, შედეგი გამოიღო. სოფლად სამეურნეო აღმშენებლობა, რაც მეტი ნდობის მოპოვების პირობას ქმნიდა იგივე სიმონ-ხანთან, ეს მათგან ორივესგან ერთდროულად საკეთებელიც ხომ იყო. მეორე მხრივ, შემრიგებლური პოზიცია სააკაძისგან თავის სამტრო მხარესთან ამთლიანებდა ქართლის მოსახლეობის შეკავშირებასა და ერთად ყოფნის სიმტკიცეს, რაც მომავალი აჯანყებისათვის აუცილებელი იყო.

აქვე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს უნდა გაესვას ხაზი: ოპონენტურ მხარეს ვეკითხებით: როცა გ. სააკაძე თავის აშკარა მტრებს, კერძოდ, ქართლის დიდებულებს, შერიგების ხელს უწვდის, კახეთის მოსახლეობას, რომელსაც მისთვის არაფერი დაუშავებია, სამტროდ რის გამო მოეკიდებოდა?

შაჰ-აბასის თვალთახედვაში იმ ეტაპზე სააკაძის ასეთი აქტიურობა უნდა აიხსნას, როგორც შაჰის ცოლისძმის სუსტი მხარეების შევსება, როგორც, მაინც შაჰის ნდობით აღჭურვილი პირისადმი ანგარიშის გაწევა და პატივისცემის გამოხატვა მის მიმართ, რაც ქართლში სვიმონ II-ის მეფობისას სააკაძის მხარში დგომითაც აიხსნება. ამ ეტაპზე სამეურნეო საქმიანობით ქართლში დასადგურებული სიმშვიდე შაჰისათვისაც მისაღები იქნებოდა – დროებით მოულოდნელი იარა-

ღის ჟღარუნის ხმა არსად ისმის, ქარიშხალი ჩამდგარია, მაგრამ ფარულად, შორეულ მღვიმეებში იწრთობა ქართული ხმალ-შუბი...

„მე ქვეყნისათვის რამდენჯერ ვქენ თავის გაწირვანია,
მოწმედა მყვანან მრავალნი, არათუ შვიდნი, რვანია“.
„ვისაც სიჯაბნე შევატყვი, მასაც შევმატო გულია
მემკვიდრე მკვიდრზედ მოვიდეს, ვინც იყვნენ დაკარგულია.
სიხარულისა დღე გვქონდის, ვით წყლისპირ ალვა რგულია,
ამ დღეებისა შემსწრობი სევდით ვარ დადაგულია!“ .

„დიდმოურავიანი“

უნდა ვივარუდოთ ისიც, რომ სიმონ –ხანთან სააკაძის თანაშემწეობის გამო, მიუხედავად იმისა, რომ შერიგების გზა გახსნილი იყო, სააკაძის მტერი თავადები მაინც შფოთავდნენ, მათ ფსიქოლოგიაში დალექილ ამბიციებში ისევ ტივტივებდა ხორკლიანი აზრი: რახან სააკაძე, სვიმონ-ხანის თანაშემწეობით, ქართლის ტახტთან ახლოს დგას, იქნება ქართლის ტახტის დაკავებაც სწადიაო. ეს მოდიოდა ჯერ კიდევ 1610 წლიდან, როდესაც შაჰ-აბასმა, ტაშისკარის ომში ოსმალოებზე ქართველების გამარჯვებით კმაყოფილმა, პატივისცემის გამოსახატავად ირანში მიიწვია ლუარსაბ II, მან კი ქართლი სამეთვალყურეოდ სააკაძეს დაუტოვა. მაშინ აიდგა ასეთმა აზრმა ფეხი მათ გონებაში და ბაზალეთის მოვლენებამდეც კი გაჟონა.

ეს ეჭვი გაბათილდა: მარტყოფის ომის გამარჯვებით დამთავრების შემდეგ, სააკაძის ინიციატივით, გონიოს ციხეში მყოფი იმედგადაწურული თეიმურაზი კახეთისა და უკვე ქართლის საპატრონოდ მოიწვიეს. ეს სააკაძისაგან ცენტრალური ხელისუფლებისადმი ერთგულების გამოხატვა იყო. მარაბდის ომის შემდგომაც იმერეთს თავშეფარებული თეიმურაზი ისევ სააკაძის მეშვეობით გადმოდის აღმოსავლეთ საქართველოს საპატრონოდ.

შეუძლებელია, ნაწილ თავადებს არ დაენახათ სააკაძის სასიკეთო ქმედებები; გრძნობდნენ, კარგადაც გრძნობდნენ იმ ყოველივეს, რაც აღმოსავლეთ საქართველოში ხდებოდა, შაჰისგან გამოწვეულ გართულებებს თვითონაც რომ ხელს უმართავდნენ, მაგრამ სააკაძესთან, მის ამაგიან გულთან დიდებულების მიერ ვერშეგუების შურით ამოძახილი ქირქილი დღესაც კი უძინარია.

შაჰ-აბასი აღმოსავლეთ საქართველოზე მბრძანებლობდა და იმ დროს, ვისაც უფროსის სამტრო პოზიციები დროულად არ ესმოდა, არც იმათ ვენახს ესხმოდა.

ჩვენ ზემოთაც ვთქვით, თუ როგორი ნიღაბაფარებული მტერი იყო შაჰ-აბასი საქართველოსი. მისი ერთი საქმე მეფე-დედებულებთან დამოყვრება იყო, მეორე – რადიკალურად განსხვავებული – როგორმე აეყარა და ირანში გადაეხიზნა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა. ხშირად გვსმენია, სააკაძე რთული პიროვნება იყოო. ვერაგი იყო გარემომცველი მტერი, მათი გეგმები და ორ-სამმაგი ფარული მოქმედებები გადაჯაჭვული იყო შინაურ მტრებთან. ცხადია, იქმნებოდა ფარული სირთულეები. იმ ფარული მოვლენების არსში ჩაწვდომა, უშეცდომოდ გამოსასვლელი გზის ძებნა ზემაღალი უნარების მოხმობას მოითხოვდა პიროვნებისაგან. ამ რთული გზებით გადახლართული მოვლენებიდან საშველის პოვნა ასევე მტკიცე ნებისყოფის მქონე პიროვნებას ხელეწიფებოდა. ყოველი დროის მტრის გასანადგურებლად ძალის მოხმობას ერი ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს თავისი სიცოცხლისუნარიანობის წიაღიდან გამოიხმოს წინააღმდგომი ძალა, რომ როგორმე თავი დაიხსნას. იმ ეპოქაში ეს ძალა სააკაძის სახით წარმოჩინდა. არ იყო ადვილი საბრძოლო პოზიციების გზის ძებნა, მაგრამ უფრო რთული ხდებოდა მათი განხორციელება, ვინაიდან მტრის სიმრავლე და შინაურ მოწინააღმდეგეთა ფარული კავშირი შაჰის ჯაშუშებთან ართულებდა მტერზე გამარჯვების მოპოვებას.

გამუდმებულ ომებში მყოფმა საქართველომ მტერთაგან თავის დაღწევის საშუალებად თავისი უტეხი წიაღის ფესვებში წარმოშვა სიცოცხლის გადამრჩენი მარცვალი და ჩაიკირა იმ ძალით, რომ საუკუნეების ბრუნვაში შეინარჩუნოს ყველაზე აუცილებელი, უწყვეტი, მტკიცე სიცოცხლე წარსულიდან აწმყოში და გაგრძელება მომავალში, თავის თავში გადამრჩენი ძალების მიგნება-მოძიების ძალას ქართულ მოდგმას ეროვნული სიმცირეც აძლევდა.

რადგან მარტყოფის მოვლენებზე ვამახვილებთ ყურადღებას და ის ეპოქა პირდაპირ შაჰ-აბასთანაა დაკავშირებული, აქედან გამომდინარე, ყურადღების გარეშე ვერ დარჩება ძმების, ალავერდი-ხან და იმამ-ყული-ხან უნდილაძეების ირანული მოღვაწეობა, რაც პარალელად გასდევს შაჰ-აბასის ზეობის პერიოდს. უნდილაძენი მყარად ფეხმოკიდებულნი ჩანან, მაშინ იმ ეპოქის იმ გარკვეულ წლებში რა დროშიც ირანი აღმატებულ სახელმწიფოდაა ქცეული. უნდილაძენი დიდი ხარკის და ამაგის გამღებნი იყვნენ ირანისთვის. შაჰის დავალებით მათაც მრავალ ომში

ჰქონდათ მონაწილეობა მიღებული. გამარჯვებაც ბევრი არგუნეს შაჰ-აბასის ირანს, რის საფუძველზეც მათი აღმავლობა დაშენდა. გავიხსენოთ, მათ მიერ პორტუგალიელების განდევნა ჰორმუზიდან. რის გამოც ირანის მოსახლეობამ გამოხატა მადლიერების გრძნობა და სიმღერებითა და მოლექსეობით ამკობდნენ ირანისთვის მათ დამსახურებას. ისინი იღწვიან და ირანში აშენებენ ხიდებს, ქარვასლებს, სავაჭრო-საურთიერთობო გზებს სხვა ქვეყანასთან დასაკავშირებლად. აშკარაა, მათი მონდომება, უნარები, ნიჭი ხმარდება ირანის კეთილდღეობას. ამით ხდებიან სახელიანები, ანგარიშგასაწევები, ამაყობს ირანელი ხალხი მათ მიერ ირანისათვის გაღებული ამაგით, ყველაზე მეტად კი ამაყობს და პატივს მიაგებს მათ ღვაწლს შაჰ-აბასი. ე.ი უნდა ითქვას, რომ ქართველი ძმები ალავერდი-ხან უნდილაძე და იმამ-ყული-ხან უნდილაძეების დაუშრეტელი ოფლის ღვრით შენდება და დიდდება ირანის სახელმწიფოს ძალმოსილება. მათ პრივილეგირებული აღმატებული მდგომარეობა დამსახურებულად ჰქონდათ მიღებული; გამომდინარე მათგან დახარჯული ენერგიისა, ნიჭისა და შაჰისადმი გამოჩენილ ერთგულების ხარჯზე. თვით შაჰ-აბასსაც საპატიო ყურადღების ცენტრში ჰყავდა ძმები უნდილაძეები, ანგარიშ უწევდა მათ წინადადებებს და რჩევებსაც ეკითხებოდა მისთვის საინტერესო მოვლენებისა თუ სათადარიგო საომარი გეგმების განხორციელების საკითხებში. საკმარისია ითქვას რომ შირაზი, სადაც 10 წელი ცხოვრობდა ქეთევან დედოფალი, იმამ-ყული-ხან უნდილაძის სამფლობელო იყო. იგი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალ-ყურს ქეთევან დედოფლის ათწლიან ირანულ ცხოვრებას. დედოფალს თავისი შვილიშვილების ბედის მომკითხავს, უნდილაძისგან გაფრთხილებული გიორგი ხუცესი აუწყებდა, რომ ისინი შაჰ-აბასის კარზე იმყოფებიან და მისი მეთვალყურეობის ქვეშ აღზრდით არიან დაკავებულნიო. დედოფლისათვის საიდუმლოდ იყო დარჩენილი, როგორ დასაჯა შაჰმა მისი შთამომავალნი, მას ისინი პირდაპირი სიკვდილით არ დაუსჯია, დაახოჯავა, მაგრამ ხომ გაიმეტა სამუდამოდ, არა ვარგის როგორც კაცებისა და თუნდაც მეფობის არასრულფასოვანი მდგომარეო-ბისათვის. როგორ მოკვდა ჯერ ალექსანდრე და შემდეგ ლევანი. შაჰის ასეთი პოზიცია კი გვეუბნება იმას, რომ კახეთის, როგორც სამეფო დინასტიის გამგრძელებლები მოსპო ირანში. შაჰის ყურადღების ქვეშ მყოფი ქეთევანის ირანში ყოფნა ავი მოლოდინისთვის იყო განპირობებული, რახან კახეთი ქედ-მოუდრეკელი აღმოჩნდა, ქეთევანის შვილი თეიმურაზი გამუდმებით რუსეთისკენ იმზირებოდა, როგორც მართლმადიდებელი ქვეყანა მფარველად ესახებოდა. იქიდან ირანში ჩასული ელჩებიც ხშირად ახსენებდნენ შაჰ-აბასს ქეთევან დედოფლის მდგომარეობას, ბოლოს შაჰმა მიიღო გადაწყვეტილება დედოფალი გაემაჰმადიანებინა, მან საჭიროდ ჩათვალა იმამ-ყული-ხან უნდილაძისათვის დაევალებინა ეს საქმე. მათი მიზანი იქნებოდა დედოფლისათვის თავიანთი სარწმუნოება თავს მოეხვიათ. უნდილაძე ცალკე დამატებით, ცდილობს დედოფლის დაყოლიებას, განუმარტავს შაჰის დანაპირებს, რომ მას ცოლად შეირთავს და საამურ პირობებში ამყოფეფბს, ოღონდ მიიღოს მაჰმადიანობა, გარეგნულად მაინც აღიაროს სპარსელ ხალხთა მოსაჩვენებლად. გულით კი ისევ ქრისტიანად დარჩეს. უნდილაძისაგან მუდარა თვალსაჩინოა, ცრემლებიც კი ჩამოსდის, რომ უფრო ღრმად იფიქროს ქეთევან დედოფალმა თავის მდგომარეობაზე, როგორმე რამე ხერხით სიკვდილი აიცილოს თავიდან. განა არ შეეძლო ბებიით ქართველი შაჰ-აბასს გაეხარებინა უნდილაძის გული და ქეთევან დედოფლის წამებაზე ხელი აეღო?! მაგრამ „უდრეკ იყო დედოფალი“ და მიიღო კიდეც ღვაწლი მოწამეთა. შაჰ-აბასის პოლიტიკის ღრმად მცოდნე უნდილაძე ქეთევან დედოფალმა თავისი უტეხი გადაწყვეტილებით დააფიქრა, თუ როგორი სამსახური სჭირდებოდა სამშობლოს.

ქეთევან დედოფლის პასუხი:

ჩემო კეთილის მსურველო უნდილაძევ, შენმა ხელმწიფემ, რომ კახეთი არ აეოხრებინა ამის გამო ვეახელ მას, თუმცა ჩემი ყოველგავრი ცდა უშედეგოდ დამთავრდა, მან ჩემი ქვეყანა ოთხჯერ ააოხრა, გაწყვიტა მოსახლეობის დიდი ნაწილი, მრავალი ათეული ათასობით ტყვე აქ სპარსეთში გამოერეკა, განა შენ ვერ ხედავ სპარსელებზე მონებად რომ გაუყიდიათ. მათი ცრემლ-შეუშრობელი გმინვა ყოველ-ღამ სულის ტკივილად ჩამესმის, მე მათი დედოფალი ვარ, მათზე ზრუნვა ჩემი ადამიანური ყოფიდან უნდა გამოვხატო. რახან ვერაფერი შვება მიმიცია ფიზიკური ხელყოფისაგან, ჩემი სული მაღალ ღმერთს უნდა შევსთხოვო, რომ მათი ზნეობის სიმტკიცისათვის ჩემი ქრისტიანული არსებობა მიმიძღვნია, ჩემი ქვეყნის გამტიალებელი ახლა ჩემგანაც მოითხოვს ქრისტიანული სარწმუნოება შევიცვალო. იმ სარწმუნოებისა ჩემი დაბადებისთანავე ჩემსავე სულში რომ დანთებულა, ეს წლები შაჰ-აბასის ვარამიან გარემოში გავატარე, სადაც ათი წელი იმის საშუალება მაინც მომეცა რომ ჩემს ქვეყანაზე მელოცა, ახლა რას

ითხოვთ ჩემგან, ის ათი წელი, რაც მე ჩემი სამშობლოსათვის რუდუნებით ცრემლი მიღვრია, ისაც წავართვა და ამითაც კიდევ გული დავწყვიტო ჩემს ხალხს, ჩავუქრო ის ნათელი სხივი რომლის იმედად მდუმარენი მე შემომყურებენ. ერთადერთი ტკივილების ჩამცხრობი სალბუნი ჩვენი ქვეყნისათვის ქრისტიანული სარწმუნოებაა, რომლის შენარჩუნება და განმტკიცება უზენაესისაგან მე დამევალა, ხოლო ქრისტეს რჯულის ხელყოფა არც შენს ბატონს ძალუძს და არც მის მიმდევრებსო.

იმამ-ყული-ხან უნდილაძემ, სულ-ამომქრალმა, უსიტყვოდ დატოვა დედოფლის სამყოფელი.

შაჰ-აბასმა უნდილაძის მეშვეობით, სცადა ზეგავლენა მოეხდინა ქეთევანზე, მაგრამ შედეგი არ გამოიღო. ამიტომ მაჰმადიანური წესების გულ-ბოროტმა აღმასრულებელმა საბოლოოდ გადაწყვიტა წამება ქართველი დედოფლისა. ვფიქრობ შაჰის განრისხების უფრო დიდი მიზეზი, დედოფლის მის ცოლობაზე უარის თქმა იყო.

შაჰ-აბასის პოლიტიკა ასეთი იყო, ისლამის მოწინააღმდეგენი უნდა მოესპო, იგივე ისლამის მაღიარებლები კი უნდა განედიდებინა. მას რომ დიდ პატივში ჰყავდა უნდილაძენი, მისგან უკვე საქმით დამტკიცებულ ვითარებებშიც ჩანს. კერძოდ, ალავერდი-ხან უნდილაძის უმცროსი ვაჟი დაუდ-ხანი, შაჰ-აბასისაგან დანიშნული იყო განჯა-ყარაბაღის ბეგლარ-ბეგად, ხოლო იმამ-ყული-ხანის ვაჟი სეფი-ყული-ხანი ლარის ბეგლარ-ბეგად. იმამ-ყული-ხან უნდილაძეს კიდევ სამი ქალი ჰყავდა, სამივე ირანელ ქართველებზე გათხოვილი. უნდილაძეების ქართულ სისხლს მზიანი დღეები დასდგომოდათ ირანის ცის ქვეშ. აქედან წარმოიშვებოდა ორი უკიდურესობა:

უნდილაძეების დაუშრეტელი ოფლის ღვრით შენდება და დიდდება ირანის სახელმწიფოს ძალმოსილება

უნდილაძეების მფარველი და დამფასებელი ირანის მეფე, ხელმწიფე შაჰ-აბასი კი მოემართება საქართველოსკენ მოსახლეობის სისხლის დასაქცევად. მისი ავი ბუნება ასე იკითხება, ანგრევდა სხვა ქვეყნებს და აშენებდა თავისას.

საკითხავია, როდესაც შაჰ-აბასმა გადაწყვეტილება მიიღო კახეთზე ლაშქრობისა ამ მოსაზრებულ გეგმას გაუზიარებდა თუ არა უნდილაძეებს?

რახან ცნობილია რომ შაჰი, მრავალ საკითხთა გადაწყვეტაში უნდილაძეების, როგორც ავტორიტეტების რჩევას იზიარებდა. ამ კუთხით უნდა ვიფიქროთ რომ იგი კახეთზე ლაშქრობისასაც მათ რჩევას ჰკითხავდა. უნდილაძეების აზრით იგი აუცილებლად დაინტერესდებოდა. აქ მთავარია რა პასუხი მიიღო შაჰმა უნდილაძეებისგან ხსენებული საკითხის გადწყვეტისას. იქ არსებული მდგომარეობა კი გვკარნახობს იმას, რომ თუ შაჰ-აბასი ასე იღვწის თავისი ქვეყნის ე.ი სამშობლოს აღორძინება დიდებისათვის.რატომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ შაჰ-აბასის მსგავსად უნდა ეზრუნათ და ეფიქრათ უნდილაძეებს თავისი სამშობლოს საქართველოს საკეთილდღეოდ. მთავარია როგორ უნდა გამოხატულიყო მათგან საქართველოზე ზრუნვის ფორმა. შეეძლოთ პრაქტიკულად ან კონსპირაციულად ემოქმედათ, ეძლეოდათ ამის საშუალება თუ არა? ისმება კითხვა: შაჰი მათი რჩევების გარეშე წამოვიდოდა საქართველოსკენ სალაშქროდ? ერთი მოვლენა კი ცხადს ჰყოფს, რომ ამოდენა ათიათასობით ყიზილბაშურ ჯარს, უნდილაძეებისაგან მალულად, ლაშქრობისათვის ირანიდან ვერ გამოიყვანდა. ვინაიდან მთელი ირანული მოსახლეობისათვის ცნობილი გახდებოდა ირანის ლაშქრობა საქართველოზე. მაშ რაღა დარჩა? ერთი ვარიანტი, უნდილაძეებმა იცოდნენ შაჰისაგან საქართველოზე ლაშქრობის შესახებ. არის მოსაზრება, შაჰის თვისებებიდან მომდინარე, საქართველოზე სალაშქრო სამზადისისას, იგი თავის აცილების მიზნით მათ სპეციალურად მომზადებული გეგმით ირანის რომელიმე კუთხეში გააგზავნიდა, ვითომ რაღაც მნიშვნელოვანი დავალების შესასრულებლად. ბოლოს რახან ყოველივე ცნობილი გახდებოდა, საქართველოდან უკვე ვითომ გამარჯვებული შაჰ-აბასი, ირანს დაბრუნდებოდა, თავისი ჩვეული ხერხით, თავს გაიმართლებდა, ეს ყოველივე დიდი ალაჰის შთაგონებით აღვასრულეო. ვინ წავიდოდა წინააღმდეგი? შესაძლოა შაჰს, როგორც დიდ ტაქტიკოსს, გამოეძებნა უნდილაძეებთან სათქმელის ფორმა და მიემართა ვითომ თხოვნით. თქვენ, უნდილაძეები, მხარში უნდა ამოუდგეთ დიდი ალაჰის მოციქულს „ირანის ლომს“ გურჯისტანის მოსათვი-ნიერებლადო. შაჰს ზედ-მიწევნით ეცოდინებოდა უნდილაძეების ბუნება, რომ ისინი გურჯისტანზე სალაშქროდ წამოსვლაზე უარს იტყოდნენ. რახან შაჰმა წინასწარ იცოდა თუ რა პასუხს მიიღებდა უნდილაძეებისაგან. შაჰის ტაქტიკით კი მათთვის გეგმის გამხელაც გამოვიდოდა და რჩევის ფორმადაც აისახებოდა. როდესაც შაჰი უნდილაძეებისაგან უარს მიიღებდა, (მისთვის ხომ ასე იყო სასურველი) შემდეგ ეტყოდა, კარგით, დარჩით თქვენ ირანში და მე ჩემი ირანელი სარდლე-

ბით თვითონ მოუვლი გურჯისტანსო! შაჰისაგან ასეთ ტაქტიკაში ხომ იგულისხმებოდა მათ მიმართ ანგარიშის გაწევა, არ ჩაგრიეთ, არ მიგაღებინეთ მონაწილეობა სალაშქროდ გურჯისტანზე, თქვენზე მუდამ მწყალობელმა დიდმა შაჰმაო. ამით ამოისუნთქავდნენ უნდილაძენი! სიტყვა ვერ ამოვა პირიდან სათქმელად იმისა, რომ უნდილაძეებს ოდნავაც რომ გახარებოდათ, საქართველოზე შაჰ-აბასის ლაშქრობა. ყოვლად წარმოუდგენელია! მაგრამ უსუსურობა მათი მხრიდან წინააღმდეგობის ვერ გამოხატვა ასეთ რთულ, მძიმე საკითხებში ხომ აშკარაა! ისინი რომ ირანის ქვეყანას ამშვენიერებდნენ, ამის გამო შაჰის კარზე ირანის გავლენიან პირებს, თუნდაც ყორჩი-ხა-ხანს, იუსუფ-ხანს, ისა-ხან-ყორჩიბაშს, შაჰ-ბენდე-ხანს, ამირგუნე-ხანს, უნდა მოეხდინათ, ვფიქრობ გავლენა შაჰ-აბასზე. მით უმეტეს ასეთი დამსახურების ადამიანებისათვის ძმები უნდილაძეებისათვის ანგარიში უნდა გაეწიათ. მაგრამ შაჰ-აბასის ხასიათი გულქვა და მხოლოდ ერთპიროვნული იყო. უნდილაძეთა მდგომარეობის ასახსნელად მართებულია ითქვას მარტინ ლუთერის სიტყვები „აქა ვდგავარ და სხვანაირად არ ძალმიძს“. მათაც სხვანაირად არ ძალუძდათ. ვისაც ძალუძდა და მტრის წინააღმდეგ ხელის გამოღება შეეძლო, ეს კაცი იყო გ. სააკაძე, რომლის გარჯა-მოქმედებანი თვალნათლივ დაგვანახებს, თავის ხასიათებს და იმ დროში მოღვაწე პიროვნებების თვისება-ხასიათებსაც. აღნიშნული მოვლენების განხილვა ხდება 1614-1617 წლებში შაჰ-აბასისაგან იავარქმნილი კახეთიდან მრავალი ათასობით ტყვე იქნა წაყვანილი ირანში, სადაც უკიდურესად ცუდ მდგომარეობაში მყოფთ, სასოწარკვეთილებს, დაავადმყოფებულებს ძლივს ედგათ პირში სული. როგორი სანახავი იქნებოდა უნდილაძეებისათვის თავიანთი სამშობლოდან აყრილი ხალხის ბედ-იღბალი. ისინი ამ დროს თავიანთ თავს უფრთხილდებიან და ირანის აღმშენებლობას უწყობენ ხელს, იბადება სულის შემხუთავი კითხვა: ირანზე გადაგებული, მათზე მზრუნველნი, დიდი ავტორიტეტის მქონეთ, რატომ არ გააჩნდათ განცდა? ან ვერ გამონახეს გზა, შაჰისაგან აეცილებინათ კახეთში დატრიალებული ავბედითი დღეები? ხსენებულ წლებში გ. სააკაძეც ირანში იმყოფებოდა, მისი თვალითაც ნანახი ყველა ის ვაება, რაც ჩაჰყვებოდათ ლტოლვილ ქართველებს ირანში, მისი გონება ხომ ჩაუღრმავდებოდა ძმები უნდილაძეების სამშობლოსათვის ურგებ და პირადი კეთილდღეობისათვის მარგებ მდგომარეობაში. შაჰს ოღონდ საქართველოზე ლაშქრობა არ ებრძანა მათთვის, ერთის მაგიერ ორ ხიდს ააშენებდნენ. საქართველოზე ირანის ლაშქრობა რომ არაფრით არ ახარებდათ მათ უტყუარი ფაქტია. ეს არ ახარებდათ, იოლი სათქმელია, ამის იქით რას ცვლიდნენ? სამშობლოს საკეთილდღეოდ. არ შეიძლებოდა გამონახულიყო გზა მათი მხრიდან ისეთი, როგორიც სავაჭრო ურთიერთობებშია ცნობილი დღესაც და მაშინაც. მით უმეტეს, აღებ-მიცემობა, ვაჭრობაშიც დიდი წარმატებები ჰქონდათ ეთქვათ მოდი ჩვენ ჩვენი ძალებით ავაშენებთ მეჩეთებს, გავხსნით ახალ სავაჭრო გზებს და რაც ახალი ფინანსური დოვლათი დაგროვდება, უსასყიდლოდ შევიტანოთ ირანის სახელმწიფო ხაზინაშიო, ოღონდ ხელი აეღო შაჰს საქართველოში ლაშქრობაზე. ასეთი მოსაზრებებით ჩვენ მხოლოდ უნდილაძეთა ხასიათის შეცნობა გვწადია, ისინი თავს არიდებდნენ შაჰის წინადადებებს აღმოსავლეთ საქართველოს ბედის გადაწყვეტაში. შაჰი არ ცვლის თავის გეგმებს, მით უმეტეს მისი მიზანი იყო სამხრეთ კავკასია და იქ მყოფი ქვეყნები ყველა გაემუსულმანებინა. კახეთის აოხრებით რა წარმატებები მოუტანა შაჰმა ირანს, თავისი ჟინიანი ატეხილობით, ქართველი ხალხის დაპყრობას რომ ცდილობდა? მოსახლეობის დიდი ნაწილი ომში დაიღუპა, მეორე დიდი ნაწილი გზაში, მესამე დიდი ნაწილი ირანში ჩასვლის მერე დაიღუპა, რაც დარჩა, ყველაზე მწირ და მოუსავლიან ადგილებზე დაასახლა, ამითი რა შედეგი მიიღო და კიდევ შაჰისაგან კახეთში ჩატარებულ ოპერაციებს ათასობით და მრავალ ათასობით ყიზილბაში შეეწირა იმ სავარამო და სავალალო დროში, ერთი დიდი საწუხარი ყველა საწუხართა შორის მართლაც დღემდე დარჩენილა ქართველებისათვის. ეს არის ქართული განძი, ოქრო და ვერცხლი და მრავალი ხელით ნაკეთობანი, რაც მაშინ ქვეყნიდან გაიზიდა. შაჰისაგან აღმოსავლეთ საქართველოს დამბლა დაეცა იმ ათი ათასობით ქართველისაგან, რომელნიც ირანისაკენ გაირეკეს მით უმეტეს არ დაგვავიწყდეს, რჩეული ახალგაზრდობა, სილამაზით თუ აღნაგობით გამორჩეულნი, ხანში შესულები და მოხუცები მათ არ სჭირდებოდათ.

(გაგრძელება იქნება)

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი
საქართველოს ეროვნული
უნივერსიტეტი სეუ. პროფესორი

შორენა გოლიაძე
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
სეუ. ბაკალავრიატი

ბანკები, როგორც ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები და მათი საქმიანობა საქართველოში

დღეისათვის, ბანკებისთვის ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებიდან მიღებული შემოსავალი სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს მათი მოგების ფორმირებისას. ბანკების საქმიანობის გაფართოებამ და დივერსიფიკაციამ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ხელი შეუწყო მსხვილი საფინანსო–საბანკო ორგანიზაციების ჩამოყალიბებას, რომელთა სათავეში, როგორც წესი, კომერციული ბანკები დგანან.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის მეშვეობით ხდება სახელმწიფოს, იურიდიული და ფიზიკური პირების ფულადი დანაზოგების აკუმულირება და მათი მიმართვა კაპიტალის ბაზრებისკენ. მნიშვნელოვანია, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზარი საბანკო კრედიტის ერთგვარ ალტერნატივას წარმოადგენს, ავსებს საბანკო კრედიტის სისტემას და ურთიერთქმედებს მასთან.

ფინანსური ბაზრები მუდმივად განვითარებისა და ახალი ინსტრუმენტების
შექმნის პროცესშია. კომერციული ბანკები ცდილობენ მონაწილეობა მიიღონ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე და მოახდინონ თავიანთი საქმიანობის გაფართოება, თანამედროვე პირობებთან ადაპტირება. სწორედ ფინანსური ბაზარი აძლევს მათ საშუალებას მართონ ლიკვიდობა, გაზარდონ შემოსავალი და აითვისონ ახალი შესაძლებლობები.

კომერციული ბანკების მონაწილეობის ხარისხი და მათი როლი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ბანკების საქმიანობა საფონდო ბაზრებზე მკაცრად რეგულირდება კანონმდებლობით და ამ ქვეყნების ბანკებს უწევთ შემოვლითი გზების ძიება სატრასტო, საბროკერო, საკონსულტაციო და საინვესტიციო კომპანიების დაარსების ან გამოყენების მეშვეობით.

ეფექტიანი საინვესტიციო პორტფელი ბანკისთვის შემოსავლების წყაროა და, ამასთანავე, ხელს უწყობს ბანკის საბაზრო ღირებულების ზრდას. აღნიშნული საქმიანობა საქართველოს კომერციული ბანკებისთვის შედარებით ახალ სფეროს წარმოადგენს. ამიტომ, მოცემული კვლევის ერთ–ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენს საქართველოს კომერციული ბანკების საქმიანობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე.

საინვესტიციო საქმიანობა უკავშირდება რისკებს, რაც გულისხმობს სხვადასხვა დანაკარგების მიღებას. შესაბამისად, კომერციული ბანკები ცდილობენ აღნიშნული რისკებისგან თავი დაიცვან და შექმნან შესაძლო დანაკარგების რეზერვები. აგრეთვე ბანკების მიერ ხდება საინვესტიციო პოლიტიკის დამტკიცება, რაც მოიცავს საინვესტიციო საქმიანობის ძირითად მიზნებს, საინვესტიციო პორტფელის სტრუქტურას, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის წესს და სხვა.

როგორც ვიცით, კომერციული ბანკები ასრულებენ ინვესტორის როლს,
ყიდულობენ რა ფასიან ქაღალდებს თავიანთი სახსრებით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის პრაქტიკას მეტნაკლებად მოკლებულები არიან როგორც კომერციული ბანკები, ასევე მცირე ინვესტორებიც. მიგვაჩნია, რომ საჭირო და აუცილებელიც არის საქმიანობის ამ სფეროს პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

მიუხედავად ბოლო წლებში გადადგმული ნაბიჯებისა, ფასიანი ქაღალდებით

ვაჭრობის განვითარების მხრივ საქართველო ჯერ საწყის ეტაპზეა, სათანადო დონეზე არ ვითარდება ბირჟაზე ვაჭრობის ინსტიტუტი, მცირე კომპანიები კარგავენ პოტენციურ დაფინანსებას მოსახლეობის მხრიდან, ხოლო მცირე ინვესტორები მოგების მიღების დამატებით შესაძლებლობას. სახსრების მოზიდვის ძირითად საშუალებად რჩება კრედიტი, რაც თავისთავად ზრდის ხარჯებს და აფერხებს კომპანიების ეფექტურ განვითარებას. ამასთან ერთად, არ ვითარდება საინვესტიციო საქმიანობა, ინსტიტუციონალური ინვესტორების ინსტიტუტი ან თუნდაც თავისუფალი ფულადი სახსრების აქციებში დაბანდების პრაქტიკა. ფასიანი ქაღალდების ყიდვა–გაყიდვით შემოსავლის მიღებაც საზოგადოებისათვის პრაქტიკულად მიუწვდომელი რჩება. შესაბამისად, ეს საკითხი დიდ მხარდაჭერას საჭიროებს როგორც სახელმწიფოს, ასევე საფონდო ბაზრის მონაწილეების მხრიდან.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისთვის შექმნილია ძირითადი სამართლებრივი საფუძველი. ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში რეგულირდება შემდეგი ნორმატიული აქტებით: საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, კანონი „ჩეკის შესახებ“, კანონი „თამასუქის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ და სხვა. ქართული კანონმდებლობით, ფასიანი ქაღალდების მონაწილეები არიან ინვესტორები, ემიტენტები, ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეები და აუდიტორები. რეგულირებადი მონაწილეები, ანუ სპეციალური ლიცენზიის მქონე მონაწილეები არიან საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, ანგარიშვალდებული საწარმო, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი.

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარს 2007 წლამდე აწესრიგებდა და ზედამხედველობდა საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისია. ის წარმოადგენდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობაში იყო დამოუკიდებელი. 2007 წლის 11 ივლისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით მოხდა კომისიის ლიკვიდაცია და აღნიშნული ფუნქციები გადაეცა საქართველოს ეროვნულ ბანკს.

საქართველოს კანონმდებლობით, კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, კერძოდ თავი 3, მუხლი 10, რომლის მიხედვით, საქართველოში კომერციული ბანკი უფლებამოსილია: ფლობდეს იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალის წილის არა უმეტეს 20 პროცენტისა, თუ ბანკის წილი არ აღემატება თვით ამ ბანკის სააქციო კაპიტალის 15 პროცენტს; შეუზღუდავი ოდენობით ფლობდეს წილს გარკვეულ საქმიანობაში, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ საბანკო საქმიანობასთან. ეროვნული ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე ეს წილი არ უნდა აღემატებოდეს ბანკის სააქციო კაპიტალის 15 პროცენტს; ეროვნული ბანკის წერილობითი ნებართვის საფუძველზე შექმნას და შეიძინოს შვილობილი საწარმოები, რომლებიც ეწევიან სხვა სახის საქმიანობას; მიიღოს წილი მის მიერ გაცემული კრედიტის თანხის ასანაზღაურებლად; შექმნას ან შეიძინოს შვილობილი საწარმო — საბროკერო კომპანია, რომელიც მონაწილეობს მხოლოდ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საბროკერო კომპანიის საქმიანობაში, და ფლობდეს მასში წილს შეუზღუდავი ოდენობით, თუ ეროვნული ბანკის ნებართვის გარეშე ეს წილი არ აღემატება მისი სააქციო კაპიტალის 15 პროცენტს.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაწილეობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ორი სახისაა:

ფულად–საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისას იგი აწარმოებს ოპერაციებს ღია ბაზარზე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით და ასევე მის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდებით პირდაპირი შეძენის ან გაყიდვის გზით;

ახორციელებს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობას.

აქედან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკი გვევლინება ფასიანი ქაღალდების ბაზრის ერთ–ერთ მონაწილედ და მის ზედამხედველადაც. რეგულირებისა და ზედამხედველობის ფუნქციის შესრულებისას ეროვნული ბანკი: გასცემს და აუქმებს ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეების ლიცენზიებს; ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებად მონაწილეებს უდგენს მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებს; ახორციელებს ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეების საქმიანობის მონიტორინგს, შემოწმებას, გამოკვლევებს და აწესებს სანქციებსა და ჯარიმებს დარღვევისას; ამტკიცებს ემიტენტების ემისიის პროსპექტებს; არეგულირებს ემიტენტების მიერ ფასიანი ქაღალდების გამოშვებისას და მიმოქცევისას წარმოშობილ ურთიერთობებს; იღებს, ცვლის და აუქმებს ფასიანი ქაღალდების რეგულირებასთან დაკავშირებულ წესებს კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის წინსვლისა და განვითარებისთვის მრავალი ფაქტორის ამოქმედება იქნება საჭირო. პირველ რიგში, აუცილებელია ინვესტორების დაინტერესება საფონდო ბირჟის განვითარების საკითხით, რადგან საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებაა.

კაპიტალის ბაზრის განვითარების მიზნით ეროვნულმა ბანკმა და საქართველოს მთავრობამ შეიმუშავეს ერთობლივი სტრატეგია. სტრატეგიის შესაბამისად, ეროვნულმა ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება გირაოს ბაზრის გაფართოების შესახებ და
2016 წლის 1 ივლისიდან მასში ლარით გამოშვებული კორპორატიული სასესხო
ფასიანი ქაღალდები ჩართო. კორპორატიული ობლიგაციების გირაოდ გამოყენების შესაძლებლობა ასეთი ფასიანი ქაღალდების ლიკვიდობის გარანტიას ქმნის და კაპიტალის ბაზრების განვითარებას შეუწყობს ხელს.

2017 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებდა საკუთარი ფასიანი ქაღალდების — სადეპოზიტო სერტიფიკატების ემისიას. აღნიშნული ფასიანი ქაღალდები ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებებთან და სახაზინო ობლიგაციებთან ერთად კომერციული ბანკებიდან მაღალი მოთხოვნით სარგებლობდა. სადეპოზიტო სერტიფიკატების ვადიანობა 3- და 6 თვე, ხოლო მთავრობის ფასიანი ქაღალდებისა კი 1-, 2-, 5- და 10 წელი იყო. აღნიშნულმა ფასიანმა ქაღალდებმა ხელი შეუწყო შემოსავლიანობის სტაბილური მრუდის ჩამოყალიბებას. ეს მრუდი მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა სხვადასხვა ვადიანობის საპროცენტო განაკვეთებისა და ფინანსური ბაზრის მონაწილეთა მოლოდინების შესახებ. შემოსავლიანობის მრუდის მიხედვით, სპრედები გრძლევადიან და მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთებს შორის წლის განმავლობაში მცირდებოდა, რაც ბაზრის ეფექტიანობის ზრდაზე მიუთითებდა. 2017 წელს საქართველოს ეროვნული ბანკმა გამოუშვა 3- და 6-თვიანი ვადიანობის სადეპოზიტო სერტიფიკატები, რომლებიც საბანკო სექტორმა გამოყენა, როგორც ლიკვიდობის მართვის მიმზიდველი და ეფექტური მოკლევადიანი ინსტრუმენტი.

2017 წლის განმავლობაში სადეპოზიტო სერტიფიკატების 13 აუქციონი ჩატარდა
(თითოეულ მათგანზე 20-20 მლნ ლარის სადეპოზიტო სერტიფიკატები განთავსდა). აღნიშნულ აუქციონებზე ბანკების მხრიდან მოთხოვნამ 874.5 მლნ ლარი შეადგინა და სრულად განთავსდა 260 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების 3-თვიანი ვადიანობის სადეპოზიტო სერტიფიკატები, საანგარიშსწორებო ფასით 255.5 მლნ ლარი. საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთმა 7.06 პროცენტი შეადგინა.

2017 წლის ნოემბერში სადეპოზიტო სერტიფიკატების ორი აუქციონი ჩატარდა
(თითოეულ მათგანზე 20-20 მლნ ლარის სადეპოზიტო სერტიფიკატები განთავსდა). აღნიშნულ აუქციონებზე ბანკების მხრიდან მოთხოვნამ 104 მლნ ლარი შეადგინა და სრულად განთავსდა 40 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები, საანგარიშსწორებო ფასით 39.3 მლნ ლარი. საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.04 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 7.13 პროცენტი შეადგინა. ნოემბრის განმავლობაში ჩატარებული ღია ბაზრის ოპერაციების შედეგად მიმოქცევაში არსებული სადეპოზიტო სერტიფიკატების ნომინალური მოცულობა 20 მლნ ლარით გაიზარდა და 80 მლნ ლარი შეადგინა.

სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გაყიდვა ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აუქციონის მეშვეობით, მრავალი ფასის მეთოდით, „ბლუმბერგის“ სავაჭრო სისტემის გამოყენებით. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ კომერციულ ბანკებს და მათი მეშვეობით - ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირს. ფასიან ქაღალდს შესაძლოა ჰყავდეს ნომინალური მფლობელი — ბაზრის შუამავალი, რომელსაც მესაკუთრე ხელშეკრულებით ანიჭებს რეესტრში სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების თავის სახელზე აღრიცხვის და მათი განკარგვის, ყიდვა—გაყიდვის და დაგირავების უფლებას.

2017 წლის ნოემბერში ჩატარდა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ოთხი აუქციონი, რომელზეც განთავსდა 80 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები. საანგარიშსწორებო ფასმა შეადგინა 79.1 მლნ ლარი. ბანკების მხრიდან მოთხოვნამ ფასიან ქაღალდებზე 2-ჯერ გადააჭარბა ემისიას. ნოემბერში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, 1-წლიანი, 2-წლიანი და 5-წლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც 20-20 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, 6-თვიანი სახაზინო ვალდებულებების განაკვეთმა 7.10 პროცენტი შეადგინა, რაც 0.02 პროცენტული პუნქტით ნაკლებია წინა თვის მონაცემზე. 1-წლიანი სახაზინო ვალდებულებების განაკვეთი 0.01 პროცენტული პუნქტით შემცირდა 7.12 პროცენტამდე. 2-წლიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდების განაკვეთმა 7.33 პროცენტი შეადგინა და 0.01 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული წინა თვესთან შედარებით. 5-წლიანი ფასიანი ქაღალდების განაკვეთი კი 0.06

პროცენტული პუნქტით გაიზარდა 7.78 პროცენტამდე. ნოემბერში გამოშვებული სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი 27 მლნ ლარით გაიზარდა და 2,402.4 მლნ ლარი შეადგინა.

რაც შეეხება 2016 წელს, ჩატარდა სახაზინო ფასიანი ქაღალდების 41 აუქციონი, რომელთა მეშვეობით განთავსდა 1.1 მლრდ ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმოქცევაში არსებული 2 მლრდ ლარის (მშპ-ს 6 პროცენტი) ნომინალური ღირებულების სახაზინო ფასიანი ქაღალდების მფლობელი იყო 15 კომერციული ბანკი და არასაბანკო ინვესტორები. არასაბანკო ინვესტორთა მფლობელობაში იყო 166 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ფასიანი ქაღალდები.

აღსანიშნავია, რომ ბაზარზე მიმოქცევაში მყოფი სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა, ეკონომიკის ზომასთან შედარებით, ჯერ კიდევ მცირეა (მშპ-ს 6 პროცენტი). ბაზრის ლიკვიდობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისიების გაზრდა, რაც ასევე ხელს შეუწყობს საგარეო ვალის აღებასთან დაკავშირებული სავალუტო რისკების შემცირებას.

ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის გააქტიურების ხელშეწყობისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს მისი მატერიალური და ინტელექტუალური ინვესტიციებით შექმნილი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი „სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების (CSD) სისტემისა“ და სხვადასხვა ურთიერთინტეგრირებული სისტემების სრულყოფილი ფუნქციონირების მხარდაჭერასა და უზრუნველყოფას.

2014 წლიდან მნიშვნელოვნად გააქტიურდა ბანკთაშორისი რეპო ბაზარი, რომელიც ეფუძნებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით და კომერციული ბანკების თანხმობით შექმნილ საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებულ რეპო გარიგებების ჩარჩო ხელშეკრულებას. რეპო გარიგებების დადებისთვის ბანკები იყენებდნენ „ბლუმბერგის“ სავაჭრო სისტემას და „სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების (CSD) სისტემას“. აღნიშნული სისტემების გამოყენებით, 2016 წელს კომერციულ ბანკებს შორის განხორციელდა 202 რეპო გარიგება 2.7 მლრდ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით.

თვალსაჩინოებისათვის, ცხრილში 1 დინამიკაშია ნაჩვენები საქართველოს კომერციული ბანკების საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები, კერძოდ პროცენტული შემოსავლები ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობიდან 2015-2017 წლების პერიოდში.

ცხრილი 1

კომერციული ბანკების საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები 2015-2017 წწ.

(პროცენტული შემოსავლები ფასიანი ქაღალდებიდან, ათასი ლარი)[1]

N	პერიოდი	თანხა	პერიოდი	თანხა
1	იან, 15	11 460	იან-ივლ, 16	120 154
2	იან-თებ, 15	22 923	იან-აგვ, 16	138 572
3	იან-მარ, 15	36 236	იან-სექ, 16	155 542
4	იან-აპრ, 15	49 104	იან-ოქტ, 16	173 792
5	იან-მაი, 15	62 790	იან-ნოე, 16	192 035
6	იან-ივნ, 15	76 769	იან-დეკ, 16	211 243
7	იან-ივლ, 15	91 748	იან, 17	19 410
8	იან-აგვ, 15	107 263	იან-თებ,17	36 622

[1] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=109

9	იან-სექ, 15	122 940	იან-მარ,17	55 241
10	იან-ოქტ, 15	139 297	იან-აპრ,17	73 530
11	იან-ნოე, 15	155 757	იან-მაი, 17	92 688
12	იან-დეკ, 15	173 013	იან-ივნ, 17	112 390
13	იან, 16	17 384	იან-ივლ, 17	133 256
14	იან-თებ, 16	33 945	იან-აგვ, 17	155 312
15	იან-მარ, 16	51 404	იან-სექ, 17	178 343
16	იან-აპრ, 16	68 213	იან-ოქტ, 17	199 292
17	იან-მაი, 16	86 056	იან-ნოე, 17	220 897
18	იან-ივნ, 16	102 317	იან-დეკ, 17	243 648

როგორც ვხედავთ, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის განვითარების მხრივ საქართველო ჯერ საწყის ეტაპზეა და, შესაბამისად, დიდ მხარდაჭერას საჭიროებს როგორც სახელმწიფოს, ასევე საფონდო ბაზრის მონაწილეების მხრიდან, რათა დროთა განმავლობაში შევძლოთ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებთან შესაბამისი პარტნიორობა და კონკურენციის გაწევა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარი ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა, საგულისხმოა, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე არსებული პრაქტიკა და ინფრასტრუქტურა, აგრეთვე ბანკების აქტიური როლი ამ მიმართულებით იძლევა ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის შემდგომი გააქტიურების იმედსა და კარგ საფუძველს, რასაც ფასიანი ქაღალდების ბაზრის ლიკვიდობის ზრდა უნდა მოჰყვეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., საბანკო საქმის საფუძვლები. – თბილისი: გამომცმლობა „დანი“ 2013.
2. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., ხიდირბეგიშვილი ნ., ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები. თბილისი: გამომცემლობა „დანი“ 2017.
3. ქოქიაური ლ., ფინანსური ბაზარი. – თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“ 2014.
4. ცერცვაძე ა., ხანთაძე გ., ვეკუა დ., სადაზღვევო საქმე. – თბილისი: გამმცემლობა „დანი“ 2016.
5. Goldsmith R. Financial Structure and Development, Yale University Press, New Haven, 2012.
6. http://nuru.ru/ek/general/025_1.htm უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 12.10.2018.
7. http://unecon.ru/sites/default/files/posobie_fr_i_fki.pdf უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 12.11.2018.
8. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306 უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 05.06.2018. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=529

ჯუმბერ ხარაიშვილი

ფულადი მასის სტრუქტურის ანალიზი

ფულადი მასის საერთო სიდიდე ფულადი აგრეგატების (M0, M1, M3, M4 ან L) სისტემის საფუძველზე იზომება, ამასთან თითოეული შემდგომი აგრეგატი მოიცავს წინას და ნაკლებად ლიკვიდურ ფულად ავუარებს. სხვადასხვა ქვეყნებში მათ გაანგარიშებას საკუთარი თავისებურებები გააჩნიათ. რუსეთში და საქართველოში ფულადი აგრეგატების სისტემას შემდეგი სახე გააჩნია:

1. ფულადი აგრეგატი (M0) – ნაღდი ფული მიმოქცევაში ბანკების გარეთ.
2. ფულადი ბაზა (MB) = ნაღდი ფული მიმოქცევაში და კომერციული ბანკების სალაროებში + კომერციული ბანკების სახსრები სავალდებულო რეზერვების ფონდში + ნაშთები კომერციული ბანკების საკორესპონდენტო და დეპოზიტურ ანგარიშებზე ქვეყნის ცენტრალურ ბანკში + კომერციული ბანკების აქტივებში არსებული ქვეყნის ცენტრალური ბანკის განთავსებული ობლიგაციები. ფულადი ბაზა – არის ქვეყნის ცენტრალური ბანკის ვალდებულებები, რომლებიც მისი ბალანსის პასივშია ასახული.

ბანკების მიერ სავალდებულო დარეზერვების ფონდში გადასარიცხი სახრები განისაზღვრება ქვეყნის ცენტრალური ბანკის მიერ დამტკიცებული სავალდებულო რეზერვების ნორმის მიხედვით.

ცენტრალური ბანკის სისტემაში კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშები – არის ანგარიშები, რომლებიც ბანკთაშორისი ანგარიშსწორებებისათვის გამოიყენებიან. ცენტრალურ ბანკში კომერციული ბანკების დეპოზიტური ანგარიშები – არის ვადიანი ანგარიშები, რომლებიც კომერციულ საფუძვლებზე ცენტრალურ ბანკში კოპმერციული ბანკების ჭარბი ლიკვიდობის განთავსებისათვის გამოიყენებიან. ცენტრალური ბანკის ობლიგაციები – არის სავალო ვალდებულებები, რომლებიც ცენტრალური ბანკის მიერაა გამოშვებული და კომერციულ ბანკებს შორისაა განთავსებულები ჭარბი ლიკვიდობის აბსორბირების მიზნით.

3. ფულადი აგრეგატი (M1) = ფულადი აგრეგატი M0 + საწარმოებისა და ორგანიზაციების საანგარიშსწორებო და მიმდინარე ანგარიშებზე (მთავრობების ანგარიშების გამოკლებით) სახსრები + მოსახლეობის მოთხოვნამდე დეპოზიტები + საგზაო ჩეკები. ზოგიერთ ქვეყნებში აგრეგატი M1 მოიცავს ასევე საჩეკო ანგარიშებს, რომლებიც საანგარიშსწორებო ანგარიშებთანაა გათანაბრებული. აგრეგატი M1 – არის „ფული სიტყვის ვიწრო გაგებით“, ან „ფული გარიგებებისათვის“, „ფული ამაღლებული ეფექტიანობით“.

საგზაო ჩეკი – არის ემიტენტის სავალო ვალდებულება მითითებული ფიზიკური პირისათვის ფულის გარკვეული თანხის გადახდასთან დაკავშირებით, რომელიც აღნიშნული პირის (ჩეკის მფლობელის) ხელმოწერას მოიცავს და რომელიც იფარება მასზე ხელმეორედ ხელმოწერის განხორციელებისას. საგზაო ჩეკების ყველაზე უფრო ცნობილ სისტემებს American Express და Travelex წარმოადგენენ.

საჩეკო ანგარიშები – არის განსაკუთრებული ანგარიშები საბანკო სისტემაში, რომლებზეც მათ მფლობელებს ჩეკების გამოწერა შეუძლიათ საქონელისა და მომსახურების შეძენაზე გადახდის განხორციელებისას.

4. ფულადი აგრეგატი (M2) = ფულადი აგრეგატი M1 + საწარმოების დეპოზიტურ ანგარიშებზე სახსრები + მოსახლეობის ვადიანი ანგარიშები + მოსახლეობის საშემნახველო ანგარიშები 4 წლამდე ვადით (მსხვილი ნომინალების ანგარიშების გამოკლებით). აგრეგატი M2 – არის „ფართე ფულადი მასა“.
5. ფულადი აგრეგატი (M3) = ფულადი აგრეგატი M2 + საშემნახველო ანგარიშები 4 წელზე მეტი ვადით და მსხვილი ნომინალებით + დეპოზიტური და საშემნახველო სერთიფიკატები + მაღალლიკვიდური საბანკო თამასუქები + მაღალიკვიდური სახელმწიფო ობლიგაციები.
6. ფულადი აგრეგატი (M4) (ანუ L) = ფულადი აგრეგატი M3 + ზოგიერთი საწარმოების აქციები + ყველა სახის დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში ლარის ეკვივალენტში.

ზოგიერთ ქვეყნებში ჰარმონიზირებული ფულადი მასის სიდიდე გაიანგარიშება, რომელიც აგრეგატი M3–ისა ან M4–ის შემადგენელების სხვადასხვა ლიკვიდობას ითვალისწინებს. აღნიშნული მაჩვენებელი საერთო ფულადი მასის ყველაზე უფრო ადეკვატურ საზომს წარმოადგენს, რომელიც ასევე მის სტრუქტურასაც ითვალისწინებს.

რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს ცენტრალური ბანკები ოფიციალურად აქვეყნებენ ინფორმაციას შემდეგი სამი ძირითადი აგრეგატების შესახებ: 1) ნაღდი ფულადი მასა მიმოქცევაში (M0); 2) ფულადი ბაზა (MB), ანუ თავიანთი ვალდებულებები; 3) ფართე ფულადი მასა (M2) = ნაღდი ფული + უნაღდო ფული (სახსრები ანგარიშებზე).

სხვა ქვეყნებში ფულადი აგრეგატების განსაზღვრისადმი მიდგომები რამდენადმე განსხვავებულია. გამსაკუთრებით აღნიშნული ეხება აგრეგატ M1 (ტრანსაქციულ ფულს) და ფართე აგრეგატებს (M3-სა და M4-ს). ცხრილი 1-ში ევროზონისათვის ევროპული ცენტრალური ბანკის მიერ ფულადი აგრეგატების გაანგარიშებაა წარმოდგენილი.

ფულადი მასის სტრუქტურის განვითარებულობა საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ვლინდება M3 და L აგრეგატებში შემავალი ფულადი მასის დაბალლიკვიდური შემადგენელების აბსოლუტური და შეფარდებითი სიდიდეების მიხედვით საკმაოდ დიდი ოდენობის არსებობაბაში.

ევროპული ცენტრალური ბანკის ფულადი მასის სტრუქტურა, რომელიც ცხრილი 1-შია წარმოდგენილი, სპეციფიკური ფულადი ფუნქციების შემსრულებელი სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტებისგანვითარებოს შესახებ მოწმობს. ასე, მაგალითად, ფულისა და გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებების საერთო ჯამში საკუთრივ ფული (აგრეგატი M1) შეადგენს 28%, ფულადი მასა ფართე განსაზღვრაში (აგრეგატი M2) — 51,2%, ხოლო დაბალლიკვიდური ვალდებულებების წილი (არ შემავალები M2) — 49,8%.

ცხრილი 1. ევროზონაში ფულადი მასა და გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები 01.11.2016 წლის მდგომარეობით[1]

ფულადი აგრეგატები და მათი შემადგენელები:	აბსოლუტური მნიშვნელობა (მლრდ ევრო)	შეფარებითი მნიშვნელობა (% აგრეგატში M2 ან M2 აგრეგატისადმი)
ნაღდი ფული მიმოქცევაში (currency in circulation)	745,2	9,1
დეპოზიტები მოთხოვნამდე (overnight deposits)	3 737,5	45,5
ჯამი: ფულადი აგრეგატი M1	4 482,7	54,6
დეპოზიტები დაფარვის ვადით 2 წლამდე (deposits with an agreed maturity of up to 2 years)	1 946,7	23,7
დეპოზიტები რომლებიც დაფარვას შეტყობინების მიხედვით 3 თვის განმავლობაში ექვემდებარებიან (deposits redeemable at a period of notice up to 3 months)	1 784,4	21,7
ჯამი: ფულადი აგრეგატი M2	8 213,8	100,0
რეპო	300,6	3,7
საბაზრო პაიები და წილები (money market fund shares/units)	744,6	9,1
სავალო ფასიანი ქაღალდები დაფარვის 2 წლამდე ვადით (debet securities up to 2 years)	142,4	1,7
ჯამი: ფულადი აგრეგატი M3	9 401,4	114,5
სავალო ფასიანი ქაღალდები დაფარვის 2 წელზე მეტი ვადით (debet securities over 2 years)	2 610,9	31,8
დეპოზიტები რომლებიც შეტყობინების მიხედვით დაფარვას 3 წელზე მეტი ვადის განმავლობაში ექვემდებარებიან (deposits redeemable at a period of notice over 3 months)	134,9	1,6
დეპოზიტები დაფარვის ვადით 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში (deposits with an agreed maturity over 2 years)	2 173,7	26,4
კაპიტალი და რეზერვები (capital and reseres)	1 728,8	21,1
ჯამი: ფინანსური ვალდებულებები დიდი ვადით (longer-term financial liabilities)	6 648,3	80,9

[1] http://www.ecb.int/home/html/index.en.html.

ჯამი: ფული და გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები (money and longer-term financial liabiliies)	16 049,7	195,4

რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებადი „საბანკო სექტორის მიმოხილვის“ საფუძველზე შეიძლება ასევე რისეთში ფულადი მასის სტრუქტურის შესახებ ინფორმაცია იქნას მიღებული. სიმართლეა, აღნიშნული მიმოხილვა ასევე უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებს ითვალისწინებს (ცხრილი 2). ასე, მაგალითად, რუსეთში ფულისა და გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებების საერთო ჯამში საკუთრივ ფული (აგრეგატი M1) შეადგენს 30,4%, რაც განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებთან თანაფარდობაშია. რაც შეეხება დაბალლიკვიდური ვალდებულებების წილს, იგი ტოლია 28,4%, ანუ არსებითად დაბალია, ვიდრე განვითრებულ ქვეყნებში. ცხრილები 1 და 2-დან ჩანს ასევე ევროზონის ქვეყნებთან შედარებით რუსეთში ტრანსაქციულ ფულში ანუ აგრეგატ M1-ში ნაღდი ფულის წილის თითქმის სამჯერადი მეტობა (48,7% საპირისპიროდ 16,7%).

ცხრილი 2. ფართე ფულადი მასა და ფულადი აგრეგატები რუსეთში უცხოურ ვალუტაში ვალდებულებების გათვალისწინებით 01.01.2016 თარიღისათვის[1]

ფულადი აგრეგატები და მათი შემადგენელები:	აბსოლუტური მნიშვნელობა (მლნ რუბლ.)	შეფარებითი მნიშვნელობა (% აგრეგატში M2 ან M2 აგრეგატისადმი)
ნაღდი ვალუტა საბანკო სისტემის გარეთ	4 038 051	20,7
გადასაყვანი დეპოზიტები	4 256 447	21,8
ჯამი: ფულადი აგრეგატი MX1	8 294 498	42,5
სხვა დეპოზიტები	11 225 579	57,5
ჯამი: ფულადი აგრეგატი MX2 (ვალდებულებებიი, რომლებიც ფართე ფულად მასაში ჩაირთვებიან)	19 520 078	100,0
დეპოზიტები არ ჩართვადები ფართე ფულად მასაში	182 580	0,9
ფასიანი ქაღალდები, აქციების გარდა, ფართე ფულად მასაში არ ჩართვადები	582 577	3,0
აქციები და კაპიტალში მონაწილეობის სხვა ფორმები	6 070 309	31,1
დანარჩენი მუხლები (ნეტტო)	906 277	4,6
ჯამი: ფული და გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	27 261 821	139,7

არსებობს თვალსაზრისი, რომ ფულადი მასის დაბალლიკვიდური შემადგენელების, თავისებური ფულის შემცვლელების არსებობა, განვითარებულ ქვეყნებში 2008-2009 წლების კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი გახდა. ამასთან ერთად აღნიშნული მიზეზი მხოლოდ ერთადერთი მიზეზი არ იყო, და კრიზისზე მისი ზემოქმედების ხარისხი დამატებით მკაცრ მტკიცებულებებს მოითხოვს.

[1] http://www.cbr.ru/statistics/print.aspx? file = credit_ statistics / surver_bs_10. htm@pid = dkfs@sid = MN_1452.

შემეცნებითი სამყარო

მამა ამირან ამირანაშვილი



საუბარი რელიგიის ისტორიის შესახებ

გაგრძელება.
დასაწყისი ანთოლოგიის № 6-7-სა
და ჟურნალ „ათინათის“ №26,27, 28, 29-ში

ქართლის სამეფო გაქრისტიანების გზაზე

ქართლის ქრისტიანიზაციის დასაწყისი

მეფე მირიანმა, ქრისტე-ღმერთის აღიარების შემდეგ, რომის იმპერატორ კონსტანტინესთან დესპანები წარგზავნა, რათა ქრისტიანობაზე ახლადმოქცეული ქართველი ერის, მოსანათლად დასამოძღვრად, სასულიერო პირები გამოეგზავნა: „და ვითარცა მიიწივნეს მოციქულნი მირიან მეფისანი კონსტანტინე ბერძენთა მეფეს წინაშე და მიუთხრეს ყოველი, რაც იქნა, მაშინ აღივსო სიხარულითა მეფე და დედა მისი ელენე დედოფალი...“ [190].

ჩვენი გამოთვლის თანახმად, ეს უნდა მომხდარიყო 313 წლის 20 ივნისის მომდვნო დღეებში, რადგან, წყაროთა მიხედვით, მირიან მეფე ჩქარობდა სამეფო სახლისა და ქართველი ერის ნათლობას.

ვიდრე მეფის წარგზავნილები მღვდელ-დიაკვნებს ჩამოიყვანდნენ, მირიან მეფემ „*მოსწრაფებითა ქრისტიანობასა ზედა*“ გადაწყვიტა აეშენებინა ღმრთის სახლი. რჩევისათვის წმიდანინოს მიმართა. ჰკითხა, თუ სად უნდა აეშენებინა პირველი ქრისტიანული ტაძარი. წმიდა ნინომ, ეკლესიის ასაშენებელად ადგილის შერჩევა, თავად მეფეს მიანდო და უთხრა: ღმერთის სახლი აეშენებინა იქ, „სადაც მეფეთა გონება მტკიცე არს„ ;191]. მირიანმა ეკლესიის აშენება წარმართ მეფეთა ბაღში გადაწყვიტა: „სამეფოსა მას სამეუფოსა... აღვაშენოთ სახლი ღმრთისა სალოცველად ჩვენდა“ [192].

წმიდა ნინოს შთაგონებით აღფრთოვანებული მირიან მეფე მაშინვე შეუდგა ეკლესიის შენებას. მემატიანე გვამცნობს, რომ „შიშითა და სიხარულითა აღივსო მცხეთა ქალაქი“ [193]. ამასთან, მემატიანე მთელი გულით შეჰნატრის იმ დროს: „ნეტარ მას ჟამსა, რა იგი იქმნებოდა“ [194].

„ნინოს ცხორებაში“ საყურადღებო მომენტია გადმოცემული, პირველი ეკლესიის აგებისათვის საჭირო მთავარი ძელის აღმართვასთან დაკავშირებით. მშენებლებმა მაღალი ნაძვისაგან დამზადებული მთავარი ძელი ადგილიდან ვერ დაძრეს. ვერ დაძრა იგი ვერც მეფე მირიანმა და მასთან ერთად შეკრებილმა დიდძალმა ხალხმა. მაგრამ, წმიდა ნინოსა და მისი თორმეტი მოწაფის ლოცვის მეოხებით, სვეტი თავად აღიმართა თავის საძირკველზე. იმავე ღამეს დაიმსხვრა წარმართთა ღვთაებანი, მტკვარი და არაგვი გამაყრუებელი ხმაურითა მოარღვევდა აზვირთებულ ტალღებს; კოკისპირულ წვიმასა და ნიაღვარს მიჰქონდა მთელი ქალაქი; მოძღვარი ნინო კი ლოცვით ამშვიდებდა მცხეთელებს და ანუგეშებდა; „*მთიანი მუნვე ჰგიან და წყალნი მუნვე დიან*“ [195]. ამ სიტყვებით, წმიდა ნინო განუმარტავდა მოსახლეობას, რომ წყალმა წაიღო და სამუდამოდ შეწყდა და აღარასოდეს განმეორდებოდა ამაზრზენი მსხვერპლთშეწირვა და რიტუალები; წმიდა ნინო, ღვთიური ნებით, ქადაგებდა ქრისტეს მოძღვრებას, ღმერთის მიმართ ასულდგმულებდა იქ მყოფთ.

სიცოცხლის სვეტმა, ღვთაებრივი აღმართვით, დაშრიტა და ჩააქრო წარმართ ქართველთა და მათ მეფეთა სათაყვანებელი მარადიული ცეცხლი, რომელიც მზე-მიტრას განსახიერებასა და სიმბოლოს წარმოადგენდა დედამიწაზე. თვალს თუ გადავავლებთ ქართლის სამეფოს ისტორიის დასაწყის პერიოდს, მაშინვე მივხვდებოდით, რომ ამ ცეცხლში ის მარადიული ცეცხლი იგულისხმება, რომელიც დაიგზა ქრისტეს დაბადებამდე III საუკუნის დასაწყისში, პირველი ქართული სახელმწიფოს შექმნისთანავე ანუ, სვეტი ცხოველის მიერ ჩაქრა და განადგურდა ქართლის სამეფოს დამაარსებლისა და მისი პირველი მეფის, დიდი ფარნაოზის მიერ დაგზული ცეცხლი, რომე-

ლიც წარმართ ქართველ მეფეთა საგვარეულო ცეცხლს წარმოადგენდა და ექვსი საუკუნის განმავლობაში გიზგიზებდა მეფეთა სამოთხე-ბაღებში. ამ ცეცხლის დაშრეტა და გაქრობა კი ნიშნავდა წარმართობის დათრგუნვისა და ქრისტიანობის აღიარებას ერთადერთ სარწმუნო რელიგიად მცხეთასა და სრულიად ქართლის სამეფოში.

რომელ დღეს დაეფუძნა მისთვის განკუთვნილ ხარისხს სვეტი ცხოველი, რა დღიდან გახდა ძელი ცხოვრებისა ქრისტიანობის პირველ ქართულ სიმბოლოდ და შეურყეველ სიწმინდედ?

ჩვენი აზრით, სვეტი ცხოველის მიერ მითრიასტული ცეცხლის ჩაქრობა და დაშრეტა მოხდა მზე-მითრას განდიდების დღეს, რომელიც ყოველწლიურ რიტუალს წარმოადგენდა და ივლისის ახალმთვარეობიდან მეთექვსმეტე დღეს იმართებოდა [196].

313 წელს დღე, ჩვენი ვარაუდით, სწორედ იმ დღეს ქრისტიანობის სიმბოლომ, სვეტმა ცხოველმა თავისსავე ნაცარში დაშრიტა წარმართ ქართველ მეფეთა საგვარეულო ცეცხლი, რომელიც დიდი ფარნაოზის მიერ იყო დაგზული.

სიცოცხლის ძელის ღვთაებრივი დაფუძნებისთანავე, მირიან მეფემ მსწრაფლ „განასრულა ეკლესია სამოთხესა შინა“ [197].

სავარაუდოდ, პირველი ქრისტიანული ტაძარი სვეტიცხოველი, რომელიც მირიანმა ააგო წმიდა ნინოს რჩევითა და შთაგონებით, მსგავსი უნდა ყოფილიყო ეფესოში არსებულ ეკლესიათა ტიპისა, რადგან, ქართლში შემოსვლამდე, წმიდა ნინომ ორი წელი ეფესოში გაატარა და იქაური საეკლესიო ცხოვრების აქტიური მონაწილეც იყო. წმიდა ნონოს მეხსიერებაში უსათუოდ იქნებოდა აღბეჭდილი ეფესოში არსებულ ეკლესიათა არქიტექტორული კონტური და, თუკი ეს მოსაზრება ოდნავ მაინც შეეფერება სინამდვილეს, მაშინ შესაძლებელია გამოვიტანოთ ასეთი დასკვნა: **ქართლის სამეფოში შექმნილი პირველი ქრისტიანული ნაგებობა უნდა აეშენებინათ ბერძნულ-რომაული საეკლესიო არქიტექტურის მიმსგავსებით და არა სირიაში დამკვიდრებული არქიტექტურული ტიპისა**.

მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ პირველი ქრისტიანები ეკლესიას აგებდნენ იქ, სადაც წარმართთა სალოცავი არსებობდა. ეკლესიის საკურთხეველი ამოჰყავდათ ზუსტად იქ, სადაც დაგზული იყო წარმართთა სათაყვანებელი ცეცხლი. სწორედ ასეთი არქიტექტურული ცვლილებები მოხდა მაშინ, როდესაც წარმართული ნაგებობები ქრისტიანულ ეკლესიებად გადაკეთდა.

ჩვენი გამოთვლის თანახმად, ქართლის სამეფოში წარმართ ღვთაებათა მსხვრევა მოხდა: მოძრავი წელთაღრიცხვით, მაისის ციკლის (238-398), მესამე პერიოდის (302-334), მეათე წლის მეექვსე თვის მე-20 დღეს, შაბათს (იულიუსით — 311 წლის 21 ივლისს, შაბათს). წყაროებში ამ მოვლენას (ორი წლის პერიოდში განვითარებული მოვლენების უგულვებელყოფით) ქართლის სამეფოს საზოგადოებრივი ცხორების ისტორიაში, სავსებით სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს შემეცნებითი ცვლილების ორ წლად, როდესაც მცხეთის მოსახლეობამ დაიწყო სულდგმულობა იმ ხის ჯვრის რწმენით, რომელიც ნინომ არაგვს გაღმა, მთის ფერდობზე აღმართა.

ვინაიდან 313 წლის 20 ივნისი, მირიან მეფის მიერ ქრისტე-ღმერთის აღიარების თარიღად მიგვაჩნია, ვფიქრობთ, ეს თარიღები უნდა მივიჩნიოთ ქართველი ერის გაქრისტიანების საწყის თარიღადაც.

მირიან მეფის და ქართლის ერის ნათლობის თარიღისათვის

მირიან მეფის თხოვნის საპასუხოდ, კონსტანტინე იმპერატორმა ქართლის სამეფოში წარმოგზავნა „*მღვდელი ჭეშმარიტი იოანე ეპისკოპოსად და მის თანა მღვდლად ორნი და დიაკონნი სამნი*“ [198].

იმ დროს დასავლეთ ქართლი (ცენტრით მცხეთა) რომის კულტურული გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამიტომ ქართლშიც ზეიმობდნენ იმ დღესასწაულებს, რომლებსაც წარმართულ რომში აღნიშნავდნენ. სასულიერო პირთა ჩამოსვლისა და მათი მოღვაწეობის შედეგად, წარმართთა დღესასწაულებმა და რიტუალებმა ადგილი დაუთმეს ქრისტიანული ცხოვრების წესს, წირვა-ლოცვებსა და საეკლესიო დღესასწაულებს. ზოგიერთი წარმართულ დღესასწაულს კი ქრისტიანული ჩაენაცვლა.

ამ აზრის სისწორეში გვარწმუნებს შემდეგი გარემოება:

რომის იმპერიაში მზე-მითრას სადიდებლად ყოველწლიურად გამართულ წარმართულ დღესასწაულს უწოდებდნენ თარგელონს. ვფიქრობთ, მასთან კავშირშია დღემდე ხევსურეთში შემორჩენილი დღესასწაული ათენგენობა, რომელიც იმართება ივლისში, როდესაც მზე ლომის ვარსკვლავურ ნიშანში შედის.

ასევე, ყოველწლიურ საშემოდგომო დღესასწაულს წარმოადგენდა ძველი ბერძნული სამყაროდან მომდინარე, ღმერთი აპოლონისადმი მიძღვნილი დღესასწაული „პიანეფსონი", რომელიც რომის იმპერიაში მოსავლის აღება-დაბინავბას დაუკავშირდა. დღეასასწარულის გამო, თვეს, როდესაც ეს ზეიმი იმართებოდა, პიანეფსიონი ეწოდა და იგი 23 სექტემბრიდან 22 ოქტომბრამდე წარმართულ საშემოდგომო დღესასწაულს („პიანოფსიონს") დაამთხვიეს ქართველი ერის ნათლობის დღე, ანუ, გაქრისტიანებული მირიან მეფის სამეფოში მზე-აპოლონისადმი მიძღვნილი დღესასწაული შეიცვალა ნათელღების, განწმენდის, ცოდვების მონანიებისა და განსპეტაკების დღესასწაულით.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რატომ უნდა დაემთხვიათ ქართლის მცხოვრებთა ნათელღების დღე პიანეფსონის დღესასწაულისათვის?

ნათლობასთან დაკავშირებით, „ქართლის ცხოვრებაში" აღნიშნულია, რომ მირიან მეფემ ნათელ იღო „ხელსა ქუეშე მიდისა ნინოსსა" [199], ხოლო დედოფალმა ნანამ და მათმა შვლებმა: რევმა, ბაქარმა, მირანდუხთმა ნათელ იღეს „*ხელსა ქუეშე მღვდელთა და დიაკონთა*" [200] და „ესრეთ სახედნათელ იღეს ყოველმან ერმან და სიმრავლემან ქართლისამან" [201] („*ხოლო არა ნათელ-იღეს მთიულთა კავკასიონთა, არცა მოვიდეს მოფენასა მას ნათლისასა*" [202] „*არა ნათელ-იღო ფეროზ, სიძემან მირიან მეფისამან, არცა ერმან მისმან ნათელ-იღო*" [203].

მთის ხალხი მოგვიანებით გაქრისტიანდა, რის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ. ახლა კი ვნახოთ როდის უნდა მომხდარიყო ნათელღება ქართლისა?

ჩვენი გამოთვლის თანახმად, მირიან მეფემ კონსტანტინე იმპერატორთან დესპანები წარგზავნა 313 წლის 20 ივნისის მომდევნო დღეებში. ივნისის ბოლოს ქართლიდან წასულ დესპანებს, დაკისრებული მისიის შესასრულებლად, ორი-სამი თვე მაინც დასჭირდებოდა. ამიტომ ქართლში ეპისკოპოსისა და მღვდელ-დიაკვნების შემოსვლა სექტემბრის მესამე დეკადაში უნდა ვივარაუდოთ. იმ დროს კი, როგორც აღვნიშნეთ, პიანეფსონის თვე იწყებოდა. ცხადია, დღესასწაულის აღსანიშნავად, წარმართ ქართველთა დიდი ნაწილი მცხეთისკენ გამოემართებოდა. ამიტომ ეს დღესასწაული არაჩვეულებრივი შემთხვევა იქნებოდა მასობრივი ნათლობის ჩასატარებლად.

აქ უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ ცხოველი სვეტის თავის საძირკველზე აღმართვის (ჩვენი გამოთვლით, 313 წლის 25 ივლისი) შემდეგ, მირიან მეფემ მსწრაფლ „***განასრულა ეკლესია სამოთხესა შინა***". ანუ, იმპერატორის მიერ წარმოგზავნილ სასულიერო პირებს ***ძელის ეკლესია უკვე აგებული დახვდათ***. ამიტომ ნათლისღების ჩასატარებლად, არანაირი ხელისშემშლელი ფაქტორი აღარ არსებობს.

ანტიკური კალენდრის მიხედვით, პიანეპფსიონის თვის პირველი დღე, იულიუსით, უდრის 23 სექტემბერს. ზოგიერთი ბერძნული წყაროს თანახმად, საშემოდგომო მოსავლის აღება-დაბინავებას ზეიმობდნენ პიანეპსიონის თვის მე-7 დღეს, ზოგისა კი — მე-8 [204]. თუკი 23 სექტემბრიდან 8 დღეს გადავითვლით, მივიღებთ 1 ოქტომბერს. საგულისხმოა ისიც, რომ იანეფსიონის დღესასწაული სამ დღეს გრძელდებოდა.

ვფიქრობთ, სწორედ ესაა საფუძველი იმისა, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში სვეტიცხოვლობისა და ქართველი ერის ნათელღების დღედ 1 ოქტომბერია მიჩნეული.

ამრიგად, ჩვენი დასკვნის მიხედვით, მირიან მეფისა და ქართველი ერის ნათელღების დღედ 313 წლის 1 ოქტომბერი უნდა მივიჩნიოთ.

(გაგრძელება იქნება)

ნორჩი ათინათელები

167-ე საჯარო სკოლის მკითხველთა კლუბი „მთიები"

ანანო ნიშნიანიძე
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-6 კლასის მოსწავლე

ენის დანიშნულება

ჩვენ ხშირად არ ვფიქრობთ ენაზე, მაგრამ მაინც გვიჩნდება კითხვა: რა გზა გამოიარა მან, რომ აქამდე მოსულიყო? ცნობილია, ენის დანიშნულებას, პირველყოფილი ადამიანებიდან დღემდე, ადამიანებს შორის ურთიერთობა წარმოადგენს.. თურმე, როდესაც განსხვავებულ ენებში ერთნაირი მნიშვნელობის სიტყვები მოიძებნება, ენათა ნათესაობა ჰქვია. ჩვენთვის ცნობილია, რომ არსებობს მკვდარი და ახალი, მდიდარი და ღარიბი ენები. მაგრამ ბევრ მკვდარ ენას ახლაც იყენებენ. დიდი გზა გამოიარა მან... შეიცვალა მნიშვნელობა სიტყვებისa, შეიცვალა გამოთქმები. რამდენს უნდოდა მისი წართმევა და განადგურება. რამდენი ადამიანი ამახინჯებს თავის ენას, იმის გამო, რომ თავის დროზე სწორად არ ისწავლა და ვერ ხვდება, რომ ამით მის არსებობასა და სიწმინდეს საფრთხეს უქმნის..

ერეკლე ხმალაძე
თბილისი 167-ე საჯარო სკოლის
მე-6 კლასის მოსწავლე

ფიქრები ენაზე

ხშირად მებადება კითხვები, როგორც ჩემი მშობლიური, ასევე სხვა ენების შესახებ.

იმ ენებიდან, რომლებსაც სკოლაში ვსწავლობ (ინგლისური, რუსული), ქართული უნიკალურია, როგორც იწერება, ისე იკითხება.

ვარაუდობენ, რომ ბევრი ენა გადაშენების პირასაა. მოვიძიე მასალა და აღმოვაჩინე ინფორმაცია ორ მათგანზე:

1. **ბიკია** – მასზე, თურმე, მხოლოდ 87 წლის ქალი საუბრობს, ის კამერონისა და ნიგერიის მოსაზღვრე სოფელში ცხოვრობს;
2. **სუსუამი** – ამ ენაზე ორი ოჯახი საუბრობს, ისინი მოროვიის პროვინციის მკვიდრნი არიან.

ისიც შევიტყვე, რომ იუნესკომ შექმნა გაქრობის პირას მყოფი ენების კატალოგი, რომელშიც შესულია ლაზური და წოვა – თუშური.

საერთო წარმოშობის მქონე ენები მონათესავე ენების ოჯახს ქმნიან. ასეთებია: მაგ: ინდოევროპული, სემიტური, იბერიულ – კავკასიური, უნგრულ – ფინური, თურქული.

მე – 20 საუკუნიდან ქართულ ენაში გაჩნდა უამრავი ახალი სიტყვა (ექაუნთი", ,,ლინკი", ,,ინსტალაცია" და სხვ.) ტერმინი და ჟარგონი.

ვფიქრობ, რომ ქართულში ვერ მოინახა მათი შესატყვისები და ეს არის მიზეზი.

დღესდღეობით, ქართულ ენას მსოფლიო დომინანტ ენასთან – ინგლისურთან, მჭიდრო ურთიერთობა აქვს, და, შესაბამისად, ეს ზეგავლენასაც ახდენს ქართულზე.

ლიზი ლეკიშვილი
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-6 კლასის მოსწავლე



ფიქრები ენის სამყაროზე

ენის შესახებ, პატარაობისას, არაფერი ვიცოდი, მიხარია, რომ, დღეს, ბევრ საინტერესო ინფორმაციას ვფლობ, მიმაჩნია, რომ ეს მასწავლებლის, მშობლებისა და ჩემი შრომისმოყვარეობის დამსახურებაა.

ენა ვენახია, რომელშიც ახალ ყურძენს ვკრეფთ და ახალ ინფორმაციას ვიღებთ მის შესახებ.

მან ბევრი გზა გამოიარა, რათა ადამიანებს კომუნიკაცია შეძლებოდათ. ენა რამდენჯერ შეიცვალა, გარდაიქმნა და ზოგიერთმა სიტყვამაც შეიცვალა თავისი მნიშვნელობა, ის, უძველეს დროში, იხაზებოდა ქვებზე, ხეებზე და იკაწრებოდა გამოქვაბულების კედლებზე.

საინტერესო ფაქტს წავაწყდი, წავიკითხე, რომ ერთი მოხუცი ქალი ოც ენაზე საუბრობს და არ იცის საიდან ან როგორ ისწავლა ისინი.

ენამ ასწავლა ადამიანებს ცოდნა-განათლების მნიშვნელობა, ასწავლა კულტურა და პატივისცემა.

ლუკა ჩაჩანიძე
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-6 კლასის მოსწავლე

ხატვიდან დამწერლობამდე

ადამიანმა პირველად ხატვა დაიწყო, მერე დაიხვეწა და შეიქმნა დამწერლობა. ყოველთვის მაინტერესებდა, როგორ მოაღწიეს უძველესი დროის ნახატებმა ჩვენამდე. როგორი გამძლეობა და ნებისყოფა ჰქონია ადამიანს, ვინც დამწერლობა შექმნა. ჩემი აზრით, მან წერა ასწავლა თავისი დროის საზოგადოებას, მისი ცოდნაც კი გადაეცა თაობიდან თაობას.

ზოგიერთი ენა სესხულობს სიტყვებს, ალბათ, სრულყოფილი არ არის, ლექსიკა არ ყოფნის, ზოგიერთი, თურმე, სამწუხაროდ, გაქრა, ზოგიც გადაშენების პირასაა,,,

მუხრან ჭიღლაძე
თბილისის 167-საჯარო სკოლის მოსწავლე

განუმეორებელი

ენის სიწმინდის დაცვა თითოეულ ჩვენგანს ევალება , ის ფასდაუდებელი განძია, ჩემთვის, ყველაფერი, რაც ფასდაუდებელია, განუმეორებელია.

სამყაროში , სხვადასხვა ენამ, ბევრ დაბრკოლებას გაუძლო, რათა ჩვენამდე მოსულიყო: შევიწროებას, სიკვდილს და ასე შემდეგ, მაგრამ მან დღემდე მაინც მოაღწია. .

თურმე, როდესაც გადაშენდება რომელიმე ერი, მასთან ერთად მისი ენაც კვდება.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ქართული ენა და დამწერლობა შევინარჩუნოთ და არ მივცეთ მისი განადგურების უფლება არავის.

ზეიკიძე თინათინი
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-6 კლასის მოსწავლე

ნიადაგს მოწყვეტილი

ზოგიერთ ადამიანს წილად ხვდა, რომ საკუთარი სამშობლო დაეტოვებინა ან იძულებით, ან საკუთარი სურვილით. ჩემი ვარაუდით, ასეთ შემთხვევაში, ენას დავიწყების საფრთხე ემუქრება. ვფიქრობ, რომ ქართველების სამშობლოდან წასვლითა და სხვა ადგილებიდან უცხოელების ჩემოსვლით, ენა იღრევა. ორივე მხარე მოწვეტილია საკუთარ ნიადაგს. ზოგიერთი ადამიანი თანდათანობით ივიწყებს მშობლიურ ადათ-წესებს, მაგრამ, საბედნიეროდ, ყოველთვის არ ხდება ასე. რადგან ადამიანები, ხშირ შემთხვევაში, მცირე თუ დიდ ჯგუფებად არიან გადახვეწილნი და ნიადაგს მოწყვეტილნი ენასაც ინარჩუნებენ.

თამარ ლოევენი
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-6 კლასის მოსწავლე

ენა და მამული

ქართველები ხშირად იცვლიან საცხოვრებლებს, სხვა ნიადაგს ირგებენ. ეს ხშირად მათი ნებით არ ხდება, ადამიანებს სხვა ქვეყანაში ცხოვრებას გარემო პირობები აიძულებს. ისინი, უცხოეთისკენ, სამუშაოდ, სასწავლებლად ან სხვა მიზეზების გამო მიემართებიან.

ემიგრანტებზე ხშირად მოქმედებს გარემო პირობები ზოგიერთებს თავიანთი მამული, ენა , ავიწყდებათ. ქართველები სხვა ქვეყანაში სახლდებიან, უცხოეთიდან საქართველოშიც ჩამოდიან, ამიტომ ენები ერთმანეთში ირევა, რაც არ არის კარგი. ენა ანგელოზია, რომელიც მუდამ ჩვენთანაა. ენა და მამული პატივსაცემია.

ნათია ადვაძე
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-8 კლასის მოსწავლე

ჯეიმზ დაშნერი „ლაბირინთში მორბენალი“

წიგნი „ლაბირინთში მორბენალი“ ჯეიმზ დაშნერს ეკუთვნის. იგი ავტორმა ხუთ ტომად გამოსცა. ნაწარმოები მოგვითხრობს, თუ როგორ ცდილობდნენ მოზარდები სამყაროს გადარჩენას. ეს იყო ბრძოლა დაავადების წინააღმდეგ, რომელიც ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა და ამიტომ „ელვარება“ უწოდეს. იგი, 14 წლის წინ, მზეზე აფეთქებებმა

წარმოქმნა და ჰაერწვეთოვანი გზით აღწევდა ადამიანთა ტვინში შედეგად, მათ, ფსიქიური პრობლემები ექმნებოდათ. ინფიცირებულ ადამიანებს შიზებს უწოდებდნენ. მთავრობამ, მათი განსაკურნავი წამლის გამოსაგონებლად, შეკრიბა მეცნიერები, რომლებმაც შექმნეს ჯგუფი, „უკეთური“. მათ, მოზარდებს, რომელთაც მიდრეკილება ჰქონდათ დაავადებისკენ, მოუწყვეს გამოცდები, აკვირდებოდნენ მათ ტვინს და მატრიცის შექმნა სურდათ. გამოცდების ნაწილი იყო ლაბირინთი, სადაც მეხსიერებადაკარგული მოზარდები ცდილობდნენ თავის დაცვას, კედლებს მიღმა დამალული გრივერებისაგან. ისინი გასასვლელს ეძებდნენ და იპოვეს კიდეც. უკეთურის რჩეული იყო თომასი, რომელმაც გაიჩინა მეგობრები და მათი დახმარებით ყველა დაბრკოლება გადალახა. გამოცდის მეორე ნაწილი იყო მაყალი, მოზარდებს უსაფრთხო თავშესაფარი უნდა ეპოვათ. მიუხედავად საზარელი დაბრკოლებებისა, მათ ესეც მოახერხეს. თომასმა ამ ბრძოლაში ბევრი მეგობარი დაკარგა, თუმცა მოახერხა წასულიყო შორს, სადაც მოზარდებთან ერთად ბედნიერად იცხოვრებდა. 13 წლის წინ, მარკმა, მეგობრების დახმარებით, მოახერხა მთავარი საიდუმლოს ამოხსნა. მან გაიგო, რომ, თურმე, მთავრობას მოსახლეობისთვის საკმარისი რესურსი აღარ ჰქონდა და ამიტომ შექმნეს დაავადება, რომელიც ხალხის ნახევარს გაანადგურებდა და ერთი გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო მათ მთელი სამყარო დაღუპეს. ამ დაავადებას „ელვარება“ უწოდეს.

ავტორმა ტექსტში გამოიყენა მხატვრული ხერხები, რითაც წიგნი უფრო საინტერესო წასაკითხი გახადა.

ზემოხსენებული ნაწარმოები, ფანტასტიკური და სათავგადასავლო ლიტერატურის ნიმუში, იმდენად საინტერესოა, რომ კითხვას თავს ვერ ანებებ და ცნობისმოყვარეობა გიძლიერდება. მასზე გადაიღეს ფილმი, სადაც მსახიობები როლებს შთამბეჭდავად ასრულებენ. წიგნი, ნიუ—იორკში. ბესტსელერად იქცა.

ნაწარმოები გვასწავლის თანადგომასა და უსამართლობის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლას.

„ლიბერთინსი“ არის ჯგუფი, რომელიც ახალ დაწერილ წიგნებს კითხულობს. ისინი ხალხს ურჩევენ, გაეცნონ თანამედროვე ლიტერატურის ნიმუშებს. მათთან ერთად, მეც გირჩევთ, წაიკითხეთ „ლაბირინთში მორბენალი“ თქვენ მიიღებთ უდიდეს სიამოვნებას.

ლაშა ჯაფარიძე
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-7 კლასის მოსწავლე

ფიქრები ხელმოცარულ ელჩზე

თითქოს ვხედავ, როგორ გამოდის ვერსალიდან ხელმოცარული ელჩი, სულხან-საბა...

ლუი XIV გულცივი მეფეა, მას არ ეცოდება საკუთარი ხალხიც...მოაბიჯებს იმედგაცრუებული ქართველი , სევდიანია, გული ეკუმშება, რა უთხრას საფრანგეთისკენ იმედით მომზირალ ვახტანგ VI-ს...სადღაც შორს, მოჩანს „ტურფა ტანძია“, ელჩის მშობლიური სოფელი, რომელიც, ალბათ, ასევე დარდობს...

ნინი მელაძე
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-8 კლასის მოსწავლე

მკითხველი ფოტოგრაფი

„კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უვარდა“ გურამ დოჩანაშვილმა დაწერა. მასში მთავარი მოქმედი გმირი ვასიკო კეჟერაძეა, ფოტოგრაფი, რომელსაც უყვარს ლიტერატურა. კაცს იმდენად ბევრი წიგნი აქვს წაკითხული, რომ მასთან მისულ ინტერვიუერს და მის ხელმძღვანელსაც აბნევს. თავიდან, თითქოს, ინტერესს იწვევს ვასიკოსთან საუბარი, მაგრამ, შემდეგ, ხელმძღვანელი ღიზიანდება...

ნაწარმოები გვასწავლის, რომ კითხვით ბევრს მივაღწევთ.

მინდა ვიცნობდე მკითხველს, რომელსაც ვასიკო კეჟერაძესავით უყვარს ლიტერატურა, რადგან, ჩემი აზრით, ასეთი ადამიანები ძალიან საინტერესოები არიან.

მილოცვა

სიმონ ზაქარაია

მვირფასო ქალბატონო გულნაზ

მეც, ვუერთდები შენი ახლობლებისა და მრავალრიცხოვანი მეგობრების დიდ სურვილს და მოგილოცავ დამდეგ 2019 წელს, იგი თქვენთვის ყოფილიყოს ჯანმრთელობისა და ჩვეული წარმატებების მომტანი. როცა ამ მისალოცს ვწერ, იმაზე ვდარდობ და ვფიქრობ შვილდაღუპულ დედას რა ფორმით მივეფერო ისე, რომ მისი გულის იარები ზედმეტად არ შეირხეს... მაგრამ შენ ხომ სიკვდილზე გაიმარჯვე და მტკიცედ ჩადექი იმ დიდ ფერხულში, რომელსაც ერის სამსახური ქვია.

მართალია, სამშობლოს სიყვარულში, მის თავგანწირულ სამსახურში უკვდავყოფილი ქართველი ქალები ცოტანი არ ყოფილან ჩვენი ერის ისტორიაში, მაგრამ უდაოდ გვეამაყებით თქვენი უშურველი შემართებით, ჭეშმარიტების სიღრმისეული წვდომით, რამაც წარმატებები მოგიტანათ.

ცნობილია, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში ეროვნული მწერლობის, მეცნიერების და ხელოვნების დარგების განვითარებისათვის საჭირო ეკონომიური პირობები ნამდვილად შეზღუდულია, ბაზრის ეკონომიურმა ბერკეტებმა, ჯერჯერობით ეფექტურად ვერ იმუშავა, მაგრამ მიუხედავად ამისა თქვენ ქალბატონო გულნაზ, როგორც პრეზიდენტი ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი აკადემიისა და სანიმუშო რედაქტორი პოპულარული ჟურნალის „ათინათისა“, წარმატებული და მისაბაძი ბრძანდებით. თქვენთვის არ არსებობს გადაულახავი ბარიერები, ვითომც ეს სირთულეები თქვენთვის არ არსებობდეს.

მე მინდა აქ გავიხსენო დიდი ფილოსოფოსის სოკრატეს ოცნება, ჩამოეყალიბებინა ისეთი სახელმწიფო წყობილება, სადაც ყოველი ადამიანი გამოავლენდა თავისი ნიჭის შესაძლებლობებს და მიმართულებას. რა თქმა უნდა სოკრატე თავისთავად გულისხმობდა შესაფერის დაფინანსებებს. სწორედ გულნაზ ხარაიშვილი დღეს თავის დიდ სამსახურს წარმართავს ისეთნაირად, როგორც ეს სოკრატეს წარმოედგინა მის მიერ წარმოსახულ სახელმწიფოში.

და კიდევ ჩვენი დიდი თხოვნა და სურვილი: ქალბატონო გულნაზ თქვენი დიდი ძალისხმევა უდაოდ საჭიროა ჩვენი მეგობრების შვილდაღუპული დედების მორალურად და ფიზიკურად გადარჩენისათვის.

გვჯერა რომ ძალისხმევას არ მოაკლებთ.

დიდი სიყვარულით თქვენი ძამიკო სიმონ ზაქარაია.

ვაუქბერ ლეკავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია და ჟურნალ „ათინათის“ რედაქცია ულოცავს საქართველოს მოსახლეობას დაბადება–ახალ წელს.

სარჩევი

გულნაზ ხარაიშვილი
უნდა იცოცხლო უწმინდესო 2
ხატმწერი: იაგო უგულავა
მაცხოვარი 3
ალექსი შუშანია 4
ხატმწერები: გიორგი და **ხატია ლარიაშვილები, არჩილ სარჯველაძე**
ხატი 5
ხატი 6
ხატი 7
ხატმწერი: გიორგი ლარიაშვილი
მამა გაბრიელი 8
გულნაზ ხარაიშვილი
მამა გაბრიელს 9
მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი) 10
სიკეთის სხივით 11
მამა მერაბი 12
„ათინათო“ 13

პოეზია

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი)
***მოდის ფიქრთა მდინარება 14
***და... ფეხს იკიდებს გულგრილბოა უმწვერვალესი, ... 14
ქართული სულის სინათლით ბატონ ვასილ ბიბილურს 14
***ცეკვავს ნიავი და სიყვარულზე 14
***ვის რას მისტირი, თუ თავის გჯერა 14
მოკლე დიალოგი სიკვდილ-სიცოცხლისა 15
დედუფალს მზეი ჰმოსიეს 15
მამა ამირან ამირანაშვილი
მარტოობა 16
***საქართველოს მთა-ბარი 16
მოლოდინი 16
ლოცვა 17
თანაგრძნობა 17
თამუნია 17

ჯგუფი ზღვარი

სერგი ლომაძე
არავინ, არაფერი 18
პოეზია 18
კახა ბაციკაძე
სივრცეთა სული 19
ფიქრთა მწვერვალი 19
გიორგი ზუხბაია
თოვლი და ლექსები 20
ქალაქი – ღვინო 20
მარტოობის განღმერთება 20
მანანა ჩიტიშვილი
გმადლობთ მეუფევ 21
დავით თედორაძე
* * * პეპელა უფრო დიდხანს ძლებს 22
* * * მოსაწყენი გახდა ბონი 22
მელაპარაკე ქართულად 22
სანთლის შუქი 22
დავითმა წარვლო ჭოროხი 23
ამ ზამთარს ჩემთან იქნება დედა 23
სველი ზღარბები 23
დათო ყანდაშვილი
Видение реальности в илюзии 24
* * *В этих стихах есть мудрость о терпени 24

ქალური თრობა 24
Что есть соблазн 24
Испытание 25
სასოებიდან სიყვარულამდე 25
დავით ახლოური
ციკლიდან 26
„მომენატრა ახალგორი" 26
ქსნის ხეობას 26
* * * ჩემი გზა-ბილიკი დარდია და 26
* * * ეს მერამდენე დაზამთრება იქნება ცივი 26
* * * ცხოვრებისაგან ათასჯერ ნაცემს 26
* * * ქალი უნდა იყოს ვნებიანი 26
მაცხოვრის ფრესკასთან 27
ბროწეულები 27
* * * ხანდახან ისე თბილია მიწა 27
* * * თუ უყვარხარ და რჩეულს გიწოდებს 27
* * * ასე მგონია 27
ნაირა უგულავა
ე პ ო ქ ა 28
ათას წლის შემდეგ 28
მან ანგელოზი იხილა ჩემი 28
სული ქართველთა 29
დ ე დ ა 29
ვუძღვნი ადამიანებს 29
აპრილია 30
მე არ ვარ შარლი... 30
მზეა დაკარგული 31
მწუხრის ლანდები 31
ცას შესევია ავი კალია 31
თემურ გოგსაძე
ნაცნობი ფრაზები 32
ჩვენი სიყვარული 32
სიყვარულის დრო 33
შენი თვალები 33
*** სიყვარული ეს არის 33
თეა კანდელაკი
* * *ანგელოზები იგალობებენ თეთრონის მთაზე 34
სივრცეში გაიფანტა „ამინ"! 34
და თვისკენ მიხმობს 34
უფერულია ეს ცა, ეს მიწა 35
თეთრი გედი 35
მარადისობად 35
ხათუნა ელიაშვილი-ჩიმაკაძე
ვთესოთ ვარდები 36
გზავნილი 36
შავ-თეთრი გედი! 37
სულის განზომილება 37
* * *სივრცეს შეპარული გრძნობა 37
* * *ბაღში შესულა ტრფობის ფერია 37
შორენა ჩხიკიშვილი
სისხლის წვიმები 38
უკვდავი მუსიკა 39
მსოფლიოს გენიალურ კომპოზიტორებს 39
ნატვრა 39
აკაკი რუხაძე
შინდისის გმირებს 40
ოდა ქუთაისს 40
კვართის მცველის მისია 40
განძი 41
მრავალჟამიერ 41
ქართველნო 41
მეუღლეს 41

ლამაზ ქალს 41
განვქარდით 41
ზურა შოშიაშვილი
ნიღბების სამყარო... 42
ისევ სიყვარულზე... 42
დრო...დედა ნატირალი 42
***შემოდგომის ფერთა გამა, ...42
რა შეიცვალა?! 42
***ვდგავარ, შევყურებ როგორ ჩამოდის 43
***ვეღარც იები და კესანები....43
ორი რაღაც იკითხა ქალმა!....43
ოდესღაც... 43
***არა, არ მინდა ჯერ არსად წასვლა 43
***გაშიშვლებულან გზად ხეები, საბრალოდ დგანან 43
გურამ ჭავჭანიძე
სიცოცხლის სიყვარული 44
ნეტავ, სულ არ მენახა 44
ჰიმნი სამშობლოს 44
თქვენთვის!....44
დეკემბერია თბილისში....45
ქალბატონ მზიური 45
დათიაშვილ-აფციაურს 45
რა დროს დაისია 45
უშენოდ 45
ყველა მიყვარს 45
შენ და ის 45
ლეილა გაფრინდაშვილი
ახალი წელია 46
მოდით ამაფორიაქეთ 46
დედა ენავ....47
მიხმობს!....47
მეეზოვე....47
ლექსის ცრემლები....47
მოვა 47
მზია ელიაძე
ბრუნავს წისქვილი....48
შენიდან ჩემამდე....48
ანი-დან ჰაე-მდე 48
გიორგი სააკაძეს 49
პაატა სააკაძე 49
ქართა ქროლვა....49
ზაფხულის გარდაცვალება 49
გერონტი მესხი (სამაჩაბლოს ბულბული)
ჩემო სამაჩაბლოვ! 51
ფრონის ხეობის კიდევ ერთხელ მონატრება 51
გამარჯობათ, დევნილებო!....51
სამაჩაბლო, ფრონისპირი....51
ედვარდ უგულავა
*** ვფიცავ სიცოცხლეს და შენ თავს ვფიცავ 52
რა შეგაშინებს 52
*** მგონი, რაც უფრო შევდივარ ხანში 52
*** უკვე დატოვეს გული მერცხლებმა 52
შავო მოცხარო 53
* * * როცა გაძარცვულ ცაცხვებს და იფნებს....53
ლეილა ვადაჭკორია
***ხელი ხელს ბანს 54
რა ვქნა უფალო....54
მინდა დაგტოვო 54
წილი წილის წილ 54
კახა სამყურაშვილი
ლაშა ტალახაძეს....55
ზეინაბ ასისტიშვილი
ნეტავი სადამდე 56

დავით ხახუტაშვილს 56
ოჯახი მშვიდი....56
ვაჟკაცი უნდა ასეთი 57
მზე ჩაესვენა 57
ღმერთისგან მჯერა 57
ილიას წყალი 57

ლამარა ასისტიშვილი-ჯამასპიშვილი

ფიქრი....58
შემოდგომა მიიპარება 58
მშვიდობა გვინდა....58
მე ქართველი ვარ....58
მონატრება 58
ღმერთო დამიფარე....59
დაიფარე საქართველო 59
* * *თუ ხარ ქართველი, მაშ გიყვარდეს სამშობლო შენი 59

ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილი

ჰარიჰარალი 60
მზემ მითხრა 60
შარბათი შევსვი....60
ვაი არ მქონდეს სათქმელი 60
46 წელი....61

ლალი ასაბაშვილი

გულს ვერ უბრძანებო 62
მინდა ვწერო მხიარული სტროფები 62
დედას....62
ამ შემოდგომას.. 62
***ცხოვრების მწვერვალებს საზღვრები ქონია... 62
ედელვაისის სიყვარულით ალპებშიც წავალ 63
სანამ ზამთარი ჩამოდგება.. 63

ქეთინო ნიკურაძე

სიყვარულის ანაბანა....64
* * * თეთრი სუდარა მოუსხამს ქალაქს....64
* * * შარას რისთვის გავყურებდი,....64
ნატვრა 64
ყვავილი და ქალი....64
თბილისო ჩემო 64
დედის მონატრება 65
თეთრი ვარდი....65
ზღვა და მენავე 65
დათას ბაღი ბებოსგან 65
წლები....65

უშანგი მოსიაშვილი

შურიან კაცს....66
9 აპრილი....66
მუდამ ვფიქრობ....66
რუსთაველს....67
ვისაც ამ ქვეყნის ტკივილი. 67
შევევედრები განთქმულ პოეტებს 67
მშობელ მიწას დავლოცავ....68
სიყვარულს....68
მიტომ გაუძლო საუკუნეებს 68
როგორც არასდროს 69

თეა ნოზაძე

გულის აპოკალიფსი....70
გრაალის სასმისი 71

ლალი მჭედლიძე

* * *მე რომ მცივა და დავსველდი უშენოდ....72
ქალი ღრუბელთან ცეკვავდა ტანგოს 72
* * *ახლა სიჩუმე ხმაურობს შენში....72
გული გულია 72
არ გამითენო დღე უშენო! 73
* * *არის სიწყნარე, მაგრამ არა სიმშვიდის ფერი....73

მე არ ვარ ევა 73

მანანა თარაშვილი

სპექტაკლი სამისთვის 74
ასიყვარულეთ სიყვარული 74
მშვიდობით 75
ხსოვნის წუთები 75

მანანა ზაზიკაშვილი

ლევილის სასაფლაოზე 76
შენ ხარ 76
სამანტა სმიტს 76
აქლემის კუზი 76
ღვთისმშობელი გვფარავს 77
ვიცოცხლებ სამარადისოდ 77

ნიკო ბაღაშვილი

გულნაზ ხარაიშვილს 77

ნანა ყალიჩავა

ბეჟან 78

ვახტანგ გაჩეჩილაძე

კაკაფონია 79
ჩვენი შეხვედრა 79
იმედის წვეთები 79

ავთო ხარაიშვილი

თავი მგონია ომში 80
ახლა ისევ თენდება 80
ვერ მომკლავ! 80
მე შენს სხეულის ენას 80
* * *დავდივარ ფილტვებს ვანაგვიანებ, ... 80
მე შენი აზრების მხარდამხარ აგვისტოს თვეა 81
ჩემი ასატანია 81
ნუ მიანდობ სხვებს 81
პესიმისტური ლექსი 81

ბეჟან ხარაიშვილი

* * * ყურძენს მიჩვეულმა ბავშვმა 82
რომელი ჯობნის 82
* * * მომიახლოვდი, როგორც არასდროს 82
* * * ცა რომ მტრედისფერობს 83
გამოთხოვება 83
სიყვარული იწყებოდა ასე 83
ეს ცხოვრება 83

გვანცა ხარაიშვილი

სანამ ჩუმად ვართ 84

გულნაზ ხარაიშვილი

გამახსენდი 86
არ შეგეშინდეთ 86
არავინ არ ხარ 86
თეა კანდელაკს 86
დასალევად ვეძებ 86
ამწვანდებიან 86
მეგონა 86
ასი წლის შემდეგ (კოტე ესებუას) 87
ჩვენი შეხვედრა 87
ცათა ლაჟვარდში (მურმან გენელიძეს) 87
სიზმარი 88
ნაძვის ხე 88
მადლი სიონის 88

გურა-ანგურა (გურამ გედევანიშვილი)

მოგეფერები წყაროს დინებავ 89
პეპელის სიკვდილს შევესწარ 89
პირველად ქმნილი ხართ 89
ჯვარო, ლომისის გვრიგვინო 89
ბუნება ჩემი ხატია 90
მარადიულად ასე იქნება 90
მე მესმის ყანების შრიალის 90

ლამაზი სუნთქვა 90
ტბაზე ლელწები ცივ დაირებს შეათამაშებს 91
ლელწებში გაირინდა სული მცინარა 91
ღილიფარების რეკენ ზარები....91
ყინვის დამყვანდა ხარები 91
არაფერობა ლოდთა 91
სჯეროდა....91
ნამში სიზმრები თოვს....92
ჩემს შვილს ბესიკს 92
შემოგანათებს ველი ხარხარით....92
თეთრით შეგმოსე 92
ღელემ როს მიმატოვა 92
ქალაქი მწყრალად ქრებოდა ნისლში 93
ბინდმა თვალები მომაპყრო 93
მთები ფასკუნჯივით გაფრინდება 94
სადაც სავანებში ლომს ეძინა 94
დროშები აბჯარტანგაუხდელი....94
წყნარად 94
ფანრავაზ წიგნი აღიღო....94
სამჯერ აკოცა მიწას 94
წვეთო ჩადი მდინარესთან 95
წანწალა სიო მეწვია 95
ის ლამები წამაფარა....95
ხრმალი რომ დაჰკრეს დიდოეთს 96
წყაროვ, ქვიშად ნუ გადამშლი 96
რა მშვენნიეერი ეცვა ცისფერი 96
რა, მშვენიერნი იყვნენ მატრონები 96
დაემშვიდობა ხეს ფოთოლი....96
მდინარეთა წარმავალი ნაკადის სრბოლა....96
კლდეს ქოჩრად გადმოეკიდა....97
ცრემლი ღვთაება ლისისა....97
და მახარებდა წყალთ ხარხარება....97
როგორ კვნესის დუდუკებით კბოდე....98
ნეტავ, ვყოფილიყავ ფრინველი 98
ქარი ხეობათ ტანჯვის ხმაა 98
ისევ, ცით აგვეტირება 98
სცურავენ სალი კლდეები....98
მე მიხარია, რომ წვიმს 98
კოსმოსს შესეული ნაოსნები....99
მიყვარს სანაპირო სილოვანი....99
ახსოვს ძველი ძეწნები....99
თვალი შედედებულ დღეთა 99
მშვენიერი ქალწულები ცვიოდნენ....100
ქვები სულებივით თეთრი....101
არ მეგონა თუ სიკვდილი გამართობდა....102
აქ, ნაძვების წერწეტობდნენ ტანები....102
ის ცრემლი ვინ მოიპარა?....102
იდუმალი ქვითინებდა....102
სხვას არას გეტყვის უჩინი 102

ხაბავშვო განყოფილება

ნაირა ნიჟარაძე
მავნებლები და სასარგებლონი 103
სასარგებლონი....105

თარგმანები

მაყვალა გონაშვილი
მანასისა და კონურბაის ორთაბრძოლა....107
კოკეტეის ქელეხის დასასრული....109
Ratiani Lali
Weg des Ruhmes Fortsetzung....111

თეონა ბერიძე
ბერძენი პოეტის – მილტოს საყდარისის პოეზია 115

პროზა

რევაზ მიშველაძე
წამება (რომანი) 117
რეზო ადამია
სულხან-საბა ორბელიანი და ბედი ქართლისა 126
გარი ჩაფიძე
სიყვარულის ლაბირინთი 129
გულნარა შოთაშვილი-ტაბატაძე
სიყვარულის ძალა 133
ბორის მიშველაძე,
„ათინათის“ შენაკადთა მზესხივოსანი კრებული 136
სერგი ლომაძე
პოეზია და შემოდგომა 137
გურამ ჭავჭანიძის პოეზიის საღამო 140
ელიზბარ ხერკელაძისა და თამარ ვარდოშვილის დიდი დღე 143
განსხვავება-შენიშვნა 145
თამარ ჯაჭვაძე
ცრემლისფერი წერილები 146
ლამზირა შეყილაძე
ერთაწმინდაში მზე რომ ამოვა 147
თამარ ჯაჭვაძე
საყვარელი საფლავები 149
სიმონ ზაქარაია
ავღანეთისა და აფხაზეთის ომების გმირის გოდერძი ზაქარაიას ცხოვრების
ტრაგიკული დასასრული 151
მანუჩარ მაჩაიძე
ერი და თანამედროვეობა 158
ანზორ ჯაფარიძე
აღსარება 161
ნაირა უგულავა
სიბრძნის სკივრი 175
ჯუმბერ ლეჟავა
დიდი მოგზაურობა 181

ბიბლიოთეკა

ქეთინო ნიკურაძე
საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში 184

ხელოვნება

გულნაზ ხარაიშვილი
გულის წევრი 188
ქეთი მაზმიაშვილი
ნახატები 189
გოგი ფაცაცია, სიმონ ზაქარაია
ნიჭიერი მხატვრის ხელოვნება ხალხის სულიერი სიმდიდრეა. შარაბ ხოჭოლავას
მხატვრული სივრცე 191
თეა კანდელაკი
როკის მომღერალი ქართველი ქალი, რომელიც როკის სამშობლოში ქართულად ამღერდა 195
მზიური დათიაშვილი-აფციაური
ნამდვილი ამბავი 198

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი.
სულიერ ფასეულობათა ანბანი. შვილები 207

წერილები

ტიტე მოსია
რუსთაველის ენის გარშემო 211

ლუარა სორდია
ბიბლიური პარადიგმები ნიკო სამადაშვილის პოეზიაში 214
ლია წურწუმია
ჰომეროსის ეპოსი 217
მანანა კვატაია
კიტა აბაშიძე – ახალი ქართული სალიტერატურო კრიტიკის ფუძემდებელი 222
ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე
კოსმოპოლიტური შემოქმედება 225
Lali Ratiani
Ausgliederungskriterien, unterschiedliche Schichten und Wechselbeziehungen zwischen den Redeteilen/ den Redeeinheiten 227

ისტორია

ნიკო ხერკელაძე
ქართველები ირანში 231

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი, შორენა გოლიაძე
ბანკები, როგორც ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები და მათი საქმიანობა საქართველოში 237
ჯუმბერ ხარაიშვილი
ფულადი მასის სტრუქტურის ანალიზი 242

შემეცნებითი სამყარო

მამა ამირან ამირანაშვილი
საუბარი რელიგიის ისტორიის შესახებ. 245
ქართლის სამეფო გაქრისტიანების გზაზე. 245
მირიან მეფის და ქართლის ერის ნათლობის თარიღისათვის 246

წორჩი ათინათელები

167-ე საჯარო სკოლის მკითხველთა კლუბი „მთიები“
ანანო ნიშნიანიძე
ენის დანიშნულება 248
ერეკლე ხმალაძე
ფიქრები ენაზე 248
ლიზი ლეკიშვილი
ფიქრები ენის სამყაროზე 249
ლუკა ჩაჩანიძე
ხატვიდან დამწერლობამდე 249
მუხრან ჭიღლაძე
განუმეორებელი 249
ზეიკიძე თინათინი
ნიადაგს მოწყვეტილი 250
თამარ ლოევენი
ენა და მამული 250
ნათია ადვაძე
ჯეიმზ დაშნერი „ლაბირინთში მორბენალი“ 250
ლაშა ჯაფარიძე
ფიქრები ხელმოცარულ ელჩზე 252
ნინო მელაძე
მკითხველი ფოტოგრაფი 252

მილოცვა

სიმონ ზაქარაია
ძვირფასო ქალბატონო გულნაზ 253
შობა-ახალი წლის მილოცვა ჟურნალ „ათინათის“ რედაქციისაგან 254

ავტორთა ყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი“ არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია.“

ანგარიშსწორების ნომერი – GE51 TB73 1333 6080 1000 01

ტელ: 593657921;
0341227287.
790657921

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო“, რეზო ადამიას შექმნილი ხატი. გარეკანის ბოლო გვერდზე რეზო ადამიას ხატი მამა გაბრიელი. ხატი ამჟამად ასვენია გერგეთის წმიდა სამების ეკლესიაში, რომელიც შეწირა ლაშა ლოლუას ოჯახმა.

ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:
გულნაზ ხარაიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია – მხატვარი, პროზაიკოსი

აკადემიის სწავლული მდივანი: გიორგი ბეჟიტაშვილი – პროფესორი

რელიგიის განყოფილების მთავარი რედაქტორი: მამა ამირან ამირანაშვილი
საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორი:
ვანო შუშტაკაშვილი – პროფესორი

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები:
ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.

ისტორიის განყოფილების რედაქტორი: როინ მეტრეველი – ეროვნული
აკადემიის ვიცეპრეზიდენტი
მხატვრული განყოფილების რედაქტორები:
სერგი ლომაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი
კახა ბაციკაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი
თამარ ჯაჭვაძე, პოეტი.
ხელოვნების განყოფილების რედაქტორები: გელა ლარიაშვილი – მოქანდაკე,
ნიკო ხერკელაძე – მხატვარი, პუბლიცისტი.
საბავშვო განყოფილების რედაქტორი:
ლამარა გერგედავა – აკადემიის ნამდვილი წევრი

ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.

რედკოლეგიის წევრები:
ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) – მოგზაური
იური მამედოვი(აზერბაიჯანი) – მოგზაური
მარინე სხირტლაძე – საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.
ლამზირა შეყილაძე – პოეტი
სიმონ ზაქარაია – ჟურნალისტი
კომპიუტერული უზრუნველყოფა – ნანა სხირტლაძე და თამარ სხირტლაძე
ჟურნალი დაკაბადონდა გამომცემლობა „უნივერსალში“.

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი,
პოლტავას აკადემია, II სართული, მეთხუთმეტე ოთახი.

ტელეფონი: 593 65 79 21;
შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

!